100 410
323.2(05)
ჩ-38

რევოლიუციის მატიანე

ისტორიული ჟურნალი.

№ 4.

1923 წ.

გამოცემა საქ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორისა.

ტფილისი.

ნ. დ. სამხ. ცენზ.

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სი, კოუზენშტერნის ქუჩა, № 4.
ტირაჟი 1500 ც. შეკვ. № 497.

ამხანაგებს და უველა ძველ რევოლიუციონერებს!

რევოლიუციისა და საქართველოს კომპარტიის ისტორ. კომისია სცემს 1917 წლამდის ბრძოლაში დაღუპულ ძველ „ვოლიუციონერთა მოკლე ბიოგრაფიების კრებულს,—„კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლიუციონერთა ალბომი"-ს სახით.

ამის შესახებ ჩვენ წინათ ვაცნობებდით გაზ. „კომუნისტში", „შუშამი" და თვით ჩვენს ისტორიულ ყურნალ „რევოლიუციის მატიანეში", რითაც ვთხოვდით ამხანაგებს მოეწოდებინათ ცნობები ბრძოლაში დაღუპულ ყველა რევოლიუციონერების შესახებ (1917 წლამდე) მოკლე ბიოგრაფიებით.

ჩვენით ჩვენ ვაცხადებთ შედარებით სრულ სიას, შეუსა და კაპიტალისტურ რეჟიმთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებისას და ვსთხოვთ კიდევ განმეორებით **ამხანაგებს, ყველა ძველ რევოლიუციონერებს: ნუ დაიზარებენ და მოგვაწოდონ ხასწრაფოდ ამათი მოკლე ბიოგრაფიები,—ვისაც კი მოეპოება ფოტოგრაფიული სურათების თანდართვით.**

ს ი ა

ა

1. არავიაშვილი იოსები
2. არავიაშვილი არჩილი
3. ახობაძე

ბ

4. ბაბილაძე
5. ბოჭორიძე მიხა
6. ბურჭულაძე

გ

7. გალდავა დოლმატი
8. გალდავა ფაცია
9. გელოვანი შამშე
10. გიორგობიანი გ.
11. გორდეზიანი აკაკი

დ

12. დადეშკელიანი ლევანი
13. დარჩიაშვილი ლადო
14. დვალი

ე

15. ენგრაელიძე იოსები
16. ელიავა შარო
17. ელიავა ესტატე
18. ელიავა გ.

ვ

19. ვასსერი

თ

20. თალაკვაძე პანტელეიმონ
21. თვარაძე ვახო
22. თედეიშვილი ბ.
23. თელია გიორგი

ი

24. ივანიაძე ხიდოვანი
25. იმნაიშვილი გერმანე
26. ინწკირველი ვანო (სტეპანე)

კ

27. კალაძე მინა
28. კალაძე გერონტი
29. კალანდაძე ვანო
30. კალანდაძე გერონტი
31. კალანდაძე ბესარიონი
32. კაციაშვილი კოლა
33. კახეთელიძე
34. კაცხოველი ლადო
35. კილაძე აფრასიონ
36. კოპალეიშვილი ალექსანდრე
37. კუჩუკვი მიშა

ლ

38. ლაზარაშვილი ტ.
39. ლეკავა პროკოფი
40. ლეჟავათიძე ჭიღლა
41. ლეჟავათიძე სოლოჟონი
42. ლეჟინაძე ელისო
43. ლორთქიფანიძე პოლიევ

მ

44. მათითაიშვილი გიგო
45. მამაცოვი გ.
46. მარსაკოვი გიორგი
47. მარცვალოვი გ.
48. მეგრელიძე იასონი
49. მეგრელიძე მოხე
50. მეტეხელი მიხეილი
51. მეტრეველი გ.
52. მეტრეველი ლ.
53. მეტრეველი მ.
54. მინდიაშვილი
55. მოსტინი პეტრე

რ

56. რიქინაშვილი ა.

ს

57. სტურუა რაქდენი
58. სტურუა ვასილი
59. სულხანიშვილი

ტ

60. ტაბუკაშვილი
61. ტიბელაიშვილი ვასო
62. ტოგო
63. ტორიკაშვილი

ფ

64. ფარჯანაძე კონსტანტინე
65. ფრუიძე მ.

ღ

66. ღლონტი

შ

67. შევარდნაძე დათიკო

ჩ

68. ჩაჩავა კოხტა გიორგის-ძე
69. ჩაჩავა მ.
70. ჩიტაძე გოგლა
71. ჩოდრიშვილი ზაქრო

ც

72. ცინცაძე იასე

წ

73. წულუკიძე ალექსანდრე

ჭ

74. ჭაჭიაშვილი ილიკო
75. ჭელიძე
76. ჭინჭარაძე

ხ

77. ხირსელი გ.
78. ხუცურაშვილი

ჯ

79. ჯაფარიძე არჩილი
80. ჯიბლაძე სიმონი
81. ჯიბუტი გარდენი.
82. ჯორჯაშვილი არსენი
83. ჯოხაძე ლადო
84. ჯულელი სევერიანე
85. ჯულელი გიგა

რევოლიუციისა და საქართ. კომპარტიის ისტორიის
კომისიის მდივანი ს. ტალაკვაძე.

5



განყოფილება

=I=

ისტორიული ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თალაკვაძე

საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული

(1870 წლიდან 1905 წლამდი)

მეორე ნაწილი

III.

1900 წლის ბოლო ხანებში,—1901 წლის დასაწყისიდან,—რუსეთის აყვავებული, გაფურჩქვნის გზაზე შემდგარი მრეწველობა მწვავე კრიზისმა მოიცვა....

საჭიროებაზე მეტი დამზადებული, ერთობ ბლომათ დაგროვილი საქონლები ფაბრიკა-ქარხნებიდან. გასავალ გზას,—საქონლის მომთხოვნელ თავისუფალ ბაზარს ვერ ჰპოულობდა.

ფაბრიკა-ქარხნის პატრონები,—კაპიტალისტები ურცხვათ, მოურიდებლათ ითხოვდენ მუშებს,—ძალზე ამოკლებდენ მუშების რიცხვს ფაბრიკა-ქარხნებში. მუშები, რომლებიც რჩებოდნენ ადგილებზე, დათხოვნილებში არ ხვდებოდენ, იმათი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობაც არ უმჯობესდებოდა ამით; შრომის ფასი ეცემოდა, შრომის პირობები აუტანელი ხდებოდა ყოველ მხრივ... ეს კი გახდა გართულებული ცხოვრების მძიმე პირობებისაგან წაკრული მაგარი მუჯლუგუნი მუშათა კლასისადმი... ამან მისცა საბაბი, ფართო მუშათა კლასი დიდი მონარქიული რუსეთის სიფართოვე—სიგრძით გამოეფიზლებულიყო, ამოძრავებულიყო, მებრძოლთა რიგებში ჩარაზმულნი ისინი იერიშით მისულიყვნენ თავიანთ მტერზე,—ფაბრიკა-ქარხნის პატრონებზე,—ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; აგრეთვე მოეხდინათ დემონსტრაციები პოლიტიკური გამოსვლების სახით, გამძვინვარებულ მონარქიულ მთავრობის თვითნებობის შესაზღუდავათ,—პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლათ.

ფაბრიკა-ქარხნებში წარმოებულ გაფიცვების გარდა, მუშათა რევოლიუციონური მასები გამოდიოდენ ქუჩებში ბრძოლის წითელი დროშებით ხელში და გაბედულათ აცნობდენ ქვეყანას თვითმპყრობელ ნიკოლოზის მონარქიულ მთავრობასთან დაუნდობელ, შეურიგებელ ბრძოლის საჭიროებას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

დობროლიუბოვი-ჩერნიშევსკის რევოლიუციონურ მოძღვრებაზე აღზრდილ რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობაშიც ღვივდებოდა ამ დროს რევოლიუციონური მოძრაობის ცეცხლი; მოწაფეთა გამოსვლები, განსაკუთრებით სტუდენტთა საპროტესტო პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციები ხშირი მოელენა ხდებოდა... ზრდა-განვითარების პროცესში მყოფი მუშათა ფართო რევოლიუციონური მოძრაობა გავლენას ახდენდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე და ისინიც მასიური ჩარევით უერთდებოდენ ამოძრავებულ რუსეთის პროლეტარიატს.

ამ დროს, ერთად ერთი რევოლიუციონური ძალა, რომელიც იზიდავდა თავისაკენ საბრძოლველათ განწყობილ მუშათა კლასს,—იყო მარქსისტული მოძღვრებაზე დამყარებული,—ჯერ კიდევ სუსტი, განვითარება-განმტკიცების პროცესში მყოფი,—სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს მოეპოვებოდა ამ ხანებში აქა-იქ სამრეწველო დიდ ქალაქებში გამოსული ყოველ-დღიური თუ კვირეული ბეჭდვითი ორგანოები, მაგრამ არც ერთი ამ ორგანოთაგან არ იდგა თავის მოწოდების შესაფერ სიმაღლეზე: ესენი სუსტნი იყვნენ, ესენი დაშორებული იყვნენ პრაქტიკულად მომქმედ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს; ესე იგი, ეს ბეჭდვითი სოციალ-დემოკრატიული ორგანოები არ აძლევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს იმ პრაქტიკულ და თეორიულ *) საკვებს, რაც მათ ესაჭიროებოდა, რაც მათ გამოადგებოდა სახელმძღვანელოთ უკვე გაჩაღებულ რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. მარქსისტულ-რევოლიუციონურ მოძღვრებაზე დამყარებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ესაჭიროებოდა რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი, ერთი მთლიანი, რკინის დისციპლინაში ჩამოსხმული ძლიერი პარტია,—სწორი ტაქტიკისა და მტკიცე პოლიტიკის მატარებელი, რომელიც ამ ამოძრავებულ, რევოლიუციისათვის მოწოდებულ ფართო მშრომელ მასებს მებრძოლთა რიგებში ჩააყენებდა და წინ, უკეთესი მომავლისაკენ წასასვლელ რევოლიუციონურ გზას უჩვენებდა.

სოციალ-დემოკრატების 1-ელ ყრილობაზე ჩასახული, საფუძველ დადებული, მაგრამ ჯერ კიდევ განუვითარებელი, გაუმაგრებელი სო-

*) „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის გამოცემები საზღვარ-გარეთიდან აღწევდა რუსეთის ქალაქებში და თეორიულ შიმშილს სოციალ-დემოკრატიული პარტიისას რამოდენიმეთ ანელებდა, მაგრამ ორგანიზაციის შექმნისათვის, პარტიის გაზრდა-განმტკიცების მხრივ მას არაფერი თითქმის არ გაუკეთებია; ამ გამოცემებში მოთავსებული მეცნიერულ-სადისკუსიო ხასიათის თეორიული წერილები მიმართული იყო მარტო და მხოლოდ ნაროდნიკების წვრილ ბურჟუაზიული მოძღვრების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია არ იყო ამ ხანათ კიდეც შექმნილი ერთი რევოლიუციონური ტაქტიკის, ერთი რევოლიუციონური პოლიტიკის მატარებელ შემადგენელი ნაწილებით. პარტიაში და პარტიის ირგვლივ თავი მოეყარათ ლიბერალურს, არარევოლიუციონურს,—ასე ვსთქვათ,—ლეგალურ და ნახევრათ ლეგალურ სოციალ-დემოკრატებს და შეჰქონდათ ეს არა-რევოლიუციონური სული მუშათა მოძრაობაში. ლეგალურ მარქსისტების ჯგუფის—თუ შეიძლება ეწოდოს მას ჯგუფი,—ლიდერნი და სულის ჩამდგმელნი იყვნენ ჯერ კიდევ რუსეთში მარქსიზმის ჩასახვის დღიდან—80-90 წლებიდან პ. სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და ბულგაკოვი. *)

პარტიის საფუძველის ჩაყრამ, მისი რევოლიუციონურ ორგანიზაციათა მუშაობის განვითარებამ და იმ მძიმე თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, რომელშიც ამ ორგანიზაციებს უხდებოდა მუშაობა 90 წლების დასასრულიდან და 1900 წლის დასაწყისიდან, წარმოშვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ორი ჯგუფი—**„ეკონომისტებისა“** და **„პოლიტიკებისა“**. ჯგუფი „ეკონომისტებისა“,—მარტინოვი, ლოხოვი, პროკოფოვიჩი, კუსკოვა, კიჩევსკი და სხვა,—ხელმძღვანელობდენ რა თითქო მარქსიზმის თეორიით, მარქსისტული პრინციპით, ცდილობდენ გამოეცალათ წარმოებულ მუშათა მოძრაობისათვის რევოლიუციონური სული, რევოლიუციონური ხასიათი: „ეკონომისტებს“ დაუშვებელათ მიაჩნდათ რომ მუშათა მოძრაობა წმინდა ეკონომიურ და ისიც ნაწილობრივ ხასიათის გაფიცვებს,—ფაბრიკა-ქარხნის კედლებ შიგნით, მხოლოდ და ფაბრიკა-ქარხნის პატრონების წინააღმდეგ მიმართული,—გადმომცდარიყო. დაეტოვებია მას ეს საზღვრები და

*) მარქსიზმზე აგებულ სოციალ-დემოკრატიისა და მისი რევოლიუციონური ორგანიზაციის დაარსება-განვითარებით „ლეგალურ მარქსისტების“ ეს ჯგუფი მოკვდა. 1904—1905 წლებიდან პ. სტრუვემ და მათმა თანამოაზრეებმა სრულებით ჩამოიხიეს პირზე აფარებული მარქსისტული პირბადე და საშუალოთ გადაბარგდენ გამოღვიძებულ რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ მტრების,—ბურჟუა-კაპიტალისტების ბანაკში. უნდა ითქვას, რომ ამათი გავლენა, როგორც „უპარტიო“ ორგანიზაციის მარქსისტულ-ლიტერატურული ჯგუფისა, არ იყო საგრძნობი იმდენათ, რომ რევოლიუციონურ მუშათა კლასს დასტყობოდა თავიანთი მოტანილი ვნებითა თუ სარგებლობით. ვნების მოტანის მხრივ, როგორც ეს უკვე დავანახეთ ოქტომბრის დიდმა პროლეტარიულმა რევოლიუციამ რუსეთში (შორის მჭერეტელი, გენიალური მარქსისტი რევოლიუციონერი მთელი მსოფლიოსთვის, ლენინი ამას მაშინაც ხედავდა და მოსურიდებლათ აცხადებდა) დიდი როლი ითამაშა პარტიაში, თვით პარტიის შიგნით მოკალათებულმა, მიმართულება-საჭმიანობით ლეგალობის გზაზე დამდგარმა ჯგუფმა, ეგრეთ წოდებულ „ეკონომისტების“-ამ. ეს ჯგუფი დაბოლოს,-თუმცა არა პირდაპირ, არა აშკარა სახით,-სულიერი შემკვიდრე გახდა მომკვდარ „ლეგალისტების“ ჯგუფისა სხვა სახით და სხვა სამოსელში მოვლინებული. „ეკონომისტების“ ჯგუფზე ქვევით მოგვიხდება ლაპარაკი, სადაც მათი სახე და ნახატების სურათი უფრო ნათლათ იქნება წარმოდგენილი.

მიეღო გადამჭრელი, მომქმედი, მებრძოლი პოლიტიკური სახე. „ეკონომისტები" აცლიდენ რა რევოლიუციონურ სულს მუშათა მოძრაობას, ამით სდევნიდენ სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან პოლიტიკას, გზას ულობავდენ დაძრულ რევოლიუციონურ ნაბიჯებს და აქ გამთიშველი ფრონტით პირველი ისიხი უპირდაპირდებოდენ პარტიის იმ ძლიერ *) ჯგუფს, რომელიც დამყარებული ეკონომიკაზე, მეცნიერულ სოციალიზმზე, თავისი სოციალ-დემოკრატიული რევოლიუციონური ორგანიზაციისა და მუშათა მოძრაობის განმავითარებელ საფუძვლათ **პოლიტიკას**, მტკიცე შეურიგებელ რევოლიუციონურ **პოლიტიკას** სთვლიდა. **)

„ეკონომიზმის" თეორეტიკი, ამ ჯგუფის სულის ჩამდგმელი და ხორცის შემსხმელი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში იყო მარტინოვი***), ხოლო ამისი მოპირდაპირე „პოლიტიკი", „ეკონომიზმის" შეურიგებელი მტერი, პარტიაში და პარტიის გარეთ **რევოლიუციონური პოლიტიკის** გამტარებელი, მისი თეორეტიკი და

---

*) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელნი და ცნობილი ლიდერები—გ. პლეხანოვი, აქსელროდი, ვ. ზასულიჩი, პოტრესოვი და მარტოვი ლენინთან ერთად არ იზიარებდენ „ეკონომისტების" პარტიულ ხაზს პარტიის მეორე ყრილობამდე და ამით ჯგუფი ეგრედ წოდებულ „პოლიტიკებისა" პარტიაში უძლიერესი იყო.

**) 90 წლების მიწურულში „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიერ აშკარათ და გადაჭრით იქნა დაგმობილი „ეკონომიზმი", რომელსაც მათი აზრით რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში შეჰქონდა გახრწნა დაშლა; იგი ჰქმნიდა საფრთხეს შექმნა-განმტკიცების პროცესში მყოფ პროლეტარულ პარტიისათვის.

***) მარტინოვი ეხლა, როცა მასში, მრავალი რევოლიუციონური წლების განვლის შემდეგ,—ოქტომბრის დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ წარმოებულ ძველი პარტიული ხაზის გადაფასება გამოიწვია, უკვე უარს ამბობს ამ პარტიაზე და კომუნისტი გახდა,—უარყოფს ამას თავის ეხლანდელ ისტორიულ მოგონებებში („კრასნაია ნოვი"). მარტინოვი ამბობს, რომ იგი „შეცდომით იქნა მოწინააღმდეგების მიერ ჩათვლილი „ეკონომისტების" რიცხვში და კიდევ მეტი—მის ლიდერთაც მონათლული. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს არსებითად არ სცვლის მარტინოვის მიერ გათამაშებულ როლს წარსულში „ეკონომიზმის" წარმოშობა—განვითარებისათვის... მარტინოვი თავის ისტორიულ მოგონებებში ჭეშეით უმატებს: „ეკონომისტების" რიგებში მოჭეშეული, მე ნამდვილი „პოლიტიკი" ვიყავიო...—ამბობს ჭეშეით მარტინოვი. ისტორიამ უკვე დაგვანახვა, რომ „ეკონომიზმის" შემდეგი განვითარებით წარმოშობილი მენშევიზმი ბურჟუაზიასთან, პროლეტარიატის კლასობრივ მტერთან ბრძოლაში იყო ლმობიერი, არა „პოლიტიკი". არა-რევოლიუციონერი, თორემ მუშათა კლასთან, პროლეტარულ პარტიასთან ბრძოლაში ისინი „პოლიტიკებიც" იყვნენ და თავგანწირული „რევოლიუციონერებიც". ამზ. მარტინოვის მტკიცებას,—რომ იგი „ეკონომისტების" რიგებში ნამდვილი „პოლიტიკი" იყო,—მხოლოდ ეს აზრი და შინაარსი აქვს და სხვა არაფერი.

6 ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკი, „პოლიტიკის“ სული და გული, „ეკონომიზმის“ მრღვეველ ბაცილებთან საბრძოლველათ მოწოდებული,— რკინის ენერგიით, ფოლადის ნებით და სიმტკიცით შეიარაღებული მებრძოლი იყო ნ. ლენინი,—ახლანდელ ეპოქის ეს მსოფლიო გენია.

IV

ლენინის ინიციატივით და მეთხებით 1900 წლის მიწურულში საზღვარ-გარეთ დაარსდა „ისკრის“ (ნაპერწკალი“) ჯგუფი, რომელმაც 1901 წლის დასაწყისიდან იწყო გამოცემა თავისი ორგანოსი გაზეთ „ისკრა“-ს სახელწოდებით. „ისკრას“ სარედაქციო კოლეგიაში შედიოდენ: ნ. ლენინი, გ. პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, აქსელროდი, მარტოვი და პოტრესოვი,—„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის თითქმის. მთელი შემადგენლობა გაზეთ „ისკრა“-ს პირდაპირი დანიშნულება და მიზანი იყო ზრდა-განვითარების პროცესში მყოფ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის პოლიტიკური და იდეური ხელმძღვანელობა, ორგანიზაციებში დაბადებულ, გაურკვეველ თეორიულ და პრაქტიკულ კითხვების გადაჭრა, სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონურ ორგანიზაციების შენება და განმტკიცება, და ბოლოს ბრძოლა, შეურიგებელი ბრძოლის წარმოება „ეკონომისტებთან“ და მომზადება მომავალში პარტიის მეორე ყრილობისა.

როგორც ინიციატორი „ისკრა“-ს დაარსების, აგრეთვე მისი იდეური ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი—რაც შემდეგ აშკარათ დაინახეს და აღნიშნეს მისმა ყოფილმა ამხანაგებმა,—იყო **ლენინი**. „ისკრა“-ში მთლიანათ იყო გადმოსულილი **ლენინის** მოუსვენარი, მტრებთან (პირდაპირ და არაპირდაპირებთან) შეურიგებელი მებრძოლი, აღსავსე რევოლიუციონური სული. და აქ აღსანიშნავია განსაკუთრებით ის, რომ „ისკრა“-ს სარედაქციო კოლეგიაში სხვა არა ნაკლები (იმ ხანებში თავიანთი წარსულით უფრო დიდებიც) **ტიტანი** სოციალ-დემოკრატებიც შედიოდენ **ლენინთან** ერთად, მაგრამ ისე კი იყო გამეფებული რედაქციაში ლენინის ძლიერი ნება და ხასიათი, რომ „ისკრა“-ს მოწინააღმდეგეები ლენინის გაზეთს,—მის საკუთარ ორგანოს ეძახდენ „ისკრა“-ს. ხსენებულ გაზეთს დასტყობოდა მთლიანათ **ლენინის ძლიერი ხელი**.

ამ ხანებში დაარსებულ იქნა „ეკონომისტების“ საკუთარი ორგანო,—„რაბოჩეე დელო“-ს (მუშათა საქმე) სახელწოდებით, რომელიც დაუპირდაპირდა ისკრას და მთელ თავის ენერგიას ანდომებდა პარტიაში და პარტიის გარეთ,—მუშათა მოძრაობიდან „პოლიტიკის“, რევოლიუციონური სულის გამოდევნას. „რაბოჩეე დელოს“ იდეური და უმთავრესი ხელმძღვანელი იყო **მარტინოვი**. ყველა სერიოზული და პრინციპიალური ხასიათის წერილები „ისკრას“ პოლიტიკური მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართულების წინააღმდეგ დაწერილი „რაბოჩეე დელოში“ ეკუთვნოდა მარტინოვს, ისე, როგორც „რაბოჩეე დელო“-ს წინააღმდეგ დაწერილი წერილები „ისკრა“-ში უმეტესათ და უმთავრესად ეკუთვნოდა ნ. ლენინის კალამს.

ამ რიგათ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში წარმოიშვა და 1901 წელში უკვე მომწიფდა, ჩამოყალიბდა, ორი ერთი მეორის მოპირდაპირე გარკვეული ჯგუფი, ეგრეთ წოდებული—„ისკროვცებისა“ და „რაბოჩედელცები“-სა. ესენი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პირველ პერიოდში ცდილობდენ შემოეკრიბათ ცალ-ცალკე თავიანთ ირგვლივ რაც შეიძლება მეტი ნაწილი მუშათა კლასისა და მის თანამგრძნობ ყველა რევოლიუციონურ ელემენტებისა.... ხოლო მოქმედების დროს, პარტიის ორგანიზაციულ საქმიანობის პროცესში ეს უთანხმოება, ჯგუფთა შორის შეხლა-შემოხლა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ღრმავდებოდა.*)

ეს ბრძოლა და აზრთა დაპირდაპირება რუსეთში, ერთი მიზნით აღჭურვილ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების შიგნით, გავლენას ახდენდა კავკასია—ამიერ კავკასიაზე; აგრეთვე ჩვენზეც,—საქართველოზეც, როგორც ნაწილზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, და თუმცა პირველ ხანებში აქ ეს არ იყო საგრძნობი, შესამჩნევი, მაგრამ სხვა და სხვა სახეებითა და ფორმებით წარმოდგენილს მას აქაც ჰქონდა ადგილი.

ზოგიერთი ძველი, დღევანდლამდის მოღწეული რევოლიუციონერები და მენშევიკების სახით წარმოდგენილი ყოფილი რევოლიუციონერები ირდგენენ პარტიული მუშაობის შორეულ წარსულს და თითქო რწმუნდებიან,—ცდილობენ დაგვარწმუნონ ჩვენც,—რომ საქართველოში მარქსისტული ორგანიზაციების შიგნით პარტიული მუშაობის პირველ პერიოდში იმის მსგავსი შეხლა-შემოხდა და უთანხმოება არ ყოფილა, რაც იმ დროს რუსეთის ორგანიზაციაში ხდებოდა; ისინი ამბობენ: აქ არ უჩენია თავი არც „ეკონომისტებს“ და არც მის მოპირდაპირე „პოლიტიკებს“-ო, რომ საქართველოში პარტიული ორგანიზაციების შიგნით არ ჰქონია ადგილი არც პრინციპიალურ და არც ტაქტიკურ უთანხმოებასო, რომ აქ მუშაობა პარტიაში იმ დროს, როცა მას რუსეთში მღრღნელი ბაცილები ეკიდებოდა, შეთანხმებული, ერთსულოვანი იყოო და სხვა. მაგრამ ეს მართალი არ არის; იგი არ შეიცავს სრულ სინამდვილეს. ამიტომ მეტი არ იქნება, რომ აქ დროებით შევაჩეროთ ჩვენი მოთხრობა და გადავხე-

*) 1901 წელს, ქუთაისის პარტიულ თათბირზე მიღწეულ შეთანხმებას „ისკროვცებისა“ და „რაბოჩედელცებისა“-ს არსებითად არაფერი არ შეუკვლია; ბრძოლა ამ ორ ჯგუფთა შორის წინანდებურათ გრძელდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოთ პარტიული მუშაობის შორეულ წარსულს, გადმოვშალოთ იმ დროინდელ რევოლიუციონური მუშაობის მაჩვენებელი დოკუმენტები, წინააღმდეგ მეტყველი ფაქტები.

უთანხმოება პოლიტიკურ და ტაქტიკურ კითხვებში იყო რა თქმა უნდა აქაც, მაგრამ იგი სხვა სახით იყო წარმოდგენილი და სხვა ფორმებში სწარმოებდა. თუ რუსეთის ორგანიზაციებში ამ უთანხმოებას ორი სხვა და სხვა პოლიტიკური და ტაქტიკური მიმართულება—ხაზი წარმოეშვა, მას აშკარა მოპირდაპირე ჯგუფები შეექმნა საკუთარი ბეჭდვითი ორგანოებით, იყო კამათი, პოლემიკა ლიტერატურული საშუალებით, იყო მოურიდებელი, დაუცხრომელი ძრძოლა,—აქ საქართველოში ყოველივე ეს ხდებოდა შეუმჩნეველათ არა-გარკვევით. მუშებისგან შემდგარ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა *) და მის ირგვლივ შემოკრებილ მარქსისტ-ინტელიგენტების თვით ბუნებაში და პრაქტიკა-საქმიანობაში სჩანდა ყოველივე ეს, სჩანდა მათ მიერ თითქო ამ ფაქტის შეუგნებლათ.

ჯერ კიდევ 94-5-6 წლებში პირველ მარქსისტულ იაჩეიკების დაარსებიდან ტფილისში და ამ იაჩეიკებით წარმოშობილ კომიტეტის მუშაობის დასაწყისში, როცა ორგანიზაციაში უმეტესათ და თითქმის მთლიანათ მუშები იყვნენ, ინტელიგენტი მარქსისტები, წარმოდგენილი უმეტესათ ერგეთ წოდებულ „მესამე დასელების" ჯგუფის სახით, იმით იყვნენ გატაცებულნი, რომ როგორმე რაც შეიძლება სასწაველებლიდან დათხოვნილი, მარქსისტულათ მოაზროვნე ინტელიგენტები ბევრი და თან საჭაროდ გაეგზავნათ საზღვარგარეთ სწავლის დასასრულებლათ და სოციალიზმის საბუთიანათ შესწავლისათვის. **) მათთვის არ არსებობდა, წაშლილი იყო ამ ხანებში ყოველი პრაქტიკული და პოლიტიკური ხასიათის საქმიანობა ორგანიზაციაში; იმათ დიდი ხნით გადაედოთ ან სულ არ ფიქრობდენ გადაედგათ რევოლიუციონური ნაბიჯები ორგანიზაციის მეოხებით იმ დროს, როცა ორგანიზაციის წევრები, მის გარშემო შემოკრებილი მუშები ერთობ რევოლიუციონურათ იყვნენ განწყობილნი, მთლიანათ ჩაფლულნი და მინდობილნი იყვნენ ორგანიზაციაში პრაქტიკულ და პოლიტიკური ხასიათის საქმიანობაზე.

ამ ნიადაგზე ორგანიზაციაში მომუშავე მუშებსა და მის გარშე-

*) 90 წლების პირველ ნახევარში ახლად ჩასახულ ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტში შედიოდენ მხოლოდ მუშები. შემდეგ გამხდარი პარტიის ინტელიგენტი—ლიდერები, წარმოდგენილი ე. წ. მესამე დასის (მარქსისტული ჯგუფის) სახით შეკავშირებული იყო ამ ორგანიზაციასთან იდეურათ და არა ორგანიზაციულათ. რამოდენიმე წლის შემდეგ იქნენ შიგ შეყვანილი პრაქტიკული მომუშავე ინტელიგენტები, მხოლოდ, მაგრამ ისიც უმნიშვნელო რიცხვი.

**) ვემყარები ამბ. ფ. მახარაძისა და ვახტ. ცაბაძის ცნობა—ნაამბობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო შემოკრებილ მარქსისტ ინტელიგენტებს შორის იყო უკმაყოფილება, უთანხმოება, ჩუმი შეუმჩნეველი ბრძოლაც.

უკმაყოფილო მუშებში ხშირად გაისმოდა საყვედურის ხმები, იყო ლაპარაკი პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ინტელიგენტებთან შეუთანხმებლობაზე; ისინი შესჩიოდენ ერთმანეთს იმათი საზღვარგარეთ წასვლის უაზრობაზე, მიზან შეუწონლობაზე და გამოსთქვამდენ ეჭვს, საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლათ გამგზავრებულ მარქსისტ-ინტელიგენტების მარქსისტათვე უკან დაბრუნების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციაში ჩაბმულ მუშებს შორის საგრძნობი გამხდარიყო თეორეტიკოსების არ ყოლა,—ინტელიგენტ-მარქსისტული ძალების სიცოტავე, ორგანიზაციული მუშაობა მაინც არ ფერხდებოდა; ორგანიზაცია მაგრდებოდა, მკიცდებოდა, რევოლიუციონური მუშაობა ვითარდებოდა. დაყრდნობოდენ რა ისინი საკუთარ ძალებზე ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობისათვის, პირიქით მეტი სიცოცხლე გამოეჩინათ, მეტი შინაარსი მიეცათ მისთვის. მოწინავე, რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში გათვითცნობიერებული, მარქსიზმის და მისი პოლიტიკური ეკონომის ასე თუ ისე მცოდნე მუშები, როგორც იყვნენ: ზაქრო ჩოდრიშვილი, არჩილ არავიაშვილი, ვასო ცაბაძე და სხვები, რევოლიუციონურ მუშათა **წრეებში** კითხულობდენ რეფერატებს მარქსიზმზე, რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის შესახებ; კითხულობდენ არა-ლეგალურ რევოლიუციონურ ლიტერატურას, ეწეოდენ სისტემატიურ მაცადინეობას მათთან და ამით წვრთვნიდენ, ამზადებდენ მუშებს რევოლიუციონერებათ, მონარქიულისა და კაპიტალისტური წესწყობილების დაუნდობელ მებრძოლებათ. მუშაობის ასეთი ინტენსივობით მათ შესძლეს დაეძრათ პასიურ, გაყინულ მუშაობა-თანაგრძნობის წერტილიდან ირგველივ შემოკრებილი, მუშებთან უფრო ახლო მდგომი მარქსისტ-ინტელიგენტების უფრო თავდადებული, რევოლიუციონური იდეით გატაცებული ნაწილი, მაგალითად: ფ. მახარაძე, ლადო კეცხოველი, რაჟდენ კალაძე*) სეგერიან ჯუღელი, ს. ჯიბლაძე და სხვები.

ხსენებულმა ინტელიგენციამ ეგრეთ წოდებულ „მესამე დასიდან" გარდა ზოგიერთების გამოკლებით, მიუხედავათ მუშების საწინააღმდეო სულიერი განწყობილებისა, მაინც შესძლეს თავიანთ შორის საუკეთესოების გაგზავნა საზღვარგარეთ; ასეთები იყვნენ: ნოე ჟორდანია, ლადო დარჩიაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვები.

ეს იყო მარქსისტული ჩანასახების მუშაობის პირველი პერიოდი. ორგანიზაციის მუშაობის მეორე პერიოდს შეიცავს რუსეთის

*) მიზა ცხაკაია ასეთი პრაქტიკული მუშაობის შედეგით უკვე გადასახლებული იყო საქართველოსა და კავკასიიდან—ამიერ კავკასიის საზღვრებიდან.

8 საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაფუძველის ჩაყრა 90 წლების მეორე ნახევრის მიწურულში (1898 წ.), როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ნოე ჟორდანია ადგილობრივათ მყოფ მარქსისტ-ინტელიგენტების დახმარება—ხელის შეწყობით იწყებს სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოს,—ყოველ კვირეულ ჟურნალ „კვალის" გამოცემას.

ჟურნალი „კვალი" ამ დროს ერთად ერთი ლეგალური მარქსისტული ორგანო იყო, რომლის უმთავრეს ხელმძღვანელ და რედაქტორ ნოე ჟორდანიას ხელმოწერილი მეთაური წერილები მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის ნაციონალისტურ გაზეთ „ივერიის" წინააღმდეგ მხოლოდ; ნოე ჟორდანია თავის ჟურნალ „კვალში" მარქსისტული მოძღვრებით გალესილ იარაღს სცვეთდა, ბლაგვავდა მარტო და მხოლოდ ქართველ ნაციონალისტებთან იდეურ ბრძოლაში; ამის გარეშე მას და მის ჟურნალ „კვალს" არ აინტერესებდა თითქო რა; ჟურნალი „კვალი" და მისი სულის ჩამდგმელი ნოე ჟორდანია რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან მოვალეობას თითქო ვერ ხედავდა, ან არ უნდოდა დაენახა.

არც ერთი წერილი მუშათა საკითხზე, პროლეტარიატის დღიურ ჰირ-ვარამზე ჟურნალ „კვალში" არ მოიპოვებოდა. ჟურნალი „კვალი" მომქმედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს პილიტიკურ და ტაქტიკურ კითხვებში არ ჰმატებდა, არ აძლევდა არაფერს. არა-ლეგალური ფურცლები, არა-ლეგალური გაზეთი და ლიტერატურული გამოცემები, სადაც მუშების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება იქნებოდა გაშუქებული, კაპიტალით დაჩაგრული, მჭონებელ კლასისგან გაყვლეფილ მუშების ჰირვარამი იქნებოდა მოთხრობილი, სადაც რევოლიუციონური მუშაობის გაღრმავებაზე და რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმაზე იქნებოდა მითითებული,—მაინც ისევ საჭირო და აუცილებელი ხდებოდა. ჟურნალ „კვალსა" და მისი იდეურ ხელმძღვანელის პროგრამაში არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი,—ეკონომიურ, პოლიტიკურ და ტაქტიკურ ხასიათის,—კითხვების ჟურნალის ფურცლებზე გადმოღება და თვით მუშებისვე ჩარევით გადაჭრა არ შედიოდა. ჟურნალ „კვალის" ხელმძღვანელმა **ნოე ჟორდანიამ** ასე შეაფასა „რევოლიუციონური" ძალები საქართველოში: ქართველი ერი უკანასკნელ 10-15 წლის განმავლობაში შედგა განვითარების ახალ გზაზე; ეს გზა ითრევს ქართველებს თანამედროვე მოქალაქეობაში; მოქალაქეობაზე არის დამყარებული დღევანდელი ცხოვრება. გაქალაქებული, გაკულტუროსნებული საქართველო თავდებია ჩვენი მერმისის. თანამედროვე ცხოვრებამ ქართველობა ორ ნაწილათ დაჰყო; ერთია მოქალაქეობის, გაკულტუროსნების გზაზე შემდგარი,—ე. ი. სწავლა-განათლება მიღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტელიგენტები, აღებ-მიცემის მცოდნე ვაჭრები, მსხვილი და წვრილი ხელოსნები და შავი მუშები (პროლეტარულ კლასზე, ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ მრავალ-რიცხოვან მუშებზე არაფერს არ ამბობს, მას არც იგონებს. **ხ. თ.**), რომლებიც თავიანთი შრომით და ჭკუა-გონებით ირჩენენ თავს; მეორეა ჩამორჩენილნი, ფეოდალური ცხოვრების გავლენისაგან ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელნი, აზარმაცული, პატრიარქალური ბნელი ცხოვრების მიმდევარნი. პირველნი, ეს ახალი საზოგადოებაა, ახალი ხალხია. პრესა, ლიტერატურა *) და „მწერლობაც მათი მიდრეკილების გამომხატველი უნდა იყოს“-ო, ასკვნის ნოე ჟორდანია. აქედან ცხადია უკვე თუ სად, საზოგადოების რა ელემენტებში ხედავს ნოე ჟორდანია „რევოლიუციის“ მამოძრავებელ, ანუ—მის ფრთხილ, არა-რევოლიუციონურ ენაზე რომ ვთქვათ,—ქვეყნის განმანახლებელ, პროგრესისაკენ მავალ ძალებს და რაში უნდა გამოიხატოს აქ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვალი-საქმიანობა. აქ უკვე სჩანს აშკარათ, თუ რამდენათ ახლო იდგა ნოე ჟორდანია თავისი სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „კვალით“ საქართველოს მუშათა კლასთან და მის პროლეტარულ, რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან. ნოე ჟორდანიასთვის ამ ჟამად არ არსებობდა მუშათა კლასი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო დამყარება და „ქვეყნის განახლებისათვის“ რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმა. და იგი ამ „განახლებისათვის“ არც სცნობდა **რევოლიუციონერობას**; „ქვეყნის განახლებისათვის“ მას თითქო სრულებითაც უარეყო ბრძოლის რევოლიუციონური მეთოდები და მიელო არა რევოლიუციონური, არამედ **ევოლიუციონური ბრძოლის მეთოდები**. ეს კი იყო რევოლიუციონურ პროლეტარიატის ენაზე **ოპორტიუნიზმი**,—მუშათა კლასის რევოლიუციონურობის, მშრომელ კლასის წარსამატებლათ რევოლიუციონური ნაბიჯების ზედმეტათ მთელელი და სხვა. ეს ყალბი მარქსისტულ-რევოლიუციონური პოზიცია ნოე ჟორდანიასი, გაუსწორებელი, რევოლიუციონურ მოძრაობისათვის დიდი ვნების მომტანი ნაკლი ჟურნალ „კვალისა“არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, არ დაენახა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმულ ტფილისის პროლეტარიატს, ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის სახით, და აი ისინი კიდევაც აცხადებდენ უკმაყოფილებას ჟურნალ „კვალისადმი“ და არ სთვლიდენ მას თავიანთ ორგანოთ, **მუშათა გაზეთათ** ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, შედგენილი თავისი დიდი უმეტესობით ფაბრიკა-ქარხნებსა და მსხვილ სახელოსნოებში ჩაბმულ მრეწველი მუშებით, რომლებშიც ოპორტიუნისტული ხასია-

*) ნ. ჟორდანიას წიგნად—„ქართული პრესა“-დან ვიღებ აზრს ჩემი საკუთარ სიტყვებით, რომ ეფერო გასაგებ ენაზე იყოს ავტორის სიტყვები.

თის,—„ეკონომიზმის“ მსგავსი რამ ფეხს ვერ იკიდებდა, ადგილს ვერ პოულობდა და იყო მუდამ **პოლიტიკური, რევოლიუციონური,** სოციალ-დემოკრატიულ ფირმის ქვეშ გამოსულ ჟურნალ „კვალის“ შესახებ ასე აყენებდა კითხვას *): 1) არის თუ არა საერთოდ ჟურნალი „კვალი“ მუშათა მოძრაობის ორგანო, 2) შეუძლია თუ არა მას ლეგალურათ მუშათა საკითხი გაარკვიოს და 3) შეუძლია მას იყოს პირდაპირი რევოლიუციონური ბრძოლის ორგანო თუ არა?

„კომიტეტი ამაზე ასე უპასუხებდა: 1) საერთოდ ჟურნალი „კვალი“ შეიძლება მუშათა მოძრაობის თეორეტიულ ორგანოთ ჩაითვალოს, მაგრამ 2) ის ვერ შესძლებს, რაკი ლეგალური ორგანოა, მუშათა საკითხი ჯეროვნათ გაარკვიოს და 3) მით უფრო ვერ შესძლებს მუშათა რევოლიუციონურ ორგანოთ გახდეს“. რეზოლიუცია კომიტეტის მიერ გამოტანილი ერთობ კომპრომისული იყო და ნაკლებათ გამოხატავდა კომიტეტის წევრების ნამდვილ შეხედულებას, მათ სულიერ განწყობილებას ჟურნალ „კვალისადმი“. არ მოეპოვებოდათ რა ჯერ-ჯერობით სხვა ბეჭდვითი ორგანო მათ, ისინი იჭერდენ თავს,—ოფიციალურად გამოსულიყვნენ ჟურნალის წინააღმდეგ და მკაცრ ფორმებში გამოეხატათ შეხედულება მაზე. ტფილისის კომიტეტის წევრი, ინტელიგენტი სილიბისტრო ჯიბლაძე ამ კომპრომისულ რეზოლიუციის წინააღმდეგიც იყო. იგი ასეთ შეხედულებას მეტად გავრცელებულ ლეგალურ მარქსისტულ ორგანოზე—„კვალზე“ ვერ ურიგდებოდა. „მას უკვალოთ“ და **უყორდანიოთ** სოციალისტური მოძრაობა ჩვენში ვერ წარმოედგინა.—ამბობს თავის ისტორიულ წერილში—„მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია“-ში იმ დროინდელ ტფილისის კომიტეტის წევრი ამხ. რაჟდენ კალაძე.—მეორე უკიდურესობას მაშინ ჩვენ შორის,—განაგრძობს ქვევით იგი, **ლადო კეცხოველი** წარმოადგენდა; მისი აზრით სულ არ იყო საჭირო „კვალი“ და თვითონ ნოე ჟორდანიას მწერლობაც მუშათა მოძრაობისათვის „არაფერი არ იყო“. ის ფანატიკური მომხრე იყო არალეგალური მუშათა მწერლობის“.

„ . . . კვალის გარშემო შემოკრებილ ლეგალისტ-მარქსისტ-ინტელიგენტებსა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჩაბმულ რევოლიუციონურ მუშებს შორის ასეთი უთანხმოება, დავა, ჩუმი შეუმჩნეველი ტაქტიკური და პრინციპიალური დაპირდაპირება არ ეპარებოდათ „კვალის“ ხელმძღვანელ ნოე ჟორდანიას და ორგანიზაციაში მომუშავე ჟორდანიას მათაყვანებელ სილიბისტრო ჯიბლაძეს. ისინი

*) აქ ვეძყარები იმდროინდელი ტფილისის კომიტეტის წევრის, ძველ რევოლიუციონერ-კომუნისტის, ამხ. რ. კალაძის ცნობებს, მოყვანილს ამ ჟურნალის მე-8 №-ში, მოთავსებულ ისტორიულ წერილში—„მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია“, სადაც ვკითხულობთ სიტყვა-სიტყვით (გვერდი 82).

საბჭოთა საქართველოს ცენტრალური პარლამენტის არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავდენ ყოველივე ამას; მას ვერ ხედებოდენ და ვერ ითვალისწინებდენ მის საბედისწერო შედეგს ორგანიზაციაში ჩაბმული, რევოლიუციონური საქმეებით დატვირთული და მისით გატაცებული გულუბრყვილო მუშები. ისინი (მარქსისტ-ინტელიგენტები) უწევდენ რა ანგარიშს ამ უთანხმოების მნიშვნელობას შემდეგისთვის, აღარ აყოვნებდენ აქ და სვამდენ თავიანთ წერტილს. „წერტილის" დასმის შედეგი კი ის გახდა მომავალში, რომ ნოე ჟორდანიას გავლენის ქვეშ მოქცეულ ტფილისის კომიტეტის წევრ—სილიბისტრო ჯიბლაძის, სევერიან ჯუღელისა და შატილოვის მეთხებით კომიტეტის შემადგენლობა გაივსო ჟორდანიას მომხრე-მათაყვანებელ მარქსისტ-ინტელიგენტებით.—ეს იყო 1900-1901 წლეებში, როცა რევოლიუციონური მოძრაობა, რევოლიუციონური დუღილი რუსეთში, კავკასიაში, ამიერ კავკასიაში და განსაკუთრებით—კი ჩვენში—საქართველოში სწრაფათ ვითარდებოდა, ძლიერდებოდა და იპყრობდა ქალაქებთან ერთად სოფლებსაც.

ამ რიგად შექმნილი ახალი პირობები ტფილისის კომიტეტში ორგანიზაციონური მუშაობის პროცესში შენიშნული იქნა მუშებიდანაც და ამან კიდევ უფრო გაამწვავა დამოკიდებულება კომიტეტის წევრ ინტელიგენტ-მარქსისტებსა და მუშებს შორის.

ორგანიზაციის ნაბიჯებს, მის მუშაობას შემომქმედი რევოლიუციონური ხასიათი ეკარგებოდა, გამტაცი რევოლიუციონური სული ერთმეოდა.

...რევოლიუციონურათ განწყობილი მუშების რიცხვი კომიტეტში მცირე იყო, სჭარბობდა ეგრეთ წოდებული „კვალისტი" ინტელიგენტ-მარქსისტების რიცხვი და აქ ეხლა ისინი (კომიტეტის წევრი მუშები) ჩვეულებრივ ვეღარ ახდენდენ გავლენას რევოლიუციონურ მოძრაობის სასარგებლო პოლიტიკურ და ტაქტიკურ კითხვების გადაწყვეტის დროს.

კომიტეტის წევრ მუშებს და მათ გარშემო შემოკრებილ სოციალ-დემოკრატიული წრეების წევრ მუშებს აღელვებდათ კიდევ ის გარემოება, რომ წინათ,—საერთოდ მიღებულ ნორმით, კომიტეტში შემოდიოდენ მუშათა წრეების მიერ წამოყენებული მოწინავე პირები (ფართო არჩევნები პირველ ხანებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული სოციალ-დემოკრატიული წრეები, კონსპირატიული მიზნით არ ხდებოდა), ხოლო ეხლა კი ყველა ეს პრინციპი გათელილიყო ფეხქვეშ „კვალის" გარშემო შემოკრებილ ინტელიგენტ-მარქსისტების მიერ; ისინი კომიტეტის წევრებს მუშათა წრეების დაუკითხავათ, საკუთარი გაპირებისა და შეხედულებისამებრ ნიშნავდენ თავიანთივე წრიდან, და თუ საჭიროთ დაინახავდენ, მუშათა წრეებიდანაც თითონვე წამოაყენებდენ ხოლმე მუშებს კომიტეტის წევრებათ.

ამ დროის მომსწრე, მარქსისტ-ინტელიგენტებთან ახლო მდგომი და მერმინდელი იდეური თანამოაზრე მათი **ს. ტ. არკომედი** თავის ისტორიულ წიგნაკში, — „მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში“ ტფილისის კომიტეტის ამ ხანის საქმიანობას ასე აგვიწერს: „ინტელიგენტ-მარქსისტების წრე კომიტეტის წევრებათ ირჩევდა, ანუ უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, ნიშნავდა თავიანთ შორისვე გამონახულ შესაფერ პირებს. კომიტეტის შემადგენლობა იყო განსაკუთრებით „ინტელიგენტური“. ყოველიე დადგენილება, გარდაწყვეტილება, ან ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაედგა კომიტეტს **ეცნობებოდა** (კურსივი ჩვენია **ს. თ.**) მუშებს; კომიტეტი ანგარიშს უწევდა უფრო მოწინავე მუშების აზრს და სულიერ განწყობილებას; მაგრამ უფრო ხშირ შემთხვევაში, მეტად საჭირო რთულ კითხვების გადაწყვეტის დროს მუშებს არც კი იწვევდენ, მუშები არ შეყავდათ ხელმძღვანელ ცენტრში, — უშვალოთ. მათი მონაწილეობის მიუღებლათ გამოჰქონდათ დადგენილება. მუშები ასრულებდენ უმთავრესად პრაქტიკულ სამუშაოს, იმათ აკისრებდენ საქმის ტეხნიკურ მხარეს მხოლოთ. ამ სახით ასე თუ ისე მომზადებული, ორგანიზაციასა და კომიტეტთან ახლო მდგომი შეგნებული მუშები წარმოადგენდენ მხოლოთ „დამატებას“ „კუდს“ უკანასკნელისას. აუხსნელი, გაუგებარი იყო ზოგიერთ ამხანაგ-ინტელიგენტების მედგარი, დაჟინებითი ტენდენცია, — მოესპოთ მუშებისთვის შესაძლებლობა კომიტეტის შემადგენლობაში მონაწილეობის მიღებისა. თქვეხა ფიქრობთ, რომ ისინი ვერ ჰპოულობდენ ამისათვის შესაფერ შეგნებულ მუშებს და კონსპირაციის შენახვის მიზნით არ უშვებდენ მათ ადგილობრივ ცენტრალურ ორგანოში მონაწილეობის მისაღებათ? — იძლევა კითხვას **არკომედი** და თითონვე უპასუხებს — სრულებითაც არა! **არკომედს** მოაყავს აქ ფაქტები. მაგალითები 90 წლის მეორე ნახევრიდან, როცა ჩაისახა და ფითარდებოდა მარქსისტული ორგანიზაცია, კომიტეტი — 1900 წლამდე, ამ ორგანიზაციებში, ამ კომიტეტების სათავეში, როგორი შეგნებული, მომზადებული პრაქტიკითა და რევოლიუციონური სინდისიერებით რამდენათ იმ ინტელიგენტებზე უფრო მაღლა მდგომი მუშები იყვნენ ჩაბმულნი ორგანიზაციაში მაშინ, რომლებითაც ეხლა გავსებულიყო ტფილისის კომიტეტიო. **არკომედს** მოჰყავს ქვეყით კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი: ...„გადაწყდა, რომ კომიტეტში შემოეყვანათ ყველა ეროვნებიდან თითო პირი; მაგალითად: ერთი ქართველი, ერთი სომეხი და ერთიც რუსი. შემოსული რუსი და სომეხი ორივენი მუშები იყვნენ, ხოლო ქართველი კი ინტელიგენტი; და ეს იმ დროს, როცა ქართველ მუშებში მრავალჯერ უფრო მეტი მომზადებული პირები მოიპოვებოდენ. ამ ფაქტის მიწერა უბრალო შემთხვევაზე არც თუ მაინცა და მაინც სწორი, სიმართლესთან ახლო

იქნება“—გაკვირვებით ასკვნის არკომედი. მას უკვირს ეს, არ ძალუძ ტურებს მის სისწორეს, ეჭვები შეაქვს ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა გულწრფელობაში პარტიული მუშაობის ამ პერიოდის განვლის შემდეგ: ხოლო ორგანიზაციებში ჩაბმულ და მის გარშემო შემოკრებილ გულწრფელ რევოლიუციონურ მუშებს არ შეეძლო დაენახათ, ეგრძნოთ ეს მაშინ. ეს „საიდუმლოება“ იცოდა, ამ ნაბიჯების შედეგი გათვალისწინებული და წარმოდგენილი ჰქონდა მაშინ, ჯერ კიდევ უფორმო, ჩამოუყალიბებელ, გაუბედავ, მაგრამ სულით უკიდურეს ოპორტიუნისტ **ნოე ჟორდანიას** და ბუნებით რევოლიუციონერს, უშიშარ რევოლიუციონურ მუშაკს მაგრამ **ჟორდანიას** გავლენის ქვეშ მოქცეულ, მის მარჯვენა ხელათ გამხდარ **სილიბისტრო ჯიბლაძეს**...

არკომედს უკვირს, გაუგებრათ მიაჩნია ის გარემოება, რომ მარქსისტი ინტელიგენტები ერეკებოდენ მუშებს კომიტეტიდან, რომ მათ არ შეჰყავდათ მუშები კომიტეტში; **არკომედი** ვერ ხედავდა მაშინ, არ აძლევდა თავისი ყალბი იდეური და პოლიტიკური ხაზი ნებას მას და მის თანამოაზრეებს დაენახათ შემდეგ მაინც, რომ მათ („კვალისტ“ ინტელიგენტებს) კომიტეტში შემოჰყავდათ მარტო ინტელიგენტები და ერეკებოდენ მუშებს იმიტომ, რომ მუშებს შორის, „კვალის“ მომხრე ოპორტიუნისტული იდეით გაჟღენთილ მუშებს ვერ ჰპოულობდენ; ხოლო „კვალის“ გარშემო შემოკრებილ მარქსისტ-ინტელიგენტების ჯგუფს შორის ასეთი არა-რევოლიუციონურათ განწყობილ ოპორტიუნისტული ელემენტები ბლომათ მოიპოვებოდენ; **არკომედმა** და მისმა თანამოაზრეებმა ვერ შესძლეს დანახვა შემდეგაც, რომ ამას ისინი სჩადიოდენ შეგნებულათ, სრულებით გარკვეულათ პრინციპიალურისა და პოლიტიკურის მოსაზრებით. **ჟორდანია ჯიბლაძეს** უნდოდათ კომიტეტი გაეცსოთ „კვალის“ მომხრე ოპორტიუნისტული ელემენტებით იმიტომ, რომ მარქსისტული მიმართულების ლეგალურ გაზეთ „კვალის“ გამოცემა არ შეფერხებულიყო, რომ იგი გამხდარიყო, პირიქით, კომიტეტის იდეურ ორგანოთ, რომ მას დარქმეოდა „მუშათა გაზეთი“...

და ამ დროიდან მართლაც არავითარი არა-ლეგალური ორგანო, რომელიც უფრო ნათლათ და გარკვევით გააშუქებდა მუშათა საკითხს, რევოლიუციონური მარქსიზმის გზას, მათ არა **ჰქონიათ**; არც ყოფილა კომიტეტში დასმული კითხვა ოდესმე მის საჭიროებაზე, მის გამოცემაზე, კმაყოფილდებოდენ მხოლოთ „კვალით“.

ამ „ინტელიგენტური“ კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობა, მუშაობის არა „რევოლიუციური მეთოდი შემდეგ და შემდეგ გავლენას ახდენდა მუშებზე: „მუშათა ორგანიზაციათ“ წოდებული ინტელიგენტური კომიტეტი თან და თან იქცევდა თავის გავლენის ქვეშ

11 საქართველო ბიბლიოთეკა

ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ რევოლიუციონური წარსულით ახალგაზდა მუშებს და ამით კომიტეტის შემადგენლობაშიც უკვე ჩნდებოდენ „კვალისტი“ **ოპორტიუნისტი** მუშები... ძველი, გამოცდილი, რევოლიუციონური სულით აღსავსე შეგნებული მუშები, ბევრი ითქვიფებოდა მათში, დროებით ურიგდებოდა ამ მდგომარეობას ან სულ გადაჰქონდა თავისი მუშაობის სარბიელი სხვაგან, სხვა ქალაქებში. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დაუდეგარი პრაქტიკი რევოლიუციონერი ლადო—კეცხოველი, აბელა ენუქიძე, ლადო დუმბაძე, სილვა თოდრია და სხვები ბაქოში გადასახლდენ და იქ, მრავალრიცხოვან ბაქოს პროლეტარიატში გააჩაღეს მარქსისტულ-რევოლიუციონური მუშაობა, შექმნეს რა არა-ლეგალური ბეჭდვითი ორგანო მათ მიერ მოწყობილ არა-ლეგალურ სტამბის საშუალებით. აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი: ლადო კეცხოველისა და მისი ბაქოელი ამხანაგების ინიციატივით იქ ეწყობოდა გამოცემა არა-ლეგალურ მარქსისტულ ორგანოსი **„ბრძოლისა“** ქართულ ენაზე. გამოცემისათვის საჭირო გახდა მატერიალური დახმარება. ლადო კეცხოველმა ამისათვის მიმართა ტფილისის კომიტეტს, როგორც უფრო ძლიერს და ნივთიერათ მდიდარს სხვებთან შედარებით. ტფილისის კომიტეტმა, გავსებულმა „კვალისტ“ ინტელიგენტებით, რომელსაც ჰქონდა ლეგალური ორგანო გაზეთი „კვალი“ და პრინციპიალურათ წინააღმდეგი იყო არა-ლეგალური ბეჭდვითი ორგანოსი ბაქოს ორგანიზაციას, ლადო კეცხოველის სახით, უარი უთხრა დახმარებაზე; ემყარებოდა თითქო რა სხვა და სხვა ტაქტიკურ და პოლიტიკურ მოსაზრებებს, ტფილისის კომიტეტმა დაუშვებლათ მიიჩნია ლეგალურ მარქსისტულ გაზეთ „კვალის“ გვერდით ბაქოში დაარსებულიყო არა-ლეგალური, მარქსისტული, მუშათა რევოლიუციონური ორგანო. ამ ამბავმა ისე კი შეაწუხა „კვალისტების“ კომიტეტი, რომ ამის გამო მან აფრინა ბაქოში მუშებისაგან *) შემდგარი დელეგაცია, რომლის მიზანი იყო, როგორმე დაერწმუნებია ბაქოს ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ლადო კეცხოველი არა-ლეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ „ზედმეტობაში“. ამის შესახებ მოუსმინოთ ამ ამბის მომსწრე და აქტიურ მონაწილე აბელა ენუქიძეს **).

*) „პოლიტიკანობაში“ დახელოვნებულ „კვალისტ“ ინტელიგენტებს მუშები მხოლოთ ასეთი შემთხვევებისთვის უნდოდათ... მათ იცოდენ ვისთან ჰქონდათ საქმე: მათ საქმე ჰქონდათ შეურიგებელ რევოლიუციონერ ლადო კეცხოველთან, რომელიც მთლიანათ ემყარებოდა მუშებს, მათ რევოლიუციონურ ტემპერამენტს და არა წამდა არაფერი ოპორტიუნისტ თეორეტიკ ინტელიგენტების, როგორც იყო ნოე ჟორდანია და მისი ამყოლები.

**) ბაქოს დიდი ისტორიული არა-ლეგალური სტამბის ერთი თვალსაჩინო მუშაკი იატაკქვეშ მუშაობით ცნობილი რევოლიუციონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იმ დროს, „ისკრის“ ზეგავლენით (ვლებულობდით მას) ჩვენ განვიზრახეთ გამოცემა არა-ლეგალური ორგანოსი ქართულ ენაზე და გავმართეთ მოლაპარაკება ტფილისის ორგანიზაციასთან, რომელშიც მაშინ და შემდეგაც ბატონობდენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ნოე ჟორდანია, ჯიბლაძე და სხვები. ჟორდანია მუშაობდა მაშინ ტფილისში და სცემდა ლეგალურ გაზეთს „კვალს,“ რომელიც სარგებლობდა საქართველოში დიდი გავლენით. როდესაც ჩვენ მოგვიწია გაზეთ „კვალის“ „ისკრასთან“ შედარება, მაშინვე გახდა ჩვენთვის ცხადი, რომ დადგა უკვე დრო, როცა ლეგალურ პრესაში აღარ შეიძლებოდა ჩვენი ლოზუნგების დაცვა. თანახმათ „ისკრისა“ და ამხ. გალპერინისა, როგორც წარმომადგენელის „ისკრისა“, გადაწყდა არა-ლეგალური გაზეთის გამოცემა. ამ გაზეთს დავარქვით „ბრძოლა“. ტფილისის ორგანიზაცია, ჟორდანიასი და „კვალის“ ზოგიერთი ლიტერატორების სახით არა-ლეგალური გაზეთის გამოცემას შეხვდენ ერთობ უარყოფით. ისინი ამბობდენ, რომ ჩვენ მხოლოდ დავკარგავთ გამოსაცემ საშვალებას და შეიძლება ხალხსაც ამ საქმეზე. რაც შეეხება ქართველი მასის სამსახურს, ლეგალურ „კვალის“ საშუალებით ეს სამსახური სრულებით მიღწეულია. ამ მიმართულებით სწარმოებდა მთელი ბრძოლა ბაქოსა და ტფილისისა. საქმე მივიდა თითქმის კონფერენციამდის, რომლის მიზანი იყო მოეხდინა გავლენა ამხ. ლადო კეცხოველზე: უკანასკნელი დაჟინებით თხოულობდა არა-ლეგალური ორგანოს შექმნას, ამბობდა რა „ლეგალური მარქსიზმი რყვნის მასებს, ის არ ასალკდევებს მათ ბრძოლაში, რადგან მათ ეძლევათ გაქექილი გამოფიტული მარქსიზმი“. აი ამ მოსაზრებით იგი დაჟინებით თხოულობდა არა-ლეგალური ორგანოს გამოცემას. ლადო კეცხოველზე გავლენის მოხდენის მიზნით მოკრებილი იქნა მუშები უმთავრესი სამრეწველო დაწესებულებებიდან ტფილისში, რომლებიც გამოგზავნეს ბაქოში. მე კარგათ მახსოვს ჩვენი შეხვედრა ამ მუშებთან, რომლებთანაც ჩვენ გაცნობილი ვიყავით ჯერ კიდევ 1896-97 წლებში ტფილისში მარქსისტული წრეების საშვალებით. ეს მუშები დაბეჯითებით გვარწმუნებდენ ჩვენ არ დაგვეხარჯა არც საშვალება და არც ძალები არა-ლეგალური გაზეთის გამოცემისათვის ქართულ ენაზე, არამედ გვირჩევდნენ მიგვეპყრო მთელი ჩვენი ყურადღება იქეთკენ, რომ გამოცემულიყო პატარა ბროშურები, ფურცლები და ამით განესაზღვრათ თავიანთი მუშაობა. „პოლიტიკური ორგანო—გვეუბნებოდენ ისინი,—ჩვენ არ გვესაჭიროება, რადგანაც ჩვენ გვაქვს ისეთი ორგანო, როგორიც არის „კვალი“. სხვა და სხვა მოყვანილ მაგალითებით „ისკრა“—ში ამოწერილ ზოგიერთ წერილებიდან ლადო კეცხოველმა შესძლო დაერწმუნებია ეს მუშები, რომ ასეთი ორგანო მართლაც აუცილებელი საჭიროა. მთე-

12 საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დღის დავის შემდეგ ისინი დაბოლოს დარწმუნდენ, რომ არა-ლეგალური ორგანო აუცილებელი სიჭიროა და აღგვითქვეს კიდეც როგორც კი მივლენ ტფილისში შეეცდებიან მთელის არსებით დაიცვან, რომ ტფილისის ორგანიზაციამ,—ამ მომენტში საკმაოდ მდიდარმა საშუალებით და ძალებით,—ხელი შეგვიწყოს,დაგვეხმაროს ჩვენ...

„როდესაც ტფილისის ორგანიზაცია დათანხმდა დახმარება გაეწია თავის საშუალებით არა-ლეგალურ ორგანოს გამოცემისათვის ბაქოში—განაგრძობს ქვევით ამბ. ენუქიძე—დაიბადა მეორე სადაო კითხვა ჩვენსა და ტფილისის ორგანიზაციის შორის. ტფილისის ორგანიზაცია თხოულობდა, რომ გაზეთის რედაქცია ყოფილიყო ტფილისში, ხოლო ბაქოს წინადადება ეძლეოდა ტეხნიკურათ აესრულებია ყოველივე ის, რასაც ტფილისი გადასწყვეტდა. ასეთი წინადადება გადაჭრით უარყოფილი იქნა ამხ. კეცხოველისა და მთელი ჩვენი სარედაქციო ჯგუფის მიერ. რომ დაეყოლებიათ ამხ. კეცხოველი, ტფილისელებმა წარმოგზავნეს ბაქოში ერთი თავიანთ შორის გავლენიანი წევრი, პირადი მეგობარი ამხ. კეცხოველისა და სახელმწიფო სათათბიროს მომავალი წევრი—სევერიანე ჯუღელი; ხანგრძლივმა მოლაპარაკებამ ჯუღელს და ჩვენს ჯგუფ შუა სრულებით უშედეგოთ ჩაიარა; საქმე იქომამდის მივიდა, რომ კეცხოველმა ძლიერ მკაცრ ფორმებში გამოთქმული სიტყვებით უარყო ტფილისელების წამოყენებული ყველა პირობები და წინადადება მისცა ბოლოს ჯუღელს საჩქაროთ წასულიყო უკან და გადაეცა ტფილისის ამხანაგებისათვის, რომ იგი უარს ამბობს ყოველგვარ დახმარებაზე იმათგან, როგორიც არ უნდა იყოს იგი; და თუ ისინი მაინც შეეცდებიან თავისას და ასე ულტიმატიურათ დაგვისვამენ კითხვებს რედაქციის ადგილ-მდებარეობის შესახებ, უარს ვამბობთ ვიქონიოთ მათთან დამოკიდებულება, როგორიც არ უნდა იყოს. ჩვენი სარედაქციო ჯგუფი, ჰქონდა რა კავშირი „ისკრასთან“ გალპერინის შემწეობით, იცავდა იგიც ტფილისის ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელ არსებობას და ემორჩილებოდა მხოლოდ ძველს, პარტიის მეორე ყრილობამდე არსებულ „ისკრის“ დირექტივებს“.

ძველ რევოლიუციონერ აბელა ენუქიძის მოგონებიდან მოყვანილი ეს ვრცელი ამონაწერი საკმაოდ ხდის ფარდას ქართველ ინტელიგენტ-მარქსისტების ოპორტიუნისტულ მოღვაწეობას შორეულ წარსულში, —პარტიულ-რევოლიუციონური მუშაობის პირველ და მეორე პერიოდში. აბელა ენუქიძის მოთხრობიდან აქ ნათლად სჩანს თუ როგორ ღრმად იყო ქართველ ინტელიგენტ-მარქსისტების *) სულ-

*) ჩვენ აქ გამონაკლისზე არ ვლაპარაკობთ, როგორიც იყვნენ და არიან დღესაც ფ. მახარაძე, მიხა ცხაკაია, ლადო კეცხოველი, სოსო ჯუღაშვილი-სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დასადგურებული „ეკონომიზმის“ ოპორტიუნისტული ბაცილები და ედებოდა იგი ქართველ მუშებს. აბელ ენუქიძის მოგონებიდან ამოღებული ეს ეპიზოდი აშკარათ გვაჩვენებს იმას, თუ როგორი იყო ბრძოლა რევოლიუციონურათ განწყობილი, „პოლიტიკურ“ ხაზზე დამდგარ მუშებსა და არა-რევოლიუციონური სულის პატრონ ოპორტიუნისტ მარქსისტ-ინტელიგენტებს შუა.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ორგანიზაციებში ჩამბული ქართველი მარქსისტ-ინტელიგენტები, წარმოდგენილნი ეორდანია-ჯიბლაძის სახით, მზგავსათ რუსეთელ „ეკონომისტებისა“, წინაალმდეგი იყვნენ მუშების ყოველგვარ პოლიტიკურ რევოლიუციონურ გამოსვლა—ნაბიჯებისა: ორგანიზაციის მიერ აქეთკენ მიმართული მოქმედება მათის აზრით ენების მომტანი იყო მუშათა კლასისათვის და აქ მის წინაალმდეგ არავითარ საშუალებას არ ერიდებოდენ, არ ერიდებოდენ თვით ობიექტს სოციალ-დემოკრატიული პარტიისას,— მუშათა კლასს. რ. კალაძისა, არკომედისა და აბელა ენუქიძის მოთხრობა-ჩვენებით მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ სოციალური მდგომარეობით „პოლიტიკს“, ბუნებით რევოლიუციონერ ქართველ მუშებს, რომლებიც მუდამ წინ უსწრებდენ თავიანთ ლიდერ ინტელიგენტებს და მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ცდილობდენ ამოეცალათ რევოლიუციონური სული მუშებისათვის, პირიქით მუშები კოლექტიურათ აღებულნი ახდენდენ გავლენას ორგანიზაციებში მოკალათებულ ოპორტიუნისტ ქართველ ინტელიგენტებზე. სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ნაბიჯები საქართველოში უფრო რევოლიუციონური იყო, ვიდრე „ეკონომისტების“ ხაზის გამტარებელი ორგანიზაციებისა რუსეთში.

V

1901 წელს, რევოლიუციონურათ განწყობილ მუშების გაელენის ქვეშ მოქცეული ტფილისის კომიტეტი განსაკუთრებით ემზადებოდა მოახლოებულ 1—ლ მაისობის დემონსტრაციის მეოთხეჯერ ჩასატარებლათ.

ამ წელს, მეოთხეხელ წარსული წლის თარიღათ ჩატარებულ მაისობაზე მიღებულ გადაწყვეტილებისამებრ 1—ლ მაისობის დემონსტრაცია უნდა გამართულიყო ღიათ, საჯაროთ ტფილისის ცენტრალურ ქუჩებში გამოსვლით.

ამ წლის მაისობის დემონსტრაციას უნდა ეჩვენებინა პროლეტარიატის მტრებისათვის მტკიცე რევოლიუციონურ ნებაში გამოხა-

და სხვები. ესენი თავიდანვე აბლო იდგენ მუშებთან; მასწავლებლობდენ, წინ უძღოდენ მუშათა კლასს, მშრომელთა რევოლიუციონურ მოძრაობას და ასეთივე არიან უკვე მოხუცებულები დღესაც.

ტული შიშის მგვრელი ძალა, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მებრძოლი პროლეტარიატი მას კიდევ უფრო უნდა აელფრთოვანებია, წაეხალისებია, კიდევ უფრო მჭიდროთ და მრავალათ უნდა შემოეკრიბა მას თავის რევოლიუციონური ორგანიზაციის გარშემო მშრომელი რევოლიუციონური ელემენტები.

პოლიცია-ჟანდარმებმა, თავიანთი აგენტების შემწეობით იცოდენ რა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმულ მუშების განზრახვა საპირველმაისო გრანდიოზული დემონსტრაციის მოწყობის შესახებ, მათ წინ და წინ შეეცადენ, რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრების მასიური დაჭერით ეს განზრახვა დასაწყისშივე ჩაეკლათ. წინა დღეებში ჰქონდა ადგილი საყოველთაო დაჭერა-დაპატიმრებას; დაპატიმრებულთა რიცხვში მოხდენ: ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფრანჩესკი, გიგო წულუკიძე, გიორგი ყარაჯიანი, ბილანაშვილი, ასალო ვადაჩკორია, კალისტრატე გოგუა, კურნატოვსკი, დიმიტრი კალანდარიშვილი, ჩანტლაძე, მაისურაძე და მრავალი სხვები, მაგრამ მიუხედავათ ამისა განზრახული დემონსტრაცია მაინც არ ჩაიშალა. იგი გაიმართა ხალხით მუდამ სავსე ქალაქის ცენტრში—სალდათის ბაზარში.

რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული ტფილისის მუშები მოუთმენლათ ელოდენ ამ დღეს. ტფილისის კომიტეტს აღარ ძალუძდა შეეკავებია სადემონსტრაციოთ აღტყინებული მუშები. „მუშები ეხლა, თანახმად წარსული წლის გადაწყვეტილებისა, პირდაპირ გარბოდენ ქუჩებში. კომიტეტს უნდა გაეწია ანგარიში მუშების საერთო სულიერ განწყობილებისათვის და მიეღო ყოველივე ზომა და საშუალება, რომ ეს პოლიტიკური დემონსტრაცია, როგორც პირველი აშკარა რევოლიუციონური ექსპერიმენტი, მომხდარიყო დიდი წარმატებით, რომელიც, თქმა არ უნდა, წაახალისებდა მუშებს, ღრმა აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნებოდა მათთვის“—სწერს **არკომედი** თავის ისტორიულ წიგნში-„მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში“.

1901 წლის მაისობის დემონსტრაცია ტფილისის რევოლიუციონურმა მუშებმა ბრწყინვალედ, სამაგალითოთ ჩაატარეს. ამ დემონსტრაციამ გამოაფხიზლა, აალაპარაკა და მოძრაობაში მოიყვანა საქართველოსა და კავკასია-ამიერ კავკასიის ყველა მუშები ერთი მხრივ, ხოლო ჩააფიქრა, დაუკარგა სიმშვიდე და რევოლიუციონურ მუშებთან საბრძოლველათ დარაზმა მჭონებელი კლასი, მისი დამცველი პოლიცია-ჟანდარმერია.

„...16 აპრილს, ჩემს სახელოსნოში ტატიანოვის ქუჩაზე შეიკრიბენ ორგანიზაციიდან გამოყოფილი, მაისობის მომწყობი კომისია. „კომისიაში“ შედიოდენ: გიორგი თელია, მიხა ბოჭორიშვილი (ბოჭორი-

ძე), არაქელა ოქუაშვილი, ზაქარია ჩოდრიშვილი და მე. გადაწყვეტი იყო ორი კითხვა. 1—ელი,—დემონსტრაციის ადგილი და მარშრუტი, მეორე დემონსტრაციის ფორმა და ხასიათი. „კომისიამ“ გადასწყვიტა,—მოვგროვილიყავით ალექსანდროვის ბაღის კუთხეში ჯოხებით, ქვებით შეიარაღებული და აქედან აღმართული წითელი დროშით ხელში გაგვეარა სალდათის ბაზარი (კვირა დღე იყო და სალდათის ბაზრის გავლით ჩვენ შევსძლებდით ბაზარში მყოფ მრავალ ხალხის თან გაყოლებას), შემოგვეარა თამამშვევის ქარვასლისათვის, გავსულიყავით სასახლის ქუჩაზე და აქედან თავი ამოგვეყო დიდ და ფართო გოლოვნის (ეხლა რუსთაველის) პროსპექტზე. 17 აპრილს საღამოთი, უკანასკნელათ (მაისობას ვდღესასწაულობდით ევროპიული სტილით 18 აპრილს) შევიკრიბენით ნაძალადევში ზაქრო ჩოდრიშვილის ბინაზე დემონსტრაციის მომწყობი შემდეგი ამხანაგები: მიხა ბოჭორიშვილი, ძმანი ჩოდრიშვილები, არაქელა ოქუაშვილი, გიორგი ჩხეიძე და რამდენიმე სხვები. აქ ფიცი დავდევით ამხანაგებმა, რომ დილით ხვალ 18 აპრილს უეჭველათ გავსულიყავით დანიშნულ მოსაგროველ ადგილზე და თან გაგვეყოლებია რევოლიუციონურათ განწყობილი, წარმოებებში ჩაბმული მრავალი მუშები.

„დილით 18 აპრილს, შემუშავებულ გეგმის მიხედვით ჩვენ თავი მოვიყარეთ ხსენებულ პუნქტზე,—ალექსანდროვის ბაღთან სახელმწიფო ხაზინის გასწვრივ,ყოფლანოვისა და ვანქის ქუჩის კუთხეში. აქ სწრაფად შემოკრბენ მრავალი მუშები, მუშები ყველანი ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი. ჩვენ აქ ბრძოლის წითელი დროშა პირველად ავაფრიალეთ აშკარათ, მტრებისა და მოყვრების დასანახათ. ჩვენ აქ პირველათ დავანახვეთ და ვაგრძნობინეთ ჩვენი,—მუშების დარაზმული შიშის მგვრელი ძალა პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს—ბურჟუაზიას და მის დამცველ პოლიცია-ჟანდარმერიას. წითელი დროშა, „ჩოტკის“ ტარზე გვქონდა ჩამობმული, რომელიც ამართული ხელში ეჭირა არაქელა ოქუაშვილს და გ. თათანაშვილს... ჩვენ აქედან დავიძარით სალდათის ბაზრისაკენ; სალდათის ბაზართან მიახლოვებისას ჟანდარმებისა, პოლიციელებისა და კაზაკების ხროვამ მოგვისწრო და გაიმართა ბრძოლა, შეხლა-შემოხლა; წითელი დროშა გაშმაგებულ კაზაკებისა და მამაც ამხანაგების ხელიდან ხელში გადადიოდა; უკანასკნელნი არ ეშვებოდენ, არ ანებებდენ მას თავს: შეწყდა ბრძოლა დროშის გარშემო მაშინ, როცა იგი ნაკუწ-ნაკუწათ იქნა ქცეული პოლიცია-ჟანდარმებისაგან.

„დემონსტრაციიდან მრავალი მონაწილე ამხანაგები გალახულნი, ნაცემი დაბრუნდენ; ბევრნი კი დაჭერილნი იქნენ დემონსტრაციაზე, რომელნიც შემდეგ გადაასახლეს რუსეთის ცივ ადგილებში“.— ასე მოგვითხრობს მონაწილე, ძველი რევოლიუციონერი მიხა ჩოდრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი დემონსტრაციის ჩატარების ამბავს 1901 წელს, თავის ხელით ნაწერ მოგონებებში.

ამ ამბების მონაწილე **არკომედიც**, რომელიც 1901 წლის მაისობის დემონსტრაციის აღწერას ფართო ადგილს უთმობს თავის ბროშურაში,—მოგვითხრობს შემდეგს:

„22 აპრილს *) (ძველი სტილით) ტფილისში მომხდარ ამბებს მთელი კავკასიისათვის აქვს მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა: ამ დროიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლიუციონური მოძრაობა. ადგილობრივმა კომიტეტმა გადასწყვიტა გადაეხადა დღესასწაული 1-ელ მაისობისა ქალაქში მანიფესტაციის მოწყობით, ესევე უნდოდათ თვით მუშებსაც... და დაიწყო ყოველ დღეობით ჩხრეკა, დაპატიმრება. მთავრობამ 22 აპრილზე ერთი კვირით ადრე გაამწკრივა დრაგუნები და კაზაკები რკინის გზისა და ქალაქის ფაბრიკა- სახელოსნოების ირგვლივ, რომ ამით შიშის ზარი დაეცა. სადემონსტრაციოთ განწყობილ მუშებისათვის და უარი ეთქმევინებინა 1-ელ მაისის დღესაწაულის გადახდაზე. მაგრამ ვუშები არ შეშინდენ: მათ გადასწყვიტეს ედღესასწაულათ თავიანთი დღესაწაული—22 აპრილი (პირველი კვირა პირველ მაისის შემდეგ); მოსაგროვებელ პუნქტად იყო ქალაქის ცენტრი—სალდათის ბაზარი. აქედან დემონსტრანტებს უნდა გაეწიათ პუშკინის ქუჩით ერევნის მოედანზე, ხოლო შემდეგ სასახლის ქუჩით გოლოვნის პროსპექტისაკენ. დანიშნულ დროზე მოგროვილ მუშების რიცხვი აღწევდა 3,000 კაცამდის. სიგნალი მისცეს და წითელი მუშათა დროშა აფრიალდა ჰაერში. მასზე იყო მიკრული მარქსისა, ენგელსისა და ლასალის სურათები ქართულ, რუსულ და სომხურ წარწერებით". (ეს იყო წარსული წლის დროშა).

დროშის დანახვისთანავე გაისმა მჭუხარე ხმა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს რვა სათის მუშაობას".

ადმინისტრაციას წინ და წინ მიეღო ზომები; როგორც კი დაიძრა პროცესია, პროცესიის მონაწილეებს ყოველ მხრივ მოაწყდენ ჟანდარმები, მაძებრები, პოლიციელები და სალდათები, ისინი სცემდენ მანიფესტანტებს თოფის კონდახებით და ამოშიშვლებულ ხმლებით; მუშებს კი არაფერი თითქმის არ გააჩნდათ გარდა თვით დამცველი ძლიერი ხელებისა. შეუძლებელია აღწერა იმ აღმაშფოთებელ სურათისა, რომელსაც იძლეოდა მანიფესტანტების საერთო ცემა. საშინელ პანიკამ მოიცვა მთელი ქალაქი. ზოგიერთ ალაგას შეჩერდა ტრამვაი: მეეტლეები გადმოდიოდენ ეტლებიდან და მირბოდენ ცემა-

*) მიხა ჩოდრიშვილი 18 აპრილს იხსენიებს დემონსტრაციის დღედ. აქ შესაძლებელია ცდებოდეს დატებში, მაგრამ ოთხი დღით წინ თუ უკან დაყენება ისტორიისათვის დიდათ მნიშვნელოვანი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეპის ადგილას თავიანთ ძმა-მუშების დასახმარებლათ. სასოწარკვეთილი ბრძოლა გრძელდებოდა სამი მეოთხედი საათი; ამ ხნის განმავლობაში დაიღვარა მრავალი სისხლი, დაეცა მრავალი დაჭრილები. აი ეცემა დაჭრილი მუშა; იგი მთლათ სისხლშია ამოსვრილი... პოლიციელები იწყებენ მის ფეხით გათელვას, მაგრამ ის შეუწყვეტლათ განაგრძობს ყვირილს: „გაუმარჯოს სოციალიზმს, გაუმარჯოს რვა საათის მუშაობას". მეორე ადგილას ერთმა ქალმა (იქ იყო რამოდენიმე მანიფესტანტი ქალი). დაინახა რა მხეცური დარტყმა ერთი ბოქაულისაგან, გაშმაგებული ეცა მას, შემოახია მუხდირი და მუჭებით დაუწყო გლეჯა თმებს თავიდან; დროშის ამღმართველმა არაქელამ მას გამოსტაცა ცალი ხელით ამოშიშვლებული ხმალი, რომელიც მის თავთან იყო მოღერილი და გადაამტვრია ის მუახე. *) მუშა მამალაძემ, რომელმაც მიიღო სამი ჭრილობა, გაისროლა რამდენჯერმე რევოლვერი და დასჭრა ორი „წესიერების დამცველი" (გოროდოვოი), ბოქაული გედევანოვი მძიმეთ დაიჭრა. თვით პოლიცმეისტერ კოვალოვმა მიიღო რა ძლიერი გარტყმა ფეხებში, იძულებული გახდა ჩამხტარიყო ცხენიდან და ეტლში დამჯდარიყო; ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდენ კაზაკები, მათ მოჰყვა გუბერნატორიც. მანიფესტაცია გაფანტულ იქნა. ამის შემდეგ მთელ ტფილისში სამი დღის განმავლობაში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული.... ქვევით **არკომედს** მოჰყავს კიდევ ზოგი დამატებითი ცნობები ერთ მუშა მომთხრობელისაგან — „3 ათასამდის მუშა ხალხი, არეული სალდათებში, პოლიციელებში, ჟანდარმებში (ეს უკანასკნელნი გადაცმულნი იყვნენ) და მშვიდობიან მყიდველებში და გამყიდველებში, აღელვებული ელოდენ სიგნალს წითელი დროშით: ყველა დროშები იყო აქ, მაგრამ უმთავრესი დროშა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის წარმოშობის დღიდან ჩვენს კრებებზე ფრიალებდა, არ იყო; ხომ არაფერი მოხდა? აი უკვე მოიტანეს, იქ მახლობლათ მე მეჩვენება, რომ რაღაც შრიალებს... დიდებულათ და საშიშრათ აღიმართა წითელი დროშა მაღლა ხალხის თავზე, რომელიც გარკვევით, ნათლათ იძახოდა პოლიტიკურ თავისუფლებას, რვა საათის სამუშაო დღეს და შემდეგ მოუწოდებდა: „მუშებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"!

რა აღმაფრთოვანებელი, სადღესასწაულო წუთები იყო! ყველა მუშებმა ქუდები მოიხადეს, მდაბლათ თაყვანი სცეს და გაისმა ხმები: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას"! აქ აღარ დაუცდია პოლიცია-კაზაკებს და ამოშიშვლებული ხმლებით მივარდენ დროშასთან, რომელიც დაშორებული იყო ასი ნაბიჯით. მუშების ცენტრთან და

*) არკომედი თუმცა გვაფრთხილებს, რომ ამ უკანასკნელ ცნობას არაქველას ვმორობის შესახებ ჭეშმარიტად არ დავენდოთ, კრიტიკულათ მოვეკიდეთ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ დროშა დამცველებით (დაახლოვებით 25 კაცით) გადაჭრილი და გამოყოფილი იქნა ხალხისაგან. აქა თუ იქ ხალხში იჭრებოდენ კაზაკები, ჯარის კაცები და მშვიდობიანი გამყიდველი მოვაჭრეები შიშისაგან თავზარდაცემულნი ბაზრიდან იღგვებოდენ, ხოლო მუშები კი ჯარის მიერ იქნა გაფანტული სხვა და სხვა ქუჩებში თავიანთი ნების წინააღმდეგ. დროშასთან სწარმოებდა სიკვდილის წუთებამდე მიმყვანი, გაშმაგებული ბრძოლა, მედროშეთ არა თუ უნდოდათ ჩაბარებოდენ მტრებს, პირიქით. სისხლის გაღებით, სიცოცხლის ფასით იცავდენ მას. ხმლებით ცემაზე მუშები უპასუხებდენ ჯოხებითა და ტაბურეტკებით. მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქმნენ მაინც დაეთმოთ ძალისთვის. ამ ხელჩართულ ბრძოლაში იქნა დაჭრილი სულ 24 კაცი; ამათ შორის 13 სრულებით არაფერ შუაში მყოფი, გარეშე პირი, რომლებიც შექმნილიყო მსხვერპლი მხოლოდ გაშმაგებულ კაზაკების; დანარჩენი 11 კაცი მუშები. დროშის აღმმართველთან ერთად, იყვნენ დაჭრილნი უშეტეს ნაწილად თავში. პოლიციელების მხრით მძიმეთ იყვნენ ნაცემი 7 „წესიერების დამცველნი“ (გოროდოვოი), დაჭრილი ერთი წესიერების დამცველი, პოლიცმეისტერი და ბოქაულის თანაშემწე გედევანოვი. მუშა მამალაძემ ესროლა რევოლვერი მცემელ პოლიციელებს, მხოლოდ შაშინ, როცა დაეკარგა ძალა და დაეცა ქვაფენილზე.

„პირველ მაისის დღესასწაულზე დაჭრილი იქნენ დემონსტრანტ მუშების გარდა გარეშეებიც, სამი კურსისტი ქალი, რომლებმაც დაიცვენ პოლიციის განყოფილებაში (უჩასტკაში) მიმავალი დაჭერილი მუშები გზაზე ცემისაგან. იჭერდენ აგრეთვე სტუდენტებსაც, „წესიერების დამცველნი“ ყოველი შეხვედრის დროს ქუჩებში“.

„მაისის დემონსტრაციით (1901 წ. ს. თ.) კავკასიის სოციალ დემოკრატიამ პირველათ ჩაადგო თესლი თავისუფლების და გახდა იგი ავანგარდი ყველა ოპოზიციონური ძალებისა კავკასიაში. ეს ისტორიული მომენტი, რომელიც ასე ბობოქრობით დაიწყო, კავკასიას წარმართავს ერთი შტოით და შეიქმნება ის დიდი მდინარე, რომელიც წალეკავს სისხლის მსმელ ტირანულ მთავრობას, ერთნაირათ მჩაგვრელს, როგორც ჩერქეზების, სომხების, ისე ქართველი და ყველა ერის მუშებისას“. ათავებს ამ სიტყვებით მუშა თავის მოთხრობას.

ამით ვათავებ მეც 1905 წელში ჩატარებულ მაისობის დემონსტრაციის აღწერას.

ზედმეტათ მიმაჩნია დაუმატო კიდევ რამ აქ გადმოშლილ სურათს ჩატარებულ მაისობის შესახებ.

მაისობის დემონსტრაციის ჩატარება ბაქოში და ბათუმში ჯერ კიდევ ამ წელსაც ვერ მოხერხდა.

შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, თითქო ჰქონებია მას ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხსენებულ ქალაქებში ამ წელს პირველათ, მაგრამ ეს ისე უმნიშვნელო რიცხოვანი, ვიწრო და მკრთალი ყოფილა, რომ მას კვალი არ დაუჩენია, არც მტერს და არც მოყვარეს იგი არ შეუნიშნავს, ამიტომ მასზე შეჩერებაც არ ღირს.

VI.

პირველ ხანებში, პარტიულ მუშაობის პირველ და მეორე პერიოდში, 1897 წლიდგან 1901 წლამდე, იყო რა მხედველობაში მიღებული მოუმზადებელი, განუვითარებელი, პოლიტიკურათ მოუმწიფებელი მუშები, კომიტეტის არჩევა სოციალ-დემოკრატების ძირითადი ჩანასახების შემწეობით, დემოკრატიული პრინციპით არ ხდებოდა ხოლმე.

სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტი 1901 წლამდე სდგებოდა კოოპტაციის საშუალებით მოწვეულ პირებისაგან.

1901 წელს დაახლოვებით ოქტომბერ-ნოემბერში შესდგა ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ სოციალ-დემოკრატ მუშების ფართო კრება ამ კრებაზე პირველად მიეცა სოციალ-დემოკრატებს საშუალება აერჩიათ ხელმძღვანელი რევოლიუციონური ორგანო-კომიტეტი ძირიდან, დემოკრატიული პრინციპით. სხვათა შორის ყოფილიყვნენ ამხანაგები ამ კრებაზედაც, რომლებიც ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს არჩევნების დემოკრატიული პრინციპით ხელმძღვანელობისათვის,—სადაც შესაძლებელი იქნებოდა კონსპირაციის დაცვა, ორგანიზაციის საიდუმლოთ შენახვა,—ჯერ კიდევ ვერ ხედავდენ და წინააღდგომოდენ კომიტეტის ასეთი წესით არჩევას,*) სახელდობრ სოსო ჯუღაშვილი (კობა, სტალინი) და ვასო ცაბაძე არწმუნებდენ არჩევნების მომხრე ამხანაგებს, რომ ასეთი წესით არჩეული კომიტეტი საფრთხეში იქნება ჩავარდნილიო, რომ კომიტეტში გავლენ არა საიმედო საეჭვო პირები, პოლიცია-ჟანდარმერიის აგენტები და ამით ორგანიზაცია ჩავარდება, კომიტეტი დაინგრევა-დაიშლებაო **). ასეთი შეხედულობის ელემენტები კრებაზე ერთობ მცირე, უმნიშვნელო იყო და, რა თქმა უნდა, თავიანთი აზრისა და შეხედულების გატარება მათ ვერ შესძლეს. კომიტეტი იქნა არჩეული ამ მოწვეულ ფართე კრების მიერ, სადაც შევიდენ შემდეგი პირები: ზაქრო ჩოდრიშვილი, ვასო ცაბაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, გ. ყარაჯიანი, სევე-

---

*) ვემყარები ვასო ცაბაძის ცნობებს.

**) ეს მათი ეჭვი და შიში ორგანიზაციის ჩავარდნის შესახებ გამართლდა კიდეც. კომიტეტში გაეიდა პროვაკატორი მუშა-ხ ა რ ე ს უ ნ კ ო, რკინის გზის სახელოსნოდან, რომლის მეობებით 1902 წელს თებერვალში მოხდა დაპერა და სრული განადგურება კომიტეტისა.

რიანე ჯუღელი, ქეშმიანცი, არაქელა ოქუაშვილი, გიორგი ჩხეიძე. სტროსენკო და სხვები.*)

1901 წლის მიწურულიდან, ტფილისის ორგანიზაციაში ჩაბმულ რევოლიუციონურ მუშებისა და ინტელიგენტების შემწეობით, სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მოეწყო, მრეწველობა განვითარებულ ქ. ბაქოში და ბათუმშიც.

მარქსიზმის საფუძვლებზე აგებულ რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოწყობით ამ წლის დასასრულიდან ჯერ გაიბა დამოკიდებულების ძლიერი ძაფი ტფილისსა, ბაქოსა და ბათომს შუა.

ხსენებული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი და სულის ჩამდგმელნი იყვნენ ამ დროს: ტფილისში—ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, სეგერიან ჯუღელი და ფილიპე მახარაძე (უკანასკნელს. ამხანაგებს შორის შექმნილ თავისებურ მუშაობის პირობების გამო კომიტეტთან ნაკლები ორგანიზაციონური დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ მას მაინც უწევდენ ანგარიშს, როგორც „კვალის“ თანამშრომელ თეორეტიკ მარქსისტს); ბაქოში—ლადო კეცხოველი, კრასინი, აბელ ენუქიძე და კნუიანცი; ბათუმში—სოსო ჯუღაშვილი, კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი.

გაჩაღებულ ინტენსიურ ორგანიზაციონურ მუშაობის შედეგით, ს. ჯუღაშვილი დაპატიმრებული იქნა მოკლე ხანში რამდენიმე სხვა ამხანაგებთან ერთად, რომლის მაგიერობას ორგანიზაციაში შეეცადა ლადო დუმბაძე და სილვა თოდრია, ბეჭდავდენ რა და ავრცელებდენ ქალაქში არა-ლეგალურ, ფურცლებს თავიანთ მიერ შედგენილს.

ლადო კეცხოველის ინიციატივით ბაქოში მოეწყო ამ ხანებში დიდი არა-ლეგალური პარტიული სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა მრავალი რევოლიუციონური ლიტერატურა, ბროშურებისა და ფურცლების სახით.

ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ლაპარაკი გვექნება ქვევით.

(გაგრძელება იქნება).

---

*) ვასო ცაბაძის ცნობით კომიტეტის წევრათ არჩეული იქნა ამხ. სტალინი-ჯუღაშვილიც; კრების მონაწილე და კომიტეტის წევრათ არჩეული ამხ. გიორგი ჩხეიძე უარყოფს ამას თავის მოგონებაში—„ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ბაჭრო ჩოდრიშვილი“. „რევოლ. მატ.“ № 1—შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. კალაძე

მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია.

VI.

მასიური მუშათა პოლიტიკური მოძრაობის პირველი ხანა და ამ ხანის მუშათა ქართული ლეგალური და არალეგალური „ორგანოები".

(1900—1905 წლ.)

1.

ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშაობა გაფიცვის შემდეგ, 1898 წლიდან და განსაკუთრებით 1899 წლის პირველ მაისობის (18 აპრილს ძველი სტილით) გამართვის შემდეგ მუშათა წრეები ძალიან განმრავლდენ. არ დარჩენილა წარმოების დარგი, რომ იქ „წრე" არ გამართულიყოს. რევოლიუციონერთა ჯგუფს რამდენიმე ახალი ამხანაგი შემოემატა, ხოლო პირველი და მეორე რიგის მუშათა წრეების წევრნი იმდენათ გაიწვრთნენ და მოემზადენ, რომ სოციალისტურ პროპაგანდას დამოუკიდებლათ აწარმოებდენ. ასე რომ ძალები მასიურ მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის საკმაო იყო. არ იყო მხოლოდ მუშათა ქართული არა-ლეგალური **ლიტერატურა.**

ლადო კეცხოველი ამ გარემოებას ვერ იტანს: იგი ყველაფერს თავს ანებებს და ექვთიმე ხელაძის სტამბის კანტორაში სამსახურში შედის და სტამბის პატრონის უფროს შვილს, სტამბის გამგეს უახლოვდება. ის ასოთ-ამწყობებსაც უმეგობრდება და ცდილობს ასოთ-აწყობა შეისწავლოს, ხშირად საბეჭდავ მანქანაზედაც ადის და ეარჯიშობს. ამას ყველაფერს ისე ოსტატურათ ჩადის, რომ არა თუ სტამბის პატრონები. არამედ ამხანაგებიც ვერ მიმხვდარან თუ ლადო რად იქცევა ასე.

— ლადო, წუხელის სად იყავი იმდენ ხანს, რომ ძილი დამიფრთხე მოლოდინით? ეკითხება ერთ დღეს მას სევერიანე ჯუღელი, რომელთანაც ლადო ცხოვრობდა.— „იმ ოხერთან" (სტამბის პატრონის შვილთან) ვქეიფობდი, უპასუხებს ლადო სევერიანეს ჩვეულებრივი უზრდელი ხუმრობით.

აქედან ამხანაგებს გონიათ, რომ ლადო „გაოხრდა" და დუხჭირი პირობებისა და უიმედობის გამო ლოთობას მიჰყო ხელი. ამ-

ხანაგებში დიდ სიბრალულს იწვევს ეს და ცდილობენ, რომ ამ ანარქისტსაც რამე პოლიტიკური საქმე მისცენ, მუშების „წრეში“ გაგზავნონ და მით ანუგეშონ. მას მალე „წრეში“ გზავნიან; მაგრამ ლადო ხაზეინის შვილთან ჭეიფს მაინც განაგრძობს. 1899 წლის ზაფხულში ხაზეინის შვილი ქორწილს მართავს და ლადოს ქორწილში საქეიფოთ პატიჟობს. ლადო მას პირდება' მარა არ მიდის, არ ესწრება ქორწილს.

სტამბის შენობის ზემო სართულში (ყოფილ „ალექსანდროვის ბაღთან“ ლორის მელიქოვის ქუჩის ბოლოზე) ხაზეინის ბინაზე ქორწილია გაჩაღებული, ხოლო ქვედა სართულში საბეჭდავი მანქანების განყოფილებაში ლადო საბეჭდავ მანქანაზე გამალებული მუშაობს.

— აბა, ჩქარ-ჩქარა მომაწოდე ქაღალი შესძახის თავის ერთგულ პატარა მოწაფეს იგი და ფანჯრის ჰუჰრუტანიდან იჭვრიტება: განთიადმა ხომ არ მომისწრო, ხომ არ დამიგვიანდაო.

გათენებისას „ბროშურა“ მზათ აქვს. ეს იყო პირველი არა ლეგალური ბროშურა „ვინ რით ცხოვრობს“ დიკშტეინისა, რომელიც ლადოს თვითონვე ეთარგმნა ჩუმათ (ამხანაგების დაუკითხავათ და გაუგებინებლად) და თვითონვე დასტამბა კომიტეტის დაუკითხავათ, ინციატიურმა კომიტეტმა ამაზე არაფერი არ იცოდა, ვიდრე ლადომ თავისი დაბეჭდილი თარგმნის რამოდენიმე ეგზემპლიარი „ფეშქაშათ“ არ მიუძღვნა მას. კომიტეტმა დიდი მადლობით მიიღო ეს ძღვენი და მეძღვნეც შესაფერათ დაასაჩუქრა: ყველა გაწეული ხარჯები (გარდა ლადოს შრომისა) აუნაზღაურა მას. აი რატომ ეძახდენ ამხანაგები ლადოს **„ანარქისტს“**.

ლადო ამით არ დაკმაყოფილდა: იგი შეუდგა უფრო დიდი საქმის მოწყობას, საკუთარი სტამბის შექმნას, მაგრამ, ამავ წლის დამლევს (1899 წლის დასასრულს) ლადო „კონკის“ (ტრამვაის იმ დროს, კონკას ეძახდენ) კონდუქტორების გაფიცვის საქმეში ჩააბა კომიტეტმა და ამის გამო სტამბის საქმე მან შემდეგისათვის გადასდო.

ამ გაფიცვის გამო ჟანდარმერიამ ლადოს და ერთ „დიდ წვერა“ მის ამხანაგს დევნა დაუწყო. ცნობა მისულოდათ, რომ გაფიცვის ორგანიზატორები ესენი იყვნენ: ლადო კეცხოველი და „დიდ-წვერა“ კაცი (ჟანდარმერიას ჩემზე ამ დროს სხვა ცნობა არ ჰქონდა). ამის შემდეგ არც ლადოს და არც „დიდ-წვერა“ ამხანაგს ტფილისში არ უდგომებოდათ. ამიტომ კომიტეტმა უსაგძლა მათ 30 მანეთი და ბაქოში გაისტუმრა. ეს იყო 1900 წლის იანვარში.

ბაქოში რომ ჩავიდა, ლადო მიიხედ-მოიხედა და რა ნახა რომ, მუშათა მოძრაობის ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ხოლო ქალაქი და ბალახანა-საბუნჩი-ბიბიეიბათი დახელოვნებული მუშებით იყო სავსე, გადასწყვიტა თავის საყვარელ საქმეს—სტამბის მოწყობას შესდგომოდა.

ამ მიზნით მან რომელიღაც თვითმასწავლებელი წიგნის და „ოსტატი" მუშების, ტეხნიკების საშუალებით თვით შეისწავლა სტამბის დაზგების და მანქანების მექანიზმი და ამ მიზნით ბაქოში მყოფ ყველა ქართველ მემანქანეებს, ტოკრებს და ტეხნიკებს დაუახლოვდა დაუკავშირდა. განსაკუთრებული ამხანაგური კავშირი დაიჭირა ამხანაგ მიტო ბაქრაძესთან, ვანო სტურუასთან და ენუქიძეებთან—აბელთან და სიმონთან, რომლებთანაც თვითონვე მოვიდა ბალახანაში, მან იცოდა სადაც ისინი მუშაობდენ.

ეს იყო 1900 წელს ოქტომბერში, როცა ვანო სტურუას მეთაურობით უკვე არსებობდა რუს-ქართველ მუშების სამი წრე (იუს. გოგოძე, დოლიძე, ს. გორიშვილი). ამათთან (ვანოსთან და სიმონთან) იმ ხანათ საჩქაროთ მხოლოთ გექტოგრაფი მოაწყვეს. რაკი დაატყო ლადომ, რომ ამ საქმეს ურუსეთოთ ბაქოში ისე ვერ მოაწყობდა, როგორც საჭირო იყო, ამიტომ გასწია რუსეთში და იქ სტამბის საქმე დაწვრილებით შეისწავლა, დაჰყო დაახლოებით ერთი თვე და ისევ ბაქოში დაბრუნდა. აქ მან ვანო სტურუას და სიმონ ენუქიძის დახმარებით ვერხნეტაზიპირის ქუჩაზე „პატარა სტამბა" მოაწყო დაახლოებით 1901 წლის დამლევს. სასტამბო დაზგა ლევენსონის თუჯის ქარხანაში ჩამოასხეს გიორგი რთველაძემ და იუსტინე გოგეაძემ, რომლებმაც იმავე ქარხანაში მანქანის სხვა ნაწილებიც დაამზადეს. საჭირო იყო ახლა ლადო ლიტერატურულ მზადებას შედგომოდა. აქ აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში მას თანამშრომელი იქ, ბაქოში თითქმის არავინ ყავდა. ამიტომ განიზრახა საქართველოში დაბრუნება და აქ ლიტერატურული მასალის შეგროვება და მერე იმისი ბაქოში დასტამბვა. მან გადასწყიტა გამოეცა ჟურნალი, რომელსაც სახელად დაარქვა **„ბრძოლა"**. თითქმის მთელი წელიწადი №-ების მასალის მზადებას მოუნდა. პირველ ხანებში ყველაფერი თითონ იყო: ამწყობიც, მბეჭდავიც, კორექტორიც, მკერავ-მკეცავი, რედაქტორიც, თანამშრომელიც და დამტარებელ-გამავრცელებელიც კი. პირველი №№-რები გამოვიდა 1902 წლის დასაწყისში და ლადოს დატუსაღების გამო იმავე წელსვე შეწყდა.

ლადოს ჟურნალი „ბრძოლის" სრული დახასიათება სამწუხაროთ შეუძლებელი ხდება, ვინაიდან პირველი №№-რები არ მოგვეპოვება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვადგინოთ ზეპირ გადმოცემით მისი დამახასიათებელი წარწერა ლოზუნგის—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერდით"—შემდეგ ასეთი წარწერა იყო: **„ვუძღვნი მებრძოლ მუშებს, გრდემლის მზგვსთ, კაჟივით მაგართ, ფოლადივით გამოწრთვნილთ და ბრძოლის მეთაურთ"**. „ბრძოლის" პირველ №-ში სხვათა შორის მოთავსებული იყო შემდეგი წერილები: 1) მუშათა დამოუკიდებელ ორგანიზაციაზე, და ამ აზრით მოწოდებაც იყო.

2) ესერების საწინადმდეგო წერილი. ამ წერილს პოლემიკური ხასიათი ჰქონდა.

ლადო რომ ბაქოში სტამბის დაარსება—შეკმნაზე ზრუნავდა და ძალღონეს არ ზოგავდა, იმ დროს არც ტფილისელი ამხანაგები ივიწყებდენ ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ მათ მუშათა მოძრაობის მასიური ხასიათი ამას პირდაპირ აიძულებდა.

1900 წელს პირველ აგვისტოს აქ რკინის გზის სახელოსნოში გაფიცვამ ისევ იფეთქა და სწრაფად პოლიტიკური ხასიათი მიიღო. საჭირო იყო აუცილებლად ბეჭდითი „ორგანო".—სააგიტაციო ფურცელი მაინც—მუშების გასამხნევებლად და გაფიცვის მწყობრათ ჩასატარებლათ, ასოები უკვე ჰქონდა იმ დროს ცოტ-ცოტათ დაგროვებული სტამბის მბეჭდავს ერასტო ჩანტლაძეს, რომელსაც ნაწილ-ნაწილათ, მუჭ-მუჭათ გამოჭონდა სტამბიდან (სადაც მუშაობდა) „შრიფტი" ჩუმათ და თავის ბინაზე ინახავდა. იყო ასოთ ამწყობთა შორის გაბედული და რევოლიუციონური სულისკვეთების ასოთ ამწყობი—ლასა მგელაძე, რომელიც მზათ იყო ყველაფრისათვის, ოღონდ „საქმე" გაკეთებულიყო. ლიტელატურული მხარე და ფურცლის შედგენა იკისრა სილიბისტრო ჯიბლაძემ, მალე მოიძებნა ბინაც, სადაც ლასას სახელდახელო დაზგა უნდა დაედგა და საიდუმლოთ ემუშავნა: ფურცლები კიდეც უნდა აეწყო და კიდეც უნდა დაებეჭდა. ასეთი ბინა ამ საქმეს დაუთმო ამხანაგ ბარონ ბიბინეიშვილმა, რომელთანაც მაშინ ნესტორ კალაძეც ცხოვრობდა. ესენი ორივე ლასას შველოდენ და ბეჭდაში ხელს უწყობდენ. („კრასნოგორის ქუჩაზე") ეს ტფილისში პირველი დაბეჭდილი ფურცლები იყო.

მეტად ძლიერი და ამაფორიაქებელი გავლენა მოახდინა ამ ფურცლებმა, როგორც ქანდარმერიაზე, ისე რკინის გზის სახელოსნოს ადმინისტრაციაზე; ეს ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით მუშები ძალზე გაამხნევა და მათი ერთსულოვნება შექმნა. ორივე მხარე კი გაოცებული იყო იმით, რომ ასეთ ამბავს ტფილისში არ მოელოდენ: ეს მათთვის მეტად ახალი და მოულოდნელი ამბავი იყო. ქართული სააგიტაციო ფურცელი და ისიც საიდუმლო სტამბაში დაბეჭდილი!

გაფიცვა დასრულდა, ფურცლების გამოცემაც შეწყდა. ქანდარმერია დაფაცურდა, მარა ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო. მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ ს. დ. ირეთელის (პოლიო ჯალანდაძის) ბინაზე პროკლამაციის რამოდენიმე ცალი აღმოაჩინა, რისთვისაც პოლიო ჯალანდაძე სამი წლით ციმ ირში, სოფ. ირეთში გადაასახლეს.

ლადოს ნათარგმნი „ბროშურა" („ვინ რით ცხოვრობს" 1899 წ.) სილიბისტროს ფურცელი 1900 წ. და ისევ ლადოს „ბრძოლა" (1902 წ.)

აი რით დაიწყო მუშათა ჭართული არა-ლეგალური მწერლობა ჩვენში. დაიწყო და სამწუხაროთ ისევ მალე შეწყდა.

რა იყო ამის მიზეზი?

2.

—ისევ მეფის თვითმპყრობელი მთავრობის რეპრესიები.

ტფილისიდან გადასახლებულმა თუ გაქცეულმა ჭართველმა რევოლიუციონერმა მარქსისტებმა, მუშა იყო ის თუ ინტელიგენტი, მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა მთელი ამიერ კავკასიის სივრცეზე გადაიტანეს; ბაქოში ვანო სტურუამ და ლადომ, ხოლო ბათუმში „კობამ“ და მუშებმა: ზაქარია ჩოდრიშვილმა, სილია თოდრიამ, კოწია კანდელაკმა, გიორგი თელიამ, ილიკო კოპალეიშვილმა, დათიკო „მოხევემ“ (ხარტიშვილმა) და სხვებმა. ბათუმიდან მუშათა მოძრაობა გურიის გლეხკაცობას მოედო და რადგან ამ წლებში უკრაინაში და რუსეთშიაც გლეხთა დიდი მოძრაობა მემამულეების წინააღმდეგ იყო გაჩაღებული, გურიის სოციალ-დემოკრატებმა ეს გარემოება დიდათ გამოიყენეს და გურიის გლეხ-კაცობა ერთიანათ ფეხზე დააყენეს.

ამნაირათ მუშათა მოძრაობა მთელ საქართველოს ედებოდა. ამიტომ თვითმპყრობელური მთავრობა, მისი ბიუროკრატია და ჟანდარმერია არაფერს არ ერიდებოდა და ყოველგვარ სასტიკ ზომებს ხმარობდა, რომ მოძრაობა როგორმე შეეჩერებია—შეეწყვიტა. როტშილდის ნავთის ქარხნის მუშების გაფიცვის დროს 1902 წელს, მაგალითად, მუშების მიტინგზე, რომელიც „კობას“ ინიციატივით იყო გამართული, თოფის გასროლით 13 მუშა იქვე მოკლეს. ამ ხანებში დაისტამბა ბათუმში „კობას“ რამოდენიმე სააგიტაციო საიდუმლო ფურცელი, კობას დატუსაღების შემდეგ, ფურცლების გამოცემას სილია თოდრია განაგრძობდა.

ბაქოში ლადო კეცხოველი დაატყვევეს და ტფილისში ჩამოიყვანეს. ის „მეტეხში“ მოკლეს. სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვები ციმბირში გადაასახლეს, ხოლო-დანარჩენები პროვინციის სხვა და სხვა კუთხეებში იყვნენ გაფანტულნი.

ნოე ჟორდანიასაც რევოლიუციონერობა შესწამეს და 1901 წ. ივნისში ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. მისი ნაწერები „კვალში“ სულ ერთიანათ გადათარგმნეს და შიგ რევოლიუციონურ ელემენტებს ეძებდენ. ჟანდარმერიამაც ამ ნაწერებში „ისეთი რამ“, რა თქმა უნდა ვერ აღმოაჩინა და ნოე ჟორდანია გაანთავისუფლეს. მაგრამ იგი იმ ხანათ თავის „სამშობლო“ სოფელში წავიდა, ალბათ „დასასვენებლათ“, როცა გურიაში გლეხთა მოძრაობა დაიწყო, იქიდან კიდევ უფრო შორს გადასახლდა, ევროპაში გაემგზავრა. ამნაირათ სამწერლო ასპარეზი, როგორც ლეგალური, ისე არა-ლეგალური ერთნაირათ დაცალიერდა. მუშათა ჭართული მწერლობა დროებით შეწყდა.

მაგრამ ნოე ჟორდანიას მემკვიდრე მალე გამოუჩნდა, ეს იყო ევროპიდან ჩამოსული დ. თოფურიძე და შემდეგ რუსეთიდან ჩამოსული სტუდენტი, გიორგი წერეთლის შვილი, კაკი წერეთელი. ახლა ამ ახალგაზრდებმა ვითომდა „მარქსისტებმა“ ჩაიბარეს ჟურნალი „კვალი“ სახელმძღვანელოთ. ეს იყო 1903 წელს. იმავე დროს მემკვიდრე ლადო კეცხოველსაც გამოუჩნდა: ეს იყო იოსებ (სოსო) ჯუღაშვილი (სტალინი), რომელიც ქართულ მწერლობაში შემდეგი ფსევდონიმით არის ცნობილი „კობა“ და „ბესოშვილი“.

ამნაირათ, თუ ნოე ჟორდანიას წინათ ლადო კეცხოველი უპირდაპირდებოდა, ახლა თვითონ ნოე ჟორდანიას და მის მემკვიდრესაც —ირაკლი წერეთელს სოსო ჯუღაშვილი და ფილიპე მახარაძე დაუპირდაპირდენ. ირაკლი წერეთელმა აღადგინა ისევ ჟურნალი „კვალი“, ხოლო სოსო ჯუღაშვილმა—ლადოს „ბრძოლა“, რომელსაც ახლა ეწოდებოდა სახელი: **„პროლეტარული ბრძოლა“**. როგორც ხედავთ „წასულსა და აწმყოს შორის ძაფი არ შეწყვეტილა“, მხოლოდ ახლა უფრო მკაფიოთ დაისვა საკითხი: **ლეგალური თუ არა-ლეგალური „ორგანო“?**

მუშათა მასიური მოძრაობის სულ უფრო და უფრო გაფართოებამ, რევოლიუციონური ტალღების უფრო და უფრო აზვირთებამ და 1905 წლის რევოლიუციის მოახლოებამ ეს საკითხი თავის-თავად გადაჭრა. ახლა ნოე ჟორდანია მაინც და მაინც არ ეტანებოდა ლეგალურ „კვალს“, ისიც იძულებული გახდა „გურიის მოძრაობაში“ ჩარეოდა და ერთხანს არა-ლეგალური ფურცლები ეწერა.. მაგრამ მან რაკი დაატყო, ბრძოლა მწვავდებოდა, ევროპას მიაშურა და იქ 1905 წლამდე დაჰყო და როცა საქართველოში ჩამოვიდა რევოლიუციის დაწყების გამო 1905 წლის დამდეგს, მალე იძულებული გახდა საკუთარი არა-ლეგალური ჟურნალი „სოციალ-დემოკრატი“ გამოეცა. მაგრამ ამაზე ადრე ჯერ ისევ 1904 წ. მუშათა ქართულ-გაზეთის წარმომადგენლათ თითქმის ყველა, განურჩევლათ მიმართულებისა, „კობას“ ჟურნალს, „პროლეტარიატის ბრძოლას“ თვლიდა, რომლის პირველი ნომერი 1904 წლის მაისში გამოვიდა. ეს ჟურნალი კობას მეთაუროზითვე დაარსებულ „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის“ ორგანო იყო. 1905 წ. იგი „კავკასიის კავშირის“ სახელით გამოდიოდა და ამ წელს მისი მთავარი თანამშრომლები იყვნენ: მიხა ცხაკაია, საშა წულუკიძე და ფილიპე მახარაძე. ამნაირად, რაც უფრო 1905 წლის ოქტომბერი ახლოვდებოდა, მით უფრო არა-ლეგალური მუშათა მწერლობა ჩვენში ძლიერდებოდა და ეს ხდებოდა სოციალ-დემოკრაატიის მარცხენა ფრთის (ბოლშევიკების) მეთაურობით. ის ამავე წლებში არა-ლეგალურ ბროშიურასაც ბლომათ უშვებდა, რადგან ახლა ლადოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბას გარდა, საიდუმლო სტამბა ტფილისშიაც იყო და ბათუმშიაც. მაგალითად, 1904 წელს გამოიცა ისეთი საყურადღებო თარგმანი ორიგინალური წინასიტყვაობით, როგორიც არის ლენინის წიგნაკი: „კ კრესტიანსკოი ბედნოტე“ (გაჭირვებულ გლეხკაცობას).

3.

რამ გამოიწვია ყოველივე ეს.

ცხადია, არა ჩვენში მომხდარმა რაიმე ღრმა ახალმა ცვლილებამ, არამედ როგორც ყოველთვის, რუსეთში მომხდარმა ამბებმა სოციალ-დემოკრატიაში ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ, მის წიაღში ახალი მიმდინარეობის გაჩენამ, ახალმა მიმართულებამ.

მართალია, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ წრეებშიაც ისახებოდა ასეთი უთანხმოება-მიმდინარეობა, მაგრამ მას მეცნიერული დასაბუთება არ ჰქონდა, ვინაიდან ჩვენი იდეოლოგია სუსტი იყო. ეს შეიძლებოდა მხოლოდ მომწიფებულ და ძლიერ მარქსისტულ ლიტერატურაში მომხდარიყო და მოხდა კიდეც. როგორც ყოველთვის რუსეთის იდეოლოგიურ სფეროში მომხდარმა ღრმა მოძრაობა-ცვლილებამ გამოიწვია ჩვენში, საქართველოში ისეთივე ღრმა მოძრაობა-ცვლილება.

როგორც ვიცით, ციმბირიდან ევროპაში „გაქცეულმა“ მარქსისტ-რევოლიუციონერებმა შეიცარიაში შექმნეს მჭიდრო და მტკიცე ორგანიზაცია, რომელმაც უპირველესათ ყოვლისა არა-ლეგალური ორგანო, გაზეთი „ისკრა“ და ჟურნალი „ზარია“ დააარსეს.

„1900—1902 წლებში რუსეთში სასტიკი სამრეწველო კრიზისი მძვინვარებდა“, სწერს თავის ისტორიულ ბროშიურაში—„რ. კ. პ. განვითარების ძირითადი მომენტები“—ამხ. ა. ბუბნოვი. (იხ. გვ. 15) და ამ ნიადაგზე გაჩაღდა და გაძლიერდა, როგორც მუშათა ისე გლეხთა ეკონომიურ-პოლიტიკური მოძრაობა.

ამისთვის საჭირო იყო პოლიტიკური სალიტერატურო სახელმძღვანელო ორგანო, და აი ამ როლის შესრულებას შეუდგა რუს სოც. დემოკრატების მიერ საზღვარ გარეთ დაარსებული გაზეთი—„ისკრა“.

იმ ხანათ ევროპაში მოქმედებდა ისევ „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“—გ. პლეხანოვი, პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი—და 1900 წელს მას მიემატნენ რუსეთიდან „გამოქცეულები“: ნ. ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი ნ. ლენინის მეთაურობით. ამ ჯგუფმა იკისრა გაზ. „ისკრის“ გამოცემა და პირველი რედაქციაც ამათგან შედგებოდა.

გაზ „ისკრამ“ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში გაბატონებულ მიმდინარეობას—„ეკონომიზმს“

და თავის დროშათ „პოლიტიციზმი“ და „რევოლიუციონიზმი“ გამოაცხადა. ამ ახალი მიმდინარეობის სულის ჩამდგმელი გაზეთი „ისკრა“ და მისი მთავარი რედაქტორ-თანამშრომელი ნ. ლენინი გახდა. ამ გაზეთის დევიზი იყო: „რუსეთის მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნა“.

მაგრამ მალე, ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ თვით ეს ჯგუფი, თვით ნ. ლენინის თანამშრომელები (და არა თვითონ ლენინი) არსებითად „ეკონომიზმის“ საფუძველზე იდგნენ და ლენინის ახალ აზრებს არ იზიარებდენ. ამიტომ მათი ერთად მოღვაწეობა მხოლოდ პარტიის მეორე სიეზდამდის (1903 წელს) გაგრძელთა და როცა მათ შორის ღრმა უთანხმოება წარმოსდგა, ნ. ლენინმა განშორება, განცალკევება არჩია, იმ მიზნით, რომ თავისი ახალი ორგანოს, „ვპერიოდის“ („წინ“) საშუალებით რუსეთის მუშათა მასიურ მოძრაობას სათავეში ჩადგომოდა.

ამნაირათ პირველი წლის „ისკრა“-ამ და ჟურნალმა „ზარია“-მ თეორეტიულ-პრინციპიალური საფუძვლები ჩაუყარეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, ხოლო ტაქტიკის საბოლოო შემუშავება და პრაქტიკულ ბრძოლის ხელმძღვანელობა ისტორიამ ნ. ლენინს და მის ორგანოს „პროლეტარს“ („ვპერიოდის“ შემდეგ) დააკისრა.

რუსეთის ს.-დ. მეორე სიეზდი, როგორც ვიცით შედგა ქალაქ ლონდონში 1903 წელს, სადაც მხოლოდ 57 დელეგატი დაესწრო და სადაც ს.-დემოკრატია ორი სხვა და სხვა მიმდინარეობის მიხედვით ორ სხვა და სხვა ფრაქციათ გადაიქცა, თუმცა ეს ფრაქციები დროებით ერთ ორგანიზაციაში, ს. დ.-ში დარჩენ.

მაგრამ იმდენათ ღრმა და შეურიგებელი დარჩა უთანხმოების ძირითადი პრინციპები, რომ ამ დღიდან მათი სალიტერატურო ორგანოები საბოლოოთ განცალკევდენ.

(საქართველოში ეს ცოტა სხვანაირათ მოხდა. აქაც, ცხადია ს. დ. ორ ფრაქციათ გაიყო, მარა ...ლების სიმცირის და ადგილობრივი პირობების გამო საერთო ორგანოებში მუშაობა 1917 წლამდე დიდი ხნით ადრე არ შეწყვეტილა).

რაში მდგომარეობს ამ უთანხმოების ძირითადი პრინციპი?

ეს გაზეთ „ისკრის“ № 1 საპროგრამო წერილის შემდეგ სიტყვებშია გამოთქმული: **„სოციალ-დემოკრატია—ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა“.**

აი ეს დებულება შეიქმნა მიუღებელი სოციალ-დემოკრატიის იმ ნაწილისთვის, რომელიც „ეკონომიზმის“ საფუძველზე იდგა და მუშათა მოძრაობას უკან მიყვებოდა.

1902 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გამოსცა თავისი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიშნავი წიგნი—„რა ვაკეთოთ“ („ჩტო დელატ“) და საბოლოოთ დაასაბუთა თავისი ახალი მიმართულება.

1903 წელს კი ლონდონში გამართულ პარტიულ სიეზდს საქართველოს წარმომადგენლათ ევროპაში „გაჭცეული“ ნოე ჟორდანიაც დაესწრო და ის, რა ნახა პარტიაში ჩამოვარდნილი უთანხმოება, ცხადია, ხელაღებით მიემხრო იმ ნაწილს, რომელიც მის მიერ ალიარებულ თეორიას იზიარებდა.

ამ სიეზდზე პარტია გათიშა კითხვამ, თუ ვინ უნდა ითვლებოდეს პარტიის წევრათ. აქ დაუპირდაპირდა ერთიმეორეს ორი პროექტი: ლ. მარტოვის და ვლ. ლენინის. პირველის აზრით პასიური ელემენტიც შეიძლება იყოს პარტიის წევრი, ხოლო ლენინის მტკიცებით პარტიის წევრი აქტიური ელემენტი უნდა იყოს.

აქედან გამომდინარეობს შეხედულება: **პარტია პროლეტარიატის მოწინავე, შეგნებული, რევოლიუციონური და მებრძოლი რაზმია.**

სიეზდზე ლენინს მიემხრო უმრავლესობა, აქედან შედგა სახელი მისი ფრაქციის, ხოლო მარტოვი დარჩა უმცირესობაში, აქედან ამ ფრაქციას „უმცირესობა“ დაერქვა. რუსულათ—„მენშინსტვო“, ხოლო ლენინის მომხრეებს—„ბოლშინსტვო“, შემდეგ ეს გადაკეთდა „მენშევიკებათ“ და ბოლშევიკებათ“.

ამ დღიდან გაჩაღდა იდეური და ორგანიზაციული ბრძოლა ამ ორ ფრაქციას შორის და კითხვა ასე დაისვა: ან ერთი უნდა ჩადგომოდა სათავეში რუსეთის სტიქიურ მუშათა მოძრაობას და ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის, ან მეორეს უნდა ეკისრა ეს. ამ კითხვის გადაჭრა თვით ამოძრავებულ მუშათა მასებზე იყო დამოკიდებული, სახელდობრ იმაზე, თუ თვით ეს მასები ვისი, რომელი ფრაქციის მხარეზე დადგებოდენ და თავის წინამძღვრათ და ხელმძღვანელათ რომელ მათგანს იწამებდენ. ეს კითხვა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიამ გადაჭრა 1907 წელს, როცა სახელმწიფო დუმის დეპუტატებათ რუსეთის მუშათა კლასმა ერთხმათ ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატი აირჩია. ამ დღიდან უკვე თავისთავათ გადაწყვეტილი იყო, რომ რუსეთის მუშათა კლასი თავის უმრავლესობით წინამძღოლ-ხელმძღვანელათ მხოლოდ **ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებს ცნობს.**

მაგრამ, ცხადია, ეს ცნობა, უბრძოლველათ არ მომხდარა. ცხარე და სასტიკი იყო ფრაქციათა შორის ბრძოლა, როგორც წინათ ისე ამ გამარჯვების შემდეგაც: სოციალ-დემოკრატიაში ხან ბოლშევიკები იყვნენ უმრავლესობაში, ხან მენშევიკები, ხან ერთის ბატონობა ჩაღდებოდა, ხან მეორესი და ეს მანამ, ვიდრე 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოთ არ გადაჭრა ეს კითხვა და საბოლოოთ არ ჩაუგდო ხელში მთელი ძალა-უფლება ბოლ-

შევიკებს, რომლებმაც ამ საბოლოო გამარჯვების შემდეგ თავი ახალ პარტიათ, მსოფლიო პროლეტარიატის პარტიათ არ გამოაცხადეს.

და აი ამ ბრძოლის პროცესი თავისი დამარცხება-გამარჯვებით საქართველოს ვიწრო ფარგლებშიც წარმოებდა.

როგორც ზემოთ ვთქვით ამ ბრძოლის წინამორბედებ'—ლადო კეცხოველის „ბრძოლა" და მის მიერ მოწყობილი პატარა საიდუმლო სტამბა იყო, ხოლო შემდეგში ამას ქ. ბაქოშივე დიდი საიდუმლო სტამბის დაარსებაც მოჰყვა. მალე 1902 წელსვე სიმონ და აბელ ენუქიძეების ინიციატივით ს. დ. ცენტრალური კომიტეტის ხარჯით (ამხ. კრასინის ხელშძღვანელობით) გამოწერილ იქნა დიდი გაუმჯობესებული საბეჭდავი მასალა, რომელზედაც „ისკრის" ნომრები ასიათასობით დაიბეჭდა მთელი რუსეთის სივრცეზე გასავრცელებლათ. ამ საქმეს ქ. ბაქოში პირველი პარალელის ქუჩაზე 1903 წელს შემდეგი მუშა ამხანაგები აწარმოებდენ: ვანო სტურუა, სიმონ და აბელ ენუქიძეები, ვანო ბოლქვაძე, ლადო დუმბაძე და სილვა თოდრია. ამას შემდეგ იმავე წელს კობას მეთაურობით ტფილისში შესდგა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც დაერქვა: „კავკასიის კავშირი"; და აი ამ „კავშირის" ორგანოთ კობას გაზეთი—„პროლეტ. ბრძოლა" გამოცხადდა. ეს იყო 1905 წლის რევოლიუციის წინ. 1904 წელს მალე მას გვერდში ამოუდგა ლეგალური ორგანო,—ფილიპე მახარაძის—„მოგზაური" (1905 წელს) და ამნაირათ ჩვენში ბოლშევიკური იდეები გავრცელდა და ს. დ. ორგანიზაციებიც **ბოლშევიკურათ მოეწყო.**

რა კითხვები წამოაყენეს ბოლშევიკურმა ქართულმა ორგანოებმა ამ პირველ ხანაში და როგორ გადაჭრეს ისინი?

უპირველესათ კითხვა პარტიულ უთანხმოებას შეეხებოდა; და აქ ჩვენებური მაშინდელი ს. დ. ორგანოები ხელ აღებით ლენინის მხარეზე დადგენ და კობას მეთაურობით აღიარეს: „ჩვენი, სოციალ-დემოკრატიის ვალია ტრედიუნიონისტურ გზას (ოპორტიუნისტულს სხვანაირათ, რ. კ.) ავაშოროთ და სოციალ-დემოკრატიულ გზაზე შევაყენოთ მუშათა სტიქიური მოძრაობა, ჩვენი ვალია, სოციალისტური შეგნება შევიტანოთ ამ მოძრაობაში და შევაერთოთ მუშათა მოწინავე ძალები **ერთ ცენტრალისტურ პარტიათ**, ჩვენი ვალია მუდამ წინ ვუძღოდეთ მოძრაობას და დაუღალავათ ვებრძოლოთ ყველას, მტერი იქნება ეს, თუ „მოყვარე", ვინც კი ხელს შეგვიშლის ჩვენი წმინდა მიზნის განხორციელებაში...

ასეთია საზოგადო პოზიცია „უმრავლესობის"...

(ნხ. 1905 წ. „პარტიული უთანხმოება" კობას არა-ლეგალური ბროშიურა, გვ. 21).

ამ პოზიციის „აღება“ მაშინ ევროპიდან ჩამოსულმა ნოე ჟორდანიამ გადასწყვიტა და ქართული მუშის საბედისწეროთ და საეალალოთ კიდეც შეასრულა ეს.

მაგრამ ვიდრე ამ ბრძოლის დახასიათებას შეუდგები, საჭიროთ მიმაჩნია აღნიშნულ იქნას ქართული ცხოვრების ის მეორე ძირითადი საკითხი (ეროვნული საკითხი), რომელსაც იმ დროს ვერც ბოლშევიკები აშორდნენ და რომელზედაც მათ მიერაც იმ პირველ ხანაშივე გადამჭრელი სიტყვა და აზრი წარმოითქვა.

აი რას სწერდენ ამ საკითხზე მაშინდელი ბოლშევიკური ჟურნალ-გაზეთები.

„კობას“ (სოსო ჯუღაშვილის) „პროლეტარიატის ბრძოლა“ კავკასიის ს.დ. კავშირის არა-ლეგალური ორგანო) გადაჭრით და გარკვევით სწერდა: **„სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე, ყველა კლასს კი თავისებურად ესმის“ ნაციონალური კითხვა**.... ცხადია, სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ინტერესებს—ემსახურება, „ნაციონალური კითხვა“, სხვა და სხვა ელფერს იღებს იმის და მიხედვით, **თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას“**.....

ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ახალი კლასი, **პროლეტარიატი,— და მასთან ერთად დაიბადა ახალი „ნაციონალური კითხვა“**, პროლეტარიატის „ნაციონალური კითხვა (ე. ი. „ნაციონალური კითხვის“ პროლეტარული, კლასობრივი თვალსაზრისით გაგება და გადაჭრა. რ. კ.) ... პროლეტარიატის გამარჯვებისათვის—კი საჭიროა ყველა მუშების შეერთება (უკეთ—შეკავშირება. რ. კ.) განურჩევლათ ეროვნებისა“.....

კობას ანალიზით **პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის უპირველესათ საჭიროა „ყველა მუშების შეერთება (შეკავშირება) განურჩევლად ეროვნებისა“, ხოლო შემდეგ იმავე პროლეტარიატის გამარჯვებისათვის არა ნაკლებ საჭიროა „ნაციონალური კითხვის“ წამოყენება და პროლეტარულად მისი გადაჭრა.** მხოლოდ ამ მეორე საჭიროების („ნაციონალური კითხვის„ გადაჭრის) დაკმაყოფილება, როგორც სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების, „დროსა და გარემოებაზეა“ დამოკიდებული. სხვანაირათ, მებრძოლი პროლეტარიატისათვის „ნაციონალური კითხვა“ ტაქტიკის კითხვაა, ე: ი. იგი მას მაშინ წამოაყენებს, როცა ეს მისთვის მთავარი მიზანისთვის—საბოლავო კლასობრივი გამარჯვებისათვის ხელსაყრელი და „სასარგებლოა“ და არა ხელშემშლელი. მეფის თვითმპყრობელობის ხანაში რუსეთის პროლეტარიატს „განურჩევლათ ეროვნებისა“ ამ კითხვის წამოყენება არ სჭირდება, მისი ერთად ერთი საქმე ამ ხანაში ყველა ერების მუშების შეკავშირებაა პროლეტარული კლასობ-

რიეი პრაქტიკის და თეორიის ნიადაგზე. ამიტომ „კობას“ ამ სჯა-თხ'ში ამ ხანათ მხოლოდ „პოლიტიკური ცენტრალიზმის“ გატარება მიაჩნია საჭიროთ: ... „უნდა უარყონ, სწერს იგი, ყოველივე **ფედერალიზმი** (ყველა ჯურის ნაციონალ-სოციალ-დემოკრეტებს ეუბნება რ. კ.), თამამად ააფრიალონ დროშა **ნაციონალურ კედლების დანგრევისა** და თავი მოიყარონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბანაკში“, ხოლო მეორე მხრით იგივე კობა და იგივე ორგანო შესაძლებლათ ცნობს **მომავალში**, რომ ს.-დ. პარტიამ წამოაყენოს „ნაციონალური კითხვა“ და პროლეტარიატის საბოლოვო გამარჯვებისათვის კიდეც გადაჭრას იგი პრაქტიკულათ.

„რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები ჩაგვჩურჩულებს, (უფრო კი—ჩაგვძახის. რ. კ.) სწერს კობა „პროლეტარიატის ბრძოლაში“, რომ მარტო თვითონ ერებს აქვთ უფლება მოსპონ ან განავითარონ თავიანთი ნაციონალური კულტურის ესა თუ ის მხარე....

„შესაძლებელია იმნაირათ მოეწყოს ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომ „უცხო“ ერების (ე. ი. რუსეთის „მცირე ერების“ რ. კ.) ბურჟუაზიის მოწინავე წრეებმა „ნაციონალური განთავისუფლება“ მოინდომონ.

„შესაძლებელია აგრეთვე, რომ ასეთი მოძრაობა სასარგებლო დარჩეს პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნების განვითარებისათვის. როგორ მოიქცეს მაშინ პარტია? კითხულობს კობა და იქვე უპასუხებს: „აი სწორეთ ამისთანა შესაძლებელი გარემოებისათვის **ეძლევა ერებს უფლება, რომლის ძალითაც ისინი ეცდებიან თავისი სურვილების თანახმად მოაწყონ (მაგალითად, „განთავისუფლდენ“) თავიანთი ნაციონალური საქმეები.....**

„ცხადია, თვით „უცხო“ ერებს უნდა მივანდოთ ჩვენ ამ კითხვის გადაჭრა, მათ ჩვენ უნდა მოუპოვოთ უფლება ამ კითხვის გადაჭრისა („თვითგამორკვევის“ უფლება რ. კ.). დეე თვით ერებმა გადაჭრან, როცა კი საჭიროება მოითხოვს მათგან, სასარგებლოა მათთვის (ერის პროლეტარული ნაწილისათვის რ. კ.) **თუ საზარალო** „ნაციონალური დამოუკიდებლობა“ და **თუ სასარგებლოა, რა ფორმაში უნდა განხორციელდეს ეს**... ჩვენ (ე. ი. ს.-დ. მუშათა პარტია ბოლშევიკებისა, რ. კ.) **ვალდებული ვართ შევეცადოთ,** რომ ამ ერთა (უკეთ ერის პროლეტარული ნაწილისა, რ. კ.) **სურვილები** ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური. რ. კ.) იყვეს, **რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასიური ინტერესებიდან გამომდინარეობდეს“.**

ერთი სიტყვით „კობას“ აზრით, თუ რუსეთის ჩაგრული ერის პროლეტარული ნაწილის შეგნებული კლასობრიეი ნება-სურვილი ერთგვარ „ნაციონალურ დამოუკიდებლობას“ მოითხოვს და იმავე დროს ეს რუსეთის ყველა ერების მუშათა შეკავშირების“ საქმეს არ

არღვევს, არ ეწინააღმდეგება, საზარალო არაა, არამედ „სასარგებლოა, მასთან შეთანხმებულია“, მაშინ პროლეტარიატის პარტია ვალდებულია ეს „სასარგებლო საქმე“ (ე. ი. „ნაციონალური დამოუკიდებლობა“ რ. კ.) შესაფერ ფორმაში და საჭირო დროზე განახორციელოს. (აქ მოყვანილი ციტატები ამოღებულია 1904 წ. გაზ. „პროლეტარიატის № 7-ში მოთავსებულ სტატიიდან: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა“).

რას სწერდა ამავე კითხვაზე 1905 წელს ბალშევიკური ს.-დ. ლეგალური ორგანო, ამხ. ფილიპე მახარაძის ჟურნალი „მოგზაური“. აი რას:

„... ერის უმრავლესობა, აი ვის მივმართავთ ჩვენ... ვინ არის ეს უმრავლესობა? ერის ის ნაწილი, რომელსაც ცხოვრებამ ხელიდან ყოველივე ჭონება გამოაცალა. ცხოვრების სახსრათ მათ მარტოოდენ სამუშაო ძალა შერჩენია და **ამ ძალით ჰქმნის სიმდიდრეს, ზრდის ერის კულტურულ ძალას...** (იხ. „მოგზაურის“ 1905 წ. № 2 სტ. „ჩვენ მკითხველებს“).

„... დღეანდელ პირობებში (1905 წელს) პროლეტარიატისათვის ავტონომია საზიანო და სახიფათოა. (იხ. „მოგზაურის“ იმავე წლის № 17).

„... რომ ენა (სამშობლო. რ. კ.), როგორც ჰაერი ყველასათვის საჭიროა, ამაზე მეტია ლაპარაკი, მაგრამ ვისაც ამ ნიადაგზე უნდა სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასების შეერთება, მორიგება ან შეთანხმება, ის ან განზრახ იბრმავებს თვალს და ან უნებლიეთ შეცდომაში შედის“.

...**ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი არსებობს, ისე როგორც არსებობს რუსის ან სხვა რომელიმე ერი. მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მთავარ ძალას წარმოადგენს არა ეროვნული საკითხი, არამედ კლასთა ბრძოლა...**

... „მთელი ქვეყნის მუშა ხალხის მიზანს შეადგენს ამ ზღუდეების (სახელმწიფოებრივი ზღუდეებს. რ. კ.) დანგრევა და ყველა ქვეყნების მშრომელთა (დაბეჭდილია „მმართველი“ რ. კ.) შეერთება **მაგრამ ამ ზღუდეების დანგრევა არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, ისეთ ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, რომელიც ბუნების, ე. ი. ფიზიკური პირობების შედეგია“.**

„ჩვენში შეხედულებით ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა, **მხოლოდ ნაციონალური ჭერქში** გახვეული. ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იგნებს მშრომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას. როცა შეერთდებიან (უკეთ-შეკავშირდებიან) ერთი მხრით თითოეული ერის ყველა მუშები და მეორე მხრით ყველა ერების მუშები ყველა

ჭაგვრელების წინააღმდეგ და დაამხობენ ბურჟუაზიულ წყობილებას, ბოლოს მოუღებენ კერძო საკუთრებას, დაჭირავებულ შრომას, **მაშინ საბოლოოთ გადაწყდება ეროვნული საკითხიც".**

„ასეთია მოკლეთ ჩვენი ტაქტიკა **დღეს** (უარყოფა. რ კ.) ეროვნული ავტონომიის შესახებ.... ჩვენის ფიქრით, ჯერ კიდევ (ეს 1905 წ.) არ დამდგარა ის დრო, **როცა ასეთი ტაქტიკის შეცვლა ჩვენი პარტიისათვის საჭირო იყოს...** (იხ. ჟურნალ „მოგზაურის" №№ 21 და 31—1905 წლ.).

როგორც ხედავთ 1905 წელს ბოლშევიკური ქართული მუშათა პრესა ერთხმათ აღიარებდა: 1) რომ ვიდრე რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა და წყობილება რუსეთის შემადგენელ ერების მუშათა კლასის შეერთებული ძალით არ დაემხობა, მანამ არც სასაგებლო და არც საჭირო არაა საქართველოს არა თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არამედ უბრალო დემოკრატიული ავტონომიაც კი: 2) ხოლო თუ პირობები შეიცვლება, თუ თვითმპყრობელობა და ბურჟუაზია დაეცემა, მაშინ რუსეთის შემადგენელ ერების პროლეტარულ ნაწილსაც უფლებაცა და ძალაც ექნება თავ-თავიანთ ერის ფარგლებში „ნაციონალური კითხვა" წამოაყენოს და ეროვნული საკითხი საბოლოოთ გადაჭრას, ვინაიდან „ქართველი ერი ისევე არსებობს, როგორც რუსის ერი და ყველა სხვა ერი".

მხოლოდ ერთი დიდი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა უნდა აღინიშნოს აქ: სახელდობრ ის, რომ როცა კობა **„ნაციონალური კედლების დანგრევაზე"** დაჟინებით გვეუბნება, მაშინ ფილიპე მახარაძე მხოლოდ სახელმწიფოებრივი ზღუდეების მოსპობას თვლის საჭიროთ. ეს კარგათ უნდა დავიხსომოთ.

ახლა მიუბრუნდეთ პარტიულ უთანხმოების საკითხს და ჩვენში ამ ნაიდაგზე გამართულ ბრძოლის დასაწყისს.

1905 წლის დამდეგს, დაიწყო რუსეთში რევოლიუცია თუ არა, ნოე ჟორდანია ევროპიდან ჩამოსული ბათუმში გაჩნდა და იქ კობა ჯუღაშვილის მიერ მოწყობილ „მუშათა წრეებში" მენშევიკური ლექციების კითხვა დაიწყო. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ იდეოლოგიურათ გაუმაგრებელი მუშების ყალბ გზაზე დაყენება ადვილი იყო, მით უფრო ევროპაში განსწავლული „მარქსისტისათვის", რომელიც თავიდანვე მუშებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან ბათუმის მუშები ერთბაშათ მიიმხრო. ეს პირველი გამარჯვება იყო მისი, ისეთი გამარჯვება, რომ ამის გავლენით ისეთი „გაკაჟებული ინტელიგენტი ბოლშევიკები", როგორადაც მაშინ თავს ნოე ხომერიკი და ნოე რამიშვილი თვლიდენ, ერთბაშათ გამენშევიკდენ.

ნოე ჟორდანია ლექციების გარეშე იმავე დროს ლეგალურ ორგანოდანაც იერიშით წავიდა და პარტიულ უთანხმოებაზე პოლემიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატეხა; და რადგან მას მაშინ საკუთარი ორგანო არ ჰქონდა, თავისი პატარა წერილი—„რა არის პარტია" ფ. მახარაძის ჟურნალ „მოგზაურის" მე 6 №-ში ანის ფსევდონიმით მოათავსა. ის სწერდა:

„რა არის პარტია?—ადამიანთა იმ კრებულს, რომელიც ისახავს საერთო მიზანს და მიზნის განსახორციელებლათ ერთად მოქმედებს, ეწოდება პარტია. მაშასადამე პარტიის დამახასიათებელი თვისებაა საერთო მიზანი და საერთო მოქმედება. ხოლო მოქმედება კი არ შეიძლება უპლანოთ, უსისტემოთ, უარგანიზაციოთ. **ორგანიზაცია ეს ის ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია პარტია. შეიძლება მას არ ჰქონდეს მკაფიოდ გამორკვეული პროგრამა, დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას.** მაგრამ თუ მას რაიმე ორგანიზაცია არა აქვს, თუ ის მოქმედების ორგანოს მოკლებულია—მას არსებობა ერთ დღესაც არ შეუძლია"...

ამის საწინააღმდეგოდ იმავე ჟურ. „მოგზაურის" იმავე №№-ში „ს" ფსევდონიმით ალ. წულუკიძემ თავის წერილში—„პატარა შენიშვნა დიდ კითხვაზე" შემდეგი დებულება წამოაყენა.

„სწორეთ გარკვეული პროგრამა და დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკაა საჭირო ნამდვილი პარტიის შესაქმნელად".

1905 წლის შემდეგ თვეებში, როცა ნოე ჟორდანიამ ამ მიზნით თავისი საკუთარი არა-ლეგალური ორგანო—„სოციალ-დემოკრატი" დაიარსა და იქედან მიიტანა იერიში ქართველ ბოლშევიკებზე, მაშინ კობამ თავისი „პროლეტარიატის ბრძოლის" მწვერვალიდან გამანადგურებელი ყუმბარები დაუშინა მას და შემდეგი მომაკვდინებელი საბოლოო პასუხი გასცა:

„დღევანდელი ცხოვრება,—სწერდა ის, კაპიტალისტურათაა მოწყობილი; აქ ორი დიდი კლასი არსებობს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. შეგნებაც (სხვანაირათ—იდეოლოგია რ. კ.) ორნაირი **მუშავდება**: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის გარემოებას (უკეთ მდგომარეობას რ. კ.) სოციალისტური შეგნება შეეფერება; ამიტომ პროლეტარიატი იღებს ამ შეგნებას, ითვისებს და გაორკეცებული მოხერხებით ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას... **ახლა კითხვა იმაშია, თუ ვინ იმუშავებს... ვის შეუძლია შეიმუშაოს სოციალისტური შეგნება** (ე. ი. მეცნიერული სოციალიზმი)...

„სოციალისტურ შეგნებას ამუშავებს ზოგიერთი ინტელიგენტი-სოციალ-დემოკრატი; ხოლო მუშათა მოძრაობაში შეაქვს ეს შეგნება მთელ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც შეგნებულ ხასიათს აძლევს პროლეტარიატის სტიქიურ ბრძოლას". (იხ. 1905 წლის „პროლეტ. „ბრძოლის" № 11 სტატ.: პასუხათ „სოციალ-დემოკრატს" (აქ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ მთავარ დებულების

დასამტკიცებლათ კობა უმთავრესად კარლ კაუცკის მოსაზრება-სა-ბუთებს იმოწმებს).

ამნაირათ „ძველ ისკრაში“ ლენინის მიერ წამოყენებულმა დებულებამ „სოციალ-დემოკრატია—მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის შეერთებაა“ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში იმ დროს (1905 წელს) მშვენიერი გამოხატულება ჰპოვა.

ამ დღიდან საქ. ს.-დ. პარტიაში დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის, გაჩაღდა ჩვენშიაც ფრაქციული ბრძოლა და რამდენათაც ისტორიამ ბოლშევიკური ს.-დ. ფრაქცია მუშათა პარტიათ აქცია, იმდენათ იმ დღიდან მუშათა მწერლობათ შეიძლება მხოლოდ ამ (ე. ი. ბოლშევიკური) ფრაქციის მწერლობა ჩაითვალოს. ამიტომ საჭიროა ს.-დ. მწერლობის ბოლშევიკური შტო გამოვყოთ და მხოლოდ ეს შტო ავწეროთ, როგორც მუშათა ქართული მწერლობის გამომხატველი.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც გვაიძულებს ყურადღება მივაქციოთ და ავწეროთ, აგრუსხოთ ქართული ს.-დ. ის ორგანოებიც, რომლებიც ორივე ფრაქციას შეერთებულათ გვიხატავენ. იყო ისეთი მომენტები, როცა ორივე ფრაქციას საერთო ორგანოები ჰქონდა და ამ შემთხვევებში საერთოდან მუშათა ფრაქციის ორგანოს გამოცალკევება ყოველათ შეუძლებელია. ასეთი დრო იყო მაგალითად 1906—7 წლ. და შემდეგ რამდენიმეთ 1908—16 წლებშიც. ამნაირათ მუშათა მასიური ამოძრავების პირველ ხანებშივე (1900—05 წლებში) გამოირკვა, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიაში, ისე როგორც რუსეთისაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: მენშევიკურმა და ბოლშევიკურმა. პირველის ორგანოა „სოციალ-დემოკრატი“ და „კვალი“, ხოლო მეორის „პროლეტარიატის ბრძოლა“, „მოგზაური“ და 1906 წელს დაარსებული „ახალი დროება“. პირველი მიმდინარეობა, ე. ი. მენშევიკური ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ამოძრავებული ხალხი ლეგალურ გზაზე შეაყენოს, მისი რევოლიუციური ტემპი შეანელოს და იგი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად ერთ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ კალაპოტში მოათავსოს.

ხოლო მეორე, ე. ი. ბოლშევიკური სულ წინააღმდეგ ამისა, იბრძვის, რომ ამოძრავებულ მუშა ხალხს რევოლიუციისაკენ გზა გაუნათოს და რევოლიუციური თავდადებული ბრძოლით წინ წამოუძღვეს სოციალიზმისაკენ. პირველი, ცხადია, ოპორტიუნიზმის გამოხატულებაა, ხოლო მეორე რევოლიუციონიზმის.

როგორც მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, ყველა ქვეყნებში მუშათა მოძრაობას ეს ორი მიმდინარეობა თანა სდევს და ეს იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობა, ისე როგორც სხვა ყოველივე მოძრაობა, დიალექტიკურ კანონს ექვემდებარება. ის ერთ

და იმავე დროს სტატიურიც არის და დინამიურიც, ე. ი. მუშათა კლასი თავის მოძრაობაში უკვე მოპოებულ პოზიციაზე დგება, მაგრდება და იმავე დროს ის კიდეც წინ-წინ მიიწევს, წინ მიეჭანება და მისი ეს წინ გაჭანება ჰქმნის რევოლიუციას, ეს არის მისი რევოლიუციონიზმი, ხოლო უკვე მოპოებულ პოზიციებზე მისი გამაგრება არის მისი ოპორტიუნიზმი, სხვანაირათ მისი „რეფორმიზმი", ანუ „ტრედიუნიონიზმი".

ამ სახით მუშათა მოძრაობა რევოლიუციონურიც არის და ოპორტიუნისტულიც, ე. ი. „რეფორმისტული", და ვინც მუშათა მოძრაობის ოპორტიუნიზმს აქტიურათ ხელს უწყობს და იმავე დროს ხმა მაღლა გაიძახის, როგორც ამას მენშევიკები ჩადიოდენ, ეს ნამდვილი და უკეთესი რევოლიუციონერობაა, იგი რევოლიუციის და რევოლიუციონერების ყველაზე უარესი, უმსგავსი, შემპარავი ძლიერი მტერია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მენშევიზმი და მეორე ინტერნაციონალი დღემდე გაჭრებოდა.

ბოლშევიკები, როგორც რუსეთის მოძრაობის ისტორიიდან ვიცით, მუშათა პროფკავშირებში, კოოპერატივებში და სხვაგან მენშევიკებთან შედარებით გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავდენ, მარა ეს მათ რევოლიუციონერობათ როდი გამოჰქონდათ.

საქართველოს მუშათა მოძრაობაც ამ საერთო კანონს ექვემდებარება. ცხადია, ამიტომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიაც ორათ გაითიშა: ერთია ჩვენებური ოპორტიუნიზმის, ცრუ, ყალბი რევოლიუციონიზმის გამომხატველი, ხოლო მეორეა ჭეშმარიტი რევოლიუციონიზმის მატარებელი. და რადგან ეს ჭეშმარიტი რევოლიუციონიზმი არის ნამდვილი მტერი და დამამხობელი ყოველნაირი ბურჟუაზიის, ხოლო ოპორტიუნიზმი, ე. ი. ცრუ და ყალბი რევოლიუციონიზმი ნუგეშის მცემელია და დამაიმედებელი იმავე ბურჟუაზიის, ამიტომ ეს უკანასკნელი შიშით და ძრწოლით კბილთა ღრჭენით შეჰყურებს პირველის მატარებლებს, ე. ი. ბოლშევიკებს, ხოლო ტაშს უკრავს და სიხარულით ეგებება მეორის წარმომადგენლებს, ე. ი. მენშევიკებს. ჩვენს ცხოვრებაშიაც ასე მოხდა.

ბოლშევიკების მხარეზე დადგენ რევოლიუციონური მუშები და რევოლიუციონური პროლეტარ-ინტელიგენტები, ხოლო მენშევიკებს გაჰყვენ წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიით გაჟღენთილი ოპორტიუნისტულ მოძრაობაში ჩაბმული მუშები და მათი გამომხატველი დემოკრატიული ინტელიგენცია, ყოველნაირი ბურჟუაზიული ელემენტები და ბოლოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

და რადგან ქართველი ხალხი თავისი სოციალური სტრუქტურით წვრილი მწარმოებელი ხალხია, რადგან მუშათა კლასი რიცხვითაც მცირეა და მისი ფსიხოლოგია წვრილ-ბურჟუაზიული, მესჩანუ-

რი იდეოლოგიური გავლენის ქვეშ იმყოფება, ამიტომ ჩვენში ერთ დროს მენშევიკური სოციალ-დემოკრატიამ გაიმარჯვა და ცხოვრებას სადავეები ხელში დაიჭირა. ეს მოხდა 1905 წლის ოქტომბრის შემდეგ, უფრო კი მოსკოვის (დეკემბრის 1905 წ., 2 დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ.

რამდენათაც 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების დღეებს უახლოვდებოდით, იმდენათ ჩვენში მენშევიკები მრავლდებოდენ და მაგრდებოდენ, ასე რომ დეკემბრის დღეებში ისინი აჯანყებაზე იმდენათ არ ზრუნავდენ, რამდენათაც „ერთი კარგი ლეგალური სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის გამოცემაზე".

და აი ისინი ისევ ნოე ჟორდანიას მეთაურობით იკრიბებიან (ტფილისში) დეკემბრის პირველ რიცხვებში, სწორეთ იმ დღეებში, როცა მოსკოვის ქუჩებზე მუშების სისხლის რუები სდიოდა, და ყოველ-დღიური ლეგალური დიდი გაზეთის გამოცემას აწყობენ. მათი გაზეთის, „სხივის" პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 17 დეკემბერს, სწორეთ იმ დღეს, როდესაც მათი „რევოლიუციური შტაბის" ბელადის, სილიბისტრო ჯიბლაძის „გამჭრიახი" „სტრატეგიის" წყალობით გენერალ გრიაზნოვის კაზაკების სისხლიანი ხელით ნაძალადევში ცხრა რევოლიუციონერი გმირი—მუშა დაიღუპა.

ჩვენი მუშათა კლასისათვის და რევოლიუციისათვის ეს დღე გლოვის დღეა, ეს დღე ცხრა ძმა გმირი მუშის წმინდა ხსოვნის დღეა, ხოლო მენშევიკებისათვის ეს მათი ბვჭვდითი ორგანოს დაარსების დღე იქნება. ასე იყო და სამწუხაროთ დღესაც ასეა: როცა მუშები გლოვობენ, მაშინ მათი მტრები დღესასწაულობენ.

ცხადია, 1905 წლის რუსეთის რევოლიუციის ბედი, რუსეთსავე „ძალთა ჰიდილმა" გადაჭრა და მასზე ჩვენებური „მოძრაობა" ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა. მაგრამ ჩვენებურ „ძალთა ჰიდილს" და ამ ჰიდილში მენშევიკური ოპპორტიუნიზმის გამარჯვებას, ვამტკიცებთ ჩვენ, საქართველოს მუშათა კლასისათვის „საბედისწერო" შედეგი მოჰყვა: ქართველი მუშები საერთოდ ამ გამარჯვების შემდეგ მენშევიზმის გავლენის ქვეშ დღესაც (1902 – 23 წ.) იმყოფებიან.

თუ ბოლშევიკური ტრადიციის გავლენის ქვეშ თვით მენშევიკების ჩვენებური ლიდერიც, ნოე ჟორდანიაც კი იმყოფებოდა (1908—13 წლები მოიგონეთ შავი „რეაქციის" დროის მისი პოზიცია, – „ბოლშევიზმისა და მენშევიზმის სინტეზის თეორია") ახლა ჩვენდა სავალალოთ ჩვენი მუშათა კლასი ამ ერთ დროს მენშევიკების ჩვენში გამარჯვებას და მის მენშევიკურ ტრადიციას ემორჩილება

როგორ შეჰქმნეს მენშევიკებმა ეს საბედისწერო ტრადიცია ჩვენში?

ამის შექმნაში, ვფიქრობთ ჩვენ, უდიდესი და უმთავრესი როლი შეასრულა მენშევიკურმა ქართულმა პრესამ, რომელსაც ისინი მუშათა პროლეტარულ პრესას ეძახდნენ, ნამდვილად კი ის მხოლოდ ნაციონალისტურ დემოკრატიული იყო. ამას გვიმტკიცებს ჩვენ ანალიზი და განხილვა ყველა იმ ორგანოებისა, რომლებიც 1905 წლის დეკემბერში მენშევიკების მიერ დაარსებულ „სხივის“ გაგრძელება იყო და რომლებმაც მათ მიერვე 1917 წელს გაზეთ „ერთობის“ დაარსებით და ამ გაზეთის 1921 წლის თებერვალში სიკვდილით თავისი სიცოცხლის დღენი დაასრულეს

როგორც ხედავთ 15 წელიწადზე მეტი იბატონა და იმეფა ჩვენში მენშევიკურმა პრესამ. ეს საკმაო დროა, დამეთანხმებით, იმისთვის, რომ პრესამ ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი აზრი“ შექმნას.

მართალია, ამ ხნის განმავლობაში იყო ისეთი მომენტები, როცა ბოლშევიკური პრესაც არსებობდა: ხან დამოუკიდებლათ, ხან მენშევიკებთან შეერთებული (საერთო ორგანოები), ხან აშკარა და ლეგალური, ხან არა-ლეგალური. და ამ სახით მასაც ერთგვარი გავლენა ჰქონდა ქართველ მკითხველებზე, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთი იყო იმ ლიტერატურულ ტბაში, რომელიც მენშევიკებმა დააყენეს ჩვენში.

და ამ ნაირად „მუშათა პრესისთვის“ ბრძოლაში მათ თითქო პირველობა დაიმსახურეს, და ამით ერთგვარი ალმოუფხვრელი ილიუზია და ტრადიცია შექმნეს. რუსეთში კი ამის სულ წინააღმდეგი მოხდა.

იქ ნამდვილი მუშათა პრესის ისტორია და ტრადიცია ბოლშევიკებმა შექმნეს; იქ ბოლშევიკებმა ჯერ ისევ 1905 წელში მუშათა დამოუკიდებელი პრესა დაარსეს და როცა მისი გაგრძელება „შავი რეაქციის“ გამო რუსეთში არ შეიძლებოდა, ევროპაში გადაიტანეს: ლეგალურ მდგომარეობიდან არა-ლეგალურზე გადავიდნენ და ეს მხოლოდ 1912 წლის 22 აპრილამდე. ამ წელს კი, როგორც ვიცით მუშების „გროშებით“ და მათი ახლო მონაწილეობით დღიური გაზეთი „პრავდა“ დაარსდა, რომელიც დღესაც, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგაც, ღირსეულათ ემსახურება რუსეთის მუშათა კლასს, რუსეთის პროლეტარიატს.

რათ მოხდა ეს ასე, და არა სხვანაირათ: რატომ ჩვენში ბოლშევიკური პრესა ვერ გაძლიერდა, რატომ მან ჩვენში პრესის ისტორია და ტრადიცია ვერ შექმნა?

— არა მარტო იმიტომ, რომ იქ რუსეთში მრავალ მილიონიანი სამრეწველო პროლეტარიატი იყო, ხოლო ჩვენში კი არა, არა მარტო იმიტომ, რომ იქ შეგნებული, მომზადებული რევოლიუციონური მუშები ათასობით ითვლებოდა, ხოლო ჩვენში კი ასობითაც არ იყო, არა

მარტო იმიტომ, რომ იქ სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ფრაქცია შეუდარებლათ ძლიერი იყო, ხოლო ჩვენში კი, მხოლოთ ათეული კაცისაგან შედგებოდა, არამედ იმიტომაც, რომ იქ, რუსეთში ყოველივე ბოლშევიკურს, განსაკუთრებით მწერლობას, ისეთი ხელი და კალამი ხელმძღვანელობდა, როგორსაც წარმოადგენდა ვლადიმერ ლენინი-ულიას ძე, ხოლო ჩვენში კი ყოველივე მენშევიკურს, განსაკუთრებით მწერლობას სათავეში ედგა და მესვეურობდა ლენინის მოძულე, ჩვენებური „პლეხანოვი", ნოე ჟორდანია. რომელიც თავისი კალმით, ერუდიციით და „დიპლომატიური ხრიკებით" ჩვენს მწირ ნიადაგზე „დიდ ვინმეს" წარმოადგენდა.

დიდი ოპპორტიუნისტული ძალა მოევლინა საქართველოს ნოე ჟორდანიას სახით 1905 წლის დასაწყისს ბათუმში და ისიც „მარქსისტის" „რევოლიუციონერის", საზღვარგარეთ „განსწავლულის" სახით.

ტყვილა კი არ მიაქცია ლენინმა ყურადღება ცნობილ „ანს", როშლის ნიღაბ ქვეშ ნოე ჟორდანია იმალებოდა და რომლის წინააღმდეგ მან ისე სასტიკათ გაილაშქრა თავის ჟურნალ „მისლში" „შავი რეაქციის" ხანაში (დაბოლოებით 908-10 წლებში). ის თავის დროზე მიხვდა, რომ ნოე ჟორდანია საქართველოს შავს დღეებს უმზადებდა. მაგრამ რა უნდა ექნა: მას საქართველოში მასზე ხელი არ მიუწვდებოდა. „ადგილობრივ კურდღელს ადგილობრივი მწევარი იჭერს ხოლმე". საჭირო იყო ეს „მწევარი", რომელიც ადგილობრივ კურდღელს ე. ი. ნოე ჟორდანიას დაიჭერდა, ჩვენშივე აღმოჩენილიყო.

აი ამ გარემოებას რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ გადამჭრელი მნიშვნელობის მაინც **ის მოვლენაა, რომ ბოლშევიკური მიმდინარეობა ჩვენში თავიდანვე თავისივე წიაღში ერთ დიდ სისუსტეს ატარებს საერთოდ, სახელდობრ იმას, რომ ჩაგრული ერის ქვეყანაში „ნიჰილისტურ და კოსმოპოლიტურ" მიდრეკილებას იჩენს.**

სწორეთ ასეთი მიდრეკილება გამოიჩინეს ჩვენში, ჩვენი ბოლშევიზმის ყველა ლიდერებმა 1905—7 წლებიდანვე.

„კობა" მაგალითად, ბაქოში გადასახლდა და იქ „ბაკინსკი პროლეტარი" დაარსა, ფილიპემ ეროვნულ საკითხში კოსმოპოლიტიზმი წამოაყენა წინ, ხოლო მიხამ საქართველოს ვიწრო ფარგლები სულ ვერ აიტანა და მის საზღვრებს იგი ათი-თორმეტი წლით სულ გაშორდა, ევროპაში გადასახლდა.

ამნაირათ მუშათა ქართული პრესის ასპარეზი ჩვენმა ბოლშევიკებმა მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ თავისივე ნებით (1905—6 წლ.) დატოვეს და მენშევიკებს ჩაუგდეს ხელში. მხოლოდ და მხოლოდ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ 1906—7 წლამდე მუშათა ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლობაში გაძლიერებული ბოლშევიზმი 1908 წლიდან 1917 წლის მაისამდე თითქმის აღარა სჩანს და ჩვენებური ბოლშევიკები მხოლოთ რუსულ მწერლობით კმაყოფილდებიან.

ამნაირათ ისტორიული ფაქტი შემდეგს გვეუბნება: **ვიდრე ბოლშევიზმი ჩვენში ქართულ, ე. ი. ადგილობრივ მუშათა ნიადაგზე იდგა, იგი ჩვენშიაც ძლიერი იყო, ხოლო როცა ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტიზმის გზას გაჰყვა, მაშინ იგიც და მისი გამომხატველი პრესაც დასუსტდა და გაჰქრა. ამას გვასწავლის ჩვენ აღნიშნულ ხანის ჩვენი პრესის ისტორია.**

როგორც ზემოთ ვთქვით, შემდეგი ხანა, „შავი რეაქციის" ხანა მენშევიკური პრესის გაბატონებით ხასიათდება, მაგრამ რამდენადაც ეს საერთო მენშევიკური პრესა ჯერ კიდევ ბოლშევიკურ ელემენტებსაც შეიცავს, იმდენათ ის ნამდვილ მუშათა პრესათ ჩაითვლება, იმდენათ ის ღირსია ისტორიულათ შესწავლისა; აქედან საჭიროა მხოლოთ გამოვყოთ, გამოვაცალკეოთ ეს ბოლშევიკური ნაწილი, გავითვალისწინოთ მისი მსვლელობა და ვითარება და ამნაირათ **„წარსულსა და აწმყოს შორის გაწყვეტილი ძაფი გამოვნასკვოთ,**

(შემდეგი იქნება)

განყოფილება

II

მთგთნებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ბინდაძე

ჩემი მოგონებანი

1903 წ. 1920 წლამდე.

1906 წ. ტფილისში მუშაობა.

(გაგრძელება)

1906 წლის პირველ თვეებში განსაკუთრებით თებერვლის ბოლო რიცხვებში, მარტში და აპრილში ტფილისი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. რეაქცია საზარლათ მძვინვარებდა. ქუჩაში გაელა საშიში იყო. ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩხრეკა და დაპატიმრება. დაჭერილების გზაში ციხემდის ხოცვა. შეურაცხყოფას, დამცირებას, ადამიანის პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. „მკვდრეთით ამდგარი“ ძველი მთავრობა შურს ძიობდა. ბატონობდა სამხედრო უწყება. არავითარ კანონიერებას და სამართალს ადგილი არ ჰქონდა. მთავრობის ასეთმა ყოფა-ქცევამ გამოიწვია ჩვენს ორგანიზაციაში ტერორისტული მიმდინარეობა. ჯერ თვით ორგანიზაცია—ტფილისის კომიტეტი—აწყობდა ამ დროს ტერორისტულ აქტებს მთავრობის უფრო გამოჩენილ პირებზე, გენერლებზე, ჯაშუშებზე. მახსოვს მეც დამავალეს ერთი ჯაშუშის მოკვლა, რომელიც მიხაილოვის პროსპექტზე „სხივის“ რედაქციას სდარაჯობდა. მიუხედავათ იმისა, რომ მე ქალაქს არ ვიცნობდი და ტერორისტულ აქტზე არას დროს არ ვყოფილვარ, მაინც წავედი მარტოდ მარტო. დვინახე, რომ ჯაშუში ურცხვად დგას რედაქციის შესახვევთან და ყველა შემსვლელ გამომსვლელებს ათვალიერებს და იმახსოვრებს. მივეპარე ზურგიდგან, დაუმიზნე უკან გულის პირდაპირ, დავკარი და არ გავარდა. გამოვბრუნდი, გამცდარი პატრონა გამოვაგდე, ახალი მივეცი პირში და ხელმეორეთ ვესროლე, კიდევ არ გავარდა. კიდევ გამოვბრუნდი და ახალი პატრონა რომ მივეცი პირში და მივბრუნდი შეხედე, რომ იქვე გვლილ ორ „წესიერების დამცველს“ გორო-დავოს გაჰყვა თავი დავანებე და გამცდარ პატრონებს დაუწყე ძებნა, მინდოდა გამეგო რა იყო მიზეზი რევოლვერის მტყუნებისა. ამ დროს თავს წამომადგა გიგუცა პარკაძე, რომელსაც აუხსენი რაში იყო საქმე. დღე იყო, ხალხი ხედავდა ჩემს მოქმედებას, მაგრამ ისე ძლულდათ რეაქციის დამცველები, რომ არავის ხმა არ ამოუღია.

თითონ ჩემმა სამსხვერპლომაც ვერა გაიგო, რადგან ბრაუნინგის ტყუენების დროს ხმას არ იძლევა და თან ქუჩის ხმაურობა—ტრამვაის ეტლები, დროგები და სხვები სავსებით აყრუებდა ყველაფერს. ამავე დროს ამბ. არსენა ჯორჯიაშვილს მინდობილი ჰქონდა გენერალ გრიაზნოვის მოკვლა. აქტის სისრულეში მოყვანა ამბ. ჯორჯიაშვილს დაავალიანდა. დამიძახა კობამ (დღეს სტალინმა) და მითხრა: მოამზადე რამოდენიმე ყოჩაღი ბიჭები და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა, შემდეგ შენ მოგანდობთო. მე ძალიან გამეხარდა. დავამზადე კიდევ ორი ამხანაგი და ველოდებით ერთი კვირას. ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავის მინდობილობა და მე კი დამტოვა პირღია. გრიაზნოვის მოკვლამ კიდევ უფრო გააწყმატა მთავრობა. რეპრესიები უფრო გაძლიერდა.

ამ დროს მენშევიკ-ბოლშევიკები ერთ ორგანიზაციაში მუშაობდნენ, მხოლოდ პარტიაში ნება დართული იყო კამათი ჩვენში ტაქტიკური განსხვავების შესახებ, ერთ და იმავე გაზეთებშიდაც იბეჭდებოდა სადისკუსიო წერილები. ემზადებოდნენ შემაერთებელი ყრილობისათვის. ამიერ კავკასიამ, ბაქოს გარდა, უმრავლესობა მენშევიკები მისცა.

ყრილობა გათავდა. დაბრუნდნენ დელეგატები. თუმცა შეერთება ფორმალურად მოხდა, მაგრამ არსებითად ეტყობოდა ჩვენი ერთ ორგანიზაციაში მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენ ბოლშევიკები პარტიაში დაჩაგრულ ნაწილს წარმოვადგენდით, რადგან მენშევიკები სჭარბობდა და მათი ხაზი ტარდებოდა.

ჯერ კიდევ ერთად ვმუშაობდით, როდესაც მენშევიკების თაოსნობით შესდგა ეგრედ წოდებული ექსპროპრიატორების ჯგუფი. ჯერ ერთი ჯგუფი შესდგა, რომლის ხელმძღვანელად მე დამნიშნეს. ბოლშევიკებს, რასაკვირველია, სახელმწიფო ექსპროპრიაციის წინააღმდეგ არაფერი ექნებოდათ. ორგანიზაციას, რომელშიდაც მენშევიკები უმრავლესობას შეადგენდნენ, გამოყოფილი ყავდათ ჩვენი ჯგუფის სახელმძღვანელოდ მაშინ ამხ. ბანუსიანი. ამას უნდა მიეთითებია ჩვენთვის თუ სად და რა სახელმწიფო ქონება გაგვეტაკებინა. შემაერთებელი ყრილობის გათავების შემდეგ, რომელზედაც ექსპროპრიაცია მენშევიკების წყალობით დაგმობილი იყო, მე შევეკითხე ამხ. ბანუსიანს: შეგეძლია თუ არა აწი ,,ექსების" გაკეთება, რას ამბობს ამის შესახებ ნოე ჟორდანია... მან მიპასუხა სიტყვა სიტყვით შემდეგი: ,,თუმცა ყრილობამ ოფიციალურად უარყო, მაგრამ შინაურულად ადგილობრივ ორგანიზაციებს მიანდო, სადაც შესაძლებელი იქნება, შეიძლება ,,ექსები"-ს გაკეთებაო, ნოე ჟორდანიაც ამ აზრისაა და თანახმაა ჩვენი მუშაობის გაგრძელებისო". ჩვენც შეუდექით საქმეების მოწყობას, მაგრამ ბანუსიანი ვერ გამოდგა კარგი ორგანიზატორი

და ვერას დროს ხელიანი კაცშირი ვერ მოგვცა. მაშინ მე ლადოსთან ვცხოვრობდი. ერთხანს კიდევ უცქირე ბანუსიანის ხელმძღვანელობას და ბოლოს, როდესაც არაფერი გამოვიდა, მივანებე თავი და გადავწყვიტე ცალკე წმინდა ბოლშევიკური ჯგუფი შემედგინა. თუ რამეს გავაკეთებ უმჯობესია ფრაქციის სასარგებლოდ წავიდეს მთლიანად, ვიდრე იმ ორგანიზაციის, რომელშიდაც მენშევიკები უმრავლესობას შეადგენდა. ჩვენი მოწინავე ამხანაგები ამ აზრს დაეთანხმა, განსაკუთრებით კობა (სტალინი), მაგრამ თუ რამეს მოწყობა გვინდოდა— ამისათვისაც ფული იყო საჭირო, რაც ჩვენ ფრაქციას არ გააჩნდა.

მივიღეთ ცნობა, რომ ქალაქის ლომბარდში რამოდენიმე ათასი მანეთი არისო. რამოდენიმეჯერ სცადეს მენშევიკებმა მისი გატაცება მაგრამ ვერ მოახერხესო. ჩვენ გადაწყვიტეთ ჩაგვედინა გიჟური საქმე. წავედით სამი ამხანაგი... მე, ე. ლომინაძე და ვანო კალანდაძე. დილის ათი საათი იქნებოდა. შევედით ლომბარდში და დაუწყეთ ცდა მისაღებ ოთახში. აქ უნდა გაეტარებიათ ყუთით ფული. სამივე რეველვერებით ვართ შეიარაღებული. თერთმეტის ნახევარზე შემოიტანეს ყუთი, ჩვენ ვეცით და წავართვით ყუთი, მაგრამ ერთმა მათგანმა გამოსავალი კარები ჩაგვიკეტა. ის იყო ამხანაგ ვანოს უნდა მოეკლა ის, რომელიც კარებს ებღაუჭებოდა, მაგრამ არ დავანებეთ ყურადღება ფანჯრებიდან გადავხტეთ და წავიღოთთქვა. იმათაც ამჯობინეს ეს აზრი. გავამტერიეთ ველიამინოვის ქუჩის მხრით მინის კედლები და სამივენი სროლით გადავხტით ქუჩაში, ერევნის მოედნიდან „წესიერების დამცველებმა“ საშინელი სროლა ატეხეს. მაგრამ ჩვენ ვისარგებლეთ ატეხილი ხმაურობით და ქუჩაში ხალხის არევ-დარევით და უგზო-უკვლოთ მივიმალეთ, თან ყუთი რასაკვირველია, ყუთი ხელიდან არ გაგვიშვია. წავიღეთ, მაგრამ მოტყუებული დავრჩით: რამოდენიმე ათასის მაგივრად აღმოჩნდა $2^1/_2$ ათასი. ამ ფულების ნაწილი გადავეცით ფრაქციას. ის იყო პირველად გამოვიდა ჩვენი ფრაქციული გაზეთის „ბრძოლის“ პირველი ნომერი. ნაწილი ფულის ფონდად გადავდეთ კიდევ უფრო სერიოზული „ექსის“ მოსახდენათ. ეს აქტი, თუ არ ვცდები, 1906 წლის მაისში მოხდა. ზაფხულის განმავლობაში ვაწყობდით კიდევ სხვა საქმეებს. მაგრამ ტფილისში არაფერი გამოდგა.

მენშევიკებმა სამჯერ სცადეს „ექსების“ გაკეთება, მაგრამ ვერ მოახერხეს: ყარსის გზაზე საფოსტო მატარებელს დაესხენ, სადაც მოკლულ იქნა კარპეზ ჯიბლაძე—გამოჩენილი მეშა მენშევიკი, მაგრამ ფული ვერ გაიტაცეს. თელავის გზატკეცილზე მოახდინეს კიდევ თავდასხმა, სადაც 6 ათასი წაიღეს, მხოლოდ მენშევიკების ორგანიზაციას ძლიერ ცოტა ხედა, რადგან მეტი ნაწილი თვით მომჭედმა პირებმა დაინაწილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ჯერ ვსდუმვართ და ვემზადებით „ექსებისათვის“. ჯგუფი გავადიდეთ, სადაც შევიყვანეთ რამოდენიმე ჰიათურელი ყოფილი წითელ-რაზმელები.

რომ პირტიულ ამხანაგებს სწორი შეხედულება ჰქონდეს ჩვენს მაშინდელ მოქმედებაზე, საჭიროა გავაშუქოთ პარტიის შეხედულება ექსპროპრიაციაზე. იმ დროს ორი მიმართულება არსებობდა პარტიაში ამ კითხვების შესახებ: მენშევიკები გმობდენ ექსებს (თუმცა ტფილისში კი აკეთებდენ) იმ მოსაზრებით, რომ ექსები პარტიულ ამხანაგებს რყვნისო, ეჩვევა მუქთა ხორობას, პირდაპირი პარტიული მუშაობიდგან ხრის ცარცვა-გლეჯისაკენ, ფსიხოლოგია უფუქდება და ბოლო ხენებში „ექსებსაც“ პარტიული ელფერი ეკარგებაო.

ბოლშევიკები სულ წინადმდეგი აზრისანი იყვნენ: სახელმწიფო „ექსები“ და ხანდახან ტერორისტული აქტებიც პარტიზანულ ომის ნაწილია, რომელსაც ერთგვარი დეზორგანიზაცია შეაქვს მთავრობის მეხანიზმში. ცხოვრებაში მაინც სდგება ექსპროპრიატორთა ჯგუფები ჩვენივე ამხანაგებისაგან. ხდება „ექსები“ ბევრი ჩვენი ამხანაგი, რომლებიც იძულებული არიან რეაქციის შემდეგ იმალონ, რადგან მათ მთავრობა მგლებივით სდევნის, ტყეს თავს აფარებენ და უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებიან. ისინი პარტიის დაუკითხავათ, ორგანიზაციის უნებართვოთ ახდენენ „ექსებს“, ამისათვის საქმეს იპერენ ხშირად ცუდ ადამიანებთან, რომლებიც მათ რყვნიან, მათ არა აქვთ შესაფერი კავშირი მთავრობის დაწესებულებებთან, არა ყავთ კარგი ხელმძღვანელები, ამიტომ პარტიული ძალები იქსაჭსება, ცუდ გზას ადგება, პარტიას აკლდება მებრძოლი ელემენტები და ამით ის დიდათ ზარალობს. ამიტომ საჭიროა თვით პარტიამ აიღოს ეს საქმე ხელში, უხელმძღვანელოს გაასპეტაკოს თვით მათი რევოლიუციონური აქტები, იდეური საფუძველი დაუდგას „ექსებს“, ამით ჩვენ შევძლებთ მებრძოლი ამხანაგების შენახვას, რომლებიც რევოლიუციის მეორე აფეთქების დროს დაუფასებელ სამსახურს გაგვიწევენ; დღეს დღეობით კი რეაქციის ხანაში პარტიას მატერიალურ სარგებლობას გაუწევენ, მთავრობის დეზორგანიზაციას მოახდენენ, მით უმეტეს, რომ ჯერ რევოლიუცია დამთავრებული არაა და პარტიზანული გამოსვლები აუცილებელიაო. ასეთი შინაარსის წერილები იბეჭდებოდა იმ დროს როგორც მახსოვს არა-ლეგალურ ჟურნალ „პროლეტარში“. ეს აზრი იმ დროს ზედმიწევნით სწორი იყო. ავიღოთ საქართველო, სადაც ყველა კუთხეებში შესდგა პატარ-პატარა პარტიზანული ჯგუფები, რომლებიც მიტოვებული იყო პარტიისაგან ღვთის-ანაბარათ, ბევრი ჯგუფები გაირყვნა, უბრალო ყაჩაღებათ გადაიქცა, ცარცვა-გლეჯას მოჰკიდეს ხელი. საინტერესოა ის, რომ ბოლშევიკური ფრაქციიდგან ცუდ გზას თითქმის არავინ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომია, თუ თითო-ოროლა პირებს არ ავიღებთ. ეს მიტომ, რომ ჩვენი ფრაქცია თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ასეთ ამხანაგებს და ცუდ გზას აცილა, მისცა ერთგვარი იდეური საფუძველი მათ მოქმედებას. თან ფრაქციაც მატერიალურად გამაგრდა წელში. მთავრობის დეზორგანიზაციასაც ასე თუ ისე ადგილი ჰქონდა ჩვენი ჯგუფის გამოსვლების გამო. პირიქით, მენშევიკების საყეთესო მებრძოლი ძალები დაიქსაქსა, ცარცვა-გლეჯის გზას დაადგა და ბევრი საუკეთესო მებრძოლები დაიღუპნენ სრულიად უსარგებლოდ პარტიისათვისაც და თავისთვისაც. მაგ. ხარაგოულის ახლოს საფოსტო მატარებელზე თავდასხმის დროს დაიღუპენ მენშევიკები: ცინცაძე, ხოფერია, არაბიძე და სხვები. ამ „ექსში“ თითქო მენშევიკებსაც ჰქონდა წილი, მაგრამ არჩილ მთავარელიძემ (გამოჩენილი მენშევიკი იყო) ორგანიზაციას არაფერი მისცა და თვით გაიქცა საზღვარ-გარეთ. მხოლოდ ლასა ფცილაძეს კი ხვდა წილი (კერძოთ მან აიღო თუ ორგანიზაციისათვის, მაშინ ჩვენთვის გამოურკვეველი იყო).

ბათუმში გაიტაცეს ექიმი ტრანდოფოლიდისი, სადაც დაიღუპა გამოჩენილი მენშევიკი პროკოფი დოლიძე, ჰიჰინაძე და სხვები. ტფილისში მენშევიკებისაგან შესდგა სხვა და სხვა ჯგუფები, რომლებიც თავის თავს რევოლიუციონურ სოც.-დემოკრატიას უწოდებდენ. მენშევიკებსაც არ სტოვებდნენ, არც ბოლშევიკებთან მოდიოდნენ. ბოლშევიკებმა კი ამხანაგები, რომლებიც იძულებული იყვნენ დამალულიყვნენ და იარაღით თავი დაეცვათ მთავრობასთან შეტაკების დროს, ცუდ გზას აცდინენ, რადგან მათ მეთაურებათ მისცეს ყოველი მხრით სანდო და სპეტაკი ამხანაგები და ამნაირად არც ერთ მათგანს პარტიასთან კავშირი არ გაუწყვეტია და ასრულებდნენ პარტიულ დავალებებს ფრაქციის სამხედრო დარგში. ასე რომ, ეს ჯგუფი ფრაქციული სამხედრო ორგანიზაცია „დრუჟინა“ იყო, რომელიც სახელმწიფო ქონებასთან ერთად იარაღსაც იძენდა, ტერორისტულ აქტებსაც ახდენდა, იაჩეიკების მუშაობასაც ეწეოდა, ერთი სიტყვით პარტიული მუშაობის ვითარებაში იდგა.

სწორედ ეს ჯგუფია ის სახელ-განთქმული ჯგუფი, რომელმაც ერევნის მოედანზე 250 ათასი მანეთიანი „ექსი“ მოახდინა და რომელსაც ჩემი დაჭერის შემდეგ ამხ. კამო ხელმძღვანელობდა.

გადვიდეთ დროებით ამ ჯგუფის მოქმედებაზე. ყველა მენშევიკური ჯგუფები გადაგვარდენ, ნაძირალებათ გადაიქცენ თითქმის. საუკეთესო ელემენტები, რაც კი იყო მენშევიკებიდგან გამოყოფილი ამხანაგებისა—ჩვენ შევიერთეთ, შევიყვანეთ ჩვენს ჯგუფში, მაგ. დ. ჭიაბერიები, ილიკო ჰიჰიაშვილი, აკაკი დალაქიშვილი, არკადი ელბაჭიძე (აგორდია) თომა ჩუბინიძე და სხვები. ჩვენი, ბოლშევიკების ჯგუფი კი ბოლომდის შერჩა რევოლიუციას, მასში ადგილი არ ჰქო-

ნებია ხარწნას, დაცემას. კრისტალური სიწმინდე შეინარჩუნა ფრაქციული დისციპლინისათვის არც ერთხელ არ უღალატნია და მთელი თავისი არსებობით მას (ფრაქციას) ემსახურებოდა, მის დირექტივებს ასრულებდა. ასე წმინდათ ჩვენმა ჯგუფმა სწორედ მიტომ შეინახა თავი, რომ მას სათავეში ჩაუდგა ჩვენი ფრაქცია. მის ხელმძღვანელებათ საუკეთესო ამხანაგები გამოჰყო.

ჩვენც განვაგრძეთ მუშაობა. სანამ ჩვენი ჯგუფი მოლონიერდებოდა ერთხელ კიდევ დავიჭირეთ საქმე მენშევიკების ბორჯომის ორგანიზაციასთან. ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ბორჯომის მენშევიკების ორგანიზაციის წარმომადგენელმა დ. მიქელაძემ მიგვიწვია ჩვენ ახალციხის გზაზე ფოსტის წასაღებათ. პირობები ასეთი დავდევით: 2/3 ჩვენ უნდა წეგველო და ერთი იმათ.

მენშევიკებს „ექსისტობა“ ჩვენ სალანძღავ საგნათ მიაჩნდათ. ჩვენის სახელის გასატეხათ ისინი არავითარ საშუალებებს არ ზოგავდენ. ამ ნიადაგზე ჩვენ ყაჩაღებს გვიწოდებდნენ მაშინ, როდესაც მათი უძლიერესი ორგანიზაციები ჩვენთან ერთად სცდილობდნენ ექსპროპრიაციის გაკეთებას. ბ. მარტოვმა ერთი პროსტიტუციული წერილიც კი მოათავსა „სოციალისტურ უწყებაში“ ამ ნიადაგზე ჩვენს წინალმდეგ ამბ. კამოს სიკვდილის გამო. უსირცხვილობა ამაზე შორს აღარ წავა. განა მარტოვი არ იცნობდა კამოს? მაგ. 1907 წელში ზამთარში ჩვენ უნდა ხელში ჩაგვეგდო ბათუმის ხაზინა. ამ მიზნით გავეშვებოდით ბათუმში მე და ვანო კალანდაძე. გაიგეს თუ არა ჩვენი ჩასვლა მენშევიკების საუკეთესო წარმომადგენლებმა, იმათი პარტიის ბერკეტებმა—ალექსანდრე დგებუაძემ, გერასიმე კალაძემ, სილევანა ივანიძემ და სხვებმა, მოლაპარაკება გამართეს ჩვენთან ბათუმის ხაზინის შესახებ. გამოირკვა, რომ ისინიც ფიქრობდნენ, მაგრამ საამისო ორგანიზაცია არ ჰქონდათ. ჩვენ ვერ შევთანხმდით მხოლოდ პირობებში. ისინი მოითხოვდნენ ხაზინის ნახევარს—ჩვენ კი 1/4 ვაძლევდით. ჩვენი მხრით ასე ცოტა ნაწილის მიწოდება იმით აიხსნებოდა, რომ გვინდოდა თავიდან მოგვეშორებინა. მათ ხელში მხოლოდ კავშირი იყო ხაზინაში, რომელსაც ცოტა მუშაობის შედეგ ჩვენც გავიჩენდით. ბოლოს 1/3 დაგვეთანხმენ, მაგრამ თვით საქმე აღარ გაკეთდა და დავშორდით ერთმანეთს. შემდეგ ამისა ჩვენ ბაქოში გადავედით 1908 წელში. იქ გადავიყვანეთ მთელი ჩვენი ჯგუფი, აქაც მენშევიკებმა, ბათუმის ორგანიზაციამ, ერთი კაცი მოგვცა--ვარდენ თიკანაძე, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ჩვენთან ერთად და ერთ წილს მენშევიკების სასარგებლოდ წაიღებდა. თუმცა ამ უკანასკნელ ექსის შესახებ და ვარდენის მონაწილეობაზე ისინი ჩვენ გველაპარაკებოდნენ, რომ მენშევიკების ცენტრმა არ იცის მათი მოქმედების შინაარსი, მხოლოდ ჩემთვის მაშინაც და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებლაც დაუჯერებელია, რომ ასეთი გამოჩენილი მენშევიკები, რო-
გორც იყვნენ და არიან ეხლაც აღ. დგებუაძე, გერასიმე კალაძე,
სილოვანა ივანიძე და ვარდენა თიკანაძე (ორი უკანასკნელი დღეს ცო-
ცხლები არიან) თავის ცენტრის დაუკითხავათ „ექსში“ მონაწილეობას
მიიღებდნენ. აქედან ცხადია: თუ „ექსი“ ცუდი საქმე იყო, ჩვენ ორი-
ვენი ცუდ საქმეს ვაკეთებდით და რა საბუთით იყო, რომ მენშევი-
კები ამ ნიადაგზე ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ჩვენს შორის
მხოლოდ ერთი განსხვავება იყო. ჩვენ ასე თუ ისე „ექსებს“ არ
უარყოფდით, გვსურდა, საჭიროდ მიგვაჩნდა და კიდეც ვაკეთებდით.
ამ მხრით ჩვენ რევოლიუციონური ნაბიჯის გადადგმა შეგვეძლო.
მენშევიკებს კი სურდათ, პირში ნერწყვი უშრებოდათ, მაგრამ ვერ ახერ-
ხებდნენ გაკეთებას, ეშინოდათ ნაბიჯის გადადგმა, თუ აკეთებდნენ
ისიც უხეიროდ გამოუდიოდათ, უნაყოფოთ რჩებოდა მათი ძოქმედება ამ
ნიადაგზე. რა უყოთ, ასეთია ყველა უხერხემლო პოლიტიკური პარტიის
ხვედრი. დღე მარტოვმაც იცოდეს, რომ ნოე ჟორდანია და მის მიერ
ქმნული „დემოკრატიაც“ ექსისტობდნენ, მაგრამ უხეიროდ, უნიჭოდ
და გაუბედავათ, რადგან მათში არ არსებობდა რევოლიუციონური
სული, რევოლიუციონური გამბედაობა. დღე იცოდეს ეს და მერმე
დაიწყოს გინება ამხ. კამოსი და მისი ამხანაგების. ჩვენ არ უარვყოფთ,
რომ სახაზინო ქონების ექსპროპრიაციის მომხრე ვიყავით და კიდე-
ვაც ჩავდიოდით ამას პარტიის სასარგებლოდ.

ამ პატარა ექსკურსიის შემდეგ დაუბრუნდეთ ჩვენს ჯგუფს.
1906 წელს გაზაფხულზე ვამზადებთ ახალციხის გზაზე ფოსტის წა-
ღება, მაგრამ ენკენისთვეში მე დამიჭირეს და ამით ხელი შეეშალა
ამხანაგებს. დამიჭირეს გოლოვინის პროსპექტზე. არც შეიძლებოდა
არ დავეჭირეთ. სახლის წინ, სადაც მეფის მოადგილე სცხოვრობდა,
გაჭირდი წითელ ხალათში, გრეხილით წელზე და „ეოკით“ თავზე
(ეს განუყრელი ფორმა იყო მაშინ რევოლიუციონერების). ალბათ
ეგონათ სასახლის აფეთქება მინდოდა. იქავე საკომენდატოდგან გა-
მოვიდნენ და დამიჭირეს. გენერალ გუბერნატორთან მგონი ტიმო-
ფეევთან მიმიყვანეს საჭომენდანტოში. უპასპორტო ვიყავი. როცა
წავდექი ტიმოფეევის წინაშე, შემეკითხა: როგორ ცხოვრობ, კოტეო.
(ნუ კაკ ეივოტე კოტე) მე გავიკვირე. თქვენ ცდებით. მე სულ სხვა
კაცი ვარ. ალბათ მიმამსგავსეთ ვისმეს-მეთქი. თმა შეღებილი მქონდა
შავათ. „მაშ ვინ ხართ თქვენ“ მეკითხება. სხვა გზა არ იყო: ჩემი
სახელი და გვარი უნდა მეთქვა. მეც უპასუხე: „მე ალიპი ცინცაძე
გახლავართ“. „ცინცაძე ხართ ხომ“ ისევ მეკითხება. „ხო, მაგრამ
ალიპი და არა კოტე“. „კარგი გავიგებთ ამასაც“ მითხა მან.
იმ ღამეს საკომენდანტოში დამარჩინეს. მეორე დღეს დილით მეორე
უბნის ბოქაულს დავიდოდს გადამცეს. ცოტა იმედი მომეცა, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდი, რომ დავიღოვი თავზე ხელაღებული მექთამე იყო. ვეღარ მოასწრეს მასთან მისვლა და მანაც მეორე დღეს პოლიციელისტერთან გამაგზავნა. „რა უყო, არავინ მოვიდა თქვენთვის, უნდა გაგაგზავნოო“ გულდაწყვეტით მითხრა მან. პოლიციელისტერთან მგონი ამხანაგებს ვიღაც მიეგზავნათ სათავდებოთ. ისიც დათანხმებულიყო, მაგრამ ჭაღლდი დაგვიანდა და მეც გამგზავნეს მეტეხში სამმართველოდგან. თუმცა შემომითვალეს, რომ ორი საათის შემდეგ გაგანთავისუფლებენო, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ციხეში მივდიოდი. შემთხვევით გამაყოლეს ორი „გოროდოვოი“. გზაში ვფიქრობ: თუ გასანთავისუფლებელი ვარ, რაღა ორი კაცი გამაყოლეს. არა, ციხეში შესვლა ადვილია, გამოსვლა კი ძნელი. სჯობია გზაში გავიქცე. გადაწყვეტე გაქცევა. ერევნის მოედანზე, სადაც „არმიანსკი“ ქუჩა იწყება, კუთხეში ერთმა ჩემმა მცველმა პაპიროსის საყიდლად მეორე მხარეზე გადვიდა. ერთი კი გვერდში მომყვება. ბევრი აღარ მიფიქრია, რაც ძალი და ღონე მქონდა გადაუდევი ფეხი ამ „გოროდოვოის“ და გავაკტრიალე მიწაზე. მოუსვი რაც შემეძლო სალდათის ბაზრისკენ. მარჯვნივ ნორდშტეინის ფოტოგრაფიის ქვეშ პასაჟი გადიოდა ისევ „არმიანსკის“ ქუჩაზე. გზები კარგათ ვიცოდი... ვაი შენს კოტეს. ალაყაფის კარები, რომელიც ქუჩაზე გადიოდა დაკეტილი დამიხვდა. მოვინდომე ზეცდგან გადასვლა, მაგრამ მომისწრეს და ფეხებით ჩამომათრიეს ძირს. დახმარება გაუწიეს დაჭერაში შემთხვევით მიმავალმა ჯარის კაცმა. ცემა მომინდომეს, მაგრამ აღარ დავანებე, ზოგი მუქარით და ზოგი ძალით. ხელები უკან შემიკრეს და ისე მიმიყვანეს ციხეში. გზაში ვეხვეწე „გოროდოვოებს“ ნუ გაამხელთ გაქცევას-თქვა შემპირდენ, მაგრამ მომატყუეს. ორი თვე გამაჩერეს. ვერ დაამტკიცეს, რომ მეტ სახელს „კოტეს მეძახდნენ და ეტაპით ჩემს მაზრაში გამაგზავნეს. იქ გამიშვეს და ისევ ტფილისში ამოვედი. ნოემბრის შუა რიცხვები იყო, როდესაც ჰიათურის გზაზე საფოსტო მატარებელს დავესხით და 21 ათასი მანეთი წავიღეთ. ფრაქციამ 15 ათასი წაიღო, დანარჩენი ჯგუფს გადასცა ფონდათ კიდევ სხვა „ექსის“ მოსაწყობათ. ძლიერ თავხედურათ კი ვიქცეოდით. მატარებელს ღამით დავხვდით, 2 საათი სროლა გაგრძელდა. იქიდგან სოფელ სვერში გადავედით. იარაღი დავმალეთ და ამხანაგები გაუშ-გამოუშვით. მე და ჭ. კალანდაძემ ვ. ლომთათიძესთან ერთად იმ ღამესვე ჰიათურაში წავედით და თან ფული წავიღეთ სულ. მეორე დღეს საღამოს მატარებლით ტფილისში წამოვიღეთ ფული იმავე მატარებლით შორაპნამდის, როშლითაც ჩვენ მიერ მოკლული ერთი ჯარის კაცი და ერთი ჟანდარმი წამოიღეს. ტფილისის მატარებელში საშინელი ჩხრეკა იყო, მაგრამ სწორედ ჩვენ არავის გაუჩხრეკივართ. თუ მახსოვრობა არ მღალატობს გზაში ზ. ტრაპაიძეს შევხვდი და ტფილისში ერთად ჩამოვედით.

1907 წელს ქუთაისში გავემგზავრე ქუთაისის ხაზინის წასაღებად. თებერვლის შუა რიცხვები იყო. ჩემთან ამხ. ვ. კალანდაძე და ბაჭა კუპრაშვილი წამოვიდნენ. თვით ხაზინაში არ მოხერხდა და გადავწყვიტეთ თავდასხმა მაშინ, როდესაც ხაზინიდან ფოსტაში წაიღებდნენ ხოლმე. წინასწარი მომზადება დავამთავრე და დეპეშა მივეცი ტფილისში, ამხანაგები გამოსულიყვნენ. ამხანაგების გამოსვლამდის მე კიდევ დატყვევებულ ეიქნენ ქუჩაში. მქონდა ვიღაც მებურაშვილის პასპორტი... როდესაც პოლიციმეისტერმა ზუბოვმა პასპორტი გასინჯა, ჩაიცინა და რამდენჯერმე გაიმეორა გვარი მებურიშვილი: „ჰმ მებურიშვილი, ჰმ, მებურიშვილი“. თურმე ის ქუთათური ყოფილა და თან პოლიციმეისტერის კარგი მეგობარი და ნაცნობი. წამიყვანა ჯერ სასტუმროში, კარგად ლაზათიანად მან თითონ გამიჩხრიკა. მე თითონ არ მახსოვდა ჯიბეში აღმომაჩნდა ელისო ლომინაძის ფრიადი ცუდი შინაარსის წერილი, სადაც მატყობინებდა რამდენი ბომბები, რევოლვერი გამოიტანეს რუსეთიდგან, რამდენი დინამიტი და სხვა. წერილი ისეთი შინაარსის იყო, რომ დახრჩობა ხელში მეჭირა. საბედნიეროდ პოლიციმეისტერმა ქართული არ იცოდა და წერილები უფროსს გორდოვის გადასცა და გამგზავნა საპოლიციო უბანში— ბახტაძესთან. აქ მაშინვე შემოგზავნეს პროტექტორები, მაგრამ არაფერმა უშველა. გადავწყვიტე ბახტაძესათვის აგიტაცია გამეწია და როგორმე წერილი დამეხევნებია. როცა მარტო დავრჩი, ავდექი და უთხარი, რომ მე მებურიშვილი არა ვარ (ეს მის შემდეგ, როდესაც მან ჩემი პასპორტი ნამდვილად იცნო, გაკვირვებული შემომხედა და მითხრა, როგორ ამბობ ასე კარგათ პასპორტებსო. მე კი უკვე ვიცოდი, რომ პოლიციმეისტერმა იცის, რომ მე მებურიშვილი არა ვარ) მე ცინცაძე ვარ. მანდ ერთი წერილია და აუცილებლად დახიე მეთქი. წერილი წაიკითხა და შეეტყვე ფერი ეცვალა. ბოლოს მითხრა: „როგორ დავხიო თუ გამიგეს, ხომ მეც შენთან ერთად დამახრჩობენო, თან პოლიციმეისტერმა შემომითვალა, რომ სამი წერილი არისო, როგორ ინახავთ ასეთ წერილებსო“. მე უთხარი: „სულ ერთია შენთვის, ჩემმა ამხანაგებმა უკვე იციან, რომ წერილები შენ გაქვს და მე გთხოვე შენ დახიევ, მე გადავეცი აფიცერ გელოვანის პირით, რომელიც აქ სატრტექციით იყო ჩემთან, თუ ეს წერილი შენ შეინახე და მე დამახრჩეს, ხომ იცი შენც და პოლიციმეისტერს ცოცხალს არ გაგიშვებენ, იმ ბომბებს და რევოლვერებს, რომელიც მაგ წერილშია ნახსენები შენზე მოიხმარებენ-მეთქი. ამასთან ერთად ის სახიფათო შინაარსის წერილი ერთ გვერდზეა მოთავსებული, ისიც მესამე და მეოთხე გვერდზე. პირველ და მეორეზე მხოლოდ პარტიულ საქმეებზეა ლაპარაკი, ამიტომ მოხიე წერილის მეორე ნახევარი, პირველი დაანარჩუნე და წერილების რიცხვი მაინც სამი დარჩება-თქვა“.

ერთი მძიმეთ ამოიხვნეშა, თავი, გადააქნია და სთქვა: რა მე შევსწყდი, რა ვქნა არ ვიცი. „ფიქრი აღარ შეიძლება, უნდა დახჩი, თორემ საცაა მოვა პოლიციელისტერი“-მეთქი. კიდევ ამოიხვნეშა და ნელა გასწია ხელი წერილისაკენ. ნელა გასწია, მაგრამ ჩქარა მოხია, არავინ დამინახოსო. მოხია და ჯიბეში ჩაიდვა. მე ეს არ მომეწონა. მე კიდევ მივეცი წინადადება დაეხია. ნუ გეშინიაო მითხრა. „არა, შიში იქით იყოს, მხოლოდ მაგ წერილი მე მომეცი და დავხევ“-მეთქი. როგორც იყო მომცა და დავხიე ნაჭუწ-ნაჭუწად და კალათში ჩავყარე. არ გასულა ხუთი წუთი, რომ შემოვიდა ზუბოვი (პოლიციელისტერი) მოითხოვა წერილები. ბოქაულმა წაუკითხა და გადაუთარგმნა. სხვათა შორის მწერდენ, რომ ქუთაისში სახელმწიფო დუშაში ბუდე მდიანი წამოაყენეო როგორმეო. ეს რომ გაიგონა მკითხა: „თქვენ სოც.-დემოკ. ბოლშევიკი ბრძანებულხართო“—„პარტიული სოც.-დემოკრატი კი არა ვარ, მაგრამ კი თანაუგრძნობ“—თქვა. გვარი მკითხა და მეც ჩემი ნამდვილი გვარი და სახელი უთხარი. წაიყვანეთ ციხეშიო. ციხეში მარტო არ წაველი, რადგან ბჭირი იყო იმ დროს გზაში მკვლელობა. მით უფრო არ გავყევი, რომ ჩემი წაყვანა მოითხოვა უფროსმა „გარადავიომ“, ვიღაც ინგუში იყო. რომელმაც იმ წინა ყვირეებში სამი კაცი მოკლა გზაში, ვითომდა გაქცევის ნიადაგზე. ჩემმა ჯიუტობამ გასჯრა და გამაყოლეს თვით ბოქაული ბახტაძე და ოფიცერი გელოვანი, ამნაირად სიკვდილს და დახრჩობას გადავრჩი. ციხეში ხუთი თვე დავყავი.

სამი კვირის შემდეგ ჩემი დაჭერისა ჩამოვიდა ამბ. კამო საზღვარ-გარეთიდან და იმან მიიღო ჯგუფის ხელმძღვანელობა. ქუთაისში საქმე გააკეთეს და წაიღეს 15 ათასი მანეთი.

შემდეგ შეუდგნენ ტფილისში ერევნის მოედანზე 250.000 მან. წაღების მოწყობას. ეს საქმეც ჩემს ციხეში ყოფნის დროს მოასწრეს. ერევნის მოედანმა საშინელი ალიაქოთი გამოიწვია მთელ რუსეთში და საზღვარგარეთაც. ისეთი აურ-ზაური და დეზორგანიზაცია გამოიწვია თვით მთავრობაში, რომ არ იცოდნენ რა ექნათ. ტფილისის პოლიციელისტერმა ამ ნიადაგზე თავი მოიკლა. ხუთობა საქმე ხომ არ იყო. დილის 11-12 საათზე შუა ქალაქში ერევნის მოედანზე 250.000 მანეთი წაიღეს ბომბების სროლითა და მაუზერების ლიწინით—25 კაცს მცველებს კაზაკებს და ჯარის კაცებს ხაზინა წაართვეს. საინტერესო ის იყო, რომ არც ერთი მონაწილეთაგანი არ დაუჭერიათ. ქვალსაც ეერ მიაგნეს. საზოგადოდ არც ერთ ჩვენ აქტებში მონაწილენი არას დროს მათ გაკეთებულ საქმეებზე არ ჩავარდნილან. ციხეში ხვდებოდნენ, მაგრამ არა როგორც „ექსისტი“ არამედ, როგორც პარტიის წევრი ან და როგორც არა კეთილ სამედო მოქალაქე. მენშევიკებს კიდევ უფრო აუტირდათ გული, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან მათ გაიგეს, რომ ეს საქმე ჩვენი ჯგუფის საქმე იყო. სხვა ყველა რაიონი და თითქმის პროფკავშირებიც კინაღამ მივიდნენ. დაიწყეს გამოძიება პარტიული. ფორმალურად ორგანიზაცია კიდევ ერთი იყო. რუსეთის სოც.-დემ. ც. კ.—მდის მივიდა საქმე. აქ კი პლენარულ სხდომაზე ამნისტია გამოაცხადეს ყველა ჩადენილ ექსპროპრიაციების გამო. მხოლოდ თუ კი განაგრძობდნენ, მაშინ პარტიიდან გამორიცხვით ემუქრებოდნენ.

მე ვიატკის გუბერნიაში გადასახლება გამომიცხადეს. ივნისში გამგზავნეს. ქუთაისის ციხეში ისხდნენ მაშინ ამხანაგები თითქმის ყველა მაზრებიდან 1905 წლის რევოლიუციონური გამოსვლების გამო. ისხდნენ მოხუცები, ახალგაზრდები და 16-17 წლის ბავშვებიც. ეს უკანასკნელები უფრო აფრასიონ მერკვილაძის რაზმიდან იყვნენ. საინტერესო იყო ამ მხრით აფრასიონის რაზმი: შიგ ნახავდი 60 წლის მოხუცებულიდგან 15 წლის ბავშვებამდის რაზმელებს, მაგრამ ყველას ერთი სულით და იდეით გამსჭვალულად და გატაცებულ გმირებს.

ეტაპის გამგზავრების დღეს ციხის ადმინისტრაციას გაუკეთეთ ერთი აგრედ წოდებული „ნომერი". ერთ-ერთ გადასახლებულს მაგიერ წავიყვანეთ ეტაპში აფრასიონის პატარა რაზმელი ამბაკო სამინაშვილი. ის ვინც უნდა წამოსულიყო (გვარი დამავიწყდა) ნამდვილად ეტაპში, ავათ გავხადეთ და საავადმყოფოში დავაწვინეთ. როცა გამოიძახეს მისი გვარი გავიდა ამბაკო სამინაშვილი. სურათებს ქუთაისში არ იღებდნენ მაშინ. ამბაკოს ადმინისტრაცია არ იცნობდა და მოსტყუებდა. ამხანაგებში ვიცოდით მე და მიშა ბიბინეიშვილმა მხოლოდ. მივედით ვიატკის გუბერნიაში, სელტის საზოგადოებაში სოფ მულტანში. იქ დავყევით 10-თუ 14 დღე და სამივე გამოვიპარეთ. პასპორტები ამანათით მივიღეთ. ორი ძირი ქონდა კალთს გაკეთებული. მულტანში დავიჭირეთ „კალასკა" და სადგურ ვოლიანაში (მდინარე ვიატკის ნაპირებზეა) მივედით. აქ ბინა მოგვცა ერთმა ესერმა ტყის მცველმა. ღამე იქაური აბანოში გავათენეთ. დილით გემზე ბიბინეიშვილს გაჰყვა იმ ესერის და, და ამბაკო მას მოსამსახურეთ გავაყოლეთ, მე კი მარტო გამოველ, რადგან სახით ადგილობრივი მცხოვრებლებიდგან ბევრად არ განვირჩეოდი. მდინარე კამას გემზე გადმოვსხედით და ნიჟნი ნოვგოროდამდის მივედით. აქ ამბ. ბიბინეიშვილი დავგშორდა და პეტერბურგს გაემგზავრა სასწავლებლად. მე და ამბაკო მდინარე ვოლგის გემით ასტრახანამდის ჩამოვედით, აქ კასპიის გემზე გადავჯექით და ბაქოში ჩამოვედით.. ბაქოდგან ტფილისში ჩამოვედით. ტფილისიდან მე ქუთაისში გავეჩქარე, სადაც სისრულეში უნდა მომეყვანა ციხეში მჯდომ ამხანაგებზე დანაპირები: ციხიდან მათი გაქცევის საქმე უნდა მომეწყო. ამბაკო ტფილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავაბარე ამხანაგებს, სადაც მას-შეასწავლეს წერა-კითხვა, გააცნეს სოც. დემოკ. ბოლშევიკური პროგრამმა, რის შემდეგაც საუკეთესო მებრძოლი ამხანაგი გახდა. გადარჩა სიკვდილით სასჯელის ამბ. ამბაკო.

საინტერესოა ვიატკის გუბერნიაში გადასახლებულთა ყოფა-ცხოვრება. ვიატკის გუბერნია ერთობ ჩამორჩენილი მხარეა. გლეხების უმრავლესობა ძლიერ დაბეჩავებული და მორწმუნეა. ერთად ერთი მიმზიდველი ის არის, რომ სადმე მიყრუებულ სოფელში შეხვდები ან ექიმს ან მასწავლებელს და ან გადასახლებულს, რომელთანაც შეგიძლიან ლაპარაკი, გულის გადაყოლება. ისე კი მოწყენტილი ხარ მთელ ქვეყანას. რევოლიუციონური მოძრაობის თითქმის არაფერი არ ესმოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მხოლოდ ერთ სოფელში-მულტანში გლეხებს რამოდენიმე თვის წინად ჩვენს ჩასვლამდის „ისაროვნიკი“ ეფრინათ სოფლიდან და ეს უმაღლეს რევოლიუციონურ აქტად იყო მიჩნეული. გადასახლებულებს, როგორც ურწმუნოებს, მაჰმადიანებს ისე უყურებდნენ. მახსოვს ჩვენ ვერაფრამდის ოთახი ვერ ვიშოვნეთ საცხოვრებლათ: სადაც მივდიოდით ყოველგვარ უარს გვეუბნებოდნენ. მიზეზი ვერ გავიგეთ. უკანასკნელათ ერთ გლეხთან მივედით. ვიცით, რომ ოთახი აქვს. უარი გვითხრა; არა მაქვს ოთახიო. შევეკითხეთ რა მიზეზით არ გვაძლევდა. ამის პასუხად შეგვეკითხა მართლმადიდებლიე ქრისტიანები ხართ თუ არაო. ჩვენ უთხარით, თქვენზე ადრე მივიღეთ ქრისტიანობა თქვა. „მაშ რათ პიჯვარს არ იწერთ სახლში რომ შედიხართო“-გვითხარა. „ჩვენ არ ვაწუხებთ ღმერთს ბევრი ლოცვითა და პიჯვრის წერით-თქვა. მანაც ვაიცინა და როგორც იყო ოთახი ვიშოვნეთ. მხოლოდ იქ არა, არამედ სხვაგან. საშინლად გავრცელებული იყო ლოთობა ადგილობრივ მცხოვრებლებში: „ღვთისგან ნაკურთხი მონოპოლკები“ ყველა სოფლებში არსებობდა. გადასახლებულთა რიცხვი ფრიად დიდი იყო. მათი ცხოვრება აუტანელი, რადგან პარტია ღარიბი იყო და დახმარებას ამხანაგებს არავინ არ აძლევდა. მხოლოდ მთავრობიდგან იძლეოდნენ კაცზე ოთხ შაურს. პრივილეგიურ კლასებიდან ვინც იყო ის ოცდათორმეტ ნახევარ კაპიკს ღებულობდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოგვადგა ჩვენ, კავკასიელების ერთ ნაწილს „თავადაზნაურობის“ იარლიკი. ვიღებდით ოცდათორმეტ ნახევარ კაპიკს. ვცხოვრობდით კომმუნათ, რაც ძლიერ ხელს უწყობდა მატერიალურად შევიწროებულ ამხანაგებს.

ხვრელი ქუთაისის ციხეში.

როდესაც ქუთაისის ციხიდგან ეტაპით ვემგზავრებოდი, ციხეში დარჩენილ ამხანაგებს: თომა ჩუბინიძეს, სულიაშვილს, ჭუმბურიძეს

და სხვებს, რომელთაც დიდი სასჯელი მოელოდათ, დავპირდით გადასახლებიდან დაბრუნებისას ხელი მომეკიდა მათ ციხიდან განთავისუფლებისათვის. დაპირებისამებრ დავბრუნდი თუ არა, ქუთაისს მივაშურე. იქ დამიხვდა მარო ბოჭორიშვილი—ძველი ჩემი ამხანაგი, რომელიკ, თუ არ ვცდები, მენშევიკ ჯ. გურულს გამოეწვია იმავე მიზნისთვის, მაგრამ მთელი 1 თვის განმავლობაში ვერაფერი გაეწყოთ საქმის მოსაგვარებლად. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ერთად შეუდექით საქმეს. რამოდენიმე დღეში მიზანს მივაღწიეთ. გეგმა ასეთი იყო: ციხის გვერდზე მოჭალაქე ფანცხავას სახლი იდგა. საჭირო იყო ამ სახლის დაქირავება და სახლიდან ხვრელის გაყვანა ციხის ქვეშ. სახლისა და ციხის გალავანს შუა ქუჩა გადადიოდა სამი თუ ოთხი საჟენი სიგანით, 1 ნახევარი—2 საჟენი შემდეგ ციხის გალავნიდან ციხის კედლებამდის იყო, სამი საჟენი კი ქუჩამდის იმ ადგილიდგან—სარდაფიდან, სადაც ხვრელის თხრა უნდა დაგვეწყო.. სულ გასათხრელი 9—10 საჟენი იქნებოდა. გავიგეთ, რომ ფანცხავას იმ სახლიდგან გადასვლა უნდოდა და სახლს აქირავებსო. მივგზავნეთ მარო ბოჭორიშვილი ფიქტიური ქირით—ერემია ღომთათიძით. ორივე ბოლშევიკებია. ამათ უნდა აეღოთ სახლი, როგორც ოფიციალურ პირთ—ვითომ ჩოქების საქსოვ სახელოსნოს გასაღებათ, სადაც მაროს, როგორც სპეციალისტკას შეგირდებიც კი ეყოლებოდა, ფანცხავამ შეხედ-შემოხედა მაროს, რომელიც ფრიად დინჯია და გამოცდილი. დათანხმდა სახლის მიქირავებაზე. მარომ წაიღო თავისი ადაპის წლის საქსოვი მანქანა და თავის „ქმრით“ ერემიათი და ნათესავით ნატაშა კალანდაძით (ეგეც ბოლშევიჩკა იყო) დასახლდა. ცოტა რამ სახლის მოსაწყობად იყო საჭირო: მაგიდა, სკამი ტახტი, ჭურჭელი და სხვა. ყველა ჩამოთვლილი საგნები კლუბში ჰქონდათ მენშევიკებს, კლუბი დახურული იყო. მიემართეთ მენშევიკებს მოეცათ ოთახებისათვის ცოტა რამ მოწყობილობა კლუბიდგან. მენშევიკებმა აქაც ვერ უღალატებს „დემოკრატიზმს“ და მოინდომეს ამ საკითხის „იაჩეიკებში“ გარჩევა. ჩვენ უთხარით, ორგანიზაციაში ნუ დასვამთ ამ კითხვას, არ გვინდა არაფერი თქვა. როგორც მახსოვს არც არაფერი გამოგვირთმევია. შემდეგ მარო-ერემია ნატაშის დასახლებისა გადავიტანეთ შიგ სათხრელი მასალები და ორი ჰიათურის მადნების მუშა (გვარები აღარ მახსოვს) ღამით სახლში შეველით მე, ბაჭუა, მგონი ილიკო ებრალიძე. ჩვენი შესვლის მეორე დილითვე სარდაფი გავასუფთავეთ, რომ მიწის თხრა დაგვეწყო და შიგ მოგვეთავსებია. გარედგან სარდაფი დავკეტეთ. ჭუჭრუტანები დავაცვით, რომ შემთხვევით არავის შემოეხედა შიგ. სარდაფის ზემოთ ოთახიდან იატაკი გავსჭერით შიგ ჩასაძრომათ და ამოჭრილ ადგილას ტახტი დავდგით.

დავიწყეთ თხრა. ჯერ სამაღლეზე უნდა გაგვეჭრა 1 — 1 ½ საჟენი და შემდეგ განით ციხისკენ ხერელი გაგვეტანა. პირველ 3—4 დღეს ზ. გურულიც დადიოდა, ვითომ ინჟინრობდა, ხელობით შტეიგერი იყო. მაგრამ შეეტყვეთ, რომ ბევრს ლაზღანდარობდა და კონსპირაციის მომიზეზებით, როგორც ციხიდან ახალ გაქცეულს, წინადადება მივეცით ჩვენთან სიარული შეეწყვეტა და ტფილისს გამგზავრებულიყო. დავეწყერა და მოვეშორდა, წაიედა მგონი ტფილისში, ჩვენ განვაგრძელეთ მუშაობა. ტეხნიკა ძალიან პრიმიტიული იყო. როცა 4—5 საჟენი ხერელი გავსჭერით შიგ სულის მოთქმა აღარ შეიძლებოდა ჰაერის უქონლობის გამო. მიწას უბრალო „იაშჩიკით“ ვათრევდით. მიტომ მიწის უსწორ-მასწორობის გამო ხშირად ბრუნდებოდა „იაშიკი და ამნაირად შრომა მოგვდიოდა. მერმე ჩვენ თვითონ ვეცადეთ ტეხნიკის გაუმჯობესებას: ქვეშ დავაწყეთ ფიცრები და იმაზე ეახახიალებდით „იაშიკს“; მხოლოდ ძალიან ხშაურობდა და ამიტომ იაშიკზე ტომრები დავაკარით ქვეყიდან, როცა გაცვდებოდა ახალს ვაკრავდით. „იაშიკზე“ ორი თოკი ება ორივე მხარეებზე—ერთით სავსე მიწით გამოგვქონდა, მეორეთი ცარიელს მოათრევდნენ. ხერელში ჰაერი თითქმის გაჰქრა. სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. კაროფილის სანთლები უჰაერობით ჰქრებოდა. უსანთლოთ კი მუშაობა არ შეიძლებოდა. სულ გალურჯებული გამოვდიოდით 5—10 წუთის მუშაობის შემდეგ ხერელიდან, იმდენათ ცოტა იყო ჰაერი. აქაც ტეხნიკის „გაუმჯობესებას“ მივმართეთ. ვიყიდეთ (ფული ჩვენმა ჯგუფმა გადასდო ერევნის მოედნის შემდეგ)-მჭედლის საბერველი, დავკიდ ხერელის თავზე, ხერელში გავიყვანეთ საბერველიდან შლანგი და ჰაერს ვამუშავებდით ხვრელში, ან როგორც იტყვიან „ვაკაჩავებდით“. ძალიან დახმარება გაგვიწია. ისე აღარ ჰქრებოდა სანთლები, მაგრამ რამდენი შორს მიედიოდით, იმდენი სუსტდებოდა ჩვენი საბერველი და სანთელს ვეღარ ეხმარებოდა. შეეძინეთ ველოსიპედის ფანარი-კარბიტით ასანთები, და იმით ვინათებდით სამუშოს. მხოლოდ ჩვენთვის კი აუტანელი დარჩა მუშაობა. რას ვიზამდით, მეტი ღონე არ იყო, უნდა გაგვეგრძელებია. ჩვენც არ ვზოგავდით ძალსა და ღონეს. იმის გასაგებათ—პირდაპირ მიდიოდა ხერელი თუ არა გავაბავდით თოკს და უბრალო თვალის გახედვით ვიგებდით. როგორც იყო 7 საჟენი გავიტანეთ. 9 დღე ვმუშაობდით. დაგვრჩა რაღაც ორი საჟენი. გვიხარია, რომ ორ დღეში დავამთავრებთ. ღამით არ ვმუშაობდით, რადგან ღამის სიჩუმეში ხმაურობა გადიოდა. ერთ ღამეს ჩვენი სახლის გვერდზე შეიქნა აურ-ზაური, ყვირილი და სროლა. ჩვენ ყურები დავცქვიტეთ. ამხანაგები უცბად შედრკენ და მოინდომეს სახლის დატოვება. არ ვიცოდით რა იყო. მხოლოდ რაღაი სროლა იყო-ვიფიქრეთ, სახლს

გაჩხრეკენ მსროლელის მოსაძებნად და შემთხვევით სხვა რამესაც წა-
აწყდებიან. მე არ დავთანხმდი... მაგრამ ყველანი წავიდენ, ოთხის მე-
ტი, ორი ქალი დარჩა. თუ არაფერი იქნებოდა მეორე დღეს დილით
ადრე მოვიდოდნენ. გამოირკვა, რომ მთვრალებს ჩხუბი მოსვლოდათ
და ერთმანეთისათვის ესროლათ. სროლის გაგონებაზე ციხის ამხა-
ნაგები კინაღამ გაგიჟებულიყვნენ. ეგონათ ჩვენ ჩავარდით, მაგრამ
მეორე დღეს ეზოში წითელი ჩულქი გავკიდეთ. ეს მშვიდობიანობის
ნიშანი იყო.

მეორე დილით მოვიდნენ ამხანაგები სამუშაოთ, მაგრამ შუა-
დღისას მეორე უფრო სერიოზული ინცინდენტი მოხდა... სწორედ
გაცხარებული მუშაობის დროს ეზოდან სარდაფის კარებთან ისმის
ყვირილი: „გააღეთ სარდაფი, გააღეთ სარდაფიო“. ქალის ხმა ეუბნე-
ბა (მარო) „გასაღები ქმარს აქვს წაღებული და უთმისოთ როგორ გა-
ვაღოო“. ამ დროს ჩვენი ზარის ხმა მომესმა. ჩვენ ზარი გვქონდა
ოთახიდგან სარდაფში გაყვანილი. თუ რამე იქნებოდა და მუ-
შაობის შეჩერება იყო საჭირო დაგვირეკავდნენ—მაშინვე შევაჩე-
რეთ მუშაობა და მე ზემოთ ავდგერი. სწრაფად შემოვიდა მარო და
მითხრა: სახლის პატრონიაო. მე ვუთხარი, ზევით ამოეყვანა და
მისაღებ ოთახში, სადაც ორი სკამი და ერთი მაგიდა იდგა დაეჯდინა
და მეც გამოვალთქვა. მარო გავიდა და შემოიპატიჟა. ისიც შემოვი-
და. მე უცბათ კრახმალიანი საყელო გავიკეთე და „პიჯაკი“ გადავიც-
ვი. დამავიწყდა, რომ შარვალი მიწისგან ოყი სულ გასვრილი. წვერი
გაუპარსავი და გამურული მტვრისაგან. ცხვირსახოცი კი მივის-მო-
ვისეი სახეზე, მაგრამ რას გააწყობდა. წარმოსადგენია რა სუფთა სა-
ნახავი ვიქნებოდი. გასვრილი ხელებით კრახმალი (საყელო) გავიკეთე
ქიდევ და როგორი მტვრის დაღი ემჩნეოდა-ესეც ადვილი წარმოსა-
დგენია. გავედი. მარომ გააცნო ჩემი თავი: „ეს ჩემი ბიძაშვილია,
ესეს არის ეხლა მოვიდა და ჯერ არც კი დაუბანიაო“. „არა უშავ-
სო“—უპასუხა მან. მე დავჯექი და პირველ ყოვლისა ფეხები და
მუხლები მაგიდის ქვეშ შევაწყე. რაღაზედაც ლაპარაკი დაუწყე, მიე-
დევ-მოედევი. ბოლოს ილია ჰავჰავაძეზე გადავედი. სწორედ ახალ
მოკლული იყო მაშინ და გამომადგა სალაპარაკოთ. ლაპარაკში ეტყო-
ბოდა, რომ ჩემი თემები იმას არ აწუხებდა და არც აინტერესებდა.
თავის დარდი ჰქონდა. სახლის დაკარგვა უფრინავდა ჰაერში... ბო-
ლოს უთხრა მაროს: „როგორც კი მოვიდეს თქვენი ქმარი, მაშინვე
მინახულოს, სამსახურში ვიქნებიო“. „კარგი და პატიოსანი“—მიუგო
მარომ. გამოგვემშვიდობა და წავიდა. მე ფანჯრიდან უცქერი. ცა-
ლი თვალი სარდაფისკენ ეჭირა, როცა მიდიოდა. შემდეგ ამოვაფრი-
ნეთ ერემია-„ქმარი“ მაროსი და გაუშვით ფანცხავასთან—სახლის პატ-
რონთან. ერთი საათის შემდეგ მოვიდა ერემია გულ-დაწყვეტილი,

ყურებ ჩამოყრილი და გვითხრა: „გაუგია როგორღაც მაგ შეჩვენებულ-სო“-ითხოვს სახლის დაცლას დღესვეო. მეტი ჯანი არ იყო, ჩავიცვი და ერემიასთან ერთად ვიკადრე მისვლა ფანცხავასთან. უთხარი: „ხომიცი მე ტყუილად თქვენთან არ მოვიდოდი, საქმე სერიოზულია, მე პარტიის წევრი ვარ, სოციალ-დემოკრატი, თქვენ სახლში სტამბა გვაქვს თქვენ რაღაი გაგიგიათ არც ჩვენთვისაა სასარგებლო იქ დატოვოთ, ამიტომ სამი დღის განმავლობაში ვიშოვით სხვა ბინას და გადავიტანთ. მანამდის კი არ დაგვლუპო, ღმერთი არ გაგიწყრეს არაფის არაფერი უთხრა, თორემ ამას დიდი უბედურება მოყვებაო“-თქვა.

„დავიღუპე კაცი, რათა ვარ ცოცხალი, რა მომივიდა ეს, არა, ძმაო, ვიცი რაცა სტამბა გაქვთ, ვიცი, დავიღუპე, რათა ვარ ცოცხალი, აბა წაიკითხეთ აი ეს ანონიმური წერილი“ და გადმომცა, მე გამოვართვი და წავიკითხე. შიგ ეწერა დაახლოვებით: „შენი კეთილის მსურველი ვარ და ამიტომ გწერ ამ წერილს. ჯშველე სახლს. შენი სახლიდან „პოდკოპი“ კეთდება ციხეზე. ეს ამბავი ბევრმა იცის, სახლიც დაგეღუპება და შენც დაიღუპებიო“. გავკვირდი. მხოლოდ რაღაც ეჭვი შემეპარა. წერილი ან მოწაფის ან ქალის დაწერილი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ფაქტი იყო, რომ დამწერმა იცოდა რაში იყო საქმე და ფანცხავა დარწმუნებული იყო, რაც კეთდებოდა იქ მე უფიცე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს უთხარი, რომ სალომომდის გეტყვით რას ვიზამთქვა. თავში გამიელვა ორნაირმა აზრმა: ან უნდა დავატყუოთ, ან და ვინმეს გავლენიანს დავაჩუმებინოთ. თუ მეორე არ მოეწყობოდა, უნდა მიგვეტყუელებინა სადმე და დაგვეტუსაღებინა. იქიდან გამოსული მე და ერემიამ ვიფიქრეთ თუ ვის ექნებოდა მასზე გავლენა. ერემიამ დაასახელა მენშევიკი სერგო ჯაფარიძე, მგონი მაშინ ქუთაისის ქალაქის თავი იყო, რომლის მოსამსახურეთ ითვლებოდა სახლის პატრონი ფანცხავა. ჩვენ გავეჭანეთ ჯაფარიძესთან. გულ-უბრყვილო ვიყავი: კიდევ მეგონა, რომ მენშევიკს შეეძლო რევოლიუციონური საქმისთვის დახმარება. სერგომ მიგვიღო და როცა უამბეთ რაში იყო საქმე, ცივი უარით გამოგვისტუმრა. „მე ნუ გამრევთ მაგ საქმეშიო, არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო, ვინმეს სხვას მიმართეთო“ გვიპასუხა. ვის მივმართოთ, რომ ვკითხე ამაზედ უარით მიპასუხა. გულში შევაგინე და წამოვედით. თუ მეხსიერება არ მღალატობს მივედით მენშევიკ-გრიშა ლორთქიფანიძესთან. მან წაგვიყვანა გიორგი ზდანოვიჩთან, იმ ზდანოვიჩთან, რომელიც ერთ დროს სახელგანთქმულ რევოლიუციონერად ითვლებოდა „ნაროდნიკებში“. მაშინ შავი ქვის გამგეობის თავმჯდომარე იყო. არ ვიცი გაიღვიძა თუ არა ზდანოვიჩში ძველმა რევოლიუციონერმა, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, მან მაშინვე დაუძახა სახლის პატრონის ძმას იაკობ ფანცხავას. ამის საშუალებით გამოიწვია სახლის

პატრონი და გაბედულათ უთხრა: „უნდა დაჩუმდე, სხვა გზა არ არის, საქმე უნდა დაამთავრონო“. დავილუპე კაცი, სახლს წამართმევენ, მიწას წამართმევენო, დაიწყო ტირილი ფანცხავად. „რა ღირს შენი სახლი და ეზოო“ ჰკითხა ზდანოვიჩმა. „ორი თუ სამი ათასი მანეთიო“ მოუგო მან.

„აჰა ვექსილი სამი ათასისა ჩემგან, თუ რაიმე შენს სახლს მოუვა, მე გადამახდევინე მისი საფასურიო“ უთხრა ზდანოვიჩმა და ვექსილი იქავე დასწერა და მისცა. სახლის პატრონიც დათანხმდა და დაჩუმდა. ჩემს გულს ლოდი ჩამოეცალა. გავსწიე სახაროპლად ხვრელის ალაგას. მივედით და განვაგრძეთ მუშაობა. ორი დღის შემდეგ ამისა ჩვენი ხვრელი თვით ციხის კედელ ქვეშ მივიყვანეთ, კედლის საძირკლებიდან ჰაერი ამუშავდა და სული მოვითქვით. სანთლებიც აღარ ჰქრებოდა და კარბიტის ფანარი გადავადგეთ, საძაგელი სუნი ჰქონდა. ეხლა ზევით უნდა დაგვეწყო თხრა, მხოლოდ ისე კი, რომ პირველ კუთხის კამერაში ამოგვეყო თავი. იქ იყვდა ჩვენი ამხანაგები, რომლებმაც იცოდენ რაში იყო საქმე და განგებ იყვნენ მოხერხებით იქ გადაყვანილი. ერთის გვარი გრძელიშვილი იყო. მხოლოდ გვეშინოდა განზე არ დაგვეწყო თხრა და სხვა კამერაში არ ამოგვეყო თავი. ამიტომ შევატყობინეთ ციხეში რაშიც იყო საქმე და ვთხოვეთ კამერაში მჯდომ ამხანაგებს. ზევიდგან კამერიდგან ეკაკუნებიათ, რომ იმაზე მიგვეყოლებინა ჩვენი მუშაობა. ამთავე შეასრულეს, მაგრამ როგორც კი შეუდექით ზევიდგან მიწის თხრას, ისეთი ხრიალით მოდიოდა ძირს მიწა, რომ სულ გუგუნი გაჭონდა. შევშინდით, რადგან იქავე ჩვენ ზემოთ დარაჯი ჯარისკაცი დადიოდა, რომელსაც თვალ-ყურის დევნებით შევამჩნიეთ, რომ რაღაცას ყურს უგდებდა. შევიტყვეთ, რომ გუგუნი ესმოდათ და შევაჩერეთ მუშაობა, იმ დღეს სულ არ გვიმუშავნია, მხოლოდ ციხეში შევატყობინეთ რაშიც იყო საქმე და ვსთხოვეთ ერთი საათით ხმაურობა და ბრახუნი აეტეხათ ციხეში, რომ მიწაში გუგუნი არ გაგვონა ჯარისკაცს. თუ როდის უნდა დაეწყოთ ხმაურობა ამას ეზოში ჩუქჩის გამოკიდებით ვაცნობებდით. ციხის ფანჯრიდგან ჩნდა ეზო ჩვენი სახლისა. მეორე დღეს დილით გავკიდეთ ჩუქჩი. შეუდექით მუშაობას და ერთ ნახევარ საათში დავამთავრეთ. დიდი სამუშაო არ იყო ზევიდგან მიწის და ისიც ფხვიერი მიწის ჩამოყრა. ამ დროს განმაელობაში ციხეში საშინელი ხმაურობა ასტყდა. ციხის ადმინისტრაციას ეგონა ტუსაღები გაგიქდაო, რადგან სულ უმიზეზოთ დაიწყეს ყვირილი და ბრახუნი. ციხეში ხმაურობდენ, მაგრამ იმთავანმხოლოდ 5 თუ 8 კაცმა იცოდა რაში იყო საქმე დანარჩენი ისე, „თანახმათ ტოლუმბაშისა“ ხმაურობდან.

მუშაობა გავათავეთ. ჩუქჩი მოვხსენით, ხმაურობა შესწყდა, იმ

დღეს აღარ შეიძლებოდა გაქცეულიყვნენ, რადგან ტუსაღების სეირნობა უკვე გათავებული იყო და გამოსვლა კი სწორედ სეირნობის დროს უნდა მომხდარიყო. ხერელი მზათ იყო. შეედი გომურის ქვეშ, სადაც დარჩენილი იყო გაუხვრეტავი მხოლოდ კამერის იატაკი, რომელიც ცემენტისაგან შესდგებოდა, მაგრამ ცემენტი რბილი იყო. გავხვრიტე კარანდაშის წვერით და პატარა ბარათი გავაძვრინე კამერაში, სადაც საქმის ვითარებას ეაცნობდი. თან ცოტა ხანს ველაპარაკეთ კიდეც. კამერიდან ზევიდგან ტუსაღი ამხანაგები მელაპარაკებოდა. დაბლიდან ზევით მე. ეს შესამჩნევი სურათი იყო. გამოვედი და დავწერე ვრცელი წერილი ციხეში. ამ წერილში ვატყობინებდი გამოსვლის რიგს, რადგან გავიგე, რომ ციხეში ზოგიერთებს ისეთებს, რომლებსაც არც უნდოდათ წინათ გამოსულიყვნენ და თან ნაკლები სასჯელი მოელოდათ, მოენდომებინათ პირველ რიგში გამოსვლა. ასეა მუდამ, მყვირალები და მშიშრები ყოველთვის მეტად ისარგებლებენ სხვის მიერ გაკეთებულ საქმით. მე ხერელის ორგანიზაციის სახელით კატეგორიულად მივსწერე და თან კატეგორიებათ დაყოფილი სია გადავეცი, ვინ პირველ რიგში, ვინ მეორეში და მესამეში გამოსულიყო, რადგან ყველას ვიცნობდი. ვინც არ შეასრულებს და აურევს რიგს, ვეფიცებოდი, რომ სახლიდგან არ გაუშვებდი, სანამ ის არ გამოვიდოდა, ვინც რიგში იყო ჩაწერილი. ამან იმოქმედა, სწორედ გადაცემულ სიის თანახმად იწყეს დენა. თან ვატყობინებდი ვინ სად უნდა წასულიყო, ვისთან მისულიყო, რა პაროლი ეთქვა და სხვადასხვა. მეორე დღეს საღამოს 4 საათზე უნდა დაეწყოთ გამოსვლა. ამ დროისთვის ჩვენ რამდენიც შეგვეძლო დავაგროვეთ ტანისამოსები, სახლში, სადაც უნდა გამოსულიყვნენ, დატოვეთ ორი ამხანაგი, რომელნიც ბორკილიანებს ბორკილს გატეხაში უნდა დახმარებოდნენ. დარჩა მარო მანამდის, სანამ დიდ სასჯელიანები გამოვიდოდნენ. ხერელი გავაჩიროაღდნეთ თაეიდან ბოლომდის კართოფილის სანთლებით, რომ სინათლე ბლომათ ყოფილიყო. მე აღარ გამაჩერეს ამხანაგებმა. ორი თუ სამი საათის ადრე გამომაგდეს სახლიდგან, რომ მეც მიემალულიყავი, რადგანაც მეც გადასახლებიდგან გამოქცეული ვიყავი. მეც დაუჯერე და წავედი. მივედი ერთი ჩინოვნიკი ნათლია მყავდა და იქ გავათიე ღამე. მხოლოდ იმ დღეს საათი ხელში მეჭირა. წუთი წელიწადებათ მეჩვენებოდა. პირველ რიგში გამოსულებს უნდა გამოეყოლათ ეტლით თომას და ისმაილას. ხუთის 10 წუთზე უნდა გამოეყოლათ. ხუთის 15 წუთია. არავინ სჩანს. გულს დაგა-დუგი გააქვს, გონებით იქ არა ვარ, მხოლოდ გარეგნულ გულ-ცივობას ვინახავ.

მეგონა საქმე წახდა. ხუთის 20 წუთზე გამოჩნდა ეტლი. ქუჩაში გამოვედი. თომა და ისმაილა დავინახე. სიხარულმა და გრძნობებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლიეს. გაეცანენ იქითკენ ჩქარის ნაბიჯით, სადაც ნაკლებად დაბინაოვდა ვინმე. შეეჭერდი. ეტლს ველოდებოდი. მომიახლოვდნენ. თომა იცნობდა, გააჩერეს ეტლი, მეეტლე ჩვენი კაცი იყო. გადავკუნტე ორივენი და იქვე მივიმალე. ისინი კი წინადვე დამზადებულ ბინაზე წავიდნენ. ორი საათი გაგრძელდა ჩვენი ამხანაგების გამოსვლა ციხითგან. ვინც სიაში იყვნენ ისინი რომ გამოვიდნენ, მერმე ფართე ციხის მასას გააგებინეს გაიგეს სისხლის სამართლის ტუსაღებმა და იმითაც იწყეს დენა, მაგრამ ჩქარა გაუგეს. ჩვენი ამხანაგები 36 წავიდა. 36 კაცში 5-6 იმ ღამესვე დაიჭირეს მუხიანის სადგურზე რკინის გზაზე. იმათ არ დაიჯერეს, რომ ჭალაჭიდგან გასვლა არ შეიძლებოდა და წინადვე დამზადებულ ბინაზე არ წავიდნენ. ამიტომ ჰკუა წააგეს. დანარჩენები კი ყველა დაბინავდა და არც არავინ ჩავარდნილა, მხოლოდ ასეთ საქმეს მუდამ თან დასდევს პროვაკაცია.

აქაც იჩინა თავი პროვაკატორმა, რომელიც პროვოკატორად იქცა, როდესაც გაქცეული ამხანაგების ქუთაისიდგან გამოსტუმრების ორგანიზაციას შეუდექით. უნდა ითქვას, რომ ციხიდგან გაქცევის ორგანიზაცია უფრო ადვილი გამოდგა გაქცეული ამხანაგების მოვლასთან შედარებით. საჭირო იყო ბევრი ამხანაგებისთვის ბინების გამოცვლა, ფულის მიწოდება, ტანისამოსის, რკინის გზაზე გადაყვანა და ტფილისში მათი გამგზავრება, პირის სახის შეცვლა, პარიკები, ერთი სიტყვით საქმე უფრო ძნელი, ვიდრე მიწის თხრა და მათი იქიდგან გამოყვანა. თუ ამ მეორე მხარეს არ მიაქცევ ყურადღებას და გაქცეულებს დაიჭერენ—ეს ორგანიზაციის თავის მოკრაა, რევოლიუციონერი საქმის დაკნინება და პრესტიჟის დაცემაა. ციხიდგან გაქცევის აქტმა დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია არა მარტო შრომელთა მასაში, არამედ უბრალო მოქალაქეებშიდაც. ყველას უხაროდა, მთელი ღვენდები შექმნეს ამ ნიადაგზე ასეთი აქტები მასისათვის, მისი რევოლიუციონერი სულის ასაწევად ფრიად დიდი მნიშვნელოვანია. მენშევიკები კი ასეთ რამეებს არც კი ეკარებოდნენ. არც ერთ მათგანს მთელი ამ აქტის ორგანიზაციის განმავლობაში თითი-თითზე არ შეუყრავთ, არც ერთ ამხანაგისათვის ბინა არ უშოვიათ, ფულით დახმარება არ გაუწევიათ, მიუხედავათ იმისა, რომ უმრავლესობა გაქცეულების მენშევიკები იყვნენ.

ჩვენთვის კი, მით უმეტეს იმათთვის, ვინც უშუალოდ მონაწილეობას ვიღებდით ამ აქტში, მოუხერხებელი იყო შუა გზაზე მიგვეტოვებინა საქმე. ისე ჩვენ ჯგუფს მივმართე დახმარებისათვის, ჩვენ ფრაქციას—ბოლშევიკებს—მუშაობისათვის. მიმართვაც არ დამჭირდა, რადგან თითონ იყვნენ დაინტერესებული და ყოველგვარი დახმარება გაუწიეს გაქცეულთ: სანდო ამხანაგებით, ფულით, მორალურათ, ბინით და სხვა და სხვა.

წარმოიდგინეთ მთავრობის ჩინოვნიკებმა, ზოგიერთმა თავადებმა, ზოგმა კერძო ნაცნობობით, ზოგმა კიდევ როგორც ძლიერი გრძნობების მაძებრებმა, უფრო მეტი დახმარება გაგვიწიეს, ვიდრე მენშევიკებმა. ერთი ამხანაგი, რომელსაც სიკვდილით დასჯა მოელოდა არმიიდგან გაქცევისათვის და აჯანყებაში მონაწილეობისათვის, ტენგინის პოლკის ჯარის კაცი იყო ებრაელი, მგონი მოსე შნაიერი, ბადუა ჩიქოვანს ყავდა დამალული საგუბერნიო სამმართველოში სამი დღე, რომლის უფროსადაც იყო ის მაშინ. თავადმა კოწია ერისთავმა ჩაიცვა პოლკოვნიკის ფორმა და რიონამდის ვაგზალზე გამოაცილა თომა ჩუბინიძე და სხვები. აგრეთვე გვატყობინებდა ყოველგვარ მითქმა-მოთქმას ამ ნიადაგზე მთავრობიდგან.

ისე გეგონებოდათ, რომ მენშევიკებს სწყინდა რომ ეს აქტი გაკეთდა, სკვირველიც არაა, რადგან ისინი ამას და ასეთ აქტებს პარტიის დეზორგანიზაციად თვლიდნენ.

ჩვენი ფრაქციის ადგილობრივი ამხანაგებიდგან, ქუთაისიდან ფრიად დიდ და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ამხ. ბ. ბიბინეიშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივებიდგან მთელი სიმძიმე გაქცეულების მოვლისა მას დააწვა კისერზე. სხვათა შორის მეც მასთან მჭონდა ბინა. ბინა იქნებოდა საჭირო, აბა, ბარონ, შენ იცი, პარიკმახერი—აბა, ბარონ, და ბარონიც წელში წყდებოდა, მაგრამ შოულობდა, აწყობდა. მის შემდეგ დიდ დახმარებას გვიწევდა ბაჭუა კუპრაშვილი. ასე ამ ნაირად ჩვენ სამი, ბარონი, მე და ბაჭუა შეუდექით გაქცეულების მოვლას, მათ ტფილისში გაგზავნას.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ვ. ლუნაჩარსკი

ლენინი

(მისი ბიოგრაფიიდან).

მე არ შევეცდები აქ ლენინის ბიოგრაფიის აღდგენას, ვინაიდან სამისოთ სხვა წყაროებიც ბევრი მოიპოვება. მე გადმოვკცემთ მხოლოთ იმ ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ჩვენ შორის უშუალოდ არსებობდა, და იმ დაკვირვებებზე, რომელსაც მე პირდაპირ ვაწარმოებდი.

პირველად ლენინის შესახებ მე გავიგონე აქსელროდიდან „ტულინის“ წიგნაკის გამოსვლის შემდეგ. ეს წიგნაკი მე წაკითხული არ მქონდა, როდესაც აქსელროდმა მითხრა: „ახლა შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში არის ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა და გამოდიან სამოქმედოთ ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მოაზრენიო“—როგორ? ვკითხე მე,—მაშ სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი?—აქსელროდმა გაიღიმა (საქმე იმაშია, რომ წინათ ის დიდი აზრის იყო სტრუვეზე) და მითხრა: „კი, მაგრამ სტრუვე და ტუგან-ბარანოვსკი—ყველა ესენი რუსული უნივერსიტეტის მეცნიერების ფურცლებია, ფაქტებია რუსეთის სწავლულ ინტელიგენციის ევოლიუციის ისტორიიდან, ტულინი კი ნაყოფია რუსეთის მუშათა მოძრაობისა, ეს უკვე ფურცელია რუსეთის რევოლიუციის ისტორიიდან.“

თავის თავად იგულისხმება, რომ ტულინის წიგნი წაკითხულ იქნა საზღვარ გარეთ, სადაც იმ ჟამათ მე ვცხოვრობდი (ციურიხში), დიდი ინტერესით და გაუკეთე მას მრავალგვარი კომენტარიები.

ამის შემდეგ ჩემამდე აღწევდა მხოლოდ უბრალო ხმები ლენინის გადასახლებისა და მისი ცხოვრების შესახებ კრასნოიარსკში მარტოვთან და პოტრესოვთან ერთად.

ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი თითქო სრულიად განუყოფელი და პირადი მეგობრები იყვნენ, ერთნაირად მოაზროვნენი, წმინდა რუსი ბელადნი ნორჩ მუშური მოძრაობისა. საკვირველია, როგორი სხვა და სხვა გზით წავიდა ეს „სამი მეგობარი“.

შემდეგ ჩვენამდი მოაღწია წიგნმა „კაპიტალიზმის განვითარების შესახებ რუსეთში“. თუმცა პირადათ მე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი წმინდა ეკონომიური ხასიათის საკითხებს, და თვით საკითხი

კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარების შესახებ რუსეთში იმ დროს უმისოდაც უდავოთ მიმაჩნდა, მაგრამ ძლიერ გამაკვირვა ამ წიგნში მოთავსებულ აუარებელ სტატისტიკური ცნობების სიმტკიცემ და მისი არგუმენტაციის სიძლიერემ. მე მეგონა მაშინ (და ეს ასედაც იყო), რომ ამ წიგნმა საბოლოოდ ჩასცა მახვილი „ნაროდნიკულ" ცრუმორწმუნეობას.

მე გადასახლებული ვიყავი, როდესაც ჩვენამდი იწყო მოსვლა ცნობებმა მეორე ყრილობის შესახებ. ამ ხანებში უკვე გამოდიოდა და მტკიცე ნიადაგი მოიპოვა გაზ. „ისკრა"-მ. მე პირადათ უყოყმანოთ გამოვაცხადე ჩემი თავი ისკრის მიმდევრათ. მაგრამ თვით „ისკრას" კი ცუდათ ვიცნობდი: ნომრები თუმცა უწესოდ, მაგრამ მაინც მოგვდიოდა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვჭონდა ისეთი წარმოდგენა, რომ განუყოფელ სამებას: ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი, თითქო ფარულად შეუკავშირდა საზღვარ-გარეთელი სამება: პლეხანოვი, აქსელროდი და ზასულიჩი.

ამიტომ ცნობა მეორე ყრილობაზე მომხდარ განხეთქილების შესახებ ტყვიასავით მოგვხვდა. ჩვენ ვიცოდით, რომ მეორე ყრილობაზე ადგილი ექნებოდათ „მუშათა საქმესთან" ბრძოლის უკანასკნელ აქტებს, მაგრამ თუ განხეთქილება იმ მიმართულებას მიიღებდა, რომ მარტოვი და ლენინი სხვა და სხვა ბანაკში ამოყოფდენ თავს, ხოლო პლეხანოვი კი ორათ „გაიყოფოდა", ამას ჩვენ სრულებით ვერ წარმოვიდგენდით.

წესდების პირველი მუხლი?—ნუ თუ ღირს ამის გამო გათიშვა. სავარძლების განაწილება რედაქციაში?—რა დაემართათ. ჰკუაზე ხომ არ შეიშალენ საზღვარ გარეთ.

ჩვენ უფრო აღელვებული ვიყავით ამ გათიშვით და ეცდილობდით, იმ ღარიბი ცნობების მიხედვით, რომელნიც ჩვენამდე აწვევდენ, გამოგვეკვლია რაში იყო საქმე? ბევრი ისეთი ცნობებიც მოდიოდა, რომ ვითომ ლენინი იყო უთანხმოებისა და განხეთქილების გამომწვევი, მან მოინდომა თვითმპყრობელობის შემოღება პარტიაში, ვითომდა მარტოვმა და აქსელროდმა არ ინდომეს, ასე ესთქვათ, აღეარებიათ ის მთელი პარტიის ხანათ.

მაგრამ ამას გაცილებით უფრო ეწინააღმდეგებოდა პლეხანოვის პოზიცია, რომელიც როგორ ვიცით, პირველად ძალიან ეთანხმებოდა ლენინისას.

მართალია, პლეხანოვი მალე გადიხარა მენშევიკებისაკენ, მაგრამ ეს გარემოება ისე მიაჩნდათ ყველა გადასახლებულთ (და არა მარტო ვოლოგოდსკის, როგორც ვფიქრობ), რომელიც ცუდის მხრით ახასიათებდა გიორგი ვალენტინის ძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ჩქარ-ჩქარი გამოცვლა პოზიციისა ჩვენ, მარქსისტებს, სამარცხვინოთ მიგვაჩნია.

ერთი სიტყვით, ჩვენ ერთგვარ სიბნელეში ვიყავით. უნდა ვთქვა, რომ არც იმ რუს ამხანაგებს, რომელთაც მხარი დაუჭირეს ლენინს, ჯონდათ სავსებით ნათლად წარმოდგენილი საქმის ვითარება. თუ ვილაპარაკებთ ცალკე პიროვნებებზე, უეჭველია, ყველაზე მეტად დაუჭირა მხარი ლენინს ა. ა. ბოგდანოვმა.

ამ მხრივ ბოგდანოვის მიმხრობას ლენინისადმი, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. რომ ბოგდანოვი არ მიმხრობოდა ლენინს, უეჭველია, საქმე უფრო ნელი ნაბიჯით წავიდოდა წინ.

მაგრამ რატომ მიემხრო ბოგდანოვი ლენინს? ყრილობაზე გაჩაღებული ბრძოლა მან გაიგო, ერთი მხრით, როგორც ბრძოლა დისციპლინის გამო — ვინაიდან ლენინის ფორმულას ხმა მისცა უმეტესობამ (თუმცა ერთი ხმით), უმცირესობა მას უნდა დამორჩილებოდა და მეორე მხრით კი, როგორც ბრძოლა პარტიის რუსული ნაწილისა საზღვარგარეთელების წინააღმდეგ. აკი ლენინის გარშემო არ იყო არც ერთი დიდი სახელის მქონე პიროვნება, მაგრამ, სამაგიეროთ, თითქმის ყველა რუსეთიდან ჩამოსული დელეგატები. იქ კი, პლეხანოვის გადასვლის შემდეგ, თავი მოიყარეს ყველა საზღვარგარეთელმა პატარა ღმერთებმა.

ბოგდანოვმა (არა სავსებით ნათლად) სურათი ასე წარმოიდგინა: საზღვარგარეთელ პარტიულ არისტოკრატიას არ სურს შეიგნოს, რომ ახლა ჩვენ ნამდვილი პარტია გვაქვს და რომ, უპირველესად ყოვლისა, ანგარიში უნდა გაეწიოს რუს პრაქტიკულ მუშაკთა კოლექტიურ ნება-სურვილს.

უეჭველია, რომ ამ ხაზმა, რომელიც, სხვათა შორის, გამოიხატა ლოზუნგში: — ერთი ცენტრი და ისიც რუსეთში — მოხიბლა მრავალი რუსული კომიტეტები, რომელთა ქსელი იმ დროს სქლათ იყო გაბმული რუსეთში.

მალე უკვე ცხადი გახდა თუ რომელ წრეში გაიმარჯვებდა ესა თუ ის ხაზი. მენშევიკებს მიემხრო სატახტო ქალაქების მარქსისტული ინტელიგენციის უმრავლესობა, — მათ უეჭველი გამარჯვება ჰქონდათ უფრო მეტად კვალიფიციურ მუშათა წრეში; ბოლშევიკებს კი უპირველესად ყოვლისა მიემხრენ კომიტეტები, ე. ი. პროვინციელი მუშაკები — რევოლიუციის პროფესიონალები და ეს იყო, რასაკვირველია, უმთავრესად სხვა ტიპის ინტელიგენცია — არა მომარჯვისტე პროფესორები, სტუდენტები და კურსისტკები, არამედ ისეთი ხალხი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოთ გაიხადა თავის პროფესიად რევოლიუცია.

უმთავრესად ეს იყო ელემენტი, რომელსაც ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა და რევოლიუციის ბაჭერიას უწოდებდა, და რომელიც ბოგდანოვის მიერ, ახალგაზრდა კამენევისა და სხვ. ენერგიული დახმარებით, შეკავშირებული იყო უმრავლესობის კომიტეტების ორგანიზაციულ ბიუროში, რომელმაც მისცა ლენინს მისი არშია.

ბოგდანოვმა იმ დროს უკვე გაათავა გადასახლების ვადა და იყო საზღვარ გარეთაც. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ცოტათ თუ ბევრათ სწორი წარმოდგენა ექნებოდა ამ საკითხებზე და ამიტომ, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მე ერთგვარი ნდობით ვეპყრობოდი მას, დავიჭირე ბოლშევიკებთან საერთო პოზიცია.

ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ მაშინდელი ც. კ. მოწვევის თანახმად, რომელიც აწარმოებდა შეთანხმების ხაზს. მე წავედი სპოლენსკში. ამის წინ მე შევხვდი კიევში ამხ. კრიჟანოვსკის, რომელიც იმ დროს თამაშობდა საკმაო დიდ როლს, იყო ამხ. ლენინის ახლო მეგობარი, მაგრამ განიცდიდა ერთგვარ მერყეობას წმინდა ლენინის პოზიციასა და შემთანხმებელთა პოზიციის შუა.

სწორეთ იმან მომითხრო მე დაწვრილებით ლენინის შესახებ. დიდი აღტაცებით ახასიათებდა ის ლენინს, ახასიათებდა მის უდიდეს ნიჭს, ზეკაცობრივ ენერგიას, ახასიათებდა როგორც ფრიად საყვარელს, მხიარულ ამხანაგს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდა, რომ ლენინი, უპირველესად ყოვლისა, პოლიტიკის კაცია და თუ ვერ შეუთანხმდება ვინმეს პოლიტიკურად სწყვეტს მასთან პირად ურთიერთობასაც. ბრძოლაში კი, კრიჟანოვსკის თქმით, ლენინი იყო დაუნდობელი და სწორე ხაზის მიმდევარი.

და იმ დროს, როდესაც მე უკვე დავსახე ჩემთვის სათანადო საკმაოდ რომანტიული სახე, კრიჟანოვსკიმ დაუმატა: „გარეგნულობით კი ის გავს იაროსლაველ „კულაკს", ცბიერ რუს ტეტიას, განსაკუთრებით, როდესაც წვერს ატარებს.

ჩამოვედი თუ არა გადასახლებიდან კიევში, მაშინვე მივიღე უმრავლესობის კომიტეტების ბიუროდან პირდაპირი მოწერილობა დაუყოვნებლივ წავსულიყავ საზღვარ გარეთ და შევსულიყავ პარტიის ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში. მე შევასრულე მოწერილობა.

რამდენიმე თვე დაეყავი პარიზში, ერთი მხრით იმიტომ, რომ მინდოდა დაწვრილებით გავსცნობოდი შექმნილ სხვადასხვაობას, თუმცა პარიზში მე დაუყოვნებლივ ჩავუდექი სათავეში ერთ ძალიან პატარა ბოლშევიკურ ჯგუფს და დავიწყე უკვე ბრძოლა მენშევიკებთან.

ლენინმა მომწერა მე ერთი-ორი მოკლე წერილი და მიწვევდა ჟენევაში. ბოლოს კი თვითონ ჩამოვიდა.

მისი ჩამოსვლა ჩემთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო. პირველად ჩემზე პირველი შეხედვით მან ვერ მოახდინა ძალიან კარგი შთაბეჭდილება. თავის გარეგნობით მე ის ცოტათი უფერული მეჩვენა, ისე კი არაფერს გარკვეულს არ ამბობდა, მხოლოთ დატენებით მოითხოვდა ყენევაში წასვლას.

ამ წასვლაზე მე დავეთანხმე.

ამავე დროს ლენინმა გადასწყვიტა წაეკითხა პარიზში დიდი რეფერატი რუსეთის რევოლიუციისა და რუსეთის გლეხობის მომავლის შესახებ.

ამ რეფერატზე მე პირველად გავიცანი ის, როგორც ორატორი. აქ ლენინი გამოიცვალა. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ დაუღალავმა ენერგიამ, რომლითაც ის ლაპარაკობდა, მსმენელებზე მიშტერებული თვალები, ის მონოტონური, მაგრამ ძლიერი მოძრაობა ორატორისა ხან წინ და ხან უკან, ის თავისუფალი და თავიდან ბოლომდი ძლიერი ნებით აღსავსე სიტყვა.

მე მივხვდი, რომ ამ კაცმა, როგორც ორატორმა, უნდა მოახდინოს ძლიერი და წარუშლელი შთაბეჭდილება. მე უკვე ვიცოდი, თუ რამდენათ ძლიერი იყო ლენინი, როგორც პუბლიცისტი, თავისი ცოტათი ტლანქი, უალრესად ნათელი, გარკვეული სტილით, თავის უნარით ყოველივე აზრის, თუ გინდ რთულისაც, უბრალოთ გადმოცემაში; ისეთ ფორმაში გამოხატაედა აზრს, რომ ის ადვილათ აღიბეჭდებოდა თვით განუვითარებელ და პოლიტიკურ აზროვნებას შეუჩვეველ ადამიანების გონებაშიდაც.

მე მხოლოდ გვიან, გაცილებით გვიან გავიგე, რომ არა ორატორობა, პუბლიცისტობა და თითქმის არც აზროვნება წარმოადგენდა ლენინში მის უძლიერეს მხარეებს, არამედ კიდევ იმ დროსვე ცხადი იყო ჩემთვის, რომ მისი ხასიათის უძლიერეს მხარეს წარმოადგენდა ნება სავსებით გარკვეული, მტკიცე, რომელსაც შეეძლო მთელი ყურადღება უახლოეს ამოცანაზე შეეჩერებია, მაგრამ არასდეს არ ასცდებოდა იმ წრეს, რომელსაც დასახავდა მისი ძლიერი ჭკუა, რომელიც ყოველ ცალკე ამოცანას ისე დააწყობდა და გადასწყვიდა ერთი მეორეს, როგორც რგოლს უდიდეს მსოფლიო პოლიტიკურ ჯაჭვში.

ვგონებ, მეორე დღეს რეფერატის შემდეგ, არ მახსოვს რა შეხვედრის გამო, ჩვენ მოვხვედით მოქანდაგე არონსონთან, რომელთანაც მე იმ დროს საკმაო კარგ განწყობილებაში ვიყავი. არონსონი, დაინახა თუ არა ლენინის თავი, აღტაცებაში მოვიდა და დაუწყო მას თხოვნა ნება მიეცა გამოექანდაკებია მისი თუ გინდ მედალი მაინც.

მან მიმითითა მე ლენინსა და სოკრატეს შორის შესამჩნევ მსგავსებაზე. თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ლენინი კიდევ უფრო

შეტად გაეს ვერლენს, ვიდრე სოკრატეს. იმ დროს კარიერის მიწურ დახატული ვერლენის სურათი ახალი გამოსული იყო და იმ დროსვე იყო გამოფენილი ვერლენის ცნობილი „ბიუსტი“, რომელიც შემდეგ შეიძინეს ჟენევის მუზეუმისათვის.

თუმცა აღნიშნული იყო ვერლენისა და სოკრატეს შუა საოცარი მსგავსება. უმთავრესი მსგავსებას შეიცავდა თავის საუცხოო ფორმა.

ვლადიმერ ილიას ძეს თავის ჭალა ნამდვილათ საუცხოო ქონდა. საჭიროა ცოტათი ახლოს დაკვირდეთ მას, რომ ნაცვლად პირველი შთაბეჭდილებისა უბრალო დიდი მელოტი თავის შესახებ, თქვენ შეამჩნიოთ ფიზიკური ძლიერება, კოლოსალური შუბლის მოხაზულობა და, მე ვიტყოდი, სინათლის რაღაც ფიზიკური შუქი მისი ზედაპირიდან.

მოქანდაკემ, რასაკვირველია, ეს მაშინვე აღნიშნა. ამასთან ერთად უფრო აახლოვებს ლენინს ვერლენთან, ვიდრე სოკრატესთან, ძალიან ჩალრმავებული, პატარა და ერთობ დაკვირვებული თვალები, მაგრამ დიდი მგოსანის თვალები რაღაც ბნელი და ჩამქრალია (კარიერის სურათის მიხედვით), ლენინის თვალები კი დამკინავია, ირონიით სავსე, ჭკვიანი და რაღაც მშფოთვარე მხიარულებით გამომეტყველი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ლენინი ლაპარაკობს, ისინი ხდებიან ბნელი და თითქო ჯადოსნური. ლენინს ძალიან პატარა თვალები აქვს, მაგრამ ისეთი გამომეტყველი, რომ შემდეგში მე ხშირათ ვსტკბებოდი მათი უნებური თამაშით.

სოკრატეს თვალები, ბიუსტების მიხედვით, უფრო გარეთ იყო გამოწეული.

ქვემო ნაწილშიდაც დიდი მსგავსებაა, განსაკუთრებით, როდესაც ლენინი ატარებს ცოტათ თუ ბეერათ დიდ წვერს. სოკრატეს, ვერლენს და ლენინს წვერები ერთნაირად ეზრდებოდათ, ცოტა აწეწილი და დაუწყობელი, და ყველას ქვემო ნაწილი რაღაც უშნო აქვთ, ტლანქი.

დიდი ცხვირით და სქელი ტუჩებით ლენინი რამდენიმეთ თათარს ჩამოგავს, რაც რუსეთში, რასაკვირველია, ადვილი ასახსნელია, მაგრამ სრულიად, ანუ თითქმის სრულიად ასეთივე ცხვირი და ტუჩები აქვს სოკრატეს, რაც ძალიან ეხხერებოდათ თვალში საბერძნეთში, სადაც მზგავს ტიპს მხოლოდ ფანტასტიურ სატირებს თუ მიაკუთნებდენ. ასეთივე ქონდა ვერლენსაც. ერთმა ახლო მეგობარმა ვერლენს ყალმიკი უწოდა. დიდი მოაზროვნის სახეს ბიუსტების მიხედვით, უპირველესად ყოელისა ღრმა აზროვნების ბეჭედი ასხის. მე ვფიქრობ, რომ თუ ჭკნენფონტესა და პლატონის გადმოცემაში ოდნავი ჰეშმარიტება მაინც იყო, სოკრატე უნდა ყოფილიყო მხია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული და ირონიული და მსგავსება ლენინთან ფიზიონომიის ცოცხალი თამაშში უფრო მეტი იჭერებოდა, ვიდრე ამას ბიუსტი აღნიშნავს. ჟრუანტელი ორივე შესამჩნევ გამოხატულებაში სჭარბობს ის ნაღვლიანი გამომეტყველება, ის დეკადენტური მინორი, რომელიც, რასაკვირველია, მის პოეზიის უმთავრეს მხარეს წარმოადგენდა. მაგრამ ყველამ იცის, რომ ვერლენი, განსაკუთრებით თავის ბატაკების პირველ ხანებში იყო მხიარული, და მე მგონია, რომ მსგავსება აქ მეტი იყო, ვინემ ეს სჩანს.

რას გვასწავლის ეს საოცარი პარალელი გამოჩენილ ბერძენთა ფილოსოფოსისა, საფრანგეთის დიდი მგოსნისა და სახელოვან რუს რევოლიუციონერისა?

რასაკვირველია, არაფერს. ის მხოლოდ აღნიშნავს—როგორ შეიძლებელია ერთი და იმავე გარეგნობის ადამიანები, მართალია, დაახლოებით თანასწორი გენიოსები იყვნენ, მაგრამ სრულებით სხვადასხვა დარგში და მეორე მხრით კი, საშვალება მომცა ამეწერა ლენინის გარეგნობა უფრო ნათლად და თვალსახებათ.

როდესაც ახლო გავიცანი ლენინი, მე დავაფასე კიდევ ერთი მისი მხარე, რომელიც უცბათ არ გეხვდება თვალში: ეს არის სიცოცხლის საკვირველი ძალა მასში. ის მასში სდუღს და თამაშობს. იმ დღეს, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ, ლენინი უკვე 50 წლისა უნდა იყოს, მაგრამ ის ახლაც ისევ ახალგაზრდაა, მთლად ყმაწვილია თავის ცოცხალი აგებულებით. როგორი გადამდები, საყვარელი, ბავშური სიცილი აქვს და რა ადვილია მისი გაცინება, როგორი მიზიდულება აქვს სიცილისადმი ამ გამარჯვების გამოხატულებისადმი გამირვებებზე! უსაშინელესი წუთების დროსაც კი, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, ლენინი იყო ყოველთვის ერთნაირი და იმ გვარათვე განწყობილი სიცილისადმი.

მისი წყრომა ისეთივე არაჩვეულებრივათ სასიყვარულოა მიუხედავათ იმისა, რომ მის მიერ მეხდაცემულნი უკანასკნელ დროს მართლაც ათეული ადამიანი იღუპება და შეიძლება ასეულიც. ის ყოველთვის ბატონია თავის წყრომისა და ამ უკანასკნელს თითქმის ხუმრობის ფორმა აქვს. მე ბევრჯერ შევნიშნე ეს გარეგანი ბუზღუნი, ეს ჯავრიანი სიტყვები, გესლიანი ირონიის ისრები, რომლითაც გვერდით ახლდა ივიეტ ლიმილი თვალებში და უნარი ამ გაჯავრების მთელი სცენის ერთ წუთში მოსპობისა, რომელსაც თითქო თვით ლენინი იწვევდეს, ვინაიდან ასეა საჭირო. შიგნით კი ის არამც თუ შშვიდი, არამედ მხიარულიც რჩება.

კერძო ცხოვრებაშიაც ლენინს ყველაზე მეტათ უყვარს იგივე ძალდაუტანებლივ უბრალო, პირდაპირი, ძალთა დუღილით გამსჭვალული მხიარულება. მას ძალიან უყვარს ბავშვები და კატის კნუტე-

ბი. მათთან თამაშით შეუძლიან ხანდახან მთელი საათობით შეიქცეოს თავი.

თავის მუშაობაშიდაც ლენინს შეაქვს ცხოვრების კეთილსურნელება. მე არასოდეს არ ვიტყვი იმას, რომ ლენინი შრომის მოყვარეა, არასოდეს არ დამინახავს ის კითხვით გატაცებული ანუ სამწერლო მაგიდაზე თავჩაღუნული. სწერს ის ძალიან ჩქარა, მსხვილათ, გაკრული ხელით; სწერს წერილებს სრულებით თავისუფლათ, ვერ შეხვდებით შიგ ვერც ერთ წაშლილ და გასწორებულ ადგილს. წერილების წერა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მას შეუძლია დაწეროს ყოველთვის, ჩვეულებრივათ დილით, ლოგინიდან რომ ადგება, მაგრამ გვიან საღამოსაც, როდესაც დაბრუნდება სახლში დაღლილი, ერთი სიტყვით, როდესაც მოისურვებს: კითხულობდა ის ყველაფერს უკანასკნელ დროს, გარდა იმ მოკლე დროისა, როდესაც ის იყო საზღვარ გარეთ რეაქციის დროს, უფრო ნაწყვეტებათ, ვიდრე ერთად, მაგრამ ყოველიე წეგნიდან, ყოველი გვერდიდან ის ამოიღებს რამე ახალს, გამოსძებნის ამა თუ იმ მისთვის საჭირო იდეას, რომელსაც ის შემდეგ იარაღათ ხმარობს.

განსაკუთრებით აენთება ხოლმე ის არა მონათესავე, არამედ მოწინააღმდეგე აზრებით. ლენინი ყოველთვის სასტიკი პოლემისტია.

მაგრამ, უკეთუ სასაცილოა ლენინის შრომის მოყვარეთ ცნობა, შრომის უნარი კი მას უდიდესი აქვს. მე მზათ ვარ ვიცნო ის პირდაპირ დაუღალავ მუშაკათ; ხოლო თუ მე ამას არ ვამბობ, ეს იმიტომ, რომ ვიცი, რომ უკანასკნელ დროს არაჩვეულებრივი ძალდატანება, რომელსაც ის იძულებულია მიმართოს ხოლმე მაინც ასუსტებს ყოველი კვირის ბოლოში და აიძულებს მას დაისვენოს. გადავიკითხე რა ეს სტრიქონები დღეს, 1923 წ. მარტში, ლენინის მძიმე ავადმყოფობის დროს, მე მზათ ვარ ვაღიარო, რომ არც თვითონ და არც ჩვენ მას არ ვუფრთხილდებოდით საკმაოთ. მიუხედავათ ამისა მე დარწმუნებული ვარ, რომ ვლადიმერ ილიას ძის გმირული ფოლადისებური ბუნება დასძლევს ავადმყოფობას და შორს არ არის ის დრო, როდესაც ის ისევ დაუბრუნდება რ. კ. პ. და რუსეთის ხელმძღვანელობას.

მაგრამ, აკი ლენინმა იცის დასვენება. ის სარგებლობს ამ დასვენებით, როგორც რაიმე „ვანით“, დასვენების დროს მას არ უნდა რამეზე იფიქროს, მთლად უკმად ატარებს დროს და, თუ კი შესაძლებელი იქნება, მის საყვარელ სიცილსა და მხიარულებაში ერთობა. ამიტომ თვით მოკლე ხნის დასვენების შემდეგაც კი ლენინი ჯანმრთელად გრძნობს თავს და მზათ არის ახალი ბრძოლისათვის.

ეს წყარო მოელვარე და ერთგვარი გულუბრყვილო სიცოცხლისა წარმოადგენს გონებისა და ნების სიმტკიცესთან ერთად ლენინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხიბლველობას. ეს მომხიბლველობა კოლოსალურია, ადამიანი, რომელიც მოყვება მის წრეში, არამც თუ ეთვისება მას როგორც პოლიტიკურ ხელმძღვანელს, არამედ რაღაც თვისებურათ შეუყვარდება ხოლმე ის. და ეს ემართებათ ყველა ყალიბის ხალხს, თვით უდიდეს ტალანტის გორკიდან უკანასკნელ სოფლის ტატიამდე. პირველ ხარისხოვან მოაზროვნეებიდან, როგორც ზინოვიევია, ვიღაც ჯარისკაცსა და მეზღვაურამდე, რომელიც გუშინ შავრაზმელი იყო და აწი კი ყოველთვის მზათაა თავი დასდვას „მსოფლიო რევოლიუციის ბელადის „ილიჩ"-ისათვის.

ეს უბრალო სახელწოდება—„ილიჩ" ისე ფართედ გავრცელდა, რომ მას იმეორებენ ისეთებიც, რომელთაც ლენინი არასოდეს არ უნახავთ.

როდესაც ლენინი დაბრუნდა იწვა ლონდონში და ჩვენ განუსაზღვრელი შიში გვქონდა, ვერავინ ვერ გამოხატა ჩვენი გრძნობები ლენინისადმი ისე კარგად, როგორც ტროცკიმ. მსოფლიო მოვლენათა საშინელ ქარტეხილში, ტროცკიმ, რუსეთის რევოლიუციის მეორე ბელადმა სთქვა: „როდესაც წარმოიდგენ, რომ ლენინი შეიძლება მოკვდეს, გგონია, რომ ყველას ჩვენი სიცოცხლე უსარგებლოა და სურვილი გეკარგება სიცოცხლისაო".

დავუბრუნდები ჩემი მოგონებების ძაფს ლენინის შესახებ რევოლიუციამდე.

ჟენევაში ლენინთან ერთად ჩვენ ვმუშაობდით ჟურნალ „ეპეროდ"-ის, შემდეგ „პროლეტარი"-ს რედაქციაში. ლენინი საუცხოო ამხანაგი იყო რედაქციაში. სწერდა ის, როგორც ვთქვი, ბევრსა და ადვილად და კეთილსინდისიერათ ეპყრობოდა თავის კოლეგების ნაშრომს: ხშირათ ასწორებდა მათ, იძლეოდა რჩევას და ძალიან ახარებდა ყოველი ნიჭიერი და შინაარსიანი წერილი.

ჟენევაში გატარებულ ცხოვრების პირველ ნახევარში 1905 წლ. იანვრამდე ჩვენ ვეწარმოებდით, უმთავრესად, შინა-პარტიულ ბრძოლას, აქ მე მაკვირვებდა ლენინის ღრმა უყურადღებობა ყოველივე პოლემიკურ კამათისადმი, ის დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა ბრძოლას სახლვარგარეთელ აუდიტორიის გამო, რომლის უმთავრესი ნაწილი მენშევიკების მხარეზე იყო, სხვადასხვა საზეიმო დისკუსიებზე არ ესწრებოდა და არც მე მირჩევდა ამას ძალიან. ამჯობინებდა, რომ მე გამოვსულიყავი დიდი მთლიანი რეფერატებით.

მოწინააღმდეგეების მიმართ არ გამოიჩენდა არავითარ სიბოროტეს მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იყო სასტიკი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, სარგებლობდა ყოველი მათი შეცდომით. ანვითარებდა და აზვიადებდა ყოველივე ნაპერწკალს ოპორტიუნიზმისაკ, რაშიაც ის სრულიად მართალი იყო, იმიტომ რომ შემდეგში მენშევიკებმა თვით

განავითარეს და გააღვივეს ყველა მაშინდელი ნაპერწკლები და დაანთეს საქმაო ოპორტუნისტული ცეცხლის ალი. ინტრიგები არ უყვარდა, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლაში ყოველ იარაღს ხმარობდა, გარდა არა-საკადრისისა. უნდა ითქვას, რომ მსგავსადვე იქცეოდენ მენშევიკები. ურთ-ერთ დამოკიდებულება ჩვენში გაფუჭდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებში ბევრს არ შერჩენია მაშინ ცოტაოდენი ადამიანური პირადი ურთიერთობანი მაინც. მენშევიკები ჩვენთვის მტრებათ გადაიქცენ. ჩვენი დამოკიდებულება მენშევიკებთან განსაკუთრებით მოშხამა მაშინ დამა. დანი ლენინს ყოველთვის ძალიან სძულდა, მარტოვი კი უყვარდა და უყვარს, მაგრამ სთვლიდა და ახლაც სთვლის მას პოლიტიკურად სუსტი ნების მქონეთ, რომელიც ხშირად გატაცებული იყო პატარა პოლიტიკური აზრით, რის გამო კარგავდა საერთო პოლიტიკურ მოხაზულობას.

რევოლიუციური მოძრაობის დაწყებისთანავე საქმე თვალსაჩინოთ შეიცვალა, ჯერ ერთი ჩვენ თანდათან მივიღეთ მორალური უპირატესობანი მენშევიკებზე. მენშევიკები ამ დროს უკვე გარკვეულ ლოზუნგს დაადგენ—ჩაითრიონ ბურჟუაზია რევოლიუციაში, წინ წაიყვანონ ის და ეცადონ შექმნან კონსტიტუცია ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენი, როგორც მენშევიკები ამტკიცებენ, რევოლიუციურ-ტეხნიკური შეხედულება იზიდავდა ემიგრაციაში მყოფთა უმეტეს ნაწილსაც კი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

ჩვენ ცოცხალი ნიადაგი ვიგვრძენით ფეხ ქვეშ. ლენინი იმ დროს საუცხოო იყო. უდიდესი გატაცებით შლიდა ის მომავალი დაუნდობელი რევოლიუციური ბრძოლის პერსპექტივებს და ძალიან სურდა რუსეთში დაბრუნება.

მაგრამ ამ დროს მე წავედი იტალიაში ავადმყოფობისა და დაღლილობის გამო და ლენინთან მჭონდა მხოლოდ წერილობითი კავშირი, უმეტეს შემთხვევებში საქმიანი პოლიტიკური ხასიათისა. რამდენადაც გაზეთს შეეხებოდა.

მე მას შემდეგ უკვე პეტერბურგში შევხვდი. უნდა ვთქვა, რომ სწორეთ პეტერბურგში ყოფნის დროს ლენინს მოქმედება 1905—906 წ.წ. მეჩვენება მე შედარებით სუსტათ. რასაკვირველია, ის აქაც სწერდა შესანიშნავ წერილებს და იყო პოლიტიკური ხელმძღვანელი პოლიტიკურის მხრით უაღრესად აქტიურ პარტიისა—ბოლშევიკებისა.

პირადათ მე გაფაციცებით ვადევნებდი მას თვალ-ყურს, ვინაიდან იმ დროს გულდასმით დავიწყე კრომველის, დანტონის ბიოგრაფიების შესწავლა კარგი წყაროებიდან. ვსცდილობდი რა გამეცნო ფსიქოლოგია რევოლიუციური „ბელადებისა“, მე ვადარებდი მათ ლენინს და მეგონა, რომ ლენინი ძნელათ წარმოადგენდა ნამდვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციურ ბელადს იმ მხრით, როგორიც მე ის წარმოდგენილი მყავდა. მე მეგონა რომ ემიგრაციაში ცხოვრებამ ცოტათი დააწვრილმანა ლენინი, რომ შინა პარტიული ბრძოლა მენშევიკებთან ჩრდილავს მასში გრანდიოზულ ბრძოლას მონარქიასთან, და რომ ის უფრო ჟურნალისტია, ვინემ ბელადი.

მე ძალიან მწყინდა, რომ დისკუსიებს მენშევიკებთან, რაღაც ცდებს გარკვეული მიჯნის გასატარებლად ადგილი ჭონდა იმ დროსაც კი, როდესაც მოსკოვი სულს ღაფავდა შეიარაღებული ამბოხების დამარცხების შემდეგ.

მასთან ერთად, ეშინოდა რა დატუსაღების, ლენინი ძალიან იშვიათად გამოდიოდა როგორც ორატორი: რამდენადაც მახსოვს, გამოვიდა მხოლოდ ერთხელ— კარპოვის გვარით, მაგრამ იცნეს და გაუმართეს გრანდიოზული ოვაცია. მუშაობდა ის, უმეტესად, კუთხეში, მარტო კალმით და ცალკე პარტიების მთავარ შტაბების სხვა და სხვა თათბირებზე.

ერთი სიტყვით, ლენინი, როგორც მე მგონია, განაგრძობდა ბრძოლას ცოტა საზღვარგარეთელ მასშტაბით: ის არ მომხდარა იმ საკმაოთ გრანდიოზულ საზღვრებში, როგორშიდაც გამოიხატა იმ დროს რევოლიუცია. ჩემ თვალში კი ის რუს ბელადთა შორის მაინც ყველაზე დიდი იყო და მე მეშინოდა, რომ რევოლიუციას არა ყავდა ნამდვილი გენიალური ბელადი.

ლაპარაკი ნოსარ-ხრუსტალევის შესახებ, რასაკვირველია, სასაცილო იყო და მეტი არაფერი. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ამ უეცრად ამოტივტივებულ „ბელადს“ არ ჭონდა არავითარი მომავალი. ყველაზე მეტი ხმაურობა იყო მაშინ ტროცკის გარშემო, მაგრამ იმ დროს ყველას ჩვენ წარმოდგენილი გვყავდა ტროცკი, როგორც ძალიან ნიჭიერი და თეატრალური ტრიბუნით გატაცებული და არა პირველხარისხოვანი პოლიტიკური მოღვაწე.

დანი და მარტოვი მეტის მეტად ცდილობდენ ეწარმოებიათ ბრძოლა პეტერბურგის მუშათა კლასის შიდა წრეებში და ისევ და ისევ ჩვენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მე ახლაც იმას ვფიქრობ, რომ 1905-6 წ. წ. რევოლიუცია ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი პოლიტიკური გამოცდილება. შემდეგმა სათათბიროს მუშაობამ, შემდეგმა ჩვენმა მუშაობამ, როგორც ემიგრანტებისამ, ჩვენში რეალურ პოლიტიკოსების გასაღრმავებლათ, მუშაობამ ფართო სახელმწიფოებრივი მოქმედების ამოცანებზე, რომლის დაბრუნებას ჩვენ ადრე თუ გვიან ვფიქრობდით და დარწმუნებული ვიყავით—მოგვცა ჩვენ ის შინაგანი ხრდა და განვითარება, რომელმაც სრულებით შესცვალა ჩვენი მანერა რევოლიუციური ამოცანისადმი მიდგომისა და გადაჭრისა, როდე-

საც ჩვენ ისტორიამ ხელახლა გამოგვიწვია სამოქმედოთ, განსაკუთრებით კი ეს შეეხება ლენინს.

ლენინი ფინლიანდიაში, სადაც მას მოუხდა რეაქციისაგან თავის დაცვა, მე არ მინახავს.

შევხდით მე და ლენინი ერთმანეთს ისევ საზღვარ გარეთ შტუტგარტის კონგრესზე. აქ ჩვენ რაღაც ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს, გარდა იმისა, რომ ჩვენ ხშირად გვიხდებოდა ერთად თათბირი, ვინაიდან მე მონდობილი მქონდა ჩვენი პარტიიდან ერთი მთავარი სამუშაოთაგანი ყრილობაზე, ჩვენ გვქონდა ერთმანეთში მრავალი და დიდი პოლიტიკური საუბრები, ასე ვსთქვათ, საიდუმლო ხასიათის, ჩვენ ვარჩევდით დიდი სოციალური რევოლიუციის პერსპექტივებს. ამ დროს ლენინი უფრო ოპტიმისტი იყო, ვიდრე მე. მე ეფიქრობდი, რომ ისტორიული მოვლენები უფრო ნელის ტემპით გაიელიან, საჭირო იქნება ცდა მანამ ახალში მდებარე ქვეყნებშიდაც გაიზრდება და გაბატონდება კაპიტალი, ეფიქრობდი, რომ კაპიტალს ჯერ საკმაო რესურსები აქვს და, ვინ იცის, ჩვენ იქნებ სიბერეში მოვესწროთ ნამდვილი სოციალურ რევოლიუციას—თქო. ლენინს ეს პერსპექტივები ძალიან აწუხებდა. როდესაც გადავუშალე მას წინ ჩემი საბუთები და თანდათან განვავითარე, მის ნიჭიერ სახეზე შეამჩნიე ჭმუნვის კვალი და მიეხვდი თუ როგორ ძლიერ სწყდებოდა მას ისევ თვის სიცოცხლეში არამც თუ მოსწრებოდა რევოლიუციას, არამედ თვით მიეღო მხურვალე მონაწილეობა მის შექმნაში. მაგრამ არაფერს არ ამტკიცებდა. ის, როგორც ეტყობოდა, მზათ იყო რეალისტურათ ეცნო ქვემოდ დახრაც და ზევით ახრაც და თვითონაც შესაფერად მოქცეულიყო.

ლენინს აღმოაჩნდა მეტი პოლიტიკური გრძნება, ალღო, რაც არ უნდა იქნეს გასაკვირი. ლენინს აქვს გენიალური ოპორტუნიზმის მოხერხებაც, ე. ი. ისეთი ოპორტუნიზმისა, რომელიც ანგარიშს უწევს ცალკე მომენტს და იყენებს მას საერთო მუდამ რევოლიუციური ხაზის მიზნებისადმი *).

ეს მხარეები ქონდათ ნამდვილათ დანტონსაც და კრომველსაც. უნდა აღვნიშნო სხვათა შორის, რომ ლენინი ყოველთვის ძალიან მორცხვია და როგორღაც ჩრდილს ეფარება საერთაშორისო კონგრესებზე: შეიძლება იმიტომ, რომ სუსტად გრძნობს თავს მომზადებულათ ენებში, თუმცა კარგათ ლაპარაკობს გერმანულ ენაზე და

*) თავის დიდი რევოლიუციური მოღვაწეობის დროს რუსეთის რევოლიუციის ხანაში ლენინმა მოგვცა ჩვენ რამდენიმე მაგალითი ასეთი გენიალური ოპორტუნიზმისა და გამოხატა იგი მე-III ინტერნაციონალის მე-IV კონგრესზე წარმოთქმულ ცნობილ განსაკუთრებული შინაარსის სიტყვის ერთგვარ წინასიტყვაობაში.

საკმაოდ იცის ფრანგული და ინგლისური ენებიც. მიუხედავათ ამისა კონგრესებზე გამოსვლის დროს ის რამდენიმე ფრაზით ათავებს თავის სიტყვას. ეს შეიცავალა მას შემდეგ, როდესაც ლენინმა ჯერ ცოტათი და შემდეგ მსოფლიო რევოლიუციის ნამდვილ ბელადათ იჩრდნო თავი. უკვე ციმერვალდში და კინტალში, სადაც მე, მართალია, პირადათ არ დავსწრებივარ, ლენინი ზინოვიევთან ერთად, შეშფოთებული, დიდ საპასუხისმგებლო სიტყვებს ამბობდა უცხო ენებზე. მე III ინტერნაციონალის კონგრესებზე კი ის ხშირად დიდი სიტყვებით გამოდიოდა და არ უნდოდა, რომ მისი სიტყვა თარჯიმნებს გადაეთარგმნათ, თვითონვე ჯერ გერმანულ ენაზე იტყოდა და შემდეგ ფრანგულზე. სიტყვას ამბობდა ყოველთვის სრულიად თავისუფლად, აზრს ხატავდა გარკვევით და მარჯვედ.

მით უმეტეს საინტერესოთ მეჩვენა მე ის პატარა საბუთი, რომელიც ძველათვე ვნახე მუზეუმ „წითელი მოსკოვი-"ს კოლექციებში. ეს იყო ვლადიმერ ილიას ძის საკუთარი ხელით დაწერილი ანკეტა. კითხვის „ლაპარაკობს თუ არა თავისუფლად რომელიმე ენაზე" გასწვრივ „ილიჩმა" გარკვევით აღნიშნა: „არც ერთზე" N.B.—მცირე ნიშანი, რომელიც საუცხოვოდ ახასიათებს მის უდიდეს თავმდაბლობას. ამას დაადასტურებს ყველა, ვინც დაესწრო იმ დიდ ოვაციებს, რომელსაც ნემცები, ფრანგები და სხა დასავლეთელი ევროპიელები უმართავდენ „ილიჩს" უცხო ენებზე წარმოთქმულ სიტყვების შემდეგ.

მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ, ასე ვსთქვათ, პირადათ მასთან ყოფნის დროს არ მომიხდა გადამეტანა ჩემს თავზე ჩვენ შორის ჩამოვარდნილი პოლიტიკური უთანხმოება, რომელიც დიდ ხანს გაგრძელდა. *)

ამ უთანხმოების განმავლობაში მე სრულებით არ ვხვდებოდი ლენინს, მე ძალიან მაჯავრებდა ლენინის პოლიტიკური დაუნდობლობა, როდესაც ეს უკანასკნელი ჩვენკენ იყო მომართული. მე ახლაც ამას ვფიქრობ, რომ ბევრი რამ ბოლშევიკებსა და ეპერიოდელებს შორის შექმნილი იყო უბრალო ემიგრანტული გაუგებრობით და გულის მოსვლით, გარდა ამისა, რასაკვირველია, ფრიად სერიოზული ფილოსოფიური აზრთა სხვადასხვაობით; პოლიტიკურად კი ჩვენ არ უნდა გავთაშულიყავით, ვინაიდან ჩვენ ერთი და იმავე პოლიტიკური აზრის მხოლოდ სხვადასხვა გვარათ გამომხატველი ვიყავით.

---

*) რამდენათაც მე ბოგდანოვთან და სხვებთან ერთად გადავიხარე მარცხნივ და მოვხვდი „პერიოდ"-ელების ჯგუფში, რომელიც შეცდომით გამოყვა ლენინს შემდეგი საკითხის გადაჭრის დროს—საჭირო იყო თუ არა პარტიისათვის ლეგალურ შესაძლოებათა გამოყენება, სტოლიპინის რეჟიმის დროს.

ბოგდანოვი მაშინ იმდენად გულმოსული იყო, რომ ამბობდა, ლენინი აუცილებლად ჩამოშორდება რევოლიუციასო და თითქმის გვიმტკიცებდა კიდეც მე და ამხ. ე. კ. მალინოვსკისას, რომ ლენინი უსათუოდ ოქტომბრისტი გახდებაო.

მართალია, ლენინი გახდა ოქტომბრისტი. მაგრამ ოქტომბრისტი სულ სხვა ოქტომბრისა.

ამ ნაჩქარევ შენიშვნებს დაუმატებ შემდეგს. მე ძალიან ხშირად მიხდებოდა ლენინთან მუშაობა სხვა და სხვა გვარ რეზოლიუციების შესამუშავებლად—ჩვეულებრივ ეს კოლექტიურად ხდებოდა. ლენინს ასეთ შემთხვევებში საერთო მუშაობა უყვარს. წასულ ხანებში მე ისევ მომიხდა მონაწილეობა მიმეღო ასეთ მუშაობაში მე-8 ყრილობის რეზოლიუციის შემუშავების დროს გლეხთა საკითხში.

თვითონ ლენინი ძალიან ენა მახვილი და მოსწრებულია ასეთ შემთხვევებში, სწრაფათ პოულობს შესაფერ სიტყვებს, ასწონ—დასწონის მათ ყოველი მხრით, ხანდახან უყუგდებს. ძალიან უხარიან, როდესაც გარედან ეხმარებიან. რამდენჯერ გამომიძებნია მე სრულიად შესაბამი ფორმულა: „აი, აი, ეს თქვენ კარგად გამოგიგიდათ, აბა მიკარნახეთ“, ამბობს ასეთ შემთხვევებში ლენინი. უკეთუ ესა თუ ის სიტყვები მას საეჭვო და შეუფერებლათ მიაჩნია, ის ისევ ჩაფიქრდება და ამბობს: „ასე უმჯობესია ვთქვათ“. ხანდახან მისსავე წამოყენებულ ფორმულას, რომლის სისწორეში ის სავსებით დარწმუნებულია, უკუაგდებს, მოისმენს რა სიცილით მარჯვე და სწორ კრიტიკას.

ასეთი სამუშაო ლენინის თავმჯდომარეობით სრულდება არაჩვეულებრივი სიჩქარით და რაღაც მხიარულად, არამც თუ მისი საკუთარი ტემპი მუშაობს გაცხარებით, არამედ ის უმაღლეს ხარისხამდე ამოძრავებს და ამოქმედებს სხვათა გონებასაც.

აქ მე არაფერს არ მივუმატებ ამ ჩემ მოგონებებს, რომელიც საერთოდ და მთლიანად შეიცავს ჩემ შთაბეჭდილებებს ვლადიმერ ილიას ძის შესახებ 1917 წლის რევოლიუციამდე. რასაკვირველია. მე ძალიან ბევრი შთაბეჭდილებანი და სათქმელი მაქვს რუსეთის და მსოფლიო რევოლიუციის იმ გენიალური ხელმძღვანელობის შესახებ, რომელიც ჩვენმა ბედმა საუკუნოთ აღნიშნა ისტორიის ფურცლებზე.

მე უარს არ ვამბობ გადმოგცეთ ვლადიმერ ილიას ძის სრული პოლიტიკური სურათი ამ გამოცდილების მიხედვით. მთელი რიგია ისეთი მხარეებისა, რომელიც სრულიათ არ ეწონაღმდეგება ჩემ მიერ აქ გადმოცემულსა და მისი პიროვნების უშუალოდ დამახასიათებელ მხარეებს და რომელთაც, რასაკვირველია, გაადიდეს და გაზარდეს

ჩემი წარმოდგენა მასზე ამ უკანასკნელი ექვსი წლის თანამშრომლობის დროს. მაგრამ ასეთი ფართე და შინაარსიანი სურათებისათვის დადგება შესაფერი დრო.

მე მგონია, რომ ის ამხანაგები, რომელნიც მოისურვებენ ხელახლა გამოაქვეყნონ ეს რედაქციის მხრივ ოდნავ შესწორებული ფურცლები „დიდი გადატრიალების“ პირველი ტომისა, არ შეცდებიან თუ იფიქრებენ, რომ მათაც (ფურცლებს) აქვთ ცოტაოდენი ფასი რუსეთისა და მიმდინარე დროის ისტორიის უდიდესი პიროვნების გაცნობის დიად საქმეში, რომლის ცხოველი და კანონიერი ინტერესი ყოველთვის გეხვდება ხალხთა ფართო წრეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგელ ენუქიძე

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ სტამბეგის კავკასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია 1900 წლიდან 1906 წლამდე

(მოხსენების სახით წაკითხული „ძველი ბოლშევიკების კლუბში" მოსკოვში 1923 წლის იანვრის 14-ს).

ამხანაგებო, ის ამბები ჩვენი პარტიის ცხოვრებიდან და მუშაობიდან, რომლის შესახებაც მე მინდა დღეს გესაუბროთ ჩემი მოგონებათა მიხედვით, უეჭველად შეადგენენ ჩვენი პარტიის მომავალი სრული ისტორიის ერთ საუკეთესო მხარეს.

ამ ამბებს ჰქონდა ადგილი 1905—6 წლამდე. პირველი რევოლიუციის ხანაში. მიუხედავათ ამისა, ამ ისტორიის ბევრი მომენტი, რომლის შესახებაც მე ვფიქრობ თქვენთან საუბარს, აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ძალიან ცხადათა და გარკვეეთ.

ჩვენი პარტია, როგორც თქვენ იცით, ძალიან მდიდარია შინაარსით, და თუ თეორიული სიძლიერით მას მეორე ადგილი უკავია გერმანიის პარტიის შემდეგ, სამაგიეროთ თავისი ორგანიზაციული უნარიანობით, თავისი ორგანიზაციული მშენებლობით ჩვენი პარტიის მუშაობის არა-ლეგალურ და ლეგალურ პერიოდებში, იგი უეჭველად წარმოადგენს ყველაზე უფრო ძლიერ პარტიას მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. კერძოდ, არა-ლეგალურ პარტიული სტამბების მოწყობაში, რომლის შესახებაც მე მექნება თქვენთან ეხლა საუბარი, ჩვენს პარტიას, უეჭველად, უკავია პირველი ადგილი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ყველა რევოლიუციონურ პარტიათა შორის. არც ერთ რევოლიუციონურ პარტიას, და მათ შორის „ნაროდოვოლცებსაც", არც პარტიული არა-ლეგალური სტამბების სიდიდით, არც თავისი ნაყოფიერებით და გარეგანი და შინაური ორგანიზაციით, არ ქონებია იმგვარი საწარმონი, როგორც ძველ რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიას.

მე დღეს დავკმაყოფილდები მხოლოდ იმ ისტორიით, რომელიც ეხება ამ სტამბების მუშაობის ორგანიზაციას. მაგრამ გზა-და-გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, მომიხდება აგრეთვე შევეხო საერთო-პარტიულ ცხოვრების სხვა მოვლენებსაც. აქვე საჭიროდ მიმაჩნია გაუწყოთ, რომ ვინაიდან მე ბაასი მომიხდება პირველ პირში, და მოგითხრობთ მე ვიტყოდი, ბევრს კარგს შესახებ იმ ამხანაგებისა, რომელნიც ამ სტამბებში მუშაობდნენ, ამიტომ მე მსურს თავიდანვე შევნიშნო, რომ მთელ ამ ისტორიაში მე პირადათ მეკუთვნის თუ მეორე ხარისხოვანი არა, ყოველ შემთხვევაში, არა პირველი ადგილი. მთავარი ღვაწლი ასეთ სტამბების მოწყობასა და მუშაობაში მიუძღვის სხვა ამხანაგებს, რომელთა შესახებაც მე ქვევით მექნება ლაპარაკი.

ყველაზე მთავარი მომუშავე ამ დარგში, პირველი ორგანიზატორი და დამწყები ჩვენი პარტიის არა-ლეგალური ბეჭდითი საქმისა კავკასიაში იყო განსვენებული ამხანაგი ლადო კეცხოველი. მან არა თუ მოაწყო პირველი არა-ლეგალური სტამბა, არამედ მისი-უჩვეულო ენერგიისა, უმაგალითო ორგანიზაციული უნარიანობის წყალობით და მისი გავლენის ქვეშ, მის გარშემო, გაიზარდა მთელი თაობა ამხანაგებისა, რომელთაც შემდეგ თავი ისახელეს ამ დარგში მუშაობით.

ლადო კეცხოველი, ტფილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოწაფეა 1895—1897 წლებში, იყო ჩვენი უფროსი ამხანაგი ტფილისის არა-ლეგალურ წრეებში, და აგრეთვე უმფროსი ამხანაგი სემინარიის წრეშიდაც, რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ჯუღაშვილი-სტალინიც, ეხლანდელი მდივანი რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. მე პატივი მქონდა მემუშავა ამ. კეცხოველთან ორ წელზე უფრო მეტი დროის განმავლობაში და მჭიდრო კავშირი მქონდა მასთან არა-ლეგალურ მუშაობაში და ჩვენი დაჭერის შემდეგ, 1902 წელში, ვმჯდარიყავი მასთან ერთად მეტეხის ციხეში, სადაც იგი დაიღუპა დარაჯის ტყვიით განგმირული 1903 წლის 17 აგვისტოს.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მე კეცხოველს გავეცნობოდი პარტიული მუშაობის ასპარეზზე ბაქოში, 1898 წლის ბოლო რიცხვებში მე ტფილისის მთავარ სახელოსნოდან, სადაც ვმუშაობდი როგორც პრაქტიკანტი საკრებულო ამქარში,—გადამიყვანეს ბაქოს რკინის გზის დეპოში ორთქლმავალის მემანქანის თანაშემწეთ.

იმ დროს ბაქოში არ ყოფილა არც ერთი მუშათა პარტიული ორგანიზაცია და არც ერთი წრეც (ეს შეეხება 1898 წლის შემოდგომას), არამედ იქ იყვნენ მხოლოდ ცალკე ამხანაგები, ნაწილობრივ რუსეთიდან გადმოსახლებულნი (უმთავრესად მოსკოვიდან გადმოსახლებულნი ზუბატოვის მიერ) და ნაწილობრივ კი საზღვარგარეთის ემიგრაციიდან დაბრუნებული ამხანაგები. ტფილისელ ამხანაგებს კავშირი ჰქონდათ გაბმული ზოგიერთ ამხანაგებთან ბაქოში და მეც გადმომცეს მათი მისამართი. მე ძალიან ჩქარა ვისარგებლე ამ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ამ ამხანაგების დახმარებით მუშათა იმ გვარი არა-ლეგალური წრეების მოწყობა, როგორც იყო ტფილისის წრეები, იმ დროს შეუძლებელი იქნებოდა მრავალი მიზეზის გამო; შესაძლებელი იყო ამ ამხანაგების გამოყენება იმ მხრით მაინც, რომ მათთვის გამოგვეერთმია ფულები ორგანიზაციისათვის, ან ლიტერატურა და ან რჩევა გვეკითხა მათთვის. 1899 წლის დასაწყისში მე და ორმა კიდევ სხვა ამხანაგმა რკინისგზელმა, რომელთაც მე ვიცნობდი ჯერ კიდევ ტფილისიდან, მოვახერხეთ შეგვედგინა წრეები არა მარტო რკინისგზის რაიონში, არამედ რკინისგზის რაიონთან ახლო მყოფ ფაბრიკებსა და ქარხნებშიც. იმავ წელში ჩვენ შევძელით ორი წრის შედგენა ნავთის სამრეწველო რაიონში საბუნჩაში. ეს წრეები გახდენ ძირითად უჯრედებათ ბაქოს ორგანიზაციისა, რომელმაც საერთო-რუსეთის მასშტაბით ითამაშა დიადი როლი.

1899 წლის გასულს ლადო კეცხოველი იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო ტფილისიდან ბაქოში, იგი მუშაობდა ტფილისის ორგანიზაციაში და ხელმძღვანელობდა ტფილისის ტრამვაის მუშათა პირველ გაფიცვას, და, როგორც გამოჩენილ პარტიულ მუშაკს, მას აღარ შეეძლო ტფილისში დარჩენა. გარდა ამისა, ყველამ იცოდა რომ იგი მეტადრეთა შორის ლეგალურ სტამბებში მუშაობის წყალობით, ახერხებდა ტფილისის ორგანიზაციის სახელით ფურცლებისა, მოწოდებებისა და პროკლამაციების ბეჭდვას. რასაკვირველია, მისი ასეთი მუშაობა არ გამოეპარა ჟანდარმების თვალს და იგი იძულებული გახდა სხვისი გვარით გადმოსახლებულიყო ბაქოში. და აი, 1899 წლის შემოდგომაზე, იგი მოვიდა ჩემთან და თავისი დაუღლავი ენერგიით ხელს კიდებს მუშაობას. წრეებში მუშაობის მთელი სიმძიმე, ამ მუშაობის გამოცოცხლება და გაფართოება, როგორც ნავთის სამრეწველო რაიონში, ისე შავსა და თეთრ ქალაქში, კისერზე დააწვა ამხ. კეცხოველს, ვინაიდან იგი, როგორც თავისი ორგანიზაციული უნარიანობითა და ნიჭით, აგრეთვე თავისი ცოდნითაც იდგა ჩემზე და სხვა ჩვენ ამხანაგებზე ბევრად უფრო მაღლა, რომელთაც დავიწუეთ და მოვაწესრიგეთ წრეებში მუშაობის საქმე ბაქოში—მის მოსულამდე.

როგორც კი მუშათა მასის შორის მუშაობამ ფართო ხასიათი მიიღო, ამხანაგი კეცხოველი მუდამ გეეუბნებოდა და გვიმტკიცებდა, რომ საჭირო იყო მოწყობა პატარა არა-ლეგალური სტამბისა ან საბეჭდი ჩარხისა. იგი მუდამ იმას იმეორებდა, რომ ლეგალური მარქსისტული ლიტერატურა და განსაკუთრებით კი გაზეთი, რომელიც ძალიან კარგად იყო მაშინ დაყენებული ქ. ტფილისში (გამოდიოდა ქართულ ენაზე), ვერ შეძლებდა მუშათა მოძრაობის იმ ხანაში ბაქოში და რუსეთის სხვა ადგილებში, დაეკმაყოფილებია პარტიის

მოთხოვნილება და ამოცანები, და ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მთელი ძალღონე მოგვეხმარა თუ გინდ პრიმიტიული არაღებალური გამომცემლობის მოსაწყობად. მაგრამ მთავარი დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ამისთვის არავითარი სახსარი არ გაგვაჩნდა. საწეერო გადასახადები, რომელიც ჩვენ შემოვიღეთ იმ თავითვე მუშათა წრეების მოწყობასთან ერთად, რასაკვირველია, არ იქნებოდა საკმარისი ასეთი სტამბის გასამართავად.

საწეერო გადასახადები ძლივს-ძლიობით თუ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნილებებს, რაც დაკავშირებული იყო თვით წრეებში მუშაობასთან. და აი ამხ. კეცხოველმა დაიწყო თანხების გამოძებნა. ნაწილ ამ თანხისა მან იშოვა თავის ძმისაგან, რომელსაც, თუ არ ეცდები, შენ პატარა სატყეო კონცესიები ქონდა სპარსეთის საზღვარზე. ამხ. კეცხოველმა ბარათი მისწერა თავის ძმას და აქ პატარა ხრიკსაც მიმართა. მან მისწერა ძმას, რომ სურს განავრძოს სწავლა, თავს ანებებს ყოველგვარ რეეოლიუციურ მუშაობას და ამისათვის სთხოვს იმას დახმარებას. ჩქარა მან მიიღო 200 მანეთი და წერილი, რომელშიც მისი ძმა დიდ სიამოვნებას გამოსთქვამდა ლადოს „ჭკუაზე მოსვლის“ შესახებ. ეს თანხა იმ დროში შეადგენდა მთელ ქონებას ჩვენი პატარა ორგანიზაციისათვის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ 200 მანეთით შევძლებდით ჩვენი სანეტარო ოცნების განხორციელებას. მიიღო თუ არა ეს ფული ამხ. ლადო ენერგიულად შეუდგა პატარა საბეჭდი ჩარხის მოწყობის საქმეს. ჩვენ კავშირი გვქონდა ტფილისის ორგანიზაციასთან, რომელსაც ვაცნობეთ ჩვენი მიზანი, მაგრამ გამოირკვა, რომ მცირეოდენ მატერიალური დახმარებისა და შრიფტის და ზოგიერთი სასტამბო მასალის გამოგზავნის გარდა სხვაგვარი დახმარების აღმოჩენა ტფილისის ორგანიზაციას ჩვენთვის არ შეეძლო. ამიტომ უმთავრესად ისევ ჩვენივე ძალებით უნდა გვემოქმედნა. ლადო კეცხოველი ერთგვარად იცნობდა სტამბის საქმეს, ვინაიდან იგი რამდენიმე ხნის განმავლობაში იყო ტფილისის ერთ-ერთი ლეგალური სტამბის გამგე. მე კი მანამდე არავითარი წარმოდგენა არა მქონდა ამ საქმის ტეხნიკის შესახებ. როდესაც მე იგი მეკითხებოდა, თუ როგორ უნდა მოგვეწყო ჩარხი, რამხელა უნდა ყოფილიყო იგი და სხვ.,—ამხ. ლადო განცვიფრებაში მოდიოდა ჩემი უვიცობით. ბოლოს ჩვენ გადავწყვიტეთ წავსულიყავით რომელიმე სტამბაში და თვითონ დაგვეთვალიერებია ბეჭდის ტეხნიკა, რათა შემდეგ მოგვესაზრა, თუ რა უნდა გაგვეკეთებია ამ საქმისათვის. ჩვენ წავედით ვილაც შაპოშნიკოვის პატარა სტამბაში ბაქოში, თითქოს სადარბაზო ბარათების შესაკვეთად, ხოლო ამავე დროს კი თვალყურს ვადევნებდით იმას თუ როგორ ბეჭდავდენ მუშები. ისეთი დრო იყო, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას არავინ არ მოგვაქცევ-

და. ამხ. ლადომ მიმართა სტამბის გამგეს შემდეგი თხოვნით და მიუთითა ჩემზე: „აი ამ ახალგაზრდას ძალიან აინტერესებას ბეჭდვითი საქმე და თუ არ შეწუხდებით გვაჩვენეთ, როგორ ხდება ეს.“ ჩვენი მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ როგორმე მოგვეხერხებია ასოების ყუთიდან წამოგველო რამდენიმე შრიფტი, ვინაიდან ჩვენ ვერც წიგნებიდან და ვერც კატალოგებიდან ვერ გაეგოთ თუ რამი სამაღლე უნდა ყოფილიყო შრიფტი და რა მანძილი უნდა დარჩენილიყო სახურავსა და ჩარხის ზურგის შორის. სტამბის გამგე ძალიან თავაზიანი კაცი აღმოჩნდა და დაწვრილებით დაგვათვალიერებინა მთელი სტამბა. ამ თავაზიანობის წყალობით მე ბევრი რამ გავიგე ბეჭდის ტეხნიკიდან და ამასთანავე მოვახერხე ერთი მუჭა შრიფტის წამოღებაც, მაღლობა გადაუხადეთ გამგესა და წამოვედით. რასაკვირველია, სადარბაზო ბარათებისათვის ჩვენ იქ აღარ წავსულვართ, და გარდა ამისა იგი ჩვენ საკუთარ გვარზედ არ ყოფილა შეკვეთილი. ამხ. კეცხოველმა წინადადება მომცა დაწვრილებით დამეხატა საბეჭდი ჩარხი და მისი ნაწილები. მრავალი გადაკეთების შემდეგ (მან დაიწუნა რამოდენიმე ჩემი სურათი), მე როგორც იქნა დავხატე ასეთი ჩარხი და მისი ნაწილები. და ამ სურათების მიხედვით ჩვენ შეუკვეთეთ სხვა და სხვა ქარხნებს ჩარხის ნაწილები. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ სახურავი და ზოგიერთი სხვა ნაწილები ჩვენ შეუკვეთეთ რისევის ქარხანას (მგონი ეხლაც არის ეს ქარხანა ბაქოში), ხოლო თვით ზურგი კი ეიზენშმიდტის ქარხანას შავქალაქში. რისევის ქარხანაში ჩვენთვის არ მიუკვეთიათ განსაკუთრებული ყურადღება, მათ მიიღეს ბე და შეგვპირდენ ერთი თვის შემდეგ შენაკვეთის ჩაბარებას. რაც შეეხება ეიზენშმიტს, იქ, როდესაც ვეებაასებოდით სახელოსნოს გამგეს, ჩვენთან მოვიდა ვიღაც გაიძვერა პიროვნება, რომელმაც გვითხრა: „ახ, ეს ალბად კორექტურული ჩარხისათვის გინდათ?“ ამაზე ამხ. კეცხოველმა დამშვიდებით უპასუხა: „დიახ, ეს საბეჭდი ჩარხისათვის გვინდა. თქვენ ძალიან გონება მახვილი ყოფილხართ და ძალიან დიდი მომავალიც გექნებათ, ახალგაზრდავ, მაგრამ ჩემი რჩევა იქნება, როდესაც არავინ გეკითხებათ, ნუ ისვრით ხოლმე თქვენ აზრებს ჰაერზე.“ ხოლო გამგემ კი უკმეხათ უთხრა ამ „ახალგაზრდას“—ნუ ჩაერევი ხოლმე სხვის საქმეშიო. ერთი თვის თუ თვე ნახევრის შემდეგ, როგორც შეპირებული ვიყავით უნდა გამოგველეიდა შეკვეთილი ჩარხი. ჩვენ უნდა დაგვეჩქარებია პირველ ყოვლისა „სტამბის“ შენობის გამოძებნა და შემდეგ შრიფტისა და სხვა საჭირო მასალების: საღებავების და სხვათა შოვნა. ალბად თქვენთაგანი გაცნობილი იქნება საბეჭდავ ჩარხთან და იცის თუ რა არის ამისათვის საჭირო. როდესაც ჩვენ გამოვიანგარიშეთ, თუ რამდენი იყო საჭირო ყოველივეს მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობად, აღმოჩნდა, რომ 200 მანეთი საკმარისი არ იყო მარტო ჩახრის გამოსაყიდათაც კი. ამიტომ მე გამაგზავნეს ტფილისში, იქა მოვლაპარაკებოდი იქაურ ამხანაგებს ფულების საკითხის შესახებ. მე ძალიან კარგათ მახსოვს, როგორ შევხვდი ორ ამხანაგს. ერთი მათგანი იყო—მთელ საქართველოში ცნობილი სილიბისტრო ჯიბლაძე, მაშინდელი ორგანიზაციის ლიდერი, ხოლო მეორე კი,—მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა წევრი პარტიისა, ამჟ. სტალინი, კობა ან სოსო, როგორც მაშინ მას ეძახოდენ. მე მათ შევხვდი ტფილისში დუქანში—სადგურის ახლოს. მოლაპარაკების დროს, პირველათ მათ უარი მითხრეს რაიმე ფულადი დახმარების შესახებ, იმიტომ, რომ ტფილისის ორგანიზაციას სურდა, რომ ბაქოდის მთელი საქმე ყოფილიყო მისი კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბობდენ ისინი, შეუძლებელია, რომ ტფილისის ორგანიზაციამ გაიღოს ის 100 თუ 150 მანეთი თავისი ღარიბი კასიდან, რომელსაც მე მათ ვთხოვდი. ვინაიდან, არავითარი დირექტივა არ მქონებია ამჟ. კეცხოველიდან ამ საკითხის შესახებ, მე მათ ვერაფერი ვერ ვუპასუხე და ჩვენც ამაზე დავცილდით ერთი-მეორეს. მაგრამ ბაქოში დაბრუნებამდე, მე შევეცადე რაიმე შეგროვებია ტფილისის სტამბის მუშებში, რომელნიც ლადო კეცხოველის წრეებში მუშაობდენ. ისინი შემპირდენ საღამოსათვის,—ვინაიდან საღამოს მე უნდა გავბრუნებულიყავი ბაქოში,—ეშოვათ ჩემთვის შრიფტი სამ ფუთამდე და ზოგიერთი სხვა მასალაც. რაც შეეხება ფულებს, ისინი დარწმუნდენ, რომ შეეცდებიან აღნიშნული თანხის შეგროვებას ტფილისის მუშებს შორის, რასაც მაცნობებდენ ერთი კვირის შემდეგ. ერთმა მუშათაგანმა შემპირდა კიდეც თვითონ წამოსულიყო ბაქოში და დახმარება გაეწია ჩვენთვის სტამბის მოწყობაში. მე ეს წინადადება არ მივიღე, რადგან ჩვენ ბაქოში ჯერ კიდევ არ გვქონდა გამოქვაბილი სათანადო, საიმედო ბინა სტამბის მოსაწყობად. საღამოს მე გამოვემგზავრე ბაქოში და თან მიმქონდა შრიფტი, რომელიც უბრალოდ ჩამიყარეს ქართულ ხურჯინში. მე მაშინ ახალგაზრდა და ჯანმრთელიც ვიყავი, ასე რომ სამ-ოთხიანი ხურჯინი ძალიან ადვილათ და იოლათ შევიტანე ვაგონში და დავდევი ზედითა თაროზე, სადაც მე თვითონ მოვეწყვე. რასაკვირველია, ჩემთვის ყურადღებაც არავის მიუქცევია, მაგრამ ჩემი გამოუცდელობის გამო, მე სულ მეგონა, რომ თითქოს ყველანი მე მიყურებდენ რაღაც საეჭვო თვალით. ბაქოში სადგურზე დამხვდა კეცხოველი და შორიდან თვალებით მანიშნა უკან გავყოლოდი მას. ჩვენ წავედით ბალახანის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, სადაც ჩვენ დაქირავებული გვქონდა ოთახი სტამბის მასალების შესანახავებლად. როდესაც მე ვიჩვენე ამჟ. კეცხოველს, თუ როგორ ჩამოვიტანე შრიფტი, იგი აღელდა და უკმაყოფილება-

საც გამოსთქვამდა, რომ ამ არეული შრიფტის გადარჩევა ჩვენ ჯა გვართმევს რამოდენიმე ღამესო. კასები ჩვენ მაშინ არ გვქონებია და მთელი შრიფტი გადავარჩიეთ ასოების მიხედვით და შეკარით ქა ღალდში. მთელ ღამეებს ვათენებდით ამ მუშაობაში. ძალიან გვიჭირ და შებრუნებული ასოების გამოცნობა. როდესაც მე ვაცნობე ამბ. კეცხოველს ტფილისელი ამხანაგების პირობები, რომლითაც ისინი თანახმა იყვენ მოეცათ ჩვენთვის ფულები, მან კატეგორიული უარი სთქვა ამაზე, და განაცხადა, რომ ტფილისის ორგანიზაციის არავითარ კონტროლს არ უნდა ეჭნეს ადგილი ამ საქმეშიო. თუ ისინი გვენდობიან—მოგვცენ ფულები, ხოლო თუ არ გვენდობიან,— მაშინ ჩვენ მათ დაუხმარებლათაც შევძლებთ ამ საქმის დამთავრებასო. როდესაც დადგა ჩარხის გამოსყიდვის დრო და ჩვენ ფულები ველარ ვიშოვეთ ბაქოში, იძულებული გავხდით, ხელახლა წავსულიყავი ტფი ლისში და მაშინ იქაურმა ამხანაგებმა ხელად მოგვცეს 100 მანეთი და ხელნაწერი პროკლამაცია დასაბეჭდათ. ამ ფულებითა და ერთ-ერ თი ასოთ-ამწყობი ამხანაგით—ვასო წულაძითურთ,—მე დავბრუნდი ბაქოში. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ჩარხი გამოვისყიდეთ და დავდგით კიდეც და ჩვენდა სასიხარულოთ, პირველი ფურცელი, რო მელიც ჩვენ დავბეჭდეთ რუსულ და ქართულ ენაზე, აღმოჩნდა ძა ლიან კარგათ და ლამაზად დაბეჭდილი. რასაკვირველია, დიდი მუ შაობა და ბევრი ენერგია დაიხარჯა ამ საქმის მოსაგვარებლად. ჩვეულებრივად ვმუშაობდით ღამით, წრეებში მუშაობის გათავების შემდეგ, დახურულ ფანჯრებში, დახუთულ და უფეჩო ოთახში. მაკუ ლატურა (შავი ქაღალდი) სპეციალურათ მიგვქონდა ერთ ამხანაგ თან, სადაც იდვა ფეჩი და იქ ვწვავდით. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ყოველივე, რასაც კი ჩვენ დავბეჭდავდით, გადაგვეგზავნა ტფი ლისში, რათა უფრო საიდუმლოთ შეგვენახა სტამბის არსებობა ბაქოში. თავისი ბუნებით ამბ. კეცხოველი ისეთი პიროვნება იყო, რომ არას დროს არ კმაყოფილდებოდა მიღწეული შედეგით და მცირეოდენი ხნის შემდეგ ჩვენი ჩარხი მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა, რადგანაც იგი ცოტას ბეჭდავდა. იგი ამბობდა: „არ შემიძლია მოვისვენო, მე თითქოს სიზმარში ვხედავ, თუ ეს ფურცლები, როგორ ათასობით და ათიათასობით იბეჭდება სადღაც და ვრცელდება ხალხში“. ჩქარა გამოჩნდა ისეთი ნიშნები, რომელმაც გვაიძულა ჩარხის უფრო საიმედო ადგილას შენახვა. ჩვენი ღამით მუშაობა და დღისით გადაკარგვა იქცევდა მეზობლების ყურადღებას. ამბ. კეცხოველს აზრად მოუვი და, რათაც არ უნდა დაჯდომოდა ეშოვნა თანხა და ეყიდა ნამდვი ლი სბეჭდი მანქანა ამერიკული ან ჩვეულებრივი ტიპისა. და რო დესაც მან ამ საქმის შესრულება გადასწყვიტა, ჩვენ ამბ. კეცხოველი განკათავისუფლეთ ყოველგვარი სხვა მუშაობიდან. იგი ხშირად დაია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა ბაქოს სხვადასხვა სტამბებში, სცდილობდა იქ ნაცნობებრ გაეჩინა: რასაკვირველია, იგი სცხოვრობდა ბაქოში სხვის გვარზე და ეიდეგაც გაამზადა მოწმობა იმისი, რომ იგი იყო ტფილისის ერთ-ერთი სტამბის პატრონი. მთელ ამ ფორმალურ მხარეს იგი ძალიან კარგად იცნობდა. იმისათვის, რომ შეგეძინათ საბეჭდი მანქანა, მაშინდელი კანონების მიხედვით, საჭირო იყო გუბერნატორის ნებართვა. იგი წავიდა ტფილისში და აქ თავის ნაცნობ სტამბის პატრონებში გაეცნო ასეთი ნებართვის ფორმას და გადაიღო მათი ასლი.

ჩვენ შეუკვეთეთ ბაქოს გუბერნატორის ბეჭედი და აგრეთვე ვიშოვეთ ქიმიურათ გადაღებული ხელის მოწერა გუბერნატორისა. ყოველივე ეს გაკეთებული იქნა ტფილისში და დავით იოსების ძე დეტრაშვილის სახელზე, რომლის გვარითაც იგი სცხოვრობდა ბაქოში, მან გააკეთა ნებართვა მაშინდელი ბაქოს გუბერნატორის სვეჩინის ხელის მოწერით, შესახებ იმისა, რომ მას აქვს უფლება გახსნას სტამბა კავკასიის ყველა ქალაქებში. როდესაც მან ასეთი მოწმობა გააკეთა, იგი ადვილად გაურიგდა ერთ-ერთი სტამბის მეპატრონეს პრომიშლიანსკის 900 მანეთად ეყიდნა მისგან ძველი მანქანა, საწერი ფურცლის ფორმატისა. საქმე თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ხელს გვიშლიდა ფულის ნაკლებობა. მაშინ ამბ. კეცხოველმა მიმართა ბაქოში ზოგიერთ ამხანაგებს, რომელთაც ეკათ ეს თუ ის ოფიციალური თანამდებობა, და ლეონიდ ბორისის ძე კრასინის, ნიკოლოზ პეტრეს ძე კაზარენკოსა და ეკატერინა ალექსანდრე კიცის ასულის დახმარებით ჩვენ მოვახერხეთ 800 მანეთის შეგროვება. მაგრამ ეს ფული მაინც არ იყო საკმარისი მანქანის გამოსასყიდათ. მაშინ მე წინადადება მომცეს ორგანიზაციის სახელით, თავი დამენებებია რკინის გზაში სამსახურისათვის და გადავსულიყავი სხვა სამუშაოზე, რომელიც მე საშვალებას მომცემდა უფრო მეტი დრო მომეწდომებინა პარტიული მუშაობისათვის და უფრო ხანგრძლივად მემუშავა, კერძოდ, სტამბაში. და აი, ანგარიშის გასწორების დროს, მე რკინის გზაზე მომცეს პრემია, ჩქარი გარბენისათვის და ორთქლმავალების რემონტისათვის; ეს პრემია შეადგენდა იმხელა თანხას, რაც პირველი ხანებში საკმაოდ ყველა იმ ხარჯებს, რაც დაკავშირებული იყო მანქანის გამოყიდვასთან და მის დადგმასთან.

ამ რიგად, ერთ-ერთ ჩვენთვის საზეიმო სასიხარულო დღეს, შევისყიდეთ ხსენებული მანქანა და გადავიტანეთ იგი ახალ ბინაზე. მახსოვს, რომ ეს ბინა იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ერთი თაორის სახლში; ამ თათართან ამბ. კეცხოველმა ისეთი მეგობრული ურთიერთობა გააბა, რომ ეს მოხუცი თათარი დიდის ხნობით იყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე ჩვენ მანჭანასთან და იმდენათ მოსწონდა მთელი ეს მუშაობა, რომ სურდა თავისი პატარა ვაჟი ნური მოეცა ჩვენთვის შეგირდათ. იგი ამბობდა, რომ ძალიან კარგი საშუშაოა წიგნების დამზადება: „გეთაყვა, ასწავლე ეგ ხელობა ჩემ ნურის, აიყვანე შეგირთად, ხუთ წელიწადს ჯამაგირს არ მოგთხოვ“. ნური ძალიან პატარა ბავშვი იყო და მთელი მისი მუშაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი იღებდა სხვადასხვა საჩუქრებს, რომელსაც ჩვენ მისთვის ვყიდულობდით; მას ძალიან ვეფერებოდით. თვით მოხუცი მეპატრონე საღამოობით შემოდიოდა ჩვენ სტამბაში და ჩვენთან ბაასში ატარებდა დროს. საერთოდ იგი მუდამ სახლში იჯდა, არსად არ დაიარებოდა და ყოველთვის ჩვენს ახლოს იმყოფებოდა. რაიც შეეხება ყმედობას და საერთოდ ბევრ ლაპარაკს, უნდა ითქვას, რომ ბაქოელი აზერბეიჯანელები საერთოდ ჩუმი ხალხია და არ უყვართ ლაპარაკი, არც არაერის მოუთხრობენ ხოლმე თავისი საქმეების შესახებ. და უმთავრესი კი ის იყო, რომ ჩვენ მოხუც ალი-ბაბას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ისეთი დარბაისელი, კეთილი, გულუხვი, გასაოცარ თავდაბალი და თავაზიანი ადამიანი, როგორიც იყო დავით დემეტრაშვილი (კეცხოველი), ხელს მოკიდებდა არა-ლეგალურ და უკანონო საქმეს.

თუ ამხანაგებს გაუკვირდებათ ის, რომ რატომ შემოდიოდენ არა-ლეგალურ სტამბაში უცხო პირები, როგორც მაგალითად სახლის მეპატრონე და მისი პატარა ვაჟი, მე უნდა მოგახსენოთ, რომ საქმის ასეთი მდგომარეობა იმ ამხანაგებს, ვინც არ იცნობს ბაქოელ აზერბეიჯანელების ცხოვრების პირობებს, მართლაც და განსაცვიფრებლად მოეჩვენებათ.

საქმე იმაშია, რომ თვითეული კომლი თუ მოსახლე, ბაქოს სამაჰმადიანო ნაწილში, სცხოვრობს სავსებით კარჩაკეტილად და გამორტოვებულად. უმეტეს შემთხვევაში ეზო შემოფარგლულია მაღალ ქვის კედლით. აზერბეიჯანელები ერთმანეთთან დაიარებიან მხოლოდ მიპატიჟების შემდეგ და ისიც მხოლოდ მამაკაცებთან ხოლო თუ მაჰმადიანის სახლში სცხოვრობს სხვა სარწმუნოების პირი, მასთან ადერბეიჯანელი შევა მხოლოდ და მხოლოდ დაპატიჟების შემდეგ.

გარდა ამისა, ბაქოელ თათრებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში არ იციან რუსული ენა და არც აქვთ ხოლმე არავითარი კავშირი პოლიციასთან და მთავრობის სხვა მოხელეებთან და რომელნიც, მასთანავე, პოლიტიკურად სავსებით უჯიცნი არიან.—არც ქონდათ არავითარი წარმოდგენა შესახებ იმისა, რომ ცალკე მოქალაქეებს შეუძლიათ გასწიონ რაიმე, მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა, განსაკუთრებით ბეჭდვის საქმეში.

გარდა კარგი გარეგანი ორგანიზაციისა და აბსოლიტურად მტკიცე დისციპლინისა, ბაქოში საიდუმლო და ფარული დიდი სტამბა

ბების შენახვას და მუშაობას ძლიერად ხელს უწყობდა ბაქოს მაჰმადიანების ცხოვრების განსაკუთრებული თვისებები. მაგალითისთვის მე აქ მოვიყვან ერთ პატარა შემთხვევას. ის სახლი, სადაც მოთავსებული იყო დიდი ცენტრალური არა-ლეგალური სტამბა, გაყიდა მისმა პატრონმა იმის გამო, რომ თვითონ მიემგზავრებოდა შეკაში სალოცავად. ახალმა მეპატრონემ მაჰმადიანთა მთელი კომისიის თანხლებით ინახულა ახალი სახლი დასათვალიერებლად. ჩვენ, ვინც კი ვმუშაობდით ამ სტამბაში, ჩავიკეტეთ ერთ ოთახში, სადაც იმყოფებოდა მანქანა და ასოების კასები. კომისიას დახედა ამხ. სიმონი, რომელმაც დაათვალიერებია მათ ყველა ოთახები. როდესაც კომისია მოვიდა ჩვენ ოთახთან, ამხ. სიმონმა უთხრა მათ, რომ ამ ოთახში იმყოფებოდა მისი დედა და და, ხოლო თუ მათ სურთ ამ ოთახის დათვალიერება, იგი გადაიყვანდა მათ მეორე ოთახში და ამით საშვალებას მისცემდა მათ დაეთვალიერებიათ ეს ოთახიც. ჩვენ, ვინც, ამ ოთახში ვიყავით დაკეტილნი, ძალიან კარგად გავიგონეთ, თუ როგორ ერთხმად უარი განაცხადა კომისიამ ქალების შეწუხებაზე და როგორი პოდიშით მოსცილდა ოთახს. ამხ. სიმონის წინადადება მიცემული იყო იმ რწმენით, რომ კომისია, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ მუსლიმანებისაგან, უეჭველად უარს იტყოდა დაეთვალიერებია ის ოთახი, რომელშიაც მოთავსებულნი იყვნენ ქალები.

რასაკვირველია, სარისკო იყო დიდი სტამბის მოწყობა ახდილ ოთახში, მაგრამ ასეთი სტამბის მოწყობის პირველ ხანებში ჩვენ არ გვქონდა სხვა საშვალება, რომ შეგვექმნა სტამბისათვის პირდაპირ უარული პირობები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რაც ჩვენ მოვახერხეთ ასეთი სტამბების მუშაობის მეორე პერიოდში.

როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შევძელით პირველ არა-ლეგალურ დიდ სტამბაში ზოგი რამის დაბეჭდვა და მისი გაგზავნა ტფილისის ორგანიზაციისათვის, რომელიც, უნდა ითქვას, ძალიან უიმედოთ უყურებდა ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს ასეთი დიდი მასშტაბით,—შთაბეჭდილება ამ მუშაობისა იყო ძალიან დიდი და მოულოდნელი. და მაშინ გადაწყდა ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ ჩვენთვის, როგორც მუშების, ისე მასალის მხრით. ტფილისის ორგანიზაციამ გამოგზავნა ჩვენ განკარგულებაში ორი ასოთ-ამწყობი, მოგვცა საკმარისი რაოდენობა შრიფტისა და ფულისა ქაღალდის, საღებავისა და სხვა მასალის შესაძენად.

ყოველივე ეს შეეხება, როგორც უკვე მოგახსენეთ, 1901 წლის გასულს. იმ დროს უკვე შემდგარი იყო ბაქოს კომიტეტი, ბაქოს კომიტეტი იყო კომიტეტი რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, ისევე, როგორც ტფილისის კომიტეტი—რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ყრილობის შემდეგ. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირი გვქონდა გაბმული არა მარტო კავკასიელ ორგანიზაციებთან (მაშინ კომიტეტები არსებობდენ ტფილისში, ბათომში, ქუთაისში და ჰიათურაში), არამედ ჩვენ კავშირი დავიჭირეთ მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პეტერბურგელ კომიტეტთანაც. ავრეთვე კავშირი გვქონდა „სამხრეთის მუშის“ (**южный рабочий**) ჯგუფთან ეკატერინოსლავში, მაგრამ მთავარი და მასთან, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობის კავშირი იყო „ისკრა“-სთან.

ბაქოს კომიტეტი, რომელშიაც შევდიოდით ჩვენ და ჩვენი ჯგუფი, რომელნიც ვაწყობდით სტამბას, და რომელნიც ორგანიზაციულად განმარტოვებული იყო ბაქოს კომიტეტისაგან, ვეკუთნოდით „ისკრას“ ჯგუფს, რომელიც ის იყო ისახებოდა რუსეთში. მთელი ჩვენი მუშაობა ბაქოს კომიტეტში და ავრეთვე არა-ლეგალურ სხვა ორგანოებში, მიმდინარეობდა „ისკრას“ წარმომადგენლების ხელმძღვანელობის ქვეშ და მასთან მჭიდრო კავშირში. ასე მიმდინარეობდა მუშაობა პარტიის მეორე ყრილობამდი, თუმცა ჩვენს ორგანიზაციაში თავი იჩინა სხვა მიმდინარეობამაც, ზოგი ემხრობოდა „ბუნდს“, ზოგი „ეკონომისტს“ და ზოგნიც „სამხრეთის მუშის“ ჯგუფს. მაგრამ ბაქოს კომიტეტის მომუშავეთა მთავარი კადრი და ცალკე ჯგუფი ამხ. კეცხოველის მეთაურობით, ყოველთვის უყოყმანოთ იდგა „ისკრას“ ჯგუფის მხარეზე.

როგორც კი მოვაწყვეთ ეს დიდი სტამბა, ჩვენ მიწერ-მოწერა გავმართეთ „ისკრასთან“. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინაც ვიცოდით, რომ როდესაც მიწერ-მოწერა და კავშირი გვქონდა გამართული „ისკრას“ ჯგუფთან, ამით ჩვენ ავრეთვე კავშირი გვქონდა თვით ამხ. ლენინთან. მაშინ ვაცნობეთ ჩვენ მას, რომ აქ მოვაწყვეთ დიდი სტამბა, რომელსაც შეუძლია კარგად, წმინდათ და მრავალი ეკზემპლიარად შეასრულოს სამუშაო. და მაშინ წინადადება მოგვცეს კავშირი გაგვება „ისკრათან“. საზღვარგარეთიდან ჩვენ ყოველთვის მოგვდიოდა წერილები და პასუხსაც ვღებულობდით ჩვენ შეკითხვებაზე „ისკრას“ ფოსტაში; ჩვენი მისამართი იყო ან მაგარი ნიშანი ან და „ნინა“. „ნინას„ ვეძახოდით ჩვენს, ბაქოელ სტამბას. ჩვენ წინადადება მოგვცეს დაკმაყოფილებულიყავით რუსეთის მხოლოდ „ისკრის“ ჯგუფების საჭირო მუშაობით და კავშირი გაგვეწყვეტა „სამხრეთის მუშასთან“ (ვგონებ ამ ორგანოს მე-5, 7 და 8 ნომრები დაბეჭდილი იყო ჩვენ სტამბაში.). მაგრამ პარალელურად ავრეთვე ჩვენ ვბეჭდავდით შემოკლებულის ფორმატით „ისკრა“-საც. ჩვენ გვიგზავნიდენ საზღვარ-გარეთიდან მატრიცებს (ფოლადზე მოჭრილი ასო) შემოკლებული სახით. ამ მატრიცების მიხედვით ჩვენ ვასხამდით სტერეოტიპებს (დასაბეჭდი ფიცარი, რომელიც წარმოადგენს მოძრავი ასოებით შედგენილი დასაბეჭდი ნაწყობის ნამდვილ ასლს) და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგად ჩვენ დავბეჭდეთ „ისკრა„-ს ოთხი ნომერი, დაწყებული 3ე-7-დან მე-11-მდე. როდესაც საზღვარ-გარეთ მიიღეს ჩვენ მიერ დაბეჭდილი ეკზემპლიარი, იგი იმდენად კარგად იყო შესრულებული, რომ ჩვენ იქიდან წინადადება მოგვცეს საესებით გამოგვეყენებია ჩვენი სტამბა „ისკრას" დასაბეჭდად.

მე მახსოვს, რომ ერთ წერილში ჩვენ პირდაპირ გვირჩევდენ: ჩვენ ვურჩევთ „წინას" (ეს ჩვენი სტამბა იყო) ყოველგვარი კავშირი გასწყვიტოს „ენეიასთან" (ეს იყო „სამხრეთის მუშა") და მჭიდრო კავშირი დაიჭიროს „კატაისთან" (ეს იყო „ისკრა"). და ჩვენც ასე მოვიქეცით, რადგან მთელი ჩვენი სიმპატიები „კატაის" მხარეზე იყო.

რამდენათ ეს არ ესიამოვნათ ეკატერინოსლაველ და სხვა ამხანაგებს, მაგრამ ჩვენ მათ პირდაპირ უარი უთხარით „სამხრეთის მუშის" ბეჭდვაზე და დავიწყეთ „ისკრის" საზღვარ-გარეთელ ორგანიზაციის ყველა დავალებათა შესრულება და ავრეთვე ვასრულებდით ტფილისის კომიტეტის შენაკეთებს, უმთავრესად ქართულ ენაზე. გარდა „ისკრისა" ჩვენ ვბეჭდავდით და ვავრცელებდით „მუშის ფურცელს" („Листок работника"). იმ დროს ეს „მუშა" გამოდიოდა საზღვარ-გარეთ და მას თან ახლდა ხოლმე „ფურცლები", როგორც ეს ალბად თქვენც გახსოვთ. საქართველოსათვის ჩვენ მას ვთარგმნიდით ქართულ ენაზე და ისე ვბეჭდავდით. გარდა ამისა ამ. კეცხოველმა გადაამუშავა ცნობილი ზღაპარი ტყის ძღების შესახებ და იგი ჩვენ დავბეჭდეთ ქართულ ენაზე.

ამ დროს უკვე სწარმოებდა კამპანია პარტიის მეორე ყრილობის მოწვევის შესახებ. და აი საზღვარ-გარეთიდან გამოგვგზავნეს ამხანაგები, რომელთაც ვუწოდებდით, თუ არ ვცდები, „ისკრის" აგენტებს, ასეთივე ამხანაგი ჩამოვიდა ჩვენთანაც და მან მიიღო აქტიური მონაწილეობა არა მარტო ბაქოს ორგანიზაციის მუშაობაში, არამედ შევიდა წერად პატარა სარედაქციო კომისიაში, რომლის შემადგენლობაშიც იყვენენ: ამხ. კეცხოველი, ექიმი ფაინბერგი, გალპერინი და მე. გალპერინი კარგი ორგანიზატორი იყო, ძალიან მომზადებული და საესებით „ისკრა"-ს პლატფორმაზე იდგა. იმ დროს „ისკრას" გავლენით (ჩვენ ვიღებდით მის ყველა ნუმრებს)—განეიზრახეთ გამოგვეცა ჩვენ ქართულ ენაზე არა-ლეგალური გაზეთი, რისთვისაც მოლაპარაკება გავმართეთ ტფილისის ორგანიზაციასთან, რომელშიც მაშინაც და შემდეგაც ბატონობდენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც იყვენენ—ჟორდანია, ჯიბლაძე და სხვები. ჟორდანია მაშინ მუშაობდა ტფილისში და სცემდა ქართულ ლეგალურ გაზეთს „კვალს", რომელსაც საქართველოში ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა. როდესაც ჩვენ ვადარებდით ერთი მეორეს „კვალსა" და „ისკრას", ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ლეგალურ პრესას აღარ შეუძლია დაიცვას ჩვე-

ნი ლოზუნგები. ჩვენ გადავწყვიტეთ „ისკრასა“ და მისი წარმომადგენელის ამხ. გალპერინის თანხმობით,—გამოგვეცა არა-ლეგალური ქართული გაზეთი. ამ გაზეთის სახელი იყო „ბრძოლა“. ტფილისის ორგანიზაცია, ჟორდანიასა და „კვალის“ ზოგიერთი ლიტერატორების სახით, ძალიან უარყოფითად შეხვდა არა-ლეგალური გაზეთის გამოცემას. ისინი ამბობდენ, რომ ამ საქმეში ჩვენ მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ დავკარგავთ ფულებსა და შეიძლება პარტიულ მუშაობასაც. ხოლო რაც შეეხება ქართველი მშრომელი ხალხის სამსახურს, ამას ისედაც სავსებით ასრულებს ლეგალური ორგანო „კვალი“-ო. ამ მიმართულებით სწარმოებდა მთელი ბრძოლა ტფილისსა და ბაქოს შორის. საქმე მივიდა პატარა კონფერენციის მოწვევამდეც, რათა გავლენა მოეხდინათ ამხ. კეცხოველზე, რომელიც დატენებით მოითხოვდა არა-ლეგალური გაზეთის გამოცემას და ამბობდა, რომ: „ლეგალური მარქსიზმი ხრწნის მასას, კი არ წვრთნის მათ ბრძოლისთვის, რადგანაც მას აძლევენ გადაღეჭილ მარქსიზმს“. ამ მოსაზრებით იგი დატენებით მოითხოვდა არა-ლეგალური გაზეთის გამოცემას. რათა გავლენა მოეხდინათ ამხ. კეცხოველზე, შეკრიბეს და გამოგზავნეს ბაქოში ტფილისის მთავარ საწარმოთა მუშების ჯგუფი. ეს ძალიან კარგად მახსოვს ამ მუშებთან შეხვედრა, რომელთაც ჩვენ ვიცნობდით ტფილისის წრეებში მუშაობით ჯერ კიდევ 1896—97 წლებში. ეს მუშები გაცხარებით გვიმტკიცებდენ ჩვენ არ დაგვეხარჯა ტყუილ-უბრალოდ არც ფულები და არ დაგვებანდებია ძალები ქართულ ენაზე არა-ლეგალური გაზეთის გამოცემისათვის, და მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოგვეხმარებია იმისათვის, რომ გამოგვეცა პატარა ბროშურები და ფურცლები. „პოლიტიკური ორგანო,—ამბობდენ ისინი,—ჩვენ აღარ გვჭირდება, რადგანაც გვაქვს ისეთი გაზეთი, როგორიც არის „კვალი“. მრავალი მაგალითების და გაზ. „ისკრადან“ ამოღებული წერილებითა და ფურცლებით ამხ. კეცხოველმა დაუმტკიცა მათ, რომ ასეთი ორგანოს გამოცემა აუცილებელი იყო. რამოდენიმე დღის დავა-კამათის შემდეგ, ისინი როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდენ იმაში, რომ ასეთი არა-ლეგალური ორგანო აუცილებლად საჭირო იყო და იმის პირობაც მოგვცეს, რომ როგორც კი ისინი ტფილისში ჩავიდოდენ, მოითხოვდენ, რომ ტფილისის ორგანიზაციას, რომელიც მაშინ საკმაოდ მდიდარი იყო თავისი თანხებითა და ძალებით, დახმარება გაეწია ჩვენთვის. და მართლაც, ტფილისში დაბრუნების შემდეგ მათ დიდი გავლენა იქონიეს მაშინდელ პარტიულ კომიტეტზე.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მე ამხ. სტალინთან ერთად არა ერთხელ მომიგონებია ეს ტფილისსა და ბაქოს შორის ამტყდარი კამათი-დავა, ჩვენი მუშათა მოძრაობისათვის არა-ლეგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური პარტიის მნიშვნელობის შესახებ. ამხ. სტალინი მაშინ ტფილისის ორგანიზაციის წევრი იყო; მას არა ერთხელ აღუნიშნავს უმაგალითო ენერგია და ნიჭი განსვენებული ამხ. კეცხოველისა, რომელსაც უკვე მაშინ შეეძლო სწორად დაესვა საკითხები რევოლიუციური მარქსიზმის თვალსაზრისით. სტალინს ძალიან ხშირად უთქვამს, რომ ამხ. კეცხოველი ჯერ კიდევ მაშინ იდგა სავსებით ბოლშევიკურ პლატფორმაზე. მე და ამხ. სტალინი სავსებით დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თუ კი ამხ. კეცხოველს ეცოცხლა იმ დრომდე, როდესაც მოხდა განხეთქილება რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, იგი სავსებით დადგებოდა ბოლშევიკების რიგებში და იქნებოდა ჩვენი პარტიის ერთერთი ყველაზე გავლენიანი და აქტიური წევრთაგანი.

როდესაც ტფილისის ორგანიზაცია დაგეთანხმა გამოვეცა ბაქოში ქართულ ენაზე არა-ლეგალური გაზეთი,—ამის შემდეგ თავი იჩინა ერთმა სადავო საკითხმა ჩვენსა და ტფილისის ორგანიზაციების შორის. ტფილისის ორგანიზაცია მოითხოვდა, რომ ორგანოს რედაქცია სავსებით ტფილისში ყოფილიყო მოთავსებული, ხოლო ბაქოს ჯგუფს კი წინადადება ეძლეოდა ტეხნიკურის მხრით შეესრულებია ყველა დადგენილება, რომელსაც გამოიტანდა ტფილისი. ასეთი წინადადება გადაჭრით უარყო ამხ. კეცხოველმა და მთელმა ჩვენმა სარედაქციო ჯგუფმაც. რათა თავის აზრზე დაეყოლიებიათ კეცხოველი, ტფილისის ორგანიზაციამ გაძოგზავნა ჩვენთან ერთი თავისი გავლენიანი წევრთაგანი და ამხ. კეცხოველის პირადი მეგობარი, მომავალი წევრი სახელმწიფო სათათბიროსი—სევერიან ჯუღელი; ხანგრძლივმა მოლაპარაკებამ ჩვენს ჯგუფსა და ჯუღელს შორის, არავითარი შედეგი არ მოგვცა და საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ამხ. კეცხოველმა ძალიან მკვახე ფორმაში უარყო ყველა ლეგალური წინადადებანი ტფილისელებისა და წინადადება მისცა ამხ. ჯუღელს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ტფილისში და გადაეცა იქაური ამხანაგებისათვის, რომ იგი უარს ამბობს მათ ყოველგვარ დახმარებაზე, და თუ ისინი დაიჯინებდენ და ასე ულტიმატიურად დასვამდენ საკითს რედაქციის ადგილის შესახებ,—იგი უარს იტყოდა რაიმე კავშირი დაეჭირა მათთან. ჩვენი სარედაქციო ჯგუფიც, რომელსაც გალპერინის საშვალებით კავშირი ჰქონდა „ისკრასთან", აგრეთვე იცავდა რედაქციის ტფილისის კომიტეტისაგან დამოუკიდებელ არსებობას და იგი ექვემდებარებოდა ძველს, ყრილობამდე შემდგარ „ისკრის" ჯგუფის დირექტივებს.

ეს არა-ლეგალური ქართული გაზეთი ჩვენ გამოვეცით და არ მოიპოვება არც ერთი მუშა, საქართველოს რევოლიუციური ბრძოლის მონაწილე, რომელსაც არ წაეკითხოს გაზეთი „ბძოლა". ამ გა-

ზეთმა დიდი როლი ითამაშა ქართველი მუშების გარეკოლონიზაციაში. ამ საქმეში და მისი საშუალებით ქართველმა მუშებმა პირველად დაინახეს თუ რა განსხვავება არსებობდა ლეგალურ და არა-ლეგალურ მარქსისტული წრეების შორის. ტფილისის ორგანიზაციამაც კარგად გამოიყენა ეს გამოცდილება და მიუხედავად იმისა, რომ მას ფართო ლეგალური შესაძლებლობანი ჰქონდა, იგი მთელი თავის ძალ-ღონეს ბმარობდა იმისათვის, რომ ლეგალურ გაზეთებთან ერთად გამოეცა პარტიული არა-ლეგალური ორგანოც.

ასეთი გამოცდილება არ ეჭაშნიკათ ქართველ მარქსისტ ლეგალურ ლიტერატორებს, რომელნიც შემდეგ გახდენ ციხე-ბურჯათ პირწმინდა მენშევიზმისა.

აქ მე უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი მუშების მასსა თავისი რევოლიუციონერობით ყოველთვის წინ იდგა თავის ბელადებზე, რომელნიც ქართველ ინტელიგენციის პირმშო შვილები იყვნენ.

ჩვენს მუშაობაში 1901 წლის მიწურულში ერთგვარი შეფერხება მოხდა. საქმე იმაშია, რომ „ისკრა"-ს მატრიცებს და ზოგიერთ მიწერ-მოწერას საზღვარ-გარეთიდან ჩვენ ვღებულობდით სხვადასხვა საიმედო მისამართებით. ერთი ასეთი მისამართით, კბილის ექიმ სოფიო გინზბურგის სახელზე, ჩვენ მივიღეთ ფირფიტების ყუთში ჩალაგებული მატრიცები. ერთ-ერთი ყუთი შემთხვევით გაიჭყლიტა ბაქოს საბაჟოში და საბაჟოს მოხელეებმა ვერაფითარ შემთხვევაში ვერ გაიგეს მისი შინაარსი. მათ მიმართეს ჟანდარმერიის სამმართველოს, რომელმაც, როგორც ეს ჩვენ შემდეგ გავიგეთ,— მოიწვია მთელი კომისია ამისათვის, რომ გამოერკვიათ თუ რა იყო ეს საიდუმლო ბარგი მატრიცების სახით.

კბილის ექიმი გინზბურგი დაიჭირეს 1 იანვარს ღამით 1902 წელს და ამ გარემოებამ ჩვენი ჯგუფი და სტამბა სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა. სოფიო გინზბურგს მრავალჯერ დაკითხეს შესახებ იმისა, თუ რა ხისათის იყო მის მიერ მიღებული ბარგი, მაგრამ მას მართლაც და გულწრფელად არ შეეძლო აეხსნა მათთვის, თუ რას ნიშნავდა ეს მატრიცები. მან იცოდა მხოლოდ ის, რომ ჩვენი ჯგუფის ერთი წევრთაგანი ღებულობდა საზღვარ-გარეთიდან არა-ლეგალურ ამანათებს, მაგრამ თუ რა ვის ეკუთვნოდა, ეს მისთვის სავსებით უცნობი იყო. იგი ვაჟკაცურად იქცეოდა, გმირულად გადატანა ხანგრძლივი დაპატიმრება და მასთან უარს ეუბნებოდა ჟანდარმებს მიეცა მათთვის რაიმე პასუხი მათ დაუსრულებელ შეკითხვაზე.

როდესაც ჩვენ „ისკრას" ვაცნობებთ მატრიცების უბედურების ამბავი, იქიდან წინადადება მოგვცეს,— როგორც თვალის ჩინისათვის, ისე მოგვეცა სტამბისათვის. შეძლებისდაგვარად შევეცადეთ საერთო მუშაობა და გაგვეძლიერებია საზღვარ-გარეთის ლიტერა-

ტურის საქმე. საზღვარ-გარეთიდან ლიტერატურის ასეთი ტრანსპორტი ჩვენ მოვაწყვეთ ბათომში საფრანგეთის სანაოსნო საზოგადოების „პაკეს“ საშვალებით. ბაქოში ჩვენ მოგვდიოდა ცნობა გემის მარსელიდან გამოსვლის შესახებ, თვით იმ გემის სახელწოდების აღნიშვნით, რომელზედაც მოქონდათ ჩვენი ლიტერატურა და აგრეთვე გვიგზავნიდენ პაროლს გემზე მყოფ განსაზღვრულ პირთან მოსალაპარაკებლად.

ლიტერატურის პირველი ტრანსპორტის მისაღებად გაგზავნილი ვიყავი მე ბათომში 1902 წლის მარტის პირველ რიცხვებში. ჩვენდა თუ არა ბათომში, დახმარებისთვის მივმართე მაშინ უკვე კარგად ცნობილ მარქსისტს ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძეს, რომელსაც დიდი ეჭვები ჰქონდა ჩვენ მიერ დაწყებული საქმის კეთილად დაბოლოვებისა. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ დამისახელა „პაკეს“ კონტორის ერთ-ერთი მოსამსახურე, მაგრამ ვინაიდან მე სხვა გზა არ მქონდა, წავედი რისკზე, რადგანაც „ისკრას“ ლიტერატურას მიღების სურვილი ძალზე დიდი იყო.

მოვნახე თუ არა დასახელებული მოხელე „პაკეს“ კონტორისა, მე იგი გავიწვიე ზღვის ნაპირზე და პირდაპირ განეუცხადე მას ჩემი საქმის ჩამოსვლის შესახებ. ის გემი, რომლითაც მოდიოდა ჩვენი ლიტერატურა უკვე იდგა იქვე რეიდზე. „პაკეს“ კონტორის ამ მოსამსახურეს შეძლება ჰქონდა დაუბრკოლებლივ ასულიყო გემზე, იმისათვის, რომ ეცნობებინა ჩემთვის, იყო თუ არა გემზე ამ და ამ კაცის სახელზე გამოგზავნილი ამანათი (ამანათი იგზავნებოდა გემის მთავარი მზრუნველის საშვალებით, რომლისთვისაც უნდა მიგვემართა ჩვენთვის შეტყობინებული პაროლით), მან მიიღო ჩემგან 10 მანეთი და უკეთუ მე მივიღებდი მისგან მთელ ამ ლიტერატურას, კიდევ უნდა მიმეცა მისთვის 15 მანეთი.

ამ რიგათ, ჩვენ შევთანხმდით, რომ როდესაც გემი დაშორდებოდა ნაპირს განსაზღვრულ მანძილზე, მე ორი კონდრაბანდისტი—მენავეებით, ჩუმათ უნდა მივპაროდი გემს ნაპირის საწინააღმდეგო მხრიდან და ნავი „შეფ კიზინიეს“ განსაზღვრული ნიშანის მიხედვით, უნდა გადამეგდო ზღვაში ამანათი ლიტერატურისა ლიტერატურა ჩალაგებული იყო სპეციალურ, გაფისულ ქილალდში, რომელშიც წყალი არ გავიდოდა.

იმავ საღამოს ორი ფუთი ლიტერატურა მივიღე სავსებით და დაუბრკოლებლივ. ამ ორი კონტრაბანდისტი—მენავეებისა და „პაკეს“ კონტორის მოხელესთან ერთად, ლიტერატურის ასე კარგათ მიღების შემდეგ, ჩვენ შევიკრიბენით ერთ-ერთ დუქანში, სადაც ერთმანეთს ფიცი მივეცით მომავალშიც „ასე დაგვეცვა ერთმანერთის „შეგობრობა“.

ამგვარად ჩვენ არა ერთხელ მიგვიღია ლიტერატურა ბაქოში, და არასოდეს მარცხი იქ არ მოგვსვლია. უნდა ვსთქვა, რომ მე მხოლოდ ამ რამოდენიმე ხნის წინად გავიგე, შემთხვევით, როდესაც ამ ეპიზოდს ვუყვებოდი ამხანაგებს, რომ მარსელიდან ამ ლიტერატურის გამომგზავნელი იყო პეტრე სმიდოვიჩი და ბევრიც ვიცინეთ შესახებ იმისა, რომ ჩვენ ორთავენი ერთად ვემსახურებოდით საერთო საქმეს ისე, რომ არც კი ვიცნობდით ერთმანეთს. გამოგზავნილი ლიტერატურა შესდგებოდა „ისკრას“ და „ზარიას“ ნუმრებიდან და „ისკრასა“ და „ზარიას“ ჯგუფების სხვადასხვა გაზეთებიდან.

საზღვარ-გარეთიდან ლიტერატურის ასეთმა მიღებამ რამოდენიმეთ შეამცირა ჩვენი სტამბის მუშაობა, მაგრამ მუშაობა მაინც შეუწყვეტლივ სწარმოებდა, რაც გამოიხატებოდა რუსულ და ქართულ ენებზე ბროშიურების ბეჭდვაში.

1902 წლის დასაწყისში მუშათა მოძრაობამ ბაქოში მიიღო საკმაოდ გარკვეული ხასიათი თავისი პროგრამითა და მიმართულებით. ამ რიგათ ბაქოს ორგანიზაცია იზრდებოდა და ძლიერდებოდა და ზოგიერთი წევრები ჩვენი ჯგუფისა, მათ შორის მეც, ვიყავით ბაქოს კომიტეტის წევრები მისი დაარსებიდანვე; რადგანაც ჩვენ ვმუშაობდით ორგანიზაციებსა და წრეებში, ხშირად ვაწყობდით საგიტაციო გამოსვლებსაც, ამიტომ ადვილად შეიძლებოდა შემჩნეულიც ვყოფილიყავით, როდესაც ღამის სმუშაზე მივდიოდით სტამბაში. მაგრამ შეუძლებელი იყო საკმაოდ მხოლოდ სტამბაში გვემუშავა, ან გადავსულიყავით ორგანიზაციაში მუშაობაზე და თავი დაგვენებებია სტამბისათვის, ვინაიდან ჩვენ არ გვყოფნიდენ ამხანაგები, რომ გაგვენაწილებია ისინი ამ ორგვარ მუშაობისათვის.

მუშაობაში ასეთი დაბრკოლების გამო ჩვენ დასვით საკითხი შესახებ იმისა, რომ საბოლოოდ გაგვენაწილებია მუშაობა სტამბასა და პარტიული კომიტეტის შორის. ამავე დროს მოგვივიდა წინადადება საზღვარ-გარეთიდან—გაგვეხილა საკითხი სტამბის ბაქოდან რუსეთის ცენტრში გადატანის შესახებ. წინადადებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ პარტიული ყრილობის შემდეგ, რომლისათვისაც მზადება სწარმოებდა მაშინ, უფრო მიზან-შეწონილი იქნებოდა თუ სტამბის გადაიტანდით რუსეთის სამრეწველო რაიონის ერთ რომელიმე ქალაქში, რათა ამ გზით უფრო კარგათ მიგვეწოდებია არა ლეგალური ლიტერატურა, როგორც ცენტრისათვის, ისე განაპირა კუთხეებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთ წინადადებას დავეთანხმეთ და მსწრაფლ გადაწყვეტილ იქნა, ერთგვარი წინასწარი მუშაობის შემდეგ, ბაქოში სტამბა გაგეუქმებია და გადაგვეტანა იგი რუსეთში, დასახელებული იყო ქალაქები: ვოლოგდაზე—სამარა და სარატოვი, ცენტრში—ივანოვო-ვოზნესენსკი. მოსკოვს არაიენ არ ასახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა, რადგან შეუძლებელათ მიგვაჩნდა ამ ქალაქში სტამბის მოწყობა. დასახელებული იყვნენ აგრეთვე ზოგიერთი სამხრეთის ქალაქები, როგორც მაგალითად, ელისავეტოგრადი და პოლტავა.

1902 წელს ბაქოს კომიტეტმა გადასწყვიტა ედღესასწაული „მაისობა“ ქალაქის ქუჩებში და გაემართა მნიშვნელოვანი დემონსტრაცია. ჩვენ ცხარედ ვემზადებოდით ამ გამოსვლისათვის, გავაკეთეთ წითელი დროშა სათანადო ლოზუნგებით, წინდაწინ დაებეჭდეთ ჩვენ სტამბაში სამაისო ფურცლები ბაქოს კომიტეტის სახელით და სხვ.

ჯერ კიდევ „მაისობამდე“ ბაქოს კომიტეტის წევრთა უმრავლესობა 14 მარტს დააპატიმრეს. კომიტეტის წევრებიდან შემთხვევით გადავრჩით ორი კაცი, განსვენებული ბოგდან ჭუნიანცი და მე. ეს მიხსნა ღმის მუშაობამ სტამბაში. ეხლა მთელი მუშაობა „მაისობის“ დღესასწაულისათვის მომზადებისა დაგვაწვა თავზე ჩვენ. ბაქოს კომიტეტის წევრთა დაპატიმრების შემდეგ, ჩვენ წინაზე კიდევ უფრო მწვავედ დაისვა საკითხი სტამბის ბაქოდან რუსეთში გადატანის შესახებ. აპრილის პირველ რიცხვებში მე ამხ. კეცხოველთან და ორი ამხანაგი ასოთამწყობის—ბოლქვაძესა და წულაძესთან ერთად,—შევუდექით სტამბის ლიკვიდაციის საქმეს. ლიკვიდაცია მდგომარეობდა იმაში, რომ მთელი შრიფტი (დაახლოვებით 15 ფუთამდე) ჩვენ ჩავალაგეთ პატარა ყუთებში და ეს ყუთები მე მიმქონდა რკინის გზის რაიონში მემანქანის ერთ თანაშემწესთან, რომელთანაც კავშირი მქონდა იმ დროიდან, როდესაც მე რკინის გზაში ვმსახურებდი; ეს პატარა ყუთები მას მიქონდა ბაქოს უახლოეს დეპოში—აჯიკაბულში და იქ ინახავდა მას ჩვენ სიმედო ამხანაგ საწყობის გამგესთან. რაიცა შეეხება მანქანას, ჩვენ იგი ჩავალაგეთ ყუთებში და მივეცით შესანახათ ნავთ-სადგურში. მაშინდელი წესების მიხედვით საქონლის ასე შენახვა შეიძლებოდა მთელი თვეობით. სანაოსნო საზოგადოებამ „ნადეჟდამ“მიიღო შესანახად ეს უზარმაზარი ყუთი მანქანით. ჩვენ, რასაკვირველია, არ მივეცია არავითარი მისამართი, არამედ უბრალოდ მივეცით იგი შესანახად, რათა შემდეგ გაეგზავნა, იგი ჩვენი ჩვენების მიხედვით მიმღების სახელზე. კონტორის ცნობის მოყვარე მოხელეებს ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ეს არის საქსოვი ჩარხი, რომელსაც ჩვენ ვაგზავნიდით პეტროსკში, ან რომელიმე სხვა ნავთსადგურში კასპიის ზღვაზე.

იმის შემდეგ, რაც შრიფტი შევინახეთ საიმედო ადგილას, ხოლო მანქანა კი შევინახეთ ნავთ-სადგურში, ორი ასოთამწყობი ამხანაგი გემგზავრენ ტფილისში, მე კი დავრჩი ბაქოში და ვმუშაობდი მხოლოდ ორგანიზაციებში.

ამხ. კეცხოველი, თანახმად საზღვარ-გარეთიდან მიღებული წინადადებისა, გაემგზავრა რუსეთში, რათა ენახულებია ჩვენ მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული ქალაქები და მოეწყო იქ სტამბის გადატანა. ის გაეგზავნა ვოლგაზე 1902 წლის აპრილის შუა რიცხვებში.

„მაისობა" ბაქოს ორგანიზაციამ იდღესასწაულა პირველ კვირას 1 მაისის შემდეგ ახალი სტილით, ე. ი. 22 აპრილს. ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი დემონსტრაცია გაიმართა. ეს იყო პირველი საჯარო გამოსვლა მუშებისა ბაქოში, რომელმაც მოახდინა დიადი შთაბეჭდილება, თუ მხედველობაში მივიღებთ მთავრობის ოფიციალურ ცნობებს.

რუსეთის სხვა ქალაქებიც გულმხურვალეთ გამოეხმაურენ ამ დემონსტრაციას, მაგრამ ასეთ შესანიშნავ გამოსვლას შედეგათ მოყვა განადგურება თითქმის მთელი ბაქოს ორგანიზაციისა. ბაქოში დაგვიჭირეს 86 კაცი. ერთი სიტყვით მთელი აქტიური ნაწილი ბაქოს ორგანიზაციისა დაპატიმრებულ იქნა. მე და განსვენებული კნუნიანცი (რადინი) დაგვაპატიმრეს ჯერ კიდევ ქუჩაზე, მისი ბინის მახლობლად, სადაც ჩვენ მივდიოდით დემონსტრაციის შემდეგ, რომ დაგვეწერა სასიხარულო კორესპოდენცია „ისკრა"-სათვის. ეს კორესპოდენცია ჩვენ მაინც გაუგზავნეთ „ისკრას", მაგრამ მხოლოდ ციხიდან. სამი კვირის შემდეგ ჩვენ ყველანი გაგვანთავისუფლეს, მაგრამ საერთოდ ამ დემონსტრაციამ და კიდევ უფრო მეტად ბევრი გაელენიანი და პოპულიარული ამხანაგის დაპატიმრებამ ძალიან გაადიდა სოც.-დემოკრატიის გაელენა ბაქოს მუშათა მასებზე. ჩვენი გაელენა თანდათან იზრდებოდა; ამიტომაც გავაჩაღეთ ძალიან ენერგიული მუშაობა. ზაფხულში მთელი ჯგუფებით და მიტინგებით ჩვენ ვიკრიბებოდით ნავთის სამრეწველო რაიონის უკან მინდორში და მუშაობაც სღუღდა და გადმოდიოდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

როდესაც ამხ. კეცხოველმა გაზეთებიდან შეიტყო, რომ ბაქოს თითქმის მთელი ორგანიზაცია შეიპყრეს, იგი ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა და აგვისტოში უკანვე დაბრუნდა ბაქოში. მან ჩვენ გვაცნობა, რომ რუსეთის ვერც ერთ ქალაქში მან ვერ მონახა შესაფერი ადგილი სტამბისათვის. ნიკოლოზ ივანეს ძე სოლოვიოვმა მე გადმომცა ისტორია შესახებ იმისა, რომ, როდესაც ამხ. კეცხოველი ჩაეიდა სამარაში, მას დაუნიშნეს შეხვედრა მეორე დღისათვის 4 საათზე, რათა მოლაპარაკებოდენ ამხანაგებს, მაგრამ ეს დაპირება იმავე ღამეს დამარცხდა. როგორმე უნდა შეეტყობინებიათ ამხ. კეცხოველისათვის, რომ დანიშნულ ბინაზე მისვლა შეუძლებელი იყო (პოლიციამ გაიგო ეს ამბავი), მაგრამ არავინ არ იცოდა თუ სად გაჩერდა იგი. რა უნდა ექნათ? რამოდენიმე ამხანაგი გააგზავნეს ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში და აუხსნეს მათ, რომ უნდა გაეაროს შავ წვერა ულვაშიან კაცმა, შავგვრემანმა, ჩალის ქუდით და რომ ეს პირი იქნებოდა ბაქოდან ჩამოსული ამხანაგი. და მართლაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩაზე მასთან მიდის ვიღაც კაცი, რომელმაც იგი იცნო აწერილი ნიშნების მიხედვით, და ეუბნება: „ნუ წახვალთ იქ, სადაც შეხვედრა დაგინიშნეს“. კეცხოველმაც გადმოგვცა ეს ამბავი, როგორც ანეკდოტი და ამბობდა, რომ რუსეთის ყველა ქალაქები, ჩვენთვის, სამხრეთელებისათვის ისეთია, რომ ყველანი მაშინვე გიცნობენო.

ამის შემდეგ მან მისწერა „ისკრას“ ჯგუფს, რომ ერთად-ერთი შესაფერი ადგილი სტამბისათვის ისევ და ისევ ბაქოა და რომ ჩვენი სტამბაც ამ ქალაქში უნდა დარჩენილიყო. ჩვენ მაშინვე გადავსწყვიტეთ დაგვეტოვებია სტამბა ბაქოში, მაგრამ გამოგვეძებნა მისთვის უფრო კონსპირატიული ბინა და არა ისეთი, როგორიც იყო ალიბაბას სახლი.

როგორც კი მივიღეთ გადაწყვეტილება სტამბის ბაქოში დატოვების შესახებ, ამბ. კეცხოველი შეუდგა სათანადო ბინის გამოძებნას. როგორც იქნა ბინა ვიშოვეთ ჩადრის ქუჩაზე, სამი ოთახიანი ბინა. კეცხოველმა დაარწმუნა მაჰმადიანი ჯიბრაილი, ამ ბინის პატრონი, რომ მას განზრახვა აქვს გახსნას აქ მუყაოს სახელოსნო და ღუთქვა, რომ თუ საქმე კარგად წავიდოდა, შეიყვანდა მას ამხანაგათ ამ წარმოებაში. ჯიბრაილმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და აღმოსავლეთური ჩვეულების მიხედვით დაიწყო ერთმანეთის გამასპინძლება, რის გამოც ისინი ჩქარა დაძმობილდენ. აღმოსავლეთში თუ ვინმე ვისმეს დაუძმობილდა საერთოდ და კერძოდ კი მაჰმადიანი, ეს უკვე მტკიცე თავდებია იმისა, რომ იგი თქვენ არ გიღალატებთ და არ გაგცემსთ. ასეთი ტიპის კაცი იყო ჯიბრაილიც, რაც მან შემდეგში საქმითაც დაამტკიცა.

კეცხოველმა გააცნო ჯიბრაილს ამბ. ბოლქვაძე და ჩემი თავი, როგორც მისი მუშები. ჩვენ არ შეგვეძლო გვჭონოდა იმედი იმისა, რომ დაუმეგობრდებოდით მას ან და მიგვიპატიჟებდა ფლავზე, თანახმად აღმოსავლეთის ჩვეულებისა.

მანქანა, რომელიც ჩვენ ზაფხულში გადავაგზავნეთ პეტროვსკში, დავიბრუნეთ უკან ბაქოში და ორი დღის განმავლობაში ჩვენ იგი დავდგით ჯიბრაილის ახალ ბინაზე.

მანქანისა, კასების და სხვა დაზგების დაწყობის შემდეგ, ჩვენ შეუდექით აჯიკაბულიდან შრიფტის გადმოზიდვის საქმეს. შრიფტის გადმოტანა მიეანდვეთ იმავე ამხ. ბიქტორ ბაქრაძეს, რომლის საშვალებითაც ჩვენ ეს შრიფტი გადავაგზავნეთ აჯიკაბულში შესანახად. ბაქრაძე იყო საჭონლის ორთქლმავალის მემანქანის თანაშემწე და ყოველ მესამე დღეს მიემგზავრებოდა ხოლმე ბაქოდან აჯიკაბულში. ამ რიგად, მთელი 15 ფ. შრიფტის გადმოზიდვას დასჭირდებოდა ერთ თვეზე მეტი, თუ კი ბაქრაძე თითო მგზავრობის დროს წამოიღებდა ერთ ფუთიან ყუთს, როგორც ეს მას ჩვენგან ჰქონდა დავალებული.

შრიფტი მას მიჭონდა თავის სახლში, საიდანაც შემდეგ გადამჭონდა სტამბაში ფარული და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით. ასეთი ნელი და მასთან ფრთხილი გზით უკვე გადმოვიტანეთ 10 ფუთამდე შრიფტი. ამის. ბაქრაძემ, წაქეზებულმა ასეთი კარგი შედეგებით და განსაკუთრებით ისეთი ძლიერი ფიზიკური ძალის გამო, რომელიც საშვალებას აძლევდა მას თავისუფლად ეზიდა 5—6 ფუთი, გადასწყვიტა ერთბაშად გაეთავებია შრიფტის გადმოზიდვის საქმე და ერთად წამოიღო აჯიკაბულიდან რამოდენიმე ყუთი ბაწრით შეკრული. ამის. ბაქრაძე, რომელსაც თავისუფლად მოქონდა 6 ფუთიანი ტვირთი, არავითარ ყურადღებას არ იქცევდა გამვლელი ხალხისას. მაგრამ აქ მოხდა უბედურება. როდესაც იგი მიდიოდა სადგურის ახლოს დეპოში, სადაც იდგა მისი ორთქლმავალი, ბაწარი გაწყდა, რომლითაც შეკრული იყო ყუთი, და შრიფტი დაიბნა. როდესაც ამ ამბით დაბნეულმა ბაქრაძემ, მსწრაფლ დაიწყო გაბნეული შრიფტის შეგროვება, მან ამით მიიქცია ყურადღება დეპოში მიმავალი მუშებისა და მოძრაობის მოსამსახურეებისა. ბაქრაძის სიტყვით ყოველივე კარგათ მოგვარდებოდა, რომ საქმეში არ ჩარეულიყო დეპოს უფროსის თანაშემწე, ყოფილი მემანქანე რეგენკაშიფი, რომელმაც იმ წუთშივე გაიგო თუ რა მიჭონდა ბაქრაძეს და ყოველივე აცნობა სადგურის ჟანდარმს. ბაქრაძე და მისი მემანქანე წიკლაური დაპატიმრეს საქმის გამორკვევამდე, ხოლო მათ მატარებელს გამოატანეს სხვა ორთქლმავალი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მე ვიცოდი, რომელ მატარებელს მოყვებოდა ხოლმე ამბ. ბაქრაძე, მე მას ვხვდებოდი სადგურზე ბაქოში და პირდაპირ ვღებულობდი მისგან ამ ტვირთს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც, მაგრამ მატარებელს ბაქრაძისა და წიკლაურის ნაცვლად მოყვა სულ სხვა ბრიგადა, რომელთაც ავრეთვე კარგად ვიცნობდი, რადგან თვითონ მეც ვმუშაობდი მათთან. ჩამოსულმა მემანქანემ და მისმა თანაშემწემ გადმომცეს ყოველივე რაც კი იცოდენ ბაქრაძის დაპატიმრების შესახებ.

მე იმ წუთშივე შევატყობინე კეცხოველს ბაქრაძის დაპატიმრების შესახებ. საჭირო იყო მასთან ერთად გამოგვერკვია საკითხი ყოველი იმ შედეგების შესახებ, რაც კი მოყვებოდა შრიფტის დაპატიმრებას. პირველ ყოვლისა უნდა გაგვეწმინდა ბაქრაძის ბინა, გარდა ამისა კეცხოველი უნდა მოგვეცილებია ჩვენი შტაბის ბინიდან რკინის გზის რაიონში, აქ ჩვენ ვხვდებოდით ზოგიერთ ამხანაგებს და ვინაიდან მე, სტამბის გარდა, როგორც კომიტეტის წევრი, ვმუშაობდი ავრეთვე ორგანიზაციაში, და დიდი ხანი არ იყო მას შემდეგ რაც ციხიდან გამომიშვეს, ამიტომ მეც თვალყურს მადევნებდენ. ეს ბინა ეკუთვნოდა ორ რკინის გზელ მემანქანეს—ევსევი გიორგობიანს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ბაქრაძეს. ამ დროს კეცხოველი იმყოფებოდა გიორგობის ბინაში.

როდესაც მე ვინახულე კეცხოველი, გადავეცი ყოველივე, რაც მოხდა და წინადადება მივეცი დაუყოვნებლივ დამალულიყო ჩვენ კონსპირატიულ ბინაში, სადაც მოთავსებული იყო სტამბა, რომლის ადგილიც ვიცოდით მხოლოდ ჩვენ ორმა და ერთმა ასოთ-ამწყობმა ამბ. ივანე ბოლქვაძემ,—მან კატეგორიული უარი სთქვა წასვლაზე და განაცხადა, რომ თუ ჟანდარმები მოვიდოდნენ ამ ბინის გასაჩხრეკად, იგი მათ ყველაფერს უამბობდა, ეტყოდა რომ იგი არის კეცხოველი და, რათაც არ უნდა დაჯდომოდა ეს, იხსნიდა ბიქტორ ბაქრაძეს.

— მე არ შემიძლია მოვითმინო ის, რომ იგი დაიჭირონ ჩემი გულისათვის და მე კი თავისუფლად დავიარებოდე,—გვითხრა მან

არავითარმა ჩემმა სიტყვებმა და მოსიზრებებმა მასზე არ იმოქმედა. მისი ასეთი მოქცევა რომ შევაფასოთ წარსულისა და ამის შემდეგ ჩვენ მიერ განცდილის თვალსაზრისით, რასაკვირველია, მისი გამართლება ყოვლად შეუძლებელი იქნება, მაგრამ ფსიქოლოგიურად, ვინც კი იცნობდა ამბ. კეცხოველის ხასიათს იმ მომენტში, გაიგებს იმას, თუ რატომ ვერ გამონახა ამბ. კეცხოველმა საკმაო ძალა, რომ დამალულიყო და გაქცეულიყო. ყველა თავის მოქმედებასა და ნაბიჯებში ამბ. კეცხოველი, ცხადია, ყველაზე მაღლა აყენებდა საქმის ინტერესებს. მაგრამ იმ დროს, როდესაც მის თვალწინ გადაიშალა სურათი მთელი ჩვენი საქმის დაღუპვისა, ამ გარემოებამ ისეთი დიდი გავლენა იქონია მასზე, რომ იგი სავსებით აყვა თავის გრძნობებს. ამ მხრით იგი განსაკუთრებული ხასიათის ადამიანი იყო. გაჟღენთილი აღზრდის სასტიკ პირობებში და გამობრძმედილი რევოლიუციურ ბრძოლაში, იგი ამასთან ერთად იყო მაგალითი კეთილი და სანთნოიან გულის პატრონი ადამიანისა. იმის გაგებაზე, რომ ბიქტორ ბაქრაძე უკვე დაპატიმრეს და რომ ამასთან დაკავშირებით შეუძლიათ დაპატიმრონ მთელი რიგი საუკეთესო ამხანაგებისა, რომელნიც ჩვენ არა-ლეგალურ მუშაობაში დაუფასებელ სამსახურს გვიწევდენ, იგი მწარედ აქვითინდა და არავითარ შემთხვევაში არ სურდა წასულიყო იმ ბინიდან, სადაც შეიძლებოდა ჩქარა თავს დაგვსხმოდენ ჟანდარმები, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ ბინას უტქვლად იჭვის თვალით უყურებდენ და მეორეც იმიტომ, რომ ამ ბინაზე სცხოვრობდა დიმიტრი ბაქრაძე, თანამოგვარე შრიფტთან ერთად დაპატიმრებული ბაქრაძისა.

როდესაც ჩემმა სიტყვებმა მასზე არავითარი გავლენა არ მოახდინა, ჩვენ დავიწყეთ მსჯელობა შესახებ იმისა, თუ როგორ მოვქცეულიყავით. კეცხოველმა წინადადება მომცა დაუყონებლივ შევდგომოდი ბიქტორ ბაქრაძის ბინის დაცლას, ვინაიდან ჩვენ ვიცო-

დით, რომ იქ იყო შენახული ნაწილი შრიფტისა, რომელიც ჯერ კიდევ არ გვქონდა გადატანილი კონსპირატიულ ბინაზე. გარდა ამისა მან დამაყალა იმავე ღამით მომეძებნა ივანე ბოლქვაძე და მასთან ერთად ყოველი ზომები მიმეღო საბეჭდი მანქანის და და მთელი სხვა სასტამბო ჭონების გადასარჩენად და ამასთან ერთად მოგეცა რჩევა-დარიგება შესახებ იმისა, თუ როგორ მოვქცეულიყავით იმ შემთხვევაში, თუ სახლის პატრონი გაჯიუტდებოდა და არ დაგვანებებდა სტამბის ჭონებას. ყველა ასეთმა რჩევა-დარიგებამ მე კიდევ უფრო გამაცივფრა იმ მომენტში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ლადო კეცხოველმა კატეგორიულად განაცხადა, რომ იგი იმ ბინიდან, სადაც მაშინ იმყოფებოდა, არ წავიდოდა და დაატერინებდა თავის თავს, იმისათვის, რომ ამით ეხსნა სხვა მრავალი ამხანაგი. თავისი ასეთი მოქცევით მან რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, ამას იგი თვითონაც ამბობდა მესამე დღეს ამ საღამოს შემდეგ, როდესაც ჩვენ უკვე ერთად მოვხვდით ბაილოვის ციხეში ბაჭოში. მაგრამ, ვიმეორებ, იმ მომენტში მისი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ სხვაგვარად მოქცევა მას არ შეეძლო. ჩვენი პარტიის ისტორიის ამ პირველ პერიოდში, როდესაც თვითეულ ჩვენთაგანში დიდი იყო რომანტიზმი, ბოლო ნაკლები ორგანიზაციული და სხვა გამოცდილება, ასეთ შემთხვევას ალბად სხვაგანაც ხშირად ექნებოდა ადგილი.

მე გამოვემშვიდობე ამხ. კეცხოველს და წავედი მახლობელ ქარხანაში (კასპის მანქანის-სააშენებლო ქარხანა), სადაც ჩვენ გვქონდა საიმედო ამხანაგ-სომეხ მუშებისაგან შემდგარი წრე. მათ დავავალე წამოსულიყვენ ჩემთან ერთად ბიქტორ ბაქრაძის ბინაზე და დამხმარებოდნენ მის დაცლაში. ხოლო თუ თვითონ მეც გამოვჩნდებოდი იმ უბანში, ეს ჩვენ ვსცანით მიზანშეუწონელ მოვლენად, რადგან იქ მე ბევრი მიცნობდა და თუ ჯანდარმები იქაურებს დაეკითხებოდენ, ადვილათ გამოირკვევოდა, რომ ამ ბინიდან მე წავიღე რაღაც ნივთები. ზემოდ დასახელებულმა მუშებმა სიამოვნებით იკისრეს ჩემი დავალების შესრულება. ორმა მათგანმა დიდი მოხერხებით შეიტყუილა ფხიზელი ეზოს დარაჯი მახლობელ სამაკინტოში, ხოლო დანარჩენებმა დაათვალიერეს და გაჩხიკეს რა ბიქტორ ბაქრაძის ბინა, წამოიღეს იქიდან ყოველივე, რასაც კი შეეძლო მის შესახებ ეჭვები აღეძრა პოლიციისათვის.

როცა დავრწმუნდი, რომ ბაქრაძის ბინა დაცლილი და იქიდან ყველაფერი გამოტანილი იყო, მე წავედი ამხ. ივანე ბოლქვაძის მოსაძებნათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი წასულიყო ჩვენ ძველ ბინაზე, სადაც იმყოფებოდა ამხ. კეცხოველი. როდესაც მიუახლოვდი ჩვენ ძველ ბინას, დაინახე, რომ იგი მთლად გარშემორტყმული იყო პოლიციით და მრავალი ცნობისმოყვარე ხალხით, იქაურ რკინის გზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონიდან. გზაში ყველას სიამოვნებით უშვებდენ, ხოლო იქიდან კი გარეთ არავის. რასაკვირველია, მაშინვე მიეხვდი, რომ ბინას სჩხრეკდენ. მაგრამ მიუხედავათ ამისა და მრავალი ჩემი ნაცნობ-მეხანავის რჩევისა, მე მაინც სწრაფად გავეჭანე ნაცნობი ბინისაკენ, სადაც მართლა სწრაფრებად ჩხრეკა და სადაც მე დამხვდა კეცხოველი და ივანე ბოლქვაძეც.

კეცხოველმა, როგორც კი დამინახა, თავი ველარ შეიკავა სიბრაზისაგან და ქართულად დამიწყო ლანძღვა შესახებ იმისა, თუ რატომ მოვედი იქ და გავიმეორე ისეთივე სისულელე, რაც მან ჩაიდინა, როცა დარჩა ამ ბინაზე. ჟანდარმების ერთ-ერთ როტმისტრს—ბ-ნ ვალტერს კარგათ ესმოდა ქართული და იქვე ხმამაღლა გამომიცხადა თავისი სიამოვნება შესახებ ჩემი იქ მოსვლისა, ვინაიდან ჩემს ბინაზე ბაილოუში მოსვლა მათ გაუჭირდებოდათ სიშორის გამო, ხოლო ეხლა კი მე ისინი ვიხსენი ღმით ამ სიშორეს გამგზავრებიდან.

ამ რიგად, მოვხვდით ხაფანგში, რომელშიც ჩვენ თვითონ შევედგით ფეხი, მოვემწყვდიეთ სამივე ამხანაგი, რომელთაც ვიცოდით მხოლოდ თუ სად იმყოფებოდა ჩვენი ფარული სტამბა. ჩვენი დაპატიმრებით იღუპებოდა მთელი საქმეც.

რამდენათაც გაუგებარია, დღევანდელი თვალსაზრისით, ჩვენი მოქცევა, როდესაც ჩვენ არ მივიღეთ არავითარი ზომები, რათა თავიდან აგვეცდინა დაპატიმრება,—იმდენათვე გაუგებარი დარჩა ჩვენთვის მაშინ ჟანდარმთა უფროსის პოროშინისა და როტმისტრის ვალტერის საქციელი, რომელნიც დაკმაყოფილდენ მხოლოდ ამხ. კეცხოველის დაპატიმრებით. პირველად ოქმი შეადგინეს ჩემი და ამხ. კეცხოველის დაპატიმრების შესახებ, ხოლო ბოლქვაძეს კი საერთოდ ხელს არ ახლებდენ, ვინაიდან მისი საბუთებიდან სჩანდა, რომ იგი სულ რამოდენიმე დღე იყო, რაც ჩამოსულიყო ტფილისიდან; ჟანდარმებმა აგრეთვე მხედველობაში მიიღეს ისიც, რომ ბოლქვაძე აზნაურიშვილი იყო და ამიტომ შეუძლებლად დაინახეს მისი დაპატიმრება რაიმე აშკარა საბუთების გარეშე.

ჟანდარმთა პოლკოვნიკისა და როტმისტრის ხანგრძლივი თათბირის შემდეგ და, ისე, რომ არც კი შეუვლიათ ოქმი, მათ გამოგვიცხადეს, რომ ამპატიმრებენ მხოლოდ ლადო კეცხოველს, რომელსაც ისინი დიდი ხანია დაეძებენ პოლიციის დეპარტამენტის განკარგულების თანახმად. და ისინიც ძალიან გახარებულნი იყვნენ, რომ ასეთი ბედი მათ ხვდათ წილად.

გაჩხრეკის დროს კეცხოველს ჯიბეში აღმოაჩნდა სამი პასპორტი და რამოდენიმე არა-ლეგალური გამოცემის ბროშურა. ერთ-ერთ ამ პასპორტთაგანში აღნიშნული იყო ჩვენი კონსპირატიული ბინა. რო-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ეს დაინახა კეცხოველმა, მან მოასწრო ჩუმად ეთქვა ჩემთვის, რომ როგორმე დღესვე ღამით მოგეეხერხებია ამ ბინიდან სპეჭდი მანქანის გადატანა.

უკვე ღამის ორი საათი იყო. მე და ივანე ბოლქვაძე პირველ ყოვლისა წავედით ნაცნობ ამხანაგ საღოროვთან, რომელთანაც ჩვენ ვინახავდით საზღვარ-გარეთელ მისამართებს, შიფრსა და ბათომელ ამხანაგების მისამართებსაც, რომელთა დახმარებითაც ვღებულობდით საზღვარ-გარეთიდან ლიტერატურის ტრანსპორტს. ვინაიდან იმ დღეებში მოველოდით ლიტერატურის ახალ ტრანსპორტს, ჩვენც უნდა გაგვეფრთხილებია ამხ. საღოროვი ყოველივეს შესახებ.

ამხ. საღოროვი იყო საუფლისწულო უწყების საწყობების გამგე და მას ოფიციალური თანამდებობა ეჭირა. ვინაიდან არც მე და არც ამხ. ბოლქვაძე არ ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ არ დაგვაპატიმრებდენ იმ ბინაზე, სადაც ჩვენ მოვდიოდით მანქანის გადმოსატანად,—ამიტომ ამხ. საღოროვს მივეცით ყველა საჭირო განკარგულება და უთხარით გაეფრთხილებია ყველა ჩვენი ამხანაგები და განსაკუთრებით კი ამხ. ლ. ბ. კრასინი, რომელიც მაშინ იყო ბაილოვში ელექტრონის სადგურის გამგეთ და აწვდიდა ჩვენ არა-ლეგალურ გამომცემლობას საჭირო თანხას.

როგორც კი მივედით ჩვენ კონსპირატიულ ბინაზე, მე და ბოლქვაძე იმ წუთშივე შეუდექით უკვე დადგმული მანქანის დაშლას და ყუთებში ჩალაგებას, ყუთები და სხვა საჭირო ჩასალაგებელი მასალა ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვეწყო იმის გამო, რომ ეს მანქანა დიდი ხანი არ იყო, რაც მივიღეთ პეტროვსკიდან, სადაც იგი ჩვენ გავაგზავნეთ შუა ზაფხულში. დაგვაკლდა მხოლოდ რამოდენიმე ფიცარი ყუთებზე გადასკრავად და აგრეთვე ლურსმნები. მაშინვე გავიქეცი სატყეო ნავთსადგურში, სადაც ჩვეულებრივად დილის ხუთ საათიდან შეიძლებოდა დურგლებისა და სხვა მუშების ნახვა. აქ მე გაურიგდი ერთ დურგალს, ვიყიდე მისგან ფიცრები და გავეშურე ჩვენ ბინისაკენ.

მთელი ჩვენი მოქმედება აშკარად სარისკო იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ: ან წავგეღონ ბინიდან ყველაფერი, ან და, თუ პოლიცია თავს დავგესხმოდა, მანქანასთან ერთად დავეჭირეთ ჩვენც. რასაკვირველია, ჩვენ აზრადაც არ მოგვდიოდა როგორმე თავი დაგვეღწია დაპატიმრებისათვის. დაჭრავებელმა დურგალმა ნახევარ საათში გააკეთა ყოველივე, ასე რომ მანქანა უკვე მზად იყო გასაგზავნად და ყოველივე ამისათვის მან გასამრჯელოთ მიიღო მანეთ ნახევარი.

დილის რვა საათისათვის ჩვენ უკვე ყველაფერი მზად გვქონდა წამოსაღებად. მანქანის გასატანად და მისი სანაოსნო საზოგადოების „ნადეჟდას“ კონტორაში ჩასაბარებლად, რომელსაც გაზაფხულზე ჩავაბარე ესეე მანქანა შესანახად, საჭირო იყო ორმოცდა ათი მა-

ნეთი, ხოლო ჩვენ კი არ გვჭონდა არც სამი მანეთი. მაშინ დავიჭირავე ეტლი და წავედი ბაილოვში ამბ. კრასინთან. პირდაპირ შევედი მის დასაძინებელ ოთახში, გამოვაღვიძე იგი და როდესაც მან გაშტერებული თვალებით გადმომხედა, სხაპა-სხაპით ეუთხარი, რომ კეცხოველი დაახპტიმრეს და საჭიროა ფულები მანქანის გადასარჩენად. ამბ. კრასინმა, თავისი ჩვეულებრივი პირდაპირობით, მომცა რამოდენიმე საჭირო კითხვა, ცხადათ წარმოიდგინა მთელი სურათი და მსწრაფლ მომცა 60 მანეთი ოქროს ხუთ მანეთიანებით. ამ ფულითა და დაქირავებული ეტლით მე დავბრუნდი ჩადრის ქუჩაზე.

აქ მე დამხვდა სახლის პატრონი ჯიბრაილი. მის გაკვირვებულ კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს და სად არის მთელი ამ ქონების პატრონი, მისი მეგობარი დავითი (კეცხოველი), ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მას უბედურება დაატყდა თავს, ცოლი გარდაეცვალა და იმავე ღამით გაემგზავრა ტფილისში, ხოლო ჩვენ კი მოგვანდო ყოველივე საჩქაროთ მოგვეწესრიგებია აქ. მან დაგვიბარა სალამი გადმოგვეცა თქვენთვის და ნიშნად მეგობრობისა მან დაგიტოვათ მთელი თავისი საოჯახო ავეჯეულობა და მათ შორის ახალი კალოშებიც, დაუმატეთ ჩვენ.

პირველად ყოველივე ეს მას მოეჩვენა სინამდვილეთ და მან მწუხარება გამოსთქვა შესახებ იმისა, რომ დავითმა ვერ მოასწრო მას გამომშვიდობებოდა, მაგრამ, როდესაც ჩვენ დავიწყეთ უუთების ეტლში ჩალაგება, მან სრულიად მოულოდნელათ პროტესტი განაცხადა და გვითხრა რომ, ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ გვექნებოდა წერილობით ნებართვა დავითის მანქანის წაღების შესახებ, იგი ჩვენ არ გვანდობდა თავისი მეგობრის ქონებას, თუმცა ისიც იცის, რომ ჩვენ მისი მეგობრის მუშები ვართ. ჩვენ მეტი გზა არ გვქონდა: გვეთქვა მისთვის, რომ წავიდოდით ტელეგრაფში და მიუტანდით მას მისი მეგობრის დეპეშას, თუ კი მისგან საჩქაროდ მივიღებდით პასუხს. იგი ამაზე დაგვეთანხმა. მაშინ მე წავედი ტელეგრაფში ჩემ ამხანაგ ალექსანდრე ჩონიევთან, რომელიც იყო ბაქოს ფოსტის სატელეგრაფო ნაწილის გამგე, რომელმაც იმ წუთს შემიდგინა საპასუხო დეპეშა ჯიბრაილის სახელზე „საშინლად დამწუხრებული“ დავითისაგან. დეპეშას ნომერიც ჰქონდა დასმული, ლენტზე იყო დაბეჭდილი, ერთი სიტყვით ისე, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ.

როდესაც ტელეგრაფიდან დავბრუნდი, ყოველივე ისეთსავე მდგომარეობაში დამხვდა, როგორც დავტოვე; ჯიბრაილმა აიღო დეპეშა ხელში, გადაათვალიერა გადმოათვალიერა და ბოლოს გამოგვიცხადა, რომ, სულერთია, არც ეს სწამს მას. მან გვითხრა: „ერთი შეხედვით თქვენ კარგი ადამიანები უნდა იყოთ, მაგრამ ნამდვილად შეიძლება თქვენ ავაზაკები და გაიძვერანი ხართ, რომელთაც გინდათ

ჩემი მეგობრის გაძარცვა". ამის შესახებ ჩვენ მას აღშფოთებით ვუ-
ლაპარაკებოდით, მაგრამ ჯიბრაილზე ამას არავითარი გავლენა არ
მოუხდენია. ჩვენ ვცხარობდით და ვღელავდით, ალბათ იმის გამო,
რომ მთელი ღამე გავათენეთ ნერვიული მუშაობაში და ამასთან ყო-
ველ წუთშიც მოველოდით ქანდარმების თავდასხმას. შეიძლება ყო-
ველივე ეს იწვევდა ჯიბრაილის ეჭვებს, რომელსაც დიდი გაიძვერობა
ტყუობოდა და რომელსაც ალბად ბევრი რამ გამოეცადა. გარდა
ამისა, ჯიბრაილი იყო არა მარტო სახლის პატრონი, არამედ უფროსი
მეეზოვე იმ რაიონისა, სადაც ის სცხოვრობდა.

მას შემდეგ, რაც მან გადაჭრით გამოგვიცხადა, რომ დავითის
ნივთებს არ მოგვცემდა, ჩვენ მეეტლე გავისტუმრეთ და დავრჩით
ბინაზე, რათა როგორმე დაგვეყოლებია ჯიბრაილი. მან რამოდენიმე-
ჯერ წინადადება მოგვცა თავი დაგვენებებია მისთვის და მოვსყ-
ლიყავით რამდენიმე დღის შემდეგ, როცა თვითონ დავითიც დაბრუნ-
დებოდა. ან და ბარათით შეატყობინებდა რამეს თავისი ნივთების
შესახებ. ხოლო ჩვენ, როგორც საეჭვო პირებს უარი გვითხრა ღამე
გაგვეთია მის ბინაში. ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლიდით და ამან
მოთმინებიდან გამოიყვანა ჯიბრაილი. მან ერთი თავისი მუშათაგანი
გაგზავნა პოლიციელის დასაძახებლად. თავის ენაზე მან დაიბარა
გაგზავნილ პირს შემდეგი: „გადაეცით ამ უბნის უფროსს, რომ ჩემთან
მოვიდა ორი საეჭვო პიროვნება, რომელნიც, ჩემის აზრით დაპა-
ტიმრებულ უნდა იქნენ"-ო.

ჩვენ ძალიან აღელვებული ვიყავით ასეთი მარცხით და დაუ-
წყეთ ჯიბრაილს ლანძღვა, თვითონ მას უძახოდით ქურდს, მძარ-
ცველს და უსინდისო ადამიანს, რომელმაც არ შეუსრულა დაპირება
თავის მეგობარსა და „ძმას".

რაკი დავრწმუნდით იმაში, რომ სხვა გამოსავალი აღარ იყო,
მე და ბოლქვაძემ, რამოდენიმე სიტყვის შემდეგ, გადავსწყვიტეთ
პირდაპირ გვეთქვა ჯიბრაილისათვის რაშიდაც იყო საქმე. ჩვენ გა-
ვიწვიეთ იგი ქუჩიდან, სადაც ვიჯექით,—ოთახში და განუცხადეთ
მას, რომ აქ ჩვენ გვინდოდა მოგვეწყო არა-ლეგალური სტამბა, სა-
დაც უნდა დაბეჭდილიყო მთავრობის და მეფის საწინააღმდეგო წიგნე-
ბი და რომ ჩქარა ამ ბინას მოაწყდებიან ქანდარმები, ვინაიდან ის
პასპორტი, რომელზედაც იყო აღნიშნული კეცხოველის მისამართი
წაიღეს ქანდარმებმა კეცხოველის დაპატიმრების დროს და რომ
ჯიბრაილი თავისი მოქცევით გვღუპავს არა მარტო ჩვენ, არამედ
იღუპავს თავის თავსაც. თუ ჩვენ დაგვაპატიმრებენ, ჩვენ ვეტყოდით,
რომ ჯიბრაილი იყო ჩვენი კომპანიონი და მაშინ კი, უკეთეს შემთ-
ხვევაში, მას მიუსჯიან ათი წლის კატორღას და მთელ მის ქონებას
ხაზინას გადასცემენ. ჩვენ კი დიდი ხანია რაც ვმუშაობთ მთავრობის

წინააღმდეგ და ამიტომ არ გვეშინია არც კატორღისა და არც სიკვდილის.

ამ სიტყვების შემდეგ ჯიბრაილი სავსებით გამოიცვალა, დაიწყო ცახცახი, არ ვიცი, სიბრაზისა თუ შიშისაგან, მოგვკიდა ხელი და ეიწრო ქუჩით შეგვარბენია თავის საკუთარ სახლში, სადაც შეგვიყვანა სავსებით დახურულსა და განმარტოებულ ოთახში. აქ მან, დიდათ აღელვებულმა, გვთხოვა განგვემარტებია მისთვის, თუ რაში იყო საქმე. მაშინ კი ჩვენ ძალიან ცხადათ და ნათლად დაუსურათეთ მას, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა მისთვის ჩვენი დაპატიმრება და სტამბის დაღუპვა. ახლა კი მიხვდა თვითონ ჯიბრაილი, რომ იგი გაება საშინელ ისტორიაში და მუდარით გვთხოვა: „მითხარით მეც, რაშია ჩვენი ხსნა?“ ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ერთად ერთი ხსნა მდგომარეობს იმაში, რომ დაგვეცალა ის ბინა, რომელიც ჩვენ გვქონდა და გაგვეტანა იქიდან საბეჭდი მანქანა და ყველა ის მასალა, რაც კი სტამბას ეკუთვნოდა. ამის შემდეგ იგი უცბათ წამოხტა, დავგტოვა ჩვენ ოთახში და თვითონ კი გარეთ გავარდა, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, იგი გაიქცა იმ უბნის უფროსის შესახვედრათ, რომლის დასაძახებლათაც თავისი მუშა გააგზავნა. ჯიბრაილმა შესძლო დაერწმუნებია პოლიციელი, რომ თავის სისულელით მან იგი ტყუილად შეაწუხა და ამის შემდეგ, ცოტათი დაწყნარებული იგი დაბრუნდა ჩვენთან ოთახში. ჩვენ ხელ-ახლავ მოუყევით მას მთელი ისტორია და იგიც დარწმუნდა ჩვენი განცხადების სიმართლეში.

რადგანაც ჩვენის გამოანგარიშებით ქანდარმების მოსვლამდე დარჩა ძლიერ ცოტა დრო (ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი იმავე დღეს გასჩხრეკდენ ჯიბრაილის ბინას), ამიტომ წინადადება მივეცით ჯიბრაილს-ბულარ] გვაყოფნებდა და საჩქაროთ გაეესტუმრებიეთ ჩვენი ყუთებით. ჩვენ ძალიან განცვიფრებული დავრჩით, როდესაც კატეგორიული უარი გვითხრა ჩვენთვის მოეცა ეს ყუთები და გამოგვცხადა, რომ თუ ჩვენ ყუთებით ქუჩაში დაგვინახავდენ, შესაძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენ დაგვაპატიმრებდენ და მაშინ მთელი საქმეც დაიღუპებოდა; ხოლო უკეთესი კი იქნებოდა, თუ იგი თავის თაორული ურმებით გააგზავნიდა ამ ყუთებს მახლობელ სოფელში, სადაც მას ქონდა პატარა ბაღი და შეინახავდა ამ ყუთებს იქ მანამდის, სანამ ჩვენ მას უკანვე არ მოვითხოვდით. აქ მან შემოგვფიცა თავის სარწმუნოებაზე და მოგვცა პატიოსანი სიტყვა, რომ არ მოგვატყუებდა, არ გაგვცემდა ჩვენ, და უკეთუ ქანდარმები გასჩხრეკდენ მის ბინას, კიდევაც მისცემდა მათ საკადრის ჩვენებას.

მისი წინადადება ჩვენთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა და კიდევაც დავეთანხმეთ, რისთვისაც მივეცით მას ხარჯების დასაფარავად და ყუთების ხანგრძლივად შესანახად 50 მანეთი. მაშინ მან,

ჩვენ იქ ყოფნის დროსაეე, გასცა ბრძანება გაემზადებიათ და დაეკრათ ზედ ეს ორივე ყუთი, ჩვენ კი უკანა კარებით და მიყრუებული ქუჩით გამოვვისტუმრა და დამშვიდობების დროს ხელ-ახლა დაგვიდასტურა, რომ ყველაფერს თავის რიგზე შეგვინახავდა და დავითის ან რომელიმე ჩვენგანის პირველ მოთხოვნილებისთანავე, უკეთუ ჩვენც დაგვაპატიმრებდენ, ამ ნივთებს იგი დაუყონებლივ დაგვიბრუნებდა.

იქიდან წამოსულნი, მე და ამხ. ბოლქვაძე შევედით რესტორანში, რომ გვესადილა და ცოტა შეგვესვენა ყოველივე განცდილის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ ამხ. ბოლქვაძე იმ დღესვე წავიდოდა ტფილისში და შეატყობინებდა ამხანაგებს ჩვენ უბედურებას, ხოლო მე კი გადავწყვიტე გადავსულიყავი არა-ლეგალურ მდგომარეობაში და განმეგრძო მუშაობა ბაქოს ორგანიზაციაში. ამ რესტორანში დავშორდით ერთმანეთს მე და ამხ. ბოლქვაძე. იგი წავიდა ტფილისში, ხოლო მე კი იმავ საღამოს 10 საათზე დამპატიმრეს რკინისგზის რაიონში, როდესაც მივდიოდი პოლობანის ქუჩაზე.

4 სექტემბერს დილით, როცა გამომეღვიძა ბაილოვის ციხეში, რომელსაც მანამდისაც კარგათ ვიცნობდი, მე ჩემი ფანჯრიდან პირდაპირ ოთახში დავინახე კეცხოველის თავი და ხმა მაღლა მივეცი მას სალამი. ამ ჩემ სალამზე კეცხოველმა დიდი ლანძღვით მიპასუხა მაგრამ მე მაშინ, მიუხედავათ ზედამხედველების გაბრთხილებისა და აკრძალვისა, ხმამაღლა, ქართულ ენაზე, მოკლედ გადავეცი ამბ. კეცხოველს ყოველივე, რაც კი იმ დამეს მოხდა. იგი ძალიან კმაყოფილი დარჩა საბეჭდი მანქანის ბედით და იმედი გამოსთქვა, რომ ჯიბრიალი შეასრულებდა თავის სიტყვას.

დაპატიმრებული აღმოჩნდენ მე და კეცხოველის გარდა, კიდევ ბიჭტორ და დიმიტრი ბაქრაძენი, ხოლო ერთი დღის შემდეგ მოიყვანეს გრიგოლ სალოროვიც, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, თავისი ხელმძღვანელობით და თავისი მისამართით მიეღო საზღვარ-გარეთის ლიტერატურა, რაც ამის გამო დაიღუპა.

ბაქოს ციხეში ჩვენ დავეტოვეს ორი კვირა და შემდეგ ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის მოთხოვნით გადაგვეყვანეს ტფილისში და მოგვათავსეს მეტეხის ციხეში ცალ-ცალკე საკნებში. სანამ ტფილისში გადავგაგზავნიდენ, ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ჩვენება ბაქოს ჟანდარმერიის განყოფილებამ.

როდესაც მე ჩვენებას მართმევდა ოხრანკის კარპოვი, მის კაბინეტში შემოიტანეს ორი ჩემოდანი საზღვარ-გარეთელ ლიტერატურისა. ერთში იყო გაზ. „ისკრა“-ს ნომრები, ხოლო მეორეში კი „ზარია“-ს ნომრები და ლენინის ბროშურა „რა გაეკეთოთ“ („Что делать“). კარპოვმა ჩემი ყურადღება მიაქცია ამ ჩემოდანებს და მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა შეხედეთ, ბატონო ენუქიძე, ეს თქვენი ნივთებია?

რამოდენიმე წუთის შემდეგ კარპოვი გაიძახა ჟანდარმერიის სამართველოს უფროსმა, არ ვიცი ტელეფონზე, თუ მეორე ოთახში. გასელის წინ მან უბრძანა იქვე მდგომ ჟანდარმს:

— თვალ-ყური ადევნე მას!

როდესაც ჩვენ მარტონი დავრჩით, მე ვსთხოვე ჟანდარმს ნება მოეცა ჩემთვის დამეთვალიერებია ის წიგნები, რომელიც იდვა ახდილ ჩემოდანში. მან ამის ნება მომცა, მაგრამ გამაფრთხილა, რომ ყოველივე საჩქაროთ გამეთავებია. მე ხელი მოვკიდე „ისკრა"-ს მე-22 ნუმერს და ლენინის ბროშურას „რა გაეკეთოთ". ჩვენ ძალიან მოუთმენლად მოველოდით ორგანიზაციაში ამ ნომერს, ვინაიდან მასში დაბეჭდილი იყო რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშ. პარტიის პროგრამის პროექტი. უფრო მეტის მოუთმენლობით ველოდით უკვე ყველასათვის ცნობილი ბროშურის „რა გაეკეთოთ"-მიღებას. მე შევეკითხე ჟანდარმს, რომლის სახეც სიმპატიური მომეჩვენა: „არ შეიძლება, მეგობარო, ეს ორი ნივთი წაიღო?" ამაზე მან პირველად ბკაცრი ეარი მსტყცა, ხოლო შემდეგ კი გამაფთხილა, რომ უკეთუ ამ ნივთებს მინახავდენ გაჩხრეკის დროს, ეს უარესი იქნებოდა ჩემთვის. მე უთხარი მას, რომ უკვე დაპატიმრებული ვარ, გაჩხრეკილიც, ხელახლა ალბად აღარ გამჩხრეკენ, ასე რომ ძნელი წარმოსადგენია მინახონ ეს ნივთები, ხოლო თუ მინახავენ, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ვიტყვი, რომ ეს ნივთები თ[illegible]ვენდა შეუმჩნეველად მოეპარე ყუთიდან. ალბად ჩემმა მდგომარეობამ და გულწრფელმა თხოვნამ გაელენა მოახდინა მასზე და მანაც წაიბურტყუნა:

— მაშ კარგი, წაიღეთ, მაგრამ... იცით... ფრთხილად.

ჩემი დაკითხვის შემდეგ მეორე, თუ მესამე დღეს ჩვენ გაგვაგზავნეს ტფილისში და გზაში მე მოვახერხე იმგვარად დამემალა ნაწილ-ნაწილათ „ისკრა" და ლენინის ბროშურა, რომ ისინი კიდევაც შეეიტანე მეტეხის ციხეში.

ასე დამთავრდა ჩვენი არა-ლეგალური სტამბების მუშაობის პირველი პერიოდი, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა და რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამხ. ლადო კეცხოველი.

მას შემდეგ რაც ჩვენ დავგვაპატიმრეს და უშედეგო ჩხრეკა მოახდინეს ჯიბრაილის სახლში, მთელი ბაქოს პოლიცია ფეხზე დააყენეს, რათა მოეხახათ სტამბა და ის პირები, რომლნიც მონაწილეობას ღებულობდენ საზღვარ-გარეთიდან ლიტერატურის მიღებაში, მაგრამ პოლიციამ ვერაფითარ შედეგს ვერ მიაღწია.

მეტეხის ციხეში ოთხი თვის ყოფნის შემდეგ ჩვენთან ერთად დაპატიმრებულნი ორივე ბაქოსაეები და გრიგოლ საღოროვი გაანთავისუფლეს.

უფლეს, ასე რომ ციხეში დავრჩით კეცხოველი და მე. დაუნიშნეს დროს გამოძირკვა, რომ ტფილისის ჟანდარმერიის სამმართველომ ბევრი რამ იცოდა ჩვენი ბაქოში მუშაობის შესახებ. მაგრამ ცხადი და აშკარა საბუთები ჩვენ წინააღმდეგ მათ არ ჰქონდათ, გარდა ჩვენი ხელით შიფრით დაწერილი ორი წერილისა („ისკრა“-ში გასაგზავნად), რომელიც მათ დაეჭირათ. კეცხოველსა და მე წამოგვიყენეს ბრალდება 151 და 152 მუხლების ძალით. ჟანდარმერიის როტმისტრი რუნიჩი ხშირად გვიჩვენებდა ჩვენ სახელზე გამოგზავნილ ანონიმურ ბარათებს, რომელიც თითქოს მათ დაეჭირათ და რომლითაც გვატყობინებდენ, რომ ჩვენს სტამბას მიაგნო პოლიციამ და დაეჭირა მრავალი ამხანაგი, რომელთა გვარებიც იქვე იყო ჩამოთვლილი. ჩვენ იმ თავითვე მივხვდით თუ რა ღირსების იყო ბარათები და თავიდანვე მტკიცედ გადავსწყვიტეთ არ მიგვეცა პოლიციისათვის არავითარი ჩვენება, რასაც კიდევაც ვასრულებდით.

მეტეხის ციხეში ძალიან სასტიკი რეჟიმი იყო. ეს იყო 1902 და 1903 წელში, როდესაც კავკასიის მთავარმართებელი იყო თავადი გოლიცინი, რომელიც განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა პოლიტიკურების წინააღმდეგ. მიუხედავად ასეთი სასტიკი რეჟიმისა, დაპატიმრებულნი მაინც ახერხებდენ კავშირი გაებათ ერთმანეთთან სხვადასხვა საშვალებებით: ეაწვდიდით ერთმანეთს პატარა წერილებს და ხანდახან ბროშურის მთელ ფურცლებსაც.

იმ დროს მეტეხის ციხეში მოთავსებული იყვნენ ბევრი ამხანაგები, რომელთაც შემდეგ პარტიაში ეკავათ ძალიან დიდი თანამდებობა. ქართველ თვალსაჩინო მომუშავე ამხანაგების უმრავლესობა მაშინ დაპატიმრებული იყო. ლენინის ბროშურამ და „ისკრა“-ს მე-22 ნომერმა, რომელიც ჩვენ ჩამოვიტანეთ ბაქოდან, შექმნეს დაპატიმრებულთა შორის მთელი ეპოქა. ჩემ კამერას ზევით იყო დიდი კამერა, რომელშიც მოთავსებული იყვნენ 16 ამხანაგი, რომელთა საქმეც დამთავრებული იყო და რომელნიც მოელოდენ აღმოსაელეთ ციმბირში გადასახლებას. მათი გაგზავნა ციმბირში შეფერხდა რამდენიმე თვით და მათ მიერ ზემოდასახელებულ ლენინის ბროშურისა და „ისკრას“ ნომერის მიღებამ, რომელშიაც დაბეჭდილი იყო პროექტი პარტიული პროგრამისა, საშვალება მისცა მათ თითქმის სკოლაც გაეხსნათ თავის კამერაში ამ საკითხების შესასწავლად. მათი აზრი და სხვადასხვაობა შეხედულებისა, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა მათ შორის, ეცნობებოდა ხოლმე ცალკე კამერაში მყოფ ამხანაგებს. გაიმართა პოლემიკა ამ ჯგუფისა და ამბ. კეცხოველის შორის, რომელიც იჯდა რამოდენიმე კამერის შემდეგ ჩემგან.

ჩვენ, ბაქოელები, გადაჭრით ვიდექით ლენინის ბროშურის პოზიციაზე და ჩვენ მოგვემხრო დიდი უმრავლესობა ამხანაგებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთებიც კი. რომელნიც შემდეგ იყვნენ ლიდერები ქართულ მწერვალზმისა.

ამბ. კეცხოველი თავისი ენერგიითა და დაუცხრომელობით ცოცხლებდა მთელ ციხეს და იგი იყო საუკეთესო ოსტატი ბარათების გადაცემის საქმეში, რომელსაც იგი აწვდიდა კარცერში მჯდომ ამანაგებსაც კი. ციხეში შემოღებულ „წესსა და რიგს“ იგი შუდამ ერევდა და აიძულა ციხის ადმინისტრაცია მისი მოქმედებისათვის სულ სხვაგვარად შეეხედათ. სისხლის სამართლის ძალით დასჯილ ტერორელებთანაც კეცხოველს ძლიერ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, ასე რომ, როდესაც იგი მიყავდათ მთავარი ეზოთ სასეირნოთ აცილსიო ეზოში. სადაც სპეციალურად იგი დაყავდათ სასეირნოთ. ტუსაღები, რომელნიც ეზოში იმყოფებოდენ, ან თავისი ფანჯრებიდან, ხმა-მაღლა ესალმებოდენ მას. უმაღლესი მთავრობა ყოველთვის ეწერებოდა ალაგმათ კეცხოველი. მაგრამ ჩვეულებრივად ციხის ადმინისტრაცია ულონო იყო ამ საქმეში.

კეცხოველის კამერის ფანჯრები გადასცქეროდენ მტკვარს. რომლის მეორე მოპირდაპირე ნაპირას იყო თამბაქოს პატარა ქარხანა, და აი, სხვადასხვა ნიშნების წყალობით ამბ. კეცხოველმა შეძლო კავშირი გაება ამ ფაბრიკის მუშებთან და ჩვეულებრივად, სასადილო შესვენების, დროს ან საღამოთი, მუშაობის გათავების შემდეგ, მუშების მთელი ჯგუფი იკრიბებოდა ციხის პირდაპირ და პასუხს ამცევდა კეცხოველს მის ნიშნებზე. ხშირად საქმე იქამდის მიდიოდა, რომ ციხიდან ტელეფონით ატყობინებდენ ამ ამბავს მახლობელ სპოლიციო უბანს და მუშებს გარეკავდენ ხოლმე.

სასამართლო პალატის პროკურორმა, რომელსაც ეს ჯარგამ პოხსენებოდა, განიზრახა სხვა რაიმესათვის მიეცქია კეცხოველის ცოდება და მოუტანა მას რამოდენიმე ფანქარი და დანომრილი ქაღალდი; პროკურორმა სთხოვა მას თავისი მოგონებების წერა და გამუქება თავისი თვალსაზრისით სხვადასხვა თეორიული საკითხებისა.

ამბ. კეცხოველმა პირველი ქაღალდი გაავსო საშინელი კარიკატურებით ყველა უფროსებზე და სხვათა შორის მოათავსა თვით პროკურორის კარიკატურაც, ხოლო დანარჩენ ფანქარსა და ქაღალდს იგი ძალიან ოსტატურად არიგებდა ყველა კამერებში. როდესაც შემდეგ შემოვიდა პროკურორი ციხეში, ამბ. კეცხოველმა მიართვა მას თავისი ნამუშევარი და პროკურორიც, მიუხედავათ მთელი თავისი თავდაჭერილობისა, საშინლად გაბრაზდა, რადგანაც კეცხოველმა იგი ასე გაასულელა.

ადმინისტრაციამ გადასწყვიტა განსაკუთრებული რეჟიმი შემოეღო კეცხოველისათვის, მაგრამ ყოველი ასეთი ცდა იწვევდა ყველა

პატიმართა მხრით საშინელსა და ძლიერ პროტესტ. ციხის ყველა გარეშე ფანჯრები მრავალჯერ ასჯედეს ფიცრებით, მაგრამ ჩვენ მათ ყოველთვის ვამტვრევდით, რისთვისაც მკაცრ სასჯელს ვიღებდით.

1903 წლის დასაწყისში ჩვენ ცნობა მივიღეთ ბაქოდან, რომ სტამბა უკვე გამოეყოდათ ჯიბრაილისაგან და ჩვენ ამხანაგებს იგი უკვე დაედგათ და დაეწყოთ მუშაობა. ჟანდარმების ცნობები, სტამბისა და ამხანაგების დაჭერის შესახებ, ყალბი აღმოჩნდა. ეს ცნობები ჩვენ უფრო მეტ ენერგიასა და სიცხოველეს გვმატებდა ციხეში, ხოლო ასეთი ცნობები ამბ. კეცხოველზე ისეთ გავლენას ახდენდენ, რომ მასზე აღარ მოქმედებდა არავითარი განკარგულება და წესი, იგი აღარაფერს არ ემორჩილებოდა და აორკეცებდა მიწერ-მოწერას ამხანაგებთან, რომელთაც იგი ძლიერ ამხნევებდა.

როდესაც უმაღლესი მთავრობა დარწმუნდა, რომ ციხის ადმინისტრაციას შეძლება არა აქვს კეცხოველის ალაგმვისა, ხოლო მისი ციხიდან გადაყვანას კი იგი ვერ ბედავდა, მან განიზრახა უფრო უბრალო და მასთან საშინელი საქმის შესრულება. გადაწყვეტილ იქნა დაეთროთ და მოეყიდათ ერთი დარაჯი, რომელმაც, როდესაც ერთხელ ამბ. კეცხოველი თავის კამერის ფანჯრიდან ელაპარაკებოდა მეორე ამხანაგს,—ერთი გაფრთხილების შემდეგ, ესროლა მას და იქვე მოჰკლა—1903 წლის 17 აგვისტოს.

ასე დამთავრდა სიცოცხლე ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ახალგაზრდა მუშაკთაგანისა მარქსიზმის სფეროში კავკასიაში, არალეგალური მუშაობის საუკეთესო ორგანიზატორისა და ბაქოს არალეგალური სტამბების მთავარი დამაარსებლისა, იმ სტამბებისა რომელნიც შემდეგ შეიქნენ ჩვენი პარტიის უმთავრესი და ცენტრალური სტამბები.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ნინოწმინდელი

ვინ გასცა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის დიდი სტამბა ტფილისში.

1906 წელს, აპრილის პირველ რიცხვებში, განსვენებულმა მიხა ბოჭორიშვილმა მთხოვა სტამბის თავზე ცარიელი ოთახები მცირე ხნით მეთხოვებინა. მე როგორც პასუხმგებელი გამგე, დავინტერესდი, თუ რისთვის იყო საჭირო და მიზეზი ვკითხე. მან მითხრა: „ერთი საუკეთესო მასწავლებელია მოსული, უსაქმოთაა და გვინდა ასაფეთქებელ მასალის მომზადება ვისწავლოთო". ნება დავრთე და ვთხოვე ფრთხილად ყოფილიყვნენ. 12 აპრილს 1906 წელს გადავწყვიტე ადგილობრივ დამეთვალიერებინა, როგორ მიმდინარეობდა ჩემ „დგმურთა" ცხოვრება და დილით ადრე მიველი ისეთ დროს, რომ ჯერ მასწავლებელი არ იყო მოსული. აქ დამხვდა მიხა ბოჭორიშვილი, კოწია ჩაჩავა, ბაბე, (მიხას დეიდა) და ორიც ახალგაზრდა ქალი, ქალებს მე არ ვიცნობდი და დღესაც არ ვიცი მათი გვარები, მაგრამ მათი პიროვნება ნახევარ საათის შემდეგ გამოირკვა.. მე დავთვალიერე ყოველი კუთხე კუნჭული, განგებ ვიგვიანებდი, რომ მათი მასწავლებელისათვის შემეხედნა, გამეგო ვინ იყო. ჩემმა ცნობისმოყვარეობამ ამაოთ არ ჩაიარა: ნახევარ საათის შემდეგ მოვიდა ერთი შუა ტანის ძალზე შავი კაცი, რომელსაც სახე გავაქსულივით ულაპლაპებდა; მას ორი ახალგაზრდა ქალი ჰიშკარზე მიეგებნენ, მეც სწრაფად კარებთან გავჩერდი და განგებ კარებს დავუწყე შინჯვა, მაგრამ ყური მათკენ მქონდა მიპყრობილი, მინდოდა გამეგო რა ენაზე ილაპარაკებდენ. ქალებმა ჩემი ვინაობა არ იცოდენ, არც ის იცოდენ თუ მე სომხური ვიცოდი, მათ ერთმანეთს შეხედეს და სომხურათ რაღაც წაიჩურჩულეს. მასწავლებელი მათ მეტათ მხიარულათ შეხვდა, იგი სომხურათ გამოელაპარაკა, ქალები ყოველ სიტყვაზე პასუხს არ აძლევდენ, აქედან ის დავასკვენი, რომ ქალებმა კილიკიური სომხური ენა არ იცოდენ და მათთვის ზოგიერთი სიტყვა გაუგებარი იყო. მასწავლებელზე ეჭვი შემეპარა და ჩემდა უნებურად ვსთქი: „ხაჩაგოლაა". ვინც არ იცის რაა „ხაჩაგოლა", რა ხალხია და რას აკეთებენ, იგი ხელს ჩაიქნევს, მაგრამ მე როგორც მათი კარგი მცნობი, ჩემთვის აშკარა იყო თუ რისთვის დაიარებოდა

ეს კაცი აქ, თუ იგი მართლა „ხაჩაგოლა“ იყო. მე სახლში ალარ მეპრუნდი და სწრაფად წაველ ჩემ ბინისკენ. მასწავლებლის გავაქსული სახე მოსვენებას არ მაძლევდა და გადავსწყვიტე, ჩემი ეჭვი მეუწყებინა სადაც ჯერ იყო. ჩემდა საბედნიეროდ ამავე დღეს განსვენებული მიხას დეიდა ჩემთან რაღაც საქმეზე მოვიდა. მე ვუთხარი: მიხას გადაეცი, მასწავლებელი საეჭვოა და ფრთხილად იყავით. მოხუცს ჩემი შენიშვნა ეწყინა და მითხრა, მიხა მაგისთანა შეცდომას არ დაუშვებს, მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვსო. სასიხარულოა, მიუგე მე, მაგრამ მაინც გადაეცი ჩემი ეჭვი,—გაფრთხილდეს. 14 აპრილს ჩემთან მოვიდა მიხა, მე იგი ვიცანი, მან დაილაპარაკა. ხმამ მაუწუა ვინც იყო, მას წვერ-ულვაში მოპარსული ჰქონდა და თვალებზე ლურჯი სათვალეები. „საქმე ცუდათაარ“, დაღონებით მითხრა „ჯაშუშები შემოგვერტყენ, აი ეს პასპორტი ბაბეს გადაეცი და როგორმე საზღვარ-გარეთ გაიქე“.

მე ეტლით სწრაფად მიველ სტამბაში, მარტო ბაბე დამხვდა, იგი დავითხოვე, ჰიშკარზე განცხადება გავაკარი: „Здается квартира“. კარები დავკეტე და წამოველ ამავე დღეს სადარაჯოო. გავგზავნე ჩემი მოჯამაგირე, გიორგი რაზმაძე და დავარიგე: „მდგმური წავიდენ, ბარგი იქაა, დილამდის იყავე, თუ მოვიდნენ ბარგის წასაღებათ 12 მანეთს გამოართმევ, თუ არა და, დილაზე ურემზე დაუდე და შინ მოიტა“. მე ამავე საღამოთი ჩემი ცოლით ღამის გასათევად, ე. ი. დასამალათ წაველი გიორგი ბაქრაძესთან. ქალები მეტად ცნობისმოყვარენი არიან და განსვენებული მეუღლე მოსვენებას არ მაძლევდა: „რა მიზეზია რომ გიორგისთან უნდა გაეთიოთო“. მე ვუთხარი: ამაღამ ჩვენ უბანში ჩხრეკა იქნება და რომ არ შეგეშინდეს ასე უკეთესია-მეთქი. ამ დროს ჩემი ძმა კოტე სოფლად იყო წასული და რომ ჩემს დამალეას უნაყოფოთ არ ჩაეცლო, რაზმაძეს უთხარი: ბარგი რომ მოიტანო პირადათ შემატყობინე. ბაქრაძესთან ცეკვები მეთქი. მე ასეთი მოსაზრება მქონდა: 14-ში ღამე, სტამბას თუ დაიცემო—დენრაზმაძეს დაიჭერდნენ, მას ვერას დააკლებდნენ, მისი გამართლება ადვილი იყო. რაზმაძის დაჭერა სიგნალი იქნებოდა, მაშინ მე სპარსეთში სომხურ სახელ-გვარათ უნდა წავსულიყავ, აქედან ინდოეთში და მერე ინგლისში (ამის შესახებ მიხასთან მქონდა ლაპარაკი, რომელმაც აღმითქვა პასპორტისა და საჭირო ქაღალდების შოვნა). თუ რაზმაძე შინ მშვიდობით მოვიდოდა და ბარგს მოიტანდა მაშინ ხიფათი თავიდან აცილებული იყო. 15 აპრილს რაზმაძემ ბაქრაძესას მომიტანა შემდეგი ცნობა: „მდგმური არ მოვიდა, ბარგი სახლში გადმოვიტანე“. გავიფიქრე: ხიფათი თავიდან აცილებულია და დავბრუნდი სახლში, მაგრამ აზრში მოვტყუვდი. სამ საათზე დღისით ჩემთან მოვიდა ნაწილის უფროსი საგინაშ-

ელი, პოლიციელისტრის ეტლით და მკითხა: „როსტომაშვილი ხარ? დიახ, მობრძანდით? უპასუხე მე. მივხედი საქმე რაშიც იყო, მაგრამ გვიანღა იყო. პოლიციელისტის ფიცხმა ცხენებმა სწრაფად მიგვიყვანეს სტამბაში. აქ დამხვდა პოლიციელისტერი, მარტინოვი (თუ არ ვცდები), ორი როტმისტრი, ერთი ამათში ფირალოვი, პრისტავი გომელაური (თუ არ ვცდები), ორი პროკუროროი, ამათში ერთი პალატის პროკუროროი იყო, (იგი პირადათ კარგად გვიცნობდა, მან თავი გადმოაჭნია და მითხრა—„Вот как купец!"), ნახევარი დუჟინი ჟანდრმები, მრავალი პოლიციელები, ყაზახები და სხვა „სტატსკის" ხალხი, ერთი როტა სპაიორი და ერთიც სტრელკოვი. სტამბიდან მთელი ქონება ამოზიდნათ და ეზოში ეყარა. სპაიორები კიდევ განაგრძობდნენ თხრას, ამ დროს ყურადღების ცენტრად მე გადავიქეც, ყველა ცდილობდა რამე ეკითხა. პოლიციელისტერმა მიმიყვანა და ბომბები მაჩვენა შემდეგის კითხვით: „ეს რა არის"?. მე რასაკვირველია კარგათ ვიცოდი, მაგრამ ხელოვნურად გავიცინე და უთხარ: „რა ვიცი, პრეველად ვხედავ". გაჭირვებიდან ნაცნობმა პროკურორმა გამომიყვანა, მან როტმისტრ ფირალოვს და პროკურორ სკოპინსკის უბრძანა, აქტი შეედგინათ და ფორმალური ჩვენება ჩამოერთმევინათ. შემიყვანეს მეზობლის სახლში და დაიწყეს წერა, ჩემი ჩვენება სამი წლით ადრე განსვენებულ ბოჭორიშვილთან ერთად იყო შედგენილი. ჩვენების გეგმას არც ერთი სიტყვა არ გამოვაკელით; იგინი მკითხავდნენ სხვა ნაირად, მე უპასუხებდი ერთნაირად. ჩვენების ჩამორთმევა გათავდა 7 საათზე საღამოთი.

სტამბის ქონება დაუდეს ექვს ურემზე, გაისტუმრეს სადაც ჯერ იყო. მე ჟანდარმებით გამისტუმრეს მეტეხის ციხეში. დიდხანს ვცდილობდი გამეგო, ვინ იყო პროვოკატორი და ერთ დღეს ბოჭორიშვილს ეკითხე: ვინ იყო და რა ქაცი, მათი ყოფილი მასწავლებელი. განსვენებულმა გადმომცა შემდეგი: მასწავლებელი იყო გვარათ გურჯიები, ოსმალეთიდან გამოქცეული და „იავკა" ჰქონდა სურამიდან (თუ ხაშურიდან კარგათ არ მახსოვს). ჩემი ეჭვი მიხამ დაადასტურა აი როგორი მოსაზრებით: დაჭერიდან სამი თვის შემდეგ ერთ დღეს ციხეში სადარაჯოთ მოვიდა ის როტა (სტრელკოვი), რომელსაც ჩხრეკის დროს სტამბაზე ალყა ჰქონდა შემორტყმული ამათი უფროსი აღმოჩნდა ქართველი ოფიცერი, დიდათ კეთილი ადამიანი. მან საგანგებოთ მიმიხმო თავისთან და დიდხანს მესაუბრა, სხვათა შორის მითხრა: 1906 წ. 15 აპრილს დილით დაჭერაში მიველე: „შენი როტით აელაბარში, პეტრეპავლესთან როსტომაშვილის სახლს ალყა შემოარტყიო, მე სწრაფათ ავასრულე ბრძანება, მაგრამ მიზეზი არ ვიცოდი, ჩემს შემდეგ მოვიდნენ სპაიორები და სხვანი, მოსელისთანავე ნიშანდობლივ მიეიდნენ ერთ კუნჭულში და ამოთხარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ბომბი, მე მათ კუდში ვდევდი, მინდოდა გამეგო, რას აღმოაჩენდნენ. როგორც ეტყობოდა ვიღაც თქვენს ამხანაგს ჭქონდა გადაცემული. რადგან მათ ნიშანდობლივ დაიწყეს მუშაობა, რომ ორი ვერშოკით არც კი მოუვიდათ შეცდომა. ამის შემდეგ განაგრძეს თხრა, გადააბრუნეს ეზო, სარდაფი, მაგრამ ვეღარაფერი ვერ იპოვეს და მცირე კამათის შემდეგ დაადგინეს, ალყის მოხსნა და შინ წასვლა. როდესაც მივდიოდით, ერთმა უფროსთაგანმა გაზეთს მოუკიდა და ჭაში ჩააგდო, ცეცხლი ისე სწრაფად წავიდა ძირს და დაიკარგა, რომ პროკურორს ეჭვი აღეძრა და ერთ ყაზახ რუსს თოკი მოამბეს და ჩაუშვეს შიგ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ყაზახმა ქვევიდან მოხსენება გააკეთა, საქმე რაშიც იყო და დაიწყეს სარდაფში თხრა, საიდანაც მიაკვლიეს სტამბის უმთავრეს გზას. ასე დაამთავრა ზემოხსენებულმა ოფიცერმა ჩემთან თავის სიტყვა. ის ვატყობდი, თითონაც სწუხდა ამაზე, რადგან არა ერთხელ სთქვა, „დიდი ჭონება დაიღუპაო“. გურჯიევის ჯაშუშობა მტკიცდება, პირველად მით, რომ მან მომბების არსებობა და ადგილი კარგათ იცოდა, ხოლო სტამბის არსებობა არა თუ მან, თვით იმ ამხანაგებმაც კი არ იცოდნენ, რომლებიც მასთან სწავლობდენ (გარდა მიხასი). მეორეთ მტკიცდება შემდეგი: ამის შესახებ შეეკითხე კოლა სიხარულიძეს—მათ ორგანიზაციიდან ხომ არ ჭონდათ „იავკა“? მან მითხრა შემდეგი: გურჯიევმა სამი ათასი მანეთი დაგვტყუა, აღგვითქვა ბომბების მომზადების სწავლა, მაგრამ არაფერი არ გვასწავლა, მას ვცემეთ და ისე გამოვაგდეთო. ციხეში სომხებთან კაი განწყობილება მჭონდა და ერთ განჯელ სომეხს ვკითხე: გურჯიევის შესახებ თუ იცი რამე-მეთქი. მან მწარეთ ამოიოხრა და სთქვა: „სწორეთ მაგ გურჯიევმა ოც კაცს ციხეში თავი ამოგვაყოფინაო“. ვინ იყო და რა კაცი გურჯიევი ამოცანათ დარჩა, იგი სომხებსაც გაუსხლტა ხელიდან. ჩემის აზრით ივი მთავრობის საგანგებო პროვაკატორი იყო და ეძებდა სამას სამოც ბომბას, რომლებიც სულხანოვის სახლში ინახებოდა. ეს მტკიცდება მით, რომ სტამბის ამოჩენის შემდეგ პროკურორს უთქვამს: „რასაც ჩვენ ვეძებთ ეს იმასთან არაფერიაო“. ესევე გადმომცა ზემოხსენებულმა ქართველმა ოფიცერმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. მეგრელიშვილი

ჩემი მოგონებანი

1896 წელს მე ვიყავი 12 წლის, როდესაც გავათავე სოფლის სამ განყოფილებიანი სასწავლებელი. რადგანაც ჩემი მშობლები ძალზედ ღარიბნი იყვნენ და არ შეეძლოთ ჩემი სწავლის გაგრძელება, მიმბარეს ჩვენი სოფლის მღვდელს ს. ცინცაძეს საღმრთო რჯულის შესასწავლათ... ვინაიდან მე სრულებით წარმოდგენა არ მქონდა, თუ რას წარმოადგენდა სამღვდელოება, დიდის აღტაცებით დავეთანხმე. იქ გავატარე ერთ წელიწად ნახევარი; ამ ხნის განმავლობაში ძლივს შევისწავლე საღმრთო რჯულის წიგნების ანბანი, კიდევ მეტს შევისწავლიდი, მაგრამ მუდამ ყანაში მაგზავნიდენ სამუშაოდ, მაცალებნობა მიხდებოდა ხოლმე კვირა-უქმე დღეს, ისიც ხანდის-ხან... ამავე დროს ჩემს ხაზეინს მღვდელს ესტუმრა მისი „უმართებელესი და უწმინდესი“ გურია სამეგრელოს მღვდელთ-მთავარი ალექსანდრე, რომელსაც მამა ჩემმა მუხლის თაყვანის ცემით და თხოვნით მიმართა, რომ მე აღვეზარდე ბერათ სამადლოთ; ეს „უწმინდესი“ სულიც ღებულობს რა მამა-ჩემის ხვეწნა მუდარას, მგზავნის შემოქმედის (გურია) მონასტერში არხიმანდრიტ იონა შარალიევის განკარგულებაში... იქ მე დიდის მორიდებით მღებულობს მოხუცი არხიმანდრიტი და მინიშნავს საჭიროთ ორ მასწავლებელს, ერთ საღმრთო რჯულისას და მეორეს საეკლესიო მგალობლის მასწავლებელს; იქ გავატარე ორ წელიწად ნახევარი. მაშინ იქ იყო სოფლის ერთ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, რომლის მასწავლებლად იყო ახალგაზრდა მასწავლებელი ამბ. ილიკო მგელაძე. მე ხშირად მიხდებოდა ამბ. ილიკოსთან სიარული. ეს იყო 1898—1899 წლებში. მაშინ თუმცა მასაც არ გაეგებოდა პოლიტიკის რაიმე, მაგრამ ტენდენცია—მიმართულება კი ჭონდა სოციალისტური; ხშირად გვიხდებოდა მე და ილიკოს სამღვდელოებაზედ და მათ ცრუმორწმუნოებაზე სჯა-ბაასი. იმ დროს მე შეძახდნენ პატარა წმინდა ბერს, ვინაიდან ბავშობიდან ხორცეულობის ჰამაც მჭონდა შეძულებული. მე თანდათან ვერკვეოდი თუ რას წარმოადგენდა სამღვდელოება მათი ყოფა ქცევით... როდესაც კარგათ შევისწავლე სამღრთო რჯულის წიგნების კითხვა და საეკლესიო გალობა, მაშინ სრულებით მოსვენებას არ მაძლევდნენ, არც ეკლესიებში და არც ოჯახში. როდესაც ჩემი ბატონი არხიმანდრიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებოდა მეორე დღისთვის წირვას, წინ ღამით (როგორც ძველი წესი არის) მთელი ლოცვის წიგნი უნდა გადაეკითხა და ყველა ეს ჩემს კისერზე იყო დამოკიდებული. ბ. არხიმანდრიტი წამოწვებოდა არხეინად თავის ლოგინზე და დაიწყებდა ხრუტუას, მე კი 3—4 საათობით ფეხზე ჩამომწყდარი უნდა გადამეკითხა მთელი წიგნი ლოცვანისა; ამნაირ ტანჯვა-წვალებაში ვიყავ ამ ხნის განმავლობაში... მე ხშირად მაძლეოდნენ დარიგებას, რომ „ბერმა არც უნდა ხორცეულობა სჭამოს და არც ქალებს შეხედოს“-ო. მეც ასეთი წესი იყო მეგონა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს წირვის გათავების შემდეგ მოვასწარ თვალი „სულ ცხონებულ“ ჭაღარა ბერს ღლონტს. აეყვანა „წმინდათა წმინდა“ საკურთხეველში მანაზვანი ხელში, მიებღინჯა გულზე და კოცნიდა... მე ამ მდგომარეობამ მეტის მეტად გამაკვირვა და ოცნებაში ჩამაგდო: ასე მეგონა, რომ სიზმარში ვიყავ, აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ „წმინდა სული“ ბერები თუ ასეთ საქმეს ჩაიდენდნენ... ერთ ღამეს ჩემს ბატონ მოხუცს არხიმანდრიტს დაეგვიანდა სახლში მოსვლა, და როდესაც მოვიდა, ისეთი გაბრაზებული და გაშმაგებული იყო, რომ ახლოს მისვლაც კი შემეშინდა; მეორე დღეს ხმები გავრცელდა, რომ არხიმანდრიტი ანდრია იოანეშვილმა დაიჭირა ვიღაც ცეცხლაძის ქალზეო. ამის გაგონებაზე მე კინაღამ გავგიჟდი, ეფიქრობდი ნუ თუ ეს ხმები მართალი იქნება მეთქი. შემდეგ მართლაც გამოირკვა, რომ ეს ჩვენი მოხუცი „წმინდანი“ შეჭვევია იმავე სოფელში ვიღაც ქალს და როდესაც ეს შეუმჩნევია ანდრია იოანეშვილს, წაუყვანია ორი კარგი ყოჩაღი ბიჭები და სახლიდან გამოსვლის ხანს გაუჭაჩავთ ეს „წმინდანი“ და დამუქრებიათ მღვდელ-მთავართან წარდგენა. ამ დროს „წმინდა სულს“ ამოუღია და 90 მანეთი მოუცია ქრთამათ, ისინი კი 100 მანეთ ნაკლებ არ დათანხმებულან. მაშინ 10 მანეთის თამასუქიც მიუცია არხიმანდრიტს და მუხლის მოდრეკით უთხოვნია, რომ არ გამოეშკარავებიათ, მაგრამ მეორე დღესვე უკვე ყველამ იცოდა. ამასთანავე დაუმტკიცა არხიმანდრიტს საეკლესიო ფულების შეჭმაც. მაშინ თანახმად მისი „უმართებელესი და უწმინდესი“ მღვდელ მთავრის დადგენილებისა, ეს ჩვენი არხიმანდრიტი იგზავნება ჯუმათის მონასტერში (იგივე გურია) სასინანულოთ *) სამი თვით. ეს იყო 1 წ. დიდ მარხვის დასაწყისში (თედოროობის კვირა).

იქაც ეს ჩვენი „წმინდანი“ დამთვრალა უგრძნობლათ და ცეცხლში გახვეულა და დაუწვავს ნახევარი პირის სახე. მაშინ ის გაგზავნეს ტფილისში საექიმოთ, იქიდან დაბრუნებული ჩამოდის აღდგომის

*) იმ დროს ეს მათთვის ადმინისტრატიულათ დასჯა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა კვირაში (ნების კვირა) და ერთ დღეს ე. ი. წითელ პარასკევს*) ეძახის მედავითნეს და უბრძანებს, რომ ჩქარა დაიჭიროს პატარა ვარია ჭათში და მოხარშოს ყალიოთი; მე მაშინ პირი შემიკინდა. შემამჩნია ეს „წმინდანმა“ და დამიყვირა: „რას იცინი ბიჭო, შენ განა არ იცი რომ მე ავათ ვარ“? (მე მაშინ ხსნილშიდაც არ ვჭამდი ხორცეულობას). შემდეგ დამიძახა და მითხრა: „წადი ჩქარა სერგო დუქანზე და ორი ბოთლი კახური ღვინო ამოიტანე, ექიმებიდან მაქვს გამოწერილი-“ო. მეც გავიქეცი ჩქარა და ამოვიტანე ღვინო, მაშინ მოუჯდა არხეინათ სუფრას ეს ჩვენი „წმინდანი“ ვარია მირთვა საკუთრად და ორი ბოთლი ღვინოც ზედ დააყოლა, ისე მაგრათ დაითრო, რომ იატაკზედაც დავარდა. მაშინ ჩვენ მივეშველეთ და ძლივს მივაყენანეთ საწოლ ოთახზე მოსასვენებლათ... ამ მოვლენამ ჩვენ მეტის მეტ განცვიფრებაში ჩაგვაგდო. ვამბობდი, ნამდვილათ გაგიჟდა-თქო. მეორე დღეს დაგვიბარა და გვითხრა: „არსად არ წამოგცდესთ, თორემ შავ დღეს დაგაყენებთ“-ო. მე მაინც ვერ შევიკავე საიდუმლოება და ყველაფერი უამბე ამხ. ილიკო მგელაძეს...

მე თან და თან ვეჩვეოდი, რომ ყველა ეს იყო ცრუ მორწმუნეობა—მატყუარობა და ყოველ დღე ეფიქრობდი, თუ რანაირად დამეხწია თავი მათი კლანჭებისაგან, მაგრამ საუბედუროთ ჩემდა. მშობლები არ მანებებდნენ ბერობის თავის დანებებას; მე მაინც ჭატიგორიულათ გადავწყვიტე მიმეტოვებია ყველაფერი და გაეპარულიყავი სადმე ქალაქისკენ—და კიდეცაც შეუდექი მზადებას, მაგრამ ცოტა მასალა მაკლდა, ეს იყო გზის ფული და პასპორტი. ჯერ მე შეუდექი გზის ფულის მოგროვებას, აი რანაირად: იმ მონასტერში ესენი „დიდებული წმინდა ღვთაების ხატი“, რომელთანაც ახლოს მისვლაც კი ეშინოდა ხალხს. იმ ხატს მოსდიოდა აუარებელი შესაწირავი როგორც ფულით აგრეთვე სხვა და სხვა საქონლებითაც.

ერთ დღეს განვიზრახე ამ „წმინდა საშოში ხატის“ გამოცდა და მოვპარე პირველად 50 კაპ. ვერცხლის ფული. მაგრამ ამაზედ ხატმა არაფერ არ მითხრა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ არავითარი ძალა მას არ ჰქონდა, მაგრამ იმდენათ დაშინებული ვიყავი, რომ ორ-სამხელ მაინც მოვიხედე უკან—ხომ არ მომსდევს მეთქი. შემდეგ უფრო და უფრო გავთამამდი და ნელ-ნელა უმატე თანხას. ამ გვარად შევიძინე გზის ფული და მოუსვი ბათუმისაკენ. იქ შევხვედი ერთ ჩემს ნაცნობ მზარეულს, რომელსაც მიემართე თხოვ-

*) წითელ პარასკევს ეძახდნენ აღდგომის წინა პარასკევს. იმ დღეს მართლმადიდებელნი ქრისტიანებისათვის არამც თუ ხორცეულის ჭამა, არამედ მარილიანი ლობიოს ჭამაც კი აკრძალული იყო სამღვდელოებისაგან.

ნით, რომ რაიმე დახმარება გაეწია ჩემთვის ადგილის შოვნაზედ. იმანაც გაიღიმა, მოიწონა თავი და ხელათ დამაყენა ერთ ოჯახში ხელზე მოსამსახურეთ სამ მანეთად თვეში, მისივე თავდებით, ვინაიდან მე პასპორტი არ მჭონდა.

1902 წ. მე ვმუშაობდი კოდორში მაქსიმოვის ხეხტყის სახერხავ ქარხანაში. წლის დასასრულში ჩვენთან ქარხანაში მოვიდა ორი სტუდენტი (გვარი არ მახსოვს), რომლებმაც პირველად გაგვეცნენ მე და პ. ბერძენიშვილს (ბერძენიშვილი იყო მაშინ უფროსს ნოქრათ ქარხანაში). მან ისინი გაგზავნა ვითომ სამუშაოთ და თანაც კავშირი გაება ჩვენთან. ჩვენ მაშინ პლ. ბერძენიშვილის მეთაურობით მოვაწყეთ წრე 33 ამხანაგისაგან, ვემზადებოდით გაფიცვისათვის და სხვ. პროკლამაციებს ვღებულობდით ჭ. ბათუმიდან ამხ. ანდრეევსკის ხელით (მატროსი იყო). ამავე დროს ჩვენს ამხანაგებში აღმოჩნდა ერთი პროვოკატორი—ვიღაც ჯორჯიკია და გასცა ყველა ჩვენი ამხანაგები. ერთ დღეს ჩვენთან ქარხანაში მოვიდა ეტლით სოხუმის ოლქის უფროსი და თან მოყვა 25 ჩაფარი. მოსვლისთანავე დაიჭირეს ამხ. პ. ბერძენიშვილი, ს. სიხარულიძე, ძმ. ნადარეიშვილები და სხვები. მე მაშინ ახლად მიღებული მჭონდა პროკლამაციები და ბალიშის პირში მჭონდა დამალული. შეეატყვე რა, ცუდათ რომ მიდიოდა საქმე, მოვასწარი ცეცხლში დაწვა. ამ დროს მეც დამიჭირეს და მათთან ერთად გაგვაგზავნეს სოხუმის ციხეში იატაკით. რამოდენიმე ხნის შემდეგ მე გამანთავისუფლეს თავდების ქვეშ, როგორც მცირეწლოვანი და ისინი გადაასახლეს სამ-სამი წლით ციმბირში. მე ისევ დაუბრუნდი ჩემს საქმეთ ქარხანაში, მაგრამ რაკი დამიწყეს თვალყურის დევნება, იძულებული გავხდი წავსულიყავი ბათუმში. ეს იყო 1903 წ. ამავე დროს ერთ გრანდიოზულ მიტინგზე, სადაც ათასობით იყვენ ბათუმის მუშა მოსამსახურეები თავ შეყრილნი, ვიღაც პროვოკატორმა რევოლვერი გაისროლა, ჩვენ ყველანი უეცრად გავიფანტენით სხვა და სხვა უბნებში. ამ დროს გადაგვიღობეს გზა ერთ ალაგას კაზაკებმა და აგვიტეხეს სროლა. იქ მოკლეს რამოდენიმე მუშა, ბევრი დაასახიჩრეს კნუტების ცემით; მე მაშინ დამჭრეს მარჯვენა ხელში, მაგრამ დამალეა მაინც მოვასწარი. 1903 წლის დასასრულში ჩვენს სოფელში, ჩოხატაურში ჩამოვიდნენ ამხ. ამხ. ბუდუ მდივანი და კობა ჯუღაშვილი, რომლებმაც დაიჭირეს კავშირი ამხ. თედორე კალანდაძესთან, თ. ჩიჩუასთან, პეტრე ცინცაძესთან, ს. ცინცაძესთან, გრ. ცინცაძესთან და სხვებთან. მაშინ ამ სოფელში, ე. ი. ზემო ფარცხაში მოეწყო ძლიერი პოლშევიკური წრე. მენშევიკებს თავის მხრიდან ყავდათ მოწვეული რ. არსენიძე, მაგრამ ყველა კრებაზე კამათის დროს ტყუის აძრობდა ამხ. ბუდუ და კობა... ერთ დღეს დაადგინეს მენშევიკებმა, რომ დასცემოდენ ადგილობრივ პოლიციის სამმართველოს. ეს იყო მგონი

1904 წლის დასასრულში, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი გაუხდით და შეწყვეტინებით. ამათ მაინც თავისი გაიტანეს, დაეცნენ სამმართველოს და მოკლეს ორი ჩაფარი, ადგილობრივი ბოქაული დაიჭირეს და გაგზავნეს ს. სურებში ტყვედ; ამ აქტის შემდეგ ჩამოვიდა ოზურგეთის მაზრის უფროსი 200 პლასტუნით და დაიწყო რეპრესიული ზომების მიღება. ეს იყო 1905 წ. როდესაც ისინი დაპრუნდნენ უკან ნასაკირალის გზაზედ იყო ბარიკადები გამზადებული და რაოდენიმე შეიარაღებული ბიჭები ბომბებით და ყველა მოწყობილობით ჩასაფრულნი. ამ აჯანყებას მეთაურობდა ბენია ჩხეიძეშვილი და როდესაც დაგეხილოვდა მთავრობის ჯარი, მაშინ ჩვენებმა ასტეხეს ბომბების და თოფების სროლა... ამ დროს მოვარდა ჩემთან ამხ. პ. ციხაძე და მითხრა „დავიღუპეთ, ბიჭო, თუ საყოველთაოდ არ მოხდა გამოსვლები-ო და იმ წამსვე გავიქეცით ნასაკირალისაკენ. როდესაც დაუახლოვდით მას, მოვარდა ჩემთან ბ. ჩხეიძეშვილი და მითხრა: „ჩქარა შეჯექ ცხენზედ და გასწი საყონიის პოსტზე და გაუცხადე იქ ჩემი სახელით, რომ პოსტი მოხსნან და წამოვიდნენ-ო. მეც ხელათ ვიშოვე მოურთავი ცხენი და გავეჭანე (27 ვერსის მანძილზე). როდესაც მივედი დანიშნულ ალაგას და განუცხადე ჩემი დაკალებანი, მაშინ ვიღაცამ ბარიკადიდან დაიყვირა: „ვინ აოის მაგი-ო. მას მისცეს პასუხი, რომ ეს არის სერგო მეგრელიშვილი-ო. მაშინ მან დაიყვირა: „დაიჭირეთ, მაგი არის პოლშევიკ-პროვაკატორი-ო. ეს იყო მელტო ციხაძე. მეც მსტაცენ ხელი და დამიჭირეს. გათენებამდე მამყოფეს ყარაულ ქვეშ. მეორე დღეს დილით მოვიდა სამსონ პაიჭაძე (ტეხნიკი ხელმძღვანელი იყო იმ პოსტის), მოუყარა თავი ყველა რაზმელებს და გაუცხადა რომ ყოველად შეუძლებელი არის აქ მტერთან შებრძოლება, ვინაიდან 12 ბერდანკის მეტი არ გვაქვს, დანარჩენი კი დაჭანგული სანადირო თოფებიაო. ამისათვის მე სულ სხვანაირი ტეხნიკა გამოვიგონე. თქვენ ადით მაღლა გორაზე და დიდრონი ქვები გადმოუშვით, მე კი დაბლა დინამიტებს მოვაწყობ და ხიდებს ავაფეთქებ და ამ საშუალებით შეიძლება ამოეხოცოთ ყველანი-ო. მე თუმცა ტუსაღი ვიყავ, მაგრამ გავიცინე და უთხარი: „თქვენ მოერევით ქვით რუსებს-“მეთქი. ამაზედ არც რაზმელებმა დაეთანხმეს, მოხსნეს პოსტი და დაბრუნდენ უკან, მეც მაშინ გამანთავისუფლეს. როდესაც გაიგო ხალხმა, რომ მენშევიკებმა პოლშევიკი დაიჭირესო, ყველას სალაპარაკოთ ქონდა და უკვირდათ, როგორ მოხდა, რომ „მენშევიკმა პოლშევიკი დაიჭირაო“...

როდესაც რევოლიუცია დამარცხდა და რეაქცია გაძლიერდა მოვიდა ჩემთან ამხ. პ. ციხაძე და მითხრა: „წავიდეთ ტფილისში“-ო. მე მიშინ ვერ წავყევი ავადმყოფობის გამო. ისტ. და გრ. ციხაძე წამოვიდნენ ტფილისში; მე რამოდენიმე ხნის შემდეგ წავედი სოხუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და იქ ჩავეწერე მილიციაში. ამ დროს ვეგებულობ, რომ ამხ პეტრე ცინცაძე ცხრა ძმებთან ერთად დაუბოცნიათ ყაზახებს ნახალოვკაში. ამან ნამეტანი ცუდი გავლენა იქონია ჩემზედ, მაგრამ რა უნდა მექნა... ამავე დროს სოხუმსაც გარს შემოერტყნენ გემებით პლასტუნები, შიგნიდან დახმარებას უწევდნენ მათ შერვან თურქიას და ალექსანდრე შერვაშიძის მიერ შემდგარი **აფხაზებისაგან შავრაზმელები**. გარს შემოერტყნენ ქალაქს და აუტეხეს სროლა, ჩვენ მილიციას შემოგვითვალა სალდათებმა პოლკის სახელი არ მახსოვს რომ „იარაღი არ დაყაროთ და ჩვენ აქედან მოვცხებთ“-ო, მაგრამ როდესაც ჩვენი მილიცია სუსტი გამოდგა და გაიქცა, სალდათებსაც გული კი გაუტყდათ და წინააღმდეგობაც არ გაუწევიათო... მე მაშინ გავიქეცი თათრების სოფელში (ლაზებში) გადაცმული ტანისამოსით და სხვის პასპორტით დავიწყე ერთ მდიდარ თათართან თუთუნის საკეც პლანტაციაში მუშაობა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ დილას გარს შემომერტყა შერვან თურქია თავისი რაზმით, მსტაცეს ხელი და დამიჭირეს (არ ვიცი საიდან გაიგეს ჩემი ვინაობა) თვე ნახევარის შემდეგ გამანთავისუფლეს ავადმყოფობის გამო და წყაროველ ისევ გურიაში. 1908 წლიდან 1911 წლამდე მე ვმუშაობდი რკინის ხიდების აშენებაზედ. ჩემთან ერთად მუშაობდნენ ამხ. კ. ცინცაძე (ბოლშევიკი). სერაპიონ სიხარულიძე, სერგო სიხარულიძე, ვ. ნაკაშიძე (მენშევიკი) და სხვები... თუმცა აქტიური მუშაობა არ იყო მაშინ გურიაში, მაგრამ ჩვენ მაინც შეძლების დაგვარად ვმუშაობდით ორგანიზაციულად, ვაწყობდით გაფიცვებს, ურდგენდით სხვა და სხვა მოთხოვნილებებს და სხ. 1911 წ. დავაპირე გურიიდან გასვლა. ამ დროს შორაულ აღმოსავლეთიდან (ვლადივასტოკიდან) ერთი ჩვენებური მეჭახრხე ოთხაძე უთელის თავის ნათესავს: „გამომგზავნე 100-მდე კარგი მუშები ჩემთან აგურის ქარხანაში სამუშაოდ“-ო და თან გამოგზავნა 4 კლასის დახურული ვაგონების უფასო რკინის გზის ბილეთები და გზაშიც სახარჯო. მეც 83 მუშასთან ერთად გავემგზავრე მასთან სამუშაოდ (ცოტა ჩემი ნათესავიც იყო). გზაში ვიარეთ 36 დღე და ღამე. როდესაც მივედით მან დამიბარა მე და მითხრა: ჩვენ ვართ აქ ორი კამპანიონი და მესამე ამხანაგიც შენ იქნებიო, ვინაიდან შენს შესახებ სოფლიდან კარგი ცნობა მივიღეო. შენ ნურაფრის ჯავრი ნუ გაქვს, ნურც ჯამაგირს კითხულობ, მე თვითონ გაგიზავნი შენს ცოლშვილს ფულს, მხოლოდ ეს არავინ არ უნდა იცოდეს, ხალხის შესახედავად მიიღებ იმდენს, რასაც სხვა მუშები ღებულობს *) მხოლოდ

*) მაშინ თვითეული მუშა ღებულობდა თვეში 22 მანეთს ყველაფერ ხარჯის გარეთ.

შენ თვალ-ყური ადევნე ამ მუშებს, რომ არ ითაღლითონ და არაფერი არ სთქვან ჩემს საწინააღმდეგოთ. მე მაშინ ყველაფერი შევიპირეთ, მაგრამ როდესაც მოვიცილდი და შევატყვე რომ მუშების ღალატი უნდოდა, ისიც ჩემი საშვალებით და ამასთანავე გაუგე, რომ ზედმეტ საათებს გვამუშავებდა, *) მაშინ მოვაწყეთ წრე, პირველათ რამოდენიმე ამხანეგებისაგან; წრის ეხელმძღვანელობდი მე. ჩემთან წრეში იყვნენ გუდავაძე (ბოლშევიკი, მაგრამ მოიანარქისტებდა) სპ. დოლიძე (ტალსტოვისტი), ე. სიხარულიძე, ს. დოლიძე, ძმ. მ. და სერ. დოლიძეები და სხვ. მიუხედავათ იმისა, რომ სიმაგრეები შენდებოდა იქ და გარშემო მთაიროსის ჯარი და ეანდარმერია გვყავდა შემოხვეული, ჩვენ მაინც არ გვეშინოდა და ორგანიზაციულ მუშაობას თან და თან ვაღრმავებდით; ვაწყობდით ხშირად კრებებს, გვყავდა ბიურო არჩეული, სადაც შევდიოდი მე, ვეცნობოდი სხვა და სხვა პოლიტიკურ კითხვებს და სხვა. როდესაც კარგათ გავამაგრეთ ორგანიზაცია და მოვამზადეთ დიდი უმრავლესობა მუშების, მაშინ წარუდგინეთ მოთხოვნილება ხაზეინებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვემუქრებოდით გაფიცვით **). პირველად ძალიან უარზედ დადგნენ, მაგრამ როდესაც გამოვაცხადეთ გაფიცვა, მაშინ, თუმცა არ დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნილება, მაგრამ უმთავრეს ნაწილში დაგვაკმაყოფილეს, ე. ი. გაფიცვა დამთავრდა ჩვენდა სასარგებლოთ.. მხოლოდ არაფრის გზით არ უნდოდა ჩემი ქარხანაში გაჩერება და სოფელშიც წერილი გამოუგზავნა თავის ნათესავებს, სადაც სწერდა, რომ სერგიამ დამღუპა კაცი, რათ გამოუგზავნეთ მაგი აქაო, სულ ამიბუნტა მუშებიო. დაჭირვაც კი დამიპირა, მაგრამ იქ ვერ გაბედა, მხოლოდ კი იძულებული გამხადა გავსულიყავ ქარხანიდან და კიდეც გავედი. შემდეგ დავდექი „რუსკი ოსტროვზე“ (23 ვერსის მანძილია ელადიასტოკიდან) და დავიწყე სამსახური სამხედრო საჰოლის საწყობში მიმღების თანამდებობაზედ. ვღებულობდი თვეში 50 მანეთს ყველა ხარჯებს გარდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბ. თოხაძემ გამოიჩინა თავისი შავრაზმული მოქმედება და მიჯაშუშა „ახანის“ განყოფილებაში, თითქოს იქ მე სამხედრო ნაწილში ვეწეოდი პრაპაგანდა-აგიტაციას. ერთ დღეს უეცრათ გარს შემომერტყეენ ეანდარმები, დამატუსაღეს მე და დაუწყეს ჩემს ბინას მაგარი ჩხრეკა, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვეს და წამომიყვანეს ელადიასტოკში იატაპით გაყინული გზით. რამოდენიმე ხნის ტუსაღობის შემდეგ გამანთავისუფლეს, მაგრამ „რუსკი ოსტროვზე“ წამოსვლის ნება არ

*) ჩვენ პირობის ქაღალდში გვეწერა 10 საათის მუშაობა და თუ ზედმეტს ვიმუშავებდით ან ყვირა უქმეებზე, მაშინ კი ორმაგი ჭირა უნდა მოგცათ.

**) მაშინ ერთი დღის მეშაობის შეჩერება დიდ ზარალს მოუტანდა მათ, ვინაიდან ის „ი პირობა ჯონდათ შეკრული მთაიროსთან.

მომცეს და ვიყავი „ნადზორის ქვეშ“. ეს იყო 1913 წლის დასასრულში. შემდეგ გაეხდი მაგრათ ავად და ამხანაგების და ნაცნობ ქართველების დახმარებით ვიყავ გადმოგზავნილი საქართველოში საექიმოთ. როდესაც ვეღირსე ჩამოსვლას, იმ წამსვე ექიმების რჩევით ვიყავ გაგზავნილი აგარაკ ბახმაროზე (გურია) სამკურნალოთ. ეს იყო 1914 წელი. აქედან 1916 წლამდე არავითარი მუშაობა არ შემეძლო ორგანიზაციაში, მხოლოდ შეძლების დაგვარათ ვთანამშრომლობდი გაზეთებში სხვა და სხვა ფსევდონიმით... 1916 წლის დასასრულში ოჯახური პირობების გამო იძულებული გავხდი, წამოვსულიყავ ტფილისში რაიმე სამუშაოს საშოვნელად, მაგრამ საუბედუროთ ჩემდა ფიზიკური ძუშაობა არ შემეძლო და არც კანცელარიის სამსახურის არ გამეგებოდა რა. მაშინ ტფილისელ ამხანაგებზედაც არ ვიყავი გაცნობილი; ამავე დროს ერთ ჩემს ნაცნობ ნათესავთან ერთად გავხსენით იაფ-ფასიანი მუშათა სასადილო ნაძალადევში, სადაც ყველა საქონლის სადგურის გადამტვირთველი მუშები ჩვენთან დაიარებოდენ სასადილოთ. ეს სასადილო იყო მუშების სახელზე და ჩვენ კი იმდენს ვღებულობდით, რასაც ისინი ღებულობდენ თვიურათ ჯამაგირს. 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მე შევიტანე თხოვნა რკინის გზის სამმართველოში, რომ მოეცათ ჩემთვის რაიმე სამსახური, მაგრამ რომ გაიგეს, ბოლშევიკი ვიყავი, უარი გამომიცხადეს და ისევ დავრჩი იმ სასადილოში; ამავე დროს მე და ბ. სიხარულიძემ მოვაწყვეთ საქონლის სადგურის მუშებში წრე პირველად 7 ამხანაგისაგან შემდგარი, სადაც შედიოდენ ჩვენს გარდა ნიკო და ტ. კობიძეები, ვ. და ს. სიხარულიძეები (ეს უკანასკნელი ალექსანდროვის ბაღში იქმნა მოკლული) და კ. უჯმაჯურიძე. იმ დროს მე მომიხდა 15 დღით სოფელში წასვლა და როდესაც დავბუნდი, იმდენათ გაელრმავებია ამხ. ბ. სიხარულიძეს მუშაობა და გამოეჩინა ენერგია, რომ 35 ამხანაგამდე დამხვდა ჩვენს წრეში და მუშაობა მიდიოდა თანდათან ინტენსიურათ... ეს ჩვენი სასადილოც გარდაიქცა თითქმის პარტიულ ორგანოთ; იქ ქონდა ჩვენს ამხანაგებს კავშირი, იქიდან ღებულობდენ გაზეთ ჟურნალებს, ფონდიც იქიდან გროვდებოდა და სხვა...

1918 წ. ალექსანდრეს ბაღში მუშების დახვრეტის დროს მე და ამხ. ლაშქარეშვილს მოგვანდო ტფ. ორგანიზაციამ მოკლული ამხ. ს. სიხარულიძის გვამის წასვენება სოფელშ (გურია) და იქ უნდა გამოვსულიყავით სალაპარაკოთ დასაფლავების პროცესის დროს; მხოლოდ ნებართვის აღება მთავრობიდან მომანდეს მე, თითქოს ჩემი მკვიდრი ბიძაშვილი იყო. როდესაც მივმართე შინ. საქ. მინისტრის მოადგილე ბ. ერზეკიანს, მან მითხრა: წასვენების ნებას მოგცემ, მხოლოდ ხალხში ხმებს თუ კაცი ხარ ნუ გაავრცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებ გლახათო. რაც მოხდა, ეს იყო გაუგებრობა და აბა შენ იცი, თუ როგორ მოიქცეოო. როდესაც მიცვალებულის გვამი მივასვენეთ ჩოხატაურში, იქ შემოგვხვდენ ბევრი ჩვენი ამხანაგები მენშევიკებთან ერთად დროშებით და მასთან ბევრი უპარტიონიც. მე პირველად მაშინ მომიხდა ლაპარაკი და აღვნიშნე ყველა ის მენშევიკების საზიზღარი მოქმედება. აგრეთვე სხვა ამხანაგებმაც ილაპარაკეს. ჩემი ლაპარაკის დროს არ მოუთმინა გულმა ერთ ადგილობრივ მენშევიკების მეთაურს ბ. ავთ. ციცაძეს და დაიყვირა: „ცოტა ფრთხილად ლაპარაკე, თორემ ამ მინუტში დაგიჭირავ“-ო. მაშინ, რასაკვირველია მიცვალებულის ხათრით, არ იყადრეს ჩემი დაჭერა, მხოლოდ იმ ღამეს კი დაესვათ ორგანიზაციაში საკითხი დატუსაღების შესახებ; გაეგო მე ეს და ხელად წამოვედი ტფილისში. აქ 10 დღის შემდეგ მიჭერს კედის განს. რაზმი, მაგრამ მეორე დღეს მოდიან პირველ რაიონიდან რამოდენიმე კედიას კარგი ნაცნობები და სთხოვენ ჩემს განთავისუფლებას მათი თავდების ქვეშ, კედიამ ვერ გაუტეხა მათ ხათრი და გამანთავისუფლა.

იმ სასადილოში ბოლოს ქონდათ კავშირი შემდეგ ამხანაგებს: ბ. სიხარულიძეს, ვ. ძნელაძეს, მორჩილაძეს, მურდალეშვილს, თ. ლურჯტს, გავას, ზაქრაძეს, ს. ბოლქვაძეს, ზაალ. ჭიქოძეს, ეჯიბიას შოს, ჯეჯელავას, ლელაშვილს, გოგიშვილს, მარდალეიშვილს, აგორდიას, ს. მაჩაიძეს და სხვებს. ხშირად იქ იმართებოდა კონსპირატიული სამხედრო კრებები ამხ. ზ. ჭიქოძის, მორჩილაძის და ეჯიბიას მეთაურობით. იქ ინახებოდა ამხ. მარდალეიშვილის და აგორდიას ტყვია-იარაღიც. ეს ყველა იცოდენ საოლქო კომიტეტის წევრებმა ამხ. ფ. მახარაძემ და ნაზარეტიანმაც. აგრეთვე მე ვიყავ პირველ რაიკომის წევრათ ამორჩეული. 1919 წლამდე გავატარე როგორც იქნა დიპლომატიურათ; შემდეგ გამიგეს და დამიჭირეს. სამი თვე-ნახევარი ტუსაღობის შემდეგ გამანთავისუფლეს ავადმყოფობის გამო, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევე ვიყავ დატუსაღებული, სადაც გავატარე სხვა ამხანაგებთან ერთა 1920 წ. მენშევიკებთან ხელშეკრულებამდე. შემდეგ, როდესაც ყველანი გაგვანთავისუფლეს ციხიდან, მე ვიყავ თიანეთის მაზრაში ორგანიზატორათ გაგზავნილი, მაგრამ ადგილობრივი მენშევიკების წყალობით ჩქარა ვიქენ დატუსაღებული *) და გადმოგზავნილი ეტაპით მეტეხის ციხეში, საიდანაც სხვა ამხანაგებთან ერთად ვიყავ გადასახლებული საქართველოს საზღვრებიდან საბჭოთა აზერბეიჯანში.

---

*) ამიზედ ერცელი წერილი მჭონდა მოთავსებული 1920 წელში მეტეხის ციხიდან გაზეთ „კომუნისტში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კვარაცხელია

ჩემი მოგონებანი

მე ვიყავი ღარიბი სოფლის გლეხის შვილი. მამა-ჩემი ეწეოდა ოჯახურ მეურნეობას. ის სრულებითაც არ ფიქრობდა ჩემს სკოლაში აღზრდას და მაჩვევდა ყანის მუშაობას.

მე ჩემით შევისწავლე ანბანი ერთი ჩემი წერა-კითხვის მცოდნე მეზობლის საშვალებით. ერთხელ მამა ჩემს ესტუმრა შორეული ნათესავი, რომელმაც დაჟინებით მოითხოვა და ურჩია ჩემი სასწავლებელში გაგზავნა, მაგრამ საუბედუროთ ჩემდა ჩვენს ახლო სოფელში სასწავლებელი არ არსებობდა და გამგზავნეს წალენჯიხის სოფლის ორ-კლასიან სასწავლებელში. ამ შკოლის მახლობლად ცხოვრობდა ერთი ჩვენი ნათესავი (ყოფილი აზნაური). იმან დიდის სიამოვნებით მიმიღო ოჯახში („ნახლებნიკათ") უფასოთ, მამაჩემს ეს ნამეტანი გაეხარდა და დავიწყე ცხოვრება „კეთილ გულშემატკივარ ნათესავთან". აი აქედან იწყება ჩემი დაჩაგრული ცხოვრება. ჩემდა საუბედუროთ იმ ჩემს „გულ-კეთილ" ნათესავს ამიტომ აუყვანივარ მე უფასო გამოკვებაზე, რომ მას უნდოდა მონა-მოსამსახურედ ყოლოდი. მაიძულებდნენ შეშის დაჭრას, ფეჩების ანთებას, ძროხების მოწყობას, ბავშვების მოვლას და სხვ.

დიდი ტანჯვით, მთელი ღამე მეცადინეობაში გატარებით, როგორც იქნა დავასრულე სასწავლებელი...

ეხლა არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი შემთხვევა. მე თვით არ ვიცი, რისთვის უყურებდი ბავშობიდან უარყოფით სარწმუნოებას. რასაკვირველია, არა შეგნებულათ, არამედ სტიქიურად. ერთხელ, როდესაც სამღვთო რჯულის მასწავლებელი ვიღაც მღვდელი თვალთვალს გვასწავლიდა ჩვენ ქვეყნიერების შექმნას, მე არ დავეთანხმე და შეკითხე „გთხოვთ აგვიხსნათ ერთი მდგომარეობა, თუ ღმერთმა შექმნა პირველ დღეს ქვეყანა და მეოთხე დღეს მზე, მთვარე და ვარსკვლავები, რისთვის უამათოთ არ არის სინათლე. სად არის აქ თქვენი სიმართლე"-მეთქი. მაშინ გაბრაზდა მასწავლებელი მღვდელი და ერთი დღით დამითხოვა სასწავლებლიდან. მეორეჯერ კიდევ ვერ მოვითმინე და იძულებული გავხდი შევკითხოდი ადამი და ევას შესახებ. ისინი გვეუბნებოდნენ ჩვენ, რომ ადამს და ევას ჰყავდათ ორი შვილი კაენი და აბელი და მათგან წარმოიშვა კაცობრიობა ქვეყანაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმას კი არ ამბობდნენ, ყავდათ თუ არა მათ ქალიშვილი. როდესაც მე შევეკითხე, როგორ მოხდა რომ, თუ კი მათ მარტო ვაჟები ჰყვდათ, უქალოდ როგორ გამრავლდა ქვეყანაზედ კაცობრიობა ფეხქვეშ... მაშინ კი ძალაზე გაბრაზდა ჩვენი ფანატიკოსი მღვდელი და ტენდენციურად მოითხოვდა შკოლის ზედამხედველიდან, რომ გამომკრიცხე მე მოწაფეების რიგებიდან. დაიბარეს მამაჩემი და უამბეს ყველაფერი. მამა ჩემმა დაუწყო ხვეწნა-მუდარა და როგორც იქმნა დამტოვეს ისევ სასწავლებელში. აი ასეთ პირობებში როგორც იქმნა დავასრულე სოფლის სასწავლებელი; შემდეგ ვსთხოვე მამაჩემს, რომ გავეგზავნე ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში, რაიც შესრულებულ იქმნა. იქ ვსწავლობდი სამ წელიწადს, ამ სასწავლებელს სათავეში ედგა რეაქციონერი ვიღაც ფეოდოროვი, რომელიც ყოველდ ზნედაცემული ადამიანი იყო. მისი მარჯვენა ხელი იყო მასწავლებელი აშორდია, სულელი და მასთან კარიერისტიც. ერთხელ გამოჩენა აშორდიამ მეგრული ანბანი და მოგვცა ჩვენ წინადადება ქართულის მაგიერათ გვესწავლა მეგრული ანბანი; ჩვენ ამაზედ წინააღმდეგობა გამოვაცხადეთ და კიდეევაც მოვინდომეთ გაფიცვა. ჩვენი ამგვარი წინააღმდეგობის გამოცხადების შემდეგ შეცვალეს ისევ თავის დადგენილება და დაგვაწყებინეს ისევ ძველებურათ... ამ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მე წამოვედი ქ. ქუთაისში და იქ საკუთარი ჩემი მეცადინეობით დავიწყე მომზადება და კიდევაც ჩავაბარე 6 კლასის რეალური სასწავლებლის ეგზამენი... შემდეგ ჩემი მშობლების სიღარიბის გამო არ შემეძლო გამეგრძელებია სწავლა და იძულებული გავხდი წამოვსულიყავ ტფილისში სამუშაოთ; მაგრამ ამავე დროს მომისწრო სამხედრო ბეგარით გაწვევამ და მე ჩავეწერე თავისუფალ მოხალისეთ *)

ეს იყო 1902 წ. დასასრულში... მე არ შეუდგები იმ გაჭირვების აღწერას, რაც მე გამოვცადე იმ ხანებში, მხოლოდ შევჩერდები მარტო იმაზედ, თუ როგორ დავიწყე მეცადინეობა თვითგანვითარებაზედ: უმთავრესი ყურადღება მივაპყრე მე ჟურნალ-გაზეთების და სხვა და სხვა პოლიტიკური წიგნების კითხვას. მაგრამ ჟამს უხერხულ მდგომარეობაში ჩავრდი, ვინაიდან არავინ არ ჰყვდა პოლიტიკურ მოღვაწეთაგანი ნაცნობი; შემდეგ გამოლიმდა ბედმა და შემთხვევით გავეცანი „ბუკინისტ“ გადელიას, რომელსაც ჰქონდა წიგნის მაღაზია კირონის ქუჩაზედ, და რომელმაც დიდი დახმარება გამიწია წიგნების მოწოდებით დროებით სასარგებლოთ; და აი იმ დღიდან შეუდექი მე თვითგანვითარებას... როგორც კი

*) მოხალისეთ ჩავეწერე იმ მოსაზრებით, რომ სამხედრო ბეგარა მჭონებოდა მცირეწლოვანი.

ვიშოვიდი ცოტათი სამსახურიდან თავისუფლებას, ხელად გავეცნო-
ოდი წიგნის მაღაზიაში და ვეძიებდი წიგნების კითხვას... იქ მე გა-
ვეცანი ცნობილ წიგნების გამომცემელს ზაქარია ჭიჭინაძეს, რომე-
ლმაც აგრეთვე დიდი დახმარება გამიწია სხვა და სხვა პოლიტიკური
წიგნების მოწოდებით. უმთავრესად მე გავეცანი ბოგდანოვის, პლე-
ხანოვის, კაუცკის, ბებელის, მარქსის და სხვ. ნაწერებს. შემდეგ ამის
გვარიანად შევისწავლე მარქსიზმი და მოვინდომე დამეპირა კავშირი
სალდათებში და მუშებში, კიდევაც მივაღწიე მიზანს, გავეცანი რა-
ოდენიმე მიმხვდარ სალდათებს და მუშებს, დავიჭირე კავშირი ამ-
მიხა ჩოდრიშვილთან და ნიკო ელიავასთან (მაშინ ბოლშევიკი იყო)
და მათი დახმარებით მოვაწყვე სალდათების „კრუჟოკი“, სადაც შედი-
ოდენ ამხ. ამხ. გუბელაძე, მარგულეს, ლითვინოვი, ივანოვი და სხვ. ეს
იყო 1903 წ. დასასრულს. 1904 წ. იწყება მომეტებული მუშაობა სალ-
დათებს შორის და კიდევაც იმ მუშაობას არ ჩაუვლია უქმათ: რევო-
ლიუციონური იდეა ხელათ მოედო მათ და ჩქარა დავიჭირეთ კავ-
შირი მათ პოლკის და ბატალიონების წარმომადგენელებთან. ჩვენ
უმთავრესად ვიკრიბებოდით ამხ. ჩოდრიშვილის სახელოსნოში; ჩვენ-
თან უმთავრესად მოდიოდნენ სამაცადინოთ შემდეგი ამხანაგები: კა-
ხოიანი, მიხა ბოჭორიშვილი, მ. დავიდოვი, მ. ცხაკაია, საშა წულუ-
კიძე და სხვ. იყო მოწყობილი გარნიზონის სალდათთა კომიტეტი,
სადაც წევრათაც შევდიოდი მე. 1905 წ. დასაწყისში იფეთქა სალ-
დათებს შორის მოძრაობამ და ხელათ გადაედვა ყველა სხვა ბათა-
ლიონებშიდაც. ვაწყობდით გაფიცვებს, ურდგენდით სხვა და სხვა
მოთხოვნილებებს, ხშირად ქალაქს გარედ ვაწყობდით მიტინგებს: რო-
დესაც დაინახა ყველა ეს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, მიიღო
ყოველგვარი ზომები ამ მოძრაობის ჩასაქრობათ. იმისათვის რომ სალ-
დათი არ წასულიყო მიტინგზე გამოუშვეს ბრძანება, რომ არც ერთი
სალდათი არ გამოსულიყო ყაზარმიდან; მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ
ამის გამო მოგვეწყო გრანდიოზული მიტინგი საღდგომოთ, ვინაი-
დან აღდგომა მოახლოებული იყო. აღდგომის წინა შაბათს ყველა
სალდათები ეკლესიაზედ უნდა წასულიყვნენ. ამისათვის მაშინ გადა-
სინჯვა არ ხდებოდა და აი ვისარგებლეთ ჩვენ ამ მომენტით და გა-
მოუცხადეთ ყველა სალდათებს და თანამგრძნობლებსაც, რომ
ეკლესიაზედ წასვლის მაგივრათ ყველანი წამოსულიყვნენ ქალაქს გა-
რეთ გრანდიოზულ მიტინგზედ 12 საათზე ღამით; ჩვენ დიდის სიხა-
რულით მოველოდით ამ უქმეს, მაგრამ დახე უბედურებას, არ მოხდა
ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობდით... ჩვენმა მტრებმა გაიგეს საღაც-
დან ეს და პარასკევს საღამოს გადასინჯვის დროს მოვიდა ჩვენთან
როტის ფელთფებელი და მოიტანა გარნიზონის უფროსიდან ბრძანება
შემდეგი შინაარსით: „ეუბრძანებ ყველა ნაწილების უფროსებს, რომ

არც ერთი სალდათი არ გამოვიდეს ყაზარმიდან სამი-ოთხი დღე უშვებზე და თუ ვინმე გაბედავს და გამოვა ხელათ დაატუსაღეთო". ამ გვარმა მოულოდნელმა არა სასიამოვნო განცხადებამ ნამეტანი ცუდათ იმოქმედა ჩვენზედ. ყველანი დაჩუმდნენ და ფიქრებში ჩავარდნენ. მე ვერ მოვითმინე ეს და განვაცხადე: თუ ეს ასეა მაშინ ყაზარმაში დამწყდევას ციხეში ჯდომა სჯობია მეთქი, ვინაიდან ციხეში არავითარ სამსახურის მოვალეობას არ ასრულებენ სალდათები და ყაზარმაში კი თან ტუსაღთაც უნდა იყოს და სამსახურიც აასრულოს-მეთქი.

ამ გვარად ჩემმა განცხადებამ დიდი გავლენა იქონია სალდათებში და ერთხმად დაიყვირეს: „მართალს ამბობს კვარაცხელია, ჩვენ ტუსაღებზედ უარეს პირობებში ვართო". ასეთმა ერთსულოვნებამ ფელთფებელი იძულებული გახადა დავეტოვებიეთ ჩვენ და გაქცეულიყო; ჩვენ მაშინ შეუდექით ამ კითხვაზე სჯა-ბაასს და გადავწყვიტეთ რომ არ დავმორჩილებოდით გარნიზონის უფროსის ბრძანებას... მეორე დღეს მე დამატუსაღეს და ჩამსვეს ბათალიონის კარცერში. ეს გაიგეს ყველა ნაწილებში სალდათებმა და ერთხმად მოაწყვეს ორგანიზაცია და მოითხოვდენ კატეგორიულად ჩემს განთავისუფლებას, გამოჭონდნენ საპროტესტო რეზოლიუციები და სხვ. ჩემს ბათალიონში, სადაც მე დამიჭირეს, არ მიიღეს ბათ. კამანდირი, და წარუდგინეს მოთხოვნილება: თუ მე არ გამანთავისუფლებდნენ ემუქრებოდნენ აჯანს უებით... პირველათ არ უნდოდათ მათ რომ შეესრულებიათ სალდათების მოთხოვნილება, მაგრამ როდესაც მან მიიღო სერიოზული ხასიათი, მაშინ ორი კვირის შემდეგ გამანთავისუფლეს... ამის შემდეგ არა თუ იკლო პოლიტ. მუშაობამ სალდათებში, არამედ უფრო მეტად გაღვივდა. ასეთი რეპრესიების შემდეგ უფრო გაბედულათ და აწყობით დაიწყეს სალდათებმა მიტინგზე და კრებებზედ სიარული. ამ მდგომარეობამდე ჩვენთან მუშაობდა ვიღაც ვასკრესენსკი ილარიონოვის დახმარებით. ის ვასკრესენსკი აღმოჩნდა ცნობილი პროვაკატორი, ამის შესახებ მე 2 სახელმწიფო სათათბიროშიც იყო განცხადებული და აგრეთვე იყო დაბეჭდილი სატახტო ქალაქის გაზეთშიაც შემდეგი სათაურით: „Воскресенский на Кавказе", სადაც იყო აღწერილი მისი პროვაკაციული მუშაობა ტფილისში, თუ როგორ შემოვიდა ის ჩვენს ორგანიზაციაში, როგორ გაეცნო ორგანიზაციის მეთაურებს და როგორ გასცა მან კვარაცხელია და სხვ. მართალია ვასკრესენსკი მუშაობდა ჩვენთან, მაგრამ ის აღრე, ჩემს დაჭერამდე წავიდა რუსეთში, მხოლოდ იქ დარჩა მისი კარგი მეგობარი ილარიონოვი, რომელმაც მოიყვანა სისრულეში მისი დაწყებული საქმე. ორი კვირის ჩემი განთავისუფლების შემდეგ, ხელმეორედ დამატუსაღეს მე და ჩამკეტეს ბნელ კარცერში ცალკე. რამდენიმე საათის შემდეგ ვგებულობ, რომ

მარტო მე კი არ ვყოფილვარ დაპერილი, არამედ ყველა გარნიზონის კომიტეტის წევრები და თანამშრომლები, დაახლოებით 100 კაცამდე; მე ვიჯექი მარტოდ კარცერში და არავის ჩემთან არ უშვებდნენ. ისინი კი ერთად იყვნენ დიდ კამერში, ჩემი საქმე იმყოფებოდა ცნობილი ჯალათი როტმისტრი მარტინოვის ხელში; რამოდენიმე ჩვენთან დატუსაღებულებმა გამცეს მე და მათ კი გაინთავისუფლეს თავი, მხ დავრჩი მარტოდ და უნდოდათ დავესაჯე პროპაგანდა—აგიტაციისათვის სალდათებს შორის. ამიტომ ვიყავ განცალკევებული... მახსოვს, როდესაც დანიშნეს ამიერ კავკასიაში ვარანცოვ დაშკოვი, და როდესაც ის ჩამოვდა ტფილისში, ერთი კვირის შემდეგ დაიწყო შემოვლა ყველა ნაწილებისა და დაწესებულებების და აგრეთვე ნახულობდა ციხეებსაც, და როგორც საპატიო სტუმარი მას უნდა მოეხდინა პატიება სამხედრო ტუსაღების. როდესაც მობრძანდა ის ჩვენს სადარაჯო ბინაზე, უეცრად დაბრუნდა უკან... მეორე დღეს ვგებულობთ გაზეთებიდან, რომ „მისს ბრწყინვალებას“ სურდა ჩვენ ვენახეთ, მაგრამ გაიგო რა, რომ იქ არის მაგარი პოლიტიკური დამნაშავე, არ ისურვა ჩვენი ნახვა და დაბრუნდა უკან-“ო.

ამ გვარად მე ვიჯექი განცალკევებული კარცერში მაგარი იზოლიაციით 1905 წ. 17 ოქტომბრამდე. ძიება კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ მაშინდელი მანიფესტის ძალით მე გამანთავისუფლეს და ისევ გამაგზავნეს მე 3 სტრ. ბათალიონში. იქ დამინახეს რა სალდათებმა, ამირჩიეს თავის წარმომადგენლათ სხვა ბათალიონების და პოლკის წარმომადგენლებთან ერთად; წარმოადგინენ თავ-თავიანთი მოთხოვნილება ეკონომიური პირობების გაუმჯობესების შესახებ, ადმინისტრაცია იძულებული იყო, რომ დაეკმაყოფილებია ჩვენი მოთხოვნილებანი. რეაქციის დაწყებამდე ისინი იძულებულნი გახდნენ თავიდანვე მოევშორებიეთ. მე გამანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან და მასთან მომცეს, წინადადება, რომ დამეტოვებია ტფილისი და წავსულიყავი აქედან. მე, რასაკვირველია, არ წავედი და დავიწყე მუშაობა ისევ ტფილისში სამხედრო ნაწილში; მივიღე მონაწილეობა იარაღით სხვა და სხვა დროს; ჩვენი იარაღების საწყობი და მთავარი შტაბი იყო ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელოსნო. ეს არის ისტორიული სახელოსნო მიხა ჩოდრიშვილისა. ის იყო ცენტრი ყველა ჩვენი ამხანაგების, საიდანაც ვღებულობდით ყველა რჩევა-დარიგებას, სხვა და სხვა მონდობილობას, აგიტატორ-პროპაგანდიულ ძალებსაც, ერთი სიტყვით ის იყო ჩვენი სახლი და ბუდე. რეაქციის შემდეგ ე. ი 1906 წ. რამოდენიმე ამხანაგის ინიციატორობით მოვაწყვეთ უმუშევართა ბიურო. იმ ბიუროს დაიწყო მოთხოვნა ქალაქის თვითმმართველობიდან სამუშაოსი. უკანასკნელად იძულებული გახდნენ, რომ მოეცათ ჩვენთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაო ქალაქის მცხოვრებთა აღსაწერათ. ამ დროს ჩვენ მოვაწყვეთ წრეები და იარჩიეკები. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ მე-2 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, სადაც ჩვენც ვღებულობდით მონაწილეობას, მე გამაგზავნეს სამეგრელოში არჩევნების ჩასატარებლათ; არჩევნების შემდეგ მე დავრჩი სენაკის მაზრაში, მოვაწყვე იქ წრეები და იარჩიეკები და დავიწყეთ აქტიური მუშაობა. ეშმაობდი მე მაშინ სხვისი პასპორტით, მეძახდნენ ივანეს (გვარი არ მახსოვს). თუმცა იყო ძლიერი რეაქცია, მაგრამ მუშაობა მაინც ცოცხლათ მიდიოდა, მიუხედავათ იმისა, რომ ცუდ პირობებში ვიყავით უფულობის გამო. სულ ხშირად გვიხდებოდა 10—15 ვერსის ფეხით სიარული. ხშირად ფეხშიშველი და მშიერი ვიყავით და ყოველ მინუტში მოველოდით დატუსაღებას. არ დაგვიტოვებია არც ერთი სოფელი შემოუვლელი და ვაწყობდით ყოველგან ორგანიზაციას. ჩვენთან კიდევ მუშაობდა ამხ. დიმიტრი კალანდაძე; (მაშინ ბოლშევიკი იყო, ეხლა არ ვიცი სად არის) 1907 წლის. დასაწყისში ადგილობრივმა პოლიციამ დაგვიწყო დიდი თვალყურის დევნება და ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეტოვებია ყველაფერი და წასულიყავით სოხუმში; იქ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ამხანაგების გაცნობა, რომ დაგვიწყეს თვალ-ყურის დევნება, მაგრამ ამ დროს გამოგვიჩნდა ერთი შეხედე (რომლის გვარი არ მახსოვს) და შეგვინახა ფარულათ 12 დღე და ღამე მის ოჯახში. შემდეგ გავემგზავრეთ ნოვოროსიაში, იქიდან კი ოდესაში, სადაც დავიჭირეთ კავშირი ორგანიზაციასთან და დავიწყეთ მუშაობა პორტის მუშებში; ეს იყო ოდესის პოგრომის შემდეგ. იქ მაშინ იყო გამეფებული გრაფი კოკოვცევი—„შავი კავშირის“ და პოგრომის ორგანიზატორი, მისი თანამშრომლები იყო ეიღაც პავლენოვი; და ამ იმათი წყალობით ყველა ძველი პარტიის მუშები დარჩნენ უმუშევრათ და ნამეტანი გაჭირვებაში ჩავარდნენ. კავკასიელებს უნდოდათ წამოსვლა ოდესიდან, მაგრამ უკაპეიკოთ იყვნენ დარჩენილნი... მაშინ მე დავიწყე ორგანიზაციული მუშაობა ამ უმუშევართა შორის, მოვაწყე წრეები, დავიჭირე კავშირი ამხ. ნიკო კიწნაძესთან (ყოფილი მზარეული) და ამირჩიეს პორტის მუშების წარმომადგენლად. იქ მე გავეცანი ამხ. კოლია კალანდაძეს. თუმცა ის არ იყო მაშინ ბოლშევიკი, მაგრამ მარქსისტულად კარგი მომზადებული იყო და შეიძლებოდა მასთან პარტიული მუშაობა. მაგრამ მან ჩქარა დასტოვა ოდესა და წავიდა. იქ კიდევ გავეცანი ამხ. ა. შუხრაშვილს, რომელსაც არ ქონდა არავითარი წარმოდგენა რევოლიუციონურ მოძრაობაზე, მაგრამ როდესაც დაიწო ჩემთან ცხოვრება, ის დაინტერესდა, დაიწყო მეცადინეობა და ჩქარა გაეცნო მას. შემდეგ მე გამომიძახეს კერჩის ამხანაგებმა სამხედრო ნაწილებში სამუშევართ. ვინაიდან აქ საშიში იყო ჩემი დარჩენა, მე გავემგზავრე ქალაქ კერჩში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ მე დავიწყე ნავთსადგურის მუშებში მუშაობა და სწრაფად ნაწილშიც. აქაც მუშაობა მიდიოდა ცოცხლად და ინტენსიურად. იქ დავრჩი დიდხანს, მხოლოდ მოულოდნელად ამხანაგების საქმეზე მე მომიხდა ბათუმში წამოსვლა. როდესაც შევასრულე ჩემი დავალებანი, წამოველი ტფილისში. აქ ძველი ამხანაგები არ დამხვდნენ, ვინაიდან ზოგნი გადაესახლებიათ და ზოგნი გასულიყვნენ ქალაქიდან, მაგრამ მე მაინც შევძელი პარტიასთან კავშირის დაჭერა, თუმცა მაშინ აქტიური მუშაობა ტფილისში არ ყოფილა. ეს იყო 1910 წელში... ამავე დროს მომიხდა დაქორწინება და, როდესაც ჩავარდი კრიტიკულ პირობებში, არ მქონდა არავითარი ცხოვრების საშუალება და დავიწყე კერძო გაკვეთილებზედ მეცადინეობა: მე მთელი ჩემი ცხოვრებაში არ მქონდა საშუალება, რომ დავმდგარიყავ მუდმივ სამსახურში 1920 წლამდე. თუ ვეწეოდი პარტიულ მუშაობას ან და ვმაცადინეობდი კერძო გაკვეთილებზე, ვცხოვრობდი სხვის გვარზე. 1912 წელში არა-ლეგალური ბრუშურებისთვის ვიყავ დატუსაღებული, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამანთავისუფლეს „ნადზორის“ ქვეშ, და საქმე იყო გადაცემული სასამართლოზედ, მხოლოდ შემდეგ მანიფესტის ძალით გამანთავისუფლეს სავსებით... თებერვლის რევოლიუციამ მომისწრო ტფილისში, სადაც ბოლშევიკები და მენშევიკები მაშინ ერთად ვმუშაობდით 1917 წლის ივნისამდე; მაშინ კი, როდესაც სამუდამოთ გამოვეყავით მენშევიკებს ჩვენ დავაარსეთ ჩვენი რაიკომები და ტფ. კომიტეტი. იქიდან დაწყებული მე განუწყვეტლივ ვმუშაობდი მე-2 რაიონში, პირველად პროზიდიუმის წევრად და შემდეგ მე-2 რაიონის საბჭოს თავჯდომარეთ (მაშინ ეგრე ეძახდნენ). ამიერ-კავკასიის სეიმის კრების წინა დღეს მე-2 რაიკომმა მიიღო ცნობა ტფილისის კომიტეტიდან, რომ მეორე დღეს დილის 10 საათზე ალექსანდროვის ბაღში შესდგება გრანდიოზული მშვიდობიანი მიტინგი, სადაც იქნება გამოტანილი სეიმის „პროტესტი“. ჩვენ იმ ღამესვე მოვაწყეთ გაფართოებული რაიკომის სხდომა, სადაც დავადგინეთ, რომ დილით 8 საათიდან ჩამოვეველო ყველა თუთუნის ფაბრიკები, ქარხნები და სახელოსნოები, რომელიც არსებობდა მე-2 რაიკომის ფარგლებში და გაგვეფრთხილებია მუშები. მეორე დღეს დილით ადრე მე და ამხ. მიროტაძემ, გოკიერიძემ და სხვებმა შეუდგით ქარხნების და ფაბრიკების ჩამოვლას, ყოველგან ჩვენი ახსნა-განმარტების შემდეგ კარგად გვხდებოდენ მუშები. სტოვებდნენ სამუშაოს და მოეშურებოდნენ მიტინგისაკენ. მხოლოდ ენგიდიანცის თუთუნის ფაბრიკაში კი გაგვიწიეს წინააღმდეგობა მენშევიკმა მუშებმა, მაგრამ მაინც შევძელით რამოდენიმე მუშა გამოგვეხლიტა ხელიდან და წამოგვეყვანა მიტინგზე: შემდეგ თუ რა მოხდა იქ ალექსანდროვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღში მიტინგზე, ეს ყველასათვის ნათელი არის და ზედმეტად მიმაჩნია ლაპარაკი...

1918 წლიდან ვიყავი მუდამ ტფილისის კომიტეტის წევრი და ხანდისხან ბიუროს წევრიც. ჩემთან აქტიურად მე-2 რაიონში მუდმივათ მუშაობდნენ შემდეგი ამხანაგები: მ. ჩოდრიშვილი, სტეფანოვი, ვარდანიანი, ს. თალაკვაძე, ერმილე კალანდაძე, ლ. მიროტაძე და ბოლოს 1919 წ. ცოტა ხნით კი ლ. სუხიშვილი. ტფილისის კომიტეტში მუშაობდნენ: ს. შახსავარიანი, გ. რთველაძე, ი. ჯორბენაძე, ლ. დუმბაძე, რუბენი, მაშკევიჩი, სალავიანი და სხვ. 1920 წ. ნოემბრის რიცხვში რუს საბჭოს შენობაში, სადაც იყო მოთავსებული ტფილ. კომიტეტი და რაიკომები, იყო მოწვეული ტფილისის ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ ცეკამ მე გამგზავნა ადერბეიჯანის მისიაში მოლარეთ, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ დამატუსაღეს და პირველად ვიჯექი ქუთაისის ციხეში, შემდეგ კი ბათუმში საქართველოს გასაბჭოებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ცხაკაია

„26"-ის ხსოვნას

(5 წლის თავზე)

უკვე ხუთი წლის თავია, მე კი მგონია, რომ ეს იყო სულ ახლო წარსულში, ასე ვსთქვათ, შარშან... როდესაც მე „ბაკინსკი რაბოჩისაგან" ერთი კვირის წინად მივიღე დეპეშა, რომელშიაც იგი მთხოვდა დამეწერა რამე 5 წლის თავისათვის „26 კომუნარის" შესახებ და გამეგზავნა არა უგვიანეს 16 სექტემბრისა. მე მომაგონდა დაწყევლილი ღამე, 19—20 სექტემბერი, მაგრამ არ მეგონა, რომ ეს იყო 5 წლის წინად, არამედ შარშან... მე ვერ შეუსრულე თხოვნა ბაქოელებს, რადგან დატვირთული ვიყავი საქმეებით დღემდის (18 სექტემბრამდე). მინდა ტფილისის პრესისათვის მაინც მოვასწრო რამე საჩქაროთ და მოვიგონო დაუვიწყარ მეგობრების და ამხანაგ-თანამებრძოლების შესახებ.

1918 წელი იყო საბჭოთა ქვეყანაში მრავალ ამბების და გართულებათა წელიწადი. საბჭოთა ქვეყანა მაშინ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პეტროგრად-მოსკოვის რაიონებით. ერთი სიტყვით, მიუხედავათ „ბრესტისა", ასე ვსთქვათ, რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების თავები—პეტროგრადი-მოსკოვი გადარჩენ და ენერგიულად აწარმოებდენ საერთაშორისო პოლიტიკას და ბრძოლას დიდი სამოქალაქო ომის (პროლეტაოული რევოლიუციის) შინაურ ფრონტებზე.

უკრაინა ჩაბმული იყო ბრძოლაში კონტრ-რევოლიუციონერებთან, რომელთაც დახმარებას უწევდენ შერყეულ ტახტზე ჯერ კიდევ მჯდომარე (1918 წ. 9 ნოემბრამდე) კაიზერის გერმანული ჯარები. „წყნარ დონზე" და „თავისუფალ ყუბანში" თარეშობდენ კორნილოვალექსეევის და კრასნოვის ჯარები. მხოლოდ „ჭაღარა თერგი" (ჩრდილო კავკასია), სრულიად გასაბჭოებული, რომელიც გეოგრაფიულად მჭიდროთ აკრავს ამიერ კავკასიას (ყაზბეგის იქით), სრულიად მოწყვეტილი და განცალკევებული იყო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

კაიზერის ჯარები კი სულთანის ოსმალეთის ჯარებთან ერთად მიიწევდენ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და გვიახლოვდებოდენ ჩვენ.

ბაქოში, ისე, როგორც თერგის ოლქში იყო „საბჭოთა ძალაუფლება".

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსავატისტები მენშევიკებთან—ჟორდანია-რამიშვილთან ერთად ამზადებდენ მუხანათურ თავდასხმას ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოებზე. ისინი ოსმალო-გერმანელების შემოსვლის მოლოდინში, აბარებდენ რა ამ უკანასკნელებს „მიუდგომელ“ ქალაქებს—ყარსს და ბათომს, აწყობდენ „დიკაია დივიზიას“ აზერბეიჯანის და საქართველოს შეიარაღებულ ბანდებისაგან, ქართველ თავადის, პოლკოვნიკ მაღალოვის მეთაურობით სადგ. ევლახში.

ეს პოლკოვნიკი შემდეგ ბ-ნ. ჩხენკელი—ჟორდანიას და რასულ-ზადე-თოფჩიბაშევის კონტრ-რევოლიუციონურ სამშობლოსდაცვისათვის თვის ბაქოს ბოლშევიკურ საბჭოებისაგან დაჯილდოვებული იქნა-ბატონ ჟორდანიას მიერ გენერლის ჩინით.

მათ მოუსწრეს მენშევიკ-მუსავატისტების მეგობრებმაც-„გერმანელებმა“ და თათრებმა და თავისუფლად როგორც თავის მიწაწყალზე, 24 საათის განმავლობაში გაიარეს მთელ ამიერ-კავკასიის რკინის-გზა. მათ უმანსპინძლდებოდენ მენშევიკები და მუსავატისტები ბათომიდან მოყოლებული ბაქომდე.

ყოველ მხრიდან გარსშემორტყმული, 1918 წლ. იელის და აგვისტოს გახურებულ დღეებში, ბაქო, რომელსაც არ შეეძლო მიეღო დახმარება ჩრდილოეთიდან, მოკლებული წყალსაც კი ადგილობრივ მენშევიკების და მემარჯვენე ესერების მიერ შექმნილ პანიკურ განწყობილების ზეგავლენით, (ესერებს და მენშევიკებს შეუერთდენ მანამდე ბაქოს საბჭოს „ცრუ მეგობრები“—დაშნაკელები), იძულებული გახდა მიეღო მეფის გენერლის,—მესოპოტამიაზე და სპარსეთზე ბაქოში მომავალი ინგლისელების აგენტის, მემარჯვენე ესერის ბიჩერახოვის წინადადება. ბაქოზე მოტანილ უკანასკნელ იერიშამდე, ძალა-უფლება ბოლშევიკებისაგან საბჭოში გადაეიდა მენშევიკების და მემარჯვენე ესერების—ეგრედ წოდებულ „ცენტრო-კასპიის დიქტატურის“ ხელში. ბაქოს დაცემის საქმე ამით უკვე წინასწარ იქნა მომზადებული. თუმცა ჩრდილოეთიდან დახმარება უკვე მიიღეს, მაგრამ უკვე საბჭოთა ხელისუფლების მტრების „ცენტრო-კასპიის დიქტატურის“ ხელში იყო ბაქო და, რა თქმა უნდა, მენშევიკების და მემარჯვენე ესერების ხელისუფლებას არ შეეძლო არ ჩაებარებია მუშური საბჭოთა ცენტრი ზაფხულის სიცხის და ბოლშევიკებთან ხანგრძლივი და გაფიტრებული ბრძოლისაგან გონება-დაკარგულ ოსმალებისათვის.

მაგრამ აქ საინტერესოა ბაქოს მუშების და მათი საბჭოს ტრაღედიის მეორე მხარე... უკანასკნელის ნამდვილი წინამძღოლები—ჩვენი „26“ კომუნარი ძველი ბოლშევიკები—დაუვიწყარ მეგობრების შაუმიანის, ჯაფარიძის, ფიალეტოვის და სხვების მეთაურობით მენშევიკების და მემარჯვენე ესერების წყალობით ხელში ჩაუვარდენ ინგლისელებს, ამიერ-კავკასიის მაშინდელ დამპყრობელების ოსმალო-გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმანელების—მოწინააღმდეგეთ. და იმათ, ორივე მებრძოლ მხარეს-თვის საერთო ინტერესების მიხედვით, კონტრ-რევოლიუციონური მიზნით, რათა დაეღრჩოთ პოლშევიზმი და საბჭოთა ხელისუფლება, სწრაფად მოუსპეს კომუნარებს სიცოცხლე 1918 წ. 19—20 სექტემბერს ღამით „ქასპიის იქით“ მიყრუებულ მინდორში. „შორს მჭერეტელი“ და მუხანათი ინგლისელი გენერლები და მოხელეები მხედველობაში იღებდენ, რომ ისეთი მებრძოლები, როგორც „26“ კომუნარი, მათ მომავალ ინტერვენციის დროს საბჭოთა რუსეთში იქნებიან გამოცდილი წინამძღოლები და კომისრები დიდი სამოქალაქო ომის (წაიკითხე: პროლეტარულ რევოლიუციის საბრძოლველ ფრონტებზე).

„26“ კომუნარიდან შემიძლია კონკრეტიულად მოვიგონო დაახლოვებით 5—6 ამხანაგი, რომელთაც ბაქოს უკანასკნელ ტრაღედიამდე 1918 წ. უხდებოდათ ჩემთან ერთად მუშაობა და ბრძოლა ბაქოს, ტფილისსა და პეტროგრადში და აგრეთვე საზღვარ-გარეთ რუს. სოც-დემ. მუშ. პარტიის არა-ლეგალურ ყრილობაზე.

მაგრამ, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მათ შესახებ ვრცელ მოგონებებს მე გადავდებ უკეთეს მერმისისათვის, როდესაც მე ვიშოვი უფრო მეტ თავისუფალ დროს და ჩემი ჯანმრთელობაც ცოტაოდნათ გამოკეთდება.

ეს დაუვიწყარი ამხანაგებია—**სტეფანე შაუმიანი, ა. ჯაფარიძე (ალიოშა), ვანია ფიალეტოვი, გრიშა კორგანოვი, ბოგდანოვი** (სწორეთ ამ უკანასკნელს არ ვიცნობდი, თუმცა პირადათ ხშირად ვხედავდი მას საერთო რევოლიუციონურ ბრძოლის დროს).

დავიწყებ უკანასკნელიდან, მე ის გავიცანი ტფილისში 1917 წელს, მაისის დასაწყისში, როდესაც პეტროგრადის აპრილში მოწვეულ პარტიულ კონფერენციის შემდეგ როგორც ბაქოში, ისე ტფილისში ვაწარმოებდი გამოჯანსაღების შემთანხმებელთა და ჩვენს შორის.

ამხ. ბოგდანოვი იყო შეუდარებელი აგიტატორი ჯარისკაცებს შორის, ის დადიოდა არა მარტო ყაზარმებში და დიდ დემონსტრაციებზე, არამედ მაშინ ცნობილ (თითქმის ყოველდღიურ) მიტინგებზე ალექსანდრეს ბაღში, სადაც მაშინ ტრიბუნაც იყო ყველა ორატორებისათვის და სკამებიც მსმენელთათვის. იქ თავს იყრიდა, განსაკუთრებით საღამოობით, ჯარისკაცებს გარდა ყოველგვარი საზოგადოება, მათ რიცხვში ბევრი პროვოკატორებიც.

მასსები ელოდენ საბირბოროტო საკითხების გადაჭრას, როგორიც იყო მიწის საკითხი, ომი და ზავი და სხვა. მასიდანვე გადიოდენ ტრიბუნაზე მრავალი ორატორები. მიტინგები თითქმის თავისით იმართებოდა,—არ იყო არავითარი ხელმძღვანელი ორგანიზაციები.

ნამდვილად კი მას ხელმძღვანელობდა ნამდვილ რევოლიუციონერ ბოლშევიკის დიდი უნარით და ენტუზიაზმით დაჯილდოებული ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი (შედარებით ახალგაზრდა) ბოგდანოვი. ხშირად მასებს, საღამოობით გვიან, ბოგდანოვის უკანასკნელი გამოსელის შემდეგ, როდესაც ის იძულებდა ნათელს, რევოლიუციონურად და ბოლშევიკურად ჩამოყალიბებულ პასუხს, ის ხელით მიჰყავდათ ბოლშევიკური გაზეთის „კავკასიკი რაბოჩის" რედაქციამდე. სადაც ხელახლა იხსნებოდა ახალი მიტინგი ჩვენი მონაწილეობით და ნაშუადამევს დამთავრებოდა ხოლმე კიდევ ახალი რეზოლიუციის მიღებით.

დაუვიწყარი ამხანაგია გრიშა კორგანოვი. იძულებითი ოფიცერი რუსეთის არმიის,—პროპაგანდისტი, აგიტატორი და იმპერიალისტურ ომის ფრონტებზე ბოლშევიკურ იაჩეიკების ორგანიზატორი. ისიც აგრეთვე ტფილისში გაეცანი 1917 წ. მაისში, როდესაც მიწვეული ვიყავი მის და სხვა ამხანაგების მიერ აღმოსავლეთის (კავკასის) ფრონტის ჯარისკაცთა დელეგატების 1 ყრილობაზე—ლექციების წასაკითხავად მარქსიზმის, რევოლიუციის, ომის, ხალის და ჩვენი პროგრამის შესახებ,—რაც მე შევასრულე 5—6 ლექციაში, ამავე დროს მუდმივად ვმუშაობდი ტფილისში, მოცალება არ მქონდა, ხან ერთ ბათალიონში და ხან მეორეში მიხდებოდა სიარული.

თითეული ჩემი ლექციის და მრავალ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, ყოველთვის გამოდიოდა მშვენიერი ორატორი გრიშა და უკეთებდა რეზიუმეს ყველაფერ იმას, რაც ჯარის-კაცთა მასას აინტერესებდა, მაძლევდა მე კიდევ უფრო ღრმა და კონკრეტიულ კითხვებს...

რამდენიმე თვის შემდეგ მან მოახერხა მთელი კავკასიის ფრონტის ბოლშევიკ-დელეგატების კონფერენციის მოწვევა მუშტაიდის ბაღში... იქ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და გამოვიტანეთ ჯარისკაცთა მასებისათვის გასაგები, წითელი, რევოლიუციონური რეზოლიუციები „საბჭოთა ხელისუფლების" სასარგებლოთ.

დაუვიწყარი ამხანაგი ვანია ფიალეტოვი... ის იყო ბაქოელი მუშა. ისიც გავიცანი 1917 წლის მაისის პირველ (1—5) რიცხვებში ბაქოში—პირველად საქალაქო კონფერენციაზე და ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე. უფრო ახლოს იმავე დღეს მე გავიცანი ის ბაქოს პასუხისმგებელ ამხანაგების შაუმიანის, ჯაფარიძის, ნანეიშვილის (მის ბინაზე) და სხვების ვიწრო წრეში. აქ მე დავაყენე კითხვა აპრილის კონფერენციის ყველა რეზოლიუციების მიღების და მენშევიკებთან მაშინ შემთანხმებელ (კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან) სოციალიზმის და რევოლიუციის მოღალატეებთან დაუყოვნებლივ პარტიულ და ორგანიზაციულად გამიჯვნის შესახებ.

ამბ. ვანიამ ჩვენს უკანასკნელ კრებაზე გამოსთქვა დასაბეჭდებული აზრი მენშევიკებთან (ორგანიზაციულად) დაუყონებლივ გამოჯვნის სასარგებლოდ, რათა მიგვემხრო ის მასები, რომელნიც მათ (მენშევიკებს) მისდევდენ.

ჩემი პასუხი, რომ მუშათა მოძრაობის ისეთ მნიშვნელოვან ცენტრში, როგორიც არის ბაქო, სასწრაფოდ ბოლშევიკური ორგანიზაციის თვითგამორკვევისათვის არ არის საჭირო დაწვრილმანება, არ მოეწონა ამხ. ბოლშევიკს... ეს ჩემი სიტყვები მიმართული იყო არა მარტო მისადმი არამედ სხვებისათვისაც, რომელნიც ანალოგიურად აწარმოებდენ.

ამხ. ფიალეტოვმა შეურაცყოფილად იგრძნო თავი, უარი სთქვა სიტყვის თქმაზე, და განაცხადა: ჩვენ ბრალს გვდებენ „დაწვრილმანებაში“, მაშასადამე, ჩვენ ან ვერ გაგვიგეს, ან მართლაც საჭირო აჩქარება... და ამის შემდეგ საწინააღმდეგო არაფერი აღარ უთქვამს და ჩვენთან ერთად ხმა მისცა დაუყონებლივ გამოჯვნას და ბაქოში ბოლშევიკურ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ამხ. ალიოშა ჯაფარიძე და სტ. შაუმიანი—მათი ერთმანეთისაგან დაშორება ძნელია. ბაქოში მუშაობის დროს ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი 1905 წლის რევოლიუციის დროიდან. ისინი ერთად ატარებდენ მუშაობას სომხიმეს მუშათა დიდ ცენტრში 1907 წლიდან, ლონდონის უკანასკნელ ყრილობიდან მრყოლებული, რეაქციის მთელ პერიოდში 1917 წლამდე და შემდეგ მათი ტრაილიკულად დაღუპვის მომენტამდე 1918 წ. 19—20 სექტემბრამდე. მართალია, ალიოშა ჯაფარიძე კიდევ უფრო ძველი მუშაკია ბაქოში. —1904 წლიდან ამხ. სტეფანე 1907 წლამდე მუშაობდა ტფილისში. ბაქოში მე და ის რამდენიმე დღით ჩავდიოდით პარტიის სასწრაფო საქმეებზე (როგორც ამიერ კავკასიის საოლქო ყრილობა) ან ადგილობრივ საქმეებზე, როგორც ამიერ-კავკასიის სოც.-დემ მუშათა ორგანიზაციის საკავშირო კომიტეტის წევრები.

პირველათ მე გავიცანი ამხ. ალიოშა ჯაფარიძე 1902 წელს შემოდგომაზე, როდესაც მე ამა წლის შემოდგომაზე რუსეთის ციხეების ეკატერინოსლავის, ხარკოვის და მოსკოვის საკანებში ჯდომის შემდეგ ვიმყოფებოდი რუსეთის ჟანდარმერიის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ.

ყველა ძველი და ახალ ამხანაგებიდან ირჩეოდა, როგორც ყველაზე რევოლიუციონერი—აქტიური, ენერგიული და თავდადებული მაშინ ახალგაზრდა ალიოშა ჯაფარიძე. მისი დახმარებით მე მოვახერხე ქუთაისში პარტიული ორგანიზაციის (იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის) დაარსება და გურიის, რაჭის, სამეგრელოს სოფლებში და, რაც უმთავრესია, იმერეთის სამრეწველო ცენტრებში—ჰიაოთურატყიბულში მუშაობის დაწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოში ის მოხვდა 1 ნახ.—2 წლის შემდეგ, უკვე გამოცდილი და მომწიფებული მუშაკი, როგორიც საჭირო იყო ამ მუშაობა დიდი ცენტრისათვის. იქ დამოუკიდებლად, ჩემ დაუხმარებლად მან გამოიჩინა თავი: მიეპყრო რა რუს. სოც.-დემ. მუშაობა პარტიის ბოლშევიკურ მიმდინარეობას, მან მოახერხა თავისი ტაქტიკით და უსაზღვრო თავდადებით შეეკავებია მასები მენშევიკების მხარეზე გადასვლისაგან, განსაკუთრებით 1907—1916 წლის რეაქციის და ომის წლებში.

შემდეგ 1907 წლიდან მის დასახმარებლად ჩავიდა ბაქოში ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი სტეფანე შაუმიანი... და ორივე, ალიოშა და სტეფანე, როგორც საპალნის ხარები ატარებდენ პარტიულ არაღვაღურ მუშაობის მთელ სიმძიმეს არა მარტო მეფის აგენტებთან, არამედ მოღალატე—მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ბრძოლის დროს. ბევრჯერ მოუხდათ მათ ციხეებში ჯდომა და ყინულიან შორეულ რიდილოეთში და ციმბირში წასვლა. მიუხედავათ ამისა, მათ მოაღწიეს 1917 წლის რევოლიუციამდე კრისტალურად წმინდა რევოლიუციონერებმა და შეუპოვარმა ბოლშევიკებმა. სასოწარკვეთილების და ლიკვიდატორობის ნაპერწკალი არ შეხებია ამიერ-კავკასიის რევოლიუციის ამ „მებრძოლ რაშებს". ისინი გადაურჩენ ომშიაც და ომამდეც სოციალ-პატრიოტიზმის, „ობორონჩესტვოს" და ბატონ ჟორდანია-წერეთლის და დაშნაკ-მუსავატისტების ყოველგვარ ნაციონალიზმს და შოვინიზმს. ისინი შეურიგებლად ებრძოდენ მათ.

აი, სწორედ ამიტომ 1917 წ. მაისში, აპრილის კონფერენციის შემდეგ ისინი დამეთანხმენ მე და მხარი დაუჭირეს სოციალიზმის რენეგატებთან მენშევიკებთან დაუყოვნებლივ გამიჯვნას.

დეე, ნუ იქნება დავიწყებული მათი სახელები! ისე, როგორც დაუვიწყარი მხნანაგები ვანია ფიალეტოვი, გრიშა კორგანოვი და შეუდარებელი აგიტატორი და ჯარისკაცთა მასსების ორგანიზატორი ბოგდანოვი ჩვენს პროლეტარულ გულში, ამიერ-კავკასიის ამხანაგო მუშებო და გლეხებო!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ს. ს. რ. კავშირში და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკაში ბევრ რამეში უნდა უმადლოდეს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოში ის მოხვდა 1 ნახ.—2 წლის შემდეგ, უკვე გამოცდილი და მომწიფებული მუშაკი, როგორიც საჭირო იყო ამ მუშათა დიდი ცენტრისათვის. იქ დამოუკიდებლად, ჩემ დაუხმარებლად მან გამოიჩინა თავი: მიემხრო რა რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ბოლშევიკურ მიმდინარეობას, მან მოახერხა თავისი ტაქტიკით და უსაზღვრო თავდადებით შეეკავებია მასები მენშევიკების მხარეზე გადასვლისაგან, განსაკუთრებით 1907—1916 წლის რეაქციის და ომის წლებში.

შემდეგ 1907 წლიდან მის დასახმარებლად ჩავიდა ბაქოში ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი სტეფანე შაუმიანი... და ორივე, ალიონმა და სტეფანე, როგორც საპალნის ხარები ატარებდენ პარტიულ არაღვალურ მუშაობის მთელ სიმძიმეს არა მარტო მეფის აგენტებთან, არამედ მოღალატე—მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ბრძოლის დროს. ბევრჯერ მოუხდათ მათ ციხეებში ჯდომა და ყინულიან შორეულ რდილოეთში და ციმბირში წასვლა. მიუხედავათ ამისა, მათ მოაღწიეს 1917 წლის რევოლიუციამდე კრისტალურად წმინდა რევოლიუციონერებმა და შეუპოვარმა ბოლშევიკებმა. სასოწარკვეთილების და ლიკვიდატორობის ნაპერწკალი არ შეხებია ამიერ-კავკასიის რევოლიუციის ამ „მებრძოლ რაშებს". ისინი გადაურჩენ ომშიაც და ომამდეც სოციალ-პატრიოტიზმის, „ობორონჩესტვოს" და ბატონ ჯორდანია-წერეთლის და დაშნაკ-მუსავატისტების ყოველგვარ ნაციონალიზმს და შოვინიზმს. ისინი შეურიგებლად ებრძოდენ მათ.

აი, სწორედ ამიტომ 1917 წ. მაისში, აპრილის კონფერენციის შემდეგ ისინი დამეთანხმენ მე და მხარი დაუჭირეს სოციალიზმის რენეგატებთან მენშევიკებთან დაუყოვნებლივ გამიჯვნას.

დეე, ნუ იქნება დავიწყებული მათი სახელები ისე, როგორც დაუვიწყარი მნხანაგები ვანია ფიალეტოვი, გრიშა კორგანოვი და შეუდარებელი აგიტატორი და ჯარისკაცთა მასსების ორგანიზატორი ბოგდანოვი ჩვენს პროლეტარულ გულში, ამიერ-კავკასიის ამხანაგო შუშებო და გლეხებო!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ს. ს. რ. კავშირში და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკაში ბევრ რამეში უნდა უმადლოდეს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თოდრია

ალიონიდან გათენებამდე

პირადი მოგონებები.

(გაგრძელება)

ეს სტამბა ბაჭოშივე ჰქონდა გამართული ლადო კეცხოველს. ის დაიჭირეს 1902 წ. სექტემბერში და სტამბის მუშაობა ამის გამო შეჩერებული იყო. ყუთებში ჩალაგებული ეწყო ის დამზღვევი საზოგადოების საწყობებში ზღვის პირას.

სიმონ ენუქიძეს დაექირავებია სამი ოთახი ქვემო ტაზამპირის ქუჩაზე, დადაშევის სახლში. სახლის პატრონი უსწავლელი კაცი იყო. ის დავაჯერეთ, რომ სტამბის ცხაურათ გამართვისთვის საჭირო იყო პატენთი, რაც მეტათ ძვირი ღირდა. ჩვენ კი იმდენი შეძლება არ გვქონდა თითქოს და ამიტომ ჯერ ცოტას წავიმუშავებდით ჩუმათ და როდესაც ფულებს მოვიგებდით, მაშინ პატენთსაც ავიღებდით. თან მას კარგ ქირას—ოც მანეთს თვეში—ვაძლევდით მის ოთახებში, რომლების ქირა იმ დროს არა უმეტეს ათი მანეთისა იქნებოდა. დადაშევი დავგთანხმდა და ჩვენ ჩასვლის მესამე დღესვე შეუდექით ყუთების გადმოტანას. სიმონა და ვასილ შელგუნოვი (შემდეგ დაბრმავდა და მოსკოვში იმყოფება ეხლა), როგორც საუკეთესო ზეინკლები და მე, როგორც სტამბის მცოდნე, დავფაცურდით და რამდენიმე დღეში ავამუშავეთ სტამბა. არამც თუ არალეგალურ, ზოგიერთ მაშინდელ ლეგალურ სტამბასაც არ ჩამოუვარდებოდა ეს ჩვენი გამართული სტამბა. ალბომის ქაღალდის ზომის საბეჭდავი მანქანა, სამ ენაზე (ქართულზე, რუსულზე და სომხურზე) ასოები და სხვა მასალები საკმაოთ იყო შიგ. თუ რამე დაგვაკლდებოდა, კაეშირი გვქონდა გამბეული სიმონას მეშვეალეობით ერთ საწერი მასალების მაღაზიის პატრონთან, რომელიც ყიდულობდა ყველაფერს და გვაწვდიდა.

სტამბის გამართვის შემდეგ შელგუნოვი წაიყვანეს ჩვენგან. რამდენიმე ხანს მე და ს. ენუქიძე ვიყავით მარტონი, მაგრამ ჩქარა ვანო ბოლქვაძე ჩამოვიდა ტფილისიდან, რომელიც წინეთ მუშაობდა სტამბაში ლადო კეცხოველთან ერთად.

1902 წლის დეკემბრის დასაწყისში მუშაობა გაჩაღდა. გარედან სიმონა გვიწყობდა ხელს, რომელიც დაკავშირებული იყო კრასინთან

და კოზირენკოსთან, ეს უკანასკნელები კი მეორე ყრილობის შემკრებ საორგანიზაციო ბიუროსთან, რომელიც იმ ხანებში იყო შექმნილი. ამნაირათ სტამბა პირველი დღიდანვე იმყოფებოდა ცენტრალური პარტიულ ჯგუფის განკარგულებაში მთლათ რუსეთის მასშტაბით, თუმცა მთლიანი პარტია ჯერ არც კი არსებობდა კიდევ.

რამდენათაც მახსოვს, პირველი მასალა, რომელიც ავაწყე მე, იყო „ობობას ქსელი". შემდეგ მოჰყვა ყრილობის შემკრებ ბიუროს მოწოდება და „ისკრას" და „ზარიას" მიერ შემუშავებული „პროექტი რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის პროგრამისა" პლეხანოვის ვრცელი წინასიტყვაობით.

ჩქარა უთანხმოება მოგვიხდა მე და ვანოს ს. ენუქიძესთან. საქმე შემდეგში იყო: 1902 წლის ნოემბერში როსტოვში დიდი გაფიცვები და დემონსტრაციები მოხდა, რამაც რამდენიმე ათეული მუშა იმსხვერპლა. როსტოვის ამბები იმდენათ თვალსაჩინო მოვლენა იყო, რომ მთავრობამ ვეღარ შესძლო მისი დამალვა და მაშინდელი ლიბერალური გაზეთები დაწვრილებით აღწერდენ მას. საზღვარ გარეთელ პარტიის ცენტრალურ ორგანო „ისკრაშიდაც" იყო მოთავსებული რამდენიმე ნაჩქარევათ გაგზავნილი კორესპონდენციები როსტოვიდან. აი, ეს კორესპონდენციები გამოგვეგზავნეს ჩვენ ასაწყობად და ცალკე ფურცლათ გამოსაშვებათ. მე და ვანოს არ მოგვეწონა კორესპონდენციების ცალკე გამოშვება, რადგან არაფერი იყო მათში ისეთი, რაც ლეგალურ გაზეთებს არ დაებეჭდოთ და ამის გამო გამოეთქვით უკმაყოფილება. ენუქიძეს კრასინისა და კოზირენკოსთვის გადაეცა გადაჭრებით ჩვენი გამოთქმული უკმაყოფილება, რამაც გამოიწვია მოულოდნელათ კოზირენკოს მოსვლა ჩვენთან სტამბაში საქმის გამოსარკვევათ. ამ გარემოებამ საქმე კიდევ უფრო გაამწვავა და მე და ვანო „გევიფიცეთ". დავტოვეთ მუშაობა და წვამოვედით ტფილისში. აქედან ადგილობრივმა ორგანიზაციამ ბაქოში გაგზავნა სილ. ჯიბლაძე საქმის გამოსარკვევათ, რომლის ბაქოდან დაბრუნების შედეგი ის იყო, რომ მე გავბრუნდი უკანვე და ვანომ კი უარი გაგვიცხადა წასვლაზე. ამის შემდეგ სტამბაში მოვიდენ ლადო დუმბაძე, ვანო სტურუა და აშოტ ხუმარიანი.

მუშაობა გაცხოველდა. გაგრძელდა ლადო კეცხოველის დაჭერის შემდეგ შეწყვეტილი ჟურნალი „ბრძოლის" გამოშვება, იგივე სომხურ ენაზე „კრივის" სახელწოდებით, გადავბეჭდეთ კაუცკის „ერფურტის პროგრამა", „ოთხი ძმა", „ლუკა პურის ამბავი", „ისკრიდან" ამონაღები წერილები და სხვა ბროშიურები გამოუშვით. 1903 წლის სამაისო ფურცლები ოთხმოცი ათას ცალამდე, რაც იმ დროისთვის დიდი რიცხვი იყო.

სტამბაში ჩვენი ცხოვრება ამნაირათ მიმდინარეობდა: გარეთ

ენუქიძის მეტი არავინ გამოვდიოდით. მხოლოდ შაბათ საღამოს გვქონდა უფლება გამოსულიყო და ისიც რიგ რიგობით ორ ორ კაცს. ეს იყო ჩვენი დღესასწაული, რომელსაც კვირიდან კვირამდე მოველოდით. სადალაქოში, აბანოში და შემდეგ სავახშმოთ რომელიმე სასადილოში ამ დროს დავდიოდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველგან სიფრთხილის დაცვით. დანარჩენ დროს კი განუწყვეტლივ კარჩაკეტილში ვატარებდით სამუშაოზე. საჭმელსაც ჩვენ თითონ ვაკეთებდით, რაც თითქმის ერთ და იმავე თავიდან შესდგებოდა. ჩვენი სახლის პატრონმა გახსნა თავისთვის პატარა სავაჭრო დუქანი ქალაქის შუაგულში. საღამოობით როცა მოდიოდა სახლში, მოჰქონდა ჩვენთვის პური და ხორცი. შეჰამადის დამზადება ვანო სტურუას ჰქონდა მინდობილი. ისიც დასჭრიდა ხორცს, ჩაჭყრიდა ქვაბში, მოაყრიდა მარილს, ხახვს და ბადრიჯანს, დახურავდა თავს და დასდგამდა სანავთეზე მოსახარშათ,—რაც გამოვიდოდა ის იყო! ყოველთვის კი ერთი და იგივე გამოდიოდა. ხანდახან სახელს უცვლიდით ჩვენ საჭამადს შემთხვევის მიხედვით. ერთხელ სახლის პატრონის ახალ ფეხადგმულმა ქალიშვილმა, მაშადი-ხანუმმა, კინაღამ დაგვიღვარა შეჰამადი და თითონაც კინაღამ დაიმდულრა. ამ დღეს ჩვენ შეჰამადს დავარქვით სახელათ „მაშადი-ხანუმის შეჰამადი“. მეორეხელ იმავ ცელქმა ბავშმა ფანჯარიდან გადმოისროლა პატარა რკინის ნაჯახი, რომელმაც მოადინა ტყაპანი ქვაბში. ამ დღესაც ჩვენს შეჰამადს უწოდეთ „ნაჯახიანი შეჰამადი“. ხშირათ მარტო პურზე და ყურძენზე გადავდიოდით.

სტამბაში მუშაობა თანდათან გაცხოველდა. წიგნების საკინძავიც გავმართედ იქვე. დადგა ზაფხული. ბაქოში ჩვეულებრივი სიცხეები დაიწყო. თან ყრილობის შეკრების დროც მოახლოვდა. გადავსწყიტეთ ცოტა ხნით მუშაობის შეჩერება და დასასვენებლათ წასვლა.

მე ჩვეიპარე გურიაში ჩემ სოფელში, სადაც ვფიქრობდი ჩუმათ რამდენიმე დღის გატარებას. თურმე საჩუმათო აღარაფერი მჭონდა, რადგან ჩემი სალდათობიდან განთავისუფლების მოწმობა მოსულიყო სოფლის სამმართველოში. ვის მაგიერათაც მე ჩამრიცხეს სალდათათ, ალბათ ის იპოვნეს და მე კი გამანთავისუფლეს. რაღაი თავისუფლათ ვგრძნობდი თავს—ჭიათურაში ავედი, სადაც აღარ ეყოფილვარ 1896 თუ ჩვიდმეტი წლიდან. ჭიათურის წარმოებას დიდი წინსვლა ემჩნეოდა შედარებით წინანდელ წლებთან. აქედან ბათუმშიდაც ჩავედი. ამ დროს გაჩაღდა სამხრეთ რუსეთის დიდი გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლის ტალღებმა ბათუმამდისაც მოაღწიეს. ბათუმში გაიმართა მუშების დემონტრაცია იმ ადგილას, სადაც რკინის გზის ლიანდაგები იყოფიან,—ერთი მიდის სადგურში და მეორე ნავთსადგურისაკენ. ამ დემონსტრაციაში მომიხდა მონაწილეობის მიღება. სროლის

დროს მოკლული და დაჭრილი იქნენ რამდენიმე მუშა. მახსოვს მხოლოთ ერთი მოკლულის გვარი—ფირცხალაშვილი.

ჩემი შეებულების ვადაც გავიდა და დემონსტაციის მეორე თუ მესამე დღეს გამოვემგზავრე, მაგრამ მატარებელში შესვლის დროს მტაცეს ხელი ჟანდარმებმა და წამიყვანეს სამორიგეო ოთახში. გამოკითხვისა და ვინაობის გამორკვევის შემდეგ მიპირებდენ დაკავებას, მაგრამ იქვე ერთი რკინის გზის მოსამსახურე ნაცნობი გამომიჩნდა, მგონი იოსებ მეგრელიშვილი იყო, რომელმაც გამიწია თავდებობა და გააშვებინა ჟანდარმებს ჩემი თავი. მეორე დღეს იძულებული ვიყავი ბარცხანაში საქონლის სადგურზე ჩავმჯდარიყავი მატარებელში და ისე მომეკურცხლა ბათუმიდან.

როცა ბაქოში ჩამოვედი, ყრილობიდან უკვე დაბრუნებული იყო კრასინი. სტამბა ეხლა ახლათ არჩეული ცენტრალური კომიტეტის ხელში გადავიდა და საქმეები კიდევ უფრო გაფართოვდა. უნდა გვეფიქრა პარტიის ცენტრალური ორგანოს „ისკრის“ ბეჭდვაზე. ჩვენი საბეჭდავი მანქანა „ისკრის“ გვერდებს ვერ დაიტევდა. დაიბადა აზრი ახალი, უფრო დიდი მანქანის შეძენისა. ზემოხსენებული მაღაზიის პატრონის სახელზე გამოწერილი იქნა ახალი მანქანა და ჩამოსასხმელი სტერეოტიპიც, აგრეთვე წიგნაკების მაფთულით საკერავი მანქანა. ყველა ამაების ჩვენ ძველ ბინაზე მოწყობა შეუძლებელი იყო. სიმონა შეუდგა ბინის ძებნას და ჩქარა აღმოაჩინა კიდეც. მას ყავდა მიჩნეული ერთი მეეტლე, რომელიც მუდამ ატარებდა და მიქონ-მოქონდა წასაღები და მოსატანი რაც გვქონდა. ამ მეეტლემ დაგვითმო თავისი და თავის ბიძაშვილის შენობები პარალელის ქუჩაზე. შენობებს კონსპირატიულათ მოწყობა ესაჭიროებოდა, რის შესრულებაც იკისრა დურგალმა გოლამ (გვარი არ მახსოვს) და რაც არა ჩვეულებრივათ მოხერხებით გამართა. გრძელი თაღლა გადამტიხრა შუაზე. გვერდზე სახლის ოთახს კედელში დატანებული ჰქონდა განჯინა. ამ განჯინას გამოუჭრა ძირი, ქვეშ გამოუთხარა მიწა და განჯინას ძირი ისე მოაბა ქვემოდან, რომ როდესაც განჯინაში შევიდოდა კაცი და დადგებოდა, ძირი ჩაეშვებოდა ქვემოთ, კაცი გავიდოდა გადამტიხრულ თაღლაში, სადაც სტამბა იყო გამართული და განჯინის ძირი ისევ ამოტმასებოდა თავის ალაგას. ამნაირათ ოთახიდან კარების მიგნება შეუძლებელი იყო, რადგან განჯინის ძირი ისე მჭიდროთ იყო ამოკრული, რომ არავის ფიქრათ არ მოუვიდოდა, თუ ის იღებოდა ქვემოთ. თაღლის მეორე ნაწილში კი ცხენები ება და გადამტიხრულ კედელთან თივა ეწყო. თუ საგანგებოთ არ გაზომვიდენ თაღლის სიგრძეს შიგნიდან და გარედან, ისე ვერავინ იფიქრებდა, რომ იქ შენობის ნაწილი იყო მოპარული. სინათლე სტამბაში ჩამოდიოდა ზემოდან, რაც ბაქოს შენობებში ჩვეულებრივი მოვლენაა იქაური სახლის ბანების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნაირათ ბაქოში მოეწყო ორი დიდი სტამბა, მაგრამ ჩქარა გადაწყვეტილი იქნა, რომ ძველი სტამბა ტფილისში ყოფილიყო გადმოტანილი კავკასიის საკავშირო კომიტეტის განკარგულებაში. სტამბის გადმოტანა იკისრა ლადო დუმბაძემ, რაც პირნათლათ შეასრულა. ჩვენ გადავეცით ახალ სტამბაში და მოგვემატენ კიდევ იქ აბელი ენუქიძე, უშანგი ჯაში, ვარლამ (გვარი არ მახსოვს) და ერთი ებრაელი ამხანაგი ვილნოდან, სახელათ ვალოდია, რომელიც დიდხანს არ დარჩენილა. ახალ სტამბაში მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

პარტიის ყრილობაზე შექმნილი უთანხმოების ამბავი ჩვენამდის მოდიოდა. ყრილობის შესახებ მოხსენება გაგვიკეთა ამხ. ნოსკოვმა, რომელმაც იმ თავითვე მოგვნათლა ბოლშევიკური აიაზჰით.

დაიწყო იაპონიის ომი და ცხოვრება გაცხოველდა. ფურცლები ფურცლებზე გამოდიოდა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის დავბეჭდეთ პარვუსის წიგნაკი „აღმოსავლეთის საკითხი“, სადაც ის საოცარი გულთმისნობით წინასწარმეტყველობდა ყველაფერს, რაც შემდეგ მოხდა.

ომის პირველ ხანებში მე შევადგინე ერთი პროკლამაცია, რომელიც მიღებული და დაბეჭდილი იქნა Рабочий Сила-ს ხელმოწერით (ამის შემდეგ დამეთქვა სილა). ბევრი მხურვალე გრძნობა ჩაეანთხიე ამ პროკლამაციაში და კარგიც გამოვიდა, მაგრამ სამწუხაროთ არ მაქვს მისი არცერთი ცალი.

საზღვარგარეთიდან ვღებულობდით ჩემოდანის ძირში ჩაწებებულს „ისკრის“ სტერეოტიპისთვის გადაღებულ გვერდებს, ვასხამდით ჩვენს სტერეოტიპზე და ვბეჭდავდით ათი ათას ცალობით. რამდენიმე ნომრები დავბეჭდეთ და დავაგზავნეთ მთელ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში. სავსე კუთები ვაგზავნიდით „გუდრონის“, ან შინაური ბარგის სახელით.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და „ისკრის“ რედაქციაში მდგომარეობა თანდათან უფრო მწვავდებოდა. მოგვივიდა ლენინის წიგნაკი „ნაბიჯი წინ, ორი უკან“, „მოწოდება გლეხებისადმი“, რომლებიც გადავბეჭდეთ.

1904 წლის ივლისში მოკლეს შინაგან საქმეთა მინისტრი პლეველ. ბაქოში ამ დროს სტამბებში გაფიცვები იყო და გაზეთები არ გამოდიოდა. დეპეშა პლეველს მოკვლის შესახებ გადავბეჭდეთ ჩვენ და გავავრცელეთ ბაქოს კომიტეტის სახელით.

ჩვენ სტამბაში ამ ხანათ ცოტა უსიამოვნება შეგვემთხვა. სახლის პატრონმა, მეეტლის ბიძაშვილმა, უსინდისობა გამოიჩინა და ზედმეტი ფულების თხოვნა დაგვიწყო. ერთხანს ვაკმაყოფილეთ მისი მადა, მაგრამ როდესაც გადააჭარბა ზომას, წალაპარაკება მოგვიხდა მასთან. მანაც დაგვემუქრა, მაგრამ ჩვენც დავექადნეთ, რომ თუ რამე შეგვემთხვეოდა, ჩვენი ამხანაგები არც მას დააყრიდენ ხეირს. ამ

მუქარამ ალბათ იქონია გავლენა და არაფერი არ განუცხადებია ჩვენზე სადაც ჯერ იყო. აგრეთვე ჰქონდა ადგილი პატარა შემთხვევებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენი გამოაშკარავება, მიუხედავათ დიდი კონსპირაციისა. ერთხელ, როდესაც სტამბიდან გამოსული ვიყავით ოთახში სასადილოთ, ვილაცამ ჩამოკრა ზარს კარებში. სიმონა წამოხტა მისაგებებლათ. დახეთ მის განცვიფრებას, როდესაც აკალოდონინი დაუპატიჟებლათ შემოვიდა სახლში. სიმონა შეუძღვა მეორე ოთახში. ჩვენ სულ განაბულები ვიყავით და არც ვიცოდით, თუ ვინ მოვიდა. რამდენიმე ხნის მუსაიფის შემდეგ სტუმარი წავიდა და სიმონა მოვიდა ჩვენთან—თან გახარებული, მარა თან გაშტერებული, რომ ასეთი საფრთხე აგვცდა თავიდან რაღაც განგებით. აკალოდონინი მოსულიყო ახალი მდგმურების გასაცნობათ. სიმონას ბოდიში მოეხადა, რომ ოჯახობა არა მყავს სახლში ამ ხანათ და არაფერით არ შემიძლია პატივისცემა საპატიო სტუმრისთვისო. ცოტა ხნის აქითურ-იქითურზე მუსაიფის შემდეგ აკალოდონინი ამდგარიყო წასასვლელათ სრულიათ დარწმუნებული იმაში, რომ მას საქმე აქვს ჩვეულებრივ ოჯახურ მცხოვრებთან.

ერთხელ ვარლამას მინდობილი ჰქონდა ლიტერატურით სავსე დიდი კალათის ბაგაჟით გაგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ მოირბინა აქეშელებულმა და გამოგვიცხადა, რომ კინაღამ დაიჭირეს ჟანდარმებმა სადგურზე. თითქოს მოსთხოვეს კალათის გახსნა, მან უპასუხა, რომ გასაღები არა მაქვს თანო და ვითომც წამოვიდა სახლში გასაღების მოსატანათ. მისმა ლაპარაკმა ცოტა ეჭვი გამოიწვია ზოგიერთ ამხანაგებში, უფრო კი მათში, ვინც კარგათ იცნობდა მას. სადგურზე გაგზავნილი იქნა დურგალი გოლა, რომელმაც ნახა კალათა უვნებლათ მდგარი ბარგის საწონ ოთახში. გამოკვლევ-გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ მართლაც ეკითხნა ჟანდარმს, თუ ვისია ეს დიდი კალათაო, მაგრამ არავითარი გასაღები არ მოეთხოვა. აუცილებელი შეიქნა ცოტაოდენი ქრთამის დახარჯვა, რომ კალათი მიეცა ბაგაჟთ მწონელს ეხლა მეორე—გოლას—სახელით. მაგრამ ერთი ჰირი მარგებელიაო—იტყვიან. ამ შემთხვევის შემდეგ რკინის გზის მწონელი ჩვენ კალათებს პირველ რიგში აძლევდა ბაგაჟთ, რადგან იცოდა, თუ რა იყო შიგ.

ერთხელ სიმონას ტომრებში ჩალაგებული ლიტერატურა გადაჰქონდა დროგით სტამბიდან გოლას ბინაზე, საიდანაც იგზავნებოდა შემდეგ სხვა და სხვა ადგილებში. ერთ ტომარას თურმე მოეხსნა თავი და წიგნები დაიბნ ქუჩაში. დაინახა რა ეს გოროდოვოიმ, დაუძახა და გააჩერა მედროგე, რომელსაც უშველა წიგნების აკრეფაში და ტომარაში ჩალაგებაში. ისე კარგათ იყო წიგნები დაბეჭ-

დილი და აკინძული, რომ გოროდოეოის აზრათაც კი არ მოუვლდოდა, თუ ისინი არა-ლეგალური იქნებოდენ.

„ისკრის“ რედაქციაში და ცეკაში საქმე როცა უმწვერვალესობამდი გამწვავდა და გამოვიდა ლენინის „ვპერიოდი“, ჩვენ შევსწყვიტეთ ისკრის ბეჭდვა და შეუდექით „ვპერიოდის“ გადაბეჭდვას

1904 წლის ზაფხულშიდაც მორიგეობით შვებულება მივიღეთ. მე ჩავედი ბათუმში დასასვენებლათ, მარა აქ მომიხდა ბარაკხანაში სტამბის მოწყობა ადგილობრივ ორგანიზაციისთვის. მიხაკო ფიცხელაშვილს ბარაკხანაში ჰქონდა ოთხი ოთახისაგან შემდგარი სახლი. ერთი ამ ოთახთაგანი გადავაკედლეიე შუაზე, ქვეშიდან ამოვაჭრეიე იატაკი ისე, რომ სტამბაში შემსვლელს სახლის ქვეშიდან უნდა აეწია დანიშნული ფიცარი, შემძვრალიყო შიგ და ისევ დაეხურა. სტამბაში სიბნელე იყო და სანთლით მუშაობა იყო აუცილებელი, მაგრამ მაგერში მისი პოვნა მეტათ ძნელი იყო ჟანდარმების და ჯაშუშების მხრით. სტამბის მოწყობის შემდეგ მე გამოვბრუნდი უკან ბაქოში და იქ ტფილისიდან გავგზავნე სამუშეოსათ მაკარი გოგუაძე ცოლით.

ამავე წლის დასაღიერს მე გამგზავნეს მოსკოვში. ორეხოვო-ზუევის მახლობელ რკინის გზის სადგურზე აფთიაქში გაემართე პატარა სტამბა. კრასინი ამ დროს ორეხოვო-ზუევში იმყოფებოდა მოროზოვის ფაბრიკაში. წინადადება მომცა, რომ მოსკოვის ახლო პატარა ქალაქ სერპუხოვში მომეწყო უფრო დიდი სტამბა, ვიდრე აფთიაქში გამართული პატარა სტამბა იყო.

მე წავედი ამ ქალაქში და სერ. ალილუევთან ერთათ, რომელიც ამ დროს იქ მუშაობდა ელექტრონის სადგურზე, დაუწყე ბინას ძებნა. სერპუხოვი არ მომეწონა მე და ვერ ვსცანი მოსახერხებლათ იქ სტამბის გამართვა, რადგან ასეთ პატარა ქალაქში უცხო კაცის ჩასახლება არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო ჯაშუშებისთვის. მე უფრო მოსკოვში ვიყავი მომხრე სტამბის გახსნისა. ჩემი აზრი გაუზიარე კრასინს, რომელიც არ დამეთანხმა ამაში. გამომბარუნა ბაქოში და დამაბარა, რომ ს. ენუქიძე გამეგზავნა მასთან.

ბაქოში დაბრუნების დროს წამოვედი ბათუმზე ნოეროსიით. შევჭერდი ბათუმში და ტფილისში რამდენიმე დღე, სადაც ამეკვიატა ჯაშუში. ტფილისის სადგურში როცა ვჯდებოდი ბაქოს მატარებელში, ცხადი შეიქნა ჩემთვის, რომ მითვალთვალებდენ. ბაქომდი გამყვა ჯაშუში, მაგრამ აქ შემახინკის მოედანზე, სადაც აფარებელი ხალხი ისვრება მუდამ, — გაუძვერი მხედველობიდან და დავიმალე, მაგრამ სტამბაში არ მივსულვარ სიფრთხილის გამო.

კრასინის მაგიერობას ამ დროს ივ. ბიბიკოვი ასრულებდა. საღამოზე მივედი მასთან და განუცხადე როგორც იყო საქმე. გადავსწყვიტეთ, რომ სტამბაში არ მივსულიყავი. ვიქირავე ცალკე ოთახი

და დავწყე ლეგალურ სტამბაში მუშაობა. გავიდა რამდენიმე დღე მაგრამ ჯგაშუში აღარსად შემხვედრია. ამ დროს მომანდეს ბაქოს ორგანიზაციისთვის სტამბის მოწყობა. ვიშოვე შესაფერი ბინა ნაგორნი ქუჩაზე, გავჯიეის სახლში. გამოვიტანე ჩუმათ სტამბიდან, სადაც ვმუშაობდი, ასოები და სხვა მასალები, ჩამოვასხმიე ქარხანაში პატარა ოუჯის ხელით საგორებელი საბეჭდავი დაზგა და სტამბა მზათ იყო. ამ მუშაობდით აქ მე და ეკატერინა ვოშევისა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ დაატუსაღეს სტამბის გარეთ და გაგზავნეს პერმში.

1905 წლის თებერვალში მოხდა სომეხ-თათართა ოცვა ერთმანეთში, რომელმაც მეც კინაღამ მიმსხვერპლა. სტამბა მუსულმანების ნაწილში იყო მთავსებული. ქალაქში თურმე შეტაკება უკვე დაწყებულიყო. ჩვენ არაფერი არ ვიცოდით ამის შესახებ და სადილობის დროს, საათის ორზე, გამოვედით სახლიდან სასადილოთ წასასვლელათ ქალაქის შუაგულისკენ. ქუჩებში რაღაც ჩოჩქოლი შევამჩნიეთ. მუსულმანები შეაგულიდან თავიანთ უბნებისკენ მოეშურებოდენ. გზა და გზა ჯგუფები რომ შემოგვხვდებოდა, გაჯავრებული მიბღვერდენ და იგინებოდენ თათრულათ. მე ლაპარაკი არ მესმოდა, მხოლოდ გამომეტყველებაზე ვამჩნევდი ჩემ საწინააღმდეგო განწყობილებას და ძალიან მიკვირდა. უცებ წინ შემოგვეჩეხა ახალგაზრდა მუსულმანთა ჯგუფი, შეიარაღებული და ხელში სასროლათ მომზადებული რეკოლვერებით. ერთმა მათგანმა უკვე დამიმიზნა რევოლვერი და ის იყო უნდა გაეცეცებინა ადგილზე, რომ მეორემ აუკრა ხელი და გააჩერა. თან დამტერიული რუსულით დაცინვით წაულაპარაკა: „რუსის ქალს მიჰკუმა, მაგი მხდალი მამაძაღლი სომეხი,—დაე, წავიდესო“.

ეხლა კი მიეხვედი, რაშიდაც იყო საქმე, რადგან სომეხ-თათართა შორის მდგომარეობის გამწვავების სუნი ამ ხანებში ჰაერში ტრიალებდა. ისიც მიეხვედი, რომ საფრთხე სომხებს მოელოდა და არა სხვა ერის ხალხს. შემდეგი ჯგუფები როცა შეგვხვდებოდენ, გვეკითხებოდენ, თუ ვინ ვიყავით. მიუხედავათ ამისა წინსვლა შეუძლებელი შეიქნა, აღარც უკან დაბრუნება შეიძლებოდა, რადგან სროლა გაცხოველდა და რომელიმე ფანჯარიდან გამოსროლილ ტყვიას შეეძლო დაუკითხავათ ავეგორებიე ზედ. ჩემ თანმხლებ ქალს მოაგონდა, რომ აქვე ახლოს სცხოვრობდენ ამხანაგები და შეუხვიეთ მათთან. რამდენიმე დღეს აქ ვიყავით, სანამ ხოცვა-ჟლეტა არ ჩაცხრებოდა. აქვე იყვენენ ამხ. ვიკტორი ტარატუტა, იოსიფ—ფსევდონიმია, გვარი არ მახსოვს, ბუტილკინი—პერმიდან და კიდევ სხვები. უკანასკნელ დღეებში, როდესაც საქმე ძლიერ გამწვავდა, აღარც რუსებს და აღარც ქართველებს არ გამოესვლებოდათ გარეთ. ჩვენი სახლი გამარტოებით იყო გორაზე, რომელსაც ერთი მხრით მუსულმანების უბანი აკრავდა და მეორე მხრით ევროპიული ნაწილი. ამბობენ, რომ ორ ცეცხლ-

შვა ყოფნა ძნელიაო,—მართალია, ძნელი იყო ეს ჩვენი ორ-სამი შვა ყოფნა, მაგრამ გადაგვარჩინა კი სწორეთ ამ მდგომარეობამ.

როდესაც გათავდა შეტაკებები, დაებრუნდით სტამბაში, მაგრამ ამ სახლში ცხოვრება მოუხერხებელი შეიქნა ჩემთვის. გარშემო მცხოვრები მუსულმანები მე მიყურებდენ, როგორც სომეხს და მუდამ გაჯავრებით მიბღვერდენ. თან ჩემთან მომუშავე ქალიც დაიჭირეს ამ დროს. გადავსწყვიტე სტამბის გადატანა ისევ ძველ ბინაზე, დადაშოვის სახლში. ეხლა აუხსენი სახლის პატრონს, რომ მე და ს. ენუქიძე გავიყავით და სტამბის პატარა ნაწილი შემხვდა მე მხოლოთ. მიტომ იძულებული ვიყავი ისევ უპატენთოთ მემუშავა საზიაროთ. ისიც დამეთანხმა და ჩქარა გადავიტანეთ და მოვაწყეთ იქ სტამბა მე და გიორგი სტურუამ, რომელიც ვითომ ჩემი მონახერეფე იყო სტამბაში. გიორგის ყავდა „დედა“—კატო მუკაშიანი, რომელიც დედასავლისობას ეწეოდა. ამნაირათ გავაჩაღეთ მუშაობა ბაქოს ორგანიზაციისათვის. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი გამომეშალა, რადგან ის წაიყვანა ს. ენუქიძემ მოსკოვში, სადაც მან გახსნა ახალი სტამბა. ამნაირათ ჩემმა აზრმა, რომ სტამბის გახსნა მოსკოვში სჯობდა, მაინც გაიმარჯვა. გიორგის წასვლის შემდეგ სტამბაში მომიყვანეს ერთი რუსი ამხანაგი ტვერიდან, რომელსაც დავსციროდი, რომ ბაქოში ჩამოსულიყო იმ დროს, როდესაც პეტერბურგი არ ენახა, თუმცა ტვერსა და პეტერბურგს შორის ორასი-სამასი ვერსია მანძილი, ტვერსა და ბაქოს შორის კი ორიათას ხუთასი. გარდა ამ ამხანაგისა, მე შევხვდი ბაქოში სტამბაში მომუშავე თეოფილე კეკელიძეს, რომელსაც ბათუმში ვიცნობდი, და რომელიც ჩემი რჩევით შევიდა სტამბაში სამუშაოთ. გარედან ხელს გვიწყობდა აშოტ ხუმარიანი. ბაქოს ორგანიზაციის საქმეთა გარდა მე მოვკიდე ხელი ტუნის წიგნის „რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიის“ გამოცემას, მაგრამ აღარ დამცალდა.

აგვისტოში ხელახლა განმეორდა სომეხ-თათართა ჟლეტა,—ახლა ბევრათ უფრო მწვავეთ და ხანგრძლივათ. მეც დიდი განსაცდელი გამოვიარე ამ საშინელ დღეებში. როდესაც გამოირკვა, რომ შეტაკებები მოსალოდნელია, თ. კეკელიძე და ტვერელი ამხანაგი გავისტუმრე სტამბიდან. ამას გარდა შემთხვევით გავიგე ამ დროს, რომ ჯაშუშები გვითვალთვალებდენ.

ჩვენი ბინის გვერდზე იყო ორ სართულიანი სახლი. ქვემო სართულში აბანო იყო მოთავსებული, ზემოთ კი ვიღაც ზღვაოსანი (კაპიტანი) სცხოვრობდა ოჯახობით. უკანასკნელ ხანებში ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სახლის აივანზე ვიღაც უცხო პირები—ტიპიური სტუდენტები და კურსისტკები იჯდენ თითქმის განუწყვეტელათ მთელი საათობით და შუაღამემდის არ სტოვებდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვანს. თათარ-სომეხთა შეტაკების დაწყების წინა დღეებში ერთ საღამოს შეეყარა ჩვენი ბინის პირდაპირ მეზობელ თათრის დუქანში, რომელთანაც ხშირათ ვყიდულობდი სურსათ-სანოვაგეს და სხვა წვრილმან საჭირო საგნებს და კარგ განწყობილებაში ვიყავი. დუქანში რამოდენიმე მეზობელი თათრები იყვნენ და ლაპარაკს შეეხეთ შექმნილ მდგომარეობაზე, რამაც ნაშვალემდის გასტანა. როდესაც დუქანში დავრჩით მე და მედუქნე, რომელმაც მთხოვა მოცდა, სანამ სხვები წავიდ-წამოვიდოდენ, მან საიდუმლოთ გადმომცა, რომ მეზობელ კაპიტანის ბინას და აქ მცხოვრებ სტუდენტებს საიდუმლო პოლიცია უთვალთვალებსო. პოლიციამ შენც შეგამჩნია და ეჭვი შეგიტანა შენზედაც, მაგრამ მათ შორის ერთი თათარია და მე უთხარი იმას, რომ შენ კარგი კაცი ხარ და დამიჯერაო. მე, რა თქმა უნდა, მადლობა გადაუხადე და დავარწმუნე, რომ ჩემს კარგ კაცობაში ის არ სცდებოდა და არც ტყუილი უთქვამს საიდუმლო პოლიციისათვის.

გამოვბრუნდი სახლში და როდესაც მთელი უბანი ძილში იყო გართული, მივადექი ჩუმათ მეზობელი სტუდენტების კარებს. ისინი ალბათ მუდამ ფხიზლათ იყვნენ და პირველსავე კარის დაკაკუნებაზე მომეგებენ კარებში,—დამბათვალიერეს რა ჯერ აივანიდან. მე უთხარი მათ, რაშიდაც იყო საქმე და სთქვეს საყვედური გამოუცხადე, რომ მათი გულიხა მეც ვებმებოდი პოლიციის ქსელში.

იმ ღამეს უკვე გვიანი იყო. მეორე დღეს დავფაცურდი და გავაგებინე ამხანაგებს, რომ სტამბა განსაცდელში იმყოფებოდა. საღამოზე შევიყარეთ თავი და ვიქონიეთ მსჯელობა. ამ თათბირზე პირველათ შევხედი კამოს. როდესაც გავაცანი ამხანაგები საქმის ვითარებას, კამომ პირველად განაცხადა, რომ აღარ ღირს სტამბის წამოღება, რადგან ალბათ უთვალთვალებენ და ერთი ყუთიც რომ წამოვიღოთ ეხლა იქიდან—იმ წუთში დაგვიჭერენო. გადავსწყვიტეთ, რომ ასოები მაინც წამოგველო ცოტა-ცოტა, ტანსაცმელ ქვეშ ამოფარებული და დანარჩენი მძიმე საგნები მივვეტოვებინა იქ და გავცლოდით სტამბას. ასედაც მოვიქეცი და მეორე დღეს ნაწილ-ნაწილათ ვეზიდებოდი „რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიის“ შეკრულ გვერდებს, მაგრამ დამთავრება ვეღარ მოვასწარი. მეორე დღეს უკვე სომეხ-თათართა ყლეტა გაჩაღებული იყო და გარეთ აღარ გამოსულებოდა. შეტაკების პირველსავე დღეს შუადღისას მოვიდნენ ჯანდარმები ჩემი მეზობელი სტუდენტების და ჩემს გასაჩხრეკათ. მოგვრიდა მეზობელი თათრები და შეიქნა ქუჩაში ერთი ჩოჩქოლი. ბოლოს ისე დატრიალდა საქმე, რომ ჩემთან არც კი შემოსულან.—წაიყვანეს მხოლოთ მეზობელი სტუდენტები და კურსისტკები, რომლებსაც მთლათ ვერ მოესწროთ სახლის გაწმენდა და დარჩენოდათ

იმის ნიშნები, რომ ისინი ეკუთვნოდნენ სოც.-რევოლიუციონერების ორგანიზაციას. მედუქნემ და სხვა მეზობელმა მუსულმანებმა დაარწმუნეს ქანდარმები, რომ მე კარგი საიმედო კაცი ვარ და არ არის საჭირო ჩემი გაჩხრეკა. ჩაკეტილ კარებს ჭუჭრუტანიდან უცქეროდნენ მე ამ ამბავს.

თუმცა ქანდარმებისგან გადავრჩი, მაგრამ შემდეგ დღეებში მაინც დიდ გასაჭირში ჩავარდი. ხოცა-ჟლეტა თათრებსა და სომხებს შორის თანდათან გაცხოველდა და გადასცდა მთავრობის მიერ განზრახულ მიზნებს. აუცილებელი შეიქნა ჯარის ჩარევა. ამან კიდევ უფრო გაბერაზა მუსულმანები, რომლებსაც შეთვისებული ჰქონდათ აზრი, რომ მთავრობა მათ მხარეზე იყო და საქმეებში არ ჩაერეოდა. ეხლა მუსულმანებმა ყველა არა მუსულმანს მიჰყვეს ხელი და აღარავის ზოგავდნენ, იქნებოდა ის რუსი, ქართველი თუ სხვა ქრისტიანი.

ჩემი სახლის პატრონიდან და მეზობლებიდან თუმცა საფრთხე არაფერი მელოდა, მაგრამ გარეშე ჯგუფები დადიოდნენ სახლებიდან სახლებში და ეძებდნენ ზოგიერთ შემთხვევაში სახლის პატრონის მიერ დამალულ მდგმურ სომხებს. ასეთი შეიარაღებულ ახალგაზდათა ჯგუფები რამდენჯერმე შემოვიდნენ ჩემთანაც, მაგრამ როდესაც დავარწმუნებდი, რომ მე ქართველი ვიყავი, რასაც პირველ დღეებში ჰქონდა გასავალი, აღარ მახლებდნენ ხელს.

ჩემი მდგომარეობა გაუარესდა კიდევ უფრო იმითი, რომ კატო მუკაშიანი გახდა—ავათ, ალბათ ფსიხოლოგიურათ იმოქმედა მან, რომ სომეხის ქალი იყო, თუმცა პასპორტი ქართველის ჰქონდა. რომ ის ავათ არ გამხდარიყო, მე კიდევ შეესძლებდი როგორმე გაპარვას და ქალაქის ევროპიულ ნაწილში გასვლას, სადაც ჩემთვის საფრთხე აღარ იქნებოდა.

გავიდა ერთი კვირა ამ ყოფაში. საქმე თუ უფრო და უფრო მწვავდებოდა, თორემ არ ცხრებოდა. ბოლოს სახლის პატრონმა გამომიცხადა, რომ მას აღარ შეუძლია პასუხისგება მიიღოს თავის თავზე, რადგან აღარც ქართველებს და აღარც რუსებს ინდობენ ელა და შეიძლება მეც პასუხი მაგებიონ შენი შენახვისთვის იმ ახალგაზდებმა, რომლებიც დადიან და ეძებენ საზოგადოთ არა მუსულმანებსო. ამ გარემოებამ გამოუსვლელ უწყებაში მდგომარეობაში ჩამაყენა. ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავსწყვიტე ისევ წასვლა ამ სახლიდან, რადგან სულ ერთი იყო, დარჩენითაც არ მოველოდი ცოცხლათ გადარჩენას. შუა დღე იქნებოდა, როდესაც მოვაყვანინე სახლის პატრონს მუსულმანი მისი ნაცნობი მეეტლე, ჩავსვი შიგ ქატო, მოუჯექი გვერდით და მეეტლეს ვთხოვე, რომ ჩქარა გაექროლებია ეტლი შემახინკის ქუჩისკენ, სადაც ჩამოვიდოდი ძირს და გადავიდოდი ევროპიულ ნაწილში. მეეტლემ პირნათლათ შეასრულა დავალება, ისეთი სისწრაფით გაჰა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეტლი ჩადრის ქუჩაზე თავდაღმართში, რომ ქუჩებში გამოფენილი მუსულმანები პირდაღებული შემომცქეროდენ და ეელარც კი მოესწროთ იარაღის ამოღება და სროლა. წუთში გავჩდით შემახინკის ქუჩაზე, რომელზედაც არავითარი მოძრაობა აღარ იყო, რადგან საშვალო ადგილს წარმოადგენდა ქალაქის აზიურ და ევროპიულ ნაწილებისას. მეეტლე სწრაფათ მოტრიალდა უკან, ჩვენ კი გადავირბინეთ შემახინკის ქუჩის მეორე ნაპირას. კატომ გაამართლა თქმულება: გაჭირვება მიჩვენე—გაქცევას გიჩვენებო. თუმცა ლოგინიდან ძლივს წამოვაყენე, მაგრამ აქ კი იკადრა გაქცევა.

ამნაირად, გადავრჩით რა ბეწვზე სიკვდილს, გავედი სადგურზე პატარებლის მიმოსვლა იყო. ჩავჯექი და გამოვსწიე ტფილისში. აქ კატო ჩავაბარე თავის პატრონს და მე მოვედი ტფილისელ ამხანაგებთან, რომლებმაც გადმომცეს წინა დღეს ქალაქის სამმართველოში მომხდარი საშინელი ამბავი.

გავბრუნდი ისევ ბაქოში, სადაც შეტაკებები უკვე ცხრებოდენ ამ ხანათ. ვინახულე ი. ბიბიკოვი, რომელმაც მითხრა, რომ მოსკოვიდან ს. ენუქიძე თხოულობს ხალხსო და მე და უშანგი ჯაში გავემგზავრეთ იქ.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჩხეიძე

ჩემი მოგონებანი

მე შემისრულდა 49 წელი.

პაპა (ბაბუა) ჩემი დიდი მემამულე თავადიშვილის უკანონო შვილი იყო. პაპა ჩემის მამამ, რადგანაც სხვა „კანონიერი“ შვილებიც ბევრი ყავდა, იფიქრა ესეც წაიღებს ქონებიდან თავის წილსაო, და დაიწერა თავი გლეხათ. პაპა ჩემი მაინც თავადიშვილობდა, თუმცა-ღა არაფერი არ ებადა. თავისი „თავადიშვილური სისხლის“ მეტი (თუ არ ჩავთვლით ერთ ქოხს და ერთ ქცევა მიწას). მამა ჩემი ნამდვილ გლეხი იყო; მისი ძმა პავლე კი თავადობდა და თუ ვინმე გაბედავდა იმის თქმას, რომ ის თავადი კი არა, არამედ „უკანონოდ შობილი მამის შვილია“, უხმოდ და უხანგლოდ საქმე ვერ გათავდებოდა. ბევრი უსიამოვნებაც მოსულია მას ამ ნიადაგზე.

მამა ჩემი კი მუშაობდა სხვის მიწაზე თავჩაღუნული, წელში გაუმართავი, დღეში თექვსმეტ საათს. გვინახავდა ჩვენ ე. ი. დედა ჩემს, მე, ჩემ სამ დას, თავის დედას და მიწის პატრონის ოჯახსაც წერა-კითხვა მან არ იცოდა, სამაგიეროდ დედა ჩემი შედარებით განათლებული ქალი იყო. იცოდა ქართული ლიტერატურა. „ვეფხის დყაოსანს“ ზეპირათ მოგიყვებოდათ. მთელ ჩვენ უბანში ყველა მეზობლებისათვის დაწერიც ის იყო და წამკითხველიც. იცოდა აგრეთვე ტანისამოსის ჭრა-კერვაც და კიდეც მოჰქონდათ მასთან დასაჭრელი და შესაკერავი. იგი მეტად მშრომელი ქალი იყო, დღე და ღამე მუშაობდა. ღამე, ნავთის უქონლობის გამო, მოაგროვებდა ჩალის ღერებს, გააჩაღებდა ცეცხლს და ამ ცეცხლის სინათლეზე ქსოვდა და არ თავდა. ღამეებს ათენებდა, რომ როგორმე შეეემოსეთ ჩვენ.

როდესაც სახლში მჭადი და ლობიო საკმარისათ იყო, იმ დღეს დედა ჩემი ბედნიერად სთვლიდა თავს, მაგრამ საუბედუროთ ასეთი ბედნიერება ყოველთვის არ იყო.

ჩემი სწავლა.

დედა ჩემი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მე ნასწავლი კაცი გამოვსულიყავი, მაგრამ ამისათვის მას საშვალება არ ჰქონდა დედა ჩემმა თავიდანვე შრომა გვასწავლა. ხუთი წლისას უკვე მამაშავებდა. იქნებ მკითხველს გაუკვირდეს, ხუთი წლისა როგორ მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდაო?! აი როგორ: დების აკვანს მარწევინებდა, პატარა დოქებით (სურებით) წყალი მომქონდა, პატებსა და იხვებს მაწყესინებდა. ყველა ეს მე მგონი ხუთი წლის ბავშვისათვის საკმარისი მუშაობაა. მეშვიდე წელში რომ გადავდექი დედამ ანბანის სწავლა დამაწყებინა. ხან და ხან კარგათ რომ ვერ მიუგებდი, გაჯავრდებოდა, წამავლებდა თმაში ხელს და ხან-და-ხან მაგლეჯდა კიდეც. მაგრამ ნუ დავაგიწყდებათ, ისე უყვარდი, რომ მთელ ქვეყანას ვერჩიე, რადგანაც ერთად ერთი ვაჟი მე ვყავდი.

ვიდრე შვიდი წლის შევიკნებოდი, თავისუფალ დროს დედა ჩემი ჩემი მასწავლებლის როლში გამოდიოდა. მერვე წელში რომ გადავდექი მიმაბარეს სოფ. სკოლაში. ჩვენ სოფელში სამ-განყოფილებიანი სამინისტრო სასწავლებელი იყო (დღესაც არ ვიცი სამინისტრო რათ ერქვა). მკოლაში ჩვენი მასწავლებელი (შენგელია, ახლა მღვდელია) მოგვცემდა გაკვეთილებს, რომლებსაც თუ კარგად ვერ ჩავაბარებდით მოგვადგებოდა და გვცემდა ხელებზე ოთხ-კუთხიან სახაზავს. როცა ხელის გულზე სახაზავებს შევეჩვიეთ, დაგვიწყო მერე ცემა ხელის ზურგზე. რასაკვირველია, ხელის ზურგზე უფრო მწვავე იყო. ამ როლს ხან თვითონ ასრულებდა, ხან კი მიაყენებდა ორ შეგირდს და იმათ აცემინებდა ერთმანეთს. ეს უფრო პრაქტიკული გამოდგა, რადგანაც ერთმანეთზე გაჯავრებული ბავშვები თავ-გამეტებით სცემდენ ერთი-მეორეს, აქ როგორი სწავლა უნდა ყოფილიყო თქვენ თვითონ გაიგებთ. ამას დაუმატეთ სიღარიბე, უსახსრობა, რეულების და საწერ კალმის უქონლობა *).

დავბრუნდებოდი თუ არა სასწავლებელიდან, მაშინვე უნდა შევდგომოდი თოხნას, ბარვას, შეშის ჭრას და სხვა. თუმცაღა დედაც და მამაც ძალიან მიფრთხილდებოდენ, არ უნდოდათ, რომ მე მემუშავნა მაგრამ სიღარიბე აიძულებდათ და ძალაუნებურად ურიგდებოდენ ჩემ მუშაობას.

ასე იყო, თუ ისე, ეს სამ განყოფილებიანი სასწავლებელი გავათავე 1887 წელს. მამა ჩემი ტრაბახობდა: „ჩემმა შვილმა კურსი გაათავა-“ო. დედა ჩემი გრძნობდა და იცოდა, როგორიც იყო ეს „კურსი“ და რადგანაც იგი ძალიან მოწადინებული იყო, რომ მე სწავლა გამეგრძლო, მიმართა ჩემ ნათლიას, ალექსანდრე ჩხეიძეს—ფეოდალს (ძალიან მდიდარს), რომ დამხმარებოდა. იმანაც შეპირდა, წამიყვანა ქუთაისში და მიმიყვანა ერთ ქართველ ფრანგ ჩარექოვთან. სალამოზე დაიწყეს საწოლების გადადგმა-გადმოდგმა. ვიფიქრე, ალბად ჩემთვის დასაძინებელ ალაგს ამზადებენ-მეთქი, მაგრამ ეს მომზადება თურმე ამ ფეოდალის შვილისთვის იყო. განსხვავება იმის შვილსა და ჩემს შ

*) იხ. ჩემი წერილი, რევოლიუციის მატიანეში № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემი ბებერი მოვიდა, გამაღვიძად ა თანვე გამლანძღა: „არა გრცხვენია, ერთი წუთით მოგცილდი და შენ მუშაობის მაგიერ დაგიძინია-“ო.

რას ვიზამდი. მეც შემრცხვა. ჩემის აზრით ის მაშინ მართალი იყო და რომ ჩემი შეცდომა გამომესწორებინა მაშინვე შეუდექი მუშაობას. როგორც იყო ამ ტანჯვაში შევასრულე ერთი წელიწადი. ველე ჩემი ერთი წლის ჯამაგირი 31 მანეთი და წაველ მამაჩემს. რომელმაც ის ვალში გადაიხადა. ამ დროს ვიყავი ცამეტი წლის.

ვაჭრობა.

ამის შემდეგ კიდევ შექმნეს თათბირი დედაჩემმა და მამაჩემმა, თუ რა გზა მოეცათ ჩემთვის. ქუთაისში ვაჭრობდა ჩემი ბიძაშვილი. ჰატარა საწვრილმალო დუქანი ჰქონდა, წამოყვანეს მასთან, რომელმაც თავის „ნოქრათ“ ამიყვანა. თვითონ დაიხეტებოდა სადღაც კარტის სათამაშოთ და სალოთაოთ, მე კი მტოვებდა დუქანში. ერთხელ ხაზეინის არყოფნის დროს გავყიდე 10 გირვანქა შაქარი. მე „კურს“ დამთავრებულმა ვიანგარიშე და გამოვართვი 90 კაპ. გირვანქა ღირდა სამი შაური. როგორი ნაანგარიშევია მკითხველი თვითონ მიხვდება. ამაზედ ჩემმა ბიძაშვილმა „ხაზეინმა“ ერთი კარგი წამითაჭა. ჩემი მასთან ყოფნა ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა. მივედი ერთ მასწავლებელ სანებლიძესთან, იმ იმედით რომ მას ვემსახურებოდი კიდეც და მასწავლიდა კიდეც. მაგრამ ჩემი იმედი ტყვილი გამოდგა. იმანაც შემაგდო სამზარეულოში და ჩამაბარა თეფშები, ქვაბები, დანა-ჩანგლები და სხვა სახეხათ და სარეცხათ. მის სახლში მუდამ იხვები და ქათმები მზადდებოდა. მართალი უნდა ითქვას—აქ საქმელი ბევრი იყო, ხსნილში ჩემი საქმე კარგად იყო, მაგრამ მარხვა დღეებში მე სახსნილოს არ გიახლებოდით, რადგანაც ეს მომაკვდინებელ ცოდვათ მიმაჩნდა. მოვიტანდი სამი კაპეიკის ლობიოს და ეს იყო ჩემი საზრდო. ამაში მასწავლებელი სანებლიძე არ იყო დამნაშავე. ყოველთვის მეუბნებოდა: „სჭამე ხორცი, ეს ცოდვა არ არის, შენ ჩემზე მეტი ხომ არ იცი“. მაგრამ მე დედაჩემის დარიგება უფრო მრწამდა ვიდრე მასწავლებელ სანებლიძის. დედაჩემი სულ იმას მიჭადაგებდა: „შვილო მარხვა არა სჭამო ღმერთს არ შესცოდო“-ო. ამას დაუმატეთ მღვდლის ქადაგება, რომელიც ყოველ ზაარების დროს ამასვე გვიქადაგებდა და ზიარება ხომ აუცილებლად სავალდებულო იყო, როცა სკოლაში ვსწავლობდი. ჩვენი მასწავლებლისათვის ასე აუცილებელი, როგორც ზიარება, სწავლა რომ ყოფილიყო, რაღა გვიშავდა. უეჭველად მასწავლებლისათვის წელიწადში ორჯერ, მარიამობის და დიდ მარხვაში მოწშობა უნდა მიგვეტანა ზიარების.

თუმცა და ყველა მოვალეობას, ზიარების მისაღებად, სინდისი-

ერად ვასრულებდით, მაგრამ მინამ ჩვენგან მღვდელი ანდრია ლეჟავა პატარა ქრთამს არ აიღებდა ისე მოწმობას არ მოგვცემდა. მე რა ქრთამის მიცემა შემეძლო. ამის საშვალება თვით მღვდელმა იპოვა, ორი დღე მამუშავებდა ყანაში და მოწმობას მერე მომცემდა. ასე ვიყავი ცრუმორწმუნეობით გატყენთილი მაშინ და აბა ხორცს რა მაშვევდა.

სწავლა ძალიან მწყუროდა. მასწავლებელ სანებლიძეს მოწაფეები ყავდა სახლში, რომლებსაც ასწავლიდა და ინახავდა კიდეც. ამისთვის რასაკვირველია იღებდა შესაფერ სასყიდელს. ამ მოწაფეებს ითხოვდი ხოლმე, რომ ჩემთვის ესწავლებინათ. არც ისინი მეუბნებოდენ უარს, მაგრამ მე ამისთვის დრო არ მრჩებოდა. სანებლიძეს რუსეთიდან ჩამოუვიდა სტუდენტი ძმა, რომელმაც პატარა წიგნაკი მომცა: „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის". ძალიან მომეწონა. რამდენჯერმე წავიკითხე და ზეპირათ უთხარი. მერე მომცა რუსული წიგნი: „Русское слово" და მითხრა:„ეს შეისწავლე ზეპირათ და რუსული გეცოდინება"-ო. ამით გათავდა მისი პროპაგანდა ჩემზე. ახლა რომ ვფიქრობ, ის ალბად ახალ თაობის სტუდენტი იყო.

ამ მასწავლებელთანაც, როგორც ხედავთ, არაფერი არ გამოვიდა. ქვაბებისა და იატაკების წმენდის მეტი. ჩამოვიდა მამაჩემი, შემომისვა ცხენზე და წამიყვანა სახლში. ისევ შეიქმნა ბჭობა, თუ რა უნდა ექმნათ ჩემთვის.

ქარხანაში მუშაობა.

ამ დროს ტფილისიდან ჩამოუვიდა ჩვენ მეზობელ ბიბილეიშვილს მოყვარე მანჯგალაძე. სუფთად იყო გამოწყობილი ჩოხა ახალუხში (ეს იყო 1889 წელს) და საათიც ჰქონდა. ეს მაშინ სოფელში დიდ განათლებულ კაცად ითვლებოდა, რადგანაც საათიანი იყო. დედა-ჩემმა მიმართა თხოვნით მანჯგალაძეს, რომ მე წავეყვანე ტფილისში და როგორმე უმთავრეს სახელოსნოში დავეყენებინე. ისიც დასთანხმდა პატარა ხაჭაპურის შემდეგ.

ისესხეს ხუთი მანეთი ჩემ სამგზავროდ (თუმცა ბილეთი სამტრედიდან ტფილისამდე ექვსი მანეთი ღირდა). ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა რკინის გზით. კასასთან ვიდექი ფულით ხელში, ბილეთი უნდა მეყიდნა. მოვიდა ჩემთან ვიღაც კონდუქტორი (ბრჭყვიალა ღილებიანი პალტო ეცვა). მე რა ვიცოდი ვინ იყო, ვიღაც დიდი კაცი მეგონა. მკითხა სად მიდიოდი. უპასუხე. „ფული რამდენი გაგქვს?"— კვლავ შემეკითხა. ამაზედაც მიიღო პასუხი. „სულ ერთია, მაგ ფულით ტფილისის ბილეთს ვერ იყიდი, დაჯექი უბილეთოთ, მე წაგიყვან"-ო, და რადგანაც ფულს წინდაწინვე მთხოვდა მე ვერ ვენდე და უთხარი: „ჯერ წამიყვანე და მერე მოგცემ"-შეთქი. მოვრიგდით. დავჯექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიძრა მატარებელი თუ არა, სთქვეს კონტროლი მოდისო. შეიქნა ჩოჩქოლი. წამიყვანა ამ კონდუქტორმა და შემიყვანა სადღაც. ისე იყო ხალხით გაჭედული ეს ალაგი, რომ ნემსი ალარ ჩაეტეოდა. ბოლოს აღმოჩნდა ფეხის ალაგი. ასე ჩავედი ტფილისში, ხან ამ ფეხისალაგში და ხან სკამ ქვეშაც შემაძერენდა ხოლმე კონდუქტორი. მგზავრობაში გამოირკვა, რომ კონდუქტორს ჩემგან თურმე ერგებოდა სამი მანეთი და არა ხუთი, რადგანაც ბილეთი ღირდა ექვსი მანეთი. ეს უკვე ნიხრი ყოფილიყო დადებული. მერმე გავიგე, უბილეთოებსა და კონდუქტორებს შორის ეს ჩვეულება ისე ყოფილიყო განმტკიცებული, რომ თითქოს სადმე ამის შესახებ კანონი ყოფილიყოს გამოცემული. ერთ კაპეიკს ნაკლებს არ აიღებდა კონდუქტორი და არც ერთ გროშს მეტს არ მისცემდა უბილეთო მგზავრი.

როგორც იყო ჩავედი ტფილისში. ახლა ალაგის შოვნა იყო საქმე! როგორ მივიდე, როგორ ვთხოვო! მანჯგალაძემ მხოლოდ ოთახში დამაყენა. დანარჩენი არაფერი არ გაუკეთებია და უძებნია. როგორც გამოირკვა, ის თურმე ჯიხაისში იყო დიდი კაცი თორემ ტფილისში, რკინის გზაში—ძალიან პატარა. მუშებმა მასწავლეს როგორ უნდა მეთხოვნა ალაგი უფროს ხელისნისთვის „მასტერისთვის“. უბედურება ის იყო, რომ ყველგან უფროსები რუსები იყვნენ და ალაგის თხოვნა რუსულად იყო საჭირო. „კურს“ დამთავრებულს როგორი რუსული უნდა მეთქვა?! მასწავლეს ასე: „Господин мастер, дай мне место, я очень бедный человек!„ ამ რუსულით შემოვიარე ყველა ცხები და მასტერები, მაგრამ ყველგან ერთი პასუხი მივიღე: „нет места“. ასე ვიარე ორი თვე. მითხრეს, ერთი თუმანი რომ გქონდეს ადვილია ალაგის შოვნაო. ჩემთვის კი ეს შეუძლებელი იყო. გავახშირე სიარული სამხატვრო ცხში, რადგანაც იქაურმა „მასტერმა“ ქართული კარგათ იცოდა, თუმცა თვითონ რუსი იყო, გვარათ გარბენკო. ორი თვის შემდეგ, როგორც იყო მიმიღო სამუშაოთ. ჯერ გამომცადა: „Поруськи ъзнаш?“ მე უპასუხე: „მაღენკი ъзнაიუ“. კლავ შემკითხა: „а ъалшои ну ъзнаиш?“-ო. იქ ერთი ორ ღერძიანი ვაგონი იდგა მკითხა: ეს რა ნომერიაო?-ო. ეხლაც მახსოვს, ვუპასუხე 70. პატარა ნომერი იყო. გამგზავნეს ექიმთან. შემამოწმეს. ეს იყო 1889 წელს. „ხვალ სამუშაოთ გადიო“ მითხრეს. ამან ისეთი სიხარული გამომწვია ჩემში, რომ მე იქვე ლეკური ჩამოუარე. ალბად ამან თუ იჭონია მასტერზე გაღლენა. დამინიშნეს დღეში შვიდი შაური. ეს ამბავი ყველას გაუკვირდა, რადგანაც ერთ ბაბაზზე მეტს არავის უნიშნავდენ პირველად მიღებულს, ი'შვიათათ ექვს შაურს. მე კი ერთბაშათ შვიდი შაური დამინიშნეს. ვმუშაობდი რაც შეიძლება ერთგულად. სანახევროდ მშიერი ვიყავი. სულ რომ მეჭამა შვიდი შაური მაინც არ იყო საკმარისი და მე კი ნახევარს უეჭველად ვინახავდი სახლში გასაგზავნათ.

საღდგომოდ წავედი სახლში და წავიღე თხუთმეტი მანეთი. როცა ამოვიღე ჯიბიდან, მამაჩემს ხუთ თუმნათ მოეჩვენა და როცა გაიგო, რომ მხოლოდ თხუთმეტი მანეთი იყო, ცოტა ეწყინა, ეცოტავა. დედა ჩემმა წამოყვანა იმ ჩემ კეთილს მყოფელ ნათლიასთან, რომელმაც ჩარეკოვის სამზარეულოში დამაყენა სასწავლებლად. მახსოვს, შეეკითხა დედაჩემს ჩემზე, ჰკვიანად თუ იქცევაო. დედა ჩემმა ჩემი ჰკუის გასაზომათ, უპასუხა, რომ 15 მანეთი მომიტანაო. ფეოდალმა ნათლიამ ჰკვიანათ უპასუხა: „შვიდ-შაურიდან, თუ კიდევ შენ მოგიტანა და შენ არა გთხოვს დახმარებას, მართლა ჰკვიანი ყოფილაო“. ამას შემდეგ დამერქვა ჰკვიანი კაცი. ეს სიჰკვიანე იმაში გამოიხატებოდა, რომ ტფილისიდან სოფელში ჩამოსული ჩემი ამხანაგები, ჩემი ტოლები უსათუოდ შედიოდნენ იქაურ დუქნებში და ქეიფობდენ ღვინით და არაყით. მე კი რასაც გადავარჩენდი ტანისამოსს და საჭმელს მიუტანდი მამაჩემს. მათი ქეიფობა და ჩემი დუქანში არ შესვლა აიხსნება იმით, რომ იმ ჩემ ტოლებს ამით სურდათ დაემტკიცებინათ დამოუკიდებელი ცხოვრება თავისი შრომით, რითაც ყოყოჩობდენ და მეორე, უმთავრესი იმით, რომ იმათი ოჯახი, შედარებით ჩვენ ოჯახთან მდიდარი იყო.

ხანდა-ხან ჩემი ტოლები მეც დამიძახებდენ მივსულიყავ მათთან დუქანში საქეიფოთ, რაც მეც გულით მსურდა, მაგრამ მე'შინოდა არ დამეკარგა „ჰკვიანი კაცის“ სახელი. დედაჩემი სულ იმას ჩამჩიჩინებდა: „განათლებული კაცი დუქანში სალოთაოთ თავის ღღეში არ შევაო, განათლებული კაცები კითხულობენ წიგნებს და გაზეთებს“-ო. ეს დედაჩემმა პატარაობითვე ჩამინერგა და მეც ვასრულებდი ამას ფანატიკურად. დედაჩემი მე ძალიან მიყვარდა, პატივს ვსცემდი და ამისთვის მის სიტყვას არ გაეტეხდი. ამით აიხსნება ჩემი მარხვის არ გატეხვა სანებლიძესთან. მეც ისე ვიქცეოდი დიდხანს როგორც მოსწონდა დედაჩემს. ერთმა შემთხვევამ გამომიყვანა დედაჩემის ზეგავლენიდან. მაგრამ ამაზედ ქვემოდ.

სამხატრო ცხებში ვიმუშაე 1892 წლამდე—ხოლერიანობამდის. ხოლერა ძალიან გავრცელებული იყო ამ წელს. მაგ., ამ წუთს ელაპარაკებოდით ვინმეს, ძალ-ღონით სავსე ადამიანს, რომელსაც ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა; რამდენიმე ხნის შემდეგ იტყოდენ, რომ ეს პიროვნება გარდაიცვალა ხოლერისაგანო. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო.

სახელოსნოში იყვნენ „პრიგადირები“, დარგების ხელმძღვანელები, რომელთაც შეგირდები ებარად. ეს პრიგადირები ისე აგინებდენ თავიანთ ქვეშევრდომ მუშებს დედას, თითქოს ეს გინება მუშაობის ნაწილი ყოფილიყოს. ამას მე როგორღაც ვერ მიბედავდენ; ალბად იმიტომ, რომ ყოველ მათ ბრძანებას უსიტყვოდ ვასრულებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაგრამ ერთი ბრძანება აღარ შეასრულე, როდესაც ერთხელ „ბრიგადირმა“ არაყი მთხოვა, რაზედაც მე უარით უპასუხე. ამის შემდეგ ჩამჭიდა კბილი და ყოველ მოხერხებულ დროს „შემიკურთხებდა“ ხოლმე. უთხარი: „ნუ შაგინებ, თორემ ვერ მოგითმენ“-მეთქი. ამაზედაც მიპასუხა რამდენიმე სართულიანი გინებით. მეც ავიღე და „მივარეთქი“ სახეში. წაიქცა. იქაც ერთი ორი წიხლი მივაყოლე. წამოდგა გაიქცა და მიჩივლა უფროს ხელოსანთან. დამიძახა ხელოსანმა, ერთი მანაც შემიკურთხა და მითხრა: „წადი ეხლავე რასრტი აიღე დღეს მაგასა სცემე, ხვალ მე დამიწყებ ცემასო“. ასე გამომაგდეს სახელოსნოდან. დავბრუნდი სოფელში. დედა ჩემს ძალიან გაუხარდა: „კარგი გიქნია, რადგან ხოლერა მუსრს ავლებს ქილაქში სუყველას“-ო. მას ძალიან შეშინებოდა შვილი ხოლერამ არ მამიკლასო.

ლაქიობა.

სოფელში დიდხანს ვერ გაძელი. ჩამოველი ისევ ტფილისში. რკინის გზაზე არ მიმიღეს, როგორც „ბუნტოვჩიკი“. მივედი თავად ჩხეიძესთან, რომელსაც ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ სასტუმრო ჰქონდა. ეს იყო 1893 წლის დასაწყისში. იმანაც სამზარეულოში მიყარა თავი. მზარეულობა და ლაქიობა მეჯავრებოდა, ლაქიობა იმიტომ, რომ ყველასთვის „ბატონო“ უნდა გეძახა, მზარეულობა იმიტომ, რომ მას ყოველთვის სულ ქვაბებთან და ქოთნებთან აქვს საქმე. ჯერ რკინის გზაზედ დადგომამდის ვერ შეურიგდი ამ ხელობას და ახლა მით უმეტეს, როცა სახელოსნოში ნამუშევარი ვიყავი და ხელობაც ვიცოდი. ისევ დავიწყე სახელოსნოში სიარული და ალაგის ძებნა. ახლა კი სამხატვრო ცეხში აღარ მიედიოდი, რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემი იქ დადგომა აღარ შეიძლებოდა. მივმართე ვაგონის ცეხში „მასტერს“ (გერმანელი იყო), რომელმაც დანახვისთანავე მიცნო და დამიყვირა: „დაიკარგე აქედგან“-ო. ამის შემდეგ დავიწყე დეპოში საქმის თხოვნა. რადგანაც ეს მთავარ სახელოსნოსთან განცალკევებული. იყო. ვთხოულობდი მხატვრის თანაშემწეობას. უფროსმა მითხრა: „ალაგი არ არის, თუ გინდა შავ მუშათ დადექიო“. მეც კბილის გასინჯვა არ დამიწყია და მაშინვე მივიღე ეს წინადადება. შავი მუშის ჯამაგირი მაშინ გადაწყვეტილი იყო 60 კაპ. მე როგორც, მცირე წლოვანს, დამინიშნეს 55 კაპ. ამითაც კმაყოფილი დავრჩი, რადგანაც ლაქიობას ვშორდებოდი. როცა სასტუმროს პატრონს გამოვეთხოვე, მან დამიწყო: „სად მიდიხარ, ლაქიობაზედ კარგი ხელობა არ არის, ამით გამდიდრება შეიძლება, მე რომ თავადიშვილი არ ვიყო მე თვითონ ლაქიათ დავდგებოდი“-ო. მე ვუპასუხე: „გამდიდრების წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მაგრამ ლაქიობით გამდიდრება არ მინდა“—მეთქი. ამით გავშორდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპოში მუშაობა.

დავიწყე ტფილისის დეპოში მუშაობა შავ მუშათ. ეს იყო 1895 წელს. საზოგადოდ მუშები სცხოვრობდენ ნაძალადევში და დიღომში. ნაძალადევში მაშინ ორი სამი სახლი თუ იქნებოდა, დანარჩენი სულ მინდორი იყო. ამ მინდორზედ, რადგანაც სხვა გასართობი არ იყო და გართობა ადამიანისთვის კი ისეა საჭირო როგორც პური, იმართებოდა ცეკვა, თამაში, სიმღერა, ჰიდაობა, ბურთის თამაში. ეს იყო საშუალება ფიზიკურ განსავითარებლად, თუმცა ამისთვის საკმარისი იყო მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ჩვეულებრივ 10—12 საათი და 16-ტიც. გონების განსავითარებლად არაფერი არ იყო და არც ჯავიან ფიქრობდა ამაზე. წიგნების და გაზეთების ხსენებაც კი არ ყოფილა. თუ სადმე ვინმესთან იპოვნიდით წიგნს, ეს იქნებოდა აუცილებლად ზღაპარი „ყარამანიანი“ და ესეც ძალიან იშვიათად. მეც ამ ყარამანიანს ვკითხულობდი. გროვდებოდენ მუშები და მისმენდენ. წავიკითხე ათი თუ თორმეტი კარი. ძალიან მოსწონდათ ის ალაგები, როდესაც გარდაქმნილი და ყარამანი მთას-მთას შემოკრავდენ და ამ დროს მთელ დედმიწას ზანზარი გაჰქონდა. ეს თამაშობები და ყარამანიანი იყო ჩვენი მთელი ჰკუის და ტკივნის საზრდო. ესენი იყვნენ ჩვენთვის თეატრიც, კლუბიც, ლექციაც, სწავლა განათლებაც და ყველაფერი.

კარტის თამაში.

ამ დროს, ერთმა, ვანიჩა მალაქოვმა „კეთილი ჟუო მუშებს“, „გაბედნიერა ისინი“ და გაიღო „ტრახტირი“. დადგა შიგ ბილიარდი გააჩალა კარტის თამაში და შეიტანა „განათლება“ მუშებში. ამ „განათლებამ“ ცოტათი მეც გამიტაცა. მუშაობის შემდეგ შეუდგებოდი ბილიარდის თამაშს. მერმე კარტსაც შევეჩვიე. აქ უკვე დამავიწყდა დედაჩემის დარიგებები. ზოგიერთი უფრო ხნიერი მუშები გვარიგებდენ; „ნუ თამაშობთ, კარი არ არის“-ო, მაგრამ ვინ უჯერებდა. ერთმა მჭედელმა გვარათ რატიანმა ამ დარიგებაზე ხუმრობით უპასუხა: „სახლიდან, რაჭიდან შემომითვალეს, რომ უეჭველად ბილიარდის და კარტის თამაში ისწავლეო და მეც ამიტომ ვცდილობ“-ო. ამ დარიგებებმა ჩემზე ცოტა ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ნივთიერმა პირობებმა, მოახდინეს გავლენა. ჯამაგირს რომ მივიღებდი, გაეშურებოდი „ტრახტირში“, სადაც ან წაეგებდი და თუ მოვიგებდი, სულ ერთია, ისიც წაგებული იყო, რადგანაც მოგროვდებოდენ „ძმა ბიჭები“ და აბა მოგებული ხარ და დახარჯეო. თამაშობის ეთიკაც ამას მოითხოვდა. უნდა დაგეხარჯა. მეც კეთილ სინდისიერათ ვასრულებდი ამ ეთიკას. ამ ეთიკამ იქამდე მიმიყვანა, რომ არც ტანისამოსი მჭონდა, არც ფეხსაცმელი, დედ-მამა სულ დამავიწყდა. ამ „ბედნიერებამ“

თითქმის ერთ წელიწადს გასტანა. მუშაობაზედაც იშვიათათ ვცხადდებოდი და თუ არ მაგდებდენ ალაგიდან, ეს იმით აიხსნება, რომ ჩემი ბრიგადირი, ვერტაუზოვი ცოტა მშიშარა კაცი იყო, რომელსაც გაგებული ჰქონდა, მე რომ სამხატვრო ცეხის ბრიგადირს ვცემე. მეც ვსარგებლობდი ამით და ვეუბნებოდი: „თუ რაიმე ცუდი გითქვამს ჩემზედ გცემ“—მეთქი. ისიც მპასუხებდა: „შენთვის არ არის კარგი, თორემ მე არაფერს არ ვიტყვი“-ო.

ასე, როგორც ზემოთა ვსთქვი, ამგვარმა ჩემმა ცხოვრებამ გასტანა ერთ წელიწადს. ბოლოს დავინახე რომ ჩემი „ჰკვიანი კაცობა“ გაბათილდა. დავფიქრდი და გადავსწყვიტე თავი დამენებებინა ასეთ უმზაესო ცხოვრებისათვის. თუმცა თავის დანებება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ბოლოს საკუთარი „მე“-სთან დიდი ბრძოლის შემდეგ გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე.

წიგნების კითხვა.

დეპოში სამკითხველო იყო, რომელსაც გამგეობდა ერთი ქისტი, დოლგიევი, მეტად პატიოსანი კაცი და ამასთანავე განვითარებულიც, მაგრამ საუბედუროდ ქართული ენა არ იცოდა. ჩავეწერე სამკითხველოში 1894 წლის დასაწყისში. როდესაც წიგნი ვთხოვე გამგეს, მან შემეკითხა თუ რა წიგნები მჭონდა წაკითხული. „ყარამანიანი“—მეთქი ვუპასუხე. პირველად მომცა „ელგუჯა“ ყაზბეგის თხზულებიდან, რამაც ძალიან დამინტერესა, რამდენიმე ღამეში წავიკითხე. „შემდეგ მთელი ყაზბეგის თხზულება წამაკითხა. ყაზბეგის შემდეგ მომცა ილია ჭავჭავაძის; „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ და სხვა. ასე დავეწაფე ქართულ ლიტერატურას და ვკითხულობდი გულმოდგინეთ. ჩემ ბრიგადირს უკვირდა, რომ მუშაობას ისევ ერთგულად მოვკიდე ხელი და განცვიფრებული შემეკითხა: „რაშია საქმე, რა მოგივიდაო?“—„წიგნებს ვკითხულობ, ბილლიარდსა და კარტს თავი დავანებე“—მეთქი. მანაც მირჩია ასევე მოვქცეულიყავი შემდეგშიც და განმეგრძო წიგნების კითხვა. გავიცანი დეპოშივე მომუშავე მჭედელი მიხა ბოჭორიძე და არაქელა ოქუაშვილი, ისინი მაშინ ცოტათი პოეტობდენ და ბევრს ქეიფობდნენ. მიხა ქალაქში გამოჩენილი „დამრტყმელი“, მოკრივე იყო და სულ იმაზე ლაპარაკობდენ. ახლა შეიძლება ახალგაზრდებს გაუკვირდეთ: „კრივზედ რა სალაპარაკო იყო“-ო, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, კრივზედ ლაპარაკი მუშებში ისე იყო გახშირებული მაშინ, როგორც ახლა მარქსზე და ლენინზე. ქალაქში იყო ოთხი ძმა აფარდიაშვილები, რომელთა დამმარცხებელი კრივში არავინ იყო; მიხამ კი ამ ოთხსავე ძმას ერთად სცემა, ე. ი. დაამარცხა კრივში და ამა წარმოიდგინეთ რა სახელი ექნებოდა გავარდნილი. ყველა მოწიწებით ექცეოდა და მეც თავი მომწონდა, რომ ამნაირი განთქმული კაცი ჩემი მეგობარი იყო.

მიხა არსად შკოლაში ნამყოფი არ იყო. ქართული წერა-კითხვა მას თვით შეესწავლა, ისე რომ წიგნების კითხვა არ შეეძლო. მოვიდეთ ერთად სწავლას და კითხვას ხელი. მიხამ ანგარიში ოთხი მოქმედება არ იცოდა. მოინდომა შესწავლა. სამუშაოზე გარნოს ახლო იარაღის დიდი ყუთი ჰქონდა, ამ ყუთის სახურავს გადაკრული ჰქონდა „ცესტი“ და რადგანაც ცარიცე ბევრი იყო, დავიწყე მისი ანგარიშში მაცადინობა, ვასწავლიდი ოთხ მოქმედებას. დიდი ნიჭიერი კაცი იყო. ამ ვაჟკაცმა, რომელმაც ოთხი მოქმედება არ იცოდა, ბოლოს მშვენივრათ შეისწავლა მათემათიკა და მერე მე მასწავლა. უვიცი მშვიდი შემდეგში შესანიშნავი ბუხგალტერი გამოვიდა, აგრეთვე კარგი შეგნებული რევოლიუციონერი და სოციალისტი.

პატრიოტ-ნაციონალისტობა.

მასწავლებელი არავინ მყავდა. ჩემი მასწავლებელი მარტო წიგნები იყვნენ. სხვათა შორის წავიკითხე აგრეთვე ნათარგმნი „ცეცხლითა და მახვილით“. თითქმის ყველა ჩემ მიერ წაკითხული წიგნები პატრიოტულ-ნაციონალისტური შინაარსისა იყვნენ. ისეც, საზოგადოება, თუ კი მაშინ ჩემთვის იყო რაიმე საზოგადოება, ნაციონალისტურათ იყო განწყობილი. მეც ვფიქრობდი სამშობლოს განთავისუფლებაზე. ეს სამშობლოს განთავისუფლება გამოიხატებოდა იმაში, რომ თავიდან მოგვეშორებინა როგორმე რუსეთის სულთა-მხუთავი ჩინოვნიკები. მე მაშინ ყოველი რუსი ჩვენი მტერი მეგონა, რადგანაც სოციალისტური მუშური მოძრაობის არაფერი გამეგებოდა. ოთახში ვცხოვრობდით მე და დათიკო დვალი (ახლა მენშევიკია), ტოკარის ცეხში მუშაობდა, ისიც იმას ცდილობდა, როგორმე ილია ჭავჭავაძე გავემეფებია საქართველოში. ასეთი უკუღმართობისაკენ იყო მიქცეული ჩვენი ყურადღება.

პირველი წრე.

ერთ საღამოს 1896 წლის დასაწყისში, დათიკო დვალმა მითხრა, წრე სდგება, შვიდ-კაცამდე შედის შიგ და შენც წამოდიო. მე რასაკვირველია სიხარულით დავეთანხმე და უთხარი, რომ მიხა ბოჭორიძეც წავიყვანოთ მეთქი. მე წრიდან სამშობლოს განთავისუფლებას მოველოდი. „აქ შევიკრიბებით, მოვემზადებით, გავრკვეთ რუსებს და გავამეფებთ ქართველს“—მეთქი ვფიქრობდი მე. პირველ წრეში სულ მუშები შედიოდნენ: შვიდი კაცი: მიხა ბოჭორიძე, გ. ჩხეიძე, ვანო სტურუა, დათიკო დვალი, დათიკო როსტომაშვილი, ალექსანდრე კარიანი და ილიკო კოპალეიშვილი. მოვიდა ჩვენთან ვასო ცაბაძე. როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც ვასომ გვითხრა, რომ მუშა ვინც უნდა იყვეს ის, რუსია, ქართველი სომეხი, თათარი ებრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელი თუ ვინც გინდა იყვეს, ერთი ინტერესები აქვთ საერთო, ერთად უნდა შეერთდენ და იბრძოლონ მტრის წინაღმდეგ. ეს მტერი არის ყველა მდიდარი, რომელ ნაციასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ქართულს, ფრანგულს, სომხურს თუ სხვას. მოკლეთ, ეს იყო პირველი ჩვენი საუბარი. მეტიც არ გვინდოდა. ამ დღიდან გადავსწყვიტეთ, რომ გვემუშავნა ყველა მუშების შესაერთებლად და გვებრძოლა. ამ ერთ საღამოს შემდეგ ჩვენი პატრიოტობა გაქრა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ერების სიძულვილი ღრმად იყო ჩანერგილი ჩვენში, და შემდგ იმის ცდაში ვიყავით დავახლოვებოდით ყველა ერის მუშას.

აქედან დაიწყო ჩემი სოციალისტურ-პოლიტიკურ-რევოლიუციონური მოღვაწეობა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ჩოდრიშვილი

ამხ. კამო

(მოგონება)

მე არ შევუდგები ამხ. კამოს რევოლიუციონური მუშაობის დაწვრილებით აღწერას; ეს ძნელია და ისტორიის საქმეა.

მე მხოლოდ ვწერ იმაზე, რაც მას ჩემს ხსოვნაში ჩემს ირგვლივ გაუკეთებია და რაც ჩემის თვალით მინახავს.

მე მხოლოდ ვწუხვარ და დიდათაც ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი ტრაღიკულად, უდროოდ დაღუპულ ამხანაგის დასაფლავებას, რომ უკანასკნელათ გამოვსალმებოდი და მეთქვა: მშვიდობით, ჩემო კამო!

ჯერ სიბერემ და მერე წყეულმა ავადმყოფობამ შემიშალა ხელი.

ბორჯომის არემარეში ბომბივით გაეარდა ხმა, გავიგეთ კიდევ ერთი თავზარდამცემი ამბავი, რომელიც ამცნო დეპეშებმა ქვეყანას. რა იყო, რა მოხდა—ეკითხებოდნენ ერთმანეთს ღრმათ დამწუხრებული ამხანაგ-მეგობრები.

სრულიად საღი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე რევოლიუციონერი—გმირი! და თითქოს არავის უნდოდა დაეჯერებია მოსული ამბავი. ვიმშვიდებდით სევდით შეპყრობილ გულს და ვიმეორებდით: არა, ის გასალკლდეველები, რკინის კაცია, რა მოჰკლავს მას-თქო.

ის უკვდავია, მას ვერაფერი ვერ მოერევა, იგი ბევრ ჭირვარამშია გამოცდილ-ნაწრთობ-გაფოლადებული, მისი არსება რევოლიუციონური სულით განყოეთილია, გათლისმებულია და ამიტომაც მას სიკვდილი ვერ დასძლევს, ვერ მოერევაო, ვინუგეშებდით თავს. მაგრამ ვაი ჩვენ ოცნებას, როცა დავინახეთ გაზეთის ფურცლებზე, შავ-ბნელ არშიებში ჩაწერილი სამგლოვიარო წერილები ამხანაგ მეგობრისა, რომელთა გულის სიღრმიდან ამოეხეთქა სევდა სიმწუხარემ, რაც ჩვენ გულის სიღრმესაც მწარედ სწვდებოდა.

მაგრამ ჩემ მოხუც გულს მაინც არ სჯერა კამოს სიკვდილი. კამო ჩემი სულიერი შვილი იყო და მგონი ჩემ გულსაც მიტომ არ სჯერა.

არა-არა, კამო არ მომკვდარა, ის მხოლოთ ხორციელათ გარდაიცვალა.

მისი ხსოვნა, სახელი უკვდავია და როგორც აწმყოსი, ისე მო-
მავლის პროპაგანდისტ-აგიტატორია და მებრძოლების მომამზადე-
ბელი მასწავლებელი. ის არას დროს არ მოკვდება. ის თავის გმი-
რული მოქმედებით მუდამ ჩვენთან იყო და კიდევაც იქნება.

მაშ, ვინ იყო კამო და რა გააკეთა მან, რომ ასე ჩასტირიან საფლავში ამხანაგ-მეგობრები.

კამო იყო 1 თუ 2 კლასის მოწაფე, ნერსესიანთ სემინარიიდან გამოსული და თვითგანვითარების სულით და გულით მსურველი.

1897 წლის უკანასკნელ თვეებში, როგორც თითონ თქვა, შე-
ვიდა ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ჩემმა დაუვიწყარმა ზაქრომ, მოიყვანა 16 თუ 17 წლის ყმაწვილი კაცი, ჯერ ისევ სემინარიის გრძელ შავ პალტოში გამოწყობილი და მითხრა: ი, ძამია, ვიშოვნე კიდევ ერთი ახალგაზრდა, მაგრამ—ენერგიით სავსე ამხანაგია, და ვიცი შენც გაგეხარდებაო. ამ დროს კამომაც ხელი გამომიწოდა და მხურვალეთ მივესალმეთ ერთმანეთს.

ჩემს წინ იდგა ცოტად მოქერო, შუა ტანის ახალგაზრდა ყმაწვი-
ლი კაცი: ცოცხლათ ათვალიერებდა და ხარბათ დაჰყურებდა ჩემს სახელოსნოში გაკეთებულ საქმეებს და თითქოს უნდოდა ყოველის-
ფერი ერთბაშათ თვალით გაეზომა და რაც კი რამ იყო იქ, ერთბა-
შათ დაენახა.

პირველ ჩემ შენიშვნაზე—რომ ჯერ პატარა ხარ და რომ ჯერ დემთავრებინა სემინარია და მერე შესდგომოდა პარტიულ მუშაო-
ბას უკეთესი იქნებოდათქო. უპასუხა: მე ეხლა ისეთი პატარაც აღარა ვარ, რომ არ მესმოდეს, რა უნდა გავაკეთო და რას ვემსახუროვო.

სემინარია ეს არის მხოლოდ ადამიანის ტვინის გამლაყებელი, გონების დამბნელებელი, მატყუარობის, მუქთა ხორობის და ფარი-
სევლობის დაწესებულებაო. ეს ისეთი ხაზით, გაბედღვათ, მახვილი სატყვებით გამოსთქვა მან, რომ მთელი ტანი, თვალები და ხელები მთლად აუთამაშდნენ, თითქოს ვისმეს ემუქრებიანო.

და მერე კიდევ გაჯავრებული კილოთ განაგრძო და სთქვა: მერე რა უნდა გამოვსულიყავ სემინარიიდან? მხოლოდ „ტერტერა“, ჩამეცა ანაფორა და შევდგომოდი გლეხებისა და მუშების ყელეფასო. ამას მე კარგად ვგრძნობ, ვინაიდან სულ ჩემი თვალით ვხედავ რაც ხდება; მე თუმცა პატარა ვარ, მაგრამ—მშრომელი ხალხის შვილი, მათში აღვიზარდე, ამიტომაც მივანებე თავი „სატერტერო“ სწავლას და ახლა შეუდექ ხალხის საკეთილდღეოთ სწავლას და ცოდნას. მე მზად ვიქნები ყოველთვის დაუზარებლათ შევასრულო დავალებანი. მე მწყურია, რომ მუშა ხალხს ვემსახურო, და თუ საქმე მოითხოვს შევეწირო კიდეცო.

მე ისე დავინტერესდი კამოს ასეთი გაბედული ლაპარაკით, რომ კიდევ შევეკითხე: პატარა ძამიკო, მერე არ იცი, რომ სოციალისტების ბედ იღბალი პოლიცია, ჟანდარმები, ციხე, ციმბირი, სახრჩობელა და კატორღა არისთქო. ამაყათ მიპასუხა: მე მინამ მხრებზე თაი მაბია არავის შევუშინდებიო.

თუ მთავრობა თავის ჯაშუშ პოლიციელებით ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის, მეც ჩემი ამხანაგებით ვიბრძოლებ მათ წინააღმდეგ და ვინც ღელას გაიტანს, იმედი მაქვს, ამასაც მოვესწრობი. მე მყავს კარგი ამხანაგები და სადაც ესენი იქნებიან, მეც იქ ვიქნები. ახლა კი, თუ მაქვს რამე საქმე გამაკეთებინე და მაშინ ნახავო.

მაშ კარგი და ხუმრობის კილოთი ეუთხარ: თუ ასეთი გამბედავი ხარ და არ გეშინია, ნაძალადევში ერთ სახიფათო ალაგზე ჩვენი ლიტერატურაა და შენ და ზაქრომ სწრაფათ ჩემთან უნდა მოიტანოთ და საღამოზედ რომ შებინდდება უშიშარ ალაგზე გადავიტანო.

მართლა და სულ არ გასულა ერთი საათი, რომ კამო სოფლელის ტანისამოსში გამოწყობილი სავსე ხურჯინით მომადგა კარზე.

ხურჯინის ერთ მხარეს ზემოდან ხახვი ეწყო და მეორე მხარეს კარტოფილი, ქვეშ კი ლიტერატურით სავსე, ასე გაიმეორეს რამდენიმეჯერ. და ხურჯინს ზემოდან ხან მწვანილს და ხან ხილს აწყობდენ და ასე გადმოზიდეს ძველი ბინიდან და ახალ ბინაზედაც ჩუღურეთში—კამომ, ზაქრომ და მელანამ, გადაზიდეს საღამოთი.

ასე რომ პირველ დაწყებითვე კამომ ასეთის მოხერხებით, ლიტერატურის, სტამბის ნაწილების და სხვა და სხვა საჭირო საგნების გადატან-გადმოტანა ხელობად გაიხადა და რა საქმესაც კი ხელს მოჰკიდებდა თავგანწირულად ასრულებდა.

კამოს ყვანდა თავისებური ამხანაგები, როგორიც იყო გ. თელია, ზაქრო ჩოდრაშვილი და სხვა, რომლებიც თავგანწირულათ იბრძოდენ და რომლებიც უშიშრად ქუჩებში, კედლებზედ, ტელეგრაფის ბოძებზედ პროკლამაციებს აკრავდენ და თვატრებში წარმოდგენის დროს ლოჟებში და პარტერებში ფურცლებს აყრიდენ თავზე ბურჟუას და არისტოკრატებს.

აგრეთვე პირველ მაისობას, სადაც კი მოსახერხებელი იყი ქუჩებში ფურცლებს აბნევდენ და დემონსტრაციას მართავდენ მასიურად, როგორც ცხრაას პირველს, ცხრაას მეორე და ცხრაას მესამე წლებში, პირველი ალექსანდრეს ბაღთან, მეორე შუა ბაზარში და მესამე რუსთაველის ქუჩაზე.

აი ასეთი იყო კამოს ჯგუფის ტეხნიკური მუშაობა პირველად.

1901 წლის მიწურულებში, პარტიულმა კომიტეტმა კამო ევროპიულათ შემოსა და ბათომში პარტიული ლიტერატურა გაატანა, მაგრამ კამო ბათომის სადგურზედ ჟანდარმებმა დააპატიმრეს და ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ ბათომის ციხეში ჩასვეს. ციხეში იჯდა 10 თუ 11 თვე, შემდეგ აქედან გაიქცა ქუთაისში, ტფილისში დაბრუნდა და დაიწყო მუშაობა. სადაც კამოს მისვლა საშიშო იყო იქ ან დეიდას ან დებს გაგზავნიდა ხოლმე საქმის გასაგებად და ან რამის წასაღებად. ასვე დეიდა ან რომელიმე დას გზავნიდა ჩემთან რამეს წასაღებად. შემდეგ კამოს დეიდა ცხოვრობდა აბას-აბატის მოედანზე, და კამასთან სცხოვრობდენ სოსო ჯუღაშვილი, გ. ელისაბედაშვილი და მ. ჯორგენიძეც.

1905 წელს მე დიდებიდან გადმოველ მიხეილის ქუჩაზე და ვცხოვრობდი სადურგლო სახელოსნო სწორედ ვეტკელის სასტუმროს პირდაპირ, რაიც კამოსაც ძლიერ გაეხარდა და მითხრა: აი ახლა ეს ქუჩა ცენტრი იქნება და აქედან მუშაობაც უფრო გაგვიადვილდებაო.

ამავე წლის მიწურულში, დიდი კრებები იმართებოდა ყველა რაიონებში და დისკუსიები ბოლშევიკ-მენშევიკთა შორის. ამ კრებების დროს მოხდა დიდი „პრაველი“, როდესაც კომიტეტის წევრთა ჩამოვლასობა დაიჭირეს და მეტეხში ჩაკეტეს. ამ დროს კამომ დიდი როლი ითამაშა. დატრიალდა დანარჩენ ამხანაგებში; შესდგა დროებითი კომიტეტი. გვინდა რომ ფურცლები გამოუშვათ, მაგრამ ტპამბა არა გვაქვს და არც ასოები. ესეც კამომ იღვა თავს, ასოებს ვიშოვნიო. ხის სახელდახელო საბეჭდი კამოს სადღაც ეშოვნა რუსულ-ქართული ასოებით, თითონ ჩაეცვა კინტორად, ასოები ჩაწყო ხის თაბახში, ზემოდან დაეყარა მწვანილეულობა და შიადგა ჩემს ბინაზედ. თაბახი ასოებით ჩემთან დატოვა და მითხრა: ერთ საათში მოვალო და სადღაც წავიდა. ორი საათის შემდეგ მოვიდა და ასოები წაიყო და საბეჭდს კი ხვალ წავიღებო, საბეჭდიც მეორე დღეს მზათ იყო. მეორე დღეს დილით მოვიდა ჩემთან კამო, სოფლის ვაჭარ-ებრაელათ გამოწყობილი, ხის საბეჭდი და მისი მოწყობილობა, ტომარაში ჩაწყო, იღლიაში ამოიდო და რომ მიდიოდა შეკითხეს:—ბიჭო რო შეგხვდეს ვინმე და გკითხოს ეგ რა არი? შენ რას ეტყვითქო. შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვსო, სულ ადვილად მოვიცილებ თავიდანო, ვეტყვი ძაფის ამოსახვევი ჩიხრახიათქო, მართლაც და ძაფის ამოსახვევსა ჰგავდა საბეჭდი. საქმე ის არის, რომ სიტყვაც მოსწრებული ჰქონდა კამოს.

სამი დღის შემდეგ მოვიდა მეთევზურად ჩაცმული გულგაღეღილი, ლურჯი გაქონილი ახალუხით, გვერდზე მოქცეული ქუდით, ვნიერი შალვარით, ერთ ტოტჩამოშვებული და მეორე ფეხსაცმელში ტანებული, ერთ ხელში უჭირავს ვედრო, მეორეში კალათი და ბაზრე გადებული გძელი ლერწამის ჯოხზე დახვეული ჩანგალ კანაფით, როგორც მეთევზეებმა იციან. კალათაში ძირში ეწყო ფურცლები თეთრ და წითელ ქაღალდზე დაბეჭდილი, ზემოდან წაფარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ნახევრად დაწნული ბადე და დაშლილი კანაფი. ასეთი იყო კამოს მოხერხება და მოსაზრებული ტეხნიკური მუშაობა.

წითელი ფურცლები მე დამიტოვა და თეთრი ფურცლები კი წაიღო რაიონებში დასარიგებლათ, მხოლოდ მითხრა, რომ საღამოს 8 საათზე მოვალ და წავიღებო. მართლაც საღამოს 8 საათზე მოვიდა სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილი და გიორგი თელიაც მოიყვანა თან. მათ უბეში ჩაიწყეს ფურცლები და წავიდნენ.

იმ საღამოს არტისტიულ თეატრში რაღაც წარმოდგენა იყო, სადაც თავი მოეყარა აუარებელ არისტოკრატიას, ამ დროს, კი ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები საქმეს აწყობდენ. მარჯვნივ და მარცხნივ გალიორკაზე პირველ ანტრაქტის დროს ერთბაშათ რამდენიმე წამით ჩამობნელდა და ამით ისარგებლეს ჩვენმა ამხანაგებმა და ფურცლები მთლათ თავზე გადაბნიეს გენერლებს და სხვა ღიპიან საზოგადოებას. თითონ კი უცნებლათ მოუსვეს შინისკენ.

აი ასეთი მოხერხებით და გამბედაობით აკეთებდა რეეოლიუციონურ საქმეს ჩვენი დაუვიწყარი ამხ. კამო.

ახლა მინდა ვილაპარაკო, იმაზე თუ როგორ გამოიქცა კამო 10-11 თვით ბათუმის ციხეში ჯდომის შემდეგ ქუთაისში და ქუთაისიდან კიდევ ტფილისში.

მახსოვს, ზაფხული იყო. საღამოს 5 საათზე მე ჩემს სახელოსნოს ვალაგებდი, ზურგი მიქცეული მქონდა კარებისაკენ, რომ ამ დროს ერთბაშათ ვიღაცამ მხარზე ხელი დამკრა და შემომძახა—გამარჯობა შენიო. მივიხედე უკან, მაგრამ ვერ ვიცანი, რადგან ხმაც და ტანისამოსიც გამოცვლილი ქონდა,—იმერეთ-თავადის ჩერქესკაში გამოწყობილიყო, წვერ-ულვაში შავათ შეეღება, თუმცა თმა ჩვეულებრივ წაბლის ფერი ქონდა; აგრეთვე მაღალი ყელიანი წუღები ჩაეცვა და ერთბაშათ ვერ ვიცანი, მაგრამ მეორეთ რომ გამომეხმაურა და შემომძახა „ჰაი, შე ბებერო, ვეღარ მიცანი განა—ო და თანაც მომვარდა,გადამეხვია და კოცნა დამიწყო, მე ვიცანი და შევძახე: კამო, შენ ხარ ბიჭო, ვეღარ გიცანი ერთბაშათ-მეთქი. ან რას ვიცნობდი იმერეთის თავადს დამსგავსებოდა.

— ბიჭო, საიდან და როგორ გადაურჩი მაგ მტარვალ მეფის ჯალათებს?—ვკითხე მე.

— შევიდეთ ოთახში და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობო, მითხრა კამომ. და ჩვენ შევედით იქვე სახელოსნოს გვერდზე ჩემს საცხოვრებელ ბინაში.

— მე ერთი თვე ვემზადე გასაქცევათ და ველოდი შემთხვევას მხოლოდ,—დაიწყო მან მოთხრობა ბათუმის ციხიდან გამოქცევის ისტორიისა.—სანამ ეს შემთხვევა მომეცემოდა ჩემს დარაჯებს ვამზადებდი. მათ შორის აღმოჩნდენ კარგი ბიჭები. ერთი მათგანი შენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგათ გიცნობს; იგი ტფილისში ყოფილა სალდათათ და აქ შენს სახელსნოში, სალდათი იუნკრების არა-ლეგალური კრებები ხშირად ჰქონია; აგრეთვე უყლია მიტინგებზე და იქიდან იცნობს სხვა ჩვენს ამხანაგებსაც, სხვათა შორის ზაქრისაც. სახელათ მას ვანია ჰქვიან— გვარი კი ბიჩკოვი. სარატოვის გუბერნიიდან არის, რკინის გზის მუშა ყოფილა სალდათობამდის; ერთხელ დაჭერილიც იყო თურმე პოლიტიკურ ნიადაგზე და სარატოვის ციხეშიც მჯდარა. აქ ეხლა სალდათებსაც ამიტომ უყვართ ბიჩკოვი.

ჩემ გაქცევაში მან დიდი დახმარება გამიწია. პლანი გაქცევისა ბიჩკოვთან ერთად მქონდა შემუშავებული. ციხე, ხომ იცი, მიხა, ზღვის პირად არის, ირგვლივ ქვითკირის კედელი უვლის, სიმაღლე კედლისა 4 არშინამდე იქნება. შიგნიდან და გარეთაც დარაჯები დგანან.

საღამოს 9 თუ 10 საათი იქნებოდა, წვიმდა კოკის-პირულათ, საშინლათ ღელავდა ზღვა. თითქო განგება მიწყობდა ხელს; ბნელოდა თანაც.

შიგნით დარაჯთან საქმე მოწყობილი მქონდა. გარედან დასავლეთის მხრივ ბიჩკოვი იდგა სადარაჯოზე, ზღვის მხარეს კი ღელვის გამო დარაჯი სრულებით არ იყო. ჩემს კამერის გვერდზე ეზოსკენ გასავალი კარი ღია დარჩენილიყო. აი ამ დროს, როცა „პროვერკა“ სწარმოებდა მე ვისარგებლე და გამოვედი ამ კარებით ეზოში. დარაჯი ეზოში თუმცა ჩვენი იყო, მაგრამ არც იგი სჩანდა, რადგან წვიმის გამო იქვე სადღაც მახლობლათ შეეფარებია თავი... მე აქ ალარ დავაყოვნე და სწრაფად წავედი იმ კედლისაკენ, რომლის მეორე მხარეზე ბიჩკოვი იდგა. ავცოცდი კედელზე, იქიდან ერთბაშათ გადავეშვი ძირს და კინაღამ პირდაპირ ბიჩკოვს დავეცი თავზე მიწაზე ფეხის დადგმის დროს. ბიჩკოვმა შემამჩნია, არ დაიბნა იგი და მიმითითა პირდაპირ ალექსანდრეს ბაღისაკენ. გავედი გარეთ, ქუჩაში არავინ სჩანდა და პირდაპირ გავსწიე ნურის ბაზრისაკენ. იქ მყავდა ერთი ნაცნობი წვრილი ვაჭარი, ყოფილი მუშა, რომელიც წინათ მანთაშოვის ქარხანაში მუშაობდა; იგი დათხოვნილი ყოფილიყო ქარხანაში გაფიცვის გამო. იჯდა აგრეთვე ჩემთან სამი თვე ციხეში, მას ყავდა მეორე ძმა, რომელიც ცხოვრობდა ბარცხანაში—როტშილდის ქარხნის მუშა იყო. იმ ღამეს მე მასთან მომიხდა ღამის გათევა. მეორე დღეს ჩემი ტანისამოსი მას დაუტოვე, მისი მე ჩავიცვი და წამოვედი. ქუთაისში ეს ტანისამოსი მომცეს ამხანაგებმა და წამოვედი ტფილისში. აი ჩემი ბათუმის ციხიდან გამოქცევის ისტორია.

ერთი კვირის შემდეგ კამო ჩემთან შემოვიდა სახელსნოში და შემიკვეთა რბილი ტახტი. ორივეს გასაღები „სეკრეტნი“ უნდა ქონოდა, რადგან ტახტს ქვეიდგან უჯრები ექნებოდა, რაშიაც იარაღი და პარტიული ლიტერატურა უნდა შენახულიყო; გაღება—დაკეტის საიდუმლოება მარტო გამკეთებელს და კამოს უნდა ცოდნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ ტახტები უკვე მზათ აყო; კამომ იგი მგონი ვერაზე წაიღო.

ამ ხანებში კამომ ბომბების კეთებაც დაიწყო, რის გამოც ერთხელ თვალში და ხელში დაშავდა კიდეც.

1905 წლის მიწურულში მეფის მთავრობამ ერთობ გააძლიერა სუსხი მებრძოლ რევოლიუციონერების წინააღმდეგ; მათ გადაწყვიტათ, რომ მუშების რაიონი—ნაძალადევი ღამე პლასტუნების თავდასხმით აეკლოთ, გაენადგურებიათ ეს რევოლიუციის ბუდე. მუშებმა ეს ადრევე გაიგეს და რამდენიმე მებრძოლი მოწინავე ამხანაგი, უმეტესათ ბოლშევიკებისაგან შემდგარი, შეიარაღებული ბომბებით და ვინტოვკებით სცდილობდენ დაეცვათ ეს რაიონი.

ამ რაზმში კამოც იღებდა მონაწილეობას. მათ დაიკავეს პოზიცია ხუდადოვის ტყესთან ნაძალადევის გორაკების გასწვრივ, საიდანაც პლასტუნები უნდა ამოსულიყვნენ....

აი ამ ღამეს იქნა მოკლული ჩვენი 9 ამხანაგი; დაიღუპა სისხლი საუკეთესო რევოლიუციონერებისა. ეს ამხანაგები იყვნენ: გიორგი ელიავა, მინა კალაძე, დვალიშვილი და სხვები. აქ სიკვდილს გადაურჩა კამო, მაგრამ მძიმედ დაჭრილი იქნა თავში, და დაჭერილი იგი გადაგზავნეს ციხის საავადმყოფოში.

ამ 9 ამხანაგის შეწირვამ იხსნა კი ქალაქის პროლეტარული მხარე განადგურებისაგან. მეორე დღეს ნაძალადევში გავარდა ხმა დახოცილ ცხრა ამხანაგის შესახებ, რომელმაც დიდი მღელვარება გამოიწვია საერთოდ მთელს ტფილისში და კერძოთ მუშათა უბნებში; განსაკუთრებით, როცა ნახა ხალხმა თავისი თვალით დახოცილ 9 ამხანაგის გვამები, ყელებ გამოჭრილი, ერთად დაწყობილი. სკოლაში თავმყრილი ხალხი ველარ იომებდა პლასტუნების ასეთ მხეცობას და დაიბარეს თავს დასხმოდენ პლასტუნების კაზარმებს ბომბებით და შიგ კაზარმებშივე ამოეკლიტათ პლასტუნები, მაგრამ აღელვებული ხალხი ამხანაგებმა დაამშვიდეს და არ მისცეს ამ ავანტიურის ნება.

ამის შემდეგ გახშირდა ბომბების სროლა პლასტუნთა კაზარმებში; მაგალ., ესროლეს ბომბა ორთაჭალაში პლასტუნებს.

ამან, რა თქმა უნდა, გამხეცებულ მეფის მთავრობაზე გავლენა ვერ იქონია. 1906 წელს უფრო გაძლიერდა რეაქცია. გამოცხადდა სამხედრო წესები, და მთელი ტფილისი გადაიქცა ერთ დიდ ციხეთ, საპყრობილეთ.

ამ სტრიქონების დამწერიც ვერ გადურჩა მეფის ჯალათ-ჟანდარმებს და 1 იანვარს ღამის 8 საათზე მეც დამატუსაღეს ჩემი ცოლით და მეტეხის ციხეში მომამთავსეს. აქ მე შევხვდი ამხ. კამოს კამერაში: მან აქ უფრო დაწვრილებით მიამბო ნაძალადევში დატრიალებულ ამბების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ ბრძოლის წინა დღეს — მომითხრობდა იგი, — სილიბისტრო ჯიბლაძემ რამდენიმე ამხანაგი შეგვკრიბა და გამოგვცხადა, რომ ხვალ საღამოს ნაძალადევს, როგორც რევოლიუციონურ, უბანს პლასტუნები თავს ესხმის და უნდა ვიხსნათო. აქ მოწინავე მუშებმა ყველამ თანხმობა განაცხადეს ამაზე და შეუდგენ პლანის შემუშავებას.

უმთავრესი შტაბი უნდა ყოფილიყო ეკლესიის გალავანში, სკოლის შენობაში რამოდენიმე კარგათ შეიარაღებული ამხანაგით. პლანის თანახმად 10 ამხანაგი ხუდადოვის ტყის ძირთან უნდა ჩასაფრებულიყო და მტრის შენიშვნისთანავე უნდა ეცნობებინა შტაბისთვის, რომელიც რაზმის ერთ ჯგუფს ჩერქეზოვის ქუჩით ხურო'ში მოუქცევდა პლასტუნებს, ხოლო მეორე ჯგუფი მარცხნივ გაუჩენდა ცეცხლს და ჩვენ კი ცენტრიდგან ბომბების სროლით შევებრძოლებოდით; ეს ერთ და იმავე დროს უნდა მომხდარიყო სამივე მხრიდგან, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა. ჩვენი სიგნალის მიცემის დროს შტაბის უფროსს დაძინებოდა და სანამ მას გააღვიძებდენ, აგერ პლასტუნებიც თავზე დაგვადგენ...

ელვის სისწრაფით დაგვერია პლასტუნების მთელი პოლკი და დაგვიწყო ხძლებით ჩეხვა; ჩვენ ერთობ ცოტანი ვიყავით, ისინი კი ბევრნი. ჩვენი ამხანაგები დაუნდობლათ იქნენ ამოხოცილნი. მე როცა პირველათ მტაცეს ხელი გაშმაგებულათ ვეცი პლასტუნის ოფიცერს, წამოვიდევი წელზე, ჩავაწვინე თოვლში და გავიხადე საფარათ. ამ დროს მოცვივდნენ დანარჩენები ჩემს ასაკუწვათ, მაგრამ ოფიცერმა, ალბათ იმ შიშით, რომ მასაც არ მოხვედროდა ხმალი სასიკვდილოთ, შეაჩერა პლასტუნები და მე რამოდენიმე ალაგას დაჭრილი პოლიციას გადამცეს; ასე გამომისტუმრეს აქ ციხეში. მე ვფიქრობ, რომ ამ 9 კაცის დალუპვა შედეგი იყო სილიბისტრო ჯიბლაძის უტაქტობისო, — დაასრულა კამომ მოთხრობა.

ერთი მწუხარებით ამოიოხრა და დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეზე ფიქრს.

მას უნდოდა რათაც არ დაჯდომოდა ციხიდან გაქცევა.

აი, მიხა, შენი კამერის ჭერის ფიცარს ამოვჭრი, თუ შენც დამეთანხმები და გავიქცევი. — მეუბნებოდა კამო თავის გაქცევის პლანებზე, — ბერხი უკვე მზათ მაქვს, ამას ისეთ დროს ვიზამ, რომ ვერავინ გამიგოს სრულებით; ამის გაკეთებას მე ვფიქრობ „პრაგულკის“ დროს, როცა ციხის მცველებიც და შენც გარეთ იქნებით. გაქცევის შემდეგ კი ამოჭერილს ისევ დავხურავ: აქედან ავალ სახურავში და შემდეგ გადავალ „სამშვიდობოზე“. ამისთვის ყველა საჭირო ზომები უკვე მიღებულია. ასეთი დაუდეგარი იყო კამოს მუშაობა ციხეშიც კი. მაგრამ კამო მეორე დღეს რაღაც იღბალზე სრულიად გაანთავისუფლეს და შეშუშაებული გეგმები ზედმეტი დარჩა. ოთხი თვის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ მეც გამანთავისუფლეს. ერთხელ კამო მოვიდა ჩემთან და მითხრა: ერთი ძალიან სერიოზული საქმე მაქვს შენთან და უნდა გამიკეთოო; ჩემს შეკითხვაზე,—თუ რა ასეთი სერიოზული საქმე ქონდა, მან მიპასუხა: აი რა, შენ გამიკეთებ დასაკეც კიბეს, რომელიც იქნება 12 არშინი სიმაღლიო; სასურველია იკეცებოდეს ოთხათ, ისე რომ უცბათ იხსნებოდეს და იკეცებოდეს.

ეს კარგი და კეთილი, მაგრამ ერთი მითხარი, გეთაყვა, ამით რა უნდა გააკეთო-მეთქი.

ჩვენ გავაჩაღებთ პარტიაში გაძლიერებულ მუშაობას. მოვფენთ ტფილისს და მთელ მის მაზრას რევოლიუციონურ ლიტერატურით, პროკლამაციებით და მაშინ გაიგებ თუ რათ მჭირია ეს კიბეო.

— მე მაინც ვერ გავიგე; განა მაგაში ფულს მოგცემენ თუ.

— არა, ამ კიბეს ჩავაყუდებ იქ, სადაც ტომრებით აწყვია ფულები, გამოვიტან და მოვახმარ რევოლიუციონურ მუშაობას, პარტიულ საქმეებსო—მიპასუხა მან —ამის გეგმა უკვე მზათა მაქვს და ეს აქტი ერთ კვირაში აუცილებლათ უნდა მოვახდინო, თუ ხელი არავინ შემიშალა. ხომ იცი ყველაფერი ასეთ შემთხვევებში გაბედულებაზე კიდია: თუ გაბედე და მოიხდომე, ყველაფერს შესძლებ... ტერტერებმა ეს ერთი კი მასწავლეს: „რასაც ქმებდე მას ჰპოვებდეო“ და ცდა, ხომ იცი, ბედის მონახევრეაო. აქ კამომ მიამბო თუ როგორ პირობებში უნდა მოხდეს ამ საქმის გაკეთება.

მე ეს შეუძლებლათ ვიცანი, ჩემის შეხედულობით ამას კარგი შედეგი არ მოყვებოდა და დაუშალე კიდეც. მით უმეტეს, მე კარგათ ვიცოდი ხაზინაში ფულის საწყობების ადგილ-მდებარეობა; მე თითონ მომხდენია მისი გაკეთება სხვა დურგლებთან ერთად.

ჩემს გამოთქმულს უარყოფით შეხედულებაზე კამო ჯერ დაფიქრდა და მერე სთქვა,—ეგ რასაც შენ ამბობ დიდი ხნის ამბავია და ეხლა იქნებ ისე აღარ არის, როგორც შენ მისურათებო; მაინც ყოველ შემთხვევაში ამ დღეებში გავიგებ დაწვრილებით და თუ მართლა მოუხერხებელი შეიქნება სხვა მხრივ მოუდგებით.

შემდეგ საქმის დაწვრილებით შესწავლამ ჩემი გამოთქმული შეხედულება გაამართლა, კამო და მისი ამხანაგები მე დამეთანხმენ და ამ განზრახვაზე ხელი აიღეს.

წინა დღით **ერევნის მოედანზე მოხდენილ საქმისა** მოვიდნენ ჩემთან კამო, დათიკო ჭიაბრიშვილი და არკადი ელბაქიძე და გამიზიარეს თავიანთი განზრახვა დიდი პარტიზანული აქტისა.

— მიხა, ჩვენ ამ მოტაცებულ ფულების შესანახავათ ორი ადგილი გვაქვს, ერთი აქ შენთან და მეორე ჩუღურეთში ერთ ამხანაგთანო—მითხრა ბოლოს კამომ.

კამოს რევოლიუციონერობაში დამახასიათებელია მისი ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზატორული ნიჭი; მისი სისწრაფე, ტეხნიკური მხარეების გამოგონება შეუდარებელი არის.

ერთხელ კაზაკის ფორმაში ეპოლეტებით გამოწყობილი, რევოლიუციონურ ლიტერატურით და დოკუმენტებით დატვირთული გაეშვავრა მოსკოვისაკენ.

ამის შემდეგ სამი ოთხი წლის განმავლობაში მე იგი აღარ მინახავს.

ვნახე ის მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ტფილისში, რუსეთის საკატორღო ციხიდან რევოლიუციის შედეგით განთავისუფლებული და დაბრუნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. დავიდოვი

მოგონებანი

1876—1906 წ.წ.

(გაგრძელება).

დაიბადა აზრი მომხმარებელი კოოპერაციის დაარსებისა გორში. ინიციატორთა ჯგუფში შედიოდენ მომრიგებელი მოსამართლე ან. ბუტენკო, ადგილობრივი გარნიზონის ოფიცერი ლიუბიმოვი, ქალაქის თვითმმართველობის წევრი აღალო ტუტაშვილი და სხვ. თუმცა მე არ ვიყავი შეცე—დელიჩის მომხმარებელი საზოგადოებათა მომხრე საერთოდ და ვოცნებობდი მხოლოდ მწარმოებელ ასოციაციებზე, მაგრამ იმავე მიზნით, რათა ადგილობრივ ძალებში გაეციცხებულიყო თვითმოქმედების სურვილი,—მე მივიღე მონაწილეობა წესდების შედგენაში, შემდეგ მის განხორციელებაშიც, ხოლო უარი განვაცხადე ამხანაგების წინადადებაზე ახალი კოოპერატივის ადმინისტრაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

წრე არ ფარავდა თავის ლიბერალურ აზრებს და მისი გაელენა გორის მაზრის ფარგლებსაც გასცილდა. ჯუზეპე გარიბალდის სიკვდილის გამო (ოთხმოციანი წლების დასაწყისში) „თავისუფლებისათვის მებრძოლის“ ოჯახობას (კაპრერას კუნძულზე) გაეგზავნა თანაგრძნობის დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა ოთხმოც კაცზე მეტი. შემდეგ იტალიის გაზეთები სწერდენ, რომ თანაგრძნობის აუარებელ დეპეშათა შორის არის აგრეთვე დეპეშა რუსეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან—გორიდან, რომელიც არ არის ნაჩვენები რუქაზეო. ბოლოს ამ დეპეშის გამო კბილებს იღესავდენ მეფის ჟანდარმები: „ა—ა! ეს თქვენ გაუგზავნეთ დეპეშა გარიბალდის ოჯახობას? ჩინებულია, ჩინებული“! *).

*) 1882 წელს მე და საკალაკო სასწავლებლის მასწავლებელმა კოტე გეორგიძემ გავმართეთ გამოსათხოვარი სადილი სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულთათვის; მოვიწვიეთ ოქრუაშვილი დირექტორი და მასწავლებელთა პერსონალი. სადილზე ბაღში, ჩვენ საცხოვრებელი ბინის გვერდით, ყველა თამამად ალაპარაკდა, წარმოითქვა მრავალი გულახდილი სიტყვა, განსაკუთრებით სახლის მასწავლებელთა შესახებ, რომელნიც მოწოდებულნი არიან იმუშაონ ხოფლის სიბნელეში დაბნეულებული მშრომელი კლასის სასარგებლოდ. სადილზე მოწვეულ იყვნენ ზოგიერთი მასწავლებელნიც სხვადასხვა სასწავლებლიდან. სხვათა შორის იყვნენ აქ გიმნაზიის უფროსი კლასების მოწაფენიც—სხვა გარსევანიშვილი და მიხეილ გვეტაძე ვანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მიზნით რათა წრის მუშაობას ქონოდა რაიმე ლეგალური ფორმა, გადავსწყვიტეთ დაგვეარსებია საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის საზოგადოება. მოვწყო რამდენიმე კრება საზოგადოების წესდების შესამუშავებლად. კრებები იმართებოდა მაზრის უფროსის შალვა ერისთავის ბინაზეც, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში იყო გიორგი ერისთავის მარჯვენა ხელი ქართული თეატრის საქმეში.

მაგრამ მუშაობა შესწყდა სხვადასხვა მოულოდნელ გარემოებათა გამო.

დამოუკიდებლად ამ აზარა ფართო მუშაობისაგან, არსებობდა, აგრეთვე, რევოლიუციონერთა ვიწრო წრე, რომელშიც შედიოდენ: მიშო ყიფიანი, მისი ცოლი—ელისაბედი, კოტე გვარამაძე (მასწავლებელი), ლევან გრიგორაშვილი (მასწავლებელი), ილიკო მაჭავარიანი (სამაზრო სამმართველოს მოხელე) და მე ცოლით—ქეთევანით. ჩვენთან ტფილისიდან მოდიოდენ ხოლმე რუსი რევოლიუციონერი-ემიგრანტები, რომელთა მონაწილეობით ვაწყობდით თათბირს როვოლიუციური მუშაობის გაფართოებისა და ჩვენი პარტიის ჩამოყალიბების შესახებ. რათა უფრო აქტიური ყოფილიყო ჩვენი მოქმედება, გვქონოდა სრული კონტაქტი რუსეთის რევოლიუციურ პარტიასთან. თუმცა ეს უკანასკნელი ბოლო დროს მეტისმეტად შესუსტდა და სიცოცხლის ნიშანწყალიც თითქმის აღარ ქონდა, მაგრამ ჩვენ გვახსოვდა მისი გმირული მოქმედება, მასიური პროცესები, მრავალი სახელოვანი ტერორისტული აქტი, მკვლელობა და ცდა მაღალი თანამდებობის პირთა,—და განსაკუთრებით მეფის, მოკვლისა (ლოზოვ-სევასტოპოლის-ნიკოლაევსკის გზის ხაზზე, პეტერბურგში—„სადგომიზე“, საზამთრო სასახლეში და, ბოლოს, მეფის მოკვლა მარტის თვის 1-ს) და არ შეგვეძლო დაგვეჯერებია, რომ ეს პარტია დაშალა და მოუსპა მოქმედების უნარი ალექსანდრე III მთავრობის საშინელმა რეპრესიებმა. პირიქით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ პარტიამ ხელი მოკიდა უფრო ფრთხილ მუშაობას და რომ დროებითი მიყუჩება ნიშანია მომავალი ქარტეხილისა. ამ რწმენას ამაგრებდა მოსული რევოლიუციონური—ტერორისტების ინფორმაცია. ამიტომ ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება გაგვემტკიცებია მუშაობა, რომ არ ჩამოვრჩენოდით რუსეთის საერთო მოძრაობას. ერთმა ემიგრანტმა გვირჩია დაგვეარსებია საქართველოს სოციალ-რევოლიუციონერთა პარტია, რომლის მუშაობა, უფრო ვიწრო ფარგლებში და ნაკლობ წრეში. იქნება გაცილებით ნაყოფიერი. ჩვენ დავთანხმდით და გადავსწყვიტეთ შეგვედგინა პარტიის წესდება, რომელიც სავსებით შეთანხმებული იქნებოდა ჩვენ კოსმოპოლიტურ შეხედულებებთან. წესდების შედგენა დაეკისრა კომისიას, რომელშიაც შევიდენ მ. ყიფიანი, კ. გვარამაძე

და მე, ხოლო ამ ამხანაგებმა დამავალეს პროექტის გამომუშავება. შევადგინე პროექტი რუსულ ენაზე, წაუკითხე, რამდენადაც მახსოვს, ამხანაგებს, მაგრამ მისი წარდგენა წრისათვის აღარ მოხერხდა...

გარდა ვიწრო ამხანაგურ წრეში მონაწილეობისა, მე არ გამიწყვეტია კავშირი ტფილისთან და ემიგრანტ-ტერორისტებთან, რომელნიც მოდიოდნენ ტფილისში სხვადასხვა პსევდონიმით. არც მე და არც ჩემი ამხანაგები არ ვცდილობდით გაგვეგო ვინ იმალებოდა ამ პსევდონიმების ქვეშ, რადგან ვშიშობდით—სადმე შემთხვევით არაფერი წამოგვცდენოდა, ან ჟანდარმერიის აგენტებს არაფერი გამოეტყუებიათ დაკითხვის დროს, თავიანთი ათას ნაირი ხერხითა და საშვალებით. ერთ ემიგრანტს, რომელიც ჩამოვიდა გორში 1882 წელს რევოლიუციონერთა წრის თათბირზე (მას ქვემოთ დავასახელებ), ფიქრად მოსვლოდა განეხორციელებია ერთი აზრი და ამ მიზნით მთხოვა როგორმე მომეწყო ერთი ემიგრანტი გორში. მე დავთანხმდი, რადგანიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა გორში ახალგაზარდა კაცი და შეთანხმების თანახმად, ჯერ მოიარა სხვა დაწესებულებანი, ხოლო შემდეგ შემოვიდა ქალაქის თვითმმართველობაში და აზაროვის გვარით ითხოვა სამსახური. მე მოვთხოვე მას დოკუმენტები, გაუსინჯე წერა და ჩავრიცხე მწერლად.

მას დაკისრებული ჰქონდა ფულის გატაცების მოწყობა ადგილობრივი ხაზინიდან. იგი გაეცნო მდგომარეობას, შესაძლებლად სცნო საქმის განხორციელება, გაიჩინა ინსტრუმენტების ნაწილი და უცდიდა უფრო ხელსაყრელ მომენტს. მე შევდიოდი ხოლმე მასთან და ისიც დადიოდა ჩემთან ბინაზე. ჩემი ამხანაგები იცნობდენ მას, როგორც ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეს. როდესაც საქმე უკვე მოგვარებული იყო, ჩვენ ორივეს მოგვეხედა ტფილისში წამოსვლა თათბირზე. მე რაღაც საქმემ გამაჭირა და იგი ერთი დღით ადრე წამოვიდა; მეორე დღეს საღამოს ვნდა შევხვედროდით ერთმანეთს ალექსანდრეს ბაღში—ტფილისში.

სწორედ ამ დღეს გორს თავს დაესხა ჟანდარმერია, გაჩხრიკეს აზაროვის ოთახი და დაუწყეს მას ძებნა. მე დამბარეს ქალაქის თავთან და აქ ჟანდარმებმა დამიწყეს გამოკითხვა აზაროვის შესახებ. საქმე იოლად გათავდა, დაკითხვით გადავრჩი.

გადაწყვეტილი მქონდა, რომ აზაროვს დაიჭერდენ თუ გორში გამობრუნდებოდა, მაგრამ ვერ გავბედე ტფილისში წასვლა, რადგან ვშიშობდი, რომ ჟანდარმერია ამედევნებოდა; ამიტომ ტფილისში გავგზავნე ცოლი მცირე ბარათით, რომელსაც, თუ რაიმე საფრთხე იქნებოდა, იგი გადაყლაპავდა. ჩემი ცოლი წავიდა, შეხვდა აზაროვს დანიშნულ ადგილას და გააფრთხილა. აზაროვი გადიმალა. როგორც შემდეგ გავიგეთ, ეს იყო გამოცდილი რევოლიუციონერი ნემოლოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკი (გვარის სინამდვილეს გადაჭრით ვერ ვამოწმებ), რომელიც ბაქოს დაატუსაღეს ცენტრალურ რუსეთში, მიუსაჯეს 15 წლის კატორღა და გარდაიცვალა ტყვეობაში.

1883 წლის იანვარში გორს კვლავ ესტუმრა ჟანდარმერია; მოახდინეს მკაცრი გამოძიება, კვლავ დამკითხეს, მაგრამ ამ ხანადაც არ მახლეს ხელი. თუმცა პირდაპირი რაიმე ბრალდება ჩემს წინააღმდეგ არ იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ჩემს ბედ-იღბალზე დიდი გავლენა მოახდინა ქალაქის თავის ელიმირზოვის დადებითმა აზრმა ჩემს შესახებ; ელიმირზოვს არ უმალავდი ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს, მას ვუჩვენებდი ხოლმე ყველა, უმეტესად მწიშნელოვან პროკლამაციებს და საერთოდ არა-ლეგალურ ლიტერატურას, მან იცოდა აგრეთვე ულტიმატუმი რევოლიუციონერთა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტისა ალექსანდრე მესამესადმი.

მაგრამ მე მაინც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ საფრთხე თავიდან აცილებული იყო, მით უმეტეს, რომ არ ვიცოდი ვინ დაასმინა აზაროვი და რამდენად იყო გარეული ამ საქმეში ჩემი სახელი. ჩემი ამხანაგებიდან არავინ იცოდა აზაროვის მისია. ასე რომ შეუძლებელი იყო მათ რამე წამოსცდენოდათ. მაშასადამე, დამსმენელი უნდა გეძებნა ტფილისის გარეთ, მაგრამ სრულიად შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ დამსმენელი იქნებოდა სწორედ ის ემიგრანტი, რომელმაც აზაროვი გამოგზავნა ჩემთან. მით უმეტეს არ შემეძლო მეფიქრა, რომ ამ საქმის შესახებ რამე წამოსცდებოდა გორში რამდენჯერმე ჩამოსულს, ცნობილს რევოლიუციონერ ქალს—ვერა ფიგნერს, რომელმაც გაგვაცნო აზაროვის მომყვანი ტერორისტი. ერთი სიტყვით მე ვერაფერით ვერ ამეხსნა ის, რაც მოხდა და ამიტომ არ ვთვლიდი ჩემს თავს უზრუნველყოფილად საფრთხისაგან. მე მხოლოდ ვსთხოვე ამხანაგებს, რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკათ ჩემი პირადი ურთიერთობის შესახებ აზაროვთან.

1883 წლის მარტის 4-ს მაცნობეს, რომ ამ დღეს კვლავ უნდა მოვიდენ გორში ჟანდარმები. მე გავაფრთხილე ამხანაგები, ვისთანაც კი მეგულებოდა არა-ლეგალური ლიტერატურა, ან მიწერ-მოწერა, გადავმალე ყველაფერი, რაც საეჭვო იყო და ეუცდი.

ჩემს მიერ შედგენილი საქართველოს სოციალ-რევოლიუციური პარტიის წესდება და ზოგიერთი სხვა ქაღალდები ჩავდევი ქალაქის თვითმმრთველობის ძველ საქმეებში; ეს დოკუმენტები ალბათ დღესაც იმ საქმეებშია, რადგან ამის შემდეგ მე უკვე აღარ ვმსახურობდი თვითმმართველობაში.

დაცული უნდა იყოს აგრეთვე ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელიც მოიტანა აზაროვმა და რომელიც მან დამალა ჩრდილოეთის კედლის ფანჯარასთან თავის ოთახში, პეპან მირიანოვის სახლში, მაშინდელ ფოსტის ქუჩაზე.

ამხანაგებმა იცოდენ, რომ მე გაფრთხილებული ვიყავი ქანდარმების ჩამოსვლის შესახებ, მაგრამ ის აღარ იცოდენ, და არც დღეს იციან, თუ ვინ შემა,ყობია ეს ამბავი. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში გორელი კორესპოდენტი, სწერდა რა გორის ინტელიგენციის აღნიშნულ მუშაობაზე, გვაცნობებდა, რომ ქანდარმების ჩამოსვლა ჩვენ თითქოს შეგვატყობია მაზრის უფროსმა შალვა ერისთავმა, მაგრამ ეს არ არის მართალი: მხოლოდ მე გამაფრთხილა ამის შესახებ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსმა—მიხეილ აბაშიძემ, რომელიც სიკვდილამდე მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ჩემთან.

ჟანდარმები ჩამოვიდენ ტფილისიდან და პირდაპირ მოადგენ ქალაქის თვითმმართველობას. გამომიძახეს სხდომიდან, წამიყვანეს ბინაზე, დაიწყეს ჩხრეკა, მაგრამ ვერაფერი ნახეს; შემდეგ გამომიცხადეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მე დაპატიმრებული ვარ; წამათრიეს რკინის გზის სადგურზე. ვფიქრობდი, რომ ვარ ერთად ერთი მსხვერპლი აზაროვის საქმისა. მაგრამ მალე მოიყვანეს მიშო ყიფიანიც და შემდეგ ილიკო მაჭავარიანი. ამათაც გამოუცხადეს მინისტრის განკარგულება. ორივე გაკვირვებული იყო და ეკითხებოდენ ჟანდარმებს: „რაშია საქმე, რა მიზეზით დავგვატყვალეთო?“ მაგრამ ეტყობოდა, რომ არც არაფერი ჟანდარმებმა იცოდენ:

— თქვენ, ბატონებო, უკეთ უნდა იცოდეთ. ჩვენ არაფერს ვიტყვით—იყო პასუხი.

რამდენიმე ხნის შემდეგ სადგურზე მოვიდა სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი სემიონოვი და ჟანდარმთა ოფიცერის ნებართვით შეეიდა თავის მასწავლებელთან მიშო ყიფიანთან „საქმის გამო“. მაგრამ მას საქმე არაფერი ქონდა, მას სურდა მხოლოდ ჩვენი ნახვა და გამხნევება. დირექტორს შემოყვა მოსწავლე საშა ციმაკურიძე, რომელმაც მიშო ყიფიანს გადასცა რამდენიმე ათეული მანეთი და გამოგვეთხოვა ცრემლებით.

იმავე დროს ტფილისში დატუსაღებულ იქნა სამეგრელოს პოლიციის თითქმის ათი ოფიცერი—ლევან ვაჩნაძე, ციცუშვილი, მატნიკი და სხვ., აგრეთვე ჩვენი ამხანაგები—სტ. ჯორჯაშვილი, აღ. ნანეიშვილი, ელიოზაშვილი და სხვ.

რამდენიმე თვე ვიყავით მეტეხის ციხეში; არც დაკითხვა, არც რაიმე ბრალდების წამოყენება!

დაბოლოს ტფილისში პეტერბურგიდან ჩამოვიდა საგამომძიებლო კომისია; კომისიის სათავეში იყო სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ჟ—ცკი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა 1881 წლის მარტის 1—ს მოღვაწეთა პროცესით და გამოააშკარავა ვინაობა იმ

საიდუმლო ტუსაღისა, შპიონთა მთელი აგენტურა რომ ფეხზე დააყე-
ნა სატახტო ქალაქში.

— თქვენ ხართ ბ—ნი ჟელიაბოვი! მიმართა მან მდუმარე პა-
ტიმარს.

— დიახ, თქვენი მონა-მორჩილი! მიუგო პატიმარმა უშიშრად.

პირველად მე გამომიძახეს; ციხიდან წამიყვანეს ჟანდარმთა სამ-
მართველოში. მაგიდასთან იჯდა სამი კაცი—ერთი ეიცმუნდორში, მეო-
რე ჟანდარმთა მუნდირში, ხოლო მესამე სამოქალაქო კოსტუმში.
ჩვეულებრივ ჩვენების ჩამორთმევამდე პირადობისა და სამართალში
ყოფნის შესახებ, ბ—ნი „შტატსკი“ განზე იჯდა მდუმარედ, ხოლო
შემდეგ დაიწყო შემპარავი, ამხანაგური ტონით:

— ბ—ნო დავიდოვო, დიდი ხანია თქვენ რევოლიუციურ პარ-
ტიაში ირიცხებით?

— არასოდეს არავითარ პარტიაში არ ვყოფილვარ.

— მაგრამ ეწეოდით რევოლიუციურ მუშაობას?

— რა უნდა ვიგულისხმოთ რევოლიუციურ მუშაობაში?

ამის შემდეგ სწარმოებს დაკითხვა არსებითად. წარმომიდგინეს
ზოგიერთი ემიგრანტის (ვინც გორში ჩამოდიოდა ხოლმე) ფოტოგრა-
ფიული სურათი; ბრალდება ის იყო, რომ ვეკუთვნი ოფიცერთა რე-
ვოლიუციურ წრეს ტფილისში და ვამზადებდი ფულის გატაცებას
გორის ხაზინიდან აზაროვთან შეთანხმებით.

დაკითხვის დროს ადგილი ქონდა არა-ჩვეულებრივ თავაზიანო-
ბას; შემდეგ ისევ ციხეში გამისტუმრეს.

დავრწმუნდი, რომ საგამომძიებლო ხელისუფლებამ იმაზე მეტი
იცის, რასაც მე ვფიქრობდი. დასმენილი იყო ერთი აქტიური მუშაკ-
თაგანი, მაგრამ არ შემეძლო იმის დაშვება, რომ ეს იქნებოდა სწო-
რედ ის ემიგრანტი, რომელმაც აზაროვი გამაცნო.

ზოგიერთი ამხანაგები მეტეხის ციხეში ცალ-ცალკე კამერებში
იყვნენ მოთავსებულნი ერთმანეთის მეზობლად. ჩვენ კედელზე კაკუ-
ნით უზიარებდით ერთმანეთს ახალ ამბებს. ზოგიერთი ამხანაგი ზედა
სართულში იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდით მათთან კავშირის და-
ჭერას. ამ გვარად, ჩვენ ვიცოდით ვის რა ბრალდება წაუყენეს. მიშო
ყიფიანის წინააღმდეგ კონკრეტული ბრალდება არაფერი იყო, გარდა
იმისა, რომ დამოკიდებულება ქონდა ემიგრანტებთან. სწორედ იმ
ტერორისტმა, რომელმაც აზაროვი გამომიგზავნა, წაიღო ილიკო მა-
ჭავარიანიდან ძველი „პასპორტები“ სხვადასხვა პირებისა იმ მიზნით,
რომ მათ გამოიყენებდა საჭიროების დროს. ეს „პასპორტები“ აღ-
მოჩნდა საგამომძიებლო საქმეში, როგორც ნივთებრივი საბუთი. ნა-
ნეიშვილს, ჭრელაშვილს და ელიოზიშვილს ბრალდებოდათ ურთიერ-
თობა ემიგრანტებთან. დაკითხვის დროს ს. ჭრელაშვილი აიბნა: მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მეორეზე აძლევდენ კითხვებს კომისიის წევრები; თავში იგი უარყოფდა ნაცნობობას ზოგიერთ ემიგრანტთან, ხოლო შემდეგ იძულებული იყო ეს ნაცნობობა დაედასტურებია. მაგრამ ყოველივე ეს არ იძლეოდა სათანადო მასალას იმის გამოსარკვევად თუ ვინ იყო დამსმენელი.

გამოძიება სწარმოებდა ტფილისში, გორში და ქუთაისში მთელი თვის განმავლობაში. შემდეგ კვლავ დაგვიბარეს ჟანდარმთა სამართველოში; იგივე კომისია დავეხვდა; გვეკითხებოდენ, ხომ არაფერი გვაქვს დასამატებელი პირვანდელ ჩვენებაში. ან შესაცვლელი. ამის შემდეგ კომისია უკან გაბრუნდა. რამდენიმე თვის შემდეგ ყველა დაპატიმრებული გაანთავისუფლეს, ზოგი თავდებით და ზოგიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ციხეში დავრჩი მარტო მე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი საქმე ცუდათ იყო.

ჩემი ოჯახობა გორში დარჩა და არ ჭონდა საშვალება ხშირად ეენახე; ხოლო მეგობრები და ამხანაგები ვერ ბედავდენ, და არც მე ეურჩევდი მათ, ცდილიყვნენ ჩემს ნახვას. მხოლოდ ანტონ ფურცელაძე არ შიშობდა, დადიოდა ჩემთან, მოქონდა ზოგი რამ (ფული, საჭმელი) და მამხნევებდა.

ნახვა შეიძლებოდა ციხის ზედამხედველის თანდასწრებით.

დიდხანს გრძელდებოდა მარტოობის დღეები. წიგნები არ მქონდა, ხოლო რასაც ადმინისტრაცია გვაძლევდა ის სულ სხვა სფეროდან იყო და სულ სხვა, ჩემთვის არა საინტერესო საგანზე მოგეითხრობდა, მაგრამ ზოგჯერ ასეთი წიგნიც გახვარებს; რომ როგორმე დრო მოკლა მთელი დღე იცქირები ფანჯარაში, უყურებ ქრწანისს გაძარცულ კლდეებს, თვალს ვერაფერზე შეაჩერებ. თუმცა გასართობიც იყო ხოლმე. ძირს მტკვრის მეორე ნაპირზე აბანოების ქვემოთ მოსჩანს თათრის საროსკიპოს სახლები; ხან-გამოშვებით ამ სახლებში ხალხი გროვდებოდა და დიდი მხიარულება გაჩაღდებოდა ხოლმე. სახლებს ჰრთავდენ რუსული ნაციონალურ დროშებით, აივნებზე გამოეფინებოდენ ხოლმე ბრჭყვიალა ტანსაცმელში მორთულში თათრის ქალები, პირახდილნი და რაღაც მუსიკაზე ცეკვავდენ და მღეროდენ მთელი დღე. ეს გახლდათ სამეფო დღეები. აი, ეფიჭრობდი, ვინ სუნთქავს თავისუფლად მეფის წესწყობილებაში...

მივიღე ციხის ეზოში სეირნობის ნებართვა დილ-დილობით ნახევარი საათით, სპეციალური დარაჯის ზედამხედველობის ქვეშ. ეს იყო ჩემთვის უაღრესი ბედნიერება, ამას უცდიდი მოუთმენლად დღე და ღამე. ყარაულის ზოგიერთი უფროსი ოფიცერი ზოგჯერ გაბედავდა მოემართა ჩემთვის ორიოდე სიტყვით, თუმცა მათ აკრძალული ჰქონდათ პოლიტიკურ ტყეეებთან დალაპარაკება. გესმის ადამიანის სიტყვა, ოდნავ გული გამოგიცოცხლდება, ზოგჯერ ვერ მოითმენ

და წამოგცდება რაიმე თავისუფალი აზრი. ერთი გიპასუხებს, მეორე გაიღიმება და გთხოვს თავი შეიკავო, მესამე წარბშეკრული განზე გაიხედავს... იყო ხოლმე ყარაულის უფროსად ის იუნკერიც (ვენცერსკის ქალის ქმარი), რომელიც ოდესღაც ჩვენ ამხანაგობაში ეწაფებოდა რევოლიუციურ აზრებს. იგი თითქოს ვერ მცნობდა და მეც ვცდილობდი არ შეეტყო, რომ მე ვიცნობ მას მხდალსა და შიშარას. თითქოს ვერც იმ მღვდელმა მიცნო, რომელიც საღვთო სჯულში ხუთ ნიშნიანი სისტემის დროს ექვსს მიწერდა ხოლმე. როდესაც მან ღმერთს დაკისრებული მოვალეობისამებრ, ჩამოუარა ტუსაღებს და შემოვიდა ჩემს კამერაში, მე მივუვარდი მას სიხარულით, მოვაგონე ჩემი ვინაობა, მაგრამ მან თავი გაიქნია: „არა, არ მახსოვხართო".

მე ვთხოვე მას მოეწოდებია ჩემთვის წიგნები და, პირველი, რაც მან გამოშიგნავნა იყო რუსული სახარება...

და ფიქრები, ფიქრები... მუდამ, დღე და ღამე, ფიქრები ნათელი და შავბნელი, ფიქრები საქმიანი, ფიქრები უქმი...

პირველად გადავავლე რა თვალი ჩემს მუშაობას, მე მახარებდა კიდეც დატუსაღება, დამებადა იქვი, რომ „ობიექტელური" ცხოვრება პატარა ქალაქში მისი გასართობებით მე სავსებით ჩამითრევდა. რომ დატიმრება ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს და არც რაიმე განსაკუთრებული შედეგი მოჰყვეს, მე დავიწყებდი ახალ ცხოვრებას და მთელ დროს მოვანდომებდი იდეურ მუშაობას. მაგრამ ხანი მიდიოდა და სიხარული და იმედი გაჰქრა.

უქმი ფიქრებიდან მოვიყვან ერთ მაგალითს. ვკითხულობდი რა სახარებას, ჩემი ყურადღება მიიპყრო იუდა ისკარიოტელის ფიგურამ. რატომ გასცა მან თავისი მასწავლებელი, ნუ თუ 30 ვერცხლისათვის, რა გინდ თვალსაჩინოც უნდა ყოფილიყო ეს თანხა იმ დროს? იუდა ხომ ქრისტეს კასის ხაზინადარი იყო და ნუ თუ მას, გამცემსა და ბოროტი ბუნების კაცს, არ შეეძლო ხელთ ეგდო ასეთი თანხა? შეავადარე რა ერთმანეთს სახარებაში გადმოცემული ფაქტები ქრისტესა და იუდას ურთიერთობის შესახებ, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ იუდა არა თუ არ იყო გამცემი, არამედ, როგორც იდეური მოღვაწე იგი ზოგიერთი მხრით ქრისტეზე მაღლაც იდგა. და მართლაც, თუ უკუვაგდებთ ქრისტეს სასწაულმოქმედ ძალას, მაშინ ცხადია, რომ ყველა ისეთი სასწაული, როგორც მაგ. წყალის ღვინოდ გადაქცევა ან ხუთი პურით 5.000 კაცის დანაყრება,—არის არა ქრისტეს მიერ მოხდენილი სასწაული, არამედ სხვა შეთქმულთა და, უმთავრესად, იუდასი, როგორც ხაზინადარისა, რომელიც განაგებდა სამეურნეო ნაწილს. იყო შეთქმულთა მთელი ჯგუფი, რომელიც სარგებლობდა ქრისტეს ეკსტატიური ბუნებით და შეპყრობილი ჰყავდა იგი ჰიპნოზით. ჯგუფი უკარნახებდა ქრისტეს: სთქვი ასე და ასე და მოხდება

სასწაულია. იესო ხანგამოშვებით ურჩობდა. „არ დამდგარა ჯერ ჩემი დროო“, მაგრამ მას არ ეხსნებოდენ, როგორც ამას ქონდა ადგილი წყალის გადაქცევის დროს ღვინოდ და მისი ვედრება ქმნილა სასწაულს. მას უთხრეს, რომ იგი უნდა მოკვდეს და კვლავ აღსდგეს სამი დღის შემდეგ და იგი ემორჩილება ამ წინასწარმეტყველებას სიტყვით და საქმით. ბოლოს უკანასკნელ „წმინდა სერობას“ ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეთ: „რომელმან შთამოყოს ჩემთანა ხელი პინაკსა ამას ამან მომცეს მე“. იუდამ აიღო პურის ნაჭერი და ჩაუწო სამარილეში. იესომ უთხრა იუდას: „წადი და ქმენ რაცა გსურს“. იგი ადგა და მიატოვა მასწავლებელი. ქრისტემ იცოდა სად მიდიოდა იგი და იუდამაც იცოდა სად წაიყვანდა ქრისტე თავის მოწაფეთ, იმის ნაცვლად, რომ მიეცა მათ დასვენების საშვალება „სერობის“ შემდეგ, და იუდას მიჰყავს მცველნი ბაღში, სადაც შეიარაღებული მოწაფენი პირველად იცავენ იესოს. კოცნა და სხვ. ყველაფერი ეს მოხდა წინასწარი შეთანხმების, რათა მოწაფეებში გაძლიერებულიყო რწმენა ქრისტეს ღვთაებრიობისა. ხოლო, როგორ დაასრულა იუდამ თავისი მისია?—მან სახეში მიაყარა მღვდელმთავრებს ყველა 30 ვერცხლი და თავი დაიხრჩო... ამ გვარად, ქრისტე მიდიოდა რა საწამებლად დარწმუნებული იყო, რომ ან არ მოკვდებოდა (უკანასკნელ წუთამდე აღვიძედა მის გულში იმედს ეს—„ან, ან“), ან და კიდევ მეტი დიდებით აღსდგებოდა მესამე დღეს მკვდრეთით, ხოლო იუდამ დაისაჯა რა თავი, შეგნებულად მისცა თავისი სახელი წყევლა-კრულვას. ასეთი მსხვერპლი ისტორიაში არ მოიპოვება. და ამ მხრით იუდა, როგორც იდეური მეშვა და მოწამე უსათუოდ მაღლა სდგას ქრისტეზე...

ჩემი თხოვნით ანტონ ფურცელაძემ მომიტანა ვეფხის ტყაოსანი (არ. კალაძის სტამბის გამოცემა). ვეფხის ტყაოსანი არ მქონდა წაკითხული. არა ერთხელ მომიკიდია ხელი, მაგრამ ვერ დავსძლიე, წავიკითხავდი ხოლმე ერთ თავს და მივატოვებდი. ამ ხანად აღვიჭურვე მოთმინებით. მივადექი მეორე თავს და კითხვა გამიადვილდა, თანდათან დამაინტერესა, ასე რომ წიგნს თავი ვეღარ მოვაშორე. პოემამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მხოლოდ მაშინ გავიგე რატომ იწვევდა იგი აღტაცებას კაზმული მწერლობის ყველა დამფასებელში; მხოლოდ მაშინ მივხვდი რა იყო იმის მიზეზი, რომ ვეფხის ტყაოსანი ჩვენ ხალხში კონკურენციას უწევდა სახარებას და ისეთ ძლიერ კონკურენციას, რომ ერთმა კათალიკოსმა საჯაროდ მისცა იგი ანათემას და დასწვა მისი ეგზემპლიარები სიონის ტაძრის გალავანში—ტფილისში. პოემის თავიანი გმირები და მთელი კოლორიტი მისი უაღრესად ახლოა საქართველოს ბუნებასთან და ქართველი ხალხის სულთან. მე სიამოვნებით გადავიკითხე პოემა, ხოლო შემდეგ შეუდექი ხელმეორედ კითხვას განსაკუთრებული ყურადღებით

და დაკვირვებით; მე ესწავლობდი თვითეულ ფრაზას, თვითეულ მოძღვრებულ სიტყვას. უდიდესი ნერვიულობისა და აღშფოთების წუთებში, პოემა იყო მაგიური მკურნალი ჩემი: გახსნი წიგნს, წაიკითხავ ერთ ტაეპს, მეორეს, მესამეს და იწყებ ნავარდს სიმართლის, სილაჩაზის, სამართლიანობის, ძმობის და თანასწორობის ქვეყანაში...

კამერა ჩემს გვერდით ცარიელი იყო რამდენიმე ოვე, შემდეგ ვიღაც მოათავსეს შიგ რამდენიმე დღით, მერე კვლავ გაათავისუფლეს და ბოლოს ვიღაც ჩაამწყვდიეს ხანგრძლივი ვადით. შევეკითხე მეკრეს, რომელიც კარგად მეპყრობოდა და შეეტყვე მისგან, რომ კამერაში ზის ახალგაზრდა კაცი, პოლიტიკური, რომელიც მეტის მეტად ღელავს, ნერვიულობს და სტირის. მე გადავსწყვიტე გამოვლაპარაკებოდი მას და სეირნობის დროს უთხარი მეკარეს, რომ მე მივსცემ ტუსაღს გასართობს. გავიარე რა კამერის გვერდით შევჩერდი ფანჯართან, სალამი მიეცი პატიმარს და ესთხოვე გამოეცნო ამოცანა: რუსული ანბანიდან უნდა გამოვაგდოთ მაგარი და რბილი ნიშნები და ავრეთვე თანაბარი ბგერანი, დაეტოვებთ რა მხოლოდ თითო ნიშანს, უნდა გაეყოთ ამდენს და ამდენ სტრიქონზე თანასწორად, უკანასკნელ სტრიქონში იქნება ამდენი და ამდენი ასო. ჩემს მცველებს ეს ხუმრობა ეგონათ, ხოლო პატიმარი მიხვდა რაშიც იყო საქმე. როცა დაბრუნდი ჩემს კამერაში, დავაკაკუნე კედელზე. მან მიპასუხა კაკუნითვე. ნელ-ნელა ურტყამდი ხელს კედელზე, შიფრის მიხედვით. თავში იგი სცდებოდა, მაგრამ შემდეგ შეითვისა კაკუნის ენა. და ამ გვარად ვკლავდით დროს საუბარში. მისი გვარი არ მაგონდება. ერთხელ მოვიდა მასთან ჟანდარმთა ოფიცერი საქმის გამო და შენიშნა, რომ კედელზე ერთ ადგილას ამონგრეულია ნაღესი და იქვე მიწერილია ანბანის შიფრი. პატიმარი გამოტყდა, რომ აქედან ელაპარაკება ხოლმე მეზობელს. შემდეგ ჟანდარმი შემოვიდა ჩემთან, მიაგდო კედელზე კაკუნის კვალი. მე ვიცი, რომ თქვენ ლაპარაკობთ მეზობელთან, სთქვა მან, მაგრამ საიდან გაქვთ ეს შიფრი, რომელსაც იცნობენ მხოლოდ ცენტრალური რუსეთის ციხეებში?— როგორც სჩანს ეს შიფრი აქაც გადმოსულა.

მაგრამ იცით თუ არა თქვენ, ბ-ნო დავიდოვო, რომ ასეთი ლაპარაკი სასტიკათ აკრძალულია და იდევნება?

— ციხეში ჩამსვამენ?

— არა, მაგრამ ციხეშიც არის სასჯელი. ამ შეთხვევაში მე არ მოვახსენებ უფროსს, მაგრამ გთხოვთ მოერიდოთ ასეთ რამეებს, რათა თავიდან აიცდინოთ მოსალოდნელი უსიამოვნება.

ოფიცერი წავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მეზობელი კამერა კვლავ განთავისუფლდა...

სეირნობის დროს მე შევამჩნიე ახალი ტუსაღი: წარმოსადეგი

ეაქაცი, წმინდათ ჩაცმული ჩოხა-ახალუხში. ვეკითხები მეკარეს, ვინ არის ეს ახალი პატიმარი. მან მითხრა, რომ ეს არის თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელიც დაპატიმრებულია მკვლელობისათვის. ვატყობდი, რომ ჩიჩუა ჩემი ვინაობითაც დაინტერესდა, იგი ცდილობდა მოახლოვებოდა ჩემი სეირნობის ადგილს. პირველათ იწყო სალამის მოცემა, მეც ამით ვუპასუხებდი ხოლმე. შემდეგ, გამივლიდა გვერდით, მომესალმებოდა სიტყვებით და,— თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო,— გადმომცემდა რაიმე ახალ ამბავს. ბოლოს მიგზავნიდა ხოლმე გაზეთს, საუზმეს, ზოგჯერ ლუდსა და ღვინოს. ასე თუ ისე, მას სურდა გაეადვილებინა ჩემი მძიმე ობოლი ცხოვრება...

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჩემი დაპატიმრებისა ანტონ ფურცელაძემ მაცნობა, რომ პეტერბურგში მოჰკლეს ვერაგი სუდეიკინი—„ოხრანის“ უფროსი (ჯერ ოდესაში, შემდეგ პეტერბურგში). მოჰკლა იგი ვინმე დეგაევმა, რევოლიუციონერმა, რომელმაც მოიპოვა სუდეიკინის ნდობა, გასცა რა მრავალი რევოლიუციონერი რუსეთში და კავკასიაში. მან გაიტაცა სუდეიკინის პორთფელი და მიიმალა. მას ეძებენ მთელ რუსეთში, მისი ფოტოგრაფიული სურათები, სხვადასხვა დროს გადაღებული, გამოკიდებულია რკინისგზის მთავარ სადგურებზე. დამჭერის საჩუქრათ მთავრობის მიერ გადადებულია ათიათასი მან. ჩემში დაიბადა ბუნდოვანი აზრი,—ამ დეგაევს ხომ არ მოუგზავნია ჩემთან აზაროვი. ბოლოს მიღებული ცნობებით ჩემი იქვე გამართლდა. ყველაფერი იმას ადასტურებდა, რომ ეს სწორედ ის დეგაევი უნდა ყოფილიყო. მკვლელობის შემდეგ იგი გამოცხადდა ამხანაგ-რევოლიუციონერებთან, აუწყა მათ მთელი თავისი პროვოკაციული მუშაობა და განაცხადა, რომ იგი მათ განკარგულებაშია და შეუძლიათ გაჰკიცხონ და დასაჯონ, როგორც და რითაც სურთ. რევოლიუციონერებმა პირი იბრუნეს მისგან, მაგრამ დასჯაზე უარი სთქვეს (გაზეთების ცნობით დეგაევი გარდაიცვალა ამერიკაში 1921 წელს).

როცა დეგაევის მისია გამოირკვა რუსეთის მთავრობა უნდობლობით ეკიდებოდა მისგან მიღებულ ცნობებს. სწორედ ამან შეამსუბუქა მდგომარეობა იმ პირთა, ვინც გახდა მსხვერპლი დეგაევის შაიონაჟისა; სხვათა შორის მეც, ალბათ, ამან მიხსნა. ტფილისის ორგანიზაციის საქმე დასრულდა ადმინისტრატიული წესით. ალექსანდრე მე-3 ბრძანებით ზოგიერთი აქაური ბრალდებული გადარჩა სამსახურიდან დათხოვნით, ზოგიც მოკლე ვადიანი დაპატიმრებით; რამდენიმე კაცი: მიშო ყიფიანი, სტეპკო ჭრელაშვილი და ალ. ნანეიშვილი გადასახლებულ იქნენ სემიპალატინსკში. ამხ. ელიოზიშვილმა თავი მოიკლა იმ მომენტში, როცა მის ბინას მიადგენ ჟანდარმები, რათა წაეყვანათ იგი შორეულ ქვეყანაში.

ბოლოს მეც, წელიწადნახევრის ტყეობის შემდეგ, მაცნობეს, რომ განთავისუფლებული ვარ პოლიციის განცხადებული ზედამხედველობის ქვეშ. კამერის კარებს მოხსნეს საკეტი, მომცეს სეირნობის ნება მთელ ციხეში, შემეძლო ყველასთან დალაპარაკება, ეკლესიაში სიარული, მაგრამ ჯერ კიდევ არ მანთავისუფლებდენ რაღაც ფორმალური მიზეზების გამო. ეს დღეები ჩემთვის, მგონია, უფრო საშინელი იყო, ვინემ ყველა წინანდელი. ყოველ წუთში უცდიდე განთავისუფლებას და ვეღარ ელირსო ციხის კარების გაღებას, ეს საშინელებაა! იცოდა რა ჩემი სულიერი მდგომარეობა გოროგი ჩიჩუა თითქმის არ მშორდებოდა, თუმცა ეტყობოდა, რომ თითონაც იგი იტანჯებოდა და დიდათ სწუხდა, რომ უნებურად გახდა მკვლელი და არ შეეძლო დაებრუნებინა სიცოცხლე თავისი სიფიცხისა და წუთიერი აღელვების მსხვერპლისათვის. ჩიჩუას კამერაში იყო შტაბლკაპიტანი მაშჩენკო, (დაპატიმრებული, აგრეთვე, მკვლელობისათვის), რომელმაც ბოლოს სახელი გაითქვა რუსეთ იაპონიის ომში.

ციხიდან გამგზავნეს პოლიციელისტერთან. იქ დამკითხეს სად ვაპირებ ცხოვრებას, მეორე დღისთვის დამიბარეს წასასვლელი მოწმობის მისაღებად და გამიშვეს. გორში დეპეშა გაეგზავნე და დავჭრიდი ქალაქში თითქოს ფრთებშესხმული...

არის თუ არა საპყრობილე გამასწორებელი საშუალება იდეური ადამიანისათვის?

განთავისუფლების პირველსავე დღეს მივატოვე თამბაქოს წევა, რათა მეფის ხაზინისათვის არ მიმეცა ის მცირე შემოსავალი, რაც გროვდება აქციზის სახით თამბაქოს ნაკეთობაზე...

როგორ გავიდა პირველ დღე, ვისთან ვიყავი, ფხიზელი დავრჩი თუ მთვრალი, სად გავათიე ღამე,—არაფერი მახსოვს. მოწმობა არ მომცეს არც მეორე დღეს, არც მესამეს და ამ გვარად ვდებდი წასვლას, ბოლო გორის სადგურზე თვითეული მატარებლის მისვლაზე თურმე მელოდებოდენ მეგობრები და ნაცნობნი. ჩავედი რა გორში, უწინარეს ყოვლისა გამოვცხადდი ადგილობრივ პოლიციაში ჩემი მოწმობით, რათა დამედასტურებინა ჩემი პატივისცემა და გადამეცა მისამართი.

გორში გამაკვირვა ჩვენი ფართო წრისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნებამ. ზოგიერთი ამხანაგი მთლად მოშორებოდა გორს, დანაჩრენთ სრულიად გაეწყვიტათ კავშირი ერთმანეთთან, ყველას ემჩნეოდა რაღაც შიში, იჭვიანობა, ყველა თითქოს საბოლოოდ გაყროდა ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეს. შემხვდებოდა რა ნაცნობი,—აიბნეოდა, აქეთ-იქით იყურებოდა, ხომ არავინ გვათვალიერებსო, თითქოს უნდოდა გამოერკვია რა სახით შემხვედროდა—მომსალმებოდა მხურვალედ, თუ მხოლოდ თავი დაეკრა, თუ კიდევ გვერდი აევლო, თითქოს ვერ შემამჩნია.

მაზრის უფროსი შალვა ერისთავი გადააყენეს; მის ადგილზე დანიშნეს ამირანდო ამილახვარი—ლიბერალი, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე, მაგრამ მეტად მკაცრი—ადმინისტრატორის როლში.

გორი იქცა ჯანდარმთა როტმისტრის რეზიდენციად: გაძლიერებულ იქნა დაბალ ჯანდარმთა შემადგენლობა.

ვინც იცნობს პოლიციის განცხადებული ზედამხედველობის დებულებას, ის ადვილად წარმოიდგენს როგორი იყო ჩემი მდგომარეობა სამაზრო პატარა ქალაქში. ცისმარა დღე უნდა გამოცხადდე პოლიციაში, თვითეულ შენს ნაბიჯს მოსდევს „ფრთხილი თვალი", ვისთან იყავი, ვინ მიიღე, ვის შეხვდი, ვისთან საუბრობდი—ყველაფერი ეს აღრიცხულია, ჩაწერილი და შეტანილი „სამსახურის ნუსხაში".

მე პირდაპირ შებოროკილი ვიყავი, არა მარტო ხელ-ფეხით, არამედ მთელი არსებით.

აი მაგალითი.

დავაპირე უფროსი ძმისა და მისი ოჯახობის ნახვა; მივიღე სათანადო მოწმობა და გაეშურე სოფ. ცხინვალისაკენ; ცხინვალი რეზიდენცია იყო უბნის საპოლიციო ბოქაულისა, რომელსაც გამოეცხადე და გავაცანი ჩემი მოსვლის მიზანი. ჩემი ძმა—მოხუცი მღვდელი სცხოვრობდა სოფლად, რომელიც ზედ ეკრა ცხინვალს; მისი მრევლის ერთი ნაწილი შედიოდა ცხინვალის შემადგენლობაში. ბოქაულმა ტერ-აკოფოვმა არ მოშცა ნება გაეცილებოდი ცხინვალის მიჯნას, როდესაც ჩემს მიერ წარდგენილ მოწმობაში ნაჩვენები იყო ცხინვალი და არა მეზობელი სოფელი. ბოქაულს სთხოვეს სასამართლოს გამომძიებელმა ნ. ხიზანოვმა (მწერალი—ურბნელი) ჩემმა ნათესავმა მასწავლებელმა—ზ. დავიდოვმა და სხვა ნაცნობებმა, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა, ბოქაული გაჯიუტდა.

იძულებული ვიყავი მეცნობებია ძმისათვის, რომ ასე ახლოს ვარ, მაგრამ არ შემიძლია მისი ნახვა. მაშინ თითონ მოვიდა ჩემთან და, არ ვიცი რა მიზეზით, შეიძლება შიშისაგან, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე მოელოდა, შეიძლება დიდი სიხარულისაგანაც, რომ ელისა ძმის ნახვა, რომელსაც იგი დაკარგულად თვლიდა,—მოხუცს ენა წაერთვა. საღამომდე ჩემთან იყო, მეფერებოდა და ერთი სიტყვაც ვერ წარმოსთქვა საბრალომ. ასე გამშორდა დამუნჯებული. მისი ოჯახი, რასაკვირველია, ვერ ვინახულე.

ამ ღამეს ცხინვალში დავრჩი, გავიცანი აქ ახალგაზრდა ლიზა ჩერქეზიშვილი, რომელიც მაშინვე ისწრაფოდა ქალაქისაკენ, რომ გამოსულიყო ქართულ სცენაზე. მეორე დღეს დავბრუნდი გორში.

ხედავდენ რა ჩემს შევიწროებას მეფის ჯანდარმებისაგან, ადგილობრიენი თავად-აზნაურობა ირონიით ლაპარაკობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, რა მეფე გვყავს,—ჩვენი შიოსიც კი ეშინიან!

იმ დროს გორში სცხოვრობდა იოსებ დავითაშვილი, ხელობით სარატი, მაგრამ ნაკითხი და გონიერი კაცი; დავითაშვილი პირველი იყო მუშათა წრიდან, რომელიც ჩასწვდა ქართული პოეზიის საკუთხეველს და დაიჭირა იქ საპატიო ადგილი, როგორც უშუალო გამომხატველმა ქართველი ხალხის ფიქრის და მისწრაფებისა. წინათ იგი თავის ახალ ლექსებს უჩვენებდა ხოლმე სოფრომ მგალობლიშვილს, მაგრამ უკანასკნელი ეხლა გორში აღარ სცხოვრობდა. ამიტომ პოეტი ჩემთან დადიოდა და მთხოვდა შემესწორებია ლექსი ტექნოლოგიურად, რადგანაც მე გრამატიკა არ მისწავლიაო. როდესაც შემდეგ მე ვათვალიერებდი დავითაშვილის ლექსთა კრებულს, შევნიშნე, რომ ამ კრებულში არ არის შეტანილი ზოგიერთი ლექსი, რომელსაც მე ვიცნობდი ხელთნაწერით. ვფიქრობ, რომ ეს ლექსები ან რედაქციებში დაიკარგა ან ცენზურამ მოსპო.

უნდა მეფიქრა საარსებო პურზე ოჯახისათვის. „გაცხადებული ზედამხედველობის“ თანახმად მოკლებული ვიყავი უფლებას მონაწილეობა მიმეღო საზოგადოებრივ კრებებზე ან რაიმე დაწესებულებაში; სამსახურში შესვლა თავისუფალ დაქირავებით არ შემეძლო. რა უნდა მექნა?

დაუბრუნდი ჩემს ძველ ხელობას—მკინძაობას, მაგრამ სამუშაოს დიდი გაჭირვებით ვშოულობდი, მით უმეტეს, რომ სასწავლებლებში უფასოდ ვერ შევადგამდი. მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი დავით დათოშვილი ბედავდა მოეცა ხოლმე ჩემთვის სამუშაო, მაგრამ ამ სასწავლებლის საშვალებანი ბიბლიოთეკისათვის მეტად მცირე იყო. ცხოვრება აუტანელი შეიქნა. გადავსწყვიტე ტფილისში გადასვლა და დიდის ვაი ვაგლახით მივიღე გორიდან წასვლის ნებართვა ორი თვის ვადით, თუმცა ტფილისშიაც მოწმობით ჩამოვედი, მაგრამ აქაც ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფებოდი, თუმცა დიდ ქალაქში იმდენად ვერ გრძნობ თავსყურის დევნებას, ასე მეჩვენებოდა, ყოველ შემთხვევაში. ეს იყო 1885 წელს.

თავშესაფარი მომცა იმავე გულშეუცვლელმა ანტონ ფურცელაძემ. გამოჩნდა სამუშაოც მმართველობა მეურვეობაზე აღებული მამულებისა, რაც დაგირავებული იყო „приказ общественнаго призрения“-ში და რამაც საბედისწერო როლი ითამაშა ჭართველი თავად-აზნაურობის ცხოვრებაში.

ორი თვის შემდეგ კვლავ მოვახერხე შეებულების გაგრძელება ისევ ორი თვით და ბოლოს ზედამხედველობის სავსებით გადმოტანაც ტფილისში.

ვაკვირდებოდი რა ტფილისის საზოგადოებრივ ცხოვრებას 1885 წელში, არ შემეძლო არ შემენიშნა ახალი მიმდინარეობანი,

რაც სრულებით არ იჩენდა თავს სამოცდაათიან წლებში. მართალია, ინტელიგენციაში და ახალგაზრდობაში შეიჭრა ლიბერალური აზრები, მაგრამ მკაფიოდ ისახებოდა ნაციონალური ტენდენციებიც.

სამოცდაათიან წლებში ეროვნული საკითხი საქართველოში არ არსებობდა. დამოკიდებულება ეროვნებათა შორის სრულიად ნორმალური იყო და სავსებით მეგობრული. ყველანი ცხოვრობდენ, ასე ვსთქვათ, საერთო ცხოვრებით, დაყოფა იყო მხოლოდ წოდებად და კლასებად. არავითარ შეღლს არ ქონია ადგილი ნაციონალურ ნიადაგზე, თვით რუსიფიკატორული პოლიტიკის უმწვავეს მომენტებშიც. არა-მოხელე რუსი მოსახლეობა თანაგრძნობით არ უყურებდა გამარუსებელთა პოლიტიკას, ხედავდა რა, რომ ეს პოლიტიკა არ არის საერთო რუსული, ან, ყოველ შემთხვევაში, ხალხური პოლიტიკა, რადგანაც რუსეთის ბიუროკრატია თავს ვერ ართმევდა ხალხის მისწრაფებას, არამედ მოქმედებდა მისი ინტერესების წინააღმდეგ, თესდა შურსა და მტრობას რუსეთისა და განაპირა ქვეყნების ხალხთა შორის, ერთის მხრით, და განაპირა ქვეყნების სხვადასხვა ტომთა შორის, მეორეს მხრით.

მე მგონია, რომ ბიუროკრატიის აგენტების პროვოკაციულ ანკეტს უწინარეს ყოვლისა წამოეგო სომეთის სამღედელოება, შეიძლება თავისი იდეური და რელიგიური გატაცებით, მაგრამ უეჭველად ანგარების მიზნითაც, სურდა რა გაეფართოებია თავისი მოღვაწეობის წრე და წინ წაეწია თავისი როლი საზოგადოებრივ სარბიელზე.

მე მახსოვს, რომ გორში მოქალაქენი არ იყვნენ დაყოფილნი ეროვნების მიხედვით, შეადგენდენ ერთ საზოგადოებას, ლაპარაკობდენ საერთო ენაზე—ქართულზე და მხოლოდ საეკლესიო წესებს ასრულებდა თვითეული თავისებურათ. თვით ეკლესიებშიც ქადაგება ქართულ ენაზე სწარმოებდა, რადგან სხვა ენა გაუგებარი იყო სამწყოსოსათვის. და ამ ქალაქში გაიხსნა სომხური საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც სწავლება შემოღებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ სომხურ ენაზე, მაშინ, როდესაც ბავშვები ლაპარაკობდენ მარტოოდენ შობლიურ ქართულ ენაზე. შემდეგ მახსოვს (მე თვით ვიყავი ამის მოწმე), რომ უცხო ქვეყნიდან გორში ჩამოსული ერთი სომეხი ბერი თავის ქადაგებაში მოუწოდებდა მორწმუნეთ არა მარტო რელიგიური, არამედ ნაციონალური გაერთიანებისაკენაც, განსაკუთრებით უსაზრა ხაზს უკანასკნელ მომენტს. ეს სიტყვა სომხურიდან ქართულზე სთარგმნა სამასწავლებლო სემინაარიის საღვთო-სჯულის მასწავლებელმა დეკანოზმა ტერ-სტეფანოვმა. მე მქონდა, აგრეთვე, ასეთი შემთხვევა: გარდაიცვალა ქალაქის თვითმმართველობის წევრი ივანე ამიროგოი, უაღრესად პატიოსანი ადამიანი. მე თავი ვერ შევიკავე და სომეხთა ეკლესიაში წარმოვსთქვი სიტყვა ყველასათვის გასაგებ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ენაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღე შეკითხვა ტფილისის სომეხთა კონსისტორიიდან—გორის ეკლესიის რომელმა მღვდელმა დაჩრთო მე ნება სიტყვის წარმოთქმისათვის. ქალაქის თავმა ელიმირზოვმა თავის თავზე მიიღო დანაშაული და განაცხადა, რომ მან მომცა სიტყვის ნებართვა, როგორც ქალაქის მდივანს. მიუხედავათ ამისა კონსისტორიამ ერთ მღვდელს (ტერ-გევონ) დაადო ადმინისტრატიული სასჯელი, ხოლო ჩემს შესახებ აცნობეს საპროკურორო ზედამხედველობას რათა მიცემულ ვყოფილიყავი პასუხისგებაში კონსისტორიის წესდების ერთ-ერთი მუხლის თანახმად (რომელიღაც ტომი მეფის კანონებისა).

და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მრავალ ქართულ სოფელში სომხები ერთი გლეხური ცხოვრებით სცხოვრობდენ თანასწორად ქართველებთან, დადიოდენ ქართულ ეკლესიებში, ხოლო მომაკვდავნი ღებულობდენ ზიარებას ქართველი მღვდლებისაგან, რადგანაც სომეხი მღვდელი არ მოიპოვებოდა.

მე, აგრეთვე, ვფიქრობ, რომ სომეხთა საზოგადო მოღვაწენიც ხათრია საქართველოში სომხური ნაციონალური პოლიტიკის წარმოების ცდუნებამ. მოვიყვან ერთ მაგალითს.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს 1877—1878 წ.წ. საფრანგეთიდან კავკასიის ფრონტზე მოდიოდა გაზ. „Temps"-ის სპეციალური კორესპონდენტი—ვინმე კუტულე. საქართველოს სამხედრო გზაზე მას დამეგზავრა ერთი სომეხი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც გააცნო კორესპონდენტს სომხური გაზეთის—„მშაკის" რედაქტორი—გრიგოლ არწრუნი. ამან, თავის მხრით, სხვა მოღვაწენი წარუდგინა კუტულს, კარს შემოერტყენ მას, აჩვენეს ყველაფერი, რაც ღირსშესანიშნავია „სომეხთა სატახტო ქალაქში—ტფილისში", წაიყვანეს ქალაქის თვითმართველობაში—ეს „არის სომხური პარლამენტიო—მოახსენეს და სხვა და სხვა.

ყველაფერი ეს შეიტყო ქართველმა საზოგადოებამ მას შემდეგ, რაც კუტულის კორესპონდენციები გამოქვეყნდა გაზეთში.

როგორ შეხვდა ქართველობა სომეხ პატრიოტების ზრახვებს?

ამის პასუხს იძლევა ქართული პატრიოტის ილია ჭავჭავაძის ყოველთვიურ ჟურნალში მოთავსებული წერილი. ქართველები ირონიით ეპყრობოდენ, დასცინოდენ და არაეითარ მნიშვნელობას არ აწერდენ სომეხთა ასეთ გამოსვლებს.

მაგრამ ომის შემდეგ ჩაისახა სხვაგვარი აზრები. როდესაც რუსეთის ხაზინის მიერ ომისათვის დახარჯული ოქრო თითქმის მთლად ბელში ჩაუვარდა სომხებს, რომელნიც იყვნენ ომისათვის საჭირო საგნების დამმზადებელნიც; როდესაც სომეხი ვაჭრები წელში გამაგრდენ, როცა წარმოიშვა სომხის ბურჟუაზია, ხოლო სომეხთა „კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაკებმა“ თვალი მიაპყრეს სოფელს და მუჭამად ეპატრონებოდნენ თავად-აზნაურთა ადგილ-მამულს; როდესაც ომში სახელ მოხვეჭილმა სომხის გენერლებმა (ლორის-მელიქოვი, ტერ-გუკასოვი, შელკოვნიკოვი და სხვ.) გზა გაუხსნეს სომხის მდიდრებს მეფის მოადგილის კარისკენ და თვით მეფის ტახტისაკენ—მაშინ ქართველმა პატრიოტებმა თავში ხელი იტაცეს: ქართველ ხალხს სჩაგრავს მეფის მთავრობა პოლიტიკურად და ამავე დროს სომხის ბურჟუაზია შეუდგება მის ექსპლოატაციას; სომხის ვაჭრები, როგორც ქალაქის კლასი, მუდამ თავს დასტრიალებენ თავიანთ ხელობას და მათ საშვალება აქვთ მისცენ ბავშვები სკოლაში, არ იკმარონ რუსეთის მეცნიერება და სწავლის დასამთავრებლად გაგზავნონ ისინი უცხოეთში, ხოლო ქართველი ხალხისათვის დახშულია თვით საქალაქო სკოლების კარიც. ამ გვარად, სომხის ინტელიგენცია უნდა გამრავლდეს, დაიჭიროს პოზიციები ყველა ასპარეზზე, განავითაროს თავისი ლიტერატურა და ხელოვნება, ხოლო ღარიბი და მცირერიცხოვანი ქართველი ინტელიგენცია უნდა ჩაიხშოს სოფლის სიბნელეში.

ყველა ამ მოსაზრებამ, და შეიძლება ზოგიერთმა სხვა მოსაზრებამაც, დაბადა ქართველ საზოგადო მოღვაწეებში აზრი გამოეძებნათ თვითდაცვის საშვალებანი როგორც მეფის ბიუროკრატიის ძალადობის, ისე სომეხი ბურჟუაზიის თავდასხმის წინააღმდეგ.

სწორედ ამ მიზნით იქნა დაარსებული სათავად-აზნაურო სკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება მუდმივი დასით და სხვ.

ქართული საზოგადოებრივი აზრის სათავეში იდგა ილია ჭავჭავაძე—პოეტი, სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე, რედაქტორ-გამომცემელი ჯერ ყოველ კვირეული, მერე ყოველთვიური ჟურნალისა, ხოლო 1887 წლიდან ყოველდღიური გაზეთის „ივერიასი“. ჭავჭავაძე სარგებლობდა უღრმესი პატივისცემით, იგი ხიბლავდა დიდსა და პატარას; მისი ავტორიტეტი მეფობდა ყველა საზოგადო მოღვაწეზე; მისი დასტურის გარეშე არაფერი გაკეთდებოდა; მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე ვერავინ გამოვიდოდა საზოგადოებრივი ასპარეზზე (ცოცხალში და ლიტერატურაში). ეს იყო თავისებური ზეგავლენა, რომელიც აღშფოთებას იწვევდა სხვა გეზით მოაზროვნე ახალგაზრდობაში. სწორედ ამიტომ ახალი მწერალი (პრელაშვილი, კ.ჯ.ელი, ზებედეული, ხონელი და სხვ.) თავის პირველ ისარს მიმართავდა ხოლმე ჭავჭავაძის წინააღმდეგ. 1880 წ. ტფილისში დაიწყო გამოცემა ახალგაზრდობის ყოველთვიური ორგანოსი ნინო გაბაშვილის რედაქტორობით; ამ ორგანოს მუდმივი თანამშრომლები იყვნენ—ანტონ ფურცელაძე, სტეპან პრელაშვილი, მიხეილ გურგენიძე, შაქრო ბილანოვი და სხვ. მაგრამ რედაქციაში მოხდა რაღაც უთანხმოება და ჟურნალის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა შეწყდა. თითონ ამ ფაქტს არ შეიძლება შევხედოთ სხვანაირად, თუ არ ნაწილობრივი გავლენა იმავე ავტორიტეტისა. ვერც მე შევუწყნიდი ფეტიშიზმს და 1887 წელს „მკითხველი"-ს ჰსეუდონიმით გამოვიდა ჩემი ბროშურა—„ჩატეხილი ხიდი", რომელიც მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის პელეტრისტული ტალანტის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ და რომელიც დაიწერა მისი ახალი მოთხრობის—„ოთარაანთ ქვრივის" გამოქვეყნების გამო *).

მაგრამ მიუხედავათ ამისა, თუ თვალს გადავავლებთ მაშინდელ ლიტერატურას და დავაკვირდებით თვითეული ნაწარმოების და წერილის (მათ შორის ილია ჭავჭავაძის ნაწერებსაც) აზრსა და დეტალებს, დავრწმუნდებით, რომ ქართველები არასოდეს არ გასცილებიან თავიანთ პოზიციას და არასოდეს არ შეუტოპიათ აგრესიული პოლიტიკის მორევში.

ქართველი საზოგადოების და თვით ქართველი ხალხის გამოღვიძებას და მის ამოძრავებას ხელს უწყობდა თითონ მთავრობა თავისი თავხედი, აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკით, რომელიც სასწრაფო წესით ტარდებოდა ცხოვრებაში, განსაკუთრებით, სასულიერო უწყებაში. არა ნომინალური, არამედ ფაქტიური გაძევება ქართული ენისა სასწავლებლიდან, მისი „ძაღლის ენად" მონათლა, ქართველების დამდაბლება სამასწავლებლო თანამდებობაში და თვით გაძევება მათი სასწავლებელთა კედლებიდან,—ცხადია, იწვევდა უკმაყოფილებას და პროტესტს ყოველი ქართველის გულში მიუხედავათ მიმართულებისა. საამისო ნათელი დამამტკიცებელი საბუთი არის „თავხედური წერილები" ეპისკოპოსი გაბრიელისა საქართველოს ეგზარხოსის ევსევის მიმართ (ჯერ კიდევ სამოც და ათიან წლებში). სემინარიელთა „სიმშილობის წიაღადგზე" წარმოშობილი „ბუნტები" და მრავალი გამოსვლა ცალკე გმირებისა, შედეგი იყო იმავე მდგომარეობის, თუმცა ოთხმოციანი წლების დამდეგს და შემდგომ

*) ამ ბროშურას „ივერია" გამოცხადება სასტიკი პასუხით. სხვათა შორის ბროშურის თითქოს გარეგნული ნიშნების მიხედვით „ივერია" ამტკიცებდა, ვითომც იგი შედგენილი იყო სამი პირის მიერ და ესენი არიან: აკაკი, ანტონ ფურცელაძე და მე. წერილობით ვეუპასუხე რედაქციას, რომ დასახელებულ მწერლებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ბროშურის შედგენაში არც სიტყვით, არც საქმით და რომ მთელი გამოლაშქრება მომართული უნდა იქნეს მარტოოდენ ჩემს წინააღმდეგ.

ერთხელ, როგორღაც სამივე,—გავბედავ ვსთქვა,—მეგობრები შევხვედით ერთმანეთს. სიტყვა ჩამოვარდა ბროშურაზე. აკაკიმ თავისებურათ იოხუნჯა:

— შენ რადას იბერები, თუ მე და ანტონი გაჩუმებული ვართ! მე და ეს პატიოსანი კაცი ოცდაათი წელიწადია მწერლობის ჰაპანს ვეზიდებით და შენ, ძმაო, რაღაც ერთი-ორი სტრიქონი დაწერე და ერთბაშად ჩვენს გვერდით ამოყავი თავი. პატივი და დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული ასეთი მოვლენა ატარებდა თავის თავში რევოლიუციურ ელემენტსაც. რუსიფიკატორული პოლიტიკა სასულიერო უწყებაში განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკზარხოსად დაინიშნა არქიეპისკოპოსი პავლე, ხოლო სემინარიის დირექტორად მის მიერ წამოყენებული—დეკანოზი ჩუდეცკი; ამ ორს მხარს უმშვენებდა ცნობილი ინსპექტორი კუკუშინკი, რომელსაც უკიდურეს აღშფოთებამდე და საშინელ ნაბიჯებამდე მიყავდა მოწაფენი. სემინარიის ისტორიაში დაუვიწყარი იქნება მოწაფენი: ბესარიონ გოგოხია, რომელმაც სცემა მასწავლებელ ალბოგს, სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელმაც რექტორს გამოგლიჯა „წმინდა წერის“ბღუჯა (წერა შემდეგ აღმოჩნდა რექტორის მაგიდაზე კონვერტში წარწერით: „შენი შენთაგან შენდა შემწირველი ყოველთა და ყოვლისათვის“) და ლაღია შვილი, რომელმაც მოჰკლა რექტორი ჩუდეცკი ხანჯლით. ეკზარხოსმა პავლემ, აღშფოთებულმა ამ მკვლელობით, რექტორის კუბოს წინაშე დასწყევლა მთელი ხალხი, რომლის წიაღიდან წარმოიშვა ისეთი „მხეცი“, როგორც ჩუდეცკის მკვლელი. ამ შემთხვევის გამო პოპულარულმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა—დიმიტრი ყიფიანმა გაუგზავნა ეკზარხოსს წერილობითი პროტესტი; ეს პროტესტი მიართვეს მაშინდელ მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელმაც ტელეგრაფით გამოსთხოვა მეფე ალექსანდრე III ყიფიანის თანამდებობიდან გადაყენება და მისი გადასახლება სტავროპოლის გუბერნიაში ადმინისტრატიული წესით. მხცოვანი მოხუცი მოკლულ იქნა სტავროპოლში მეტად საიდუმლო და საეჭვო პირობებში; ეს ფაქტი ბადებდა აზრს იმის შესახებ, რომ ამ საქმეში ადგილი უნდა ქონოდა საიდუმლო ბრძანებას საოლქო სასულიერო ან სამოქალაქო ხელისუფლებისაგან.

ქართველი საზოგადოების აღელვებას საზღვარი არ ქონდა, რაც თავი იჩინა სამოქალაქო დემონსტრაციაში დ. ყიფიანის ნეშთის დასაფლავებაზე ტფილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არშაკ მემარსიანი

როგორ მოკლეს გენერალი გრიაზნოვი 1906 წელს

მე ბავშობიდანვე გავხდი ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშა. 1900 წელს დიდი გაფიცვის დროს ტფილისში დამპატიმრეს და გადამასახლეს ქალ. ბათუმში 5 წლის ვადით. დავბრუნდი იქიდან 1905 წელს და გამოვცხადდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მე 4-ე რაიონში (ავლაბარში) სადაც კომიტეტის წევრებათ ითვლებოდენ შემდეგი ამხანაგები: 1. მოსე ჯანელოვი, 2. გაბრო აგამიროვი და 3. იოსებ ბარამიაშვილი. კომიტეტი მოთავსებული იყო როზოვის მოედანზე, ფაბრიკის მუშა სიმონა სილიანოვის საჩაიეში. ამ კომიტეტს ჰქონდა ორი ქვე-რაიონი: ხარფუხში და შავ-სოფელში, რომელთა ხელმძღვანელობითაც ხდებოდა ტერორი ტფილისის ყველა უბნებში. მე 4-ე რაიონს ყავდა დაახლოვებით 25 კაცამდე პარტიულ ამხანაგებიდან შედგენილი ტერორისტები. 1905 წელში, როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა, ვიქენი არჩეული ტერორისტების ხელმძღვანელად. ამის გამო მე როგორც წარმომადგენელი გამოვცხადდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ‚სილიბისტრო ჯიბლაძესთან და მოვახსენე ყოველივე ეს. ამის შემდეგ მოვახდინეთ სხვა და სხვა ტერორი მე 4-ე რაიონის დავალებით.

1906 წელს, ერთ საღამოს, კოჯლი ბაგრატას პირით მე დამიბარეს სილიბისტრო ჯიბლაძესთან; გამოცხადებისთანავე ჯიბლაძემ მე მაცნობა, რომ გაზეთ „სხივის“ რედაქციაში (დიდი მთავრის ქუჩაზე) მეორე დღეს ღამით მე წამეყვანა მასთან 6 ტერორისტი. ამ დღისათვის მე დავიბარე წასაყვანათ ქვე-რაიონებიდან ორ-ორი კაცი: ხარფუხიდან მოვიდა რაიონში: არსენა ჯორჯიაშვილი და შაჭროა პუშკინა, შავ-სოფლიდან მოვიდნენ: ბათუა და ხუხუზა, ცენტრიდან კი ვიყავით მე და ღარიბოვი იაკოფა (შაბოა). საღამოთი გამოვცხადდით ყველა ჯიბლაძესთან; უკანასკნელმა გვითხრა: პეტერბურგიდან გამოგვგზავნეს ერთი გენერალი, გვარით გრიაზნოვი, რომელიც ანადგურებს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, ზარბაზნებით ანგრევს გლეხ-კაცის სახლ-კარს და ამის გამო პარტიამ გადასწყვიტა მისი მოკვლა; მკვლელობის სისრულეში მოყვანა გევალებათ თქვენ და ეს უნდა აღასრუ-

ლოთ, თუ გინდ სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთო. იქ იყო ამ დროს ამბ. მიხა ლომთათიძე და მიანდო მას გრიაზნოვის ჩვენება,—მორიდან გაცნობა ჩვენთვის, რადგან არც ერთი ჩვენთაგანი მას არ იცნობდა.

მეორე დღეს ლომთათიძეს თანხლებით ჩვენ 6-ნი ერთად უიარაღოთ წავედით გრიაზნოვის გასაცნობათ. მიგვიყვანა მან ალექსანდროვის ბაღთან და გაგვაჩერა; ცოტა ხნის შემდეგ, იქვე მახლობელ შენობიდან გამოვიდა ერთი გენერალი; ლომთათიძემ მიგვითითა მაზე და გვითხრა, რომ ის იყო გრიაზნოვი; სახლი, საიდანაც გრიაზნოვი გამოვიდა იყო ინჟინერისა და პარიატინის ქუჩის კუთხეში, ლომთათიძემ აქ გაიხვენა თანაც ეტლი და მისი ცხენები. აგრეთვე გაგვაფრთხილა, რომ შეცდომაში არ შევიდეთ (რადგანაც სხვა გენერლებიც მოდიოდნენ მასთან) და ამის გამო გვიჩვენა ცხენების ნიშნები, რომლებიც იყვნენ შავები და წინა ფეხების ჩლიქებთან ჰქონდათ თეთრი. შემდეგ წაგვიყვანა სამხედრო შტაბის სასახლის ქუჩაზე, სადაც გრიაზნოვი ყოველ დღე მოდიოდა. ამის შემდეგ დავბრუნდით სილიბის ტროსთან და ვაცნობეთ, რომ ყველაფერი გვაქვს ნახული. მან აქ მოგვცა წინადადება ამოგვერჩია ჩვენ შორის სამი კაცი როგორც კომისია და მას დაეთვალიერებინა ადგილი თუ სად შეიძლებოდა დაკისრებულ საქმის უმსხვერპლოდ გაკეთება. არჩეული ვიქენით: მე შაბუა და მიხა ლომთათიძე, დანარჩენი კი დროებით განთავისუფლდენ. ჩვენ სამნი წავედით მაშინვე, დავთვალიერეთ ადგილ-მდებარეობა და ვსცანით შესაფერ ადგილათ ალექსანდროვის ბაღის კარები, რომელიც გამოდის ბარიატინის ქუჩის მხრივ. თუმცა ამ კარების პირდაპირ იქითა მხარეზე იდგა ჯარი, მაგრამ ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი მაინც ეს იყო. ყოველივე ეს ვაცნობეთ ჯიბლაძეს, რომელმაც მოიწონა ჩვენ მიერ არჩეული ადგილ-მდებარეობა და მოქმედების გეგმა. იმავე დღეს ჩვენ მოვეწროდით სიმონას საჩაიეში და დავიწყეთ მსჯელობა თუ ვინ რა როლი უნდა აიღოს და გააკეთოს. არსენა ჯორჯიაშვილმა და პუშკინმა იკისრეს ბომბის გადაგდება, დანარჩენებმა კი ვიკისრეთ რევოლვერებით მათი დაცვა; აგრეთვე მივიღეთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ბომბების ტარება ხელით შეუძლებელი იყო, რადგან ყოველ დღე პატრული დადიოდა მახლობლათ და ამიტომ მე დამავალეს გადამეცა ძველი ტანსაცმელი და მეტარებია კალათით სემიჩქა, რომელ კალათშიაც იქნებოდა ბომბები. მეორე დილით საჩაიეს პატრონმა სიმონამ ჩამაცვა ძველი პალტო, მომცა სემიჩქიანი კალათი და ერთი პატარა ჭიქა; ამხ. მიხა ლომთათიძემ მოგვცა 2 ცალი ბომბი ავჭალის ტიპისა; ჩავიწყვე იგი კალათაში და წავედი დანიშნულ ადგილზე. იმავე დღეს ჩვენ ერთი ამხანაგი „ხუნხუზა“ გაგვეპარა, რომელიც დღემდის არ ვიცით სად არის. ჩვენ ბევრი ვიარეთ, მაგრამ ვერ მოვიხიბლა ჯერ კიდევ საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკეთება და დავბრუნდით უკან ბინაზე. მეორე დღეს შაბუაც ავად გახდა, დავრჩით 4-ნი; ამის გამო ხელ-ახლად მოვილაპარაკეთ საჩაეში, რომ განგვეგრძო დაწყებული საქმე. ვიარეთ, ვიტრიალეთ დანიშნულ ადგილას კიდევ სამი დღე, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდით. ერთ დღეს როგორც იქნა გამოიარა გრიაზნოვმა, მაგრამ როცა ბომბის გადასროლა დავაპირეთ უცბად პუშკინას ფერი ეცვალა, კანკალი დაწყებია. ამის გამო ჩვენც შევჩერდით და საქმე ჩაიშალა. იმ წამსვე ოთხივემ ერთად შევიყარეთ თავი ერთ სასადილოში და მოვილაპარაკეთ, რომ, რადგანაც პუშკინა ასე მხდალია, საქმეს გვიფუჭებს, უმჯობესია ჩამოგვშორდესო. ამაზე მან დაგვეთანხმა. მის მაგივრად მეორე ბომბის გადაგდება იკისრა **ბათუამ.** ხელახლად დავიწყეთ დილაობით გამოსვლა და სიარული დანიშნულ ადგილზე.

ერთხელ, ორშაბათ დღეს, დილით მე მოვედი სიმონას საჩაიეში, არსენა მოსული არ იყო. მე ავიღე კალათი და გავექანე დანიშნულ საქმეზე: სიმონას კი დავაყალე, რომ არსენა მალე გამოეგზავნა. 10—15 წუთის შემდეგ არსენაც მოსულიყო საჩაიეში და სიმონას გამოეგზავნა ჩემთან. ცოტა ხნის შემდეგ ბათუაც მოვიდა, გვეჩვენა და წავიდა თავისი ბომბით... დავრჩით მე და არსენა. დაახლოებით დილის 9 საათზე დავინახეთ, რომ გრიაზნოვის მცველი ყაზახები ჩადგნენ რიგში, ჩვენ გავიგეთ რომ გრიაზნოვი გამოდის ქუჩაში. მე ამოვიღე კალათიდან ბომბი თავისი ქაღალდის პარკით და გადავეცი არსენას, არსენას კაპსული უბეში ჰქონდა. სწორეთ მაშინ, როცა სინჟენერო მმართველობის მწერლები გარეთ იდგნენ, ბაასობდენ, გრიაზნოვის ეტლმაც ამ დროს ამოიარა და ისინი სალაშის მისაცემათ ჩაწუწყენენ. არსენა მძიმედ, ფრთხილად მიუახლოვდა ეტლს, გადაუგდო ბომბი და ჩაწვა იქავე. ბომბი აფეთქდა. გრიაზნოვი თავის მეეტლით და ერთი ყაზახით განადგურდა. სინჟენერო მმართველობის მწერლებმა რომ დაინახეს ეს, მორთეს ყვირილი: „დერჟი დერჟიო“ და შემოარტყეს ალყა არსენას სანამ ის მოასწრებდა ადგომას. მე ბაღის კარებით შევარდი ბაღში და გავიპარე.

განყოფილება

III

ავტობიოგრაფიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო სტურუა

მე დავიბადე 1870 წელს ქუთაისის მაზრაში, სოფ. კულაშში. მამა ჩემი იყო ყოფილი საბატონო ყმა, დედა—გლეხის ქალი, შეგრელი ტომით. დედა რომ გარდამეცვალა 10 წლის ვიყავი. 1885 წელს, როდესაც 15 წელი შემისრულდა, შევედი კულაშის ორ-კლასიან სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1889 წელს ივლისში. იმავე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში გავხდი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სახარატო ამქრის შეგირდათ. 1894 წელს დავასრულე შეგირდობა და მიეიღე ხარატის წოდება სალითონო ნაწილში. 1896 წელს სხენებულ სახელოსნოებში დაარსებულ იქნა პირველი სოც.-დემოკრატიული წრე, რომელშიაც სხვა ამხანაგებთან ერთად ჩავირიცხე მეც. ამ წრეში მაშინ ვითვლებოდით სულ 9 ამხანაგი (აქედან ბოლშევიკი—6) *).

1898 წელს ჩვენი წრე იყო ხელმძღვანელი დეკემბერში მომხდარ რკინის გზის მუშათა გაფიცვის, რომელიც გაგრძელდა 2 დღეს და დასრულდა მუშათა გამარჯვებით. ამ გაფიცვით, სხვათა შორის, მოვიპოვეთ 6 სამგზავრო ბილეთი სამის მაგივრათ.

1899 და 1900 წლებში ამხანაგებთან ერთად მოვაწყვე არალეგალური მაისობა მთებში—რომელშიც პირველათ მონაწილეობდა 70 ამხანაგი, ხოლო მეორეთ—600.

1900 წლის პირველ აგვისტოს ჩვენგან მოწყობილ იქნა რკინის გზის მუშათა საერთო გაფიცვა პოლიტიკური მოთხოვნილებებით, რომელიც გაგრძელდა მტკიცეთ 16 დღის განმავლობაში. საგაფიცვო კომიტეტში მეც შევდიოდი. გაფიცვის მსვლელობაში დაპატიმრებულ იქნა 700 კაცი. მე-17 დღეზე საგაფიცვო კომიტეტმა გაფიცვა გამოაცხადა დამთავრებულად. რასაკვირველია, ამ გაფიცვით ჩვენ წავაგეთ, რადგან დავკარგეთ მრავალი ამხანაგი და ვერ განვახორციელეთ ჩვენი მოთხოვნილების ვერც ერთი მუხლი. მაგრამ მაინც მოვიგეთ ბევრი რამ, სახელდობრ ის, რომ ეს 5 ათასი მუშათა მასსა, რომელიც დატყვევებულ იყო 16 დღე—თავისი თვალით ხედავდა მტრების გულქვაობას.—ამით განაგრდა ჩვენი ორგანიზაცია და მოემზადა ხელახალი შეტევისათვის,—რაიც განვახორციელეთ 1904 წელს, ამ დროს მოხდა საერთო სამხრეთის გაფიცვა.

*) მაშინ მენშევიკი და ბოლშევიკი არ არსებობდა.

დედაქცია.

1900 წლის გაფიცვის დასრულებისას ნოემბერში მე მოვახერხე ქ. ბაქოში გამგზავრება და დავიწყე მუშაობა ბალახანაში, ვიშაკაშვას ქარხანაში.

1901 წელს, 14 თებერვალს გამჩხრიკა ტფილისის ჟანდარმთა როტმისტრმა ლავროვმა და დამაპატიმრა. 17 თებერვალს უკვე ვიჯექი მეტეხის ციხეში—ტფილისში. გავატარე 8 თვე. ხოლო იმავე 1901 წლის დეკემბერში კვლავ გავემგზავრე ბაქოში, სადაც ვცხოვრობდი ადმინისტრაციის ყურადღების ქვეშ.

ბაქოში—შავ ქალაქში—დავიწყე მუშაობა მანთაშევის მექანიკურ სახელოსნოში.

1902 წ. 22 აპრილს აქ მოვაწყვეთ საპირველმაისო დემონსტრაცია. კვირა დღეს, დღის 12 საათზე ქალაქის ცენტრალურ ადგილას ბაქოში პარაპეტზე გავშალე წითელი დროშა და წარმოვსთქვი მოკლე სიტყვა: „საერთაშორისო დემოკრატიის დღესასწაულის შესახებ“.

ადმინისტრაციის პირველ თავდასხმას ჩვენ გაუმკლავდით და კოლიუბაკინის ქუჩიდან გადავედით ოლღას ქუჩაზე. აქ მოგვისწრო ცხენოსან ყაზახებმა და მოხდა შეტაკება. მე დავხარე წითელი დროშა და მშვიდობიანათ მივაღწიე შემახინკამდე, სადაც სცხოვრობდა კატო იტრიაშვილი. დროშა დაუტოვე მას და წავედი ბალახანის ქუჩისკენ. აქ სცხოვრობდა ამხანაგი აბელ ენუქიძე, ვინახულე იგი და ვაცნობე, რომ დროშა გადარჩენილია და რომ მოწინავე ამხანაგებმა თავს უშველეს. შემდეგ კი წავედი შავ ქალაქში სხვის ბინაზე ღამის გასათევათ.

იმავე ღამესვე იქნენ დაპატიმრებული ამხ. აბელი და დ. ბაქრაძე.

1903 წ. თებერვალში მე გადმომცეს პეტერბურგის საადმინისტრაციო დეპარტამენტის დადგენილება ჩემი არხანგელსკის გუბერნიაში სამი წლით გადასახლების შესახებ.

ამ დღიდანვე მე დავიწყე არა-ლეგალური ცხოვრება და მუშაობა სტამბაში, რომელიც მოთავსებული იყო ზემო-თაზაპირის ქუჩაზე დადაშის სახლში. ეს სტამბა მოწყობილი იყო ამხ. ამხ. ლადო კეცხოველის და სიმონ ენუქიძის მიერ. ამხ. ლადო ამ დროს დაპატიმრებული იყო და სტამბას განაგებდა ამხ. ს. ენუქიძე ამხ. ლ. ბ. კრასინის ხელმძღვანელობით.

1904 წელს ხსენებული სტამბა გადაეცა ტფილისის კომიტეტს, ხოლო ჩვენ მოვაწყვეთ სხვა დიდი სტამბა პირველ პარალელურ ქუჩაზე. ეს სტამბა ეკუთვნოდა რ. ს. დ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრ. კომიტეტს. ამ სტამბაში მე ვმუშაობდი—17 ოქტომბრის 1905 წლის ამნისტიამდე.

17 ოქტომბრის ამნისტიის შემდეგ პეტერბურგის ცენტ. კომიტეტის ბრძანებით ჩვენი სტამბა, რომელსაც ერქვა: „ნინა“ გადატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილ იქნა პეტერბურგში, რომელსაც გაეყვეით ჩვენ ექვსი ამხანაგი: აბელ ენუქიძე, ვანო ბოლქვაძე, სილიბისტრო თოდრია, სიმონ ენუქიძე, ლადო დუმბაძე და მე.

პეტერბურგში დიდხანს შეუძლებელი შეიქნა ლეგალური მუშაობა, 1907 წელს ჩვენ გადავსახლდით ფინლიანდიაში, ქ. ვიბორგში და იქ დავიწყეთ გაზეთის ბეჭდვა—სახელწოდებით: „პეტერბურგის მუშა“. ვბეჭდავდით აგრეთვე ფურცლებს. ამხ. **ლენინი** ამ დროს სცხოვრობდა კუოკოლში—ფინლიანდიაში.

მე ამ დროს ვასრულებდი ეგრედ წოდებულ არა-ლეგალურ შიკრიკის მოვალეობას და ვზიდავდი ამხ. ლენინთან კორეჭტურის ფურცლებს და მომქონდა საბეჭდი მასალები სტამბაში.

1907 წელს, მაისში ფინლიანდიიდან ჩამოვედი ქ. ქუთაისში ამხ. ბარონ ბიბინეშვილთან ბაშფორთების წასაღებათ არა-ლეგალურად მომუშავე ამხანაგებისათვის.

აქ დამაპატიმრეს და გადამგზავნეს ვიატკის გუბერნიაში.

1907 წ. გამოვიქეცი ვიატკის გუბერნიიდან და მოვედი ბაქოში.

ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ამხ. ამხ. შაუმიანი, სტალინი, ჯაფარიძე და სპანდარიანი—დამავალა მომეწყო არა-ლეგალური სტამბა. ვიშოვე ძველებური საბეჭდი დაზგა დიდი ფორმატის; (გუტტენბერგის) და მოვაწყვე სტამბა ბანდარნი ქუჩაზე ფარული შესასვლელით, რომელიც მუშაობდა 1909 წლამდე, ხოლო მე კი—რადგან სასტიკი დევნის გამო იძულებული ვიყავი გავშორებოდი ბაქოს—გადავეცი ხსენებული სტამბა, ბაქოს კომიტეტის დადგენილებით, **ამხ. ზაქარია ჩოდრიშვილს.**

1910 წელს ამხანაგი ზაქარია იქნა დაპატიმრებული. ის გასცა ჯაშუშმა ნიკოლოზ ერიკოვმა (ბაქოში ის სცხოვრობდა სხვისი ბაშფორთით—დვით ბაქრაძის სახელობაზე). სტამბის დაშლა და სხვა ადგილას გადატანა მოასწრეს ამხანაგებმა, მაგრამ ამის შემდეგ მისი ამუშავება შეუძლებელი გახდა.

თებერვლის რევოლიუციამ მე მომისწრო სამტრედიის რაიონში. რუსეთის დამფუძნებელ კრების დეპუტატების არჩევნების დროს ვხელმძღვანელობდი სამტრედიის რაიონის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მჭონდა კავშირი ქუთაისთან და ტფილისთან.

1919 წელს გავზავნილ ვიქენი ბაქოს საოლქო კონფერენციაზე. იმავე წლის ივნისში ბაქოდან დაბრუნებისას დამაპატიმრეს მენშევიკებმა და გავატარე ქუთაისის ციხეში 11 თვე ამხ. ამხ. **მიხა ცხაკაიასთან და მამია ორახელაშვილთან ერთად.**

1920 წელს მაისის 13-ს ჩვენ გავეანთავისუფლა მენშეკიკების მთავრობამ, რადგან იმავე წლის 7 მაისს შეიკრა ზავი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის. განთავისუფლებისთანავე მენშე-

ვიკებმა კიდევ განაახლეს ჩვენი დევნა და მე იძულებული გავხდი დამეწყო არა-ლეგალური მუშაობა.

1921 წ. 18 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, ისევ დამაპატიმრეს ნაძალადევში და გამაგზავნეს „საგანგებო განყოფილებაში", სადაც ვიჯექი 1921 წლის 7 მარტამდე.

7 მარტს ჭუთაისის დაცლის გამო ჩვენ გადაგვიყვანეს ბათომში—ამ დროს კიდევაც გვცემეს. ბათომში ვიჯექით 17 მარტამდე.

17 მარტს, საღამოს 10 საათზე ჩვენ გამოვედით ბათომში ციხიდან და გამოვაცხადეთ საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ წითელ არმიის შემოსვლამდე.

მე დავინიშნე სამხედრო—რევოლ. კომიტეტის თავჯდომარეთ და პოლიტიკურ კომისრათ ბათომის სადგურის ნაწილის.

17-დან 21 მარტამდე, წითელი ჯარის შემოსვლამდე, ჩვენ მოგვიხდა ბრძოლა ქემალისტებთან, რომლის დროს ჩვენ დავკარგეთ 300 კაცზე მეტი.

ჩემ მიერ განვლილ რევოლიუციონურ მუშაობაში მოვახდინე სამჯერ ტერორისტული აქტი: ტფილისში 1899 წ., ბაქოში 1908 წ. და ფინლიანდიაში 1907 წელს.

გადასახლება მჭონდა მისჯილი ორჯერ—არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლება ავიცილე დამალვით, ხოლო ვიატკიდან გავიქეცი. ციხეებში გამიტარებია სამ-ნახევარი წელი.

სულ დაპატიმრებული ვიყავი 8-ჯერ.

გიორგი რთველაძე

მე დავიბადე 1872 წელს. ბავშობიდანვე ჩავები შრომაში, და 1886 წლიდან დაწყებული საქართველოს გასაბჭოებამდე ვმუშაობდი ჩინის გზის მთავარ სახელოსნოში.

1895 წელს მე გავეცანი ამხ. ალილუევს. ერთ საღამოს, როდესაც მე მეძინა, ვიღაცას ჩემს თავქვეშ ამოედო პატარა ბროშურა. წავიკითხე ცოტა და გამიკვირდა, რომ ხელმწიფეზე რაღაცეებს სწერდენ. ამ დროს მოვიდა ჩემთან ალილუევი და უამბე წიგნის შინაარსი. მან მითხრა, რომ მარტო წაკითხვა კი არ არის საჭირო, არამედ რაც შიგ სწერია ის უნდა აასრულოო. ამის შემდეგ,—1895 წ. იყო თუ 1896 წ. კარგათ არ მახსოვს,—დამიბარა ამხ. ალილუევმა მივსულიყავი მასთან. მეც წავედი და მოვისმინე მოხსენება. იქ დამიხვდა ვასო ცაბაძე და სხვები. შემდეგ ამისა ერთი თვე მუდამ დავდიოდი იქ და ვისმენდი სხვა და სხვა მოხსენებებს. მერმედ წავგიყვანეს დიდუბეში ვიღაცას სახლში და დაგვაწყებინეს ქართულად მეცადინეობა. ლექტორათ მოდიოდა ხან ცაბაძე და ხან ამხ. ს. წულუკიძე. ამ ჩვენს წრეში იყვენენ 30 კაცამდე; სამ თვეში გავიარეთ შრომა და კაპიტალი და რამდენიმე სხვა და სხვა ბროშიურები. ამის შემდეგ თითეულ ჩვენგანს დაგვავალეს 10 ამხანაგის მომზადება. მე ჩამაბარეს სამჭედლოში მომუშავე რაჭველებში მეცადინეობა. ამავე დროს მეც მამზადებდა ამხ. (პტყელა) არჩილ ჯორჯაძე. 1898 წ. ჩვენ მოვახდინეთ გაფიცვა, რომელიც დამთავრდა ჩვენს სასარგებლოთ. ამხ. სტეფანე გორგიშვილი იყო გაგზავნილი ჩემის ინიციატორობით ხაშურში გაფიცვის მოსაწყობათ, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მთავრობაზე. ამის შემდეგ იწყება ადმინისტრაციასთან ბრძოლა. 1900 წ. კიდევ მოვაწყეთ გაფიცვა ამხ. ვანო სტურუას და ილიკო კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით, ეს გაფიცვაც ჩვენ მოვიგეთ. მასზე წინათ, 1899 წელში კიდევ იყო გაფიცვა ლოკაზე. ამის ინიციატორები ვიყავით მე, ვანო სტურუა, მამალაძე და სხ. დილით ადრე ყველანი უნდა წავსულიყავით დანიშნულ ალაგას, ჯერ მიეედით ერთი კარგი ჩემი ნაცნობისას, შაჩოსას (გვარი არ მახსოვს), ის ამ დროს ცხენებს აბამდა, ჩვენ უთხარით რომ არ შეება, ამბანაც დაგვიჯერა, მას სხვებმაც მიბაძეს, მაგრამ იქ იყვენენ

ზოგიერთი რუსები, რომლებმაც წინააღმდეგობა გაგვიწიეს. აქ მოხდა ცოტა ჩხუბი მუშებს შორის. სწორედ ამ დროს იყო ახალი წლის დღესასწაული. მოიყვანეს სუფთათ ჩაცმული, პარადისთვის მომზადებული ხალდათები, რომლებმაც დაიწყეს ყვირილი: „Что-же нужно проклятым, нужно всех истребить. К черту этих грузин". ეს აფიცრებმა განიმარტეს და დაგვცხეს ყველას. ბევრს თავი გაუტეხეს. ამის შემდეგ წრეების მუშაობა მეტად ცოცხლათ მიდიოდა. 1900 წ. უკვე შეუდექით მაისობის მოწყობას. ერთ დილით მოვიდა ჩვენთან ამბ. არჩაძე და გვითხრა: რაც შეიძლება ფრთხილათ შეიკრიბენით და ხვალ დილით ადრე წამოიყვანეთ თქვენი წრის ამხანაგები დანიშნულ ალაგსაო. ჩვენც ასე მოვიქეცით. თვითეულმა ჩვენთაგანმა მოვამზადეთ თითო ბოთლი ღვინო, ცოტ-ცოტა „ზაკუსკა" საგზლათ და დილის 4 საათიდან გავემგზავრეთ დანიშნულ ალაგას. გზაში შემოგვხდენ მონადირეები (ხულიგანები), რომლებიც დაგვაკვირდენ და შეგვეკითხენ: „საით მიდიხართო". ჩვენც უპასუხეთ, რომ დღეობაზე მივდივართ. ამ დროს გზაში შემოგვხვდა ზაქარია ჩოდრიშვილი და ჰერიქოვი*) და მიგვიყვანეს დანიშნულ ალაგას, დაახლოვებით ვიქნებოდით 200-მდე. ჩვენთან იყვნენ საუკეთესო ამხანაგები: ალილუევი, კალინინი, ივანოვი, კურიცინა, ზელენცეევი და სხვები. დროშა გავაკეთებინეთ კოლა მაჭარაძეს. ის სცხოვრობდა, იქ, სადაც მე, ვანო სტურუა და მამალაძე ვცხოვრობდით. ჩვენც მოვიყარეთ თავი მლაშე ტბასთან. მტკინგს ხელძღვანელობდა ზაქარია ჩოდრიშვილი და გოგუა კალისტრატე, დროშა ეჭირა ხელში ლადომერა ჯიბლაძეს. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამბ. კალინინმა, ილაპარაკა ერთმა სომეხმა ამხანაგმა (გვარი არ მახსოვს), ავრეთვე ილაპარაკა ამბ. მიხა ბოჭორიშვილმა. ამ დროს ცხენით მოვიდა მინდვრის მცველი ვილაოსი. ამბ. ზაქრაძემ მას ჩაჰმართვა ცხენი და არაქელამ დაუწყო ოსურათ ლაპარაკი. ამ დროს გამოჩნდა თეთრი ცხენით ჟანდარმი. ეხლა ჩვენ ამხანაგებში შეიქნა დიდი მითქმა-მოთქმა, დავაპირეთ დროშის დამალვა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ცხენოსანმა ახლოს ვერ მობედა მოსცლა და უკან გაბრუნდა. ჩვენ მაინც განვაგრძელეთ მიტინგი. დასრულების შემდეგ ისეთი გათამამდა რამოდენიმე ამხანაგი, რომ პირდაპირ ქალაქში დააპირეს დროშით ჩამოსვლა, მაგრამ რამოდენიმე წინააღმდეგი გაუხდა. ამ შეხლა-შემოხლის დროს ჩამოხსნა ამბ. ზაქრაძემ დროშა და ჩააბარა მაჭარაძეს. ამის შემდეგ ერთი მეორეში დავაც მოისპო. როდესაც ჩამოველით სადგურზე იქ დაგეხვდა ჟანდარმები და „გარადავობი", რომლებმაც დაიჭირეს რამოდენიმე ამხანაგი. მათთან ერთად მეც დამაკავეს, მაგრამ ჩემ მიერ კატეგორიული უარის

*) ჰერიქოვი გამოდგა პროვაკატორი, რომელიც დახვრიტეს 1920 წ. ბაქოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადების შემდეგ ჩქარა ვიყავი განთავისუფლებული. ამის შემდეგ მუშაობა მეტის მეტად ღვივდებოდა.

1901 წელს კიდევ შეუდექით პირველ მაისობის მზადებას მე და რამოდენიმე ამხანაგებს გვქონდა დავალება, რომ განუწყვეტლივ გვემუშავნა პოლიტიკურ ნიადაგზე, როგორიცაა პროკლამაციების გავრცელება და სხ. სანამ სამაისო გამოსვლას მოვაწყობდით ჩვენ მოგვიხდა კრების მოწვევა ვერაზე „თეთრი დუქნის“ ბაღში, სადაც დაესწრო ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოწაფე ამხ. ალიოშა ჯაფარიძე. კრებას ხელმძღვანელობდა სილიბისტრო ჯიბლაძე, სადაც გადავწყვიტეთ პირველ მაისისათვის უფრო კარგი მომზადება. გადაწყვეტილი იყო დილით, 9 საათზე შეკრებილიყვაით ალექსანდრეს ბაღის წინ (აბოვიანცის სახლთან) და, როდესაც მივედით დანიშნულ ალაგას, იქ დაგვხვდა სპიორონი სალდათები და გარადაგოები. ეტყობოდათ სახეზე, რომ რაღაცას მოლოდინში იყვნენ. თვითეულ ჩვენთაგანს გვქონდა თითქოს გასაყიდი ბაზარზე საქონელი, მაგალ. ჯოხები, შამფური, ქლიბები და სხვ. თავის დასაცავად. ამ დროს კონკით მიდიოდა ჟანდარმის როტმისტრი ვიღაც **ცისი,** რომელსაც გვერდით უსხდა რამოდენიმე პროვაკატორი მუშა. როდესაც ჩვენმა ამხანაგებმა გვედრს ჩამოუარეს თავისი სიგნალით (მაღალი ჩოთქით), მაშინ პროვაკატორმა მუშებმა მიუთითეს ჟანდარმს და თანაც უკან გამოყვენ ჩვენს ამხანაგებს. როდესაც მოვიდენ დანიშნულ ალაგას ჩვენი ამხანაგები და დროშა ასწიეს, მაშინ წაგვესიენ პოლიციელები, დროშაც გამოგვგლიჯეს ხელიდან და შეიქნა ხელჩართული ჩხუბი. ბევრ ჩვენ ამხანაგს დაუწყეს ცემა-ტყეპა, რამოდენიმე კიდევაც დაიჭირეს. ამ დროს ერთმა ვიღაც ცხენოსანმა ჩაფარმა ლეკმა მივარდა ამხ. მამალაძესთან და დაუწყო მათრახით ცემა. ეს ვერ მოითმინა მან, იძრო რევოლვერი და ესროლა, რითაც დაჭრა სასიკვდილოთ.

აი ამგვარად ჩაიარა 1901 წელს პირველ მაისობამ. მეორე დღეს მთავარ სახელოსნოში უკვე დაიწყეს ჩხრეკა. მუშები ყველანი გაკვირვებას იყვნენ ამ მოვლენის გამო. აქაც ჯაშუშებმა გამოუყვეს თავი, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეუშინებიათ, პირიქით, უფრო მეტ გაორკეცებულათ ვმუშაობდით. კვირაში ორჯერ ჩემს ბინაზე ეწყობოდა კრება, შემდეგ ვიწყეთ ავჭალაში სიარული, იქ კონფერენციაც მოვაწყვეთ, გვქონდა სჯა-ბაასი თუ როგორც უნდა გამოესულიყავით, იყო ცოტათი აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჯიბლაძესა და არავიაძეს შორის, თუ ვინ უნდა დარჩეს მბრძანებელი—მუშა თუ ინტელიგენტიორ. ამ კონფერენციაზე გადაწყდა გაფიცვა 1902 წლისათვის. მე მჭონდა დავალებული პროკლამაციების გავრცელება. როდესაც მოახლოვდა პირველი მაისი, მაშინ დღე და ღამე გვიხდებოდა გაცხოველებული მუშაობა. ამ დროს კიდევაც დამიჭირეს და წამიყვანეს მე-7 უბნის პოლიცია-

ში. იქ ვიჯექი 15 დღე და ღამე. შემდეგ გადამიყვანეს ციხეში. ორი თვის შემდეგ გამომიცხადეს, რომ დამტკიცებია ტფილისი და წავსულიყავი სხვა ალაგას და კიდეცაც წავედი ბათუმში. იქაც რამოდენიმე ხნის შემდეგ დამიჭირეს და ვიჯექი ორი კვირა. შემდეგ, როდესაც გამანთავისუფლეს, იძულებული გავხდი წავსულიყავი ბაქოში. როდესაც ბაქოში ჩავედი, იქ პირველად ვინახულე სტეფანე გრიშაშვილი, დიმიტრი ვარსიამაშვილი და ვანო სტურუა, რომლებმაც მიშოვეს სამუშაო ლევენსონის ქარხანაში. იქაც მოვიხიბლე ორგანიზაციის მოწყობა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ გამიგეს ჯანდარმებმა, დამიჭირეს და გამგზავნეს ციხეში. ერთი თვის შემდეგ გამანთავისუფლეს „პოდნადზორში“ და ისევ მიმიღეს იმავე ქარხანაში, სადაც ვიმუშავე ერთი წელიწადი. 1903 წელში იქ მოვაწყვე გაფიცვა, რომელიც დამთავრდა ჩვენს სასარგებლოთ. გამიგეს რა ეს, დამითხოვეს ქარხნიდან და დაერჩი უალაგოთ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ვიშოვე სამუშაო შიბაევის ქარხანაში. იქ მუშაობის დროს გავეცანი რამოდენიმე ჩვენს ამხანაგს. ჩვენი სურვილი იყო რაც შეიძლება უფრო მეტს გავცნობილიყავი და კიდეცაც ასე მოხდა. ამ დროს აქ გავეცანი ერთ ტეხნიკს (გვარი არ მახსოვს), რომელმაც წამიყვანა ამხ. კრასინთან და გამაცნო ის. კრასინი იყო მაშინ თურ ქალაქში ელექტრონის სადგურის მოურავათ. იმ ღამეს ამხ. კრასინმა აგვიხსნა ლონდონში კონფერენციაზე მომხდარ რასკოლის შესახებ, თუ როგორ და რისთვის გამოეყო ბოლშევიკები მენშევიკებს. ამ მდგომარეობამ მე გამაკვირვა და ვფიქრობდი თუ როგორ შეიძლებოდა სოციალისტების დაყოფა. ამ დროს აქ ჩამოვიდა ნოე რამიშვილი „ჩორნი გოროდში“ ფითოვეის ქარხანაში, სადაც გააკეთა ვრცელი მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ს. ჯუღაშვილმა, ალიოშა ჯაფარიძემ, ალილუევმა და სხვებმა. კრების დამცველათ ვიყავით მე და კ. ბეკაძიანი. მაშინ იქ გადაწყდა ნამდვილად გამოყოფა მენშევიკებისაგან. ამ ქარხანაში ხშირად გვიხდებოდა თავის მოყრა. როდესაც პირველი მაისის გამოსვლები მოვაწყვეთ 1905 წელში, მენშევიკებმა და ესერებმა არ მიიღეს ჩვენთან მონაწილეობა, პირიქით, ხელსაც გვიშლიდენ. გაფიცვის შემდეგ დამითხოვეს სამსახურიდან და კიდევაც დამიჭირეს, მაგრამ ჩქარა გამანთავისუფლეს. შემდეგ ისევ დავიწყე მუშაობა ჩვენი ამხანაგების დახმარებით ლევისოვის ქარხანაში, სადაც ერთი წელიწადზე მეტი გვქონდა კარგად მოწყობილი ორგანიზაციული მუშაობაც. ჩვენს წრეებს ხელმძღვანელობდა ამხ. აბელა ენუქიძე და ტიმოფე ისპანდარიანი *).

ამ დროს ჩამოვიდა საზღვარ გარედან მენშევიკი სიმონ ღამბა-

*) ამხ. ისპანდარიანი მოკვდა ციმბირში ნიკოლოზის რეჟიმის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიძე, რომელმაც მთხოვა გამეცნო ის პოლშევიკ ამხანაგებისათვის და კიდევაც წავიყვანე და გავაცანი ამხ. ისპანდარიანს და ალიოშას. მაშინ ის გახდა პოლშევიკი. შემდეგ მომიყვანა ამხ. შაუმიანმა და მთხრა, რომ თქვენს რაიონის წარმომადგენლად ეს იქნებაო. მან იშუამდა ჩვენთან ექვსი თვე და შემდეგ ისევ მენშევიკი გახდა. ამ დროს მე ვიყავი ბაქოს კომიტეტის წევრი, ეს იყო 1905 წ. ცოტაოდენ შევდიოდი მუშათა საბჭოს წევრათაც. ჩვენ მოგვიხდა ძმათა ჩხენდრიკოვებთან იდეური ბრძოლა საბჭოების შესახებ. მაშინ ჩვენ, პოლშევიკები, იძულებული გავხდით, რომ გამოვსულიყავით საბჭოდან. კიდევაც გამოვედით და თან გამოგვყვა პაუკეთესო მუშებიც. სხვა პარტიულ მუშაობას გარდა მე ვიყავი დანიშნული ტრანსპორტის მიმღებად, ვიღებდი სხვა და სხვა საქონლის სახით ყოველი მხრიდან პროკლამაციებს და სხვა და სხვა ბროშურებს, რომელიც მიმქონდა სამონ ენუქიძესთან. ამ დანიშნულებაზე ვიყავი ორ წელიწადზე მეტი. ბოლოს მქონდა კონსპირატიული ოთახი, სადაც ვინახავდი მოსულ ამხანაგებს. ორგანიზაცია მაძლევდა ხუთ მანეთს თვეში ოთახის ქირას.

ამავე დროს დამაკავეს ამხ. ვ. სტურუამ და პეტრე მონტინმა გამეკეთებია ტიპოგრაფიის ნაწილები, რომელიც ერთი თვის განმავლობაში დავამზადე და გადავეცი. ამხ. სტურუას და მონტინს, რომელიც თვითონ დადგეს და დაიწყეს ფართოთ მუშაობა.

აქ ამ დროს ჩამოვიდა ცეკას წევრი მანდელშტეინი და გააკეთა მოხსენება ელექტრონის სადგურში ბი-ბეი-ბათში. აქ ესენრების დაჭეზებით დაგეიჭირეს 90—მდე და გადაგვასახლეს ყარსში, ჩვენთან ერთ 30 ქალიც. ამავე დროს მოგვისწრო 17 ოქტომბრის მანიფესტმა 1905 წ. და განთავისუფლდით ყარსიდან. მე და ამხ. კირიჩკინს დაგვაარა ორგანიზაციამ წავსულიყავით სარაყამიშში და გაგვეწია აგიტაცია სამხედრო ნაწილში. იქ დავყავით ერთი კვირა და ისევ დავბრუნდით უკან ყარსში. ამავე დროს გაიხსნა გზები, ჩამოვედით ტფილისში, მაგრამ მენშევიკებთან ვერ შევეწყვე და დავბრუნდი ბაქოში, მხოლოდ დარჩა ტფილისში ამხ. ვაცერი, რომელიც იქმნა შემდეგ დახვრეტილი ნიკოლოზის მთავრობის ჯალათების მიერ. ბაქოში მისულისთანავე მოგვიხდა ჩვენ გაცხოველებული მუშაობა. ჩვენ, მუშები მოვითხოვდით ამხ. ალიოშა ჯაფარიძის ინიციატორობით კავშირების დაარსებას, და თუმცა მთავრობა ნებას არ აძლევდა, მაგრამ როგორც იქნა მაინც დავაარსეთ კავშირები, სადაც მუდმივად მიხდებოდა მუშაობა. არ მაწყოს კარგად, მგონი 1907 წელი იყო, ბაქოში მოიტანეს ერთი ეგონი თოფები ქუთაისში გამოსაგზავნად. შეგვატყობინა რა ვალოდია. გოგუამ ჩვენ: ამხ. კაჩატკოვმა, გიორგობიანმა, მიშა კუჩუევმა და სხვებმა იმ წამსვე წავედით და წამოვიღეთ 250 თოფი თავისი პატრონებით. რამოდე-

ნიმე მე და კაჩატკოვმა შევინახეთ და დანარჩენი გაუნაწილეთ სხვა ამხანაგებს. ერთხელ მოვიდა „ზაკასპიისკი კრაიდან" ქართული პოლკი და მე, როგორც კომიტეტის წევრს, დამავალეს, რომ ის პოლკი ბაქოს ქუთაისში და რამენაირად კავშირი დაიჭირე რამოდენიმე სალდათთანო. მეც წავედი და გავიცანი რამდენიმე სალდათი. ისინი იდგნენ მაშინ ნიკოლოზის ქუჩაზე. წავიყვანე სამი სალდათი ჩემთან ბინაზე და აუხსენი ყველაფერი და თან ბროშურებიც გადავეცი დანარჩენებში გასავრცელებლად. მეორე დღეს ერთი მათგანი მოვიდა ჩემთან და მთხოვა რომ წავყოლოდი ყაზარმაში, რომ ამეხსნა რამოდენიმე სალდათებისათვის პოლიტიკური მნიშვნელობა. მეც ხათრი ვერ გაუტეხე და წავყევი. გზაში შემომხვდა ჟანდარმერიის კაპიტანი, მაგრამ მე მას გვერდი აუხვიე და წავედი ყაზარმაში. იქ მართლაც კრება შემდგარიყო, როცა მე მივედი და დავიწყეთ ლიპარაკი. გარე მელოდებოდენ ამხ. კუჩუეი და ვარსიმაშვილი. ის სალდათი რომელმაც ჩვენ წამოგვიყვანა აღმოჩნდა პროვაკატორი. კრებაზე ხელათ შემოარტყეს ალყა და დამიჭირეს. როდესაც წამომიყვანეს ვნახე, რომ ამხ. ვარსიმაშვილი და კუჩუეიც დაეჭირათ. ჩვენ სამნიენი ერთად ჩაგვსვეს ციხეში, სადაც ვისხედით ექვსი თვე. შემდეგ გაგვანთავისუფლეს მანიფესტით. ჩვენ ისევ დავრჩით ბაქოში და განვაგრძეთ მუშაობა. იქიდან დაწყებული 1917 წლამდი დავრჩი ბაქოში და ვმუშაობდი შეძლებისდაგვარათ, ვღებულობდი ყველა გაფიცვებში და პოლიტ. მუშაობაში მონაწილეობას, მივიღე მონაწილეობა არა-ლეგალური ტიპოგრაფიის გადმოტანაში სხვა ამხანაგებთან ერთად (ამის შესახებ ბევრ ამხანაგს აქვს დაწერილი). ავრეთვე ვასრულებდი ყველა დავალებებს ორგანიზაციიდან, როგორცაა ბომბების ჩამოსხმა, იარაღების შენახვა, მათი გადატან-გადმოტანა და სხვ. 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მივიღე ტფილისელ ამხანაგებისაგან წერილი, სადაც მთხოვდენ ჩამოსვლას. თუმცა ამხ. ალიოშა და შაუმიანი არ მიშვებდნენ, ვინაიდან ვიყავი „ჩორნი გოროდის" წარმომადგენელი, მაგრამ დიდი ითხოვნის შემდეგ დამრთეს ნება და ჩამოველი ტფილისში. აქ დავიწყე მუშაობა მთავარ სახელოსნოში და ვითვლებოდი პირველ რაიონის ორგანიზაციის წევრათ. 1918 წელს ვიყავ I რაიონის ბიუროს წევრი, 1919 წ. ვიყავი ტფილისის კომიტეტის წევრი. იმავე წელში ვიყავი დაჭერილი მენშევიკების მიერ 1920 წლამდე—პარტიის ლეგალიზაციამდე. ამ წელშიდაც დამიჭირეს და გადამგზავნეს ქუთაისში, იქიდან კი ბათუმის ციხეში საქართველოს გასაბჭოებამდე.

განყოფილება

IV

რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. კალაძე

მინა კალაძე

მინა კალაძე დაიბადა 1884 წ. სოფელ ეწერში (ქუთაისის მაზრა, სამტრედიის რაიონი) სოფლის დიაკვნის ოჯახში. წერა-კითხვა ისწავლა თვით მამის სკოლაში, რომელიც გამართული ჰქონდა მამა მისს თომა (ბაილომე) კალაძეს თავისივე სახლში. აქ, ამ სკოლაში ხშირად უხდებოდა მისი სწავლება მის ძმებს, რაჟდენ და ნესტორ კალაძეებს, რომლებიც ზაფხულობით ტფილისიდან სოფელში ჩამოდიოდენ და სოფელელ ბავშვების სწავლებაში მამას ეხმარებოდენ. მინა ბავშობისას ჩუმი და გულჩათხრობილი იყო. დედის ალერსი მას არ ახსოვდა, რადგან დედა მისი დაბადების ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და ის გლეხის ოჯახში ძიძასთან იზრდებოდა. რვა თუ ცხრა წელი რომ შეუსრულდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მისცეს, სადაც მამის უყურადღებობის გამო კარგად ვერ სწავლობდა და ხშირად შიმშილს განიცდიდა. მამა თავისი უფროსი შვილების გასოციალისტების გამო განრისხებული ჯავრს უმცროს შვილზე იყრიდა და მას სრულიად უყურადღებოთ ტოვებდა. ამის გამო მინამ სწავლაზე ადრე გული აიკრუა და სკოლიდან გამოვიდა. ის თოთხმეტ-თხუთმეტი წლის იქნებოდა, თავის საკუთარი შრომით ცხოვრების სახსარის მოპოვებას რომ შეუდგა.

უფროსმა ძმებმა—ნესტორმა და გერონტიმ ის ტფილისში წაიყვანეს და იქ სტამბაში მიაბარეს შეგირდათ, სადაც ერთი მისი ძმა გერონტი მეყდეთ მუშაობდა. მინამ აირჩია მბეჭდავ მემანქანის ხელობა და მართლაც გასაოცარი სისწრაფით შეისწავლა იგი. რამოდენიმე თვის შემდეგ იგი „ამერიკანკაზე“ თავისუფლათ მუშაობდა. მალე კარგი მბეჭდავის სახელიც დაიმსახურა და ტფილისის მაშინდელ სტამბებში ადგილს ადვილათ შოულობდა. 1902 წლიდან ის დაუახლოვდა სტამბის რევოლიუციონურ მუშებს, განსაკუთრებით ამხ. ვანო ბოლქვაძეს, მალე დაუვიწყარ ამხ. კამოსაც გაეცნო, რომლის საყვარელი მოწაფე გახდა.

1903 წლის შემოდგომაზე ის უკვე ყოველ მხრივ შეგნებული მუშა იყო და მზათ იყო რევოლიუციურ მოძრაობაში თავგანწირული მონაწილეობა მიეღო. 1904 წლის გაზაფხულზე მუშათა პოლიტიკურთა ორ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო, როგორც სადე-

მონსტრაციოთ აღმართულ დროშის დამცველმა.—მკლავ ღონიერი, წარმოსადეგი და შეუპოვარი ახალგაზრდა იყო და ისეთ „მოდისთვის“ მას ხშირად ირჩევდენ. 1904 წლის ერთ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო ის კინაღამ მსხვერპლი გახდა პოლიციელის ტყვეისა; სხვა დემონსტრანტებთან ერთად ისიც დაიჭირეს და საპოლიციო ნაწილში კაზაკებისა და გარადოვების მათრახ ქვეშ გაატარეს. შემდეგ ციხეში გაგზავნეს და როცა ვადა გათავდა (სამი თვე), 1905 წელმაც მოატანა. რადგან იცოდა ტფილისში სამუშაოთ არსად არ მიიღებდენ, ბათუმს მიაშურა, მით უფრო, რომ იქ იმ დროს როტშილდის ქარხანაში (ნავთისა) დიდძალი რევოლიუციონერი მუშები იყვნენ თავმოყრილი. ისიც ამ ქარხანაში შევიდა სამუშაოთ, უკეთ რევოლიუკიური მუშაობისათვის. გააჩაღა მან წრეებში მეცადინეობა და მალე საჯარო კრებებზედაც იწყო გამოსვლა, როგორც აგიტატორ-პროპაგანდისტმა. ამ ხანაში ის თავისი რევოლიუციური შეხედულებებით, მისწრაფებით და ტაქტიკით უფრო ბოლშევიკს ემსგავსებოდა, ვიდრე მენშევიკს. მაგრამ ამ ხანებში ბათუმს ევროპიდან მოევლინა ნოე ჟორდანია, რომელმაც ბათუმის მუშებში სისტემატიური ლექციების კითხვა დაიწყო საქართველოში მენშევიზმის გასამაგრებლათ და გასავრცელებლათ.

ის ამ გზით მიზანს მართლაც მისწვდა. სხვა მუშებთან ერთად მინაც დაიწაფა მის ლექციებს და მალე „მენშევიკათ“ მოინათლა. შეუძლებელი გახდა მისთვის ნოე ჟორდანიას გავლენის არ დამორჩილება. მალე დიდი პოლიტიკური გაფიცვის გამო მთავრობამ როტშილდის ქარხანა სულ დაკეტა.

ამნაირათ მინა უალაგოთ დარჩა და იძულებული იყო მამის ოჯახს დაბრუნებოდა, სადაც ის შეეცადა მამისათვის წილხვედრი მამაპაპეული მიწა-წყალი გამოეთხოვა, გაეყიდა ის და აღებული ფული რუსეთში წასულიყო სწავლის მისაღებათ. მაგრამ მამის სიჯიუტე და უარი ვერ დაძლია. მამას არ სურდა მიწა გაეყიდა, ვინაიდან თავის საცხოვრებელ საშუალებასა და ძალას ამ მიწაში ხედავდა: ის მას „აზიარებდა“ გლეხებზე და შემოსული ღალით სცხოვრობდა და ოჯახსაც ასაზრდოებდა. თვითონ მას მუშაობა არ შეეძლო.

ამასობაში 1905 წელი რევოლიუციაც გაჩაღდა. სამტრედიის რაიონის რევოლიუციური ხელმძღვანელობა იმერეთის ს. დ. კომიტეტმა მიანდო (ბოლშევიკურმა) მინას უფროს ძმას, რომელიც, თუმცა დაავადმყოფებული იყო, მარა ადგილობრივ რევოლიუციურ საქმეებს შესაფერათ უძღვებოდა, ვიდრე არ დაატუსაღეს (4 მაისს); მაშინ ამით იდროვეს სამტრედიის მენშევიკებმა ნოე ხომერიკის მეთაურობით და სამტრედიის რაიონი ხელთ იგდეს... დაატუსაღეს მენშევიკური რაიონული კომიტეტი, რომელშიაც მინაც შედიოდა.

ამ დღიდან ის სამტრედიის რაიონულ კომიტეტშიაც მუშაობდა და ამ რაიონის შორეულ სოფლებშიაც რევოლიუციურ პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდა. კომიტეტში ის „გაღმაშხრის“ პროპაგანდისტათ დაინიშნა. სამტრედიის მუშები და გლეხკაცები მისი მეტათ მადლიერი და კმაყოფილი, იყვნენ დიდი გაელენა ჰქონდა მას მოპოებული ადგილობრივ გლეხთა მასსებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, რომელთაც ნამდვილ ამხანაგურ-მუშური სოლიდარობით ეპყრობოდა. მათ შორის ხსოვნა და სახელი დღესაც ნათელია.

მინა 1905 წლის ოქტომბრის „მანიფესტის“ გამოსვლის შემდეგ ისევ მამის ოჯახში მოიქცა, რადგან სამტრედიის რაიონში მოძრაობა თითქო დაცხრა და პროპაგანდისტი საჭირო აღარ შეიქნა... მაგრამ, როგორც ისმოდა, რევოლიუციური მოძრაობა ქ. მოსკოვში და ტფილისში სულაც არ ცხრებოდა. მუშათა რევოლიუციური ტალღები კიდევ უფრო ზევით მიდიოდა და აჯანყებისაკენ იწვევდა. მინაზე ეს ამბები აღმფრთოვანებელ გაელენას ახდენდა და მას სწყუროდა ამ ბრძოლაში ქვლავ ჩარეოდა.

ამ მიზნით მან ქ. ტფილისს დაბრუნება გადაწყვიტა, თუმცა ამას მამა უშლიდა, რადგან ის გრძნობდა, რომ მინას იქ, როგორც რევოლიუციონერს „კარგი დღე არ დაადგებოდა“. ძმები კი, ჰპირდნენ, ცდილობდენ, რომ მინა ამ მომენტში ქ. ტფილისში მოქცეულიყო, რადგან იცოდენ, რომ მისი მონაწილეობით ტფილისის მუშათა მოძრაობა ბევრს შეიძენდა.

მინამ 1905 წლის ნოემბერში მართლაც აიკრა „გუდა-ნაბადი“. აიკიდა ზურგზე და გაემართა სამტრედიის სადგურისაკენ ტფილისში წასასვლელათ.

1905 წლის დეკემბერში ს. დ. პარტიის ტფილისის კომიტეტმა ნოე ჟორდანიას მეთაურობით დღიური გაზეთის, „სხივის“ გამოცემა გადაწყვიტა. და აი ამ მიზნით მოუყარეს თავი საჭირო მუშებს, მათ შორის დაუძახეს მინასაც, რომელიც ჯერ ისევ უალაგოთ იყო. მან გაზეთის „მბეჭდაობა“ იკისრა.

ამ ხანებში არა-რეგალური რევოლიუციონური მუშაობაც ძალზე გაცხოველდა. მოსკოვის აჯანყების ზეგავლენით ვერც ნაძალადევის მუშები ისვენებდენ, აჯანყებისათვის ემზადებოდენ, თუმცა მენშევიკები მათ ცივ წყალს ასხამდენ ხოლმე გასანელებლად. მუშების მოთხოვნით სამხედრო შტაბი შედგა, რომლის ხელმძღვანელად სილიბისტრო ჯიბლაძე დაინიშნა. შტაბის გადაწყვეტილებით ნაძალადევის მუშები იარაღით ხელში უნდა გამოსულიყვნენ: აჯანყების დროთ 17 დეკემბერი ღამე დანიშნეს და ნაძალადევის **ღამის რევოლიუციურ პატრულის** ხელმძღვანელ-წინამძღოლობა დაუვიწყარმა ამხ. **კამომ** იკისრა. მან შეადგინა ცხრა რჩეულ რევოლიუციონერ მუ-

შებისაგან პატარა რაზმი, რომელშიაც კამოს დანიშნით მინა პირველ რიგში მოხვდა. მინამ აღტაცებით მიეგება ამ ახალ დანიშნულებას და, დაბეჭდა გაზეთ „სხივის“ პირველი №-რის ცალები საჭირო რიცხვი თუ არა, მყისვე ღამის 12 საათზე ნაძალადევის რეოლიუციონურ სადარაჯოზე გაეშურა.

მაგრამ არც ტფილისის ჯანდარმერიას ეძინა. მან დროზე შეიტყო ყოველივე ეს და ტფილისის შეიარაღებულ ძალების უფროსს, გენერალ გრიაზნოვს აცნობა, რომელმაც მყისვე განკარგულება მოახდინა, რომ ასაჯანყებლად გამზადებულ ნაძალადევისათვის ორი მხრიდან ალყა შემოერტყათ: კახეთის რაზმებით ჩრდილოეთის მხრიდან მთაგორებით, ხოლო სამხრეთიდან ნაძალადევის რკინის გზაზე გადასასვლელ ხიდით ქვეითა ჯარის როტა შესულიყო. ამის მოლოდინში რეოლიუციონური შტაბიც იყო, ამიტომ ის შეირყა და ყოყმანი იწყო. დაინახა, რომ ნაძალადევი შემოსეულ ძალას ვერ გაუძკლავდებოდა. ამიტომ „გამოსვლა“ ერთი პირობით უნდა მომხდარიყო: სახელდობრ იმ პირობით, თუ ჯარები გათენებამდე ვერ მოუსწრებდენ. კამოს რაზმი მხოლოდ რეოლვერებით და ყუმბარებით იყო შეიარაღებული: თუ შტაბისაგან ცნობას მიიღებდენ გათენებისას, რომ ჯანყება იწყებაო, მაშინ აჯანყება ყუმბარების გასროლით უნდა დაწყებულიყო, ხოლო თუ გათენებამდე ჯარები შემოვიდოდენ ნაძალადევში, მაშინ ეს უბედურება პატრულს მძინარე ხალხისთვის ყუმბარების გასროლით უნდა ეცნობებია, რომ მას იარაღი მიემალოემალა და შემოსულ ჯარს მშვიდათ, თავდაჭერით დახვედროდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჯარის მოლოდინში შტაბი შეირყა: გათენების ჟამი ახლოვდებოდა და ის აჯანყების დაწყებას ვერ ბედავდა, განკარგულების გაცემას აგვიანებდა; მეორე მხრით ამ განკარგულებას კამოს რაზმი მოუთმენლათ მოელოდა, რომ აჯანყების სიგნალი მიეცა. ის იყო ირიჟრაჟა, ალიონი უკვე გაჭრა, რომ არც შტაბიდან ცნობა გამოჩნდა, არც მტრის შეიარაღებული ძალა სჩანდა, რომ ნაძალადევის რკინის გზის ხიდისკენ ჯგუფებოთ მიმავალი რეოლიუციონური პატრული უეცრათ ხიდზე შემოსულ ქვეითა ჯარის როტას წააწყდა. შებრძოლება არ შეიძლებოდა, ვინაიდან ეს მათ შტაბისაგან დავალებული არ ჰქონდათ, ეიდრე მისგან შესაფერი განკარგულებას არ მიიღებდენ: ეს განკარგულება კი არ იყო; მაშასადამე ისინი უკანვე უნდა გამობრუნებულიყვნენ და იარაღი სადმე მიემალათ. ასედაც მოიქცნენ: იქვე ახლათ აშენებულ ნაძალადევის საყდარში ყუმბარები მიმალეს და შემდეგ ხევებში და ფერდობებზე მიმალვა სცადეს; მაგრამ მათდა საუბედუროთ სწორეთ ამ ხევებსა და ფერდობებზე ჩრდილოეთის მხრიდან ცხენოსანი კახეთა რაზმი გადმომდგარიყო.

შენიშნეს თუ არა კაზაკებმა, რომ მუშები იმალებიან, მიხვდენ, რომ ისინი აჯანყებულთა მზვერავები იყვნენ და მყისვე მათ სროლა აუტეხეს. ესროდენ განუწყვეტლივ ტყვიებს ამ უიარაღო 9 კაცს, რომელნიც მხოლოდ მიმალვას ცდილობდენ. რამოდენიმე მათგანი კაზაკის ტყვიით განგმირული მკვდარი დაეცა. ამ მომენტში კი კამო და მინა ერთი მეორეს ხვდებიან. კამო შესძახებს მინას: ჩაუწევი ბიჭო ხევში იქნებ გადარჩე. მინა შეუპოვარი დგას (კამოს გადმოცემით) და თოფის სროლით წამოსულ და ხმალ ამოწვდილ კაზაკებს ელოდება. რამოდენიმე ტყვიამ უკვე გაუარა მას ტანში. შეტორტმანდა ვაჟკაცი, უნდა წაეტანოს კაზაკს და თავისი მძლავრი ხელი ჩასჭიდოს მას ყელში მოსახრჩობათ, მარა ამ დროს კაზაკებს ხიდის გზით წამოსული ხიშტიანი სალდათებიც მოეშველებიან და ზურგიდან ხიშტს ჩასცემენ მინას. მინა ეცემა ძირს და როცა შეტაკების ადგილს ჯარი ტოვებს, ნაძალადევის მუშები მინას გვამს წაასწყდებიან; ხედავენ, რომ მისი გული ისევ ფეთქს. ბევრს მისი მობრუნების იმედიც ებადებოდა. მაგრამ მალე ეს იმედი ჰქრება და მინა სამუდამოთ ესალმება სიცოცხლეს.

გამხეცებულ კაზაკებს ყველა დახოცილ მუშებისათვის (ცხრა კაცისათვის), მათ შორის მინასთვისაც, ტანზე და ფეხზე გაეძროთ ყველაფერი და გაეტაცნათ. კამო მაშინ გადარჩა შემთხვევით. ის ტყვიით გაკაწრული ძირს დაეცა: თავი მოიმკვდარუნა და როცა კაზაკებმა მკვდარი ნახეს, იქვე ხევში უგულოთ გადისროლეს, ზედ საიმისო არაფერი ჰქონდა თორემ რომ დახარბებოდათ და გაეძროთ. კამომ ამით მოხერხებულათ ისარგებლა და თავი გადაირჩინა.

ასე უდროოთ შეეწირა ცხრა გმირი მუშის, მათ შორის მინა კალაძის, ვაჟკაცური, ძალღონით სავსე სიცოცხლე 1905 წლის რევოლიუციას. საქართველოს მუშათა კლასმა თავის მხურვალე რევოლიუციონურ პროლეტარულ გულში ხელთუქმნელი ძეგლი აუგო მათ.

კოსტა გიორგის ძე ჩაჩავა და იოსებ ზავარის ძე ებრაელიძე *)

1904 წ. 20 აპრილს, ღამის 1-ლ საათზე ლანჩხუთის ადგილობრივმა ბოქაულმა კვაშალმა სტრაჟნიკებით დახვედა გზაზე მომავალ ხალხს და ორი მათგანი—**კოსტა გიორგის ძე ჩაჩავა და იოსებ ზავარის ძე ებრაელიძე** სამუდამოთ გამოასალმა წუთისოფელს. თვითმპყრობელ მთავრობის სისაძაგლემ და სიმხეცემ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. ისინი ჩასაფრებულნი ხვდებიან ხალხს გზაზე და არც კი აფრთხილებენ, თითქოს ყაჩაღებთან ქონდეთ საქმე... მთავრობის მონა-მოსამსახურეები, კვაშალი-ჯაფარიძეები და სხვა გარყვნილი პოლიციელები აღარ უფრთხიან არაფერს, რომ შერყეული თვითმპყრობელობა შეამაგრონ;—მისთვის კლავენ ხალხის შვილებს, რაღა დარჩენიათ მეტი. რის პოლიციელები არიან, თუ ხალხის პატიოსან სისხლში არ გაისვრიან ხელს. თვითმპყრობელობის ჯალათთ არ შეუძლიათ გულ-გრილათ უყურონ ხალხის შეგნების და გათვითცნობიერების. ციხის, მათრახის და სახრჩობელას მთავრობას არ შეუძლია მოითმინოს ხალხის გაღვიძება. პატიოსან რუსეთს არ შეუძლია ადამიანური უფლებები მოითხოვოს; მას ამისათვის ციხითა და გადასახლებით უპასუხებენ. ჩინოვნიკებისა და პოლიციელებისაგან აკლებულს, მეფისაგან გაღატაკებულს, შემამულეებისა და მდიდრებისაგან გაყვლეფილ და შეურაცხყოფილს ხალხს არ შეუძლია თავისუფლათ კრებები გამართოს და თავის ჭირ-ვარამზე მოილაპარაკოს. ამისათვის მას გზაში ჩაუსაფრდებიან, ტყვიით გულს გაუგმირავენ, სამუდამოთ მოაშორებენ თავის საყვარელ დედ-მამას, ცოლ-შვილს, ნაცნობებს და ნათესავებს. ხალხისაგან დაქცეულ სისხლის მორევში უნდათ მათ ჩაახრჩონ სიმართლე და პატიოსნება, ჩვენი ამხანაგების სიკვდილით უნდათ თავიდან აიცდინონ ხალხის რისხვა. მოგვიკლეს ორი თავგანწირული მებრძოლი, სიცოცხლეს მოსწყვიტეს ორი სალდათი რევოლიუციისა. ძაღლებმა აღარ დააცალეს მათ, რომ თავიანთი თვალით ენახათ ნა-

*) უცნობი აეტორის ეს ნეკროლოგის ხასიათის ბიოგრაფიული წერილი ამოღებულია არა-ლეგალურათ დაბეჭდილ ბროშურიდან: „გლეხის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა". ჩვენ მას ვბეჭდავთ უცვლელათ.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფი ხალხის დიდებული ბრძოლისა, ენახათ მათი და მათებრ გმირების ხელით განადგურებული თვითმპყრობელობა. დიახ, მოკლეს, ყაჩაღურათ მოგვტაცეს ორი გმირი, ორი თავდადებული მებრძოლი: მოკლეს **კოსტა ჩაჩავა და იოსებ ებრაელიძე**, რომლებიც საუკეთესო კაცები იყვნენ მთელ სოფელში. მოკლეს, ძოკლეს ორი ღომივით ვაჟკაცი, რომელთა ყურადღება ამ ერთი წლის განმავლობაში ხალხზე და ხალხისთვის ბრძოლაზე იყო მიქცეული. ისინი სოფლის ოჯახში გაზრდილნი, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნენი გახდენ დაუძინებელი მტერი არსებული წესწყობილებისა. მათ შეითვისეს პროლეტარიატის მოძღვრების დიდებული აზრი და შემთხვევას არ უშვებდენ, რომ ვისმესთვის გადაეცათ თავიანთი აზრი და შეხედულება, ვინმე შეუგნებელი კაცისათვის აეხილათ თვალი, გაეხსნათ გონება. მთელი დღის აუტანელ შრომისაგან დაღლილ-დაქანცულები, საღამოს შინ დაბრუნებული მიდიოდენ მეზობლისას და უკითხავდენ წიგნებს ამხანაგებს, არჩევდენ ხალხს და ამ რჩეულებიდან აღგენდენ წრეებს, რომ თავის გარშემო შემოეერთებიათ ყველა ჩაგრული და გაჭირვებული.

მათ დასაფლავებაზე 3000 კაცმა და ქალმა მოიყარა თავი და სასაფლაოზე შესაფერი სიტყვებიც წარმოსთქვეს. ყველას გული მთავრობისადმი ზიზღით იყო სავსე, ყველა წყევლას და კრულვას უთვლიდა მხეც მთავრობას (ამის მეტი ცნობები არ არის).

განყოფილება

V

პარტიული არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲥᲛᲘ

საქართველოდან ჩამოსულ კომუნისტებისა *)

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს **) **საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის ბინაზე გაიმართა კრება საქართველოდან ჩამოსულ (თუ გადმოსახლებულ? რედაქცია) უველა კომუნისტებისა, რომელიც მოწვეული იყო ამხანაგების ჯგუფის ინიციატივით** ***).

კრებას დაესწრო 80 ამხანაგამდე.

თავმჯდომარედ არჩეული იყო ამხ. დ. ლორთქიფანიძე, მდივნად კი ამხ. ა. მიქაძე.

საინიციატივო ჯგუფმა დღის წესრიგში წამოაყენა მხოლოდ ერთი მუხლი—ამხ. მახარაძის მოხსენება: „საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები“ და გახსნა კამათი ამ საკითხის გარშემო.

სიტყვა მიეცა მომხსენებელს:

ჩვენი პარტია განიცდის მწვავე, კრიტიკულ მომენტს. თვითეული ჩვენგანი ეკითხება თავის თავს: „როგორ მოვიქცე შემდეგში“? ჩვენი პარტია ხელმძღვანელობდა მასსას, და მან თუ ვერ მიაღწია საბოლოო შედეგებს—ეს მისი უბედურებაა. მაგრამ მან გამოიარა გმირული წუთები. იგი იბრძოდა საშიშარ პირობებში. ერთის მხრით იმპერიალისტების მიერ წარმოებული ოკუპაცია ქვეყნისა, მეორეს მხრით, მენშევიკების ბატონობა და ბოლოს კი, გაბატონებული კლასების მიერ გაღიზიანებული შოვინისტური გრძნობები მასაში ქმნი-

*) ბაქოში.

**) 1920 წელს.

***) ეს კრება,—მენშევიკურ საქართველოდან გამოქცეულ თუ გადმოსახლებულ კომუნისტებისა,—მოწვეულ იქმნა, **არა-ლეგალურ მუშაობის** მომხრე ჯგუფის მიერ, წინაადმდეგ ამხ. არჩილ მიქაძის სურვილისა, რომელიც მაშინ, **რ. კ. პ. კავბიუროს** დანიშნისთვის ითვლებოდა ბაქოში ახლად დაარსებულ საქართველოს ცეკას ბიუროს წევრათ.

როგორც საჭირო დოკუმენტი რევოლიუციის ისტორიისათვის, კრების ეს ოქმი და რეზოლუცია შემოვიტანეთ ამ კრების მდივნის ამხ. არჩილ მიქაძეს.

მას ეთანაცვლებთ ჩვენის ჟურნალის **ნ**-ე განყოფილებაში—„პარტიულ არჩევნები“, იმიტომ, რომ იგი ფარდას ხდის, სხვათა შორის, იმ აზტყდარ დავას, რომელიც გამოიწვია „რევოლიუციის მატიანეს“ 3-მე ნომერში გაშვებულ **ამხ. რუბენის** მოგონებაზე დართულმა რედაქციის შენიშვნამ.

რედაქცია.

დენ საშინელ პირობებს და გადააქციეს ქვეყანა სისხლის ღვრომების ასპარეზათ. ასეთ პირობებში გვიხდებოდა ჩვენ ბრძოლა და ბრძოლაში ჩვენ ვიყავით მარტონი, ჩვენ საკუთარ ძალაზე დაყრდნობილი, რისთვისაც ვერ მივაღწიეთ გამარჯვებას. სასტიკი მარცხი განიცადა პარტიამ, მაგრამ საქართველოს მუშურ-გლეხური მასსა მასთან იყო, იგი რევოლიუციონურათ განწყობილი იყო.

ოქტომბრის ამბოხების (1919 წ.) შემდეგ პარტიას უნდა გადაესინჯა თავისი ტაქტიკა, და არა უკუუგდო ბრძოლის ძველი, ნაცადი მეთოდები. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მხოლოდ შეიარაღებული ამბოხებით შეიძლება გამარჯვება. მაგრამ გადასინჯვა კი საჭირო იყო. პარტიას წინეთ თავისი ძალების იმედი ჭონდა, დამარცხების შემდეგ კი დაისვა კითხვა: შეიძლება თუ არა მივაღწიოთ რამეს ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით, დამოუკიდებლათ? მენშევიკური პარტიის დიქტატურის დროს, რომელიც აერთიანებს ყველა არამუშურ ელემენტებს და ღებულობს დახმარებას გარედან—მუშათა და გლეხთა დაქსაქსული მასებით, თუ გინდ ისინი დიდი თანამგრძნობნიც გახდენ საბჭოთა ხელისუფლებისა, შეუძლებელია გამარჯვება საკუთარი ძალების ამარა. მაგრამ შეიარაღებული გამოსვლის შესახებ ფიქრი მაინც საჭირო იყო, და როდესაც ჯარები ამიერ კავკასიის ნავთსადგურებს უახლოვდებოდენ, ჩვენ მათგან დახმარების მიღების იმედით საქართველოს ჯოჯოხეთურ პირობებში ვამზადებდით შეიარაღებულ ამბოხებას. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტს წარმოდგენილი ქონდა ახალი დროის ყველა პირობები—მას წარმოდგენილი ქონდა ბევრი რამ, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, რომ, როდესაც წითელი ლაშქარი მოუახლოვდება საზღვარს და შიგნითაც ყველაფერი მზათ იქნება ამბოხების მოსახდენათ, ჩვენ ისევ დავმარცხდებოდით. ამ დროს საქართველოს მთავრობამ ფარულათ გააგზავნა რუსეთში თავისი წარმომადგენელი. ჩვენ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გვქონდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენ გაეგზავნეთ ამბავნაგი საქართველოში და მის გარეთ მომხდარ ყველა მოქმედებების შესათანხმებლათ, დასაკავშირებლათ და ამ დროს გაეიგეთ ხელშეკრულების შესახებ, რ. ს. ფ. ს. რ. იცხო მენშევიკების მთავრობა. რ. კ. პ. ც. კ-მა გაუშვა... ამას შედეგათ მოყვა ახალი პარტია—საქართველოს კომპარტია და ახალი ც. კ—ი, ჩვენ იძულებული ვიყავით დავმორჩილებოდით. მე არ შევეხები იმას, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იყო საქართველოსთან მშვიდობიანობის დამყარება. მაგრამ ჩვენ პარტია ლეგალურათ გამოვაცხადეთ, დავშალეთ სამხედრო აპარატი—წლობით ნაშენი არა-ლეგალური აპარატი.

ახალი ც. კ-ი ენერგიულათ და რამოდენიმეთ გულწრფელათ შეუდგა საბჭოთა რუსეთის დირექტივების გატარებას ცხოვრება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში—ძველი ნაბიჯების უარყოფა და მშვიდობიანი მუშაობა კომუნიზმის საფუძვლების განსახორციელებლად. ამითი ჩვენ ვურიგდებოდით იმ აზრს, რომ დემოკრატიული გზით შესაძლებელია დასახული იდეალების მიხწევა. გულში ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო, რომ მენშევიკები ისე ადვილათ ჩვენგან თავს არ მოიტყუებდენ. ლეგალური ქადაგება კომუნიზმის შესახებ და მშვიდობიანი კავშირი რ. ს. ფ. ს. რ-თან სასიკეთილო იარაღი იყო მოწინააღმდეგის ხელში. მათ გაძლიერეს თავისი აპარატი ჩვენი პარტიის დასამარცხებლათ (1000-3000 კაცამდე). მათ არ დაგვაწყებინეს დიდხანს ლოდინი და შეუდგენ საქმეს. პირველად გვეგონა, რომ დაპატიმრებანი ხდებოდა ავტომატიურათ, გვეგონა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებებმა არ იცოდენ ხელშეკრულების შესახებ არაფერი. მაგრამ შემდეგი დაპატიმრებანი კი ნათლად მოწმობდენ, რომ ჩვენ პარტიას ლეგალურად უკვეთებდენ ლიკვიდაციას. ციხეები ივსება და ჩვენი ბიურო კი ხაუნგრია კიდიას აგენტების ხელში. მიუხედავათ მშვიდობიანი კავშირისა რ. ს. ფ. ს. რ-თან მთავრობა ინტენსიურათ აწარმოებდა თავის ბნელ საქმეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ (დახმერება ერანგელის და სხვ.). საქართველოს მთავრობა დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ხელშეკრულებამდე იყო. ის გაძლიერდა ჩვენი პირტიის დასუსტების დროს, და ჩვენ ჩვენი პარტიის გახრწნის ფაქტის წინ ვიმყოფებით. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რეპრესიები მხოლოდ გაუგებრობის შედეგი იყო და რ. ს. ფ. ს. რ-ის მისია მოსთხოვს საქართველოს მთავრობას შეასრულოს ხელშეკრულების მუხლი ჩვენი ლეგალობის შესახებ. მაგრამ მისიის ჩამოსვლის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. მსვლი ახლა გაეჭიანებულია და არ იცის ვინ ღალატობს მას.

დაშლა მომავალში არ უნდა გაგრძელდეს. მაშ როგორ მოვიქცეთ? ამ საკითხს ჩვენ მუდამ წამოვაყენებთ. კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ პარტია ლეგალურათ ყოფება. არავითარი სამუშაო არ არის, ჩვენი ორგანო აი რისთვის ეჭიერება მთავრობას: 1. დაანახვოს ხალხს, რომ ის ჩვენ არ გვდევნის, არის ხალხი, რომელიც სცემს ამ გაზეთს და როშელიც კითხულობს მას, 2. აპატიმრებენ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებისათვის და ჩვენ ამხანაგებს სწორედ ასეთ ბრალდებას უყენებენ, 3. გამოძებნოს და დაიჭიროს კომუნისტები და უბრალო პირები, რომელიც კითხულობენ ამ გაზეთს. მაშ რა გამოსავალია? ყველა ამხანაგები, რომელთაც დავეკითხე, ერთხმათ პასუხობენ—დავიწყოთ არა-ლეგალური მუშაობა. ჩვენ აქ ვარჩევთ არა პოლიტიკურს, არამედ საორგანიზაციო საკითხებს. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი გამარჯვება საქართველოში უნდა მოვამზადოთ ისევ ჩვენ, ჩვენმა ორგანიზაციებმა—გარდა სხვა ძალებისა, რომელსაც მე აქ არ ვეხები. ჩვენ სახით გვიცნობენ, მაგრამ მუშაობა კი

საჭიროა არა-ლეგალურათ. ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვაცხადებთ ჩვენს არალეგალურობს, მაგრამ, გამოვიყენებთ რა ყველა ლეგალურ შესაძლებლობას, უნდა გადავიდეთ არალეგალური მუშაობის სისტემაზე. მე ვაყენებ შემდეგ თეზისებს (იხ დამატება).

მიპასუხებენ: 1. არ შეიძლება არალეგალურათ მუშაობა, უფრო ადვილათ დაგვიჭერენ ყველას, ვინემ ლეგალური მუშაობის დროსო. ეს არ არის საბუთიანი განცხადება. ჩვენ გვჭირდება არმია—მაშ უნდა ვიმუშაოთ არალეგალურათ. 2. ამბობენ, რომ არალეგალური მუშაობა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების დარღვევა იქნება ჩვენივე მხრითო. სრულიადაც არა, ჩვენი პარტია დამოუკიდებელია. მას ეს ხელშეკრულება არ დაუდვია. ჩვენი პარტია (საქართვ. კომპარტია) ამ ხელშეკრულებით გაანადგურეს.

3. ლაპარაკი იმის შესახებ, ვითომ ჩვენ ამ გზით დავკარგავთ ლეგალურ ორგანოს, წარმოადგენს ლოზუნგს—როგორც არ უნდა იქნეს უნდა შევინარჩუნოთ ლეგალიზმი.

როდესაც ვარჩევდით ხელშეკრულებას, ჩვენ ვეუბნებოდით მენშევიკებს, რომ არავითარი ფორმა ბრძოლისა ჩვენთვის ფეტიშს არ წარმოადგენს. მაშ გამოვიყენოთ აქედან დასკვნა.

დასასრულ ორატორი მოგვიწოდებს გავამაგროთ ყოველი ძალებით კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება ადერბეიჯანში. მძიმეა ჩვენი მდგომარეობა. სამი წელიწადია დამდგარია ჩვენში წარმოება, რომელიც იძლევა სიცოცხლეს, და მუშაობენ ისინი, რომელნიც სოფლებში სიკვდილს. მაგრამ პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს მთელ დედამიწაზე. მე თქვენ მოგიწოდებთ დაიცავთ რკინისებური დისციპლინა და მტკიცედ შეკავშირდეთ და გისურვებთ, რომ ჩვენ თავისუფლათ ვარჩევდეთ მომწიფებულ საკითხებს არა მარტო აქ, არამედ საბჭოთა საქართველოშიდაც.

რამდენიმე შეკითხვის შემდეგ სიტყვა ეძლევა—კრების თხოვნის თანახმად—ამხ. ძნელაძეს საქართველოს მდგომარეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლათ.

მასსა დამფრთხალია, ორგანიზაციები დანგრეული. ჩვენი გაზეთის წაკითხვისათვის დაატუსაღეს 70 წლის მოხუცი. მასსა მაინც არ არის ჩვენ წინააღმდეგ. გურიამ გადასწყვიტა გადავიდეს არალეგალურ მუშაობაზე.

ბათუმიდან ახლათ ჩამოსული ამხ. ხნგლინსკი ამბობს, რომ ინგლისელების მიერ განადგურებული პროფკავშირები აღადგინა ნაწილ-ჩენსკის საბჭომ ცნობილ აიოლლოს მეთაურობით. ამ მენშევიკური საბჭოს მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ არჩევნები ერთი თვის შემდეგ იქნება დანიშნული, დღემდის არ არის განხორციელებული. მაგრამ ,,კავშირების გამგეობების არჩევნებში, მაგალ., მელითო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთა, მბეჭდავთა, სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა, გავიმარჯვებთ ჩვენ. მბეჭდავთა ორგანო „შრომის ხმა“ („გოლოს ტრუდა“) დაკეტა ხელისუფლებამ ბოლშევიკობისათვის.

ამხ. მაისურაძის მოხსენების გამო თავის აზრი გამოსთქვეს თოდრიამ, სტურუამ, კატო მიქაძემ, ევაშვილმა, ხვალისმა, არამმა, კიკნაძემ. გარდა კიკნაძისა, რომელიც წინადადებას იძლეოდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა და რ. კ. პ. ინტერესების დასაცავად პარტიული ლეგალური მუშაობისა და არალეგალური ორგანიზაციების შექმნის შესახებ—გაგვეტარებინა სათანადო ხაზი, თანახმად ცენტრის დირექტივებისა, ვინაიდან ჩვენ, წინააღმდეგ ამხ. მახარაძის სიტყვისა—ვითომდა ჩვენი პარტია დამოუკიდებელი იყოს, ორგანიულათ ვართ დაკავშირებული რ. კ. პარტიასთან და ჩვენი მოქმედებანი უნდა იქნეს შეთანხმებული უკანასკნელთან, ყველა დანარჩენი ორატორები, ეთანხმებოდნენ რა არსებითად ამხ. მახარაძეს, მის მოხსენებას თითქმის არ შეხებიან. მაგრამ ყველა მოითხოვდა აგვერჩია ამ კრებაზე ჯგუფი საქართველოში სამუშაოდ, რომელიც უნდა დამტკიცებია კავკასიის ბიუროს. ეს უკანასკნელი და მთელი რეზოლიუცია მიღებულ იქნა უმრავლესობის მიერ.

რეზოლიუციის ხმა მისცა 70 და თავი შეიკავა ერთმა (მიქაძემ). მახარაძეს ფორმულეროვკას ხუთი კაცისაგან შემდგარ ბიუროს არჩევის შესახებ ხმა მისცა 63 კაცმა და წინააღმდეგი იყო 7.

არჩეულ იქნა ჯგუფში: დუმბაძე, ლორთქიფანიძე, კიკნაძე, ძნელაძე, ელიოზიშვილი.

დადგენილ იქნა გადაეცეს ეს სია კავკასიის ბიუროს დასამტკიცებლათ და რეზოლიუცია კი ეცნობოს რ. კ. პ. ც. კომიტეტს.

თავმჯდომარე **ლორთქიფანიძე.**
მდივანი **არ. მიქაძე.**

31/IX 1920 წ.
ქ. ბაქო.

რეზოლიუცია

რომელიც მიღებულ იქნა. ბაქოში, 1920 წ. 30 სექტემბერს, კომუნისტების საერთო კრებაზე.

კრებას დაესწრო 85 მომუშავე საქართველოს კომუნისტური პარტიიდან.

მოისმინა რა ამხ. მახარაძის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ მდგომარე პირობებში, კრებამ დაადასტურა 79 ხმის უმრავლესობით (წინააღმდეგი არავინ ყოფილა, თავი შეიკავა 6-მა) შემდეგი დებულებები, რომელიც წამოაყენა მომხსენებელმა პარტიის აღდგენის მიზნით.

გამოცდილებით რა იმიდან, რომ ოთხ-ნახევარი თვის წინეთ გატარებული „ლეგალიზაცია“ დაღუპვას უქადის, თუ ჯერ კიდევ საკმარისი არ დაღუპულა, საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომ პარტია კვდება, მენშევიკური მთავრობა მას სისტემატიურად ანადგურებს, ან ჯერ კიდევ შერჩენილ პარტიული ორგანიზაციების დასაცავად და დანგრეულ ორგანიზაციების აღსადგენად და გასაძლიერებლად საჭიროა:

1. ყველაზე უსაჭიროეს და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დღეს არალეგალური პარტიული აპარატის მოწყობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე მთელი პარტიული მუშაობის — როგორც ლეგალურის, ისე არა-ლეგალურის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამასთან ერთად პარტია უარს არ ამბობს გამოიყენოს მუშაობისათვის ყველა ლეგალური შესაძლოებანი, მაგრამ საქმის სათავეში კი არალეგალური მუშაობა იქნება.

2. პარტიული უჯრედების დაარსება ყველა სოფლებში, სოფლის საზოგადოებებში, აგრეთვე ყველა ქარხნებში, ფაბრიკებში, უპარტიო დაწესებულებებში (საერობო და ქალაქის თვითმართველობებში, კოოპერატივებში, ბანკებში და სხ.).

3. ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მათ მუშაობას არმიაში, თვითეულ პოლკში, ბათალიონში, რაზმში. გუნდში დაარსებულ უნდა იქნეს კომუჯრედები.

4. მასასთან დაახლოება არალეგალური კრების მოწყობით, კრება-საუბრების გამართვით და ფურცლების „ლეტუჩკების“, გამოშვებით, რომელიც ხელს უწყობენ საბჭოთა ლოზუნგების გავრცელებას: მთელი ძალა-უფლება მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს, მთელი მიწები მშრომელებს და სხვ.

5. უპირველესად ყოვლისა საჭიროა პარტიის გაწმენდა. პარტიიდან უნდა გამოირიცხოს ყველა ის, ვისაც ზედმეტ ბარგათ მიაჩნია პარტიული საქმეები, მისთვის თავს არ იცხელებს და გულს არ იტკივებს და საერთოდ საქმისადმი გულგრილით მოპყრობით დეზორგანიზაცია და გახრწნა შეაქეს პარტიაში; უნდა გამოირიცხოს პარტიიდან ყველანი, ვისაც ეზარება „ხელის განძრევა“ („ბელორუჩკ“-ები), რომელნიც ზედმეტათ ამძიმებენ ჩვენ პარტიას და მათი გამოყენება საჭიროების დროს და ყოველ საჭირო საქმეში კი შეუძლებელია. ჩვენ ახლა გვჭირდება რიცხვით პატარა, მაგრამ თვისებრივათ კი საუკეთესო, ჩინის დისციპლინით შეკავშირებული, მტკიცე ცენტრალიზაციის სისტემაზე აგებული პარტია, რომელიც შესძლებს, თავის ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოს ბრძანების თანახმად, ყოველ დროში შეკრიბოს ყველა თავისი ძალები.

6. საჭიროა დაუყონებლივ შეუდგეთ პარტიული კონფერენციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ პარტიული ყრილობის მოწვევას. ასეთი დაგვიანება ამსაკითხში გააძლიერებს ჩვენ მოუწყობლობას და დაასუსტებს პარტიული ძალთა შეკრებას. დასასრულ, საჭიროა თვით პარტიის ნამდვილი აზრი პარტიული ორგანიზაციასა და ტაქტიკის უსაჭიროეს და არსებით საკითხებში.

7. ვინაიდან ამ ცოტა ხანში დანიშნული საქართ. პარტიული ც. კომიტეტი თავის შემადგენლობით, ცოტას გამოკლებით, სრულიად შეუფერებელია და მის შემადგენლობას არავითარი ავტორიტეტი არ ექნება საქართველოს მუშებში და გლეხებში, ამიტომ საჭიროა რ. კ. პ. ც. კ-მა ხელახლა დანიშნოს ს. კ. პ. ხელმძღვანელი ცენტრალური კომიტეტი უფრო პასუხისმგებელ, გამოცდილ, გაწვრთნილ და გამობრძმედილ ამხანაგებიდან, რომელნიც შესძლებენ ყველა ამ დავალებების ცხოვრებაში გატარებას.

8. საჭიროა დაუყონებლივ დაარსდეს საქ. კომპარტიის ც. კ-ის ორი ბიურო—ერთი ბაქოში და ერთი ვლადიკავკაზში, რომ შეაერთოს, შეაკავშიროს ის გარეთ გასულნი ამხანაგები, რომლებიც ახლო არიან დაინტერესებული საქართველოს საქმეებით, ერთის მხრით ხალხითა და სხვა საშვალებებით უშუალო დახმარების გასაწევად კომუნისტური მუშაობისათვის თვით საქართველოში.

თავმჯდომარე **ლორთქიფანიძე**.
მდივანი **მიქაძე**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. მახარაძე

მოხსენება მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესზე *)

წინასიტყვაობა.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის დელეგატი მეორე მსოფლიო კონგრესზე, სხვებთან ერთად მეც ტფილისიდან გავემგზავრე მოსკოვს 1920 წლის 29 ივნისს (თიბათვეს). კონგრესის გახსნა დანიშნული იყო 15 ივლისს (მკათათვეს). რა თქმა უნდა, ბ—ნ კედიას განსაკუთრებული რაზმის აგენტები მეტის გაფაცებით და გულმოდგინებით გვითვალთვალებდენ სანამ საქართველოს საზღვრებს გავსცილდებოდით, იმათ სახეზე ადვილათ ამოიკითხავდი შემდეგს: გვიმადლოდეთ, რომ გასვლის ნება მოგეცით და რაც შეეხება დაბრუნებას, ამაზე კი ნუ ფიქრობთო.

და მართლაც, ისინი მართლები იყვნენ. ბევრს ჩვენგანს უკან დაბრუნების უფლება ჯერ-ჯერობით მოსპობილი გვაქვს, მაგრამ მე მაწევს დელეგატის მოვალეობა, ე. ი. მოხსენების გაკეთება და ეს მოხსენება უნდა გავაკეთო დღეს წერილობით.

ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული სრული, დაწვრილებითი ანგარიში მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე. ამ მოხსენების შედგენის დროს მე ვსარგებლობ მხოლოდ მით, რაც კონგრესამდე თუ თვათ კონგრესის დროს იყო გამოქვეყნებული, და აგრეთვე მით, რაც თავისი თვალით ვნახე მოსკოვში და პეტროგრადში. ნურავინ იფიქრებს კი, რომ ეს მოკლე მოხსენება სავსებით ამოსწურავს მთელ იმ მუშაობას, რომელიც მეორე კონგრესმა მოახდინა. ამ მოხსენებას მხედველობაში აქვს ჩვენი მუშების და გლეხების დიდი უმრავლესობა, ე. ი. მკითხველების ის ნაწილები, რომელიც არა თუ მოკლებულია საშუალებას უცხო ენაზე არსებული ლიტერატურით ისარგებლოს, არამედ რომლისთვის უმეტეს შემთხვევაში ქართული ლიტერატურაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ხშირად მიუწდომელია.

ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის წარმოშობის ისტორია, რაც შეიძლება მოკლეთ

*) ამ სტატიის დაბეჭდვა მეშვეიკების პატონობის დროს საქართველოში გაზეთის დახურვის შიშით არ მოხერხდა, ახლა ვბეჭდავთ მას, როგორც დოკუმენტს პარტ-მასალისათვის.

რედაქცია.

და შემდეგ დავახასიათოთ მეორე კონგრესის მუშაობა საზოგადოებრივ შეეცდებით იმის გარკვევას, თუ რა გააკეთა ამ კონგრესმა, თუ რა კითხვები გადაჭრა მან, და თუ რა მნიშვნელობა ექნება მას მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციაში.

როგორ შეხვდა საერთაშორისო პროლეტარიატი და განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთი მეორე კონგრესს?

სანამ პირდაპირ საგანზე გადავიდოდე, საჭიროთ მიმაჩნია შეეხო რამდენიმე სიტყვით იმ საკითხს, რომელიც ზევით დავსვი.

საქმე იმაშია, რომ უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო პროლეტარიატმა მეორე კონგრესისადმი გამოიჩინა უდიდესი ყურადღება. არ დარჩენილა არც ერთი ქვეყანა, არც ერთი სახელმწიფო, სადაც მუშათა კლასის უფრო რევოლიუციონური ნაწილი, მისი ავანგარდი არ დაინტერესებულიყოს მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის მოწვევით. ყოველივე ის, რაც პატიოსანი, ცხოველმყოფელი და საუკეთესოა საერთაშორისო მუშათა კლასში, გულწრფელი პატივისცემით და ღრმა თანაგრძნობით იმსჭვალება საბჭოთა რუსეთისა და კომუნისტური ინტერნაციონალისადმი, მაშინ როცა მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ნამდვილ ცოცხალ მძორს წარმოადგენს, თანდათან კარგავს ყოველივე პატივისცემას და თანაგრძნობას მუშათა კლასის ფართო მასაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიუხედავათ ათასნაირ გარდაუვალ დაბრკოლებათა ევროპის, ამერიკის და აზიის მშრომელ მასათა წარმომადგენლებმა შესძლეს ყველა ამ დაბრკოლებათა გადალახვა და საბჭოთა რუსეთში შესვლა დიდი ვაივაგლახის და გაჭირვების შემდეგ. ერთი სიტყვით, ევროპის და ამერიკის პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდი (მოწინავე რაზმი), კომუნისტური პარტიები, რევოლიუციონური სინდიკატები, საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტები,—დღეს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისკენ იყურებიან, წითელი პეტერბურგისა და მოსკოვისაკენ მოუშურებიან და თავის ხსნას, თავის ბედ-იღბალის გადაჭრას საბჭოთა რუსეთის ბედზე ამყარებენ.

მაგრამ ის, რაც მოხდა წითელ პეტერსა და მოსკოვში მეორე კონგრესის მოწვევის დროს, როგორ დაუხვდა საერთოთ საბჭოთა სოციალისტური რუსეთი კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შეკრებას, ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელია. დაახლოებით თვე, თვე-ნახევრის წინ თვით კონგრესის გახსნამდე, თითქმის მთელი რუსეთი მესამე ინტერნაციონალზე და მის მორიგ კონგრესზე ლაპარაკობდა. არ დარჩენილა მთელ ამ უზარმაზარ რუსეთში არა თუ ისეთი ქალაქი, არამედ მიყრუებული სოფლებიც კი, რომელსაც არ სცოდნოდეს, რომ ახლო მომავალში მოსკოვში შეიკრიბება მეორე

მსოფლიო კონგრესი კომუნისტური ინტერნაციონალისა, სადაც თავს მოიყრიან საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციონური პროლეტარიატის ნამდვილი ბელადები. ამ მომავალ კონგრესზე ლაპარაკობდენ გაზეთები, კრებებზე, მიტინგებზე, გამოჰქონდათ შესაფერი რეზოლიუციები. უგზავნიდენ მისალმებებს, იმართებოდა სპეციალური „სუბოტნიკები“ მეორე კონგრესის პატივსაცემლათ და სხვა და სხვა.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ დაუხვდა მეორე კონგრესის გახსნას ჯერ წითელ პიტერის გმირული პროლეტარიატი 19 ივლისს და შემდეგ, 27 ივლისს, წითელი მოსკოვის სახელოვანი პროლეტარიატი. მარტო ამ ორი საზეიმო დღესასწაულის აღწერას მოუნდებოდა მთელი ბროშიურა, ამიტომ მე აქ ამას თავს ვანებებ. ავლინშნავ მხოლოდ იმას, რომ როგორც საერთაშორისო პროლეტარიატმა, ისე განსაკუთრებით რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდმა სავსებით შეიგნეს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში.

მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ანუ ინტერნაციონალის მოკლე ისტორია.

მუშათა ინტერნაციონალს ნიადაგი მოემზადა კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ, ხოლო პირველი საფუძველი ჩაუყარეს მას **მარქსმა** და **ენგელსმა** ჯერ კიდევ 1848 წლის დასაწყისს თავიანთ შესანიშნავი **„კომუნისტური მანიფესტით“**, რომელიც თავდებოდა ცნობილი მოწოდებით: **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“**.

მუშათა კლასის დამარცხების გამო (1848—49 წლების რევოლიუციები საფრანგეთში, გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში) ერთი მხრით და ბურჟუაზიის და მემამულეების გამარჯვების გამო, მეორე მხრით მუშათა ინტერნაციონალის დაარსების საკითხი სამერმისოდ გადაიდვა. რა თქმა უნდა მარქსმა და ენგელსმა ყველა ქვეყნის მუშების გაერთიანების, შეკავშირების, სოლიდარობის იდეები ფართოთ გაავრცელეს მუშათა კლასში, ჰაერი გაჟღენთილი იყო ამ იდეებით, მაგრამ პირობები მუშათა საერთაშორისო საზოგადოების შესადგენათ საკმაო მომზადებული ჯერ კიდევ არ იყო. მართლაც, **პირველი ინტერნაციონალის** დაარსება 1864 წელს უფრო შემთხვევით იყო გამოწვეული.

ამ წელს ლონდონში, სადაც იმ დროს მარქსი ცხოვრობდა, სამრეწველო გამოფენა იყო, რომელიც ინახულეს სხვათა შორის სხვა და სხვა ქვეყნის მუშებმა. აი ამ გარემოებით ისარგებლა მარქსმა და დაარსა მუშათა პირველი **საერთაშორისო ამხანაგობა**. ეს იყო **პირველი ინტერნაციონალი**. მარქსმა განსაზღვრა მუშათა ინტერნაციო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალის დანიშნულება და მიზანი, მანვე შეადგინა მისი წესდება (სტატუტი).

აი რას ეკითხულობთ, სხვათა შორის ამ წერილებში:

„მუშების განთავისუფლება უნდა იყოს თვით მუშების საქმე . . . მუშის ეკონომიური დამორჩილება წარმოების საშუალებათა მფლობელობის მიერ შეადგენს მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური, ნივთიერი და ზნეობრივი მონობის უმთავრეს მიზეზს. ამიტომ მუშების ეკონომიური განთავისუფლება შეადგენს იმ დიად მიზანს, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყოველივე პოლიტიკური მოძრაობა, როგორც საშუალება. ყოველივე მეცადინეობა ამ მიზნის მისაღწევად ჩრდილოდა აქამდის განუხორციელებელი თითეულ ცალკე ქვეყანაში სხვა და სხვა პროფესიის მუშებს შორის სოლიდარობის უქონლობის გამო და ავრეთვე სხვა და სხვა ქვეყნის მუშებს შორის ძმური კავშირის არ არსებობის გამო. შრომის განთავისუფლება, რაც არ ჩაითვლება არც ადგილობრივ, არც ნაციონალურ, არამედ სოციალურ საქმედ, შეიცავს ყველა ქვეყნის ინტერესებს, სადაც კი თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება არსებობს, და ამიტომ ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ყველა ქვეყნის მუშების ურთიერთ ნივთიერი და იდეური დახმარება“-ო.

ამ სიტყვებში მარტივათ და ნათლათ ნაჩვენებია მუშათა ინტერნაციონალის მიზანი, მისი გზა, და მისი დანიშნულება. პირველი ინტერნაციონალი მარქსის წინამძღოლობით ახორციელებდა, ცხოვრებაში გაყავდა ზევით ნაჩვენები მიზანი და დანიშნულება. ის ეხმარებოდა მუშათა მოძრაობას სხვა და სხვა ქვეყნებში, ეხმარებოდა მუშათა გაფიცვებს, როგორც ზნეობრივათ, ისე ნივთიერათ, ესარჩლებოდა დაჩაგრულ ერებს (პოლონელებს, ირლანდიელებს და სხვ.), ერთი სიტყვით მარქსის მიერ დაარსებული მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა იყო ინტერნაციონალი **საქმით** და არა მარტო **სიტყვით**, და როგორც ასეთი, ის პირველი დღიდანვე თავის მოელინებისა თავზარდამცემი შეიქმნა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სეხელმწიფოებისთვის და იმათ მთავრობათათვის. ცნობილია, რომ 1871 წლის **პარიჟის კომუნა**, — ეს პროლეტარული სახელმწიფოს ანუ პროლეტარიატის დიქტატურის პირველი წინამორბედი, — ინტერნაციონალს პირდაპირ არ მოუმზადებია, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ფაქტათ იქცა, მარქსმა ზომები მიიღო მასზე გავლენა მოეხდინა და მისთვის გზა ეჩვენებია. კაპიტალისტური მთავრობები კი დარწმუნებული იყვნენ, რომ პარიჟის კომუნა, — ეს ინტერნაციონალის საქმეა, და უნდა ვთქვათ, რომ არსებითად ისინი არ ცდებოდნენ, ვინაიდან მთელი მაშინდელი მუშათა მოძრაობა სხვა და სხვა ქვეყნებში და, მაშასადამე, პარიჟის კომუნაც, იმ იდეების, იმ პროპაგანდის და აგიტა-

ციის შედეგი იყო, რომელსაც აწარმოებდენ მარქსი და ენგელსი და იმათი მიმდევრები და რომელიც იკვებებოდა მარქსის და ენგელსის ნაწერებით და პირველ რიგში იმათი „კომუნისტური მანიფესტით“ და აგრეთვე თვით მუშათა საერთაშორისო ამხანაგობით, ანუ პირველი ინტერნაციონალით.

პარიჟის კომუნის დაცემა—ეს არ იყო მარტო პარიჟის ან საფრანგეთის მუშათა კლასის დამარცხება, ეს იყო მთელი მაშინდელი მუშათა მოძრაობის დამარცხება საერთაშორისო ფარგლით, რომელსაც მეთაურობდა იმ დროს საფრანგეთის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პარიჟის პროლეტარიატი.

აშკარა იყო, რომ პარიჟის პროლეტარიატის ყოველად უსასტიკესი დამარცხება 1871 წელს მეტად ცუდ გავლენას იქონიებდა მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობაზე, რომ ეს დამარცხება დიდი ხნით შეაჩერებდა ამ მოძრაობას, ყოველ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ მუშათა ინტერნაციონალის მოქმედებას დროებით ნიადაგი ეცლებოდა, ვინაიდან გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ მახვილი ჩასცა გულში საერთაშორისო პროლეტარიატის წინავე რაზმს, პარიჟის მუშებს, და დანარჩენ ქვეყნებში კი მუშათა მოძრაობა ისედაც სუსტი იყო და ახლა კიდევ უფრო დასუსტებოდა. მარქსი კარგათ ხედავდა ამას, და ამიტომ მან საუკეთესოთ ჩასთვალა ინტერნაციონალის მოქმედების დროებით შეჩერება. ეს მოხდა 1872 წელს. პირველმა ინტერნაციონალმა შესწყვიტა თავისი მოქმედება, იმ მიზნით, რომ მას განეახლებია თავისი მოქმედება უფრო ხელსაყრელ პირობებში. მარქსის აზრით ინტერნაციონალის აღდგენა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ცალ-ცალკე ქვეყნებში მუშათა მოძრაობა მოღონიერდებოდა, თავის გარკვეულ სახეს მიიღებდა, როცა ცალ-ცალკე სახელმწიფოები, ნაციონალურ ფარგლებში ჩამოყალიბებოდენ მუშათა პოლიტიკური, პროფესიონალური თუ კოოპერატიული ორგანიზაციები, მხოლოდ მაშინ დაურჩებოდა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობას ანუ ინტერნაციონალს მკვიდრი საფუძველი. პარიჟის კომუნის დაცემამ შეაჩერა, შეასუსტა, შეაფერხა მუშათა მოძრაობა საერთაშორისო ფარგლით. მაგრამ ამ გარემოებამ ვერ მოსპო ეს მოძრაობა და არც შეეძლო მოესპო ის. ხოლო ამ გარემოებამ ერთნაირი დაღი დაასვა მუშათა მოძრაობას. საქმე იმაშია, რომ 1871 წლამდე მუშათა მოძრაობას აშკარა რევოლიუციონური ხასიათი ჰქონდა, პარიჟის კომუნის დამარცხების შემდეგ მუშათა მოძრაობა საერთოთ და საფრანგეთის პროლეტარიატი კერძოთ დიდი ხნით კარგავს ამ ხასიათს. და ეს ადვილი ასახსნელია. საფრანგეთის მუშათა კლასს აღარ ყავდა თავისი რევოლიუციონური მოწინავე რაზმი: იგი ან ამოწყვეტილი იყო, ან კატორღაში იტანჯებოდა; ერთი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვით საერთაშორისო მუშათა მოძრაობას კაპიტალისტებმა მოსპერეს. მუშათა მოძრაობას აღარ ყავდა გამოცდილი, მომზადებული და გაბედული მეთაურები, მუშათა მოძრაობა დიდი ხნით ტოვებს რევოლიუციონურ მეთოდს და ადგება მშვიდობიან, რეფორმისტულ გზას, ეითარდება მუშათა კლასის პროფესიონალური და კოოპერატიული ფორმები; პოლიტიკური ორგანიზაციები, მუშების პოლიტიკური შეგნება ეცემა ან ოდნავ ბეტუტავს; საერთოთ მუშათა კლასი ბურჟუაზიის, კაპიტალისტების და მემამულეების მაჩანჩალა ხდება. ინგლისში **ტრედ-იუნიონები** ანუ მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ ეითარდებიან. ოთქმის ამასვე ეხედავთ საფრანგეთში, ამერიკაში. მხოლოდ გერმანიაში ნახევრად აბსოლიუტური წესწყობილების მეოხებით, ერთი მხრით, და მუშათა ორგანიზაციების დევნის გამო მეორე მხრით, მუშათა მოძრაობა ისევ რევოლიუციონურ სულისკვეთებას განიცდის; იქ საძირკველი ეყრება მუშათა ძლიერ **პოლიტიკურ პარტიას—სოციალ-დემოკრატიას,** რომელსაც წილად ერგო მთელი განსაზღვრული ეპოქის განმავლობაში ხელმძღვანელი ორგანიზაციის როლი ეთამაშა მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობაში.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ცალ-ცალკე ქვეყნებში მუშათა კლასის ერთნაირი დარაზმვა პოლიტიკურ, თუ პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში ეითარდება, წინ მიიწევს; ზოგ ქვეყნებში, როგორც მაგ. გერმანიაში, იტალიაში, რამოდენიმეთ საფრანგეთში მუშათა პოლიტიკური პარტიებიც ჩნდებიან და ეითარდებიან, და არ გაუვლია ორ ათეულ წელსაც კი პირველ ინტერნაციონალის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, რომ ინტერნაციონალის აღდგენა აუცილებელი ხდება. 1872 წლის შემდეგ საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი პირველათ იკრიბება 1889 წელს პარიჟში. აქედან ღებულობს დასაწყისს მეორე **ინტერნაციონალი,** რომელიც პირველი ინტერნაციონალის ანდერძის შესრულებას კისრულობს.

სამწუხაროთ, საერთაშორისო სიტუაცია შეცვლილი იყო. მართალია, სხვა და სხვა ქვეყნებში მუშათა კლასი ამ ხნის განმავლობაში მოლონიერდა, მან შექმნა თავისი საკუთარი კლასიური ორგანიზაციები, მაგრამ ეს არ იყვნენ რევოლიუციონური მებრძოლი ორგანიზაციები, არამედ ისინი ეგუებოდენ არსებულ ბურჟუაზიულ წყობილებას; ისინი ფიქრობდენ არა ბურჟუაზიულ წყობილების დაგმობას, რამდენათ ამ წესწყობილებასთან შეწყობას, ფიქრობდენ არა რევოლიუციონურ მოქმედებებზე, არამედ მშვიდობიან განვითარებაზე ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ფარგლებში, ლაპარაკობდენ და მსჯელობდენ კაპიტალისტებიდან რაიმე ნაფინჩხების მიღებაზე, რეფორმების შემოღებაზე და სხვ. ეს იყო პროლეტარული რევოლიუციისაგან

განზე გადახვევა, ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა და ამას ეწოდებოდა **რეფორმიზმი, ოპორტუნიზმი;** ეს იყო შეთანხმება ბურჟუაზიასთან, ეს იყო კლასების თანამშრომლობის ქადაგება, რასაც საქმით ჩადიოდენ მუშათა კლასის ახლად მოღვაწენი ბელადები, წინამძღოლები, იდეოლოგები. მეორე ინტერნაციონალს ეს სენი თავიდანვე დაყვა. მეორე ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესები იკრიბებოდა ორი-სამი წლის განმავლობაში, არსებობდა მუდმივი საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, გამოქონდათ მეტად რადიკალური და ლამაზი რეზოლიუციები,—ერთი სიტყვით, მეორე ინტერნაციონალი თითქო მართლაც იზიარებდა მარქსის და პირველი ინტერნაციონალის დიად იდეებს და ანდერძებს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვით, საქმეზე არავინ არ ფიქრობდა, არც ამ რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარებაზე, არც მარქსის იდეების განხორციელებაზე. დაიწებოდა კონგრესი, წავიდ-წამოვიდოდენ სხვა და სხვა ქვეყნის მუშების წარმომადგენლები და კონგრესის დადგენილებებზე არავინ არ ფიქრობდა. იმის საუკეთესო დამახასიათებელ მაგალითს, თუ როგორი ღრმა წინააღმდეგობა არსებობდა მეორე ინტერნაციონალის კონგრესების დადგენილებებსა და იმათ ცხოვრებაში განხორციელების შორის, წარმოადგენს **ომის** საკითხი. მეორე ინტერნაციონალი ამ საკითხს აყენებდა თითქმის ყველა თავის კონგრესებზე. სხვათა შორის კონგრესზე 1907 წელს გამოტანილ იქნა ფრიად დასაბუთებული რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: „იმ შემთხვევაში, თუ ომმა მაინც იფეთქა, სოციალისტები ვალდებულნი არიან ჩაერიონ, რომ **რაც შეიძლება ჩქარა შეაჩერონ ის და სავსებით გამოიყენონ ომის მიერ გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, რათა ააგდანყონ ხალხი და მით დაახლოვონ კაპიტალისტური ბატონობის დამხობაო**". კოპენჰაგენის კონგრესზე (1910 წ.) ეს რეზოლიუცია განმეორებით იქნა მიღებული და გარდა ამისა კიდევ ერთხელ ინტერნაციონალმა განაცხადა, რომ სოციალისტ-დეპუტატების (პარლამენტების წევრების) შეურყეველ ვალდებულებას შეადგენს ყოველგვარი სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემაო.

რაც შეეხება მეორე ინტერნაციონალის უკანასკნელ კონგრესს, რომელიც მოხდა ბალკანეთის ომის დროს 1912 წელ. ქ. ბაზელში, იქ მიღებული რეზოლიუცია ომის შესახებ—ეს პირდაპირი მუქარაა რევოლიუციით, თუ ვინიცობაა დამწაგავე ბურჟუაზიული მთავრობები ევროპის ომს გამოიწვევენ. „დღეს, ნუ დაივიწყებენ მთავრობები—აცხადებს ბაზელის კონგრესი,—საფრანგეთ პრუსიის ომმა პარიჟის რევოლიუციონური აფეთქება გამოიწვია, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა მოძრაობაში მოიყვანა იმ ხალხთა რევოლიუციონური ძალები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ... პროლეტარებს დანაშაულათ მიაჩნიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი-ერთმანეთს ესროლონ კაპიტალისტების მოგების, დინასტიური შეხიბრების და საიდუმლო დიპლომატიურ ხელშეკრულებათა გულისთვისო“..

მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში. როგორ შეიცვალა, რაზე დახურდავდა ეს ამაყი რეზოლიუციები, როცა მუშათა კლასის მოსისხლე მტრებმა, ევროპის მტაცებელ იმპერიალისტებმა ქვეყანას საშინელი მსოფლიო ომი დაატეხეს თავს. როცა 1914 წლის 2 აგვისტოს იფეთქა იმპერიალისტურმა ომმა, ყველა ეს რეზოლიუციები სავსებით დავიწყებულ იქნა. გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და რუსეთის სოციალისტები, რომლებმაც ორი წლის წინეთ მიიღეს და ხალა მოაწერეს ბაზელის კონგრესის დადგენილებას ომის შესახებ, წარბშეუხრელათ, ყოველივე სინდისის გარეშე, სიტყვის დაუფრქელათ შეუერთდენ თავის საკუთარ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ მთავრობას, ერთხმად მიიღეს სამხედრო კრედიტები და თავ-თავიანთ მუშებს მოუწოდეს სხვა ქვეყნის მუშების ამოწყვეტისაკენ. ეს იყო მეოცე ინტერნაციონალის კრახი, მისი სრული და საბოლოო გაკოტრება. იმ დღეს, რა დღესაც ევროპაში იფეთქა უკანასკნელმა იმპერიალისტურმა ომმა, მეორე ინტერნაციონალი უკვე აღარ არსებობდა, ის უკვე მძოვრი იყო. მეორე ინტერნაციონალმა, უკეთ რომ ვთქვათ ამ ინტერნაციონალის დიდმა უმრავლესობამ, გასცა, ღალატი მუშათა კლასს, დაკუდრა ის, მეორე ინტერნაციონალს თავდადვე ღორნიდა, როგორც მატლი, ოპპორტიუნიზმი; მეორე ინტერნაციონალის ბელადები უარყობდენ მარქსიზმს, პროლეტარიატის დიქტატურას, პროლეტარულ რევოლიუციას, მაგრამ ისინი ამას ფარავდენ, უმალავდენ მუშებს; პირიქით, მუშებს ისინი ეჩვენებოდენ ნამდვილ რევოლიუციონურ მარქსისტებათ, ნამდვილ სოციალისტებათ. და აი სწორეთ ამაში იყო იმათი ვერაგობა, იმათი ყოვლად სამარცხვინო ღალატი მუშათა კლასის და სოციალიზმის წინაშე.

ჰეტად საგულისხმიეროა ის ფაქტი, რომ ასეთ მოღალატეებათ და გამცემლებათ აღმოჩნდენ არა მარტო ის „სოციალისტები“, რომლებიც მეორე ინტერნაციონალში ცნობილი იყვნენ, როგორც გაუსწორებელი ოპპორტუნისტები და უკიდურესი რეფორმისტები (შეიდემანი, ხიუდეკუმი, ვანდერველდე, ლონგე, რენოდელი, ჰაინდმანი და სხვ.), არამედ ასეთივე მოღალატე აღმოჩნდა II ინტერნაციონალის რადიკალური ფრთაც, როგორც, მაგ., კაუცკი, ლედებური, ჰაზე, ჯედი და სხვ. ჩვენ არ ვლაპარაკობთ გ. პლეხანოვზე, რომელმაც ომის გამოცხადებისთანავე, 1914 წელს გამოაცხადა, რომ რუსეთის მეფე ნიკოლოზ რომანოვი სამართლიან ომს აწარმოებს და მუშებს ვალდებულათ ხდიდა მისთვის მხარი დაეჭირათ.

აბრაიათ, ფაქტიურათ 1914 წლის 2 აგვისტოდან მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნაციონალი აღარ არსებობდა. ის ტყუილი, რომელსაც ინტერნაციონალის ბელადები ავრცელებდენ მუშებში 20-25 წლის განმავლობაში, საბოლოოდ გამომჟღავნდა და ფარდა აეხადა. მაგრამ დღიდან მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო კრახისა, იწყება ბრძოლა ნამდვილ მუშათა ინტერნაციონალის დასაარსებლათ, რომელიც შესძლებდა მუშათა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას წინ გაძღოლოდა, რომელიც ისე მაღლა ამაორთავდა პროლეტარული რევოლიუციის დროშას, რომელიც განახორციელებდა როგორც მარქს-ენგელსის, ისე პირველი ინტერნაციონალის ანდერძს. თუმცა დიდი, შეტად დიდი უმრავლესობა მეორე ინტერნაციონალისა მუშათა კლასის წინაშე მოღალატე გამოდგა, მაგრამ მეორე ინტერნაციონალში მაინც აღმოჩნდა უმცირესობა, თუმცა უმნიშვნელო თავისი რიცხვით, მაგრამ სამაგიეროთ ერთგული მუშებისადმი. ასეთი ჯგუფები მოიპოვებოდენ რუსეთში (ლენინი, ზინოვიევი) პოლონეთში (რადეკი, ეარსკი), შვეიცარიაში (ხეგლუნდი), ჰოლანდიაში (ტრანბუნისტები: გორტერი და პანნეკუკი), გერმანიაში (კ. ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი), ბოლგარიაში (ტესნიაკები), შვეიცარიაში, იტალიაში და სხვ. ეს პატარა ჯგუფები, განსაკუთრებით ლენინის და ზინოვიევის წინამძოლობით იწყებენ ბრძოლას **მესამე ინტერნაციონალის** დასაარსებლათ. პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრით გადადგმულ იქნა 1915 წელს, როცა იტალიის სოციალისტური პარტიის თანხმობით, სექტემბრის თვეში, ქ. ციმმერვალდში (შვეიცარია) მოწვეულ იქნა პირველი **საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია**. ამ კონფერენციაზე შეკრებილი დელეგატები ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ იმპერიალისტური ომის და სოციალისტების მონაწილეობისა ამ ომში ბურჟუაზიასთან ერთად, მაგრამ კონფერენციის უმრავლესობას კიდევ სწამდა მეორე ინტერნაციონალის აღდგენა. ეს უმრავლესობა შიშობდა გაბედული ნაბიჯი გადაედგა წინ ახალი ინტერნაციონალის დასაარსებლათ. მხოლოდ მნიშვნელოვანი უმრავლესობა რუს-ამხანაგების: ლენინის, ზინოვიევის და რადეკის მეთაურობით, გადაჭრით მოითხოვდა მეორე ინტერნაციონალისაგან სრულ გამოთიშვას და მესამე ინტერნაციონალის დაარსებას.

ციმმერვალდის კონფერენციის უმრავლესობა ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ მეორე ინტერნაციონალის უმრავლესობა, რომელმაც იმპერიალისტურ ომის დროს პროლეტარიატს ურცხვათ ულალატა და ბურჟუაზიას მიეძხრო, გონს მოვა და ისევ სოციალიზმს დაუბრუნდებაო. ამიტომ ციმმერვალდის კონფერენციის მიერ დაარსებულ ინტერნაციონალურ სოციალურ კომისიას დროებით მნიშვნელობა აძლევდენ. ეი მოღალატე სოციალისტები მორჯულდებიან და კომისიაც თავის-თავათ დაიშლებაო. მაგრამ გავიდა ნახევარი წელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადი და უმრავლესობის მოლოდინი ოდნავაც არ გამართლდა. გავიდა კიდევ 2-3 თვე და **კონტალში** 1916 წელს (მაისში) შეიკრიბა კომშერვალდის **მეორე კონფერენცია**. ახლა უმრავლესობის პოზიცია კიდევ უფრო სუსტი შეიქნა. სამაგიეროთ კომშერვალდის მემარცხენე ფრთის პოზიცია ბევრათ უფრო მტკიცე შეიქნა და ბევრათ უფრო გავლენიანი გახდა. კინტალის კონფერენცია წარმოადგენდა უკვე ახალ ნაბიჯს მესამე ინტერნაციონალისაკენ, ერთი მხრივთ, და მეორე ინტერნაციონალისაგან გამოთიშვისა მეორე მხრივთ. მაგრამ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო რყევა, დათმობა სოციალ-შოვინისტებისათვის, ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ მესამე ინტერნაციონალის იდეის გამარჯვება დიდ და შეუპოვარ ბრძოლას თხოულობდა.

რუსეთის დიდი რევოლიუცია და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი.

როცა ეს ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, რუსეთში იფეთქა თებერვლის რევოლიუციამ. ეს რევოლიუცია ცვლიდა სიტუაციას. მესამე ინტერნაციონალისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრი ამიერიდან გადადიოდა რუსეთში, მით უმეტეს,—ამ ბრძოლის მთავარი მეფროშენი რუსები იყვნენ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით რუსეთში თებერვლის რევოლიუციის შემდეგაც, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ბატონობდა სოციალ-შოვინისტური და სოციალ-პატრიოტული მიმართულება, რომელსაც სათავეში უდგენ მენშევიკები და მემარჯვენე ესერები. ესენი ლამობდენ იმპერიალისტური ომის განგრძობას ანტანტის იმპერიალისტებთან ერთათ გერმანიის იმპერიალისტების წინააღმდეგ; ამისთვის კი საჭირო იყო მუშების და გლეხების რევოლიუციის ჩაჭრობა. ამ მიმართულებას შეურიგებელი ბრძოლა აუტეხა თავიდანვე ბოლშევიკების (კომუნისტების) პარტიამ ამბ. ლენინის მეთაურობით. თუ ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული ამ ბრძოლიდან,—სოციალ-პოლალატენი (მენშევიკები და ესერები) თუ კომუნისტები, აქედან თავის თავად წყდებოდა საკითხი ან მეორე ინტერნაციონალის ან მესამე ინტერნაციონალის სასარგებლოთ: გამარჯვება მენშევიკების და ესერებისა ნიშნავდა მეორე ინტერნაციონალის გამარჯვებას და პირიქით. ოქტომბრის რევოლიუციამ გამარჯვება ბოლშევიკებს არგუნა და მით სიკვდილის განაჩენი გამოუტანა მეორე ინტერნაციონალს. ბრძოლა მესამე ინტერნაციონალის დასაარსებლათ გამარჯვებით დაგვირგვინდა. მესამე ინტერნაციონალი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ უკვე ფაქტი შეიქნა. მაგრამ საჭირო იყო წელიწადზე მეტი მუშაობა მეტის მეტ მძიმე და ჯოჯოხეთურ პირობებში, რომ მესამე ინტერნაციონალს ხორცი შეესხა

და როგორც ახალი გაკვლენიანი ძალა ისტორიულ სარბიელზე გამოსულიყო. ვინ არ იცის, თუ რა უბედურება, რა გაჭირვება არ გადაიტანა საბჭოთა რუსეთმა მარტო ერთი 1918 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ახალი ცხოვრების უდიდესი ფაქტორი, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის უძლიერესი იარაღი— **მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი** არა თუ ჩაისახა საბჭოთა რუსეთში, არამედ მან აქვე შეისპა ხოცა და გახდა უძლიერეს ფაქტორად.

1918 წლის განმავლობაში ევროპის მრავალ ქვეყნებში უკვე დაარსდენ კომუნისტური პარტიები, ჯგუფები, და სხვ. ასე რომ 1919 წლის დასაწყისში, მარტში, შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა რუსეთის დიდ ქალაქში, მოსკოვში, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის **პირველი კონგრესის** მოწვევა. იმ დროს ჯერ კიდევ ბევრს არ ჯეროდა, რომ შეიძლებოდა 1919 წლის დასაწყისში პირველი კონგრესის მოწვევა და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსება. მაგრამ სინამდვილემ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. პირველ კონგრესზე გამოცხადდა წარმომადგენლები 15-20 სხვა და სხვა ქვეყნიდან.

ამბ. ლენინი ასე ახასიათებდა მესამე კომუნ ინტერნაციონალს: „პირველმა ინტერნაციონალმა (1864—1872) ჩაუყარა საფუძველი პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის.

„მეორე ინტერნაციონალის დრო იყო მოძრაობის ფართო, მასიურ გასაკვლებლად სხვა და სხვა ქვეყნებში ნიადაგის მოსამზადებლად." მესამე ინტერნაციონალმა მიიღო მეორე ინტერნაციონალის მუშაობის ნაყოფი. გამოაცალა მას ოპორტუნისტული, სოციალშოვინისტური, ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული სული და იწყო პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება...

„მესამე ინტერნაციონალის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეუდგა მარქსის უდიდესი ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებას, იმ ლოზუნგის, რომელიც შეადგენს სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის დიდხნოვან განვითარების ჯამს, იმ ლოზუნგის, რომელიც გამოიხატება პროლეტარიატის დიქტატურაში...

„იწყება ახალი ხანა მსოფლიო ისტორიისა. კაპიტალიზმი იშორებს თავიდან მონობის უკანასკნელ ფორმას: კაპიტალისტურ ანუ დაქირავებულ მონობას".

ასეთი ლოზუნგით გამოვიდა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. მან მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მანიფესტით, რომლითაც გადაუშალა მათ საშინელი სურათი კაპიტალისტური ექსპლოატაციისა. რამაც გამოიწვია უკანასკნელი ჯერ არ ნახული ფლეტვა-ხოცვა, რომელშიაც გამოაშკარავდა მეორე ინტერნაციონალის ბეღლადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული გაკოტრება და ღალატი და რომელიც თავდებოდა შემდეგ მრავალ მნიშვნელოვანი სიტყვებით: **„მუშათა საბჭოების და რევოლიუციონური ბრძოლის დროშის ქვეშ პროლეტარიატის ძალა-უფლების და დიქტატურისათვის, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“**.

მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც არჩეულ იქნა პირველ კონგრესზე, გასწია ენერგიული და დაუღალავი აგიტაცია და პროპაგანდა ყველა ქვეყნის მუშებში პროლეტარიატის დიქტატურის (მუშების და გლეხების საბჭოების) და კომუნიზმის ლოზუნგებით. სამოქალაქო ომის ლოზუნგით ბურჟუაზიის დიქტატურის დასამხობათ, მან შექმნა სრულიად ახალი ლიტერატურა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ თითქმის ევროპის ყველა ენებზე: იგი მიწვდა ჩამორჩენილ ქვეყნების, კოლონიების შორმელ დაჩაგრულ და დამონებულ მასსებს, გამოიყვანა ისინი სალთაის ძილიდან, დაბადა მათში ინტერესი განთავისუფლების და ბრძოლის ევროპიელ და შინაურ მჩაგვრელების წინააღმდეგ; მან ითავა ასეთი ბრძოლის მეთაურობა. მთელი ამ მუშაობით მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პირველმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიაღწია იმას, რომ დაახლოებით ეროი წლის შემდეგ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში დაარსდა კომუნისტური პარტიები, მუშათა მასსები გარევოლიუციონერდენ და დაინტერესდენ. როგორც მესამე ინტერნაციონალით, ისე **პროლეტარიატის დიქტატურით**, ე. ი. **საბჭოებით** (სოვეტებით). ამით აიხსნება ის მეტათ საგულისხმიერო მოვლენა, რომ ის დიდი სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები (როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტია, გერმანიის დამოუკიდებელი პარტია და სხვ.), რომლებიც მეორე ინტერნაციონალის ქვაკუთხედს შეადგენენ, იძულებული გახდენ მუშათა ზეგავლენით მეორე ინტერნაციონალიდან გამოსულიყვნენ და ახლა ემამაძენ მესამე ინტერნაციონალში შესვლას. ეს უკვე სრული გამარჯვებაა მესამე ინტერნაციონალის და როგორც ასეთი ის მოასწავებს იმავე დროს მეორე ინტერნაციონალის სრულ დამაცხებას.

ამნაირათ იმპერიალისტური ომის გაჩაღებამ 1914 წელს გამოაშკარავა, რომ მეორე ინტერნაციონალი მარტოოდენ ფიქცია იყო, რომ ის გაკოტრდა, რომ მისი ქედული შემქმნელნი და ხელმძღვანელები მუშათა კლასის მოღალატენი გამოდგენ. აუცილებელი შეიქნა მაშინვე დაწყებულიყო ბრძოლა ახალი ინტერნაციონალის დასაარსებლათ. და დაიწყო კიდეც. თებერვლის რევოლიუციამ რუსეთში შექმნა ახალი სიტუაცია ამ ბრძოლისათვის; ოქტომბრის რევოლიუციამ კი დაარჩქარა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება. მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა ნათელყო, რომ მესამე ინტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალის მოთავეებს სინამდვილისათვის ძალა არ დაუტანებიათ. პირიქით, ერთი წლის გამოცდილებამ ყველას დაანახვა, რომ მესამე ინტერნაციონალი სწორედ თვით ცხოვრების მიერ იყო გამოწვეული.

მეორე კონგრესის საერთო დახასიათება.

მოწოდებაში, რომელიც გამოუშვა აღმასრულებელმა კომიტეტმა მეორე კონგრესის მოწვევის გამო, ნათქვამი იყო, რომ კონგრესზე თავის წარმომადგენლებს გზავნიან არა მარტო ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტიები, არამედ ჯერ კიდევ შეუდგებელი მუშათა რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომლებიც თანაუგრძნობენ კომუნისტურ ინტერნაციონალს. მაგრამ რომლებიც ჯერ კიდევ გაყოფილი არიან სინდიკალისტური და ანარქისტული იდეებით. ასეთებია საფრანგეთის და ისპანიის სინდიკალისტების (პროფკავშირების) რევოლიუციონური ნაწილები. ინგლისის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები (Schop Stewards Committes), მსოფლიოს სამრეწველო მუშები ამერიკაში (S. W. W.) და სხვა.

ყველა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოცხადდენ მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, და დადგენილ იქნა, რომ იმათ მინიჭებოდათ არა მარტო სათათბირო, არამედ გადამწყვეტი ხმა. მესამე ინტერნაციონალი არ ემსგავსება ამ მხრით მეორე ინტერნაციონალს, რომლისთვის არსებობდენ მხოლოდ ერთხელ და სამუდამოთ ჩამოყალიბებული პარტიები, რომელიც არა თუ არ ცდილობდა დაახლოვებოდა მასსას, არამედ პირდაპირ გაურბოდა მას, რომლისთვის არსებობდა მხოლოდ განყენებული დებულებანი და არა ცოცხალი საქმე. მესამე ინტერნაციონალი ეშვარება, რა თქმა უნდა, კომუნისტურ პარტიებს, მაგრამ იმავე დროს ის ყოველივე ზომებს იღებს დაუახლოვდეს მასსას, გაარევოლიუციონეროს იგი, დაიახლოვოს და შეაგნებინოს ამ მასსას კომუნისტური ინტერნაციონალის ლოზუნგები. მესამე ინტერნაციონალი პირველ რიგზე აყენებს მასსის **რევოლიუციონურ მოქმედებას, რევოლიუციონურ პრაქტიკას**, მაშინ როცა მეორე ინტერნაციონალს ახასიათებდა მრავალი განყენებული დებულებები და მშრალი სიტყვები. 37 ქვეყანამ, ანუ 37 ქვეყნის მუშებმა და დაჩაგრულმა და დამონებულმა მასსებმა გაგზავნეს მეორე კონგრესზე თავისი დელეგატები, რომ მიიღონ გადაჭრილი პასუხი იმ საჭირობოროტო კითხვებზე, რომლებიც მათ დღეს წინ უდგათ და გადასაჭრელათ და საკუთარი ძალით, საკუთარი გამოცდილებით ვერ გადაუწყვეტიათ, ან გადაუწყვეტიათ ბრუნდეთ. კონგრესზე სრული გულწრფელობა იყო. აქ არ იყო ერთი მეორის წინააღმდეგი მიმართულებანი, რომლებიც ერთი მეორეს ურაკოფდენ, აქ იყო მხოლოდ შეხედულებათა და აზრთა სხვა და სხვაობა: ამ შეხედულებათა და აზრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მეორის დაპირდაპირება შეეძლიდა ეკონომიური ბლოკების გამოკვეთას. აქ არ იყო ჯიუტობა და შით უშეტეს ფარისეველობა, პირმოთნეობა, რაც მეორე ინტერნაციონალის თვისებას შეადგენდა სწორედ. პირფერობა, ერთმანეთის დატყუებება, დიპლომატიური სიცრუე და ფარისეველობა,—აი დამახასიათებელი თვისებები მეორე ინტერნაციონალისა.

მეორე კონგრესის **დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. დამოკიდებულება ჯერ კიდევ გამოურკვეველ და შეუდეგებელ ბემრავლივნებად მიმდინარეობათა მიმართ** ევროპის და ამერიკის მუშათა ორგანიზაციებში (საფრანგეთის და იტალიის სინდიკატების შემადგენელ ელემენტები, ინგლისის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, მსოფლიოს სამრეწველო მუშები ამერიკაში) და აგრეთვე **ანარქისტების მიმართ; 2. დამოკიდებულება ყვითელ პროფესიონალურ კავშირებთან; 3. დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარლამენტებისადმი; 4. კომუნისტური პარტიის როლი პროლეტარულ რევოლიუციაში; 5. ეროვნული და კოლონიალური საკითხები; 6. აგრარული საკითხი; 7. ორგანიზაციული კითხვები** (ლეგალური და არა-ლეგალური ორგანიზაციები, ქალთა ორგანიზაციები და სხვ.); **8. მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის პირობები.**

გარდა ამისა სათაველში იდგა შემდეგი საკითხი: **საერთაშორისო მდგომარეობა და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დანიშნულებანი.** ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამბ. **ლენინმა** კონგრესის პირველსავე სხდომაზე პეტერბურგში (19 იყლისს). როგორც საერთაშორისო მდგომარეობაზე, ისე ყველა დანარჩენ კითხვებზე წინდაწინვე იყო მომზადებული თეზისები. ლენინი თავის თეზისებში ეხება იმას, თუ რა შეადგენს დღევანდელ მომენტში კომუნისტური ინტერნაციონალის და კომუნისტური პარტიების დანიშნულებას, თუ რას უნდა აკეთებდნენ ისინი დღეს პროლეტარული რევოლიუციის სასარგებლოდ. ჩვენ არ მოგვყავს აქ ამ თეზისების შინაარსი, ვიტყვით მხოლოდ, რომ ისინი შეიცავენ ნათლად და გარკვევით პასუხს თითქმის ყველა დანარჩენ კითხვებზე, რომლებიც კონგრესს უნდა გადაეჭრა. თავის ვრცელი და ღრმა შინაარსიანი სიტყვა ლენინმა უძღვნა თანამედროვე საერთაშორისო—მდგომარეობას, მან გააკეთა ღრმა ანალიზი და დაახასიათა კაპიტალიზმის უკანასკნელი საფეხური—იმპერიალიზმის ანუ ფინანსიური კაპიტალის ბატონობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთელ ქვეყნიერებაზე თავის ბატონობას ავრცელებს ერთი მუჭა ფინანსიურ მეფეებისა ანუ ყველაზე უდიდეს ბანკირებისა. ჩაღდება ბრძოლა ფინანსიურ მეფეების ანუ მაგნატების სხვა და სხვა ჯგუფებს შორის მდიდარ კოლონიების დასანაწილებლათ. აქედან იმპერიალისტურ ომების აუცილებლობა. უკანასკნელი იმპერიალისტური ომი წარმოიშვა ორ ფინანსიურ მაგნატების ჯგუფების ერთი

მხრით **ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის**, რომელთაც შემდეგში შეუერთდენ **იტალია** და **ამერიკა**, მეორე მხრით **ავსტრო-გერმანიის კოალიციის** ერთმანეთთან შეჯიბრებით. ომი დამთავრდა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტების გამარჯვებით. გამარჯვებულნი შეუდგენ ნადაველს, ე. ი. კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ან კოლონიებად ქცეულ ქვეყნების დანაწილებას ურთიერთ შორის, ეთი მხრით, და ქვეყნიერების დამშვიდებას, აღდგენას მეორე მხრით. ეს უნდა მოეკმნენა **ვერსალის კონფერენციას** იმპერიალისტების მთავარი ღმერთების **ვილსონის, ლოიდ-ჯორჯის და კლემანსოს** მეთაურობით. მაგრამ გამარჯვებულნი თავის მეტოქე ავსტრო-გერმანელ იმპერიალისტთან ბრძოლაში, ანტანტის იმპერიალისტები სრულებით უძლურნი შეიქმნენ იმ დანიშნულებათა შესრულებაში, რომელებიც იმათ თავის თავზე იკისრეს, ვინაიდან პირველად კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ანუ დამოკიდებულ და ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყნების ურთიერთ შორის დაყოფა, არც თუ ისე ადვილი საქმე გამოდგა და ამ ნიადაგზე თვით გუშინდელ მოკავშირეებში ჯიბრმა და ქიშპობამ იჩინა თავი: მეორე მხრით ეკონომიური ცხოვრების იმ მოშლის და განადგურების შემდეგ, რაც ოთხი წლის განმავლობაში მეუწყვეტელმა ომმა გამოიწვია, ეკონომიური წარმოების აღორძინება კიდევ უფრო შეუძლებელი შეიქნა. ომმა გამოიწვია ყველა მებრძოლი ქვეყნების მეტის მეტი დაეალიანება, გარდა ამერიკისა, და ამ ვალების გადამხდელი არავინაა. ამას აღიარებენ თვით ბურჟუაზიული ეკონომისტები, კაპიტალიზმის ვეჭილები (მაგ., კეინსი). მეორე მხრით, რაც იმპერიალისტებისთვის ყველაზე უფრო დამაფიქრებული და საზარავი შეიქნა.—ეს ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი, სადაც განხორციელდა პროლეტარიატის დიქტატურა, იმპერიალიზმის პირდაპირი მესაფლავეა. ანტანტა არა თუ თითონ ჩაება, არამედ სხვებიც ჩააბა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ აქ მან კიდევ უფრო წაიკრა ფეხი და ვინ იცის ჩქარა კისერსაც მოიტეხს. ამნაირათ ანტანტის იმპერიალისტები, რომლებიც თავის თავს მთელი ქვეყნიერების პედლის გადაშენებულად თვლიდენ, ყოველი მხრით უძლურნი გამოდგნენ. „აქედან—განაცხადა ლენინმა თავის სიტყვაში—გამომდინარეობს მსოფლიო კრიზისი. და ეს ეკონომიური საფუძველნი კრიზისისა შეადგენენ უმთავრეს მიზეზს ომისას, თუ რათ იმარჯვებს ასე ბრწყინვალეთ კომუნისტური ინტერნაციონალი.... „ბურჟუაზიული წყობილება მთელ მსოფლიოში განიცდის უდიდეს რევოლიუციონურ კრიზისს. ახლა საჭიროა დავამტკიცოთ რევოლიუციონური პარტიების პრაქტიკით, რომ ისინი საკმარისათ შეგნებულნი და ორგანიზაციულათ მოწყობილნი არიან, რომ იმათ აქვთ კავშირი გაყვლეფილ მასსებთან და მტკიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილება და ცოდნა, რომ გამოიყენონ ეს კრიზისი გამარჯვებული რევოლუციისათვის.“ ამიტომ ლენინი ამბობს, იგი ამტკიცებს, რომ რაც შეიძლება ამ მიზნით გამოყენებულ იქნას რუსეთის გამოცდილება, რუსეთის გაკვეთილი. „თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითად დანიშნულებათა შესახებ“ — ასე დაიწყო ლენინმა თავისი მოხსენება, — რუსეთის ამხმანაგებისთვის არსებითათ ახალს მაინც და მაინც არაფერს წარმოადგენს, ვინაიდან უმეტეს ნაწილათ ეს თეზისები ავრცელებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე ჩვენი რევოლიუციონური გამოცდილების თვისებებს და ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის გაკვეთილებსო“.

მართლაც, კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე თითქმის ყველა ძირითადი საკითხის გადაწრის დროს, მთავარი! საბუთი, რომელსაც უკანასკნელი გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა იყო რუსეთის გამოცდილება, რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილები. თეორეტიული მსჯელობა და კამათი, რაც უნდა ის სერიოზული და საფუძვლიანი ყოფილიყო, უკან იხევდა ცოცხალი გამოცდილების, საბჭოთა სოციალისტური რუსეთის პრაქტიკის წინაშე, და ბოლოს ყველანი რწმუნდებოდენ, რომ საკითხი ისე უნდა გადაიჭრას, როგორც ამას რუსეთის გამოცდილება გვიჩვენებსო. და სხვანაირათ შეიძლებელიც იყო. სრულებით შემთხვევით არ ყოფილა, რომ მეორე კონგრესზე და საერთოდ კომუნისტურ ინტერნაციონალში მთავარ და ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ და თამაშობენ რუსეთის კომუნისტური პარტია და რუსეთის ამხანაგები — ლენინი, ზინოვიევი, ბუხარინი, რადეკი და სხვები, ვინაიდან პროლეტარული რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის ცოცხალ პრაქტიკას გიგანტისებურ ფარგალში ჯერ-ჯერობით იძლევა მხოლოდ საბჭოთა რუსეთი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ რუსეთის მეთოდი არის ერთად ერთი საშუალება პროლეტარული რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლათ. მაგრამ დღემდის ჩვენ სხვა მაგალითი არა გვაქვს. ამიტომ სხვა ქვეყნის მუშათა კლასმა ამ მაგალითზე უნდა ისწავლოს, როგორ უნდა ბრძოლა ბურჟუაზიული წესწყობილების დასანგრევათ და პროლეტარული სახელმწიფოს ასაშენებლათ. აი, როცა მუშათა კლასი სხვა ქვეყნებშიაც, — ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვ. ჩამოაგდებს ძირს ბურჟუაზიას და პროლეტარიატის დიქტატურას დააწყებს და ბრძოლას ახალ მეთოდებს შემოიღებს, მაშინ ჩვენ იქიდანაც ვისწავლით. მანამ კი რუსეთის პრაქტიკა შეურყეველი და ყველასათვის სავალდებულო რჩება.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანი რუსულით.
ახალი.

საგრალმდებლო ოქმი

ყოველ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ახდილის, გლეხთაგანის თომა ამბაკოს ძე ჩუბინიძის შესახებ.

26 სექტემბერს 1907 წ., საღამოს 6 საათზე დაახლოვებით, მე-129 ქვეითი ბესარაბიის პოლკის პორუჩიკმა დე-პარმემ, როდესაც ის ქუთაისის საპატიმროს შენობის მახლობლად იდგა ქუჩაში, სამი საეჭვო კაცი შენიშნა, აქაურ მკვიდრთაგანი (ტუზემცი), რომელთაგან ერთს პატიმართა ტანთსაცმელის მინაგვარი თეთრი ტანისამოსი ეცვა. აფიცრის დანახვაზე სამნი ერთმანეთს მოშორდნენ და ცალ-ცალკე გვერდს აუარეს: მაგრამ ამ დროს მეზობელ სახლიდან ტერა-სპოლის პოლკის მორიგე ივანე გუზი გამოვარდა და ყვირილი დაიწყო: „არიქა, ბიჭებო, დაიჭით, დაიჭით, თეთრში მგონი ტუსაღია საპატიმროდან“. ყვირილი გაიგონა იქვე მიმავალმა იმავე პოლკის მორიგმა პეტრე შირონოვმა, რომელმაც თეთრტანისამოსიანი უცნობი სწრაფად დაიჭირა. ამას შემდეგ, პორუჩიკ დე-პარმეს მიერ ატეხილ ყვირილსა და განგაშზე მოცვივდნენ სხვა ჯირის კაცებიც და გაქცეული ორი უცნობიც შეიპყრეს. ყველა დაჭერილები მაშინვე საპატიმროში მიიყვანეს, სადაც მალე მოვიდა შტაბს-კაპიტანი სერდიუკოვი, გადასასახლებელთა განყოფილების გამგე და თან მეორე უცნობიც მიიყვანა. საპატიმროში მიყვანილთა ვინაობა სწრაფად გამოირკვა. იგინი იყვნენ საპატიმროდან ლტოლვილნი ტუსაღნი: შმაგი კოპალავა, ვასილ ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ ასათიანი და ფილიპე შერვაშიძე. შემდეგ საპატიმროს უფროსმა აბშილავამ საპატიმროს ყველა განყოფილებათა დაწვრილებითი დათვალიერება მოახდინა და აღმოაჩინა, რომ შენობის ქვემო სართულის სეკრეტში № 1 აღარ იყვნენ იქ დამწყვდეულნი პატიმარნი: ლავრენტი გძელიშვილი, სერგო ჯობაძე, მათე ბანძელაძე და ლავრენტი ლომიძე, და ამ დროს ასფალტის იატაკში ნახეს ნახვრეტი, რომელიც ხვრელში ჩადიოდა. ამ ხვრელის დათვალიერებით გამოირკვა, რომ იგი გაყვანილი იყო მიწაში საპატიმროს შენობის საძირკვლის ქვეშ, შემდეგ საპატიმროს გარშემო გალავნისა და ჭუჩის „საპატიმროს შესახვევის“ ქვეშ და გადიოდა საპატიმროს პირდაპირ მდებარე სახლში, რომელიც ეკუ-

ოვნის ვარლამ ფანცხავას. აღნიშნულ სახლის სარდაფში, ხვრელის გასავალთან დაგროვილი იყო ხვრელიდან გაზიდული ნათხარი მიწა. ქვის ქვეშ ხვრელი გამაგრებული იყო ხის ბოძებითა და ფიცრებით, რომ არ ჩანგრეულიყო. სიგრძე მთელი ტონელისა, რომელიც გაყვანილი იყო ოთხის არშინის სიღრმეში მიწის ზედაპირიდან, შეადგენდა ათ-ნახევარ საჟენს, განდაგან კი იმდენად ფართო იყო, რომ მოზრდილი კაცი ფოფხვითა ანუ წაკუზული ადვილად გაეტეოდა. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ თვით ხვრელის გაყვანა ერთს კაცს შეეძლო, ამ საქმეში დახელოვნებულს, მაგრამ ორი კაცის დახმარებით, რომლებსაც მიწა უნდა გაეზიდნათ, და რომ ამ სამუშაოს დაჭირდებოდა არა ნაკლებ 30 დღისა. ადგილობრივ მისულს გამომძიებელს იქვე მყოფებმა ადმინისტრაციის მოხელეებმა ჩააბარეს ხვრელსა და ფანცხავას სახლში ნაპოვნი: რკინის პატარა ბურაო, 2 ოთხი, რკინის ძელი, რკინის ნიჩაბი, ასეთივე წერაქვი, ორი საბეიველი, ტილოთი ძირგაკრული ხის ყუთი, რომელსაც გასაწევ-გამოსაწევად ორი თოკი ჰქონდა მიბმული, არაყის ბოთლი, რკინის ყავადანი, 5 წყვილი ბორკილი, 2 ქამარი ტყავისა, ერთიც პარუსინისა, ბორკილის ჯაჭვის დამჭერი რავდენიმე ჰატარა თასმა, 5 წყვილი შავი შალის შალვარი, ერთი ხავერდის შალვარი, 5 ბლუზა, პიჯაკი, ყილეტი, წყვილი გალოში, ყელსახვევი, ქუდი და სხვ. იატაკის ქვეშ იპოვეს ავრეთვე ორი ანთებული სანთელი, რომელიც გასავალს ანათებდა. (ტ. I ფ. დ. 5-10, 19-27, 39-44 უკ., 65-68, 90). ბოლოს, შემოწმებით გამოირკვა, რომ ზემოდ აღნიშნულ ხვრელით გაპარულიყო სულ 37 ტუსაღი სატიმროს სხვა და სხვა კამერებში დამწყდეული, სახელდობრ: ფილიპე შერვაშიძე, ნიკოლოზ ასათიანი, ვლადიმერ პოჭორიშვილი, შმაგი კობალაია, გედენი კაჭარავა, ვასილ კუნაძე, აღაბო მერკვილაძე, ამბაკო ქოიავა, სანდრო წულუკიძე, ბახვა თოლორდავა, პეტრე საყვარელიძე, ერასტო ყუფარაძე, თომა ჩარკვიანი, მაქსიმ თოლორდავა, გიორგი ქომეტიანი, ლავრენტი ზურაბიანი, ილია ჯუღელი, მათე ბანძელაძე, ტროფიმ ჰიჭინაძე, ჰიჭიკო ასათიანი, პოლიკარპე გოგიაშვილი, პავლე კიკნაძე, მოსე ბაიტლერი, ლავრენტი ლომიძე, ლავრენტი გძელიშვილი, დავით სულაშვილი, თომა ჩუბინიძე, ჯოლო მიქია, ტარიელ გვახარია, ლევან შენგელია და შაქო გაბისონია. ამ 37 პატიმართაგან ჰიჭინაძე და საყვარელიძე ადმინისტრატიულ-გადასახლებულნი იყვნენ, დანარჩენები კი დამწყდეულნი იყვნენ თანახმად სასამართლოს მოხელეების დადგენილებისა (ტ. I ფ. დ. 29-30, უკ. 71-76).

წინასწარ გამოძიებაზე დამტკიცდა, რომ ვარლამ ფანცხავას სახლში თვით სახლის პატრონი ოჯახითურთ ხვრელის აღმოჩენის დროს იქ არა ცხოვრობდა, დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ის ქალაქის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილში იყო გადასახლებული და თავისი სახლი ვიღაც უცნობ პირებს გვარად „მიქაძედ“ წოდებულთ ჩაბარა. ცხადია, რომ ხვრელი სახლის სარდაფიდან საპატიმროს სეკრეტ № 1-ში ამ მდგომარეობამ გაიყვანეს და მათ პატიმრების გაქცევას ხელი შეუწყვეს. ხოლო არამც თუ მათი დაკითხვა ამის გამო, არამედ მათი პიროვნების გამორკვევაც-კი ვერ მოხერხდა, რადგან ხვრელის აღმოჩენის დროს იგინი უკვე გაპარულიყვნენ (ტ. I, ფ. დ. 10 უკ.—12 უკ. 16—18 უკ.). ეს 37 ლტოლვილი ტუსაღები საერთოდ, გამომძიებლის დადგენილებით 2 ოქტომბრის თარიღით 1907 წ., გამოძიებაში იყვნენ მიცემულნი, როგორც ბრალდებულნი, და მათ ბრალდებადათ საპატიმროდან გაპარვა ხვრელით თავიანთ მორისა და სხვა პირებთან წინასწარ შეთანხმებით. ამ 37 ბრალდებულთა რიცხვიდან სხვადასხვა დროს შეპყრობილი იქმნა 24 კაცი, სახელდობრ: ფილიპ შერვაშიძე, ნიკოლოზ ასათიანი, ვლადიმერ ბოჭორიშვილი, შმაგი კობალავა, გედენი ქაჭარავა, ვასილ კიკნაძე, აღაბო მერკვილაძე, ალექსანდრე სტეფანოვი, სერგი ჯოხაძე, ალექსანდრე ჩაკავა, ლავრენტი ევსანჯია, ისმაილ ჭუმბურიძე, პოლონ ბერიძე, ამბაკო ქოიავა, სანდრო წულუკიძე, ბახვა თოლორდავა, პეტრე საყვარელიძე, ილია ჯუღელი, პავლე კიკნაძე, ჭოლო მიქია, ერასტო ყუფარაძე, მათე ბანძელაძე, ლავრენტი ლომიძე და თომა ჩარკვიანი. დაკითხვის დროს ბრალდებულთ არა სცნეს თავისი თავი დამნაშავეებად, ხოლო ფილიპე შერვაშიძემ, ნიკოლოზ ასათიანმა, ვლადიმერ ბოჭორიშვილმა, შმაგი კობალავამ, გედენი ქაჭარავამ, ვასილ კიკნაძემ, აღაბო მერკვილაძემ, ალექსანდრე ჩაკავამ, ლავრენტი ევსანჯიამ, ისმაილ ჭუმბურიძემ, პოლონ ბერიძემ, ამბაკო ქოიავამ, სანდრო წულუკიძემ, ბახვა თოლორდავამ, პეტრე საყვარელიძემ, ილია ჯუღელმა, პავლე კიკნაძემ, ჭოლო მიქიამ, ერასტო ყუფარაძემ, მათე ბანძელაძემ და თომა ჩარკვიანმა თავისი გასამართლებლად განაცხადეს, ერთმანეთის თანხმობით, რომ ხვრელი მათ არ გაუყვანიათ და არც იციან, ვისი გაკეთებულია, ხოლო მათ ისარგებლეს იმით, რომ დამზადებულ ხვრელით გაპარვა შესაძლებელი იყო: სერგი ჯოხაძემ და ლავრენტი ლომიძემ სულაც არ ისურვეს რაიმე განმარტება განეცხადებინათ. უკანასკნელ, ალექსანდრე სტეფანოვმა განაცხადა, რომ ხვრელის გაყვანაში მას პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მან იცოდა, რომ ხვრელს აკეთებდნენ მისი ამხანაგები სოციალ-დემოკრატიის პარტიის, რომლებმაც შემდეგ მაცნობესო, რომ ხვრელი უკვე მზად არის, და მიცდიდნენ ეტლით სპატიმროს მახლობლადო (ტ. I, ფ. დ. 33-37 უკ., 44-45, 53, 168, 196, 224, 240, 253, 265, 277, 289, 305, 328, 336).

ჩამოთვლილ 24 ბრალდებულის შესახებ ეს საქმე უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია, აღნიშნული ბრალდებულნი სასამართლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენებით ცნობილი არიან დამნაშავეებად იმ ბოროტმოქმედებაში, რომელიც მათ ბრალდებოდათ, დანარჩენ 13 დამნაშავეთაგან ხუთი კაცი, სახელდობრ: შაქუ გაბისონია, ტარიელ გვაზავა, ლავრენტი ჭყონიშვილი და გიორგი ქობულიანი*), სასამართლოს საქმის წარმოება-ში არსებულ ცნობებით, როდესაც ლტოლვილობაში იმყოფებოდნენ. უკვე დახოცილან, რის გამო საქმის წარმოება მათ შესახებ, თანახმად სასამართლოს დადგენილებებისა, მოსპობილია. სხვა შვიდი კაცი, სახელდობრ: მაქსიმე თოლორდავა, ლავრენტი ზურაბიანი, ტროფიმ ჰიჰინაძე, ჰიჰიკო ასათიანი, პოლიკარპე გოგიაშვილი, მოსე ბაიტლერი და ლევან შენგელია აქამომდე ვერ აღმოაჩინეს და მათ შესახებ, თანახმად საოლქო სასამართლოს დადგენილებისა 20 დეკემბრიდან 1907 წ. სწარმოების ძებნა პუბლიკაციით; უკანასკნელი, მეცამეტე—თომა ჩუბინიძეც დიდხანს ვერ ეპოვნათ, ხოლო 1915 წლის აპრილში, თანახმად სასამართლოს პრალმდებელის წინადადებისა, საქმე მის შესახებ დაბრუნებულ იქმნა გამოძიების დასამატებლად ახლად გამოაშკარავებულ გარემოებათა გამო.

აღნიშნული ახალი გარემოებები შემდეგში მდგომარეობდა: 1914 წ. სექტემბერში ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის უფროსმა ცნობა მიიღო, რომ ტფილისის გუბერნიის № 1 სააპატიმროში დამწყვდეულია ტუსაღი, რომელიც თავის თავს იწოდებს ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფელ იყალთოს მცოვრობად, თავად დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილად და ამ სახელით ამ ტუსაღს ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენით გადაწყვეტილი აქვს პატიმართა გამასწორებელი განყოფილება გორის სააბახნოს ქვეშ ხერელის გაკეთებისათვის. რაც მან ჩაიდინა 1909 წ. ხოლო ის ნამდვილად ქუთაისის გუბერნიის შოთაძის მაზრის სოფელ საზანოს მცხოვრებია თომა ამბაკოს-ძე ჩუბუნიძე, რომელიც 26 სექტემბერს 1907 წ. ქუთაისის საპყრობილედან გაპარულა ხერელით და შემდეგ, როდესაც იმალებოდა 1908 წ. მაისში შეპყრობილ იქმნა ალექსანდრე მაისურაძის სახელით ყუმბარების შემზადების დროს ქ. ბაქოში, მაგრამ ბაქოს საპყრობილედანაც გაქცეულა. მაყაშვილად წოდებული დაკითხულ იქმნა ზემოდ აღნიშნულ ცნობათა გამო, ხოლო მან უარყო ამ ცნობების სინამდვილე და განაცხადა, რომ ის ნამდვილად სოფელ იყალთოს მცხოვრებია თავადი დიმიტრი მაყაშვილი, მუშაც ამ სოფელში ცხოვრობდა და იქვე ცხოვრობდენ მისი ნათესავებიც: დედა დარია სვიმონის ასული 60 წლისა, ძმა ალექსანდრე 33 წ. და ბიძა სამსონ გრიგოლის-ძე მაყაშვილი, აგრეთვე ნაცნობნი: თავადი

*) ხსენებულ 5 კაცში ოთხნი მხოლოდ დახასიათებულნი, რაც ალბათ შეკ. დომ ს შეეხება.

რედაქცია.

ალექსანდრე გრიგოლის-ძე მაყაშვილი და შედავითნე „სისოური“. ეს განცხადება გამოკვლევით არ დადასტურდა. რადგან წინანდალის უბნის ბოქაულის ცნობით აღმოჩნდა, რომ ფოტოგრაფიით გადაღებული იმ ტუსაღის სახე, რომელიც თავის თავს მაყაშვილს უწოდებს, სოფელ იყალთოში სრულიად უცნობია და ამ ტუსაღის მიერ დასახელებული ვითომც მისი ნათესავები და ნაცნობები აღნიშნულ სოფლის მცხოვრებთა შორის სრულიად არ მოიპოვებიან მაშინ ცნობების შესასწორებლად დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილად წოდებული, ვინაობის შესახებ, მისი ფოტოგრაფიული სურათები გადაეგზავნა, ჩხარის უბნის ბოქაულის შუამავლობით, სოფელ საზანოს მამასახლისს და ამ სოფლის მრავალ მცხოვრებთ, და ყველამ იცნო ამ სურათებზე გადაღებული თავისი მეზობელი თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძე. შედეგი ამრიგად მის-მიერ მოხდენილ გამოკვლევისა - ტფილისის გუბერნიის ქანდარმთა სამმართველოს უფროსმა აცნობა, მიმართვით 17 თებერვალს 1915 წ. № 402. ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკუროროს, ხოლო უკანასკნელმა ასეი ამ მიმართვისა გადუგზავნა ქუთაისის ოლქის პროკუროროს. ამის გამო დაბრუნებულ იქმნა გამოძიების დასამატებლად როგორც ეს საქმე „ქუთაისის საპატიმროდან 37 ტუსაღის გაქცევის შესახებ“, ისე სხვა საქმეებიც, რომლებიც პატიმარ თომა ჩუბინიძეს შეეხებოდა იმ დროს, როდესაც ის საპატიმროდან გაიქცა, სახელდობრ, საქმე „აპრასიონ მერკვილაძის ბრბოსაგან ჩადენილ ძარცვისა და მკვლელობის შესახებ“ და „ზოროპანის მაზრაში რევოლიუციონერ მორაობის შესახებ 1905 წ. დეკემბერში“ (ტ. 2 ფ. დ 1—15 უკ.).

როგორც სჩანს აღნიშნულ საქმეთა უკანასკნელის განხილვიდან სასამართლოს გამომძიებელმა კარსკის, გამოკვლევით შეგროვილ ცნობების დასადასტურებლად, ჩვენება ჩამოართვა თერთმეტ კაცს, სოფელ საზანოს მცხოვრებთაგანს,—მათ შორის თომა ჩუბინიძის ბიძაშვილს—ალექსანდრე ჩუბინიძეს, მის ბიძაშვილებს სიმონ და პლატონ ჩუბინიძეებს და შორეულ ნათესავს რევაზ ჩუბინიძეს, აგრეთვე საზანოს საზოგადოების მამასახლისად ნამყოფ ექვთიმე ჩუბინიძეს და იმავე საზოგადოების ეხლანდელ მამასახლისს მელიტონ ჩუბინიძეს. ყველა ამათ განიხილეს თავდაპირველად ხუთი ფოტოგრაფიული სურათი, რომლებიც გადაღებული იყო სხვა და სხვა წელს, სახელდობრ 1909, 1914 და 1915 წწ., დიმიტრი მაყაშვილად წოდებულ პირისა, მეოთხე გადაღებული იყო 1908 წ. იმ პირისაგან, რომელიც ალექსანდრე მაისურაძეთ იწოდებოდა და მეხუთე, როგორც საქმიდან სჩანს, თომა ჩუბინიძის სახეს წარმოადგენს და იმ დროინდელია, როდესაც ის ჯერ არ გაქცეულიყო ქუთაისის საპატიმროდან 1907 წ. როდესაც აღნიშნულ სურათებს გაეცნენ, ექვთიმე ჩუბინიძემ განაცხადა, რომ ხუთსავე სურათში ის სცნობს თავის თანასოფლელის თომა ჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პინიძის სახეს; მელიტონ და პლატონ ჩუბინიძეებმა განაცხადეს, რომ ისინი სცნობენ თომა ჩუბინიძეს იმ სურათში, რომელიც გადაღებულია 1907 წ. და დიმიტრი მაყაშვილის სურათზე, რომელიც გადაღებულია 1909 წ.; ამას მელიტონ ჩუბინიძემ დაამატა, რომ დანარჩენ სურათებზედაც ის რაედენადმე თომა ჩუბინიძის მსგავსებასა ხედავს, ალექსანდრე ჩუბინიძემ განაცხადა, რომ ის სცნობს თომა ჩუბინიძეს 1909 წ. „დიმიტრი მაყაშვილად" გადაღებულ სურათში, ორ სხვა სურათზე-კი მის მსგავსებასა პოულობს; დანარჩენმა შვიდმა კაცმაც მსგავსება დაინახა თომა ჩუბინიძესთან ამა თუ იმ გადასინჯულ სურათზე. ამას შემდეგ თავის დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილად მხმობელი სასამართლოს გამომძიებელმა წარუდგინა იმავე თერთმეტ მოწმეს და ყველამ კატეგორიულად განაცხადა, რომ წარდგენილში იგინი სცნობენ თანასოფელს თომა ამბაკოს ძე ჩუბინიძეს (ტ. 2 ფ. დ. 19 უკ.—24 უკ., 25 უკ.—27, 29 და უკ. 42 და უკ. 56).

მაშინ თავისთავის დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილად მხმობელს სასამართლოს გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა როგორც საეჭვოს და ის მაინც თავისას ამტკიცებდა, რომ სოფელ იყალთოს მცხოვრებია—დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილი. ხოლო წინანდელ ჩვენებათა შესაცვლელად თავის ნათესაობის შემადგენლობის შესახებ, ამჟამად მან განაცხადა, რომ მის დედას, რომელიც სამშობლოში ცხოვრობს მასთან ერთად, ჰქვიან დარია გრიგოლის ასული, რომ იქვე ცხოვრობს მისი ძმა იასონ, 45 წლისა, რომ მეორე მისი ძმა—ალექსანდრე გადაიცვალა 15 წლისა და რომ მის ბიძას, რომელიც იმავე სოფელ იყალთოში ცხოვრობს, ჰქვიან გრიგოლ სვიმონის ძე მაყაშვილი. ამასთანავე მან განაცხადა, რომ მას არ ახსოვს სახელი თავის გარდაცვალებულ მამისა, მგონი „ივანეს ძედ" იხსენიებოდა (ტ. 2 ფ. დ. 25 უკ.). საქვო პირის განცხადებათა სიმართლის გამორკვევის დროს სასამართლოს გამომძიებელმა წინასწარ გამოძიებით დაადასტურა, რომ სოფელ იყალთოს მცხოვრებთა შორის მართლა არის თავადი დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილი, ხოლო ეს პირი ამჟამად დასახელებულ სოფელში ცხოვრობს, სადაც მამასახლისად არის. ამ ნამდვილ დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილმა, რომელსაც გამოძიების დროს ჩვენება ჩამოერთვა, როგორც მოწმემ, განაცხადა, რომ მის მამას სამსახურიდან დათხოვნილ კაპიტანს—ერქვა დავით მიხეილის ძე, დედას—დარია რევაზის ასული; ორივენი გადაიცვალნენ 20 წლის წინად. გარდა თვით მოწმისა მის მშობლებს კიდევ სამი ვაჟი ჰყავდათ: ნიკოლოზ, ალექსანდრე და მიხეილი; ყველანი დღესაც ცოცხალნი არიან, ნიკოლოზი წინანდალის უბნის მოხელეა, ალექსანდრე—პოდპოლკოვნიკი სამსახურიდან დათხოვნილი—ქ. ტფილისში ცხოვრობს, მიხეილიც ტფილისში ცხოვრობს და სახოგადოება „კახეთიაში" მსახურობს; მეორე

თაედი დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილი, გარდა თვით მოწმისა, მისი სიტყვით. თელავის მაზრაში არ არსებობს და არცა ყოფილა; სწორედ ვგრედვე სოფელ იყალთოში არც არის და არც ყოფილა დარია სემონის ასული, დარია გრიგოლის ასული, სამსონ გრიგოლის ძე, ალექსანდრე და გრიგოლ სემონის ძე მაყაშვილები, არც მედავითნე სისოური; თავადი იასონ მაყაშვილი იყო, ხოლო მას უწოდებდნენ დავითის ძედ კი არა, არამედ გრიგოლის ძედ; ტუსაღი, რომელიც თავის თავს მის, მოწმის სახელით იხსენიებს, მათ ოჯახს არ ეკუთვნის და სრულიად უცნობია. ყველა ამას მოწმემ დაუმატა, რომ ათი წლის წინად. მკრთალ 1903 წელს, იყალთოსა და ტფილისს შორის ვან დაჭკარგა თავისი უცადო პასპორტის წიგნაკი, თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის მიერ მიცემული 1899 ან 1900 წ. და ამ დანაკარგის გამო დაბეჭდილი იყო მისი განცხადება გაზეთ „კავკაზ"-ში. აღწერილი ჩვენება მოწმე დიმიტრი მაყაშვილისა საესებით დადასტურდა გამოძიების დროს დაკითხულ მის ძმის ნიკოლოზ მაყაშვილის ჩვენებით და აგრედვე მოწმე ვალერიან კიკნაძის ჩვენებითაც, რომელიც თელავის მაზრის სამაზრო გამგეობის საქმის მწარმოებელია და, როგორც ამ მაზრის ძველი მცხოვრები, თავად მაყაშვილთა სგვარეულოს წევრებს კარგად იცნობს. (ტ. 2 ფ. დ. 43 — 45).

გადასინჯვით წინასწარ გამოძიებისა და სასამართლოს წარმოებისა გოლის ხაზინის ქვეშ გაყვანილ ხარელის შესახებ, რომელიც 1900 წ. მოხდა, დადასტურდა, რომ ამ საქმის გამო დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილის სახელით დამნაშავედ ცნობილის ვინაობა თავიდანვე დიდს ეჭვს იწვევდა. ამჟამად სოფელ იყალთოში მცხოვრები თავადი დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილიც ამ საქმის გამო თავის დროს დაკითხულ იქმნა, როგორც მოწმე და მისი ჩვენება, როგორც ჩვენება აწ გარდაცვალებულ თავად იასონ გრიგოლის-ძე მაყაშვილისა, აგრედვე საქმეში მოგროვილი სხვა საბუთები მაშინაც უჩვენებდნენ, რომ ბრალდებული მაყაშვილი ტყუილად იწოდებოდა ამ სახელით. ამის გამო დასახელებული მაყაშვილი დაბატების იყო გამოძიებაში მიცემული, როგორც მატანტალა და შემდეგ ტფილისის სოლჰა სასამართლოს განაჩენით 1912 წ. 15 აპრილის თარიღით ცნობილ იყო დამნაშავედ, სხვა დანაშაულობასთან ერთად, ამ პროკურორ-მეთვალყურეობაშიც, ხოლო ტფილისის სამოსამართლო პალატამ თავის განაჩენით 1913 წ. 12 თებერვლის თარიღით შესცვალა აღნიშნული ოლქის განაჩენი და მასთან ერთად, გაუგებარ მოსაზრებით, გაათქმა ეს განაჩენი იმ ნაწილებში, რომელიც მატანტალაობას შეეხებოდა. გორის ხაზინის ქვეშ ხარელის შეთხრის შესახებ წარმოებულ საქმეში ისიც იყო ნაჩვენები, რომ ბრალდებული დიმიტრი მაყაშვილი და ბაქოს საპატიმროდან გაქცეული ტუსაღი ალექსანდრე მაისურაძე ერთი და იგივე პირია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეთი საბუთები არ იყო გამოყენებული იმ დროისდეგ, ვიდრე ბაქოს ოლქის სასამართლოს პროკურორისაგან არ მოვიდა ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს გამოკვლევით შეგროვილი ცნობები. ბაქოს საოლქო სასამართლოს გამომძიებელი მოზგუნოვის მომართვიდან და აგრეთვე მის საქმის გადასინჯვით „ბრალდებულ ალექსანდრე მაისურაძეთ წოდებულის დანაშაულობა რომელიც აღნიშნულია სასჯელთა კრებულის მე-978 მუხლში“—სჩანს, რომ აღნიშნულ გამოკვლევის ძიების შემდეგ წინანდელი საბუთები იმ პიროვნების ივიეროებისა, რომელიც ან თავის თავს დიმიტრი მაყაშვილს უწოდებს და 1908 წელს ალექსანდრე მაისურაძედ იწოდებოდა, სრულიად დადასტურდა არა მარტო იმ მოწმეების ჩვენებით, რომლებიც ალექსანდრე მაისურაძეს სატიმოროში იცნობდნენ, როგორც ბოქაული ესაძე, მის შეპყრობაში მონაწილეობის მიმღები, არამედ კალიგრაფიულ ექსპერტიზის შედეგით, რომლითაც დამტკიცდა ივიეროება „დიმიტრი მაყაშვილისა“ და „ალექსანდრე მაისურაძის“ ხელმოწერისა (ტ. 2 ფ. დ. 8 უკ. 9 18 და თ., 40 უკ.—42).

ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამომძიებელმა კარსკიმ თავის მხრივაც მოახდინა კალიგრაფიული ექსპერტიზა იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა ივიეროება ხელმოწერისა იმ პირისა, რომელიც თავის თავს დიმიტრი მაყაშვილად უწოდებს, და ქუთაისის საპყრობილედან გაქცეულ თომა ჩუბინიძისა და ამრიგად თვალსაჩინოდ დაედასტურებინა სხვა საბუთები პიროვნების ივიეროებისა. ექსპერტები კატეგორიულ დასკვნას დაადგნენ, რომ მათდამი შესადარებლად გადაცემული ხელისმოწერები ერთსა და იმავე პიროვნებას ეკუთვნის და მხოლოდ დაუმატეს, რომ თავისთავს მაყაშვილად მხმობელი, როგორც ეტყობა, ცდილა თავის ხელმოწერა შეეცვალა, როდესაც მის ნიმუშებს იძლეოდა სასამართლოს გამომძიებლის მოთხოვნილებით (ტ. 2 ფ. დ. 27—28 უკ.).

ამავე მიზნით, რომ თვალსაჩინოდ დაემტკიცებინა ივიეროება დიმიტრი მაყაშვილის და „თომა ჩუბინიძის“ პიროვნებისა, სასამართლოს გამომძიებელმა კარსკიმ კიდევ ერთი საცადი იხმარა, რომელიც შემდეგს მოსაზრებაზე იყო დამყარებული. ამჟამად თავისთავის დიმიტრი მაყაშვილად მხმობელი დიდ წვერს ატარებს, თავზე-კი თმა არა აქვს. წინად კი თომა ჩუბინიძე, ვიდრე ის ქუთაისის საპყრობილედან გაიქცეოდა, როგორც სჩანს იმდროინდელ ფოტოგრაფიულ სურათზე, წვერს არ ატარებდა, თავზე-კი თმა ჰქონდა. ეს განსხვავება ძალიან ამორებს მსგავსებას წინანდელ თომა ჩუბინიძესა და იმ პირს შორის, რომელიც ეხლა თავისთავს დიმიტრი მაყაშვილს უწოდებს. ამიტომ ამ განსხვავების გაქარწყლება მეტად სასურველი იყო მხოლოდ ფოტოგრაფიულ სურათზე მაინც, რაც უკვე მოხერხდა

სპეციალ-ფოტოგრაფის დახმარებით, რომელმაც 1907 წელს გადაღებულ თომა ჩუბინიძის სურათის ასლზე ხელოვნურად (რეტუშით), ერთის მხრივ, თავს თმა ააცალა და მეორე, წვერი გაუკეთა იმ მოყვანილობისა, როგორიც ამჟამად აქვს იმ პირს, რომელიც თავის თავს მაყაშვილს უწოდებს. მიღებულ გამოხატულობას საოცარი მსგავსება აქვს დიმიტრი მაყაშვლის ფოტოგრაფიულ სურათთან, რომელიც გადაღებულია 1915 წელს (2 ფ. დ. 38—39 უკ. 46 და უკ.).

ყველა ზემოდ მოყვანილ საბუთებით, თავისთავის თელავის მაზრის სოფელ იყალთოს მცხოვრებ დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილად მწოდებელი, ნამდვილად-კი, როგორც გამოაშკარავდა, შორაპნის მაზრის სოფელ საზანოს მცხოვრები თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძე დაკითხულ იქმნა ამ საქმის გამო როგორც ბრალდებული, რომელსაც ბრალად ედება ზემოდ აღწერილი გაქცევა ქუთაისის საგუბერნიო სატპატიმროდან; ხოლო მან თავისი თავი დამნაშავედ არ იცნო და კვლავ ამტკიცებს, რომ ის თავადი დიმიტრი მაყაშვილია, ფუმცა არავითარი ამის დამამტკიცებელი ახალი საბუთი არ წამოაყენა (ტ. II ფ. დ. 34-35, 57).

ზემოდ მოყვანილ საბუთებით, ყოველ განსაკუთრებულ ღირსებაუპირატესობას აყრილს ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, სოფელ საზანოს მცხოვრებს თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძეს, რომელიც თავის-თავს თავად დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილს უწოდებს, 31 წლისას ბრალად ედება, რომ 26 სექტემბერს 1907 წ., როდესაც ის ქუთაისის საგუბერნიო სატპატიმროში იყო დამწყვდეული, ვითარცა გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი, წინასწარ შეთანხმებითა და საერთო ძალღონით სხვა ამავე სატპატიმროს ტუსაღებთან და აგრედვე გარეშე, გამოძიებით ვერ აღმოჩენილ პირებთან ერთად, მან ხერხი გაიყვანა სატპატიმროს მეზობლად მყოფ ვარლამ ფანცხავას სახლიდან სატპატიმროს სეკრეტში № 1 და სალამოს 1907 წ.*) სხვა ტუსაღებთან ერთად აღნიშნულ სატპატიმროდან გაიქცა, ე. ი. ჩაიდინა დანაშაულობა, სასჯელთა კრებულის მე-13 და მე-3 ნაწ. 309 მუხლებით გათვალისწინებული.

ამის გამო და თანახმად სისხლის სამართლის წესდების მე-200, 208, 1260 და 1271 მუხლებისა, დასახელებული თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძე ქუთაისის ოლქის სასამართლოს-მიერ განსამართლებას ექვემდებარება.

შედგენილია ნოემბრის 15 დღესა 1915 წ. ქ. ქუთაისში.

ბრალმდებლის ამხანაგი **დანევსკი**.

---

*) თვე და დღე არ არის დასახელებული ოქმში. **რედაქცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია იმ პირთა, რომელნიც დაბარებულ უნდა იქმნენ სასამართლოს სხდომაზე:

ბრალდებული: თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძე, რომელიც თავისთავს დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილად უწოდებს.

მოწმენი: 1, ილია დავითის-ძე აბშილავა, 2, მიხეილ ივანეს-ძე დე-პარმე, 3, სვიმონ სტეფანეს-ძე ნოსკოვი, 4, ვასილ პეტრეს-ძე ჭორქაშვილი, 5, პეტრე იოსების-ძე ფეიქაროვი, 6, თავადი დიმიტრი დავითის-ძე მაყაშვილი, 7, თავადი ნიკოლოზ დავითის-ძე მაყაშვილი, 8, ვალერიან იოსების-ძე კიკნაძე, 9, ექვთიმე ვახტანგის-ძე ჩუბინიძე, 10, მელიტონ არხიპოს-ძე ჩუბინიძე, 11, პლატონ სფირიდონის-ძე ჩუბინიძე, 12, ალექსანდრე ნიკოს-ძე ჩუბინიძე, 13, რევაზ ვახუშტის-ძე ჩუბინიძე, 14, სვიმონ ვახუშტის-ძე ჩუბინიძე, 15, ოქროპირ ლუკას-ძე ჩუბინიძე, 16, ერმილ დავითის-ძე ჩუბინიძე, 17, გიორგი იესეს-ძე ეღარა...

ბრალმდებლის ამხანაგი **დანევსკი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის გრძოლის"

ფურცელი

№ 7. 1 (14) აპრილი 1904 წ. № 7.

ომი

В упоеньи Богу злата
Край на край встает войной
И людская кровь рекой
Но клинку течет булата.
Люди гибнут за металл!
Сатана там правит бал!

გეტე.

„გავყვები დაუვიწყარ მამაჩემის კვალს" ამბობდა ამ ათის წლის წინეთ ნიკოლოზ II, და გაჰყვა კიდეც... თავის მხრივ „დაუვიწყარი მამა" ალექსანდრე III-მეც ყველას არწმუნებდა, რომ „ერთგულად ავასრულებ წინაპართაგან გადმონაცემ ანდერძს—ალექსანდრე II-ისა, ნიკოლოზ I-ისა და სხვებისაგანაო". რაში მდგომარეობდა ამ დაუვიწყარ ჯალათების ანდერძი? როგორ ეჭცეოდნენ ისინი თავიანთ მეზობელ სახელმწიფოებს, რითი ხელმძღვანელობდენ ისინი თავიანთ საგარეო პოლიტიკაში?

„გაახილე თვალი! სცარცვე მეზობლები!" აი რუსეთის მეფეების დევიზი. მონურ ულელში შებმა ახალ-ახალი ქვეყნების, რომლებიც ახალ მოხარკეებსა და სალდათებს მისცემდენ რომანოვების გვარის სახელის ასამაღლებლათ—აი რუსეთის დესპოტების თავდაპირველი მისწრაფება! ეს მტაცებლობის პოლიტიკა წითელ ძაფად გასდევს მთელ რუსეთის ისტორიას.

მოვიგონოთ უკანასკნელი ასი წელიწადი. აუარებელ ხალხებსა და მხარეებს ჩაურჩო თავისი მტაცებელი ბრჭყალები რუსეთის ორთოვიანმა არწივმა. აი რუსეთის შენაძენთა მოკლე სია: 1801 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლ-კახეთი, 1803 წ სამეგრელო, 1810 წ. იმერეთი, 1815 წ. ყაბარდოს სამთავრო (Вартавское Герцогство), ბესსარაბია, ფინლიანდია, 1858—60 წწ. ამურისა და უსსურიის მხარეები, 1859 წ. აღმოსავლეთი კავკასია და ჩემკენტი, 1865—66 წწ. ტაშკენტი და თურქესტანის მხარე, 1868 წ. სამარყანდი, ზარეუშანის ოლქი და ბუხარა. 1870 წ. ხანგიშლაქი. 1873 წ. ხივა, 1876—კოკანის სახანო (ეხლა ფერგანის ოლქს ეძახიან), 1881 —გეოკტეფე და იმიერ-კასპიის ოლქი, 1884—მერვი, 1886 პენდე .. აი ფაქტები, რომლებიც რუსისა და სხვა ხალხების სისხლით არის დაწერილი ისტორიაში! ამ ფაქტების ღალატობას ვერ ჩაჩუმებს ვერც რუსეთის დესპოტების ფარისეველური ლაოობა მათს „მშვიდობიანობის მოყვარეობაზე“ და ვერც გოდება მოსყიდულ პატრიოტებისა, რომლებიც ქებით ამკობენ ამ „მშვიდობიანობის მოყვარეობას“ საეკლესიო კათედრებიდან და ნებადართულ გაზეთებში. ეს თვალ-საჩინო ფაქტები პირდაპირ გვიმტკიცებს იმას, თუ რამდენათ მშვიდობიანობის მოყვარე იყო „მშვიდობიანობის მოყვარეთ“ წოდებული ალექსანდრე III, რომელმაც თავის მეზობლებს მთელი იმიერ-კასპიის ოლქი ჩამოაცალა (გეოკ-ტეპე, მერვი და პენდე) სივრცით 486 ათასი კვადრატიული (ოთხ-კუთხი) ვერსტი, ე. ი. კავკასიაზე უფრო დიდი მხარე (კავკასია 411 ათასი ოთხ-კუთხი ვერსტია). შესანიშნავია ის, რომ ამ „მშვიდობიანობის მოყვარემ“ იუდაიზებულათ ისარგებლა მეზობლების სისუსტით და უმრავათ, „უბრალო“ ფაქტებით მიითვისა ეს მხარე. ნიკოლოზ II-ე გაჰყვა „დაუვიწყარ ბაძის კვალს და მოინდომა მამისებურათ გამოეტაცა მანჯურია დაუძლურებული ჩინეთისათვის. ამ მიზნით, ვითომდა იჯარით აიღო, ნამდვილათ-კი მიისაკუთრა, 1897—8 წწ. ხელ-შეკრულობით პორტ-არტური და კვანტუანის ნახევარ-კუნძული. შემდეგ გაყვანილ იქმნა მანჯურიის რკინის გზა, რომლის დასაცავათ ჯარით აავსეს მთელი მანჯურია. მაგრამ „მშვიდობიანობის მოყვარის“ შეილს ისე ველარ გაუღიმა ბედმა მანჯურიაში, როგორც მის „დაუვიწყარ მამას“ იმიერ-კასპიის ოლქში. „მშვიდობიანობის მოყვარე“ ნიკოლოზ II-ის მტაცებლობის ენიმა ომიანობა და სისხლის ღვრის საშინელებანი თავს დაატეხა ისედაც ნაწამებ რუსეთის პროლეტარიატს და გლეხ-კაცობას.

თვითონ ჩინეთმა, დაუძლურებულმა, დაბაბუნებულმა ჩინეთმა ვერ შესძლო წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის დესპოტის ასეთ მტაცებლობისათვის, მაგრამ მას გამოესარჩლა იაპონია, რომლის ზურგს უკან დგებან ინგლისი და ჩრდილოეთ-ამერიკა. რაკი მანჯურიას დაისაკუთრებდა და ჯარით აავსებდა მას, რუსეთის თვითმპყრობელობა ახლო მოეჩოჩდებოდა ჩინეთის და კორეის სატახტო ქალაქებს—პეკინსა და სეულს. ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა თავიანთი ცარცვა-გლეჯითა და ძალ-ბრძოლებით იჭამდე მიიყანეს თავიანთი ქვეშევრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომნი, რომ ძლივ-ძლივობით იმორჩილებენ მუდამ ასაჯანყებლად გამზადებულ ხალხს. „ბუნტები“ იქ უფრო ხშირია, ვიდრე ჩვენში. რუსეთის თვითმპყრობელობა, რა თქმა უნდა, ისარგებლებდა ჩინეთის და კორეის მთავრობათა ასეთი სისუსტით, ხან მუქარას გამოუცხადებდა მათ თავისი ჯარების გაგზავნით, ხან იმავე ჯარებით მიეშველებოდა მათ აჯანყებულ ქვეშევრდომთა დასაწყნარებლათ. ამგვარათ უძლიერეს გავლენას მოიპოვებდა ჩინელ და კორეელ მმართველებზე, რომელთა ძალა და მომავალი რუსეთის დახმარების ხელში იქნებოდა. ფაქტიურათ, ჩინეთი და კორეა რუსეთის პროვინციებათ გადაიქცნენ და, რუსეთის ვაჭრები-კი ისეთსავე განსაკუთრებულს სავაჭრო უფლებებს მოიპოვებდნენ იქ, როგორიც დღეს შეუგულ რუსეთში აქვთ, ეს-კი სასიკვდილო ლახტი იქნებოდა იაპონიის, ინგლისის და ამერიკის ვაჭრობისათვის.

იაპონიის ახალგაზდა ბურჟუაზია, რომელიც სხვებზე უფრო დაინტერესებულია ჩინეთის და კორეის ბაზრებში, პირველი აღსდგა თავისი სავაჭრო ინტერესების დასაცველათ და მოსთხოვა რუსეთს ჯარების გაყვანა მანჯურიიდან. რადგან ცბიერი თვითმპყრობელობა დროს მოსაგებათ აჭიანურებდა მოლაპარაკებას და „მშვიდობიანობაზე“ ლათაიების დროს საჭიროთ ეზიდებოდა აღმოსავლეთისკენ ჯარებს,—იაპონიამ აღარ მოიცადა და ომი გამოაცხადა.

აი რამდენიმე ციფრები, რომლებიც ამჯერათ გვიჩვენებს, თუ სად იფარება ნამდვილი მიზეზები იაპონიის მთავრობის ასეთი ყოფაქცევისა. სულ ცოტა ხანია მას აქეთ, რაც იაპონიაში მსხვილი (კაპიტალისტური) წარმოება ვითარდება, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, უკვე შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო მან. მაგალითად 1894 წ. იაპონიაში სულ მხოლოდ ათასამდე სამრეწველო დაწესებულება იქნებოდა, რომლებიც ორთქლისა და ელექტრონის მანქანებსა ხმარობდენ 32 ათასი ცხენის ძალით (ე. ი. ეს მანქანები იძლებოდნენ ძალას ქმნიდენ რამდენსაც 32 ათასი ცხენი); 1900 წელში-კი, ე. ი ექვსი წლის შემდეგ, იქ უკვე ორი ათასზე მეტი მანქანებიანი სამრეწველო დაწესებულება იყო, რომელიც 83 ნახევარ ათას ცხენის ძალას შეიცავდა. მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ძალა და გავლენა იაპონიის ბურჟუაზიისა, რომელმაც ბოლოს სავსებით ხელში ჩაიგდო პოლიტიკური ძალა.

მაგრამ იაპონელ მაწარმოებლებმა, რომლებიც თავიანთ ფაბრიკებსა და ქარხნებში აუარებელ საქონელს ამზადებდენ, ვეღარ გაასაღეს იაპონიაში ეს საქონელი; მუშტართა უმრავლესობა (მუშები და გლეხ-კაცობა) მთავრობის გადასახადებისგან და ხაზეინებისა და მემამულეების ცარცვა-გლეჯისაგან ისეთსავე სიღატაკეში არიან ჩაცვენილნი, როგორც ჩვენში. საყურადღებო და გამოუცდელი მუშა 70 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს ვერ იღებს დღეში, და ქალი ხომ აბაზსაც ძლივს აკეთებს. გლეხ-კაცობის ცხოვრება, რომლებიც მთელი მცხოვრებლების ნახევარზე მეტს შეადგენენ (60 პროც.), კატორგის ცხოვრებას ვევრით არ სჯობია: თითო კაცზე საშუალო რიცხვით სამი-მეოთხედი დესეტინა მიწა მოდის, და თითოეულ დესეტინაზე-კი ყოველ წლივ 15 იენამდე (იენა 97 კ.) სახელმწიფო და საზოგადო გადასახადები ეწერება. ამის შემდეგ ცხადზე ცხადია, რომ იაპონელი (საქმის) მაწარმოებელნი ყველა თავის საქონელს ვერ გაასაღებდენ იაპონიაში და საქონლის კი დიდ ნაწილს საზღვარ-გარეთ უნდა ეპოვა ბაზარი. მაგალითად 1896 წ. იაპონიიდან გამოტანილ იქნა 117 მილიონი იენის საქონელი, 1902 წელში-კი 258 მილ. იენისა. ჩინეთსა და კორეაში ერთად გამოტანილია 1896 წ. იაპონიიდან 36 მილიონ იენის საქონელი, 1902 წ. თითქმის 100 მილ. იენისა, სხვანაირად რომ უთქვათ, იაპონიის ექსპორტი (вывоз) ჩინეთში და კორეაში სწრაფად იზრდებოდა და დღეს-კი თითქმის ნახევარ ექსპორტს უდრის. აქედან აღვილი ასახსნელია ის გარემოება, თუ რად ადევნებდა ასეთი დიდი ყურადღებით თვალს იაპონიის ბურჟუაზიული მთავრობა თვითმპყრობელ მტაცებელის „მშვიდობიანობის მოყვარულ“ პოლიტიკაზე, ადვილი გასაგებია იაპონიის სიბრაზე და თავის გამოდება ჩინეთის დასაცველათ ნიკოლოზ II-ის მტაცებლობისგან. ბურჟუაზიულ მთავრობებს ვერ შეუძლიანთ ერთმანეთს უანგარო მეგობრობა გაუწიონ.

მაგრამ შეიძლება „რუსეთსაც“, როგორც ამბობენ ხოლმე ბურჟუაზიის კუდ-ქიცინა მეგაზეთეები, რომლებიც არ არჩევენ ბურჟუაზიას და რუსეთს ერთმანეთისაგან, აქეს თავისი სავაჭრო ინტერესები ჩინეთში და კორეაში? ამაზე ციფრები გვიპასუხებს: საშუალოთ რუსეთიდან ჩინეთში გაუტანიათ ყოველ წლივ 1895 წლიდან დაწყებული 1898 წლამდე 5 მილ. მან. საქონელი, მაშინ როდესაც რუსეთიდან გატანილია საზღვარ-გარეთ 1898 წ. 489 მილ. მანეთის საქონელი! კორეაში-კი ისე ცოტა საქონელია გატანილი, რომ არც-კი ღირს სათქმელათ. შეიძლება ამის შემდეგ კაცმა ილაპარაკოს „სეროზულ“ სავაჭრო ინტერესებზე რუსეთის ბურჟუაზიისათვის ჩინეთსა და კორეაში? ამისთანა აღვირ ახსნილ სიცრუეს ჩვენი ცრუპენტელა ლეგალური გაზეთებიც-კი ვერა ბედავენ, მაგალითად, ჟურნალი „Вестник Европы“ პირდაპირ აცხადებს: „ჩვენ მანჯურიაში არავითარი ინტერესი არა გვაქვსო“. სხვანაირათ ლაპარაკობს ლეგალური პრესა „რუსეთის ინტერესებზე კორეაში“. რადგან ამ ცოტა ხანში შესდგა მტაცებელთა „შაიკა“ დიდი მთავრებისა და მეფის საყვარელი დამჭაშებისა—ბეზობრაზოვისა და ალექსეევისაგან,—რომელმაც კორეის მთავრობისაგან აიღო კონცესსია (განსაკუთრებითი უფლება) ტყისა

და ქვანახშირის ექსპლოატაციისა როზოვის და დაკელეტის კუმშულებზე. და აგრეთვე ტუმენისა, ულასა და იალუს მიდამოებში — რა თქმა უნდა, ზეგარდმო მთავრობებულმა პრესამ ყეირილი მორთო „რუსეთის“ ეკონომიურ ინტერესებზე კორეიაში? როგორ არ მოეწყოდოს ზეგარდმო მთავრობებულმა პრესამ, — იარაღით ხელში დაიცავით „რუსეთის“ ინტერესებიო? ნამდვილი საეჭვო ინტერესები ჩინეთში და კორეიაში შეიძლება მომავალში აღმოჩენილიყო რუსეთის ბურჟუაზიისათვის: როცა თვითმპყრობელობა გამაგრდებოდა მანჯურიაში და მოიპოვებდა ჩინეთის და კორეის მთავრობისაგან განსაკუთრებულს პრივილეგიებს რუსეთის ვაჭრებისთვის და ამგვარათ ჭაობადვილებდა ამ ვაჭრებს სისხლი ეწოვათ ჩინელი და კორეელი ხალხის. მაგრამ დღემდის ასეთი ინტერესები არა ყოფილა და, ამიტომ, რუსეთის მთავრობისაგან მანჯურიის მითვისება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ომი იაპონიასთან ნამდვილი საეჭვო ინტერესების დაცვა-კი არა, რუსეთის თვითმპყრობელობის აღვირ-ახსნილი მტაცებლობა და ცარცყა-გლეჯაა! როცა რუსეთის თვითმპყრობელობა თავს ახვევდა რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხ-კაცობას იაპონიის ომს და მასთან შეერთებულ სისხლის ღვრას, მას საიდუმლო მიზანი ჰქონდა: ხალხის უბედურებით **რომანოვების** ტახტი გაემაგრებინა. მან განიზრახა საგარეო ომით ესარგებლა შიგნიდან შენგრეულ ტახტის გასამაგრებლათ. საგარეო ომმა უნდა გამოიწვიოს და გააძლეროს მცხოვრებლებში პატრიოტული გრძნობები, თავი უნდა მოუყაროს პატრიოტებს მეფის გარშემო და მით დააგვიანოს მისი დაცემის ჟამი! აი რა იმედები ჰქონდა ჩვენს ტირანს, როცა იაპონიასთან ომი დაიწყო! როგორც წყალში დამხრჩალი ხაესს მოეკიდება ხოლმე ისე მუშათა რევოლიუციონური მოძრაობისგან შერყეული რუსეთის დესპოტიზმი ორივე ხელით მოეკიდა საგარეო ომს. ქვემძრომმა ლეგალურმა გაზეთებმაც სრულიად დაუფარავად გამოსთქვეს ეს იმედები: „ომი შეაჩერებს მუშათა და ხაზეინებთა შორის არსებულ უსიამოვნობას და წვრილ შეტაკებებს პოლიციასთანო“ ამბობს „Новое время“. მთავრობის ანგარიშით, რუსეთის ხალხის სისხლი უნდა დაიღვაროს იმისთვის, რომ მცხოვრებთა მთელი ყურადღება ომმა მიიზიდოს, მუშების და გლეხ-კაცობის ყურადღება მოაშოროს უკვე დაწყებულ ბრძოლას შინაური მოსისხლე მტრების წინააღმდეგ და რევოლიუციონური მუშტი, რომელიც ხალხმა გმირულათ ამართა მეფის, ფაბრიკანტების და მემამულეების წინააღმდეგ, — მიმართოს იაპონელებზე, რომლებსაც მზათ არიან დააბრალონ რუსეთის ხალხის ყოველგვარი უბედურება. საგარეო ომის შემწეობით რევოლიუციონურ მოძრაობის შესუსტება გახდა უმთავრეს საგნათ თვითმპყრობელობის შინაურ პოლიტიკისა. პატრიოტიზმის გამოწვევა მცხოვრებლებში და იმით მეფის ტახტის განსამტკიცებლათ სარეკ-

ლობა — აი მთავრობის მისწრაფება, ლოზუნგი. ომის გამოცხადების მერე დღესვე სისხლით გაუმაძღარმა ტირანმა, რომელმაც ჯერ კიდევ წარსულ ზაფხულში დაიკია რუსეთის მუშა ხალხის სისხლი, გაიცვა უმანკო ცხვრის ტყავი და დაუწყო წუწუნი „საყვარელ" ხალხს — „ცბიერმა" იაპონელებმა შეურაცხოფა მომაყენეს და თავიდათ ამართეს იარაღი პასუხით ჩემს „მშვიდობიანობის მოყვარულ" ჯოჯაქეევაზეო! უცებ, თითქოს ნიშანი მისცა ვინმემო, ატყდა მთელ რუსეთში ხუცებისა და პოლიციელების ყმუილი პატრიოტულ ჰანგზე. „შეურაცყოფილი მამა მეფე", „საყვარელ ხალხზე ზრუნვისაგან ჩამომხარი" მეფე გახდა უმთავრესი საგანი პატრიოტული აგიტაციისა.

ხალხის სისხლით შესვრილი ხელებით ებღაუჭებოდენ მთავრობის აგიტატორები ხალხში გაღვიძებულ წმიდა სიყვარულს სამშობლოსადმი და ცდილობდენ ამ წმიდა გრძნობაზე აეშენებიათ უმთავრესი სიმაგრე ხალხის ჯალათ ნიკოლოზ რომანოვისათვის. ბევრ ქალაქებში და უფრო-კი სოფლებში აიუხიეს ამ ვაჟბატონებმა თვალი შეუგნებელ ხალხს და სიხარულითაც-კი გააწოდებინეს ქედი თვითმპყრობელობის უღლისკენ. ხალხის შეუგნებლობამ, რომელსაც ასე თავ-გამოდებით იფარავს მთავრობა, მხოლოდ ამ შეუგნებლობამ, გაამარჯვებინა მეფის გაიძვერულ პოლიტიკას. მაგრამ, რამდენათ მტკიცეა ეს გამარჯვება? „არეულობებისგან" შეშინებული მთავრობა ომის დაწყების პირველ თვეშივე იძულებული გახდა აეკრძალა პატრიოტული მანიფესტაციები. ეს ფაქტი მჭერმეტყველურათ არ გვიჩვენებს სინამდვილეს?! ხალხის შეუგნებლობა — ეს თვითმპყრობელობის თავდაპირველი საფუძველი — ფეხ-ქვეშ ეცლება თვითმპყრობელობას! სიტყვა „პატრიოტი" საგინებელ სიტყვათ გახდა შეგნებულ მუშების ენაზე. რომელი შეგნებული მუშა ან გლეხკაცი იქნება, რომ ომის მომხრე იყვეს? განა რუსეთის მთავრობის ძველმა ომებმა შეამოკლა როდისმე მუშების სამუშაო დღე? განა ამ ომებმა მოუმატეს რამე გლეხ-კაცობის „ნაიდელს". შეამცირეს როდისმე უმუშევრობა? განა მათ მისცეს ხალხს როდისმე სკოლები, გაფიცვების, კრებების, ბეჭდვის, კავშირების თავისუფლება? რა თქმა უნდა არა. ხალხს, მხოლოდ ომში დაღუპულ მოძმე სალდათების საფლავები შეხვდა წილათ და აუარებელი სახელმწიფო ვალი, დღეს — მთელი 6 მილლიარდი, ე. ი. ექსი ათასი მილიონი მანეთი, რომლის პროცენტებს იხდის დღეს ხალხი, გადასახადების სახით ყოველ წლივ 300 მილიონ მანეთს! ომის დროს მთავრობა, ფაბრიკანტები და მემამულეები ხალხის სისხლს აჭკნენენ და ხალხის ფულს ფლანგავენ თავიანთი თავის გასამდიდრებლათ. ხალხისთვის-კი ომიანობა უბედურებაა! ეს უბედურება კი სულ მეფემ დაატეხა რუსეთს თავზე! ნუ თუ არ აიცსებს ყველა ეს ხალხის მოთმინების ფიალას?! ნუ თუ ეხლაც, როცა მეფემ ასე გულგრილათ გა-

დაყარა ომისთვის რამდენიმე ასი ათასი სალდათი და რამდენიმე მილიონი ხალხის ფული, ნუ თუ ეხლაც მუნჯათ დაუწყებენ ცქერას მეფის ბოროტ-მოქმედებას მუშები და გლეხ-კაცები?! ნუ თუ სახელოსნოებში და ყანებში კვლავინდებური სიმშვიდით გაგრძელდება მუშაობა, როცა იქ, ომში, რუებათ და ნიაღვრათ მისჩქეფს ხალხის სისხლი?! არა, არასოდეს! ისედაც მოახლოებულია **პირველი მაისი!** ამ დღეს ისედაც ასწევდა ბრძოლის დროშას სრულიად რუსეთის შეერთებული პროლეტარიატი! ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, უამისოდ მივიტანდით იერიშს მეფის თვითმპყრობელობაზე! ეხლა კი სალდათების დაობლებულ ოჯახობათა ცრემლებიც აანთებს და გააღვიძებს ჩვენში მოქალაქობრივს სიმამაცეს! შეგნება ამ უდიდესი ისტორიული მომენტის მნიშვნელობისა და შეურყეველი რწმენა ჩვენი საქმის სიწმინდეში ფრთებს შეგვასხამს საგმირო ბრძოლისათვის! ჩვენ ჩვენი აღფრთოვანებით ავიყოლიებთ და გავიტაცებთ გაუბედავ და შემკრთალ ამხანაგებს! სიტყვები „ძირს ომი“ „ძირს თვითმპყრობელობა“! — ისმება ჩვენ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავათ. თუ ჩვენი მოძმე სალდათები სიმამაცის განსაცვიფრებელ მაგალითებს გვიჩვენებენ ომში, მეფისა და მდიდრების სასარგებლოთ ბრძოლაში, ჩვენ გაათკეცებულ სიმამაცეს და სივაჟკაცეს უჩვენებთ ქვეყნიერობას ხალხის თავისუფლებისა და ბედნირებისათვის ბრძოლაში!

::

ტფილისის ჭრილობიკა

როდესაც ტფილისიდან შორეულ ალმოსავლეთს პირველ პარტია სალდათებს გზავნიდენ „საკლეტად“, რკინის გზის სახელოსნოების უფროსმა მათ გასაცილებლად მოიწვია ყველა მუშები. მუშები წავიდენ ვაგზალში და მუსიკით გააცილეს ისინი. როცა დაბრუნდენ უკან სახელოსნოებში, ჩამოაგდეს ლაპარაკი ომზე, იბრალებდენ უბედურ სალდათებს, რომელთაც რამდენი ვაი-ვაგლახი და გასაჭირი მოელისო იქ, უცხო მხარეს. შენიშნეს ეს თუ არა, დატრიალდენ ბრიგადირები და მოხუცებული მუშები, გადაწყვიტეს გასაგზავნ სალდათების სასარგებლოთ გადაედოთ დღიური ქონა,—და უფროსის წინაშე წარსდგენ ნებართვის გამოსატანათ, რომ ფული მოეკრიბათ. უფროსმა, რასაკვირველია, ნება დართო და ხელ-მოსაწერი ფურცელიც გადასცა ამათ. ფულების მოკრების დროს, უფრო შეგნებული მუშები ამბობდენ: „ტყუილათ აწერთ, ბატონებო, ხელს! ეს ფულები სალდათებამდე არ მიაღწევს; მთავრობა თვითონ ჩანთქავს მას“! მოხუცებულნი და ჯაშუშები ამაზე გულ-მოსული უპასუხებდენ: „ბევრ გესმით თქვენ, თქვენ დემოკრატები“!.. მოხთა-კი ისე, როგორც შეგნებული ამხანაგები ამბობდენ. იმავე დღეს საღამოს უფროსმა ამკრეფს შეკრიბა „წარმომადგენლები“ და გამოუცხადა მათ, რომ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებილ ფულებიდან 50 მანეთად გასაგზავნ სალდათებისთვის ხატ-
ვიყიდეო. წარმომადგენლებს პირში ნერწყვი გაუშრათ, ვერაფერი
თქვეს და შერცხვენილები დაბრუნდენ უკან.

—სამხედრო წითელ ჯვარის სასარგებლოთ ფულების შესაკრე-
ბათ სახელოსნოების უფროსმა შეადგინა სიები და ცეხის კანტორებს
დაუგზავნა. კანტორებმა ბრიგადირებს მიანდო, სიტყვიერათ გამოუც-
ხადეთ ყველას თქვენს ბრიგადებში და ვისაც უნდა შემოწირვა ხე-
ლიც მოაწეროსო. ვინც მოისურვა—მოაწერეს, ვინც არა—არ მოუწე-
რიათ; სიები კანტორებში წაიღეს. მორჩა და გათავდა, გგონიათ თქვენ.
მთავრობის ბილწი და ბრმა დამჭაში ასე როდი ფიქრობდა! 25 თე-
ბერვალს ვაგონების ცეხის ტაბელშრიკმა სერებრიანსკიმ სასადილოთ
მუშაობის შეჩერების წინ ჩამოხსნა და შეინახა „მარკები“ იმ მუშე-
ბისა, რომელთაც ხელი არ მოუწერიათ. მუშებს ეჭვი არ შეუტანიათ-
რა, მივარდენ მარკების ჩამოსახსნელათ, ჩქარობდენ, რადგან ცოტა
დროა,—სულ სადილის საჭმელათ და დასასვენებლათ საათ-ნახევარი!
შეხედეს,—მარკები არ არის! ეცენ ტაბელშრიკს: რატომ ჩამოხსენი
ჩვენი მარკებიო?—ივითომ, რომ თქვენ წითელ ჯვარის სასარგებლოთ
ხელი არ მოგიწერიათო. მიუხედავად იმისა, რომ მუშებმა აუხსნეს
თავ-გასულ სერებრიანსკის რომ ფულის შემოტანა ნება-ყოფლობით
იყოვო,—მან უსირცხვილოთ უთხრა მუშებს: „ხელი მოაწერეთ და
თქვენს მარკებს მაშინ მიიღებთ. განა ბევრი დაგაკლდებათ თქვენ, მა-
ნეთიდან რომ კაპეიკი გადასდოთ? სულ ერთია, დუქნებში კიდეც უფ-
რო მეტს ხარჯავთ სათრობათ“-ო. მუშებმა ერთმანეთს შეხედეს და
ხელი მოაწერეს.

—ჩვენს სახელოსნოებში გაკრულია უფროსის განცხადება ფლო-
ტისათვის ფულის შემოწირვის შესახებ. განცხადებაში სხვათა შორის
ნათქვამია: „შემოსწირეთ, ბატონებო, ვის რამდენი შეგიძლია ჩვენი
რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლათ. კეთილი საქმეა და რუსეთის
მომავალი ამაზედაა დამოკიდებული. ყველას შემოაქეს თავისი წვლი-
ლი: თავადებს, აზნაურებს, ჩინოვნიკებს, ვაჭრებს, „კუხარკებს“, მე-
ეზოვეებს, მეეტლეებს... ნუ თუ ჩვენ ჩამოვრჩებით მათ უკან! შემოსა-
ტან ფულებს **ჯამაგირიდან გამოვრიცხავ რამდენიმე თვის განმავ-
ლობაში**“. რომელ დროის აქეთ გახთა სახელოსნოების უფროსი
ჩვენიანი? ნუ თუ—ამბობს ის,—ჩვენ ჩამოვრჩებით უკან?“ ამხანაგებო,
გახსოვს რომელიმე თქვენგანს, რომ ის ჩვენთან ერთად იღებდა მო-
ნაწილეობას გასულ ზაფხულის საერთო გაფიცვაში? რაც შეეხება
იმას, რომ ის იძახის,—„კეთილი საქმეაო“,—ამაში ხომ ჩვენ ვერ
შევთანხმდებით მასთან. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ომი დაუყოვ-
ნებლივ შეწყდეს, უმანკო სისხლი ჩვენი ძმების სალდათებისა ნუ იღ-
ვრება დამწაწავე მეფის მთავრობის ვინის აღსასრულებლათ!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გვინდა ჩვენ არც ყორია, არც მანჯურია, არც პორტ-არტური! ჩვენ კარგად ვიცით, რომ თუ რუსეთმა გაიმარჯვა, თვითმპყრობელობა უფრო გამაგრდება,—და მაშინ მშრომელი ხალხი სულს ვერ მოიბრუნებს. იცოდეთ,—თითოეული მუშა-კაცი, რომელიც ფლოტის გასაძლიერებლათ ფულებს სწირავს, „კეთილ საქმეს“ არ ეწევა, ის თვითონ ყიდულობს ტყვიებს თავის და თავის მოძმეთა სახერხებათ.

მარა, თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს. უკეთესია ყური დაუგდოთ ჩვენს ჭეშმარიტ მეგობრებს,—საზღვარ გარეთელ პროლეტარებს,—აბა რა აზრისა არიან ისინი ამ ომზე.—გერმანიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა გაზეთები ერთნაირათ წერენ,—რომ რუსეთის თვითმპყრობელობა დაეცემა, თუ იაპონიამ გაიმარჯვა. გერმანელი ამხანაგები იმედითა და სიხარულით მოელიან ამ ბრწყინვალე დღეს, მათ კარგათ იციან, რომ იმ დღიდან, როცა ბოლო მოეღება რუსეთის ხალხის ჭეშმარიტ მტერს—თვითმპყრობელობას,—რუსეთის პროლეტარიატი წელს გამართავს და მჭუხარე ხმით მოითხოვს თავისუფლებას, პოლიტიკურ უფლებებს. რუსეთში მოისპობა, „გადაშენდება ჯაშუშები, ჯანდარმები, მათრახი,—და ჩვენ თავისუფლათ შეუდგებით ჩვენი საქმეების მოწყობა-მოწესრიგებას, აი ამიტომაც ჩვენი მეგობრები—საზღვარ-გარეთელი მუშათა კლასი,—სიხარულით და მოუთმენლათ მოელოდებიან ამ დღეს და წინდაწინ გვაწვდიან ძმურ ხელს... ჩინოვნიკები-კი თავის ტყვეის შიშით ყოველგვარ ცდილობენ ასეთი თუ ისეთი დახმარება აღმოუჩინონ მეფის მთავრობას, რომელიც არჩენს მათ. ისინი ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ დაგვიბრიყვონ ჩვენც: ისინი დაიმედებულნი არიან, რომ ჩვენ შესაბრკ ჯაჭვს ჩვენვე გამოვასქედით.

„შეშოსატან ფულებს“, ამბობს სახელოსნოების უფროსი, „ჯამაგირიდან გამოვიცხავ რამდენიმე თვის განმავლობაშიო“. ამხანაგებო, იცოდეთ რომ თუ ომი სამარცხვინოთ გათავდა ჩვენი ჩარჩოცხებული მთავრობისათვის, მართლაც, რამდენიმე თვეს შემდეგ ჩვენი სისხლის მწოველნი დაუსჯელათ ვერ შესძლებენ ყოველ რამე შემთხვევისა გამო ჯამაგირიდან გამოგვირიცხონ ფულები. მანამდე-კი... დღეს, როგორც თქვენც იცით, ბევრ მუშას, იმის შიშით, რომ „ბუნტოვჩიკებათ“ არ ჩასთვალონ, მართლაც შეაქვს ფულები ფლოტის გასაძლიერებლათ, რითაც ისინი ჯაჭვს თვითონვე იჭედავენ... ნებაყოფლობით შეწირულება შეაქვთ მხოლოდ ჯაშუშებს, ბრიგადირებს, მასტერებს,—შეაქვთ ექვს-ექვსი, ოთხ-ოთხი, ორ-ორი მან. სჩანს მათ შეგნებული აქვთ, რაშიცაა საქმე და არ ძუნწობენ, რადგან იციან მთავრობისაგანაა დამოკიდებული მათი დღევანდელი კეთილდღეობა. ასე მოქმედობს, ამხანაგებო, ჩვენი „შინაური პოლიცია“. არ ძონავს ნამდვილ პოლიციასაც. პოლიციას მუნდირში. აკალოლოჩნიკები

საჭიროა მოხელეებთან ერთად დაიარებიან დუქნებში და ძალა-უნებურათ არომეენენ მედუქნეებს „ნება-ყოფლობით შემოწირულებას ფლოტის სასარგებლოთ“. ამას წინეთ ამგვარათ ერთ მედუქნეს ნახალოვკაში დაძერეს ხ მ. ამნაირათ, მთავრობა თავის მოხელეების შემწეობით ამ ომიანობის შხუილ-ქუხილში თავის საქმეებს აკეთებს. ახალი ხარკები შემოიღეს,—წითელი ჯვრის გენერლები-კი ჩვენი ნაშრომ-ნაწვავ გროშებით ხელებს მოითბობენ. მართლაც, რა დიდი განძია, ძმანო, ჩვენთვის კაპეიკი? რომელიმე გენერალი, ან სხვა მსხვილი გაიძვერა-კი შეადგენენეს ამ კაპეიკებს და ომის გათავების შემდეგ მშვენიერ სახლს წამოჭიმავს!.. მარა „კეთილი საქმის“ გარდა ამ ფულების შეკრების დროს სხვა გვარი საქმეც კეთდება: ჯაშუშებზე ნაკლები ხარჯი წავა, რადგან „ბუნტოვჩიკებს“ ადვილად გამოიცნობენ. „არ მოაწერე ხელი! აბა, წამომძახანდი აქეთ (პოლიციაში) ჩემო მტრებო.

— ამ ცოტა ხანში მოხდა ისეთი ამბავი, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რუსეთში სკოლა და პოლიცია ერთი და იგივე დაწესებულებაა.

ტფილისის რეალურ სასწავლებელში, უფროს კლასებში ბლომათ იყო დარიგებული ადგილობრივი სოციალ-დემოკრ. კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც იწვევდა მოსწავლე ახალგაზდობას საბრძოლველოდ მეფის თვითმპყრობელობასთან. ამ მოწოდებამ სინათლისაკენ, ანუ სიბნელის მოსამსახურე მთავრობა, მით უფრო, რომ ამგვარი ფაქტი „მისდამი მინდობილ სასწავლებელში“ პირველი ხმელი იყო. დაფაცურდა მთავრობა და დაუწყო ძებნა „ბუნტობიას“ მეთაურებს. ეჭვი მიიტანეს, სულ უსაფუძვლოთ, ერთ შეგირდზე, რომელიც იმ დღეს, როცა პროკლამაცია გავრცელდა, არც-კი იყო კლასში. გამოუძახეს სასწავლებლის კანცელარიაში, —ის წარსდგა განრისხებული მთავრობის წინ.. თავ-გასულმა ჩინოვნიკმა, რეალურ სასწავლებლების დირექტორმა, ტირიფტინმა, და ინსპექტორმა, გაიძვერა ტაბლათ-მოლაპარაკე სტასენკომ, სხვა პედაგოგებთან (მასწავლებლებთან) ერთად, გაჩხრიკეს შეგირდი, გამოკითხეს პროკლამაციაზე, სხვა საეჭვო ამხანაგებთან დამოკიდებულების შესახებ და სხვა ამგვარი ბევრი რამ: დაბოლოს, იმავე „პედაგოგი“ ტირიფტინის განკარგულებით, დაიჭირეს შეგირდი და ტანდარმის გამგეობას წარუდგინეს ჩვენების ჩამოსართმევათ.

ამოდენი თრევა-წვალების შემდეგ „დამნაშავე ბუნტოვჩიკი“ გაანთავისუფლეს ჯანდაბამებმა,—ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სრულ თავისუფლებასაც ეუწია ის: მას უბრძანეს, სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა. ბ. ტირიფტინს უნდა მიეწეროთ: ის ჭეშის ღირსია.—მას კარგათ შეუსწავლია საპოლიციო დეპარტამ. საიდუმლო ცირკულიარები და იქცევა ისე, როგორც „წესი“ თხოულობს: გაჩხრიკე, დაიჭირე, გაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნე! სააღდგომოთ უნდა გამოეჩინა თავი ერთგულ ჩინოვნიკს თვითმპყრობელობისას.—სადღესასწაულოთ ხომ „უმაღლესი მთავრობა" ჯილდოებს არიგებს.

ფრიად საჭიროა, ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ ჩვენ მთავრობას არამც თუ არ დაუვიწყნია თავისი ვერაგული ბღვრი ჩვენ წინააღმდეგ, არამედ უკვე მოყავს სისრულეში. ამ ცოტა ხანში დაათვალიერეს **რკინის-გზის ბათალიონის** დასადგომათ აჩენილი შენობები. ამ ომის შხუილ-ხუილში მას უნდა თავისი ბნელი საქმეები მოაწყოს. ის სარგებლობს ჩვენი შეუგნებლობით და განცალკევებით: ერთი მხრივ,—უკანასკნელ გროშებს გვაცლის ხელიდან სამხედრო წითელ ჯვრისა და ფლოტის სასარგებლოთ, რასაკვირველია, ამასთანავე „ტკბილ პატრიოტულ სიტყვებთაც" გვათრობს; მეორე მხრივ, უბე ქვა აქვს დამალული ჩვენთვის... ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, ყოველ ეჭვ გარეშე, რომ ჩვენი რკინის-გზის უფროსის ოცნება მართო ბატალიონების დაწვესება კი არაა,—მას სურს ჩვენს გზაზე ისეთივე წესები, როგორიც იმიერ-კასპიის რკინის გზაზეა, იქ-კი, როგორც ვიცით, ყველა მოსამსხურენი სალდათები და აფიცრებია!

ამხანაგებო! ნუ გაჩუმდებით, ამოიღეთ ხმა, აუხსენით შეგნებულებმა ყველა ამხანაგებს მთავრობის მხეცური პლანი! შეერთდით, შეკავშირდით და მედგრათ გაუწიეთ წინააღმდეგობა მთავრობას, როცა ის შეუდგება ცდას სისრულეში მოიყვანოს თავისი პლანი: თავისუფალ მუშების სალდათებით შეცვლით.

—::—

ბათუმი.

შორეულ-აღმოსავლეთის ზარბაზნის ხმამ ბევრ ჩვენ ამხანაგს აუხვია თვალები და თავ-ბრუ დაასხა. ისიც-კი, ვინც ჯერ ყიდევ გუშინ, ისე თამამათ და გარკვეულათ იყურებოდა წინ, დღეს რაღაც ყოყმანში და რყევაშია. აი რისთვისაც სიამოვნებით ვჭქარობთ გიამბოთ ის, თუ როგორ მიეგება ბათუმის მუშა ხალხი ომის გამოცხადებას და რა ზომები იხმარა, რომ თავიდან აეშორებია ის ბურუსი, რომელშიაც საზიზღარ მთავრობას სურდა გაებია ის.

იქაურმა პოლიციამ განიზრახა მოეხდინა დიდი მანიფესტაცია ომის სასარგებლოთ. ამ მიზნით 28 იანვარს მართმადიდებელთა „სობოროსთან", სადაც უნდა წაეკითხათ მანიფესტი ომის შესახებ, მოგროვდა მოზარდი თაობა ბათუმის ყველა სასწავლებლებისა და მთელი მასწავლებელთა „პერსონალი". მოასხეს აუარებელი ჯარის-კაცნი, მოზღვავდა „ჩინოვნიკობა" და, როგორც მოგეხსენებათ, „ურას" ძახილს საზღვარი არა ჰქონდა.

ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მანიფესტაცია მეტად „ჯაზიონური" გამოვიდა. პოლიცია მეტად გულ-ნატკენი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩა და განიზრახა, რაც უნდა მოხდეს ხალხს უნდა მივალებიო მონაწილეობაო. პირველ თებერვალს მეეზოვეთ და გარადაეოებს ებრძანათ დაეწარონ ყველა მცხოვრებთ და დაავალონ ხვალ დილით დანიშნულ ადგილს მოვიდნენ პატრიოტულ გრძნობათა გამოსაცხადებლათო. დაფაცურდენ პოლიციის მოხელენი: „ბოსიაკებს“ არაყს ჰპირდებოდნენ, ზოგს ციხით აშინებდნენ და სხვ. მაგრამ არ ეძინა აქაურ სოციალ-დემოკრ. კომიტეტსაც! მან გადასწყვიტა ესარგებლა ამ მოვლენით და მოეხდინა კონტრ-მანიფესტაცია...

დილით 2 თებერვალს „სობოროსკენ“ გაეშურენ გადაცმული მეეზოვეები, მთვრალი ბოსიაკები და „20 რიცხვის“ ხალხი (ჩინოვნიკები). ყველა ეს „პატრიოტები“ ბაირაღებით ხელში ზედ-წარწერით „Боже царя храни“, ჩამწკრივდნენ სობოროს წინაეალთან. 10 საათი იქნებოდა, როცა ჩვენი ამხანაგებიც გამოჩნდნენ: იმათი რიცხეი ყოველ წამს იზრდებოდა და იზრდებოდა. პოლიციამ შენიშნა ეს და გახარებული მით, რომ მუშები მორჯულებულანო სიამოვნებით უღიმოდა ჩვენ ამხანაგებს, მაგრამ მალე წაუხდათ ილიუზია! დაჰკრა 11 საათმა, მუშები რიცხვით 1,500 კაცი ერთად შეჯგუფდენ და ყვირილით—„ძირს თვითმპყრობელობა“ იერიში მიიტანეს „პატრიოტებზე“. ერთი წამი და... პატრიოტები გასთელეს ფეხ-ქვეშ, ბაირაღები მილეწ-მოლწეს, ააფრიალეს წითელი დროშა და გასწიეს ქუჩისკენ. დამტვრიეს ფანჯრები გუბერნატორის სტამბისა. საცა „Черн. Вести.“ იბეჭდებოდა. როცა დემონსტრანტები დაიშალნენ, პოლიცია მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და ოთხი ამხანაგი დაიჭირა. ორი იმათგანი წაართვეს მუშებმა და ამ შეტაკების დროს ძალზე სცემეს ჟანდარმს და გოროდოვოის; პირველს რევოლვერი და ხმალიც წაართვეს. მეორე დღეს გიმნაზიის მთავრობამ მოინდომა გაემართა სასწავლებლის კედლებში რაღაც მანიფესტაციის მსგავსი, მაგრამ მოულოდნელათ უფროსი კლასის შეგირდებმა მეოთხე კლასიდან დაწყებული დაიხურეს ქუდი და თავ-თავიანთ ბინაზე წავიდნენ. დარჩენ მხოლოდ „მაძენკინ სინებს“ რომ ეძახიან, აზიზათ გაზრდილები რაღა...

—::—

ქ უ თ ა ი ს ი.

პირითა ყრმათა, ჩჩვილთა მწოვართათა
დაამტკიცე ქება... (ფსალმუნი VIII, 3).

ადგილობრივი მთავრობა აქაც ათასგვარ ღონისძიებას ხმარობდა მეფის სათანადოდ მანიფესტაციების გასამართად, მაგრამ ყოველმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და ხალხი ენერგიულად წინააღუდგა მის განზრახვებს. არ გასულა დიდი ხანი ომის გამოცხადების შემდეგ, გუბერნატორი და ჟანდარმთა პოლკოვნიკი თეატრში „ღალატის“

წარმოდგენას დაესწრენ. მათი მოთხოვნისამებრ, გამოვიდა სცენაზე მთელი ტრუპპა „საერო“ ჰიმნის საგალობლათ. გაისმა თუ არა ხმა ამ მონურ ჰიმნისა, მთელმა გალერეამ ასტეხა ერთი საშინელი სტვენა და სისინი. მგალობელთა გუნდი იძულებული შეიქნა ხმა ჩაეკმინდა. მეორე დღეს გუბერნატორმა ხელმეორეთ სცადა იქვე გაემეორებინა პატრიოტული თვალთ-მაქცობა, მაგრამ ახლა უფრო უარესი, მისთვის არასასიმოვნო ამბავი მოხდა. გალერეამ არამც თუ გააწყვეტინა სტვენით, სისინით და ყვირილით ჰიმნის შესრულება, არამედ მთელს თეატრს მოჰფინა სოციალდემოკრატიული პროკლამაციები. ერთი პროკლამაცია ზედ წარწერით—გუბერნატორს! თვითონ გუბერნატორის თვალწინ დაჰარდა. არავინ დაუპატიჟებიათ.

— 28 იანვარს, როცა გიმნაზიაში ხუცესი ოხის გამოცხადების მანიფესტს კითხულობდა, გიმნაზიელებმა ერთხმათ ასტეხეს სტვენა, სისინი და აური-ბაური და კითხვა გააწყვეტინეს. 30 იანვარს ესეც განმეორდა რეალურ სასწავლებელში. თავხარდაცემული და დარეტიანებული მთავრობა შეუდგა მოსწავლე ახალგაზრდობის დაპატიმრებას. დაიჭირეს 10 კაცი გიმნაზიელებიდან და რეალისტებიდან. მთავრობის ამგვარ საზიზღარმა საქციელმა აღაშფოთა ყველა საშვალო სასწავლებლების შეგირდები. სამ თებერვლისთვის გადასწყვიტეს გაფიცულიყვნენ,—გაკვეთილებზე არ მისულიყვნენ,—სანამ დაჭერილ ამხანაგებს ისევ უკან არ დაუბრუნებდენ. ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახელოთ უნდა შევნიშნოთ, თუ რა ერთსულობას და ერთგულობას იჩენდა ის ამ გაფიცების დროს. გაიფიცნენ: გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, ქალების გიმნაზია, სასულიერო სემინარია და ეპარქიალური სასწავლებელი. სასწავლებლის მთავრობამ სული იკრა, რომ ახალგაზრდობა მოლაპარაკებულა და მომზადებულა სადემონსტრაციოთ, ამისთვის სასწავლებლის გასავალი კარები საჩქაროთ დაკეტილ იქნა... მაგრამ არც ამან უშველათ-რა. მოწყვეტებმა დაიწყეს ფანჯრების და კარების მტვრევა და ყოველგვარ საშვალებას ხმაურობდენ გარეთ გამოსასვლელათ. სამოც-და-ათმა სემინარიელმა და გიმნაზიელმა შესძლეს დაკეტილ კარებიდან გამოსულიყვნენ ქუჩაში და მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებით და სიმღერებით წასულიყვნენ ქალების გიმნაზიისაკენ. გზაზე მათ შეეურთდენ მოსწავლე ქალები ეპარქიალურ სასწავლებლიდან. გიმნაზიაში მოსწავლე ქალებმა და რეალისტებმა ვერ შესძლეს დაკეტილ კარებიდან გამოსვლა... მარა, ამან უფრო გააბარაზა ისინი. რეალისტებმა არ ისურვეს დირექტორთან მოლაპარაკება და ჯანდარმი უწოდეს მას. ქუჩაზე გამოსულმა მოსწავლეებმა თავი მოიყარეს ქალაქის ბულვართან, სადაც მოახდინეს მცირე მაგრამ ძლიერ დამაფიქრებელი დემონსტრაცია მთავრობის საწინააღმდეგოთ. მოვიდენ ცხენოსანი სტრაჟნიკები და

სახტათ დარჩენ. რა უნდა ექნათ? დარეოდენ მათრახებით? მაგრამ ეს ხომ ცოტა სასირცხო იყო; ხნოვანობით დემონსტრანტები თითქმის ბავშვები იყვენ! ამ დროს ერთმა მეხუთე კლასის გიმნაზიელმა ვერ მოითმინა, ეცა სტრაჟნიკს, გადმოითრია ცხენიდან და გაიგდო ფეხ-ქვეშ. ამის გამო განძვინვარებული სტრაჟნიკები მისცივდნენ გაბედულ გიმნაზიელს და დაუწყეს უმოწყალოთ ცემა. შეიპყრეს, მარა მეორე დღესვე გაანთავისუფლეს. დღეს ყველა მაშინ დაპატიმრებული შეგირდები განთავისუფლებულია, მარა ალარ ღებულობენ-კი მათ სასწავლებელში. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ შფოთსა და უკმაყოფილებას ბადებს ახალგაზრდობაში. სწავლის საქმე ძლიერ აწეწილ-დაწეწილია... რადგანაც მაშინდელ გაფიცულებს მეტი ძალა ალარ შესწევთ, დემონსტრაციის ნაცვლათ მიმართეს ქიმიურ „ობსტრუქციას"—აყროლებენ კლასს წამლებით და შიგ მოცდა ყოვლად შეუძლებლათ ხდება. ასეთი „ქიმიკოსების" შიშით მასწავლებლები კლასში ვერ შესულან. ყველა ამ ამბებმა აიჩოჩქოლა და აალაპარაკა დაჩაყებული ძველი თაობა. მაშინ როცა ახალგაზრდებმა საშინელი გაბედული, შეგნებული ბრძოლა გამოაცხადეს, მათ მამებს „დონსები" შეჰქონდათ არა კეთილ-საიმედო პირებზე, რომლებმაც ვითომ „გააბრაყვეს და გარყვნეს" მათი შვილები. ასახელებენ რამოდენიმე ჯაშუშს. გავახსენებთ ამ მამებს ქრისტეს სიტყვას: „რამეთუ დაფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვილთა" (მათე 11: 25). მამებმა ვერ შეიგნეს დროების მიმდინარეობა, ვერ იგრძნეს ჯარზე მომდგარი რევოლიუცია და გარყვნილ თვითმპყრობელობის დამხობა... და აი „ყრმათა ჩჩვილთა მწოვართათა დაამტკიცე ქება რევოლიუციისა..." „მამანი" დასჯილ იქნებიან, „ყრმანი იღტვიან მათგან, ვინაიდგან თვითონ ცხოვრებაც იღტვის იმათგან და ნამდვილ შვილთა მისთაგან,—და კრთოდენ მტერი თვით-მპყრ. თავის დამჭაშდამცველებით!

—::—

მოქალაქენო! (მაქო)

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საზოგადოებას არას დროს არ განუცდია იმ გვარი დიდებული და პასუხ-საგებელი მომენტი, როგორიც ეხლაა.

არ გაიელას არც ერთი დღე, რომ ან აქ, ან იქ ამ ჩვენ უბედურ რუსეთში არ იფეთქოს ცეცხლმა, ან აქ ან იქ არ გაიელვოს და ერთი წუთით მაინც არ გაანათოს ის ბნელი ღამე, ღამე უკუნეთი, რომელშიაც ასე მძიმეთ გახვეულა საცოდავი რუსეთი. მაგრამ სად ძალუძს ციცინათელას დასძლიოს ძალა საშინელი ბნელი ღამისა!.. და გაანათოს კიდით-კიდემდე ტანჯული მხარე...

ეს ციცინათელანი ჩვენი ძმებია, ეს ისინია, ვისაც ჩვენთან ხვდათ მარტოთ მარტონი შეებან მძიმე უღელში, მარტოთ-მარტონი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. ეს ისინია, ვინც ბნელ ნესტიან სატუსაღოში ყრიან: რუსეთის თაიგული, სიამაყე ჩვენი სამშობლოისა ნელ-ნელა ჰკნება ოთხ-ჯედელ შუა სატუსაღოისა და ეს ხდება მაშინ, როცა სუსტი მებრძოლიც-კი გამოსაყენებელია.

მოქალაქენო! განახლებული რუსეთი, რუსეთი სპეტაკი და ბრწყინვალე მოდის ჩვენკენ! მეგობრები სინათლისა და თავისუფლების, მტრები უკანონობისა და ძალ-მომრეობისა უნდა შეერთდეთ და გაბედულათ გადმოხვიდეთ განახლებულ რუსეთის მხარეს და შემწეობა მისცეთ ვისაც რითი შეგიძლიათ მებრძოლ ამხანაგთ. ნუ გაგვიტაცებს შოვინიზმი, ნუ აეყვებით ბოროტ გულის თქმას, ნუ მივარბენინებთ უკანასკნელ გროშს ფლოტის გასაძლიერებლათ, დეე, ის ფული მოხმარდეს მას, ვინც ხალხის თავისუფლებისათვის იტანჯვის. ისტორიას ვერ გაექცევით, ის მსჯავრს დასდებს ჩვენ გულციოებას ჩვენ ინდიფერენტიზმს! მომავალი გამარჯვება მეტი წილი იმაზეა დამოკიდებული რაგვარ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ იმ პირთა ბედში, ვისაც წილათ ხვდა ხალხის ვარამის ზიდვა.

მაშ, მოვკიდოთ ენერგიულათ საქმეს ხელი და გავაკეთოთ ის, რაც ყველა ჩვენგანს **შეუძლია** და **ვალდებულია** გააკეთოს. მივყოთ ხელი ფულის მოგროვებას და რამდენიმე მაინც შეუმსუბუქოთ დატუსაღებულ მებრძოლთ მათი მწარე ცხოვრება.

ჩვენ ვიწვევთ ყველა თანაგძნობათ განსაზღვროს ყოველ-თვიური შემოსატანი ბაქოს წითელ ჯვრის სასარგებლოთ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის.

ანგარიში ბაქოს წითელ ჯვრის კომიტ. დეკემბრის 1903 წ. და იანვრის და თებერვლის 1904 წ. შემოსავალი—747 მ. 90 კ., გასავალი—1,197 მ. 80 კ., დეფიციტი—449 მ. 90 კ.

28 დეკემბ. მიაგნეს სტამბას და დაიჭირეს შიგ სტუდენტი ხუნდაძე და ერთი ქართველი მუშა. 24 თებერვალს მეორეთ მიაგნეს სტამბას და დაიჭირეს შიგ სტუდენტი მალიევსკი, რაბინოვიჩი და ერთი ქალი. თეატრში დაატუსაღეს 6 მუშა. ბალახანაში—5 მუშა 3 მარტს დაატუსაღეს 1 მუშა; 3 თებერვალს—4 ინტელ. (3 გამოუშვეს).

— ბაქოდან წასულები სადგურ **ხაჩმაზში** დაიჭირეს ორნი: ათანასე მაჩალავი და იზაბელა ურანოვსკაია. ისინი იცნო ტელეგრაფისტმა ვიტკოვსკიმ და გასცა კიდეც, ორივე გააგზავნეს ყუბანის სატუსაღოში, სადაღაც, ალბათ, როსტოვში გადაიყვანენ.

გაანთავისუფლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვლ. შეიცერი. ამას წინ დაიჭირეს ვლ. ზეიცი, გიმნაზიის შეგირდი ფიშმეინი, ერთი მუშა და ასოთ-ამწყობი კორნეევი.

ნოქრების გაფიცვა დაიწყო 16 მარტს, მარა, რადგან უმეტესობამ მხარი არ დაუჭირა, განსაკუთრებით რუს-ნოქრებმა, მეორე დღესვე შეწყდა. არაფერი არ მოუთხოვიათ. სამი ნოქარი დაიჭირეს. გამოვიდა №№ 1 და 2 გეტტოგრაფით დამზადებულ გაზეთ „ნოქარისა“. შედგენილია კარგათ.

შლიაპების გამკეთებელი ქალები, რიცხვით 25, გაიფიცენ. დაიჭირეს 4, გაანთავისუფლეს 3.

25 მარტს დილიდან „კონკა“ შეჩერდა. საღამოსათვის სალდათებისა და ჯაჭაკების მფარველობის ქვეშ, „კონკა“ ისევ დადიოდა.

ყუბის ციხეში დატყვევებულმა ბენდელიანმა მთავრობას სთხოვა პატიება. ამხანაგებმა მასთან ყოველგვარი კავშირი შესწყვიტეს.

9 მარტს ასტრახანში 53 კაცი გაჩხრიკეს. 14 კაცი დაჭერილია: ნაფიცი ვექილი სერეენიკოვი, კალანდაძე, კბილის ექიმი ბუკოცკი და მისი თანაშემწე ბენდერსკი, სოსნიცკი (გაანთავისუფლეს), პოლენეცკი კოლიანათ (მუშაა), ჩერევრი და ობრაზცოვი (მუშა), გაბრიელ ხუნდაძე შემახას საპყრობილეში გაგზავნეს.

კავშირის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის გრძოლის"

ფურცელი

№ 8. 5 (18) მაისი 1904 წ. № 8.

დაჰკრა საათმა!

ვერავინ გვიხსნის, ვერც ღმერთი, მეფე,
ვერც თითონ გმირი, ამაოდ ვცდილთ;
სასურველს საგანს მივაღწევთ მხოლოდ
ჩვენის ერთობით, საკუთარ ხელით.
„ინტერნაციონალიდან".

ბევრ დიდებულ სანახაობას უმზადებს ახლო მომავალი მთელ რუსეთს. ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ რუსეთის გამარჯვება-დამარცხებაზე შორეულ აღმოსავლეთში, არა! დღე ამაზე იმან იფიქროს, ვინც დამნაშავეა ამ უბედურ ომის დაწყებაში—მთავრობამ. სულ სხვა რამეზე გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ბნელ ბურუსში გახვეულ მომავალს რუსეთისას, მომავალს საეჭვოს და საფიქრებელს, დღეს ფარდა აეხადა; მისი სვე-ბედი ნათელია, როგორც მზის სხივი და აშკარა, როგორც დღე; მის მომავალში გარკვევით ვარჩევთ დიდებულ სურათს, სურათს დიადს ხალხთა ისტორიაში—სურათს ჩვენი ძველი წეს-წყობილების დამხობისას.

თვისი უბედური სურვილით დღევანდელ უფლების შერჩენისა, დროსა და გარემოების მიუხედავათ, თვითმპყრობელობა თითონ ახლოებს იმ დიდებულ და სანეტარო საათს, რადგან მან თვისი ცბიერი პოლიტიკით შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ომში გამოწვევით თითონ გაიღესა თავისი დასაკლავი დანა. ომი საბოლოოდ აშკარად ჰყოფს მთელ სისაძაგლეს დღევანდელ წეს-წყობილებისას. ომი საბოლოოდ შთანთქავს ნაცარცს სახელმწიფო ფულებს და საბოლოოთ გაუტეხს სახელს და ნდობას მთავრობას მთელ ევროპაში. როგორიც უნდა იყოს ბოლო ომისა, აუცილებელია ფინანსიური გაკოტრება (კრახი) მთავრობისა, ეს-კი დასაწყისია რევოლუციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰიდან დაბრუნებული ჯიბე გამოცარიელებული მთავრობა გაორკეცებული გაუმაძღრობით დაეცემა ისედაც გაღატაკებულ მუშებს და გლეხებს და მოსთხოვს წინანდებურად ოქროთა გროვას თვის საზიზღარ არსებობისათვის.

მაგრამ ხალხის მოთმინებასაც საზღვარი აქვს, საზღვარი აქვს ხალხის ტანჯვასაც. დიახ, ახლოა ის საათი, როცა ქალაქის პროლეტარიატი და მასთან ერთად სოფლის გლეხობა ზღვასავით აბობოქრდება. ეს იქნება დღე შურის-ძიებისა. აქ გაუსწორებს ანგარიშს ხალხი მთავრობას. ასე იყო ყველგან დასავლეთ ევროპაში, ასე იქნება ჩვენშიაც.

ხალხი ამ წმინდა საქმეში, ბრძოლაში თავისუფლებისათვის დაღვრის თავის წმინდა სისხლს და ვაი მას, ვისაც მოხვდება ტალღა ხალხის შურისძიებისა: არა ერთსა და ორს ათათმაშებინებს ფეხებს სახრჩობელაზე.

ასეთია კანონი ისტორიისა. მოახლოებულია ბრწყინვალე მომავალი რუსეთისა, და ეს ისე ცხადია, როგორც ხვალინდელი გათენება. ამ დიდებულ დროს პროლეტარიატი მთელი რუსეთისა მზათ უნდა იყოს თვისი ინტერესების დასაცველად. როცა დღევანდელი მთავრობა აღარ იქნება, ბევრი გამოჩნდება მსურველი მისი ადგილის დაჭერისა. პროლეტარიატი პირველი უნდა იყოს ამათ შორის, რადგან მარტო ის იყიდის თავის სისხლით თავისუფლებას რუსეთისას.

იცოდეს პროლეტარიატმა, რომ ეხლა, როცა ცხადად იძერის ტახტი თვითმპყრობელობისა, რუსეთის ყველა საზოგადოების ნაწილში ღვივიძებს ინტერესი პოლიტიკური ცხოვრებისადმი. ყველას სურს ჩაიგდოს ხელში უმთავრესი მმართველობა. ყველა ამ ჯგუფთა და დასებთა შორის უძლიერესი და უმდიდრესი ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიაა. ის უკვე დღევანდელ კანონთა ფრთებ ქვეშ მიჩვეულია თავისი ინტერესების დაცვას. ქალაქის საბჭოში, ერობის კრებებზე, თავის გაზეთებში ის, თუმც ცუდათ, მაგრამ მაინც მიეჩვია დაფასებას ერობისას, ისწავლა სახალხოთ ლაპარაკი, შეიძინა ცოტაოდენი პოლიტიკური სიბრძნე და მოხერხება.

ბურჟუაზიას კარგათ ესმის, რომ მომავალი დრო ცოტა მტრულად უყურებს მის ჯიბეს, რადგან რუსეთს, როგორც სახელმწიფოს არ შეუძლია იცხოროს გადასახადით მარტო გაღატაკებული ხალხისა. ბურჟუაზიამ იცის, რომ როლები უნდა შეიცვალოს და გადასახადის სიმძიმე ღარიბ ხალხთა მხრებიდამ მდიდართა მხრებზე გადვიდეს. თვითმპყრობელობის ადგილს პარლამენტი დაიჭერს, ის გამოსცემს ყველა კანონებს, ის დაეპატრონება სახელმწიფოს ყველა შემოსავალ-გასავალს.

აი ამ პარლამენტში მეორე დღესჯე, შემდეგ რევოლიუციისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზია ეცდება რაც შეიძლება მეტი გაგზავნოს თავის წარმომადგენელი, დამცველი მისი ინტერესებისა, იმ მიზნით, რომ პარლამენტმა რაც შეიძლება მეტი გადასახადი ისევ ღარიბთა კისერზე დასტოროს, იმ მიზნით, რომ შემოსავალი მის სურვილზე იხარჯებოდეს, იმ მიზნით რომ უხელმწიფოთაც გამოსცენ კანონები მუშა და ღარიბ ხალხის წინააღმდეგ,—ერთი სიტყვით, იმ მიზნით, რომ ყველასა და ყველაფერზე თავისი გავლენა იქონიოს. მაგრამ იქ, იმ პარლამენტში ჩვენც, ქალაქის მუშები და სოფლის გლეხობა, გავგზავნით ჩვენ ამხანაგებს. შეერთებულის ძალით ისინი შესძლებენ ალაგმონ მადა აწლილი წარმომადგენელნი ბურჟუაზიისა.

მეტი არ იქნება აგხსნათ, თუ რა არის ეს პარლამენტი და როგორ უნდა შესდგეს ის.

რევოლიუცია ბოლოს მოუღებს დღევანდელ მთავრობას, მისი ადგილი დაკარგელდება; მაგრამ სახელმწიფოს უსათუოდ უნდა უდგეს ვინმე სათავეში. მთავრობის ალაგას სათავეში ხალხის წარმომადგენლები ჩადგებიან, ამათგან შესდგება პარლამენტი. ბეერნაირია პარლამენტიც. ჩვენ აქ დავხატავთ იმგვარ პარლამენტს, რაგვარი პარლამენტიც სასურველია და რისთვისაც უნდა იბრძოლოს პროლეტარიატმა. რუსეთში დაახლოვებით 130 მილ. მცხოვრებია. წარმოვიდგინოთ, რომ თითოეულ კუთხეს, საცა 100 ათასი მცხოვრები ითვლება, ნება ეძნება გაგზავნოს პარლამენტში ერთი თავისი წარმომადგენელი. ყოველ ამგვარ კუთხეს დაერქმევა საარჩევნო კუთხე. ამგვარათ მთელი რუსეთი შესდგება 1300 საარჩევნო კუთხისაგან, და რუსეთის პარლამენტი—1300 წარმომადგენელთაგან ანუ დეპუტატთაგან. თითოეულ საარჩევნო მხარეში ყოველ მოქალაქეს აქვსისა, ეროვნებისა, რჯულისა და შეძლების განურჩეველად ეძნება უფლება ერთი ხმა მისცეს მას, ვისიც არჩევა სურს დეპუტატათ პარლამენტში. ამ ამას ჰქვია **პირდაპირი, საზოგადო და თანასწორი საარჩევნო უფლება**. მთელ მხარეში უნდა დაინიშნოს არჩევნებისთვის ერთი დღე, უნდა მოვითხოვოთ, რომ არჩევნები უთუოდ უქმე დღე მოხდეს, რათა ყველას შეეძლოს ამ დღეს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. უნდა მოვითხოვოთ, რომ ამ დღეს ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი დაიკეტოს, რომ ამ დღეს განთავისუფლებული იყვნენ ყველა მოსამსახურენი. დილიდან მოკიდებული საღამომდი თითოეულ საარჩევნო მხარეში კრებას უნდა ჰმართავდეს საარჩევნო ბიურო, შემდგარი ყველასაგან პატიცემულ მოქალაქეთაგან. ადგილი ამ კრებისა წინდაწინ უნდა იყოს ბეჭდვითი სიტყვით გამოცხადებული. ამ დღეს ყველა მოქალაქეს, რომელსაც-კი 20 წელი შეუსრულდა, ნება უნდა ჰქონდეს მოვიდეს ბიუროში და ჩასდოს საარჩევნო ყუთში წერილი, რომელშიაც იქნება დასახელებული მისგან დეპუტატად

არჩეული პირი. ამგვარი წერილები უნდა იყოს დაბეჭდილი კონვერტში, რათა არავის არ შეეძლოს ძალა დაატანოს და აარჩევინოს ის, ვინც ამრჩეველს არა სურს. მექარხნეს, მაგალითად, შეუძლია მოსთხოვოს თავის ქარხანაში მომუშავეს, რომ ამ უკანასკნელმა ხმა მისცეს ან თითონ მას, ან მას, ვინც მექარხნეს სურს. თუ მუშამ არ ასრულა ეს, მექარხნე დაითხოვს მას სამსახურიდან. აი ამ ძალ-მომრეობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა კენჭის ყრა დაფარული იყოს. ამგვარ არჩევას ეძახიან დაფარულ კენჭის ყრას. როცა დასრულდება არჩევნები, საარჩევნო ბიუროს უნდა დასთვალოს ყველა წერილები და გამოიანგარიშოს ვის რამდენი ხმა მიუღია. ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, გამოცხადებული იქნება ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით დეპუტატათ ამა და ამ საარჩევნო მხარისა. შემდეგ ყველა ეს 1300 დეპუტატი (თუ რასაკვირველია, რუსეთში 1300 საარჩევნო კუთხე იქნა; ნუ დაგავიწყდებათ, რომ 100 ათასი მცხოვრები საარჩევნო კუთხის, ჩვენ ავიღეთ როგორც მაგალითი) მოგროვდებიან, ვთქვათ, პეტერბურგში, გამართავენ კრებას და გამოაცხადებენ ამ კრებას ერთად-ერთ მმართველობათ, უმაღლეს კანონმდებლათ, მთელ რუსეთში, ე. ი, პარლამენტათ.

ამ დღიდან რუსეთი შეიქნება თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკათ. უნდა მოვითხოვოთ, რომ პარლამენტი ირჩეოდეს ორი წლით. ყოველი ორი წლის შემდეგ ხალხი აირჩევს ახალ დეპუტატებს პარლამენტში.

ამგვარი მოთხოვნილება უსათუოდ უნდა დააყენოს პროლეტარიატმა და ყოველი ღონის ძიება იხმაროს მის განხორციელებისათვის, რადგან მომავალ თავისუფალ რუსეთში ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია დაუღალავად და უშიშრად იშრომებს, რათა რაც შეიძლება მეტი და მეტი თანამოაზრენი მოიპოვოს. და თუ დღეს რომელიმე განუვითარებელი მუშა ხმას მისცემს კანდიდატს ბურჟუაზიის პარტიისას, ხვალ, როცა ის გათვითცნობიერდება, მისი კენჭი უთუოდ სოციალ-დემოკრატიის კანდიდატს ეკუთნება. მთელ მხარეს უნდა მოედოს საარჩევნო აგიტაცია დეპუტატთა არჩევნების წინა დღეებში.

ყოველ საარჩევნო კუთხეში ბურჟუაზია პირს მისცემს ერთმანეთს და წამოაყენებს თავის კანდიდატს და ყოველ ღონისძიებას იხმარს გაიყვანოს ის პარლამენტში. მაგრამ ჩვენ პარტიასაც არ ეძინება ამ დროს; ის თავის კანდიდატს წამოაყენებს და ყოველი აგიტაციის საშვალებით ეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს მოპირდაპირე კანდიდატს და თავისი გაიყვანოს. დღე, ახსოვდეს ყველა მუშას, რომ პირდაპირი, საერთო და თანასწორი საარჩევნო უფლება მომავალ პარლამენტის შესადგენათ — ეს ის გასაღებია, რომლითაც პროლეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატი მოიპოვებს უპირატესობას მთელ მხარეში. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხალხს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი შეადგენს. და, როცა ხალხი გაიგებს რაშია მისი ნამდვილი ბედნიერება, იმ დღიდანვე მთელი პარლამენტი პროლეტარიატის უფლებაში, მის გავლენის ქვეშ იქნება. დეე ახსოვდეთ მუშებს, რომ მისი ბრძოლა მძარცველთა წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როცა ამ ბრძოლას კანონი შეელის. მხოლოდ პარლამენტს შეუძლია ამ გვარი კანონების გამოცემა და მხოლოდ იმგვარ პარლამენტს, რომელსაც პირდაპირი, საერთო და თანასწორი არჩევნების უფლება და დაფარული კენჭის ყრა უძევს საბრკოლათ. მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ჩვენ სამუშაო პირობების შემსუბუქებას.

მხოლოდ მაშინ თავისუფალ მხარეში ბრძოლით მოპოვებული კანონები მართლაც და მოვლენ სისრულეში. და ეხლა, როცა ხალხის წყრომა დღე-დღეზე იზრდება, ბობოქრდება, ტალღას ტალღაზე სცემს და საბოლოოთ წალეკვას უქადის თვითმპყრობელობას, დეე ყველა შეგნებული მუშა მოემზადოს ბრძოლისათვის და გაიგოს, რომ პირველი მისი მოვალეობაა რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეუერთდეს, იმ პარტიას, რომელიც ერთად-ერთი დამცველია პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა ინტერესებისა.

მაშ მოემზადეთ ამხანაგებო! დაჰკრა საათმა, უკანასკნელმა საათმა მთავრობის ძალ-მომრეობისამ. დაჰკრა საათმა, საათმა სამაგალითომ ისტორიაში, საათმა ბედნიერმა რუსეთის ხალხისთვის!

—:—

ბათუმი.

ს მარტს მანთაშევის ქარხნის მუშებს—დამტვირთველებს მეჯარადრემ სამუშაო ქირის დაკლება გამოუცხადა. ერთმა ნაწილმა მუშებისამ—ქართველობამ პროტესტი გამოაცხადა და თავი დაანება მუშაობას. მეორე ნაწილმა-კი—სომხებმა მიიღეს ახალი პირობები და განაგრძეს მუშაობა. ქართველ მუშებმა ძალა იხმარეს და გამორეკეს სომხები ქარხნიდან. შეტაკების დროს რამდენიმე სომეხი მძიმეთ გაიღახა და ერთი იმათგანი ერთი კვირის ავათმყოფობის შემდეგ მოკვდა კიდეც. მეორე დღეს მანთაშევის პირველ ქარხანაში სომხები ჩაქუჩებით შეიარაღებულები თავს დაესხნენ ქართველ მუშებს და რამდენიმეს მძიმეთ სცემეს. პატარა ჯგუფმა ქართველი მუშებისამ, მიუხედავათ შეგნებულ მუშათა თხოვნისა, მოიწვია პოლიციმეისტერი ჩიქოვანი (ქართველია). პოლიციმეისტერი მაშინვე ქარხანაში გაჩნდა და ქართველების ააჩეხვაზე უპასუხა: „განა მარტო ამისათვის მომიწვიეთ მე? როგორ არა გრცხვენიათ ქართველებს, რომ სომხებმა გაჯობათ! სირცხვილი თქვენი, რომ ერთი ათი სომეხი მაინც არ გაგისტუმრებიათ იმ სოფელსო. მერე სომხებთან მივიდა და ისინი ქართველებზე წააქეზა. პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფმა ქართველ მუშებისამ გათამამებულმა პოლიციელის წინ ტყვით მიმართა სხვა ქარხნების ქართველ მუშებს და სთხოვა დახმარებოდნენ სომხების ამოჟლეტაში. ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა გამართა აგიტაცია ამ საშინელი კატასტროფის ასაცილებლად. გამოიცა მაშინვე პროკლამაცია, რომლითაც უხსნიდნენ ხალხს პოლიციელისტრის ხრიკებს და აფრთხილებდნენ არ მოსდებოდნენ მის ბადეს. კომიტეტმა მიმართა აგრეთვე ადგილობრივ სომხურ ნაციონალისტურ არგანიზაციას და სთხოვა გავლენა იქონიოს იმ მუშა სომეხთა შორის, ვისთანაც მას კავშირი აქვს. არგანიზაციამ მაშინვე შეასრულა ეს თხოვნა კომიტეტისა. ამნაირათ აიცდინეს თავიდან საშინელი სისხლის ღვრა. და აი ესევე მუშები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მზათ იყვნენ ერთმანეთი ამოეხოცნათ, შეერთდნენ და გადასწყიტეს პატივი ეცათ 9 მარტს 1902 წ. დახოცილ ამხანაგთა ხსოვნისთვის.

ბათუმის კომიტეტმა ერთი თვით წინ გადაწყვიტა 9 მარტს მოეხდინა საყოველთაო ერთ-დღიური გაფიცვა. პოლიცია თითონ ავრცელებდა ხმებს, რომ საშინელი ამბები იქნება 9 მარტსო და დიდის ამბით ემზადებოდა. 8 მარტს პოლიციამ გააკრა ქალაქში განცხადებები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რომელშიაც არწმუნებდა ხალხს, რომ ყველას თოფს ესვრიან, ვინც-კი ჯგუ-ჯგუფათ დაიწუებს შეყრას ქუჩაში.

9 მარტს შეიარაღებულ პოლიციელებით, კაზაკებით და მეზოებით სავსე იყო ქუჩები. საერთო ერთ-დღიურმა გაფიცვამ მშვენივრად ჩაიარა. მუშებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ დიდი მზადება მთავრობისა და მოქალაქეთა კითხვაზე, თუ რა ხდება, დაცინვით უპასუხებდნენ: დღეს იაპონიის ნაღმიანი გემები იერიშს მოიტანენ ბათუმზედაო".

15 მარტს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ ბათუმში გაასამართლა კ. კალანტაროვი, სლესარი ბრიტოს ქარხნისა და მიუსჯა ოთხი წლით სატუსაღო რაზმში. დამნაშავეს ბრალს დებდნენ იმაში, ვითომ მას წარსულ ზაფხულში მომხდარ გაფიცვის დროს ძალზე ეცემოს დამოკიდებული სათადარიგო სალდათისთვის, (სტ. 1489, 1490), რის შედეგიც ვითომ ნაცემის ჯკუაზე შეშლა იყო, თუმცა სალდათი თითონ გამოცხადდა სამსჯავროში, დალაგებით ლაპარაკობდა და არავითარი ჯკუაზე შეშლა არ ეტყობოდა. მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ კალანტაროვს არ უცემია სალდათისთვის და არც შეეძლო ეს ექნა, რადგან, როცა სალდათს სცემდნენ, პირველი მოშორებით იდგა და მონაწილეობას არ ღებულობდა. მხოლოდ ერთმა მოწმემ სალდათის მხრით აჩვენა კალანტაროვის წინააღმდეგ; ამ მოწმესა და კალანტაროვის შორის რაღაც უთანხმოება ყოფილა. ბრალ-

დებას მხარს უჭერდნენ ვანდარმები, რომლებიც მოელოდნენ სამსჯავროსაგან კატორგას (სტ. 1490). მიუხედავათ იმისა, რომ ბრალდება ვერ დაამტკიცეს, საძაგლმა სამსჯავრომ, როგორც ზევით ვთქვით, ოთხი წლის სატუსაღო რაზმი მიუსაჯა ქალანტაროვს.

ორი თვის განმავლობაში (17 იანვრიდან 18 მარტამდე) ბათუმის კომიტეტმა გამოსცა 16,950 ეგზ. პროკლამაცია (10 სხვა-და-სხვა გვარი) მუშათა და მოქალაქეთა მიმართ ჭართ. და რუსულ ენებზე.

—::—

ქუთაისი.

ქარიშხალი, რომელიც ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში დატრიალდა ამას წინათ, რაც წარსულ №-ში უკვე გვქონდა მოხსენებული, ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ეხლა არეულობას თვით უფროსები ახდენენ. ახალგაზდობა მარტის შუა რიცხვებში უკვე დაშშვიდდა, როცა დაამსხვრია ის უკანასკნელი საწყაოც, რომელშიაც მეტად არა კეთილ-სუნნელოვანი სითხე იყო მოთავსებული. ამ არა კეთილ-სუნნელოვანმა სითხემ ბევრი უსიამოვნება გადახადა და ამის გამო არა ერთხელ და ორხელ შეჩერდა სწავლა. იანვრის გაფიცვისა და დემონსტრაციისათვის სხვა-და-სხვა სასწავლებელთაგან გამორიცხეს სულ 13 მოსწავლე.

ხუცესმა ცაგარეიშვილმა, რეალურ სასწავლებლის სამღვთო რჯულის მასწავლებელმა, აღსარება „ჩვენების“ ჩამორთმევად გადააქცია. აღსარების დროს ის ყველას პატარა შეგირდებსაც-კი ჰკითხავდა, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა „ბუნტში“? ყოჩაღი რეალისტები ამ კითხვას უპასუხოთ სტოვებდენ. მაშინ ხუცესი დაიფარებდა თავზე რაც ჯერ არს, და გაუშვებდა ცოდვებ-ახდილ მოსწავლეს. ეხლა რეალისტები დასცინიან ცაგარეიშვილს და მეტ სახელად „ენდარმს ანაფორაში“ ეძახიან.

ყველაზე მეტი, მგონი, სემინარიელებს მოხვდება. „უწმინდესმა“ სინოდმა განკარგულება მოახდინა ყველა რუსი შეგირდები და ორი ბერძენი გადაიყვანონ ტფილისის სემინარიაში და დანაჩენები, როგორც „ბუნტოვჩიკები“ და ურჯულოები გამორიცხონ სასწავლებლებიდან. სემინარიაში სწავლა აღარ არის. შემდეგ რა იქნება, ჯერ არ ვიცით. ამბობენ სულ დაკეტენო.

— ყველა საეკლესიო და სამინისტრო სკოლების მასწავლებლებმა ქუთაისის გუბერნიისამ მიიღეს ბრძანება აუხსნან ბავშვებს, თუ რამდენად მატყუარნი და ცბიერნი არიან იაპონელნი და აღუძრან ბავშვებს ზიზღი და მტრობა მათდამი. განსაკუთრებით თხოულობენ ჩააგონონ ბავშვებს, რომ იაპონელნი ქრისტიანეობისმკემელნი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიწუწვეთ სოფლის მასწავლებელთ არ შეასრულონ ეს საჭიროება. თუმცა სკოლამ კიდეც რომ მოინდომოს გარყვნილება შეიტანოს მოსწავლეთა გულში, ის ვერ მიაღწევს ამ მიზანს. ცხოვრება ძლიერია სკოლაზე, ის სულ სხვა ჰანგზე უმღერის მოზარდ თაობას.

— აპრილის შუა რიცხვებში ქუთაისში დაიჭირეს სემინარიელი ცინცაძე და სადგურ სამტრედიაში სემინარიელი ბერეგაძე.

სამეგრელოში ერთ სოფელში დაიჭირეს აპრილის პირველ რიცხვებში, 5 კაცი. ალდგომა ღამეს ყველა ეკლესიებში მოჰქანტეს, კაშირის კომიტეტის პროკლამაციები მოჭალაქეთა მიმართ ამ სათაურით: „ძირს ომი!“

—::—

ტფილისი. ყლეტა რკინის გზის სადგურზე.

კვირას, 11 აპრილს, გაემგზავრა პირველი პარტია კავკასიიდან გადასახლებულ ამხანაგებისა. მიდიოდა 9 კაცი. სულ გაგზავნილები 26-ია. ადგილობრივმა კომიტეტმა გადაწყვიტა გაეცილებინა ამხანაგები. ნაშუადღევის პირველ საათზე პლატფორმა სავსე იყო ხალხით. უმეტესობა მუშები (400 კაცამდე), ბევრნი იყვნენ თანამგრძობნი სხვა წრეებიდანაც. იყვნენ ქალებიც. ერთი მანდილოსანი დიდი თაიგულით მოვიდა, მაგრამ იგრძნო თუ არა რითაც გათავდებოდა ყველა ეს, არჩია დამალულიყო. სადგურის მისავალთან უკვე იდგენ 15-მდე შეიარაღებული კაზაკები; თითონ სადგური გაჭედილი იყო ყველა რანგის პოლიციელით. ლურჯი მუნდირიანებიც მზათ იყვნენ და ელოდენ „საქმეს“. გაგზავნილმა ამხანაგებმა დაიჭირეს ცალკე ვაგონი, მათთან მხოლოდ ორი თუ სამი ჯაშუში-ღა იყო.

ჩამოკრეს მეორე ზარი. ვაგონის ფანჯრებიდან მოისმა ძლიერი ხმა: „ძირს თვითმპყრობელობა“. პასუხათ მოისმა კანტი-კუნტათ გამოთხოვების ძახილი, რომელიც ნელ-ნელა გაიზარდა, გადიდდა და ერთ საერთო გუგუნათ გადაიქცა. პოლიცია გაშტერებული იდგა და არ იცოდა რა ექნა; ამ გამოურკვეველობიდან გამოიყვანა ის საძაგელმა პოლიცმეისტერმა კოვალევმა, რომელიც მუშტებ მოშველიელი მოულოდნელათ შეიჭრა ხალხში; მას მხარს უმშვენებდა ორი რიგი ხმალ-ამოწვდილ ჯანდარმებისა. ეს იყო ნიშანი ყლეტის დასაწყებად. ცხენოსანი კაზაკები შესცვივდნენ პლატფორმაზე და ხმალ ამოწვდილებმა უმოწყალოთ დაუწყეს ხალს ჩეხვა. არ ზოგეს არც ბავშვი, არც ქალები. თმა ყალუე მიდგება, როცა ის სურათი წარმოშობდება თვალწინ... რაღაც აუწერელი საშინელება იყო. ბევრს გადუჩეხეს თავი. ერთ თათარს, რომელიც თავის საჭმეზე მოსულიყო, კისერი გადუჩეხეს. ერთ ვიღაცას თითი წაჰკრეს. შეტაკების შემდეგ, როცა პლატფორმა დაცალიერდა, ერთმა ჯანდარმმა დაინახა მოჭრილი თითი და დაცინვით დაძახა: „ვისია ეს თითი“? ერთი ბავშვი ფეხ-ქვეშ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელეს. ერთმა ნაწილმა ხალხისამ მოასწრო ბუფეტში შესვლა, შეიარა ნაწილი-კაზაკებმა და ქანდარმებმა მიამწყვდიეს კუთხეში და გარს შემოერტყნენ. ამ დროს მატარებელი დაიძრა და კიდევ გაისმა პლატფორმაზე დარჩენილებში: „გაუშვარჯოს წამსვლელებს“! ვაგონში-კი მწყობრათ მარსელიეზას მღეროდნენ. მატარებლის წასვლის შემდეგ, ვინც-კი პლატფორმაზე დარჩა, ჩასწერეს და 19 კაცი დაიჭირეს. 11 კაცი დაჭრილები საავადმყოფოში გაგზავნეს. ზოგი იმათგანი ეხლაც წევს საავადმყოფოში; სადგურის შესავალთან მდგომი კაზაკებიც არ იყვნენ ცუდათ. იმათაც ბევრი საქმენი საგმირონი ჩაიდინეს: სხვათა შორის ერთ მოსწავლეთაგანს იმ ზომამდი სცემეს, რომ ვიღაც აკოლოდონჩიკაც-კი წამოესარჩლა და ცოცხალ-მკვდარი ხელიდან გამოგლიჯა გამხეცებულ ბაში-ბუზუკებს. მოქალაქენო! ეს ყლეტა წინდაწინ იყო მომზადებული: სადგურის ახლო ვიღაც ეჭიმები ჰყავდა პოლიციას დამზადებული; ხმლები გალესილები ჰქონდათ, როგორც სამართებელი, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ 11 აპრილს პირველ საათზე კაზაკები და ქანდარმები კოვალევის ხელმძღვანელობით ტფილისის სადგურზე უკვე წინდაწინ განზრახულები თავს დაესხნენ უიარაღო და მშვიდ ხალხს და საზარელი სისხლის ღვრა მოახდინეს. დადგება დღე, როცა ისინიც წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე. აი დაჭრილთა სია: ი. სულაშვილი მძიმეთ დაჭრილია, ვორმიროვი, ალ. კუზანოვი I გიმნაზიის მოწაფე, ჰასან-რაფი-ოღლი, გალუშკოვი ნიკ. რკინის გზის სახელოსნოს სლესარი, პორფ. თევზაძე, არსენ ატომიანცი, არტ. ტერმენეულოვი, ხაქ. ახმეტელოვი, იოს. მნაცაკანიანცი, უცნობი. პოლიციამ გაიგზავნა საავადმყოფოში ქანდარმის უნტერი პეჩერსკი, რომელიც ცოტათი დაჭრილი იყო.

— 4 აპრილს ტფილისის მუშები ამხანაგს ასაფლავებდნენ. საძაგელი წვიმიანი დღე იყო, ლაფი მუხლებამდი იდგა, მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი 500 მუშას გაჰყოლოდა ძვირფას ცხედარს ქალაქის განაპირა სასაფლაომდი. არც პოლიცია, არც კაზაკები, რაღაც მანჭანებით, არსად ჰაჭანობდა. მწუხარება და დაღვრემილება იხატებოდა ამხანაგთა სახეზე, მაგრამ მით უფრო სასიამოვნოა, როცა თვალწინ წარმომიდგება იმათი გაბრწყინებული და იმედებით აღსავსე სახე სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ. ასე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმათზე სასაფლაოზე წარმოთქმულმა სიტყვებმა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

დიდებული სურათი მედგა თვალ-წინ: ხალხი გრგოლაჟით შემოერტყა საფლავს და სულ-განაბული ისმენდა ორატორთა სიტყვას. „ეხლა მაინც მოვისმენ თავისუფალ სიტყვას“ ეწერა ყველას სახეზე. დიახ, თავისუფალ სიტყვას, როგელსაც ხან შორეულ ციმბირით, სატუსაღოთი და ათასწაირი სხვაროგ ძალ-მომრეობით სურთ დაუხშონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარები; მაგრამ ეს სიტყვა თავისუფალი მთის ნაკადულივით გადმო-ხეთქს ხოლმე და სიცოცხლესა ჰფენს გარშემო ყველაფერს, და მით უფრო ძლიერია ის, რამდენათ ხალხის გულს ეკუთვნის ეს სიტყვა ცხოველი როგორც ეს 4 აპრილს იყო, რადგან ამ დღეს განსაკუთრებით მხოლოდ მუშები იყვნენ ორატორები. გატაცებით უსმენდა ხალხი ორატორთ, რომლებიც ყოველ სიტყვას ასრულებდნენ იმედით მუშათა კლასის გამარჯვებისა. ცას ისევ თავ-პირი ჩამოსტიროდა, თითქო გლოვს უდროოთ დაკარგულ მუშაკსაო, ნესტით გაჟღენთილ-ჰაერში შორს გაისმოდა: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ მოიყვანთ აქ დაახლოვებით ერთ სიტყვას, თქმულს 4 აპრილს რუსულ ენაზე.

„ამხანაგებო! იქნება გეუცხოვოთ, რომ დღეს, როცა წინ გვიძევს ცხედარი ძვირფასი ამხანაგისა, ჩვენ ძალიან ცოტას ვლაპარაკობთ მიცვალებულზე და ასე ბევრს—დღევანდელ მუშათა მდგომარეობაზე, ელაპარაკობთ სოციალ-დემოკრატთა პარტიაზე, რომელმაც დიადი როლი ითამაშა—როლი უკეთესი მერმისის მოპოვებისა?! ნუ გაგიკვირდებათ ეს, ამხანაგებო! დაწყევლილმა თვითმპყრობელობამ იმგვარ პირობებში ჩააყენა რუსეთის მუშათა კლასი, რომ სიმართლის მოსასმენათ იძულებულები ვართ ვეძიოთ მივარდნილი და მიუვალი ადგილები, ვისარგებლოთ ყოველი შემთხვევითი მომენტით, რათა გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი, შევერთდეთ და შევკავშირდეთ. გაღვიძებული პროლეტარიატი ხან ძალით, ხან მოხერხებით სარგებლობს ამგვარ მომენტებით და გატაცებით ისმენს თავისუფალ სიტყვას. ხომ ხედავთ, ამხანაგებო, თუ რა გვარი დაბრკოლებანი გვეღობებიან წინ, სანამ სუსტნი ვართ, თუ რამდენი მსხვერპლი გვჭირდება მხოლოდ იმისთვის, რომ სიტყვა წარმოვსთქვათ ცოტად თუ ბევრად მრავალ-ხალხოვან კრებაზე. ყველა ის, რაც დღეს აქ ითქვა როგორც საუკეთესო ანდერძი მეგობრისა გავატაროთ ცხოვრებაში და უანდერძოთ სხვებს. აბა, მიმოიხედეთ, რამდენი ვართ აქ, და ჩვენ ხომ წვეთი ვართ ზღვაში, შედარებით იმ აურიცხველ მებრძოლთა, რომელიც დღეს თუ ხვალ განადგურებას უქადის დღევანდელ წესწყობილებას.

„მაშ, ფიცი დავსდოთ ცხედრის წინაშე, რომლის მარჯვე მკლავს არა ერთხელ ამაყად აუფრიალებია წითელი დროშა, ფიცი დავსდოთ, რომ მომავალში ჩვენ ვიკისრებთ ამ ვაჟკაცობას. დავსდოთ ფიცი, ამხანაგებო, და ეს იქნება დიდი ნაბიჯი სასურველ პოლიტიკურ თავისუფლების მისაღწევად!“

სიტყვა წარმოთქმული სომხურ ენაზე 4 აპრ. ამხანაგის დასაფლავების დროს: „დღეს რამდენიმე ასი კაცი მოველით აქ, რომ უკანასკნელათ გამოვეთხოვოთ ძვირფას ნეშთს ჩვენის მეგობრისას.

უდროვოდ დაკარგვა ამ დროს იმ კაცის, რომელიც შეგებებულად ემსახურება ჩვენ საერთო საქმეს, დიახ, დიდი დანაკლისია. ჩვენ წინ ძევს გვამი მებრძოლი ამხანაგისა! ჩვენ გვინდა პატივი ვცეთ ხსოვნას იმ კაცისას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დღეგანდელ წეს-წყობილებასთან ბრძოლაში გაატარა. ჩვენ ვაფასებთ ამგვარ ამხანაგებს, ჩვენ პატივსა ვცემთ და თავს ვიხრით მათ წინაშე, და ეს პატივისცემა ნაყოფია არა ოქროთი, როგორც მუქთა-ყლაპია ბურჟუა მოისყიდის ხოლმე რედაქტორებს და ორატორებს, რათა აქონ და ადიდონ მისი „სასიქადულო საქმენი"! დეე ამისი წარსული იყოს მაგალითი ჩვენთვის, ჩავჭიდოთ ხელი უფრო მაგრათ და ძმურათ ერთი მეორეს და იერში მივიტანოთ ჩვენ სისხლის მსმელებზე!

გაუმარჯოს ჩვენს ერთობას! გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას და მოვალ გამარჯვებას! ძირს მძარცველები! ძირს მეფე! გაუმარჯოს სოციალიზმს"!.

—იარალოვის ქარხანა. ჩვენს ქარხანაში 300 კაცი მუშაობს. მუშაობა აქ დღიურია. კანტორა იშვიათ ძლევს საქმეს „მასტერებს", რომლებიც თავიანთ ჯიბის გასასქელებლათ მოსყენებას აღარ აძლევენ მუშებს და ეკონომიის გულისთვის ქარგლების მაგივრათ შეგირდებს იყვანენ. ენა ვერ გამოთქვამს, რა უსინდისოთ ექცევიან „მასტერები" ამ შეგირდებს; ისინი მუშაობენ „პოდმასტერების" ალაგას და ქირით-კი 25 კაპ. იღებენ დღეში; მაგიერში ცემა-ტყეპა-კი უხვად იციან „მასტერებმა". აი მაგალითი: 12 აპრილს „მასტერმა" გერასიმე სულაძემ სანინლად სცემა ერთ შეგირდს. შეგირდმა კანტორაში იჩივლა, მაგრამ არა გამოვიდა-რა და იძულებული შეიქნა, იმ შიშით, რომ მეორჯერ უარესს უზამდა „მასტერი", გასულიყო ქარხნიდან. ამგვარივე სიმხეცეს ჩადის მეორე „მასტერი"—ვარსიძე. სურათის დასასრულებლათ საჭიროა ისიც მოვიხსენოთ, რომ აქ ძალიან ხშირად სახიჩრდებიან მუშები. ქარხნის პატრონი, რომელიც მარტო თავის ჯიბეზე ფიქრობს, არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ აქ მოუწყობლობის გამო ყოველ წუთს მოსალოდნელია კაცი დასახიჩრდეს.

ამხანაგებო! ჩვენ პირუტყვები არა ვართ, რომ ამგვარი პირობები ავიტანოთ. ყოველივე დასახიჩრებამ ჩვენი ამხანაგებისა, მხეცურმა მოპყრობამ სამაგიერო „მასტერებისა" უნდა გამოიწვიოს ჩვენში საერთო პროტესტი. სირცხვილია, ასე გულ-გრილათ ცქერა ამდენი უსამართლობისა და სისაძაგლისა!

—::—

ბ ა ქ ო.

აღდგომა ღამეს ყველა ეკკლესიებში მოჰფანტეს კავშირის კომპრაკლამაციები ამ სათუაურით: „ძირს ომი"! ამ ღამესვე აქეთ ეკკლესიის ახლო დაიჭირეს 4 კაცი. 31 მარტს ერთ კერძო სახლს, სადაც რამდენიმე ნაცნობი შეყრილიყვნენ და „ლეგალურ" ბაასს ეწეოდნენ,

საათის პირველზე თავს დაესხა პოლიცია კაზაკებით და 4 კაცი დაატყვევა.

— ვასილი მაქსიმეს ძე მედვედევს ვაცხადებთ პროვოკატორათ და გამცემლად. ამ ერთი თვის წინეთ ის გამოუშვეს სატუსაღოდან და გაგზავნეს პეტერბურგში. წასვლისას ის ურცხვად ტრაბახობდა ნაცნობებთან თავის „პავიშენიაზე“ (სამსახურში ამაღლებაზე).

— მარტის გასულს დაიჭირეს: ქალაქის სასანიტარო ექიმი ლ. ფაინბერგი, ვასილი ივ. მარკოვი, ე. ი. გუკოვსკი, 14 აპრილს დაიჭირეს ლიუდოვიგ კნუნიანი.

— 18 აპრილს ადგილობრივმა სოციალ-რევოლიუციონურმა ჯგუფმა გამოსცა პროკლამაცია და მოიწვია ხალხი სადემონსტრაციოთ, მაგრამ ერთი რა არის, ერთი სულიც არსად გაჭაჭანებულა. ჩვენმა ადგილობრივმა კომიტეტმა გადასწყვიტა ამ დღეს არაფერი მოეხდინა და ამ გადაწყვეტილებას თავისი სერიოზული მიზეზები ჰქონდა.

ც ი მ ბ ი რ ი.

(წერილი ამხანაგისგან.) ტექსტი განცხადებისა, გაგზავნილი იაკუტსკის გუბერნატორთან.

იაკუტსკის გუბერნატორს:

„დასჯა გადასახლებით რუსეთის რომელიმე შორეულ კუთხეში ან სხვა რეპრესალიები მთავრობისა ჩვენ არასდროს არ მიგვაჩნდა ნორმალურ მოვლენათ, მოვლენათ, რომელსაც რაიმე საერთო ჰქონდეს სიმართლესთან. მით უფრო ვერ შეურიგდებით, მით უფრო აუტანელია ის გარემოება, როცა ისედაც უაზრო, უადამიანო და ბარბაროსულ სასჯელს ყველა, ვისაც კი ხელი მოწვდება ჩვენამდი, კიდე უფრო ამძიმებს და აუტანელს ხდის, ჩინოვნიკ-პოლიციურ ტვინს ავარჯიშებს, რომ რაიმე ახალი გამოიგონოს და ისედაც აუტანელი პირობები ჩვენი ცხოვრებისა უფრო აუტანელი გახადოს. ამ ვაჟბატონთა ახალ-ახალ საშვალებათა გამოგონებას რუსეთის თვითმპყრობელობის გამოცემული კანონებიც კი ვერ უდებს სამზღვარს! ამ ბოლო დროს „ჩინოვნიკური“ თვითნებობა მეტად საგრძნობელი შეიქნა.

ჩვენ გვცემდნენ და გვცემენ გზაში, გვცემენ სატუსაღოში, გვაყენებენ იმგვარ პირობებში, რომ ცხოვრება შეუძლებელია, გვასახლებენ იმგვარ მივარდნილ სოფელში, საცა სადგომის პოვნაც-კი შეუძლებელია,—„ნებადაურთველად“ წასვლისათვის საქმის გაურჩევლად ჩვენდა დაუკითხავად გვასახლებენ კიდევ უფრო შორს და მივარდნილ კუთხეში, გვგრძელებენ ვადას სასჯელისას კიდევ ისე საქმის გამოუძიებლათ, თავიანთ ნებით,—მივყევართ უგრო-შ-კაპეიკოთ, უტან-

საკმეტლოთ—და ამ დროსვე ნებას არ გვაძლევენ ვისარგებლოთ ჩვენივე ამხანაგის დახმარებითაც-კი! აჰ, ამ შორეულ ქვეყანაშიც-კი მახეს გვიგებენ და, მიუხედავათ კანონისა, უარს გვეუბნებიან ვადის შესრულების შემდეგ სახელმწიფო ხარჯით უკან გაგზავნაზე.—ყოველი კანონიერი მოთხოვნილება რაღაც მიზეზთა გამო უყურადღებოთ რჩება და-სხვ.-და-სხვ. ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ობიექტი ადმინისტრაციული თვითნებობისა, საიდამაც უნდა მომდინარეობდეს ეს თვითნებობა. გიცხადებთ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ დასტოვებს ქ. იაკუტსკს და ერთი წუთსაც არ შესდგება უკიდურეს ზომების წინაშე იქამდის, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული შემდეგი მოთხოვნილებანი:

ა) გარანტია—დაუყოვნებლივი და უდავიდარაბოთ გაგზავნისა სახელმწიფო ხარჯით თავიანთ სამშობლოში ყველა იმ ამხანაგებისა, რომელთაც შეასრულეს ვადა სასჯელისა.

ბ) გაუქმებულ იქმნას ყველა განკარგულებანი, ამ ბოლო დროს გამოცემულნი, თავისუფლების შევიწროებისა და მისვლა-მოსვლის სრული აკრძალვის შესახებ.

გ) გაუქმებულ იქნას ყველა კანონი, რაც რა არის სავსებით განმარტებული „დებულებაში აწყარა თვალ-ყურდევნისა“ (в положении о гласном надзоре) და რეპრესიები, გამოწვეული ამ კანონთა დარღვევისათვის.

დ) გაუქმებულ იქმნას ცირკულიარი, რომელიც უკრძალავს პარტიას ინახულოს აქეთ, ციმბირში გამოგზავნილები.

ე) გარანტია იმაში, რომ არავითარი რეპრესიული ზომები არ იქნება ხმარებული იმათ წინააღმდეგ, ვინც-კი ხელი მოაწერა ამ მოთხოვნილებებს.

ზემო მოხსენებულ ცირკულიართა და განკარგულებათა ქაუქმებას ჩვენ მით უფრო საჭიროთ ვთვლით, რომ იმათი განხორციელება და ცხოვრებაში გატარება ყოველთვის იწვევს და კვლავაც გამოიწვევს მთელ რიგს სერიოზულ შეტაკებათა და განმეორება-კი იმგვარ საზიზღარ ფაქტისა, როგორიც მოხდა უსტ-კუტში, სადაც კინაღამ უმოწყალოთ ამოჟლიტეს მთელი პარტია გამოგზავნილთა, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, ყოველთვის გამოიწვევს სასტიკ პროტესტს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ კითხვის ასე თუ ისე გადაჭრა საქმეში დამოკიდებულია თქვენ საკუთარ სურვილსა და მოქმედებაზე, და სწორედ ამისათვის პასუხისგება, თუ ვინიცობაა რაიმე არა სასურველი მოხდა, მარტო თქვენ კისერზე იქნება. წინდაწინვე გიცხადებთ, რომ პოლიციაში არ გამოვცხადდებით, და ყოველივე მიწერ-მოწერა შეგიძლიათ ერთი ჩვენთაგანის ადრესზე გამოგზავნოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ამხანაგებმა დანარჩენ ციმბირში მყოფ ამხანაგებს მიმართეს შემდეგის მოწოდებით:

„ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა პროტესტის გამოცხადება, ღრმათ დარწმუნებულია, რომ კითხვა შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევისა რეპრესიების წინააღმდეგ უკვე მომწიფდა; როგორიც უნდა იყოს შედეგი პროტესტისა, გარდა საზოგადო რეზოლიუციონურ მნიშვნელობისა, ის არ დარჩება უმნიშვნელო და შესაძლოა შესცვალოს თვით წესი დასჯისა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რაც უნდა გახდეს, დავიცვათ ჩვენი მოთხოვნილებანი, თუ გინდ იარაღით ხელში, დავიცვათ, რა ფასათაც უნდა დაგვიჯდეს ეს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხანაგები სხვა კალონიებისა შემოგვიერთდებიან და ამ თანაგრძნობას ამა თუ იმ ფორმაში გამოხატავენ. მხურვალე ამხანაგურ სალამს გიძღვნით"!

ჯგუფი პროტესტის გამომცხადებელთა!

ხელს აწერენ 70 კაცი.

ამხანაგები, რიცხვით 41, ჩაიკეტნენ ერთ სახლში და ბარიკადები გამართეს. ეს იყო 25 თებერვალს.

ოლეკმინსკის კალონიამ, რიცხვით 18 კაცმა, 26 თებერვალს შემდეგი ტელეგრამმა გაუგზავნა იაკუტსკის გუბერნატორს:

„ჩვენ სავსებით თანავუგრძნობთ იაკუტსკელ ამხანაგთ, და ვუერთდებით-რა იმათ მოთხოვნილებათ, გიცხადებთ, რომ დღეიდან არ დავემორჩილებით იმ ცირკულიართ, რომელთა წინააღმდეგ ჩვენი ამხანაგები პროტესტს აცხადებენ, არ დავემორჩილებით აგრეთვე ადმინისტრატიულ სასჯელს, რომლებიც იქნებიან ჩვენ წინააღმდეგ მოწართული ამ ცირკულიართა დარღვევისათვის".

ნამდვილ წყაროებიდან შეიტყვე, რომ იაკუტსკში 15 ამხანაგი მოუკლავთ და ბევრი მძიმეთ დაუჭრიათ. არ ვიცი მხოლოდ, მოკლულები იმითგანია ვინც ჩაიკეტნენ, თუ სხვები. მოკლულია 8 სალდათი და ერთი აფიცერი. ჯერ მეტი აქ არა ვიცით-რა. იაკუტსკიდან ფოსტას თვეში ერთხელ ვიღებთ. უსტ-კუტა იმყოფება კირენსკის მაზრაში ირკუტსკის გუბერნიაში იმ გზაზე, რომლითაც პოლიტიკური დამნაშავენი მიჰყავთ იაკუტსკში.„ჟამა „ულეტა" იყო უსტ-კუტაში ჯერ-ჯეროთ ვერ გავიგეთ-რა. ოლეკმინსკი იმყოფება იაკუტსკის გუბერნიაში.

—::—

† ნეკროლოგი.

ამ დღეებში თბილისში გარდაიცვალა ახალგაზდა ფარმაცევტი (შეგირდი) ჯაბელიძე. ეს შეიქნა მსხვერპლი იმ აუტანელ პირობებისა, რომელიც გამეფებულია ჩვენს აფთიაქებში, იმ მომაშხამველ ცხოვრებისა, სადაც განუწყვეტელ მომუშავე ნელნელა ეთხოვება სიცოცხლეს

ორიოდე გაუმაძღარ კაპიტალისტის ჯიბის გასასქელებლათ. მიცვალებულს თავის ამხანაგებში ძალიან პატივს სცემდენ; ცდილობდა უფრო კარგათ შეეგნო მშრომელთა ინტერესები და დღევანდელი მუშათა მოძრაობა, რომ მალე მომავალში გამხდარიყო ერთ მის მომქმედ წევრათ. მაგრამ აუტანელმა ცხოვრების პირობებმა უდროოთ გამოასალმეს სიცოცხლეს. მომავალს მოაკლდა ერთი მუშაკთაგანი, მაგრამ დარწმუნებული ვართ, მისი სიკვდილი ბევრს სხვა მის ამხანაგებს გამოაფხიზლებს, შეაგნებინებს თავის ინტერესებს და შეაჩვევს ხანგრძლივ აუტანელ პირობებთან ბრძოლას. მიცვალებული ამხანაგებმა რკინისგზის სადგურამდე მიაცილეს. ამხანაგებმა მიუძღვნეს რამდენიმე გვირგვინი. 30 მანეთი შეგროვილი მიცვალებულის სახელზე გადაეცა საქმისათვის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს. უკვდავი იყოს შენი ხსენება, ნორჩო ამხანაგო!

—::—

განცხადება იმერ.-სამეგრ. ს. დ. მ. კ—საგან.

ჯ ა შ უ შ ე ბ ი:

ლეჟავა გოჯასპირ. მილიციის პორუჩიკი, ძაან მაღალი (ხშირად ფორმასაც ატარებს), გრძელი შავ-შავი წვერი, ცოტა ჰაღარა შერეული, ცხვირი მსხვილი, გრძელი და უშნო, იცვამს შავს ჩოხას, იხურავს ბუხრის ქუთს, მოსული კაცია, 40 წელზე გადასულია.

ჯანთარიძე დიო (დიონისი?): სიმაღლით საშვალოზე მეტი, ტანწვრილი, ქერა, ლამაზ-ლამაზი, პატარა წვერი (ქერა), იცვამს ევროპიულად (ფინჯაკს), იხურავს ბუხრის ქუდს მორგვალოს (კაბალახსაც), ზოგჯერ ჩოხასაც ატარებს, მხრებში ცოტა მოხრილია, ასე 27—30 წლის იქნება.

კავშირის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის გრძოლის"
ფურცელი

№ 9. 15 (28) მაისი 1904 წ. № 9.

ხიდისთავის საქმე

იმ ღრმა და ძლიერ ხალხის მოძრაობაში, რასაც დღეს რუსეთი განიცდის, ქალაქის პროლეტარიატს, ისე მჭიდროთ შეკავშირებულს სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ, უნდა ეკისრნა და იკისრა კიდეც დიადი როლი, როლი მოწინავე მებრძოლთა ხალხის თავისუფლებისათვის.

მას აქეთ, რაც ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია, მიუხედავათ მთავრობის მხრივ ათასგვარ დევნისა, დამკვიდრდა ქალაქად, მან გადასწყვიტა, და შესძლო კიდეც შეკრიკთა გაგზავნა მირუებულ სოფლებშიაც-კი. ჩვენ სოფლებს არა ერთხელ გაუღვიძნია უკუნეთ ძილისგან, მაგრამ რისხვა ხალხისა ყოველთვის იხატებოდა მკვლელობაში აგრარიულ ნიადაგზე, კერძო უკმაყოფილებასა, მღელვარებასა და მოწინააღმდეგეთა სახლ-კარის გადაწვაში. სოფლის მცხოვრებთა ძალ-ღონე ამოდ იკარგებოდა, რადგან არ იყო წინამძღოლი, რომელსაც სული შთაებერა და აზროვანი მსვლელობა მიეცა დაქუცმაცებულ ბრძოლისათვის... მარა დრო ჩქარა იცვალა. ასმა და ათასმა მთავრობის-მიერ სოფლად განდევნილმა ქალაქის პროლეტარებმა ქვეყნად მოჰფინა ჩვენი მოძღვრება და მომზადა ჯერ ხელუხლებელი ნიადაგი სოფლისა ახალ, შეგნებულ ცხოვრებისათვის. და როცა მივიდა იქ მეთაური, შეკრიკი ჩვენის პარტიისა. სოფლის ღარიბთა და ღატაკთა შორის მან ჰპოვა ურიცხვი აღტაცებული და ერთგული მომხრე ჩვენის პარტიისა.

სარწმუნო და გამოცდილმა ხელმა დაქსაქსული და უაზრო მოძრაობა უფრო და უფრო შეაერთა და ერთ დიდ და მძლავრ მდინარედ აქცია, რომ თავის ძლევა-მოსილ ზვირთთა შორის შთანთქას და გაანადგუროს ძველი და დახავსებული ბურჯი ჩვენის პოლიტიკურ

შენობისა. რაც დრო გადის, უფრო ხშირათ ისმის სანეტარო ხმა მორეულ სოფლის მთა და ბართაგან და უფრო მტკიცეთ ვრწმუნდებით, რომ ჩვენ შრომას ნაყოფი მოაქვს...

წრევანდელ ცქრიალა გაზაფხულს მთელი გურია-იმერეთი ცეცხლის ალში გახვეული მიეგება. ხალხის მრისხანება ხან აქ, ხან იქ გადმოხეთქდა, მაგრამ ძველიბურათ-კი არა.

დიდი ხნის აგიტაციისა და პროპაგანდის შემდეგ პირველად გამოაცხადეს სოფლის მეშვიდეს სურვილი ქალაქის პროლეტარიატთან შეერთებისა. დიდებული რამ მოხდა: ეს ყოველი ჩვენი თანამგრძნობის სულსა და გულში წარუხოცველ კვალს დასტოვებს და უკეთესი მერმისის იმედს გაუსკეცებს.

კვირას, 2 მაისს გურიაში პირველ მაისის საკვირველი დემონსტრაცია მოხდა. სოფელ ხიდისთავიდან 400 კაცი, რომელთა შორის 40-მდე ქალი იყო, მწყობრად გაემართა ჩოხატაურისაკენ, სადაც სხვა სოფლის დემონსტრანტებიც უნდა შეკრებილიყვნენ. ხიდისთავის ახლო ეს კრებული გაჩერდა და მოისმინა სიტყვა პირველ მაისის მნიშვნელობის შესახებ. ხალხთა შორის ზეამართული იყო წითელი დროშა. ჩვენის მოძღვრის კარლ მარქსის სურათით; ამავე დროშის მეორე მხარეზე თაიდაყირა ეკიდა სურათი ნიკოლოზ II-სი. აღფრთოვანებული რევოლიუციონურ სიმღერის ძლიერის ჰანგებით, აღტაცებული წმინდა გრძნობითა და აზრით, გმირულად მისწრაფოდენ იქ, საცა მთავრობის თვალწინ უნდა გამოეჩინათ თავისი ძალა და შემძლებლობა. მაგრამ არ აცალეს მათ მისვლა ჩოხატაურამდე. შუა გზაზე ხალხს გადაეღობა შეიარაღებული სტრაჟნიკები, რიცხვით ცხრა კაცი, და ანიშნეს დაშლილიყვნენ. პასუხად დემონსტრანტებმა ჰაერში რევოლვერები გაისროლეს. სტრაჟნიკებმა ამგვარათვე უპასუხეს. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც წინ მიდიოდა. სტრაჟნიკებმა უკან დაიხიეს, ჩაუსაფრდენ და ბერდანკებიდან სროლა ასტეხეს. პირველი სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა ფოცხიშვილი, ტყვია პირში ჰქონდა მოხვედრილი. მაგრამ ხალხის რისხვა უფრო აზვირთდა, დემონსტრანტები უშიშრად გაემართნენ სასიკვდილოდ. ტყვიას ტყვიაზე ისროდენ მეფის მონები. ხალხიც პასუხს აძლევდა, მაგრამ რევოლვერის ტყვია მიზანს ვერ აღწევდა... ბერდანკის ტყვიები ჰაერში ზუზუნებდა, შორს ისმოდა რევოლვერის ხმა, მთელ მიდამოს მოედო ხმა ბრძოლისა. მეფის მონები ხალხს უმკლავდებოდენ და აი იღლის ერთმა ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა მამაცი იესე კალანდაძე. იგი წაიქცა... მოიკრიბა უკანასკნელი, ღონე წამოხტა და გასწია წინ. ამხანაგებმა შეაჩერეს—უნდოდათ დაებრუნებიათ; იგი მაინც წინ იწევდა, „თავი დამანებეთ მე აქ მოვკვდები! იბრძოლეთ ბოლომდის! იბრძოლეთ ვიდრე არ გაიმარჯვოთ.. როცა დადგება დღე რევოლიუციისა, ჩემი ძვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ამოხეთქენ საფლავიდან და ბოლომდე იბრძოლებენ თქვენთან ერთად!" ეს იყო უკანასკნელი მისი სიტყვა. ის მოკვდა! მოჰკლეს ამხანაგი, უბრალო სოფლის მჭედელი, მოჰკლეს ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი! მოჰკლეს! მაგრამ მისი ანდერძი და სახელი უკვდავი არის. ვითა საყვარი, იგი მოიწვევს დანარჩენ მებრძოლთ მთელი მხარისას.

წყეება მტარვალთ! ჩვენ გვართმევენ ისინი საუკეთესო ამხანაგთ. საუკუნო დიდება თქვენ, ხიდისთაველნო, თქვენ შესწირეთ სიცოცხლე ორი საუკეთესო შვილისა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს.

და შენ, პროლეტარო, უსახლკარო, ყარიბო რუსეთისავ, განველ ქვეყნად და უამბე ყველა შენ ძმებსა და პატიოსან მოქალაქეთ, რომ აქ, ხიდისთავში, სოფლის მყუდრო სასაფლაოზე განისვენებს ნეშთი ორის ახალის მსხვერპლისა, ორის თავისუფლებისათვის მებრძოლთა, ვინც მეფის მონათა ხელმა იმსხვერპლა. მოჰფინე მთელს ქვეყანას ხიზღი მტარვალთადმი: დაე ძლიერის რისხვით მოევლინოს მათ ხალხის შურისძიება.

—::—

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი. (ოზურგეთის მაზრა).

დიდ საგონებელში ჩავარდა ამ ბოლო დროს სოფლის პოლიცია! იღონდაც რომ თავ-საბტეკრევი ბევრი რამ აქვს სოფელი, ჩვენი მიძინებული სოფელი იღვიძებს და გაბედულათ ებმის საერთო პროლეტარიატის ფერხულში. პოლიცია არავითარ საზიზღარ ზომებს არ ერიდება; ყოველი საშვალება რაც-კი ხელს შეუშლის ხალხის გამოფხიზლებას კანონიერია მისთვის. მაგრამ ლანჩხუთის პოლიციელთა თავ-აშვებულება ყოველივე საზღვარს გადასცილდა...

20 აპრილს ღამით ხუთი გლეხი მუშაობიდან სახლში ბრუნდებოდნენ. ერთი მათგანი ცოტათი დაწინაურდა. უცებ მას ესმის ხმა ჯაშუშის დაჟით მენაღარიშვილისა: „დაიჭით, აი მოდიანო!" გლეხს წინ გადაეღობა იქვე ჩასაფრებული ექვსი სტრაჟნიკი, რომელთაც მეთაურობდა ორი ბოქაული, ქვაშალი და სოლოროვი. ბაში-ბუზუკები. დარწმუნებულები, რომ ხელთ იგდეს „სოციალისტი", როგორც იქ ეძახიან, მისკენ დენ გლეხს: ამ ჩოჩქოლში დანარჩენი ოთხი გლეხი მოასწრებდა და რა დაინახეს თავიანთი ამხანაგი გასაჭირში მისკენ მტარვალთ. მარდმა კოსტა ჩაჩავამ დასტაცა ხელი ბოქაულს ქვაშალს, ააფეთქნა თოფი და თხრილში ბრაგვანი მოაღებინა. იოსებ ებრაელიძე ერთ სტრაჟნიკს მიუხტა და მისთავაზა ჯოხი თავში. ბოქაული ამოფუთფხდა თხრილიდან და რეფოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა კოსტა ჩაჩავა და უბრძანა სტრაჟნიკებს ესროლათ. გაეარდა თოფი და მტრის ტყვიამ გული გაუპო მეორე გმირს იოსებ ებრაელი-

ძეს; დანარჩენები გაიქცენ და თან წაიღეს პოჭაულის თოფი. რამდენიმე ტყვია გაქცეულებსაც დაადევნეს, მაგრამ ამათ. ორმა სტრაჟნიკმა არ მიიღო მონაწილეობა სროლაში. რისთვისაც ისინი უკვე სამსჯავროს გადასცეს. მეორე დღეს დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა დახოცილთა სატირლათ. სხვათა შორის ადგილობრივი ჯაშუში სამუელ ებრაელიძეც გაერია ხალხში, ვითომ როგორც გულშემატკივარი. ჯაშუშის დანახვამ საშინლად ააღელვა ხალხი და ერთმა მოხუცმა იქვე ძალზე მობრიგა კეტით საზიზღარი ჯაშუში. მოხუცი დაატუსაღეს. (ეხლა განთავისუფლებულია). ყველა ამ სიმხეცეთა შესახებ ბათუმის კომიტეტმა პრაკლამაცია გამოსცა, რომელიც კ. ჩაჩავასა და ი. ებრაელიძის დასაფლავების დღეს გავრცელდა ხალხში. მიცვალებულთა დაკრძალვას 4,000-მდე ხალხი დაესწრო. ჩაჩავა და ებრაელიძე ერთად ძმურ სამარეში დაკრძალეს. საფლავზე მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა. ქუბოებს შვიდი გვირგვინი ამშვენებდა.

პოლიციამ ვერ გაბედა დასაფლავებას დასწრებოდა, მხოლოდ როცა ხალხი სულ დაიშალა, ქურდებივით მიიპარნენ ისინი და გვირგვინებს სინჯვა დაუწყეს იმ იმედით, რომ იქნებ მიცვალებულთა გასამტყუნარი რამ ამოეკითხათ იქ. ერთ გვირგვინზე ეწერა: „ბარბაროს თვით-მპყრობელობის მსხვერპლთ“.

დაუვიწყარნო კოსტა და იოსებ!

თქვენ გმირულათ შეებრძოლეთ ხალხის მტერთ და ნება არ მიეცით მათ ამხანაგების დატუსაღებისა! განისვენეთ მშვიდათ! თქვენი გმირული ნამოქმედარი სკოცხლობს ჩვენთან! თქვენ სახელს ჩაეჭსოვთ ხალხის საომარ სიმღერაში, იქიდან მოვკრებთ ძალას, გამბედაობას, ახალ მეომართ ის შთაბერავს გმირულს სულს! განისვენეთ მშვიდათ! სუბუქი იყოს მიწა თქვენთვის!

— აჭაური მაზრის უფროსი ჯაფარიძე, გატაცებული სურვილით, როგორმე ჩაეგდო ხელში მოძრაობის მეთაურნი, ჩამოვიდა ლანჩხუთში, შეკრიბა ხალხი და მოსთხოვა გაეცათ მოთავენი. აღელვებულმა ხალხმა გადაჭრით უარი განაცხადა და დაუმატა: „თქვენ მოკალით ორი ჩვენი ამხანაგი და ეხლა ახალ მსპვერპლს ითხოვთო?..“ ჯაფარიძეს მეტად ეუცხოვა ეს და მოითხოვა „თავხედი“ გლეხი მასთან ბალკონზე ასულიყო. როგორც ჩანდა მტარვალი დატუსაღებას უპირებდა გაბედულ გლეხს, რომელიც მარდათ და უშიშრათ აიჭრა კიბეზე და წარბშეუხრელი ელოდა, რითი გათავდებოდა ყველა ეს. ხალხმა ერთხმათ იგრიალა და მოჭარით მოსთხოვა ჯაფარიძეს დაუყონებლივ გაენთავისუფლებია გლეხი, რაც მაშინვე შეასრულა, რადგან მიხვდა, რომ იაფად არ დაუსვამდენ მის დაკავებას.

ხალხი თამამათ გამობდა პოლიციელთა საქციელს და, მიუხედა-

ვათ იმისა რომ მაზრის უფროსი სათითოდ ეძახდა ყველას დარიგებილიყვნენ,—ისინი დაიშალნენ თავ-თავიან სახლებში. აქ დავუმატებთ, რომ ჯაფარიძე განუსაზღვრელ უფლებებით სარგებლობს, ის გუბერნატორია თავის მაზრაში, მაგრამ, როცა ხალხი ამოძრავდება, მორჩა, მის წინ ქედს იხრის თვით მეფე,—ხალხი თვით მეფდება...

—::—

ბათუმი.

პრველ მაისს, ძველი სტილით, ბათუმის ს.-დ. კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოხდა საერთო გაფიცვა ერთი დღით. ქარხნები და უმეტესი ნაწილი სახელოსნოებისა დაიკეტა. ბათუმის მოედნები და ქუჩები სავსე იყო კაზაკებით და სტრაჟნიკებით. სალდათები დამალულნი იყვნენ ქალაქის სვა-და-სხვა ნაწილებში.

საომარი მომზადება იყო, 2 მაისს კვირას. ამ დღეს მეეზოებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ მზადებაში: იმათგან იყო შემდგარი „მებრძოლი დრუჟინა“ 15—20 კაცისაგან, შეიარაღებულები იყვნენ კეტებით. მუშები, კომიტეტის გადაწყვეტილების გამო ჩუმათ იყვნენ და 2-ს არავითარი დემონსტრაცია არ მომხდარა.

პოლიცია, დარწმუნებული, რომ აქ რაღაც ხრიკია მუშების მხრივ, ყოველ დღე მიელოდა „ბუნტს“ და დღე და ღამე ფეხზე იდგა: ასე გაგრძელდა 9 მაისამდე. 6 მაისს პოლიცია, არ ვიცით, რა მიზნით, მეტის-მეტად გამოვიდა მოთმინებიდან (იქნებ ღოდინიც მობეზრდა) და შეურაკა თავისებურად: არ გამოუშვა ბარაკნიდან ქალაქში მომავალი მუშები; ვინც-კი ძალას იხმარდა, გაჰხოცდენ და მათრახებით სცემდენ. მაცქერალ საზოგადოებასაც ბარე ორი მოხვდა. „სტრაჟნიკებს“ მხეცი ლევან გურიელი ხელმძღვანელობდა. „რა ნება გაქვს, რომ გამელელ-გამომელელს უმოწყალოთ სცემ“,—შეუტია ერთმა მუშამ გურიელს. „აი. შე მამაძ...! შენ უფლებასაც ეძებ?! აი მე გაჩვენებ ჩემს და უფლებას“. და ამ სიტყვებით მათრახს ტყლაშანი აადენინა. „თქვენ სულ იმას იძახით მოვკლავთ გურიელსო, რათ არ მკლავთ მერე?“, ეუბნებოდა მხეცი ოფიცერი მუშებს,—„შეაღამეზე სახლების წინ დავდივარ, რატო ვერაფერს მიბედავთ?! მოგვლეჭავთ ყველას! ტყავს გაგაძრობთ!“ საკვირველია მხოლოდ, რათ არის რომ ასეთ „მამაც“ თავადს ღამ-ღამობით მთელი გროვა სტრაჟნიკებისა დასდევენ თან?

—::—

ფოთი.

22 აპრილიდან ვაგზალზე მუშაობა მოიჯარადრის ხელიდან გადავიდა რკინის გზის ადმინისტრაციის ხელში, რომელმაც ერთბაშათ შეცვალა სამუშაო პირობები. წინეთ მუშებს ქონდათ უფასო ბინები და კვირაობით მხოლოთ ნახევარ დღეს მუშაობდენ. ესენი

ყველაფერი მოსპო ადმინისტრაციამ და თანაც ხარჯების, შესამლოცველად, დაითხოვა 13 მუშა: „თქვენ აქ მეტი ხართ, წადით და სადაც გინდათ იქ ეძიეთ სამუშაო“. ურცხვად უთხრეს მუშებს. ასეთმა თვითნებობამ გააბრაზა მუშები და მათ გადასწყვიტეს გაფიცვა, თუ რომ მათ მოთხოვნილებებს არ დაკმაყოფილებდენ. მუშებმა მოითხოვეს: 1) დაბრუნება 15 დათხოვნილი ამხანაგისა და 2) ძველი პირობების ძალაში დატოვება. ადმინისტრაციამ არ დაუთმო მუშებს და 25 აპრილიდან დაიწყო გაფიცვა. იმავე დღეს ადმინისტრაციამ გამოიწერა თფილისიდან სომეხი მუშები, რომლებიც 27 აპრილიდან შეუდგენ მუშაობას. ახლათ ჩამოყვანილი მუშების დასაცველათ თითეულს ექვს ქაცზე დანიშნეს თითო ჯანდარმი.

ესეც არ ეყო მთავრობას: მან კარგათ იცის, რომ მუშები მიჩვეული არიან საერთო ბრძოლას და ყოველთვის მზათ არიან საქმით დაამტკიცონ თავიანთი რევოლიუციონერი მისწრაფება. იცის მთავრობამ ეს\და თავ-რეტ დასხმული იბრძვის მათ წინააღმდეგ. 26 აპრილს დაიბარეს პოლიციაში 12 მუშა, ვითომდა როგორც მეთაურები და განუცხადეს: „გუბერნატორის განკარგულებით თქვენ უნდა დატოვოთ ფოთი 24 საათში და წახვიდეთ სახლში“. პოლიციის ასეთმა თავ გასულობამ საშინლათ აღელვა მთელი ფოთის მუშები. 27 აპრილს შუადღეზე პორტის მუშებმა დასტოვეს სამუშაო და გასწიეს პოლიციისაკენ. თავი მოიყარა 300-დე მუშამ და ერთხმათ მოსთხოვეს პოლიციას: „დატოვეთ 12-ვე მუშა ქალაქში და დაკმაყოფილეთ ვაგზლის მუშებიო“. პოლიციამ გადაჭრილი უარი განაცხადა პირველ მოთხოვნილებაზე. ხოლო მეორეს შესახებ ურჩია, მიმართეთ გუბერნატორსო. მუშები 4 საათამდის იყვენ პოლიციის წინ. დიდი მღელვარება იყო მათ შორის, განსაკუთრებით, როდესაც გაიგეს, თორმეტი გასაგზავნი მუშა დაუპერიათ და ღამით ჩუმათ აპარებენო. მუშებმა დატოვეს დარაჯები პოლიციასთან, რომ დროზე შეეტყოთ, თუ გააგზავნიდენ დაჭერილებს. საღამოს გავრცელდა ხმა, დაკავებულ ამხანაგებს აგზავნიანო. წამსვე შეიკრიბა 700 მუშა და მარსელიოზის სიმღერით გაეშურენ ვაგზლისაკენ. გზაში დროშის მაგიერ, აფრიალებდნენ წითელ ხელსახოცს... შიში ტყუილი გამოდგა, იმ ღამეს არავის აგზავნიდნენ და მუშები სიმღერითივე დაბრუნდნენ უკან.

მეორე დღეს მუშებმა თავისი მოთხოვნილებები წარუდგინეს გუბარნატორს, რაზედაც შემდეგი პასუხი მიიღეს: „მე ძლიერ მაშფოთებს, რომ თქვენ ალარ ემორჩილებით პოლიციას! წინედ ასე არ იყო, უწინ უფრო ენდობოდით პოლიციას და პატივსაც ცემდით: ახლა კი ვიღაცეები გაბუნტებენ. ის 12 კაცი უთუოდ უნდა გაგზავნო სოფელში. მიტომ, რომ ისინი გაღელვებენ თქვენ მთავრობის წინააღმდეგ“. შემდეგ გუბერნატორმა მიმართა ვაგზლის მუ-

შებს: „გინდათ თუ არა ძველ პირობებში იმუშაოთო“. მუშებმა თავხმობა განუცხადეს. „არა, ახლა გვიან-ღა არისო“, წამოიყოანტალა მასხარა გუბერნატორმა. გუბერნატორის საქციელმა აღელვა მუშები, გაისმა საწინააღმდეგო ყვირილი: „სიკვდილითაც რომ დაგვემუქროთ, ჩვენ მაინც მუშაობას არ დავიწყებთ, სანამ ჩვენ მოთხოვნილებებს სავსებით არ დააკმაყოფილებთ“. აღელვებამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია... შეშინდა პოლიცია და მიმართა ჩვეულებრივ ზომებს. იმ დღესვე დაიბარეს 100 კაცი და სალდათები „მშვიდობიანობის“ დასაცავათ. 12 დაჭერილი მუშა იმ დღესვე გაგზავნეს სოფელში, გზაზე გააყოლეს ერთი როტა სალდათი და ვაგზალზედაც დაახვედრეს 100-მდე კაცი. მუშებმა საღამოს მოილაპარაკეს და. რადგანაც დემონსტრაციის გაწყობა შეუძლებელი იყო, გადაწყვიტეს განეგრძოთ გაფიცვა. შეიმუშავეს მოთხოვნილებები ხელფასის მომატებისა და სამუშაო დღის შემცირების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროთ, ბრაგალი მიზეზების გამო, თავიანთი გადაწყვეტილება მუშებმა ვერ ასრულეს... კაცები დათარეშობდნენ მთელ ქალაქში, მეორეს მხრით გამოშკარავდა, რომ პორტის მუშებსაც დაითხოვდენ ისე, როგორც ვაგზლისას უყვეს, მით უმეტეს რომ ფოთში დასაცალი გემები გაგზავნეს ბათუმს და იქ დასაცალეს. ამ მიზეზების გამო მუშებმა 29 აპრილს ნაშუადღევს დაიწყეს მუშაობა. 75 ვაგზლის მუშა-კი დარჩა უადგილოთ...

—::—

ჰ ი ა თ უ რ ა (შორაპნის მაზრა).

საპირველ მაისოთ შავი-ქვის მუშათა შორის გავრცელდა პროკლამაციები ცენტრალურ, კავშირის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებისა. პოლიციამ ყოველივე ზომა მიიღო, რომ დემონსტრაცია არ მომხდარიყო: მთელ რაიონში დარაჯები დააყენეს. ბოქაულები გვიარაბებში დადიოდენ და მამა-შვილურ დარიგებებს აძლევდენ მუშებს, რამდენიმე ღამე სტრაჟნიკებს მუშებთან ჰერ-ქვეშ ეძინათ.

— 3 მაისს დაიწყო ჩალვადრების გაფიცვა, რომელიც გამოიწვია გადასაზიდავ ფასის დაწევამ (ფუთზე მეოთხედი კაპ.) გაიფიცენ 800 კაცი. გაფიცვა ერთ კვირას გაგრძელდა. თუმცა მოთხოვნილება ჩალვადრებისა წინანდელ ფასის დატოვების შესახებ აო იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ, გაფიცვამდი არსებული „სკიდკის“ მოსპობის გამო, ფასმა მაინც აიწია ცოტათი.

—::—

თ ფ ი ლ ი ს ი.

დიდი შიში და მოუსვენრობა ეტყობოდა ქალაქს 18 აპრილიდან 1 მაისამდე. 18 აპრილი კვირა დღე გამოდგა და მთავრობა დემონსტრაციას მოელოდა. თითონ პოლიციმეისტერი მორიგეობდა გო-

ლოვნის პროსპექტზე დილიდან საღამომდე: ყოველგან უმთავრეს ქუჩებზე კაზაკები იყვნენ ჩასაფრებული, პოლიციელების სადღესასწაულო ფორმაში და მათრახებით. ერთი სიტყვით, ყველაფერი „რიგზე“ იყო. დემონსტრაცია არ მომხდარა, რადგან არ ყოფილა განზრახული ადგილობრივ კომიტეტისაგან. მეორე კვირამ მშვიდობიანათ ჩაიარა. როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, პოლიცმეისტერმა ტელეფონით შეატყობინა დამცველ განყოფილების უფროსს ზაპისკინს, რომ არავითარი მზადება პოლიციის მხრივ არ იქნება, რადგან ეს გაფრთხილებს მუშებსაო. სამაგიეროთ პირველ და მეორე მაისს შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო პოლიცია. კვლავ ჰკრეს ბუკსა და ნაღარას, გალესეს ხმლები...

30 აპრილს საღამოს რკინის გზის მუშები, როცა სახელოსნოებიდან გამოდიოდენ, მეტად სასაცილო სურათს წააწყდენ: მთელი გროვა ჟანდარმთა ორ მოპირდაპირე რაზმათ გაყოფილიყო და ერთმანეთზე იერიში მიეტანათ—ვარჯიშობდნენ ხმლის ხმარებაში. ეს ერთგვარი მანიფესტი იყო, გამოსაცდელი ბრძოლა.

რკინის გზის მუშებში გაფიცვა 1 მაისს ვერ მოხდა. მთელი დღე მუშაობდნენ. ცოტაოდენი ბრალი ამ ჩვენთვის სამწუხაროო მოვლენაში ამ ორგანიზაციას ედება. რომელსაც დავალებული ჰქონდა მოძრაობის ხელმძღვანელობა ამ რაიონში. სამაგიეროთ ბრწყინვალეთ ჩაიარა გაფიცვამ იარალოვის ქარხანაში, საცა 300 მუშათაგან მხოლოდ სამი კაცი მოვიდა სამუშაოთ და ისინიც ქარხნის მოსამსახურეებმა დაითხოვეს:—არ ღირს თქვენთვის მანქანის ამუშავებაო. იარალოვის მუშებთა შორის აგიტაცია იყო გამართული გაფიცვის შესახებ და ყოჩაღმა ამხანაგებმა ეროხმათ თანხმობა გამოაცხადეს ამ მეტად მნიშვნელოვან სიქმეზე პროლეტართათვის. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ იარალოვის მუშებთა შორის ძალიან ბევრნი არიან სომხები, რომელთა შორის ნაციონალისტებმა ომადენიმე მოშხრე მოიპოვეს. აი იმათში ბევრი შრომა დასჭირდა პროპაგანდისტებს, სანამ დაითანხმებდენ მათ ეუქმათ 1 მაისი. დღე, მეტის ყურადღებით წაიკითხონ მათ ამ ნომერშიეე მოქცეული განცხადება ბაქოელ სომეხ-სლესარების, რომელთაც ასე ცხადათ დაამტკიცეს თუ რა მშვენივრად ესმისთ მათ კლასობრივი პოლიტიკა პროლეტარიატისა: დღე, იცოდეს ამ ორიოდე მუშამ, რომ ყველა, ვინც-კი ეძიებს დღევანდელ ატტანელ პირობებისაგან თავის განთავისუფლებას გარეშე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისა, მოსტყუვდებოდა მწარეთ თავის იმედებში. ბევრს იმათგანს, ვინც ასე დაჟინებით ეძახის მუშებს ჩვენი ბანაკიდან და ურჩევს მათ ჩამორდენ ჩვენ პარტიას, და იწვევს ხან სომეხთა სოციალ-დემოკრატიის და ხან ნაციონალიზმის დროშის ქვეშ, ღირსთ სწამს სიმართლე

და სიწმინდე თავისი საქმისა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ ვისცა-უნებურათ შეცდომაში შეიყვანონ მუშები. ყველა ეს ისე, გაკვრით; საზოგადოთ-კი ვიმეორებთ, იარალოვის მუშებმა გასაოცარი სოლიდარობა გამოიჩინეს და თფილისის მუშათა შორის პირველობის სახელი დაიმსახურეს. ამათ გარდა გაიფიცნენ რამდენიმე ტყავის ქარხანაში და ზოგიერთ სახელოსნოებში. კერძო გაფიცვები თითქმის მთელ ქალაქში მოხდა, მაგრამ ამან ვერ იქონია გავლენა თფილისის ჯუჯების გარეგან შეხედულებაზე. კონკები მუშაობდენ, მეეტლეებიც... ასე რომ, თუ არა კაზაკებისა და პოლიციელთა განგაში, თფილისში მცხოვრები ვისაც-კი ხელში პრაკლამაცია არ ჩავარდნია, ვერც-კი გაიგებდა, რომ მის გარშემო დიდებული საქმე ხდება—იზრდება პოლიტიკური აზრი პროლეტარიატისა. ასევე ცუდათ ეძინათ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სულ არ ეძინათ 1-ს ღამით არც მეეზოეთ და არც ქმათა მათთა. ტელეფონი გაცხარებული მუშაობდა და გადაჰქონდა განკარგულებანი ერთი კუთხიდან მეორეში. შიში იქამდი მივიდა, რომ ჯარის უფროს ხელმძღვანელათ ვიღაც პოლკოვნიკი დანიშნეს კიდეც. ჯარი და კაზაკები კაზარმებიდან სხვადასხვა სტრატეგიულ პუნქტებზე გადაყავდათ. დილით მტკრი მზათ იყო. ხოლო ომი არ მოხდარა!.. ასე გაიარა ჩვენმა მაისმა!

— მე-IV კლასის გიმნაზიელი კრასიუკოვი, დაჭრილი 11 აპრილს ღამის 10 საათზე, ერთ-ერთ ტფილისის ქუჩაზე მხეც იუნკრისაგან 30 აპრილს გარდაიცვალა. მის ამხანაგებს სურდათ დასაფლავების დღეს დემონსტრაცია მოეხდინათ. ამ მიზნით კვირა დღე აირჩიეს, რომ ყველა მოსწაელეთ შესძლებოდათ მოსვლა. პოლიციამ ნება არ მისცა კვირით მოეხდინათ დასაფლავება, ნება არ მისცა აგრეთვე ამხანაგებს თავიანთი ორკესტრით გაყოლოდენ კუბოს. დასაფლავება მოხდა ორშაბათს, 3 მაისს. მიცვალებული მიაცილეს სასაფლაომდი მხოლოდ იმ გემნაზიელებმა, ვინც იმ დღეს სკოლაში არ წასულა: ვინც-კი გიმნაზიაში იყვნენ, არც ერთს ნება არ მისცა სასწავლებლის უფროსმა დასწრებოდენ ამხანაგის დასაფლავებას. ძნელია გაიგოს კაცმა დანამდვილებით ყველა ის, რაც პოლიციის კედლებთა შორის ხდება. მხოლოდ ამბობენ-კი დანამდვილებით, ვითომ კრასიუკოვის დაჭრის შემდეგ ის მხეცი იუნკერი თითონ მისულა პოლიციაში და გამოუცხადებია, რომ მან დაჭრილ გიმნაზიელში შური იძია ყველა გიმნაზიელების მიმართ, რადგან ისინი ვითომ აღდგომა ღამეს კავშირის პროკლამაციებს ავრცელებდენ „ომის წინააღმდეგ". მისი პატრიოტული გული აღიგსო სიყვარულით „მამა მეფისადმი" და გადაწყვიტა ბოლო მოეღო 14—15 წლის ბავშვისათვის.

სად არი ის ველური, ის სამაგალი? სინამ ნამდვილი მართმსაჯულება ხალხისა არ განსჯის მას, მინამ იცხოვრებს, იფარფაშებს ის

და ეჭვ გარეშეა მედიდურათ ატარებს რაიმე ნიშანს „პატრიოტულ“ საქმისათვის ნაბოძებს.

—::—

ბ ა ქ ო.

ადგილობრივმა კომიტეტმა გადაწყვიტა, მოეხდინა პირველ მაისს საერთო გაფიცვა ერთი დღით. სამწუხაროთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გადაწყვეტილება განხორციელდა მხოლოდ რამდენიმე ფაბრიკასა და სახელოსნოში. „პრომისლებზე“-კი უარესი რამეც მოხდა!.. იქ რუსი და სომეხი მუშები ერთმანეთს დაერივნენ და კინაღამ ერთმანეთი ამოსწყვიტეს. ერთი ჯგუფი სომეხ მუშათა, კომიტეტის მოწოდების თანამოაზრე, მივიდა „პრომისლებზე“ და სთხოვა რუს მუშებს—დაენებებინათ თავი მუშათა ბისათვის პროლეტარიატისათვის ამ დიდებულ დღეს. უმეტესი ნაწილი რუსის მუშებისა უარზე დადგა, სომხები თავისას თხოულობდენ და აი ორი მომძე დაეტაკა ერთმანეთს! პოლიცია აქვე იყო და გულ-ხელ დაკრეფილი შესცქეროდა, თუ როგორ ამტვრევდენ თავ-პირს მუშები ერთი მეორეს; დანამდვილებით ამბობენ, რომ პოლიცია ბევრს ეცადა ეს ასე მომხდარიყო, რისთვისაც წინა დღით აუარებელი „ბოსიაკები“ მოასხა „პრომისლაზე“.

საუცხოოთ ჩაიარა გაფიცვამ მიზარბეკიანცის თუთუნის ფაბრიკაში.

— აპრილში აქ რამდენიმე გაფიცვა მოხდა. აღვნიშნავთ ზოგიერთს. ტანისამოსის მაღაზიის „ესპერანს“ სახელოსნოში 10—15 კაცი მუშაობს. სახელოსნოს უფროსმა მოინდომა ხელ-ფასის დაწევა. მუშები გაიფიცნენ. მეორე დღესვე პოლიცია. რაღა თქმა უნდა, ჩაერია. ბოქაულმა მოიწვია სამი ებრაელი-მუშა და დაუწყო ყვირილი: „აი თქვენ ამისთანა-იმისთანებო, როგორ ბედავთ ბუნტობას? თქვენ ხართ რაც ხართ ურიები, თორემ სხვები აოაფერს არ იტყოდნენ“. ბევრი ამბაზუნა ფეხები ბოქაულმა, მაგრამ ამაოთ! სახელოსნოს უფროსმა განაცხადა, რომ ის მზათ არის მოუმატოს სომეხ მუშებს, მხოლოდ ურიებს-კი არა, მაგრამ სომეხი მუშები ამას არ დათანხმდენ და ბოლოს გაფიცვა მოიგეს.

— ეხლა გადავიდეთ ვაინშტეინის სახელოსნოში; იქ მოხდა საერთო გაფიცვა და წარუდგინეს სახელოსნოს უფროსს თავისი მოთხოვნილებანი. ვაინშტეინი თითქო დასთანხმდა ამ მოთხოვნილებებს და მოიწვია მუშები მოსალაპარაკებლად. ამ დროს-კი ჩუმათ პოლიციას შეატყობინა, რომ სახელოსნოში „ბუნტია“. როცა მუშები მოვიდნენ სახელოსნოში, დახვდათ მთელი გროვა პოლიციელთა. დაიჭირეს 12 მუშა; ოთხი იმათგანი იმ დღესვე გაგზავნეს ბაქოდან. „ბუნტი“ ჩაქრეს...

— ყურადღების ღირსია შლაპების მკეთებელ მუშა-ქალთა გაფიცება. ქალები გაიფიცნენ, წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომლებიც მაშინვე მიღებულ იქმნა და ქალებმა ისევ მუშაობა დაიწყეს. ყველა ეს მოხდა წყნარათ, ჩუმათ, მაგრამ პოლიცია მაინც ჩაერია და ოთხი უდანაშაულო ქალი დაატუსაღა, გუბერნატორმა-კი თავისი ძალით თითო თვე ციხე გადაუწყვიტა ამ დაჭერილებს და ყველა ეს კანონის ძალით!

— ბაქოს ზეინკლები თანდათან მჭიდროთ—კავშირდებიან და მეტ კლასობრივ თვითცნობიერებას იჩენენ. შარშან ზაფხულში გაფიცვის დროს იმათ ამხანაგურათ მისცეს ერთმანეთს ხელი. უმეტესი ნაწილი იმათგან სომხებია და აი ადგილობრივმა სომეხ სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა, რომელიც ჩვენი პარტიის გარეთ დგას, წინადადება მისცა მუშებს შესულიყვენ მათ პარტიაში. მუშებმა უარი უთხრეს და აუხსნეს, რომ ისინი აღიარებენ საერთაშორისო პროლეტარიატის სოციალიზმს და მუშებს უკქერიან არა როგორც წარმომადგენელს რომელიმე ერისას, არამედ როგორც კლასს დაჩაგრულს და მოკლებულს ადამიანურ უფლებას.

კავშირის კომიტეტი.



1905 წ. რევოლიუციის წითელი დროშა.

ეს დროშა ინახებოდა შორაპნის მაზრაში მებრძოლ რევოლიუციონურ გლეხებთან. შორაპნის მაზრის ღარიბი გლეხ-კაცობა რევოლიუციონური საქმეების გასაკეთებლათ 1905 წლის რევოლიუციის დროს ამ დროშის ქვეშ იკრიბებოდა. 18-19 წლის ისტორია აქვს ამ დროშას. ამ დროშის მომტანი ძველი კომუნისტი ამხ. პლატონ ძიხეილიძე შემდეგს გადმოგვცემს ამის შესახებ: „1905 წელს, როცა რევოლიუცია დამარცხდა, შორაპნის მაზრის რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი შემდეგი ამხანაგები: კარპე მოდებაძე, მიშა სტეპანოვი, აფრასიონ მერკვილაძე, დათიკო ლოთქიფანიძე და კოტე ცინცაძე იძულებული გახდენ ზესტაფონში დამალულიყვნენ. მათ აქ მე გადმომცეს შესანახათ ერთი წითელი დროშა, ერთი დინამიტი და ერთიც თოფი. ამათ შორის ეს წითელი დროშა,—ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის სიმბოლო,—როგორც იყო შეძველი გადა-მერჩინა ჯალათებისაგან და მომელწევინებინა იგი დღევანდლამდე".

განყოფილება

VI

ტრიბუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილი იყოს.

(წერილი რედაქციის მიმართ).

დაგვიანებით გავეცანი ჟურ. „რევოლიუციის მატიანე"-ს მესამე ნომრის შინაარსს. ჩემი ყურადღება, სხვათა შორის, მიიქცია იმ შენიშვნამ, რომელიც რედაქციის სახელით დართული აქვს ამხ. რუბენის სტატიაზე-მოგონებას (გვ. 159—160, სხოლიო). შენიშვნის ავტორს, თუ ავტორებს, უნდა ვიფიქროთ, ამომძრავებდა სურვილი ფაქტიური სინამდვილის სისწორით აღდგენისა, რაც (სინამდვილე) ამხ. რუბენის წერილში, რედაქციის შეხედულებით, ერთგვარათ გადაჭარბებული და გამრუდებულია. მაგრამ გამოსწორების მაგიერ, შენიშვნა კიდევ უფრო ბუნდოვანათ ხდის საკითხს, თან საოცარ „ახალ ამბავს" შეიცავს.

ამხ. რუბენი მოგვითხრობს ორ მიმდინარეობის („ლეგალისტები" და „არა-ლეგალისტების") შესახებ, რომლებსაც თავი უჩენიათ ტფილისის ორგანიზაციაში 1920 წლის მაისიდან ე. ი. მას შემდეგ, რაც მოხდა რუსეთ-საქართველოს შუა ხავის ჩამოგდება, ჩვენი ამნისტია და საქართველოს კომპარტიის ცალკე ორგანიზაციად გამოცხადება.

„რევოლიუციის მატიანე"-ს რედაქციას გადაჭარბებულათ მიაჩნია „საქართველოს კომ. პარტიის ჯგუფობრიობაზე ლაპარაკი" ლეგალიზაციის პირველ დღეებში. არა თუ გადაჭარბებულათ, არამედ სავსებით უსაფუძვლოთ მიმაჩნია პირადათ მე ამხ. რუბენისებური შეფასება მაშინდელი პარტიული ვითარებისა. ცნებების დაცლის შემდეგ ტფილისში მოხდა პარტიული თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა კუთხის ორგანიზაციების პასუხისმგებელი მომუშავენი, და ამ თათბირზე საკითხადაც კი არ დასმულა შენარჩუნება არა-ლეგალური ორგანიზაციის და სათანადო მუშაობის მეთოდებისა: ძირითად ფორმად პარტიულ ორგანიზაციისა და მუშაობისა აღიარებულ იქნა, თანახმად უმაღლეს პარტიულ ინსტანციისა (რ. კ. პ. ცეკა), ლეგალური ორგანიზაციები. საქართველოს კომპარტიაში ეს საკითხი არც შემდეგში ყოფილა სადაო, ყოველ შემთხვევაში ის **არც ერთჯერ არ დასმულა პარტიული წესით.** მაგალითად, 1920 წ. ნოემბერში შესდგა ცეკასთან ხელახალი თათბირი, რომელსაც კონფერენციის ბასიათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულდა ჰქონოდა მხოლოდ: მაგრამ დამსწრე დელეგატების უმეტესობის სურვილით, თათბირი „სიეზდათ“ იქნა გამოცხადებული. ბუნებრივად, ამ „სრულუფლებიან სიეზდზე“ წამოიჭრებოდა ასეთი ძირითადი საკითხი და გადაიჭრებოდა, მაგრამ არც სიეზდს და არც ამ სიეზდზე არჩეულ ცეკას არ წამოუყენებია საკითხი—„ლეგალური თუ არა-ლეგალური ორგანიზაცია“?

და საოცარია ამას შემდეგ „მატიანე“-ს რედაქციის შენიშვნის ბოლო ნაწილი, რომელიც მოჰყავს:

„ეს დავა პარტიაში გაღრმავდა, გამწვავდა დამოკიდებულება ამ ორ სხვადასხვა პარტიულ ხაზის მატარებელთა შორის 1920 წლის მიწურულში ოქტომბერ-ნოემბერში. ეგრედ წოდებულ „ლეგალისტების“ ჯგუფს ამ დროს მეთაურობდა საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ამხ. მამია ორახელაშვილი და საბჭოთა რუსეთის მისიის წარმომადგენელი საქართველოში ამხ. კიროვი, ხოლო „არა-ლეგალისტების“—დამოუკიდებელ მიზეზთა გამო საქართველოს საზღვრებს გარეშე მოქცეული ... (ბაქო-მოსკოვში იყო), ამხ. ფილიპე მახარაძე, საქართველოში მყოფ კომუნისტების დიდი ნაწილის გარშემო შემოკრებით“.

თუ რამდენი სიმართლე, ან და ხელოვნური, ქშნილ-ზღაპრული ელემენტია ასეთ განცხადებაში, ჩემს ზემო-ნათქვამ სიტყვებიდანაც სჩანს. დავსძენ მხოლოდ შემდეგს:

1) არავითარი „ჯგუფის“ მეთაური მე არ ვყოფილვარ. მე ვიყავი ცეკას წევრი, აგრეთვე წევრი „კავბიურო“-სი. ცეკას დანარჩენ წევრებთან ერთად (პირველ ხანებში—ამხ. გოროგი სტურუა, ბეკზადინაი, მრავიანი; შემდეგში—ამხ. მალაქია ტოროშელიძე, სანდრო თუმანოვი, ვანო სტურუა და სხ.) **მე გამტარებელი ვიყავი გამომუშავებულ და დადასტურებულ პარტიული ხაზის და პარტიის უმაღლეს ორგანოს დირექტივების.**

2) რედაქციის ცნობა ამხ. კიროვის შესახებ აბსოლიუტურათ უსაფუძვლოა და შეცდომის ნაყოფი. ამხ. კიროვი არა თუ არ ხელმძღვანელობდა არავითარ ჯგუფს, **მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჩვენი პარტიის ცეკას მუშაობაში, ცეკას არც ერთ სხდომას არ დასწრებია.** ოქტომბერ-ნოემბერში ის ვერ იქნებოდა „მოთავე და ხელმძღვანელი“ ვისიმე იმიტომაც, რომ ამ დროს ის უკვე გაწვეული იყო საქართველოდან რ. კ. პ. ცეკას მიერ.

მამია ორახელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილ იყოს“

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო „კომუნისტში“ მოთავსებულია ამბ. მამია ორახელაშვილის წერილი რედაქციის მიმართ შემდეგი საათაურით: „პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილ იყოს“,

რომ „ზღაპრული ელემენტი“ უნდა განდევნილ იქნეს არა თუ „პარტიის ისტორიიდან“, არამედ საზოგადოთ ყოველი დარგიდანაც; ეს არავისთვის სადაო არაა. მაგრამ თუ კი ვინმე „ზღაპრულ ელემენტის განდევნის“ მომხრეებით მოგვაწოდებს ზღაპარს, ეს პირდაპირ შეუწყნარებელია. ამბ. მამია ორახელაშვილი კი გვაწვდის სწორეთ ასეთ ზღაპარს (უნებლიეთ ალბათ, ვინაიდან ის პირდაპირ უშუალო მონაწილეობას მის მიერ დასახელებულ „ყრილობაზე“ არ იღებდა კონსპირატიულ მოსაზრებით).

როდესაც ამბ. მამია ლაპარაკობს ამბ. რუბენზე და მის მიერ შეფასებული მაშინდელი პარტიული ვითარება „უსაფუძვლოთ მიჩნია“, ეს, რასაკვირველია, ისტორიულად სწორი და მართალია. მაგრამ გადადის რა პარტიის შემდეგ განვითარებაზე, ამბობს: „საქართველოს კომპარტიაში ეს საკითხი („ლეგალური თუ არა-ლეგალური ორგანიზაცია“) არც **შემდეგში** ყოფილა სადაო, ყოველ შემთხვევაში ის **არც ერთჯერ არ დასმულა პარტიული წესით** (კურსივი ამბ. მამიასია—ს. ჩ.). მაგალითად, 1920 წ. ნოემბერში შესდგა ცეკასთან ხელახალი თათბირი, რომელსაც კონფერენციის ხასიათი უნდა ჰქონოდა მხოლოთ; მაგრამ დამსწრე დელეგატების უმეტესობის სურვილით, თათბირი „სიეზდათ“ იქნა გამოცხადებული. ბუნებრივათ, ამ „სრულუფლებიან სიეზდზე“ წამოიჭრებოდა ასეთი ძირითადი სადაო საკითხი და გადაიჭრებოდა. მაგრამ არც სიეზდს და არც ამ სიეზდზე არჩეულ ცეკას არ წარმოუყენებია საკითხი—„ლეგალური თუ არა-ლეგალური ორგანიზაცია“-ო.

სიმართლის აღსადგენათ საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, როგორც ამ სიეზდის მონაწილეთაგანმა, შემდეგი: ჯერ ერთი, დასახელებული სიეზდი იყო არა „ცეკასთან ხელახალი თათბირი“, არამედ ნამდვილი სიეზდი საქართველოს ორგანიზაციებისა, რომელიც მოწვეულ იქნა ამ ადგილობრივ ორგანიზაციების მოთხოვნით. მეორეთ, სწორეთ ეს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხი—„ლეგალური თუ არა-ლეგალური ორგანიზაცია“ იყო ძირითადი საკითხი ორგანიზაციულ დარგში, რომელსაც ყრილობამ მოანდომა ორზე მეტი სხდომა. არ ვიცი მასალები ამ ყრილობისა დარჩენილია თუ არა, ყოველ შემთხვევაში შეიძლება დავასახელო ამხანაგები, რომლებსაც კარგათ ახსოვთ ეს დავა ამ ყრილობაზე: მ. ტოროშელიძე, ს. თუმანოვი, მარუსია ორახელაშვილი, ანდრო და თედორე დოლიძე, რაჟდენ კალაძე, გ. ნუცუბიძე, ბ. მაჩაიძე, პ. ციცაძე და სხვ. ყრილობის დიდი უმრავლესობა (თითქმის ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები, მათ შორის ტფილისის ორგანიზაციაც) მომხრე იყო „არა-ლეგალური ორგანიზაციისა“. თუმცა მის დამცველებს ძალიან ბუნდოვანათ ჰქონდათ ის წარმოდგენილი და ვერ აუშუქებდნენ საერთო პარტიულ თვალსაზრისით მის აუცილებელ საჭიროებას. მთავარი დამცველი „ლეგალური ორგანიზაციისა“ იყვენი: ამბ. ამბ. მამია ორახელაშვილი (თუმცა ის, როგორც ზემოთ ვთქვით, ვერ იღებდა უშუალო მონაწილეობას ყრილობაზე, ვინაიდან იმყოფებოდა არა-ლეგალურათ), მალაქია ტოროშელიძე, სანდრო თუმანოვი და სხვ.

ასეთია ნამდვილი სიმართლე ამ ყრილობისა. ამის დამოწმება შეუძლია ყრილობის ყველა მონაწილეთაგანს.

ყოველგვარ გაუგებრობის გასაფანტავათ უნდა შევნიშნო, რომ პირადათ მე წინააღმდეგი ვიყავი საერთო რევოლიუციის თვალსაზრისით „არა-ლეგალურ ორგანიზაციის“ და დიდ შეცდომათ მიმაჩნდა და მიმაჩნია მაშინდელი „არა-ლეგალისტების“ პოზიცია.

P. S. ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ „კომუნისტში“ მოთავსებულ იქნა ამბ. რ. კალაძის წერილი. სადაც ის ეხება ამ წერილსაც და „ქრიტიკას“ უკეთებს მას

ის სწერს: „თუ ამბ. მამიას მომხრეები მალაქია და სანდრო ნოემბრის ყრილობაზე „ლეგალურ პოზიციას“ იცავდენ. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვითომდა „არა-ლეგალისტები“ ჩაეჩუმებიათ, რომლებიც მხოლოდ თავის გულში და ისიც სიტყვით რევოლიუციონერობდენ და მემარცხენეობდენ... და არა იმიტომ რომ ისინი (მამია, მალაქია და სანდრო) თითქო არა-ლეგალური მოქმედების წინააღმდეგი იყვენენ“. (გაზ. „კომ.“ № 213.) ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ ამბ. რ. კალაძეს, რომ ის სცნობს შემდეგს: ამბ. მამიას მომხრეები მალაქია და სანდრო, ნოემბრის ყრილობაზე „ლეგალურ პოზიციას“ იცავდენ... იმიტომ რომ... „არა-ლეგალისტები“ ჩაეჩუმებიათ“. („კომ.“ № 213).

მეორეთ, ჩვენ არ გვესაჭიროება აქ იმის დამტკიცება, რომ ის ჯგუფი, რომელსაც, სხვათა შორის, ეკუთვნოდა მაშინ თვით ამბ. რ. კალაძეც, მხოლოთ „სიტყვით რევოლიუციონერები, მემარცხენეები“ და „არა-ლეგალისტები“ იყვნენ, თუ საქმითაც

ამას აკეთებდენ. აქ „სიმართლის აღსადგენათ“ ეს სრულებითაც არაა საჭირო, ვინაიდან ჩვენ გვესაჭიროებოდა იმის გაგება: იყო თუ არა ბრძოლა ყრილობაზე „არა-ლეგალისტებსა და ლეგალისტებს“ შორის. ხოლო რომ ეს ბრძოლა იყო, ამას, როგორც დავინახეთ თვით რ. კალაძეც ვერ უარყოფს. მესამეთ, ამხ. რ. კალაძის მტკიცებით გამოდის, რომ არა თუ „არა-ლეგალისტები“ ყოფილან მარტო სიტყვის ხალხი (და არა საქმისაც), არამედ მეორე ჯგუფიც (მალაქია, მამია, სანდრო), ვინაიდან ეს უკანასკნელები თურმე იმიტომ კი არ „იცავდენ“ ლეგალურ პოზიციას, რომ ისინი თითქო „არა-ლეგალური მოქმედების წინააღმდეგი იყვენ“, არამედ იმიტომ, რომ ის ვითომდა „არა-ლეგალისტები ჩაეჩუმებიად“. ერთი სიტყვით ეს ყოფილა თურმე მხოლოდ ბრძოლის ფანდი და მეტი არაფერი. ასე რომ მთელი ყრილობა გამსჭვალული ყოფილა უკანა აზრებით, რაც პირდაპირ ცილის-წამებაა. ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დაეუშვათ, რომ პარტიული ყრილობა ასეთ რამეს დაუშვებდა. ეს პირდაპირ არ ეწყობა საღ გონებას.

ს. ჩიხლაძე.

რედაქციისაგან

ვათავსებთ რა ამჯ. მამია ორახელაშვილის წერილს — „პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილ იყოს" და ამავე სათაურით გაცემულ ამჯ. ს. ჩიხლაძის პასუხს,- „რევოლიუციის მატიანეს" რედაქცია უმატებს შემდეგს:

1920 წ. აგვისტოსა და სექტემბერში, საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს, როცა მენშევიკების დრაკონიული ზომები ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული, კომუნისტური პარტიის ლეგალურ აპპარატს გასაქანს არ აძლევდა, ახშობადა მას და აქ ახლად შექმნილ **საქართველოს** კომუნისტურ პარტიაში ისახებოდა „მიმდინარეობა" **ლეგალური და არა-ლეგალური** მუშაობის შესახებ, ამჯ. კიროვი იმყოფებოდა საქართველოში და ემხრობოდა, იცავდა მარტოდ და მხოლოდ **ლეგალურ** ჩარჩოებში მუშაობას, ამჯ. კიროვს, შექმნილ პოლიტიკურ პირობებში დაუშვებლად მიაჩნდა არა-ლეგალური მუშაობა კომუნისტური პარტიისა საქართველოში, რა ფორმებშიც არ უნდა წარმოებულიყო იგი. ეს აზრი გამოსთქვა სხვათა შორის მან, ამჯ. ფ. მახარაძისა და ლადო დუმბაძის სიპასუხო სიტყვის სახით ბაქოში — მაილოვის დიდი თეატრის დარბაზში, **აღმოხავლეთ ხალხების კონგრესის** დროს გამართულ მოწინავე ქართველ კომუნისტ-დელეგატების თათბირზე, საცა დასმული იყო სწორეთ ეს ერთი კითხვა: **„ლეგალურთან არა-ლეგალური მუშაობაც ვაწარმოოთ თუ არა"?**

საქართველოდან წარმოდგენილ კონგრესის დელეგატები აღემატებოდენ 60-80 კაცს.

ამათ შორის 90-95 პროცენტი იმას ლაპარაკობდა, აღნიშნავდა, რომ საქართველოში ლეგალური მუშაობის საშუალება მოსპობილია, პარტია დნება, პარტიის წევრები ქრებიან. აი ეს გახდა მიზეზი თათბირის მოწვევისა ბაქოში, რომელიც შესდგებოდა ქართველ პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან.

მოხსენება დასმულ საკითხზე გააკეთა მოსკოვიდან დაბრუნებულმა ამჯ. ფ. მახარაძემ, რომელსაც **რ. ც. კომიტეტისაგან** ჰქონდა ერთგვარი დირექტივები, პარტიის შენახვის მიზნით მოეწყო საქართველოში არა-ლეგალური პარტიული აპარატი და ეწარმოებია ამ სახით მუშაობა,— **არა აუცილებლად აჯანყებისათვის.** ამ მოხსენების

აზრი გაიზიარა და მიიღო შესაფერი რეზოლიუცია მთელმა თათბირმა თითქმის; გამონაკლისს, რომელიც არ ღებულობდა რეზოლიუციაში გამოთქმულ აზრს, ორი-სამი კაცი შეადგენდა.

დაახლოვებით ამ თათბირს დაესწრენ: ამხ. ფ. მახარაძე, კიროვი, ლადო დუმბაძე, სილვა თოდრია, მარიამ ორახელაშვილი გალაქტიონ ნუცუბიძე (უკანასკნელი თავმჯდომარეობდა), მიხა კახიანი, ს. თალაკვაძე, არჩილ მიქაძე, ვალერიან ვაშაკიძე, პ. საბაშვილი, ს. მეგრელიშვილი, პ. ცინცაძე, ს. მამულია, კატო მიქაძე, აკირტავა, გ. სტურუა და სხვები,—სულ 25 კაცამდის.

P. S. ამავე ნომერში, მე-5 განყოფილებაში „პარტიული არქივში" იბეჭდება ბაქოში გადასახლებული ქართველი კომუნისტების კრების ოქმი და რეზოლიუცია, რომელიც ნათელს ჰფენს ამ კითხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქციონერო წიგნების გამომცემელი საზოგადოება

„წითელი წიგნი"

გამგეობა—ტფილისი რუსთაველის პროს. № 8, ტელ. 7—54. გამოცემათა მთავარი საწყობი—იქვე.

დაიბეჭდა და იყიდება.

პოლიტიკურ-ეკონომიური ლიტერატურა:

1. **მარქსი** და **ფ. ენგელსი**—კომუნისტური მანიფესტი დ. რიაზანოვის რედაქციით. ფ. 2 მან. 20 კ. ოქროთი.
2. **სტალინი**—კრებული წერილებისა ნაციონალური საკითხის შესახებ. ფასი 50 კაპ. ოქროთი.
3. **ა. ბებელი**—დედაკაცი აწმყოში და მომავალში. ფასი 14 კ. ოქროთი (გაიყიდა).
4. **ი. კაკაბაძე**—ჩვენი სამეურნეო აწმყო და მომავალი. ფასი 25 კაპ. ჩერვ.
5. **სტუჩკა**—სწავლა რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოს და კონსტიტუციაზე.
6. **მარქსი** და **ფ. ენგელსი**—კომუნისტური მანიფესტი. ფასი 25 კაპ. ოქროთი.
7. **ფ. ენგელსი**—კომუნიზმის პრინციპები. ფასი 15 კაპ. ოქროთი (გაიყიდა).
8. **ტომსკი**—რუსეთის პროფ. მოძრაობის ნარკვევები. ფასი 30 კაპ. ოქროთი.
9. **ანდრეევი**—წელიწად-ნახევარში. ფ. 35 კაპ. ჩერვ.
10. **ტომსკი**—პროფკავშირები ახალ გზაზე. ფ. 40 ჩერვ.
11. მენშევიზმის გახრწნა. ფ. 40 კაპ. ჩერვ. (გაიყიდა).
12. მე-12 ყრილობის რეზოლიუციები. ფ. 65 კაპ. ჩერვ. (გაიყიდა).
13. **ი. სტალინი**—ნაციონალური საკითხი. ფ. 30 კაპ. ჩერვ. (გაიყიდა)
14. **ლ. ტროცკი**—მწერლობის ძირითადი საკითხები. ფასი 50 კაპ. ჩერვ. (გაიყიდა).
15. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. 25 კ. ჩერვ. (გაიყიდა).
16. **ბრაუნი**—კომუნიზმი და ქრისტიანობა. ფ. 1 მან. 10 კაპ. ჩერვ.

17. ა. **კოლონტაი** — დედაკაცის მდგომარეობა მეურნეობის ეკონომიკაში.
18. ა. **ჩეკინი**—ტრედ-უნიონიზმის ისტორიის ნარკვევები.
19. ა. **მარტინოვი**—ბოლშევიზმი და მენშევიზმი (გაყიდულია).
20. კონფერენცია პირვ. რაიონის ყოფილ მენშევიკების—რკინის გზელებისა (სტენოგრ. ანგარიში ქართულათ).
21. კონფერენცია მეორე რაიონის ყოფილ მენშევიკებისა.
40. **ჰენრიხ-კურნოვი**—წარმოშობა რელიგიისა და ღვთისადმი რწმენისა.

სასწავლო სახელმძღვანელოები.

1. ი. **გომელაური**—ქართული მწერლები ნ. III. ფასი 1 მან. ჩერვ.
2. იგივე ნაწ. 4. ფასი 1 მან. 25 კაპ. ჩერვ.
3. იგივე ნაწ. II. ფასი 50 კაპ. ჩერვ.
4. იგივე ნაწ. III ფასი. 60 კაპ. ჩერვ.
5. იგივე ნაწ. IV. ფასი 80 კ. ჩერვონ.

მხატვრული ლიტერატურა.

1. ბლოკ—თორმეტი და სკვითები (ქართ). ფასი 40 კაპ. ჩერვ.